

განსარიონ ჯღანტი

მწიკლე
და

თანამედროვეობა



სრული
ლიტერატურულ-
-კრიტიკული
წერილები
ორ ნიშნად

წიგნი მეორე

გამომცემლობა ამ წიგნით ამთავრებს ცნობილი ქართული კრიტიკოსის ბესარიონ ჟღენტის რჩეული ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიების გამოცემას (პირველი წიგნი რამდენიმე წლის წინ გამოვიდა).

ავტორი თავის ცალკეულ ნაშრომებში, მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით აშუქებს ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების რთულ გზას, ილაშქრებს ქართული სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის უცხო გავლენების, ყოველგვარ იდეურ-მხატვრულ მანკიერებათა წინააღმდეგ.

გვირული სხოვრების ეპოქა

ახლახან საბჭოთა მწერლების რიგებს გამოაკლდა გამოჩენილი პროზაიკოსი, რამდენიმე ისტორიული რომანის და მოთხრობის ავტორი ანა ანტონოვსკაია.

ახლა, როცა იგი ჩვენს შორის აღარ არის, ჩვენი მოვალეობაა ერთხელ კიდევ თვალი გადავავლოთ მის მოღვაწეობას, განვიხილოთ და ღირსეულად დავაფასოთ მისი შემოქმედება. ანა ანტონოვსკაიამ თავისი ხანგრძლივი, შთაგონებული შრომა მიუძღვნა ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლას, მის მხატვრულ ასახვას. ამით მან შემოქმედებითად განაგრძო დიდებული ტრადიცია მოწინავე რუსული ლიტერატურისა და მრავალსაუკუნოვანი კულტურისა, რომ არაფერი ვთქვათ ამ ტრადიციის უფრო შორეულ ძირებზე, საკმაოა გავიხსენოთ კეთილშობილი სახე ალექსანდრე გრიბოედოვისა, რომელმაც სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება და შემოქმედებითი ბიოგრაფია საქართველოს და სამარადისო განსასვენებელი ჰპოვა ქართულ მიწაზე — მთაწმინდაზე, უდიდეს ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს მიუძღვნეს და ქართულ თემაზე შექმნეს თავისი არაერთი შედეგრი ა. პუშკინმა და მ. ლერმონტოვმა.

სწორედ რუსული პოეზიის გენიოსების ამ უქცნობ ქმნილებათა გამო, დიდმა კრიტიკოსმა ბელინსკიმ კავკასიას რუსული პოეზიის აკვანი უწოდა. ეს ტრადიცია არ შეწყვეტილა გასული საუკუნის მთელ მანძილზე, ხოლო ჩვენს დროში მან ჰპოვა განსაკუთრებით ფართო და მრავალმხრივი გამოვლინება. აქ, ჩვენში დაიწყო მაქსიმ გორკის შემოქმედებითი ბიოგრაფია, საქართველოში დაიბადა ვლადიმერ მაიაკოვსკი, აქ გაატარა ყრმობა და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა მისადმი გულწრფელი სიყვარული და გულითადი დამოკიდებულება. თანამედროვე რუსული მწერლობის ამ ორი გიგანტის კვალზე რუსული საბჭოთა ლიტერატურის მრავალი ოსტატი თავის ნაწარმოებში ასახავს და უმღერის თანამედროვე საქართველოს, რუსულ ენაზე ამეტყველებს ქართული კლასიკური და საბჭოური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს და ამით აღრმავენ შორეული წარსულიდან მომდინარე რუსულ-ქართულ კულტურულ კავშირ-ერთიერთობას.

ანა ანტონოვსკაიას მიერ ქართულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთ, უწინარეს ყოვლისა, მის „დიდ მოურავს“ უქირავს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ადგილი რუსი და ქართველი ხალხების საუკუნეობრივი მეგ-

ობრობის მატრიანეში. ეს მრავალტომიანი წიგნი გამსჭვალულია უსაზღვრო სიყვარულით და პატივისცემით ქართველი ერისადმი, რომლის ისტორიული წარსულის წარმოსახვას მწერალმა მიუძღვნა მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება.

ანა ანტონოვსკაიას ქართული თემისათვის შემთხვევით როდი მიუმართავს.

იგი დაიბადა თბილისში, ბავშვობის და ყრმობის უდიდესი ნაწილი გაატარა საქართველოში და ქართველი ხალხის სხვადასხვა ფენებთან მჭიდრო ურთიერთობაში.

მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ცხოვრებაში მწიფდებოდა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერწყმოდა და უერთდებოდა იმ ხანებში მთელი სიძლიერით აზვირთებულ პროლეტარიატის ბრძოლას. რუსეთის გმირული პროლეტარიატის კვალდაკვალ საქართველოს მუშათა კლასი გაბედულად და ურყევად დგებოდა დიდი კლასობრივი ბრძოლების გზაზე. ანა ანტონოვსკაია გახდა მოწმე იმისა, თუ რა თავგანწირვით იბრძოდა ქართველი ხალხი 1905-1907 წლების რევოლუციის ბარიკადებზე, რევოლუციისა, რომელმაც, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით ფართო გაქანება ჰპოვა საქართველოში. მან საკუთარი თვალთ ნახა, თუ რა შეუღრეკლად უმკლავდებოდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები რევოლუციის დამარცხების შემდეგ დროებით აღზევებულ ცარისტული რეაქციის შავნელ ძალებს; თუ რა მრისხანედ და შეუპოვრად აღუდგა წინ მენშევიკურ რეჟიმს და ამ მედგარი ბრძოლის შედეგად მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, რომელმაც სამუდამოდ იხსნა ქართველი ხალხი საუკუნეობრივი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან.

ამ დიდი ისტორიული ამბებისაგან მიღებული შთაბეჭდილებანი ანა ანტონოვსკაიამ შემდგომში მკაფიოდ ასახა „ქართული ნოველების“ ციკლში, მხატვრული ფილმის „ცეცხლის ტრანსპორტისათვის“ დაწერილ სცენარში, ვრცელ ისტორიულ-რევოლუციურ მოთხრობაში „ბათუმის რეიდზე“, ბორის ჩერნის თანავტორობით შექმნილ რომანში „მშვიდობის ანგელოზები“ და მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებში.

ამ ღირსაღსანიშნავი მოვლენების ქარცეცხლსა და გრივალეებში ქართველმა ხალხმა განსაკუთრებული თვალსაჩინოებით გამოავლინა მაღალი სულიერი ძალა და სილამაზე, საუკუნეების მანძილზე გამოშუშავებული ეროვნული ხასიათის თვისებები — მოუღრეკელი თავისუფლებისმოყვარეობა, მებრძოლი სული, ვაჟაკობა, სიმამაცე და სხვა მაღალი მორალური საწყისები. ამ მოვლენების სინათლის შუქზე აღიქვა მწერალმა ქალმა ქართველი ერის სულიერი სახე და, ცხადია, განიმსჭვალა კიდევ მისდამი სიყვარულითა და პატივისცემის გრძნობით. ერთ-

ერთ თავის მხატვრულ-პუბლიცისტურ ნარკვევში ა. ანტონოვსკაია შემდგენაირად ახასიათებს ქართველი ხალხის სულიერ ღირსებას: თავისი ქვეყნის ისტორიული ბედ-იღბლის მეოხებით, უძველესი დროიდან ქართველ კაცს, იცავდა რა მზით გაცისკროვნებულ საქართველოს, ხელიდან არ გაუვდია მახვილი, ცეცხლოვან ბრძოლებში გაეარვარებულმა ამ მახვილმა გაამახვილა პოეტის კალამი, დაჭიმა ჩონგურის სიმები და დადო საღებავები მხატვრის პალიტრაზე.

ომების და ბრძოლების საუკუნეებმა გამოჭედეს ქართული ეროვნული ხასიათის სამი გრძნობა. აყალიბებდა მას — სიმამაცე, სიყვარული, მეგობრობა, რომელთაც ასე ამალეღვებლად უმღერა „სისხლისა ცრემლდათხეულმა“ რუსთაველმა „მინა რხეული კალმით“. თითქმის მუდმივ აუცილებლობას — ნიადაგ ხელში სჭეროდა ამოწვდილი მახვილი—შაკარი და სასტიკი უნდა გაეხადა ზნენი და ქცევანი, მაგრამ ქართველი ერის გული და გონება, მტრისადმი მრისხანებასა და შეურიგებლობასთან ერთად, ასაზრდოებდა დაუშრეტელ სიყვარულს მოყვასისა და მეგობრისადმი.

ქართველი ხალხის ისტორიული ბედის და ეროვნული ხასიათის ასეთი გაგება მწერალმა ქალმა განასახიერა თავის სახელგანთქმულ ეპოპეაში „დიდი მოურავი“.

1908 წელს საქართველოში ერთ-ერთი თავის მოგზაურობის დროს, ათვალეერებდა რა სახელგანთქმულ საფარის მონასტერს, ა. ანტონოვსკაიამ პირველად გაიგონა საქართველოს ისტორიის ლეგენდარული გმირის გიორგი სააკაძის სახელი. მთლად გაჭაღარაებულმა ბერიკაცმა წარმტაცად უამბო ძველი მონასტრის სანახავად მოსულ ახალგაზრდა მწერალ ქალს საარაკო გმირული თავგადასავალი დიდი მოურავისა, რომელიც თავგანწირვით იცავდა საქართველოს არსებობას და თავისუფლებას, ვაჟკაცურად დაიღუპა სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში და თავისი გმირული საქმეებით წარუშლელი კვალი დატოვა ხალხის ხსოვნაში.

ბრძენი ბერიკაცის ნაამბობმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ა. ანტონოვსკაიაზე. ხელი მიჰყო ისტორიული დოკუმენტების, საარქივო მასალების, ძველებური ხელნაწერების, მატიაწეების, ქართველი, სომეხი, ირანელი, თურქი და სხვა ეროვნების ისტორიკოსთა შრომების, ფრანგი და იტალიელი მოგზაურების, მისიონერების, ვაჟრების და დიპლომატების აღწერილობათა და ჩანაწერების და ყოველივე იმის გულმოდგინე შესწავლას, რაც კი დაკავშირებული იყო გიორგი სააკაძის სახელთან, მისი ცხოვრების და მოღვაწეობის ეპოქასთან. ესოდენ ვეება და მრავალგვარი მასალის, საქართველოს და მისი შეზობელი ქვეყნების—რუსეთის, ირანის, თურქეთის ისტორიის ხანგრძლივი და ბეჯითი შესწავლის შედეგად მწერალს გამოუმუშავდა გარ-

კვეული ისტორიული კონცეფცია, მოუმწიფდა ნათელი შემოქმედებითი შთანაფიქრი, დაუგროვდა ისტორიული რომანისათვის აუცილებელი გამოსახვითი ხერხების მთელი არსენალი. ქართული ლიტერატურის, ნივთიერი კულტურის ძეგლების, ძველ მონასტერთა და ციხესიმაგრეთა არქიტექტურის, ფრესკების, ორნამენტების და მინიატურების გულმოდგინე და ყოველმხრივმა შესწავლამ ხელი შეუწყო მწერალს, გამოემუშაებია ნათელი წარმოდგენა ეპოქის სულზე, იმ დროის მატერიალურ კულტურაზე, იმ ეპოქის ადამიანებზე—თავისი მომავალი ნაწარმოების პერსონაჟებზე. დაეუფლა რა ზედმიწევნით ამ უამრავ მასალას, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში მოსკოვში დამკვიდრებული მწერალი შეუდგა რომანზე მუშაობას. თავისი დიდი ეპოპეის წერის ხანგრძლივ პროცესში მწერალს არასოდეს არ გაუწყვეტია უშუალო კავშირი საქართველოსთან. ეპოპეის უკანასკნელი წიგნის დამთავრებამდე მწერალი რეგულარულად ჩამოდიოდა ჩვენს რესპუბლიკაში, რათა თავის მეხსიერებაში კვლავ განეახლებია ასასახავი მოვლენების გეოგრაფიული ფონის, ბუნების სურათების, იმ ადგილების მოხაზულობის და კოლორიტის შეგრძნება, რომლებიც გიორგი სააკაძის ცხოვრების ისტორიასთან არის დაკავშირებული. 1929 წელს ავტორმა დაამთავრა პირველი წიგნი. პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულმა თავებმა საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი აღძრა. მანამდე მოეწყო ხელნაწერის განხილვა ქართველ მწერალთა და მეცნიერ-სპეციალისტთა წრეში. აზრთა გაცვლა-გამოცვლა დაეხმარა ავტორს შეემოწმებია, დაეზუსტებია, საბოლოოდ დაემუშაებია და დაეხვეწა თავისი ისტორიული თხრობის ცალკე ადგილები და მომენტები.

ქართული სალიტერატურო და სამეცნიერო საზოგადოებრიობის გულისხმიერი დამოკიდებულებით და კეთილი განწყობილებით გამხნეებული მწერალი უფრო მეტი ინტენსივობით განაგრძობდა დაძაბულ შემოქმედებით მუშაობას ეპოპეაზე. 1937 წელს ჯერ თბილისში, მერე მოსკოვში გამოიცა „დიდი მოურავის“ პირველი წიგნი, 1940 წელს — მეორე 1947 წელს მოსკოვის გამოცემლობამ „სოვეტსკი პისატელმა“ გამოაქვეყნა ამ დროისათვის უკვე დამთავრებული სამი ტომი, მომდევნო წლებში გამოიცა მეოთხე, ხოლო, 1958 წელს — მეხუთე და მეექვსე წიგნი. ამრიგად, 50-იანი წლების დასასრულს დამთავრდა მწერლის ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომა, რომელიც თითქმის ორმოც წლამდე გაგრძელდა. ამ ექვსი წიგნის წამკითხველის თვალწინ დგას საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით მონუმენტური ფიგურა გიორგი სააკაძისა, ბრწყინვალე საგმირო საქმეებით, მძიმე განსაცდელით აღსავსე მისი უაღრესად რთული ბიოგრაფია. ამ გამოჩენილი მეომრის და სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრების, ბრძოლების და საქმიანობის ისტორია მოთხრობილი და განსახიერებულია ქართველი ხალხის ისტორიულ

ბედთან კავშირში. ახლა, როცა უკვე დამთავრდა ექვსივე წიგნის გამოცემა, სრული შესაძლებლობა გვაქვს ვიმსჯელოთ ანტონოვსკაიას ექვსტომიანი ეპოპეის ისტორიულ სიმართლეზე, ავტორის ისტორიული კონცეფციის, გიორგი სააკაძის პიროვნებისა და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მოვლენების ავტორისეული გაგების სისწორეზე, რომანის მხატვრულ-ესთეტიკურ დონეზე, ავტორის პროფესიულ ოსტატობაზე.

„დიდი მოურავი.“ ფართო მხატვრული ტილოა, რომელიც ასახავს ქართველი ხალხის თავგანწირულ გმირულ ბრძოლას არსებობისა და თავისუფლებიანთა, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამ ნაწარმოებში უპირველესი ღირსებაა მისი ნამდვილი ხალხურობა, ამ ცნების უაღრესად ფართო და საუკეთესო გაგებით. ფეოდალური მონობის უღლის ქვეშ მგმინავი და უცხოელ დამპყრობთაგან არაერთხელ სასტიკად გააფლავილი და გაწამებული ხალხი, რომელიც ვაჟკაცური შეუპოვრობით და თავდადებით ერკინებოდა მძლავრი დამპყრობლების მრავალრიცხოვან ურდოებს, ეს ხალხი არის „დიდი მოურავის“ მთავარი გმირი. რომანში არამარტო უშუალოდ გამოდის საკუთრივ ხალხი — გლეხობა, აზნაურები, ზელოსნები, მკვეთრად გამოკვეთილ სახეთა მდიდარ გალერეაში პერსონიფიცირებულნი, ეპოპეის ცენტრალური სახე—თვით გიორგი სააკაძე, თავისი დიდებული შესახედაობით, თავისი საქმეებით, მისწრაფებებით და სულისკვეთებით არის ხალხის ხასიათის საუკეთესო და ამაღლებელი თვისებებს ცოცხალი განსახიერება. ყველა დანარჩენი სოციალური ძალები — მეფეები, შახები და სულთნები, დიდებულნი, დიდმფლობელი თავადები, კარისკაცები, საერო და სასულიერო არისტოკრატის უამრავი წარმომადგენელი, ვაჟრები და სხვები რომანში გამოყვანილი და გაშუქებული არიან ხალხთან მათი ურთიერთობის ასპექტით, ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნებთან და მისწრაფებებთან მათი დამოკიდებულების თვალსაზრისით. ამრიგად, ხალხის ბრძოლა ტირანიის, ჩაგვრის, ძალადობის და მტარვალობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ უდევს საფუძვლად რომან-ეპოპეის „დიდ მოურავის“ პრობლემატიკას. ავტორი ასახავს ამ ბრძოლის პეროიკას და შთაგონებით უმღერის მას. სწორედ ეს აძლევს, უწინარეს ყოვლისა, ა. ანტონოვსკაიას ნაწარმოებს დიდ აქტუალობას ჩვენი დროისათვის — კავიტალისტური მონობის, რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაციის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ძლევაშოსილი ბრძოლების ეპოქისათვის.

„დიდი მოურავის“ ავტორმა თავის მხატვრული წარმოსახვის ობიექტად აირჩია საქართველო, ქართველი ხალხის ისტორიის გარკვეული პე-

რიოდი, რომელიც სხვა პერიოდებისაგან გამოირჩევა განსაკუთრებული სირთულით და დრამატიზმით.

„დიდ მოურავში“ ასახული ეპოქა, — ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე და შავბნელი პერიოდია.

შინაგანი სოციალური წინააღმდეგობებით, ფეოდალური ბრძოლებით და ქიშობით დაჩეხილ-დაგლეჯილი და განაწამები საქართველო მე-16-17 საუკუნეების მიჯნაზე განიცდიდა ირანის შაჰების და თურქეთის სულთნების შემოესრავ და გამანადგურებელ შემოსევებს. ქართველი ხალხი მრავალი საუკუნის მანძილზე იძულებული ხდებოდა, მასზე ბევრად მრავალრიცხოვან და ძლიერ მტრებთან განუწყვეტელ სისხლისმღვრელ ომებში, თავისი ძალების უკიდურესი დაძაბვის და უამრავი მსხვერპლის ფასად, დაეცვა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფალი არსებობა.

ქართველი ხალხისადმი დამპყრობელთა ისტორიულ სიძულვილს და აგრესიულ, ბოროტ ზრახვებს აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ იმ დროისათვის სწრაფად მზარდი და აღმავალი რუსეთის სახელმწიფო თანმიმდევრულად უახლოვდებოდა კავკასიის ფარგლებს და ამით ქმნიდა სერიოზულ საფრთხეს ირანისა და თურქეთისათვის. ამასთან საქართველოს ბრძენი მესვეურნი და საუკეთესო მოღვაწენი საბოლოოდ დაადგნენ ისტორიის მსვლელობით მომზადებულ და ნაკარნახევ ერთადერთ სწორ გზას — ძლიერ ერთმორწმუნე მეზობელთან — რუსეთთან დაკავშირების და დამეგობრების გზას.

საქართველოს ისტორიის ამ არაჩვეულებრივად რთულსა და ტრაგიკულს პერიოდში, უმძიმეს განსაცდელთა ცეცხლში ჩავარდნილმა ქართველმა ხალხმა მკათოდ და თვალსაჩინოდ გამოავლინა ეროვნული ხასიათის საუკეთესო თვისებები, თავისი სულიერი სამყაროს ძლიერება, ძალა და სილამაზე, თავისი წრიდან წინ წამოსწია შესანიშნავი მხედართმთავარი — დიდად გონიერი, გამჭრიახი და შორსმჭკრეტელი სახელმწიფო მოღვაწე გიორგი სააკაძე. მშობელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების და მისწრაფებების მხურვალე დამცველმა გიორგი სააკაძემ თავისი ცხოვრება მთლიანად მიუძღვნა სახალხო საქმეს. მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი ესწრაფვოდა საქართველოს მიწა-წყლიდან განედევნა უცხოელი დამპყრობლები, ერთ, ძლიერ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გაეერთიანებია თავისი ქვეყანა, გაეტარებია დიდმფლობელთაგან უფლებების შეზღუდვისაკენ და მშრომელი ხალხის ცხოვრების პირობების შემსუბუქებისაკენ მიმართული სოციალური რეფორმები.

იმ საუკუნის კონკრეტულმა ისტორიულმა პირობებმა გიორგი სააკაძეს შესაძლებლობა მოუსპო განეხორციელებია თავისი კეთილშობილური, იმ დროისათვის ღრმად პროგრესული იდეები. რეალურ ისტო-

რიულ პირობებსა და მის საკუთარ მაღალ განზრახვლებათა შორის არსებულ წინააღმდეგობათა გადაულახავობის შედეგად დაიღუპა კიდეც საქართველოს ეს სახელმწიფოეკილი გმირი. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხის გამათავისუფლებელმა ბრძოლამ გიორგი სააკაძის მეთაურობით მოგვცა სახალხო გმირობის გასაოცარი მაგალითები, რომელთაც წარუშლელი კვალი გაავლეს ქართველი ერის ხსოვნაში.

აღადგინა რა ქვეყნის ისტორიული სიმაღლით სახალხო გმირობის ეს ამაღლებელი ეპოპეა, „დიდი მოურავის“ ავტორმა თავის ნაწარმოებში დახატა პატრიოტიზმის წმინდა იდეით, ვაჟაყაცობის და სიმამაცის, მეგობრობის და სიყვარულის სულისკვეთებით გამსჭვალული სურათები, გამოკვეთა სახეთა უმდიდრესი გალერეა.

აი, რატომ არის, რომ საქართველოს ისტორიის გარკვეული პერიოდის მასალაზე აგებული ეს რომანი თავისი მნიშვნელობით შორს სცილდება მასში ასახული მოვლენების გეოგრაფიულ და ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

ჩვენი თანამედროვეობის სიმაღლიდან გაშუქებული ისტორია ამ ნაწარმოებში აღდგენილია მთელი მისი მრისხანე სინამდვილით და მკაცრი სიმაღლით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი პრობლემები საკმაოდ სისრულით არ არის დამუშავებული და ამიტომ „დიდი მოურავის“ ავტორს დასჭირდა დიდი, წმინდა მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა იმისათვის, რომ სწორად გაეშუქებია და გაეხსნა იმ დროის მეტად გართულებული საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესების აზრი.

ქართველი ერის ისტორიის, ხალხის, ყოფაცხოვრების, ეპოქის სულიერი და მატერიალური კულტურის ღრმა ავტორსეული ცოდნა რომანში განაყოფიერებულია ავტორისავე გაბედული მხატვრული ფანტაზიით, ცოცხალი, მკვეთრი ადამიანური ხასიათების გამოკვეთის უნარით, ბუნების და ყოფის კოლორიტული, შთამბეჭდავი სურათების წარმოსახვის ოსტატობით. ეს ფართო, მრავალნაკადიანი და სიგრძე-სიგანეზე განტოტებული ეპოპეა მოძრაობს და იშლება მწყობრ კომპოზიციურ კალაპოტში, რომელიც წარმოშობს ემოციური ზემოქმედების დიდ ძალას. ასახული მოვლენების და ამბების რეალისტური სიმაღლე რომანში ორგანულად ერწყმის რომანტიკულ მღელვარებას და ამაღლებულობას, რაც სავსებით შეესაბამება იმ ჰეროიკულ და პატრიოტულ სულისკვეთებას, რითაც გამსჭვალულია ანა ანტონოვსკაიას მთელი ქმნილება. ასეთივე ორგანულობით თხრობის ეპიკური ნაკადი რომანში შეერწყმის ნაზ, გულითად ლირიზმს, რაც მკითხველს უადვილებს ღრმად ჩაწვდეს რომანის გმირების რთული განცდების და გრძნობების სამყაროს.

დიდი შემეცნებითი და იდეურ-აღმზრდელი მნიშვნელობის ნა-

წარმოები „დიდი მოურავი“ იკითხება დაძაბული ყურადღებით და თანდათან მზარდი და ღრმა ინტერესით. თითქმის ოცდახუთი წლის მანძილზე, ეს რომანი გამოდიოდა რა ცალკე წიგნებად, მკითხველი მასების თვალწინ შლიდა დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ხალხის თავგანწირულ ბრძოლის ვრცელ პანორამას ისე, რომ ყოველი წიგნი აქტიურად და ქმედითად იჭრებოდა ჩვენი დროის ადამიანის სულიერ სამყაროში.

მთავარი ა. ანტონოვსკაიას ეპოპეაში მაინც გიორგი სააკაძის ტრაგიკული სახეა. რომანის პირველი ფურცლებიდან მკითხველის წინაშე აღმართება იშვიათი ფიზიკური და სულიერი ძალის ფიგურა, 18 წლის ახოვანი ჰაბუკი, რომელიც თავისი სოციალური მდგომარეობით, თავისი აღზრდით და საზოგადოებრივი მისწრაფებებით მომზადებულია იმისათვის, რომ ვაჟკაცური ბრძოლა გაუმართოს თავისი სამშობლოს უცხოელ დამპყრობლებს და შინაურ ფეოდალურ რეაქციას, რომელნიც აპარტახებდნენ და სისხლისაგან სელიდნენ ქვეყანას. ჰაბუკი სააკაძის გააფთრებული დატაკება მაღალაძესთან ნოსტეს ბაზარზე განზოგადებული ძალით გვიჩვენებს, რომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა ახალი სოციალური ძალა — წვრილი აზნაურობა, რომელსაც თავის გარშემო შემოუკრებია ყველა დემოკრატიული ფენა — გლეხობა, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, შემოუკრებია იმ მიზნით, რომ იბრძოლოს პროგრესული სოციალური რეფორმებისათვის, ქვეყნის გაერთიანებისათვის, ირანელ და თურქ დამპყრობელთა კლანებისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის.

ამ ძალების მეთაურად, სულნიჩამდგმელად და შთამავონებლად გამოდის გიორგი სააკაძე. ვაჟკაცობით და ჰაბუკური მგზნებარებით აღსავსე სააკაძეს და მის ტოლ მეომრებს, რომლებმაც შემდგომში „ვეფხთა რაზმი“ შეადგინეს, სწყურიათ სამშობლოს მტრებთან შებმა, მართლაც, მალე ისინი ამ ბრძოლის შუაგულში აღმოჩნდნენ. სამ სამეფოდ და რამდენიმე სათავადოდ დაქუცმაცებული საქართველო მე-16-17 საუკუნეების მიჯნაზე ერთმანეთს შორის გაინაწილეს მეზობელმა მუსულმანურმა სახელმწიფოებმა. აღმოსავლეთ საქართველო ირანის უღლის ქვეშ მოექცა, ხოლო დასავლეთ საქართველოში გაბატონდა თურქეთი. ორივე ეს სახელმწიფო ეძებდა შემთხვევას, დაუფლებოდა მთელს საქართველოს. ასეთ ვითარებაში სისხლისგან დაცლილი ქართული სამეფოები და სამთავროები განუწყვეტლივ სისხლიან თავდასხმებს და შემოსევებს განიცდიდნენ. თურქთა ურდოების ერთ-ერთ ასეთ შემოსევას ასახავს ა. ანტონოვსკაია თავისი რომანის დასაწყისში. ქართლის მეფის გიორგი X ლაშქრობაში მყოფმა ჰაბუკმა სააკაძემ თრაალეთის

მალღობზე გამართულ ბრძოლაში პირველად გამოამყვანა მხედართმთავრის იშვიათი უნარი, დევგმირული მარჯვენის ძალა, გამჭირაზობა და გონების სიმახვილე. ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში, როცა რიცხობრივად ბევრად მეტს თურქების ლაშქარს ის იყო გამარჯვება უნდა მოეპოვებია, სააკაძემ გაასალა რა თავი მეფის მაცნედ, თითქოს მეფის ბრძანებით, ბრძოლაში ჩააბა გიორგი მეფის დასაცავად რეზერვში მყოფი მეტეხელთა რაზმი. გააქეთა რა ეს იშვიათი სტრატეგიული მანევრი, სააკაძემ ამ რაზმის ძალებით სასტიკად დაამარცხა მტრის ლაშქარი და ამით ომის ბედი ქართველთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. მხედართმთავრის ნიჭთან ერთად სააკაძემ შესანიშნავი მოსაზრებულობა და გონების სიმახვილე გამოიჩინა. მტერზე მოპოვებული ეს ბრწყინვალე გამარჯვება სააკაძემ მოხერხებულად მიაწერა მეფეს და ამით საბოლოოდ მოინადირა და მოხიბლა მეფის გული. მეფე გიორგი X ძალიან კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ძღვევამოსილი მხედართმთავარი გამოვიდა წერილი აზნაურობიდან, რომელიც უპირდაპირდებოდა დიდმფლობელ თავადებს. გიორგი მეფემ სააკაძე თავის კარზე დაიახლოვა და მას სამფლობელოდ უბოძა დიდი სოფელი ნოსტე ციხე-სიმაგრით, რომელიც მდებარეობდა ქართლის შუაგულში, თვალწარმტაცი დიდგორის მთის ძირში.

დაბრუნდა რა თავის მშობლიურ სოფელში, — ამიერიდან უკვე თავის საკუთარ სამფლობელოში, სააკაძემ მკაცრად დასაჯა გადასახადების ადგილობრივი ამკრეფნი და სხვა ადმინისტრაციული პირები, რომლებიც დაუნდობლად ავიწროებდნენ მშრომელ მოსახლეობას. შეუშუბუჭა მდგომარეობა ყმა გლეხებს, რომელთაგან ბევრი გაათავისუფლა კიდევ ყმობისაგან. ეს იყო გიორგი სააკაძის პირველი ნაბიჯები სოციალური რეფორმების გატარებისათვის მის მიერ დაწყებული განუწყვეტელი ბრძოლის გზაზე. რითაც მან, ერთი მხრით, სიყვარული და მადლობა, სოლო, მეორე მხრით, — ფეოდალური ზედაფენის სასტიკი გულისწყრომა და სიძულვილი და-მსახურა.

ამრიგად, უკვე თავიდანვე რომანის დასაწყის თავებში სააკაძის სახე გვევლინება არა მარტო მღალა მხედართმთავრული ხელოვნების და პატრიოტული თავდადებულობის, არამედ ეპოქის პროგრესული ტენდენციების სიმბოლოდ. სააკაძის არსებაში გოლიათური ფიზიკური ძალა შეთავსებულია ძლიერ ვონებასთან, მგზნებარე გულთან, ზნეობრივ კეთილშობილებასთან. შემდგომშიც, რომანის სიუჟეტური განვითარების მთელ სიგრძეზე, გმირის ეს დამახასიათებელი თვისებები თანმიმდევრულად ღრმავდებიან და მდიდრდებიან, და გვევლინებიან უფრო და უფრო მეტი მხატვრული სიმართლით და დამაჯერებლობით.

გმირის ცხოვრების ისტორია რომანში მოთხრობილია ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან, ასახული ეპოქის სოციალურ

შინაარსთან განუწყვეტელ კავშირში... საქართველოს სამეფოებში დღე-ნიადაგ იბადება და ძლიერდება ერთმორწმუნე რუსეთთან დაკავშირების და დამეგობრების მისწრაფებები. კახეთის მეფის ალექსანდრეს კვალდაკვალ ამ გზაზე დგება ქართლის მეფე გიორგი X. ეს უქანასკნელი მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთის საელჩოსთან, მის მეთაურ ტატიშჩევთან. რუსეთთან კავშირის და მეგობრობის განსამტკიცებლად გიორგი X გადაწყვიტა თავისი ასული — მშვენიერი თინათინი ცოლად მიათხოვოს რუს მეფისწულს. სურს რა ჩაშალოს რუსეთ-საქართველოს კავშირი, განრისხებული შაჰ-აბასი, გადაწყვეტს, თვითონ შეირთოს თინათინი და მოსთხოვს მას დაუყოვნებლივ გამოუგზავნოს ისპაჰანში, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება ქართლის გამანადგურებელ დალაშქვრას. ქართლის მეფე იძულებული ხდება დამორჩილდეს „ირანის ლომის“ — მუხანათ შაჰ-აბასის ნებას. გიორგი სააკაძე იმყოფება ამალაში, რომელიც ქართველი მეფის ასულს გააყოლეს ისპაჰანში. შაჰ-აბასი ყურადღებით და ალერსით მოსავეს სახელგანთქმულ ახალგაზრდა ქართველ მხედართმთავარს, სურს გამოიყენოს იგი თურქეთის ორიენტაციის მომხრე ქართველი თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის მხრით ირანის შაჰის მხარდაჭერა და მფარველობა სააკაძეს სურს გამოიყენოს ქართლის ძლიერი და გავლენიანი ფეოდალების წინააღმდეგ შურისმგებელ ორთაბრძოლაში. ასე ჩაისახა სააკაძის ავბედითი შეცდომა — მისი განზრახვა — ემსახუროს თავის ამალეებულ პატრიოტულ იდეალებს უცხოელი მტრული ძალების გამოყენებით.

ირანიდან დაბრუნებული სააკაძე კვლავ ახალი ბრწყინვალეობით ავლენს მხედართმთავრულ ნიქს სურამის ცნობილ ბრძოლაში, რომლის დროსაც მან გაანადგურა თურქ დამპყრობთა რიცხობრივად დიდად ჭარბი ჯარები და იმით საბოლოოდ განიმტკიცა უძლეველი მხედართმთავრის სახელი. ამ ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად სააკაძემ თავის ნოსტეს სასახლეში გადაიხადა დიდი ნადიმი. რომელზედაც მობრძანება იწება ქართლის ახალგაზრდა მეფემ ლუარსაბ მეორემ. ამ ნადიმის დროს ლუარსაბი დაატყვევა მოურავის დის — მშვენიერი თეკლეს სილამაზემ. მეფეს გულწრფელად შეუყვარდა სააკაძის და, დაქორწინდა კიდევ მასზე, მიუხედავად იმისა, რომ მეფის ამ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებოდა თვით გიორგი სააკაძე, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ ამ ქორწინებას არ შეეძლო არ გაემლიერებია მისადმი ისედაც გაბოროტებულ ძლიერ ფეოდალთა მტრობა და სიძულვილი. გიორგი სააკაძის ეს შიში მალე გამართლდა.

ქართლის ფეოდალური რეაქციის მეთაურმა, მეფის პირველმა კარისკაცმა, ვერაგმა და ცბიერმა შადიმან ბარათაშვილმა, სააკაძის აღზევებით საბოლოოდ გაბოროტებულმა და გაბრაზებულმა გარშემო შემო-

იკრება უძლიერეს თავადთა ჯგუფი და მტკიცედ მოსთხოვა მეფეს გაეძევათ მოურავი პოლიტიკური სარბიელიდან და სრულიად გაეწყვიტა მასთან კავშირი.

შადიმან ბარათაშვილის სახეს, რომელიც ავტორს დიდი მხატვრული ძალით და გამომსახველობით აქვს დახატული, „დიდი მოურავის“ პერსონაჟებს შორის უჭირავს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი და თხრობის მთელ მანძილზე გვევლინება გიორგი სააკაძის მთავარ ანტიპოდად, ასახიერებს რა თავის თავში არა მარტო ცალკეული ადამიანური პიროვნების უმდაბლეს ქვენაგრძობებს და ბნელ თვისებებს, არამედ თავისი ეპოქის ყველაზე რეაქციულ იდეებს. გულკეთილმა, მამაცმა, გულადმა, მაგრამ სუსტი ხასიათის ლუარსაბ მეორემ დაუთმო მრისხანე ფეოდალებს და ზურგი შეაქცია სააკაძეს. შადიმან ბარათაშვილი და მისი თანამოაზრენი გადაწყვეტენ მოჰკლან მოურავი და დაარბიონ მისი ოჯახი. სააკაძემ ირანში გაქცევით უშველა თავს, თან წაიყვანა ოჯახი და თავისი ერთგული თანამებრძოლი „ვეფხები“.

მრისხანე შურისმგებლად, ხალხის უბედურების და ჭირვარაძისათვის შურისმაძიებლად გვევლინება პირველი წიგნის ფინალში დიდი მოურავი. — მეფეები არასოდეს არ ჭრებიან ხალხთან ერთად. ეს უნდა გვახსოვდეს მერმისის მაინც, — ამბობს სააკაძე.

სტოვებს რა სამშობლოს, გიორგი მალა ასწევს მძიმე მახვილს, რომ შემუსროს მეფის მცველი, რომელმაც მას გზა გადაუღობა, მაგრამ იქვე ქართულ მიწაში არჭობს მახვილს და შუაზე ამტკრევს მას.

— ასე გადაიმტკრევა გიორგი სააკაძის მახვილით ქართლის თავადთა უკანასკნელი ღერბი, — დაასკვნის იგი.

სპარსეთის ხანი, ასრულებს რა შაჰ-აბასის ნებას, გადაჭარბებულ პატივისცემით ეგებება ირანში დაბრუნებულ გიორგი სააკაძეს, — ირანის კარი მუდამ ღიაა დიდი მოურავისთვისო.

ამით თავდება „დიდი მოურავის“ პირველი წიგნი (პირველი ორი ნაწილი — „ვეფხის გაღვიძება“), სადაც უკვე მკაფიოდ არის გამოხატული მწერლის არა მარტო ისტორიული კონცეფცია, არამედ კომპოზიციის და სიუჟეტური აღნაგობის, სტილის, სიტყვიერი ქსოვილის თავისებურებანი, რაც მთელ თხრობას სპეციფიკურ ინტონაციურ კოლორიტს ანიჭებს.

აქ, რომანის პირველ წიგნში, უკვე მთელი სისრულით ვლინდება მწერლის დიდი ოსტატობა, მისი უტყუარი უნარი წარმოსახოს ნაირფერადოვანი პეიზაჟები, დახატოს კოლორიტული ყოფითი სურათები და ჟანრული სცენები, შთამბეჭდავი ბატალური ეპიზოდები, რაც მთავარია, აქ თავს იჩენს ავტორის უნარი, გამოძერწოს ცოცხალი ადამიანური ხასიათები.

რომანის მომდევნო ნაწილებში ავტორის შემოქმედებითი შთანაფი-

ქრი უფრო და უფრო ღრმავდება, სიუჟეტური მოტივები ვითარდებიან და უფრო მდიდრდებიან, უფრო რელიეფური და ეფექტური ხდებიან გამომსახველობითი საშუალებანი, ფართოვდება ავტორის თვალთახედვა და ისტორიული ამბების მომცველი არე.

„ირანის ლომის“ მხრით განსაკუთრებული ყურადღებით და პატივით გარემოცული, სიმდიდრით და სიუხვით მოსილი და დიდებით დაგვირგვინებული სააკაძე ირანის დროშით ომობს და ირანს უმკის დიდ გამარჯვებებს ინდოეთისა და თურქეთის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომებში. მაგრამ მას ერთი წუთით არ სტოვებს ფიქრი თავის მრავალტანჯული ქვეყნის — ქართლის ბედზე და მომავალზე. მუდამ დღე ოცნებობს აღორძინებულ, გაერთიანებულ, ძლიერ და ძლევაამოსილ საქართველოზე, სწორედ ამ მიზნის მისაღწევად გიორგი ცდილობს მოიპოვოს შაჰ-აბასის დიდი ნდობა.

მაგრამ ფიქრი საქართველოზე ერთი წუთითაც არ სტოვებს „ირანის ლომსაც“, რომელიც ოცნებობს კავკასიის ფარგლებიდან განდევნოს თავის საძულველი მეტოქე — თურქეთის სულთანი, გზა გადაუღობოს რუსეთის სწრაფ წინსვლას აღმოსავლეთისაკენ, მთლიანად დაიპყროს და დაიმორჩილოს საქართველოს მიწა-წყალი.

შეკრიბა რა მრავალრიცხოვანი ჯარი, შაჰ-აბასი თავისი პირადი მთავარსარდლობით იწყებს ომს ქართლის და კახეთის დასაპყრობად. ამ ლაშქრობაში შაჰს თან ახლავს გიორგი სააკაძე, რომელსაც განზრახული აქვს ირანის შეიარაღებული ძალებით ალაგმოს ქართლის დიდმდებელი თავადები. მაგრამ არა საქართველოს გაერთიანების და განმტკიცების მიზნისათვის მოიყვანა აქ ძლიერი ლაშქარი ირანის შაჰმა. ირანს ისევე, როგორც თურქეთს, სულ საწინააღმდეგო ინტერესები ამოქმედდება. მათი მიზანი იყო, რომ საქართველო კვლავ დაუძლეურებული და სისხლისაგან დაცლილი ყოფილიყო. ქართლის და კახეთის უძლიერესმა ფეოდალებმა შაჰ-აბასთან საერთო ენა გამონახეს და სისხლისმსმელ ირანელ დამპყრობელს თავისი სამსახური შესთავაზეს. მძვინვარე შაჰის რისხვა თავს დაატყდა მხოლოდ მშრომელ ხალხს, რომელიც თავდადებით იცავდა თავისი მამულის ღირსებას და თავისუფლებას. შემადრწუნებელი ძალით არც რომანში აღწერილი საქართველოს სოფლებსა და დაბა-ქალაქებში სისხლიანი თარეში ირანელი ჯარებისა, რომლებიც დაუნდობლად სპობდნენ ყოველივე სულიერს და სიცოცხლისუნარიანს, სპობდნენ ყველგან, სადაც კი წააწყდებოდნენ.

შეიკნო რა თავისი აგებდითი შეცდომა, გიორგი სააკაძე გადაწყვეტს შური იძიოს, პირველსავე ხელსაყრელ ვითარებაში გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ირანს, რომ ამით დააშროს ქართველი ხალხის ზღვად დაღვრილი სისხლი და ცრემლი. „არა, ცბიერო, სპარსო, — ფიქრობს მოურავო, — შენ არ ძალგიძს მოდრიკო ძლიერება ჩვენი ქართლისა...

კენესა და გოდება, ვითარცა ზარების რეკა, ხუთავს ჩემს გულსა და გონებას. მაგრამ ვინ ნახა ჩემს სახეზე მწუხარება? ვინ შეამჩნია, რომ სამუდამოდ დავკარგე მხიარული სიცილი. ვიცი, ამოშრება ცრემლი თვალებში, ფერფლისაგან აღსდგებიან ქალაქები, დაიზრდებიან ბავშვები, კვლავაც დაიბადებიან... ხოლო აქ, ჩემს მკერდში რა დარჩა სამარადისოდ? შერცხენა? დიდება?! ვინ გაიგებს ჩემს აზრებს? ვინ დამდებს მსჯავრს? ვინ აღფრთოვანდება? ვინ შემაჩვენებს? როგორი გულით უნდა გიყვარდეს სამშობლო, რომ იარო ასეთი საშინელი გზით მისი ბედნიერების მოსაპოვებლად?... ეერა, ვერ მოდრეკენ გიორგი სააკაძეს ვერავითარი ლალატი და გამცემლობა...“

ამ სიტყვებით არის გამოხატული მთელი ტრაგედია გიორგი სააკაძისა, რომელიც ტანჯვით ეძებდა გზას სამშობლოს გადსარჩენად და ამ ძიებაში არა ერთხელ იგემა მწარე იმედგაცრუება.

მაგრამ თავის სახელოვან საბრძოლო გზაზე გიორგი სააკაძემ ჩაიდინა არა ერთი ბრწყინვალე გმირობა, რომელთაც იხსნეს ქართველი ხალხი სრული მოსპობისაგან, თავის ეროვნული არსებობის სრული დაკარგვისაგან. მოურავის ამ საგმირო საქმეთაგან მთავარი და უმნიშვნელოვანესია მისი თაოსნობით და მეთაურობით გამართული ცნობილი მარტყოფის ბრძოლა, რომელსაც მიეძღვნა ა. ანტონოვსკაიას რომანის მეორე წიგნის საუკეთესო ფურცლები.

ქართლ-კახეთის დარბევის შემდეგ ისპაჰანში დაბრუნებულმა შაჰ-აბასმა გულაბის ციხეში დაამწყვდია ქართლის დატყვევებული მეფე ლუარსაბ II, რომელმაც გაბედულად უკუაგდო შაჰის მოთხოვნა — მიეღო მაჰმადიანობა. მალე „ირანის ლომმა“ ჩაიფიქრა დაეწყოს ახალი ომი მოუდრეკელი და ქედმოუხრელი საქართველოს დასამორჩილებლად იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ მთლიანად გაეყლიტა ქართული მოსახლეობა და ქართლ-კახეთი დაესახლებია მხოლოდ და მხოლოდ მუსულმანური ტომებით. ამჯერად „ირანის ლომმა“ თავის ჭარებს სათავეში ჩაუყენა გიორგი სააკაძე და თავისი უერთგულესი მხედართუფროსი ყორჩი-ხანი.

საკაძე, საქართველოში კვლავ დაბრუნების შესაძლებლობით გახარებული, კისრულობს ირანის ლაშქრის მთავარსარდლობას. მიემგზავრება სამშობლოში იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ მოაწყოს ქართველთა საყოველთაო-სახალხო აჯანყება, მოსპოს მთლიანად სპარსეთის ჭარი და გაათავისუფლოს ქართლ-კახეთი. ვერაგი და ცბიერი შაჰ-აბასი მძევლად იტოვებს გიორგი სააკაძის უსაყვარლეს ვაჟს — პატას.

რომანში ავტორი ცდილობს გვიჩვენოს მთავარი გმირი მის პირად თვისებათა მთელი მრავალფეროვნებით. მკითხველის თვალწინ გიორგი

საკაბე დგას, როგორც დიდებული მხედართმთავარი, ეპოქის შორს-მკვრეტელი და ბრძენი მოღვაწე, როგორც ყველა ადამიანური თვისების მქონე პიროვნება. რომანის ერთ-ერთი მეტად შთამბეჭდავი სცენაა საყვარელ ვაჟთან — პაატასთან გიორგის გამოთხოვება. რა უდრეკ ვაჟაკად და, ამავე დროს, რა ნაზი გულის ადამიანად გვევლინება ამ სცენაში გიორგი — მამა. აქ სიმტიყე და მოუდრეკელობა მეომრისა ერწყმის გულისშემძვრელ, ნაზ საყვარულს შვილისადმი, რომელმაც მამას დაუმტკიცა მამულისათვის თავდადება.

— „შვილო ჩემო, ჩემო საყვარელო ბიჭო, მინდა გელაპარაკო ერთ მეტად დიდ...

— მამავ ბატონო, გისმენთ როგორც ისმენს მეომარი საბრძოლო საყვირის ხმას.

— მე მინდა, შვილო ჩემო, გელაპარაკო სამშობლოზე. შენ გაიზარდე აქ, შორს ჩენი მზისაგან, შორს ქართველებისაგან. გრძნობ თუ არა ღვიძლ კავშირს საქართველოსთან? შენ ხომ იძულებული გყვეს მიგელო მაჰმადიანობაც კი...

— მამა, მე ამას დავთანხმდი სამშობლოს გულისათვის, შენი გულისათვის, ამას მოითხოვდა შაჰი. მე შენთვის არ გამიწევია წინააღმდეგობა. დიახ, მე გავიზარდე ირანში, მაგრამ აღვიზარდე შენთან, მამავ ბატონო, შენთან, ვისი გულიც აღსავსეა სამშობლოს გულისტივილით. მე ქართველი ვარ, მამავ ბატონო.

— თუ დაგჭირდა, ჩემო ბიჭო, ამის დამტკიცება?

— ერთი წუთითაც არ დავფიქრდები, გავწირო საკუთარი სიცოცხლე ქართლისათვის!

— პაატა, შენ ერთხელ უკვე აღმიტყვი ეს... ჩემო პაატა, შენ გაქვს რუსუდანის — დედაშენის კეთილშობილი გული... შესაძლოა, დადგა დრო დავემტკიცო სამშობლოს, რომ ყოველი ჩემი ფიქრი, ჩემი გულისტყმა მას ეკუთვნის.

— ნუ, მამავ ბატონო, ნულარ მელაპარაკები, ყველაფერს მიეხვდი...

— შაჰი ერთგულების საწინდრად მოითხოვს ჩემს გულს... ჩემო ბიჭო, იძულებული ვარ მძევლად დაგტოვო... იყავ ვაჟაკი... ის, რაც ამ დღეებში მე განვიცადე, დეე. შენს გარდა, არავინ იცოდეს... თუმცა გულში იმედი მაინც მიღვივის.

— დიახ, მამავ ბატონო! ამაზე ნულა იფიქრებ. დედას უთხარი, დე, შეხაროდეს სხვა თავის ვაჟებს! მე მუდამ ვიამაყებ შენი ამ გადაწყვეტილებით.

— სიცოცხლე ჩენი, პაატა, ხანმოკლეა, მაგრამ საქმენი ჩვენნი ჩვენზე მეტს ხანს იცოცხლებენ... არ მეხერხება ნუგეშისცემა... ჩემს შვილებს მუდამ შევაგონებდი, პირდაპირ თვალეებში ემზრათ საშიშროებისათვის. მაგრამ იცოდე, მიყვარხარ, როგორც სიცოცხლე, როგორც მზე

ამომავალი... და თუ უფალი ღმერთი დაგიცავს და გადაგარჩენს, შემომიფიცავს, უკანასკნელ წუთამდე მემახსოვროს დღევანდელი დღე, და შეევასრულო ყველა შენი წადილი, როგორც ყმამ, როგორ მონამ.

— თუ უფალი ღმერთი დამიცავს, მეც შემომიფიცავს დავრჩე უცვლელი და კვლავ ვანაცვალო ჩემი სიცოცხლე ჩემს ბატონს და მბრძანებელს გიორგი სააკაძეს.

გიორგი გადაეხვია პაატას, და მამა-შვილმა მაგრად გადაკოცნეს ერთმანეთი“.

განა შეიძლება ამაზე ღრმად დაახასიათო რომანის გმირთა ამაღლებული მორალური სახე. მათი პატრიოტული თავგანწირულობა, მათი ვაჟკაცური თავდადება სამშობლოსა და ერთმანეთისათვის. მწერლის უნარი — ჩაწვდეს გმირების სულიერი ცხოვრების სიღრმეს, დიდი ოსტატობით ვლინდება მოყვანილ სცენაში. ამ მხრივ ეს ეპიზოდი როდი შეადგენს გამონაკლისს რომანში. პირიქით, იგი წარმოადგენს დამახასიათებელს ავტორის თხრობისა და გამოსახვითი მანერისათვის და მთლიანად რომანის სტილისათვის.

ეპოპეის მეორე წიგნი თავდება მთელი რიგი მკაფიოდ დახატული ბატალური სურათებით, რომელნიც წარმოსახვენ მარტყოფის სახელგანთქმულ ბრძოლაში ირანის ჯარების განადგურებას. გიორგი სააკაძისა და მის თანამებრძოლთა მიერ სპარსელ დამპყრობთა შემუსვრას ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში.

დიდი ექსპრესითაა შესრულებული ფინალური სცენა მეორე წიგნისა, რომელსაც ეწოდება „დრო გამაგრებელი წვიმებისა“. ავტორს ეს სცენა გადაწყვეტილი აქვს კონტრასტის ხერხით. ზეიმობს ქართველი ხალხი, რომელსაც სპარსელებზე, ეს არის, ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვებია. ხალხი ადიდებს თავის ძღვეამოსილ ბელადს. მოსავს მას სიყვარულის და მადლიერების გრძნობით. საყოველთაო მხიარულების ამ სურათში მკითხველი ხედავს, ურთიერთგაგების თუ რა მაგარი ძაფებით არის დაკავშირებული მოურავი ხალხთან. სახალხო ზეიმობის კულმინაციის ამ მომენტში ავტორი თავის მთავარ გმირს თავს დაატეხს უმძიმეს, პირდაპირ აუტანელ მწუხარებას — მის ფერხთა წინ დააგდებს შაჰის „საჩუქარს“ — ჭაბუკი პაატას მოკვეთილ თავს.

აღწერს რა მამის უზომო მწუხარებას. ავტორი ისწრაფვის იყოს ძალზე სიტყვიერადი და ლაკონური. რამდენიმე სხარტი და მოსწრებული შტრიხით ავტორი გვიხატავს გიორგის შეძრწუნებას, მუდამ რჩება რა კონტრასტის ხერხის ერთგული და ისწრაფვის რა შეინარჩუნოს დატრიალებული ამბების ექსპრესია და დინამიურობა, ავტორი კვლავ შეჭყრის პირისპირ ერთმანეთთან ახლა უკვე საკუთარი უბედურებით შეძრწუნებულ სააკაძეს და გამარჯვების სიხარულით აღფრთოვანებულ მოზეიმე ხალხს.

— „სიტყვა გვითხარი, სიტყვა, გიორგი სააკაძე. — ყვიროდა ხალხი.

საკაძემ ხელი ასწია და მინდორიც გაირინდა. — ქართველებო! ჩვენ ვზეიმობთ გამარჯვებას! მაგრამ ომი არ დამთავრებულა, ჩვენ კიდევ მოგველის ბრძოლები ქართველი ხალხის ბედნიერებისა და დიდებისათვის... იყავით მზად ბრძოლებისა და გამარჯვებისთვის. ქართველებო... ბედნიერია ის, ვისაც გული მამულისათვის უტეკმს!“

ასე ამთავრებს ა. ანტონოვსკაია რომანის მეორე წიგნს, რომლის უკანასკნელი სიტყვები იქცა დიდი მოურავის ძლევაშობილ ფარზე წარწერილ საბრძოლო დევიზად.

განდევნა რა საქართველოს ფარგლებიდან ირანელი დამპყრობნი, გიორგი სააკაძე გაორკეცებული ენერგიით იკრებს თავის გარშემო ერის სასიცოცხლო ძალებს და წარმართავს მათ მტრისაგან დარბეული და დანგრეული დაბა-სოფლების და ქალაქების აღსადგენად, ახალ ციხე-სიმაგრეთა ასაგებად, სოფლის მეურნეობის, ხელოსნების, ვაჭრობის აღსაღრძინებლად და განსავითარებლად. დადგა დრო მშვიდობიანი შრომისა და შესვენებისა. იგრძნო რა დიდი შემსუბუქება, ხალხმა საყოველთაო სიყვარულით და დიდების შარავანდელით შემოსა დიდი მოურავი.

გიორგი სააკაძის ავტორიტეტი გახდა ურყევი. მას, ქართლ-კახეთის ფაქტიურ მმართველს, სთავაზობენ ავიდეს სამეფო ტახტზე. მარტყოფის აჯანყების გმირს მიიჩნევენ ქართლის და კახეთის ტახტის ყველაზე ღირსეულ პრეტენდენტად. მაგრამ გიორგი სააკაძე გადაჭრით უკუთაგდება ამ წინადადებას. არა საკუთარი განდიდებისა და სამეფო ტახტის მიტაცებისათვის იბრძოდა სახელგანთქმული სახალხო გმირი! „მინდა სახელი მოვიხვეჭო არა როგორც მეფემ, არამედ როგორც ქვეყნის გამაერთიანებელმა; მსურს თავი ვისახელო არა როგორც მბრძანებელმა, არამედ როგორც ხალხის მეგობარმა. არა მეფის გვირგვინისათვის, არა პატივისა და სიმდიდრისათვის დავაქროლებდი ტაიქს სისხლიანი ღრუბლებით შებურულ ბრძოლის ველზე... სამშობლოს დიდებისათვის ძვერს ჩემი გული და მას ეკუთვნის ჩემი გულისთქმა... ქართველმა ხალხმა მაჩვენა გზა და რა ციცაბოც არ უნდა შემხვდეს ჩემს გზაზე, მე ვივლი ბოლომდე. მე, გიორგი სააკაძე, ვალდებული სამშობლოს წინაშე“.

როცა ქაიხოსრო მუხრან-ბატონმა ვერ გაამართლა იმედები და მოლოდინი, მის შესაცვლელად გიორგი სააკაძემ მოიწვია განდევნილობაში მყოფი თეიმურაზ I და ტახტზე აიყვანა იგი იმ იმედით, რომ მისი გამეფება გახდებოდა ქართლის და კახეთის, ხოლო შემდეგ მთელი საქართველოს გაერთიანების საწინდარი.

საკაძის და მისი სამშობლოს ცხოვრების ამ პერიოდის ამბებს მოგვითხრობს „დიდი მოურავის“ მესამე წიგნი „ზვარაკი“.

ეს შედარებით მშვიდობიანი და მოსვენებული პერიოდი, ნამდვილად, ძალიან ხანმოკლე გამოდგა. დაიჭირა რა ქართლის და კახეთის სამეფო ტახტი, თეიმურაზი, ეგრეთწოდებული „აღორძინების პერიოდის“ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თკალსაზიზო წარმომადგენელი, ცოტას ფიქრობს ქართველი ხალხის საერთო სახელმწიფოებრივ და საერთო ეროვნულ ინტერესებზე. თავის საყვარელ რეზიდენციად მან აირჩია კახეთის დედაქალაქი თელავი და ოდნავ არ შეუწუხებია თავი თბილისზე — საქართველოს და ქვეყნის სხვა ნაწილების დედაქალაქზე ზრუნვით. გიორგი სააკაძე იღვწის მეფე თბილისში გადმოიყვანოს და მის ირგვლივ შემოიკრიბოს საქართველოს ყველა კუთხის მიწა-წყალი. ახალი ძალით ჩაღდება ბრძოლა. მეოთხე წიგნის — „იარე უვნებელ“-ის პირველივე ეპიზოდი, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ ჭედს დიდი მოურავისათვის ახალ ფარს ძველი ოსტატი იასე, მოასწავებს იმას, რომ იწყება ახალი შეტაკებანი გიორგი სააკაძისა და მის გაბოროტებულ ვიწრო კუთხური ინტერესებით დაბრმავებულ მოწინააღმდეგეებთან.

თეიმურაზი, მიიჩნევს რა თავის საიმედო დასაყრდენად დიდმფლობელ თავადებს, გადადის მათ მხარეზე და აღუდგენს მათ ფეოდალთა პრივილეგიებს. გიორგი სააკაძე და მისი თანამებრძოლნი იძულებული ხდებიან დაიწყონ მეფესთან და ფეოდალებთან ახალი, კიდევ უფრო მძიმე ბრძოლა. თეიმურაზი ზრუნავს ქვეყნის ბრძოლისუნარიან ძალების შემოკრებაზე, საქართველოს გაერთიანებაზე. მას იმედი აქვს, რომ ირანს და თურქეთს ანგარიშს გაუსწორებს ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებით. გიორგის კი კარგად ესმის, რომ რუსეთს, მიუხედავად სურვილისა იხსნას საქართველო ირანელი შაჰების და თურქეთის სულთნების ბრძკვალეებისაგან, ამჯერად არ შეუძლია რეალური სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს მას. გამჭრიახი მოურავი ითვალისწინებს, რომ ამ პერიოდში რუსეთის წინაშე დგას უაღრესად რთული საგარეო პოლიტიკური პრობლემები, რომ ძლიერდება რუსეთზე პოლონელ და გერმანელ დამპყრობთა თავდასხმის საშიშროება. სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები რუსეთის მესვეურებს უკარნახებენ, რომ მთელი ყურადღება გადაიტანონ და მთელ სამხედრო ძალებს თავი მოუყარონ დასავლეთ საზღვრებზე, მაშასადამე აუცილებლობა მოითხოვს, უზრუნველყონ ქვეყნის აღმოსავლეთისა და სამხრეთის საზღვრების უშიშროება. ეს კი მოითხოვს დიდი სამხედრო ძალების მფლობელ შაჰ-აბასთან „კეთილმეზობლური“ ურთიერთობის დამყარებას

ამგვარად, საქართველო, რომელმაც ვერ მიიღო რუსეთისაგან რეალური დახმარების შეპირება, კვლავ პირისპირ აღმოჩნდება შაჰ-აბასთან, რომელიც მძვინვარებდა თეიმურაზის ცდებისაგან — სამხედრო კავშირი შეეკრა რუსეთთან, საქართველოს საზღვრებისაკენ დაიძრა ირა-

ნის დიდძალი ლაშქარი. გიორგი ძაბავს ქვეყნის მთელ ძალ-ღონეს, რომ მედგრად დახედეს მტერს და ქვეყანას ააცდინოს ახალი უბედურება. ხალხს სჯერა დიდი მოურავის მხედართმთავრული ნიჭი, მოხერხება და მზად არის მისი ღროშის ქვეშ დაიწყოს უთანასწორო ბრძოლა ირანელ დამპყრობელთა მრავალრიცხოვანი ჯარების წინააღმდეგ.

მაგრამ თეიმურაზი, სააკაძის მტრების წაქეზებით, დიდ მოურავს ათავისუფლებს პირველი მხედართმთავრის თანამდებობისაგან, ქვეყნის თავდაცვის ხელმძღვანელობას კისრულობს თავად და ეს წყვეტს კიდევ ომის ბედს. ჩინებული მელექსე, სპარსელი პოეტების მანერით ტკიბილზმოვანი მაჯამების მთხზველი თეიმურაზი სუსტი სამხედრო სტრატეგი აღმოჩნდა. ქართველების თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად ცნობილ მარაბდის ომში ირანელებმა გაიმარჯვეს. საქართველომ მძიმე დამარცხება განიცადა. თეიმურაზი იმერეთს გაიქცა, ქართლის მეფის ტახტი დაიჭირა ირანელების დაყენებულმა გამუსულმანებულმა მეფემ სიმონ II. მეტეხში დამკვიდრდა ტახტის მეორე პრეტენდენტი — უფლისწული ხოსრო-მირზა, რომელიც შემდგომში როსტომ პირველის სახელწოდებით აღმოსავლეთ საქართველოს მეფე გახდა. დიდი მოურავის მტრებმა — ქართლის დიდმა ფეოდალებმა ამჯერად ადვილად გამოიხადეს საერთო ენა უცხოელ დამპყრობლებთან. „რკინის“ გეზირი შადიმან ბარათაშვილი შეიქმნა ხოსრო-მირზას უახლოესი მრჩეველი; მალე მათ შეუერთდა გიორგი სააკაძის ცოლისძმა — ზურაბ ერისთავი. აქ ავტორი კვლავ ხაზს უსვამს დიდმფლობელ თავადთა მოღალატეობას, თავადთა, რომელნიც ყოველზე და ყველაფერზე მალლა თავიანთ წოდებრივ და ქონებრივ ინტერესებს აყენებდნენ და უკან არ იხევდნენ ისეთი უმსგავსო საქციელის წინაშეც კი, როგორც არის სამშობლოს დალატი და ხალხის ინტერესების გამცემლობა. და რამდენად უფრო დაუხედავად ამხელს მწერალი მათ ზნეობრივ დაკნინებას და მოქალაქეობრივ დაცემას, იმდენად უფრო მეტი სიდიდით და კეთილშობილებით გამოიყურება მათ ფონზე გიორგი სააკაძე, რომელსაც არასოდეს თავში ფიქრად არ გაუვლია შერიგებოდა უცხოელ დამპყრობელთა ბატონობას საქართველოში და ერთ წუთსაც არ შეუწელებია ბრძოლა მათ წინააღმდეგ. თავის „ვეფხებთან“ საბრძოლო თანამეგობრობით და თანამშრომლობით გიორგიმ მტრის ზურგში დაანთო მრისხანე საყოველთაო სახალხო პარტიზანული ომის ცეცხლი. სააკაძის ამ საომარ მოღვაწეობას გვიხატავს რომანის მრავალი მკაფიო სურათი.

ა. ანტონოვსკაია აშუქებს საქართველოს ამ შესანიშნავი პატრიოტის და მოქალაქის მოღვაწეობის და ხასიათის კიდევ ერთ მხარეს: მკითხველის თვალწინ გაივლიან სახალხო მოლაშქრეთა გმირულ საბრძოლო მოქმედებათა ამაღლებელი ეპიზოდები, როცა ისინი, გიორგი სააკაძის მეთაურობით, სამხრეთ საქართველოს და ქართლის ბევრი მნიშვნე-

ნელოვანი რაიონის საზღვრებიდან ერეკებიან ირანელ ოკუპანტებს და ამასთან ერთად შიშის ზარს სცემენ სამშობლოს ყველა გამცემს და მოლალატეს.

მაგრამ დიდ მოუთრავს არ ეყო ძალა განეგრძო და საბოლოო გამარჯვებამდე მიეყვანა ეს თავგანწირული ბრძოლა, თვით ეკლესიამაც კი უარი უთხრა მხარდაჭერასა და დახმარებაზე. ქართული ეკლესიის მესვეურები დაეინებით მოითხოვდნენ იარაღი დაეყარა სააკაძეს. მოუთრავი ტანჯვით და წამებით ეძებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. იგი იწყებს გამუდმებულ ფიქრს იმაზე, რომ გამოიყენოს თურქეთი ირანის დასასუსტებლად და სპარსეთის ჯარების გასადევნად საქართველოდან. ასე აღიძრა და დამკვიდრდა დიდი მოუთრავის გონებაში აზრი თურქეთთან დროებით დაკავშირებისა ქართლ-კახეთის გადასარჩენად.

მეოთხე წიგნის საფინალო თავში გიორგი სააკაძეს ვხედავთ მათეთუშეთში, სადაც იგი მოუწოდებს მოსახლეობას, — თავდადებით და თავგანწირვით იბრძოლოს დამონებული სამშობლოს განთავისუფლებისათვის და ზურგი აქციოს თეიმურაზს, რომელმაც ქვეყანა დარბევამდე და გაპარტახებამდე მიიყვანა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა, რომელიც ავტორმა აღძრა და ფრიალ წარმატებით გადაწყვიტა „დიდი მოუთრავის“ მე-4 წიგნში, იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემა. ავტორი გვიჩვენებს, რომ ქართველ ხალხს თავისი ისტორიული ცხოვრების უმძიმეს პერიოდში თავისი ეროვნული არსებობის გადარჩენის პირობად მიაჩნდა რუსეთთან კავშირი და მეგობრობა, და თუმცა რომანში ასახულ პოლიტიკულ-ისტორიულ ვითარებაში რუსეთს არ შეეძლო სამხედრო ძალებით მოშველებოდა საქართველოს, მიუხედავად ამისა, რუსეთის მოწინავე ადამიანებს, როგორც გვარწმუნებს ავტორი, მტკიცედ სწამდათ, რომ შორს როდი იყო ის დღე, როცა რუსეთი, მას შემდეგ, რაც თავის დასავლეთელ მტრებს გაუსწორდებოდა და გაძლიერდებოდა, ძმური დახმარების ხელს გამოუწვდიდა მტრული მუსულმანური ქვეყნებით გარშემორტყმულ ქართველ ხალხს. რუსი და ქართველი ხალხების ეს გულწრფელი მისწრაფება განხორციელდა მხოლოდ მე-18 საუკუნის დასასრულს და ახლა, უკვე განვლილი მოვლენების და გადახდილი ბრძოლების უშუქვე განსაკუთრებით აშკარა და ნათელი ხდება ავტორის სწორი კონცეფცია რუს-ქართველთა მეგობრობის შორეული ფესვების შესახებ, რაც ავტორს გაუმუქებული აქვს რეალური ისტორიული პერსპექტივების ასპექტში.

რუს-ქართველთა ურთიერთობის ამსახველ ეპიზოდებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთი ეპიზოდი, რომელიც ავტორს ასახული აქვს უტყუარი მხატვრული ოსტატობით და რომელიც მოგვითხრობს, თუ რა ძმური დახმარება გაუწია მთიან ადგილებში ირა-

ნელ დამპყრობლებთან მებრძოლ ქართველ მოლაშქრეებს და აჯანყებულებს თერგის მიდამოებში მყოფმა რუსმა მოისრებმა და კახაყებმა. გამოიყენა რა ამ დახმარების შესახებ ქართულ ფოლკლორში დაცული ხალხური გადმოცემა, ანტორმა დახატა მასვილად ჩაფიჭრებული და დამაჯერებლად გააზრებული, ჭეშმარიტი ჰუმანიზმით და კაცთმოყვარეობით აღბეჭდილი სურათი, რომელსაც დიდი იდეურ-ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს ჩვენი დღეებისათვისაც.

რომანში ფერადოვნად და კოლორიტულად არის დახატული იმ პერიოდის მოსკოვის ცხოვრების და ყოფის სურათები, რომლებიც მეფე მიხეილთან და პატრიარქ ფილარეტთან წარგზავნილი ქართველი საელჩოს თვალწინ გადაიშალა. რომანში ცოცხლობენ და მოქმედებენ პერსონაჟები, რომელნიც ანსახიერებენ მაშინდელი რუსეთის სხვადასხვა სოციალურ ფენებს. რად ღირს, მაგალითად, სახე უბრალო რუსი კაცის მერკუშკასი, რომელსაც მომადლებული აქვს ნათელი გონება, კეთილშობილი გული და მოუდრეკელი სულიერი ძალა. ძლიერ შთაბეჭდილებას სტოლებს აგრეთვე რუსი ვოევოდის იური ხვოროსტინინის სახე და ა. შ.

დიდ ემოციურ ძალას აღწევს ა. ანტონოვსკაია თავის გმირების პირადული ურთიერთობის და რთული სულიერი განცდების აღწერისას. ანტორი ანერხებს მონახოს ზუსტი და მოსწრებული გამოთქმები რომანის პერსონაჟთა შინაგანი მდგომარეობის დასახასიათებლად. მწერლის სიტყვააქუნწი, ლაკონური მსჯელობანი მოწმობენ მის ფაქიზ დაკვირვებულობას, მის უნარს, მიაგნოს მთავარს და გახადოს იგი რელიეფური, მისაწვდომი და შთაბეჭდავი. ასეთ დაკვირვებათა ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ირანის ტყვეობაში მყოფი ლუარსაბის, მისი ცოლის თეკლეს განცდების და ტანჯვა-წამების ეპიზოდები. აგრეთვე შადიმან ბარათაშვილის ასულის — მშენიერი მაგდანის და დაუთ-ბეგის (გიორგი სააკაძის ერთ-ერთი ერთგული თანამებრძოლის) ურთიერთობის ამბები.

დიდებული რუსთაველიდან მომდინარე ქართული ლიტერატურული ტრადიციების ერთგული ა. ანტონოვსკაია სიყვარულის და მეგობრობის მოტივებს ავითარებს, როგორც ფაქიზ და ამაღლებველ მოტივებს და არასოდეს არ ეშვება ტლანქ და უხეშ ეროტიკამდე. საკმაოა გავიხსენოთ, თუ რა მხატვრული ტაქტით და რა ღრმად, რა გულში ჩამწვდომად არის მთელს რომანში გატარებული გიორგის ამაღლებული, წმინდა სიყვარული უბრალო გლეხის ქალის — ნინოსადმი. რამდენი სიწმინდე, ადამიანობა, გულთბილობაა გიორგის გულის სიღრმეში მომდინარე უბრალო სიტყვებში: „ნუთუ ორივე მიყვარს?“ სამშობლოს განშორების მწვავე სევდით შეპყრობილი გიორგი განუყრელად ატარებს ჯიბით ნოსტედან წამოღებულ ერთ მუჟა ქართულ მიწას,

რომელიც მუდამ მოგონებს მას სამშობლოს განუქარებელ სურნელებას: სოლო ქისის ძირში მას სათუთად აქვს შენახული აბრეშუმის ნაქერში გახვეული ოქროსფერი კულული ცისფერთვალეა ნინოსი და ამაში საჩოთირო არაფერია, არაფერია ისეთი, რაც გადაკრულად გვანიშნებდეს რომანის გმირის — არასაკადრის გაორებაზე ან მორალურ მერყეობაზე.

მესუთე წიგნი (მერვე ნაწილი) „ბაზალეთის ტბად“ წოდებული, წარმოსახავს ამბებს, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რა თანმიმდევრულად მწიფდებოდა გიორგი სააკაძის ტრაგედია, ისტორიული პროცესების მსრელებობის ლოგიკა, თუ რა გარდუვალად და უღმობლად აახლოვებდა სახალხო გმირის მაღალი იდეალების მსხვრევას, მის სახელოვან თანამებრძოლთა დაღუპვას. ბუნებრივია, თუ ეპოპეის ეს ნაწილი გამოირჩევა დიდი დრამატულობით და სიტუაციების დაძაბულობით, სიუჟეტური მოტივების უფრო სწრაფი განვითარებით და თხრობის დინამიკურობით. ამ ამბებს მიმდინარეობაში უფრო სრულად და რელიგიურად იძერწება რომანის გმირთა ხასიათები, რომელთა უმრავლესობა ჩვენთვის ცნობილია წინა თავებიდან.

მესუთე წიგნის პირველივე ფურცლებიდან მკითხველი იგებს, რომ ქართლსა და კახეთში ბატონობდნენ ირანელი დამპყრობლები, რომელთაც სათავეში უდგანან ხოსრო-მირზა და ისა-ხანი. ფაქტურად ესენი არიან ჩიკენის ბატონ-პატრონი. თუმცე ქართლის ტახტზე ზის გამაჰმადიანებული სიმონ მეორე. კახეთის მეფე თეიმურაზი მათუშეთში იმალება, დიდმფლობელი თავადები — შადიმან ბარათაშვილი, ზურაბ ერისთავი, ჯავახიშვილი, ციციშვილი, ამილახვარი და სხვები შერიგებიან უცხოელთა მიერ მშობლიური ქვეყნის დამონებას და ხალისით თანამშრომლობენ ირანელებთან. ზრუნავენ მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ გააფართონ საკუთარი სამფლობელოები, მოიპოონ მეტი პირადი გავლენა და მდგომარეობა. გიორგი სააკაძე კი თავის ოჯახით და „ვეფხთა რაზმით“ დაფუძნებული ბენარის ციხე-სიმაგრეში (ახალციხის ახლო. სადაც ბატონობს თურქეთის სულთნის მიერ დაყენებული საფარ-ფაშა), თავის გარშემო რაზმავს სახალხო მოლაშქრეებს, თავს ისხმის სპარსელი ჯარების მიერ დაკავებულ ციხეებს, ათაღისუფლებს მათ და ეწევა მრისხანე პარტიზანულ ომს. ასე გაათავისუფლა მან გორის ციხე, ასე მოაწყო მოულოდნელი თავდასხმები სპარსული ჯარებით გამაგრებულ სხვა კოშკებსა და ციხე-სიმაგრეებზე.

გიორგი სააკაძე იმას ესწრაფვის, რომ ქართლიდან და კახეთიდან განდერწოს ირანელი დამპყრობნი, ამ მხარეებში გაამეფოს იმერეთის უფლისწული ალექსანდრე და ამ გზით მოამზადოს რეალური ნიადაგი ერთ ძლიერ სახელმწიფოდ ყველა ქართული მიწის გაერთიანებისათვის, მაგრამ ამ გეგმის განსახორციელებლად აუცილებელია ჯარი, დი-

დი შეიარაღებული ძალა. ქართლისა და კახეთის თავადები არ ეხმარებოდნენ დიდ მოურავს ამ დიდ კეთილშობილურ საქმეში. რეალურ დახმარებაზე გიორგის უარს ეუბნება ქართული ეკლესია უმაღლესი სამღვდელთა სახით. სააკაძე იძულებული ხდება დახმარება სთხოვოს თურქეთის სულთანს და შესთავაზოს მას სამხედრო კავშირი ირანის წინააღმდეგ. სულთანი არ თანხმდება გამოუფხავნოს დიდ მოურავს ჯარები, მაგრამ არც ის უნდა, რომ დაკარგოს ესოდენ ძლიერი მოკავშირე. სულთანი მხოლოდ საერთო, ზოგად დაპირებას აძლევს და ავალებს საქართველოს ახლო მდებარე კუთხეების ფაშებს, მხარი დაუჭირონ სააკაძეს. თურქეთის სულთნის ეს ღონისძიებები შეუფოთებას იწვევს ირანის მმართველ წრეებში. შექმნილ ისტორიულ ვითარებაში ირანისთვის ხელსაყრელი არ არის ჩაებას თურქეთთან ომში. ირანის წინააღმდეგ და საგარეო საქმეების გართულება იძულებულს ხდის სპარსეთის მხედართუფროსებს, დასტოვონ ქართლ-კახეთი და მთელი ჯარით სამშობლოში დაბრუნდნენ. ამ გარემოებით ისარგებლა თეიმურაზ პირველმა და კახეთის სამეფოს ტახტი დაიკავა. ზურაბ ერისთავი, სააკაძის ყველაზე მოსიხსნე და მძევნვარე მტერი, იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალა დიდი მოურავის გეგმების განხორციელებას, გადაწყვეტს შესთავაზოს თეიმურაზს ქართლის ტახტი. ზურაბი აწყობს უეცარ თავდასხმას მეტეხზე და მუხანათურად სპობს სიმონ მეორეს ყველა მომხრეს და დაახლოებულ პირს. შემდეგ ზურაბი არაგველთა რაზმებით სასწრაფოდ მიემშრება სხვილოს ციხისაკენ, სადაც ამილახვართან სტუმრად იმყოფება მეფე სიმონ მეორე. ამილახვრის სასახლეში გამართული ნადიმის დროს მზაკვრულად შენიღბული ზურაბი მუხანათურად ჰკლავს სიმონ მეფეს და ამით ქართლის ტახტისაკენ გზას უხსნის თეიმურაზ პირველს.

ჩეტეხის ციხეში დატრიალებული ხოცვა-ჟლეტის — „სისხლიანი დამის“ ამსახველი სურათები და სხვილოს ციხეში სიმონ მეფის ძველ-ლობის სცენა აღბეჭდილია მძაფრი დრამატიზმით. კიდევ უფრო მაღალ მხატვრულ დონეზეა სცენები, რომელთაც მკითხველი ირანში გადაჰყავთ. დიდი გამომსახველობით ხატავს ავტორი სისხლიანი შაჰ-აბასის სახეს, გონებამახვილს, სასტიკს, დაუნდობელს, გულზვიადს და მზაკვარს, რომლის მძევნვარება საკუთარი შვილის მკვლელობამდე მიდის. წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს სცენა, როცა შაჰ-აბასის ცოლი, — ქართველი ქალი ლელუ-თინათინი ნიღაბს ხდის თავის სისხლიან ქმარს, — გამოდის მოედანზე და ხალხს მოუწოდებს შური იძიონ მისი უსამართლოდ დაღუპული შვილის გამო. აქაც მწერალი ქალი პოულობს ახალ ზუსტ შტრიხს „ირანის ღონის“ დასახასიათებლად. იგი აიძულებს შაჰს რუსეთის ელჩს თავაზიანობის ხარკი გადაუხადოს და სხვა უღანაშაულო ადამიანებთან ერთად საჯაროდ თავი მოჰკვეთოს ბუ-

ლატ-ბეგსაც, რომელსაც მისგან სეფის მოკვლა ჰქონდა დაეალებული. კიდევ ერთი მკვეთრი დეტალით ავსებს აბასის სახეს მის მიერ ქართლის მეფის — დატყვევებული ლუარსაბის ვერაგული მოკვლის ფაქტი. ლუარსაბი დიდხანს იტანჯებოდა, გულაბის ციხეში გამოძწყვდეული. ამ საპატიმროს მახლობლად უბადრუტ ქოხში ცხოვრობდა ლუარსაბის ცოლი, გიორგი სააკაძის და, — მშვენიერი თეკლე, — ამღლებული სიყვარულის და ქმრისადმი თავდადებული ერთგულების ეს ცოცხალი განსახიერება. აი, სწორედ მაშინ, როცა ლუარსაბის და თეკლეს ბნელით მოკული ცხოვრება გაასხივოსნა შესაძლებელი გაქცევის იმედმა, სწორედ ამ დროს რუსეთის მეფის ელჩები დაბეჭითებით სთხოვენ შაჰ-აბასს გაათავისუფლოს და სამშობლოში დააბრუნოს ლუარსაბი, შაჰი იძულებულია აღუთქვას რუსეთის ელჩებს თხოვნის შესრულება; მაგრამ მისცა თუ არა დაპირება, იგი სასწრაფოდ გზავნის გულაბის ციხეში შიკრიკს საიდუმლო ბრძანებით, დაუყოვნებლივ იხსნან ლუარსაბი „ყოველგვარი წამებისაგან“, ესე იგი დაუყოვნებლივ მოკლან იგი. შაჰის ნება-სურვილი დაკმაყოფილებული იქნა მისთვის საკადრისი მზაკვრობით და მუხანათობით. ყველა ეს პერიპეტია რომანში ასახულია ამღელვებლად, მკაფიოდ, რელიეფურად.

მაგრამ რომანის ამ ნაწილის სიუჟეტის განვითარების ნამდვილ კულმინაციას წარმოადგენს ბაზალეთის ტბასთან დატრიკლებული ბრძოლის აღწერა. ღრმა აზრით გამსჭვალული და იშვიათი ოსტატობით ასახული ეს ეპიზოდი არის ერთ-ერთი საუკეთესო არა მარტო მეხუთე წიგნში, არამედ, შეიძლება, მთელს ეპოპეაში.

თეიმურაზ პირველის გამეფებამ ქართლსა და კახეთში მოქმედების ფართო სარბიელი გაუხსნა ზურაბ ერისთავს და, მაშასადამე, თავადთა უადრესად რეაქციულ წრეებს. ხალხი აღმოჩნდა უმძიმესი რეაქციული სოციალური ძვრების საშიშროების წინაშე. გიორგი სააკაძეს არ შეეძლო ყოველივე ამას შერიგებოდა, მას თავი მოვალედ მიაჩნდა, თავის მახვილის ძალით აეცდინა ხალხისათვის ეს საფრთხე და ეხსნა იგი ამ საშიშროებისაგან. მოეთათბირა რა იმერეთის მეფეს და მიიღო რა მისგან ჯარის მოშვებების დაპირება, დიდმა მოურავმა გადაწყვიტა ომი დაეწყო თეიმურაზ პირველის და ზურაბ ერისთავის წინააღმდეგ. ეს ავბედითი ბრძოლა გაიმართა ბაზალეთის ტბის მიდამოებში. გიორგი სააკაძემ დამარცხება განიცადა.

ქართული ისტორიული მეცნიერება და გიორგი სააკაძის შესახებ დაწერილი ქართული მხატვრული ნაწარმოებები არ იძლეოდნენ ბაზალეთის ბრძოლაში „უძლეველად“ წოდებული დიდი მოურავის დამარცხების მიზეზების ნათელ და შემავიწყებელ ახსნას. ანტონოვსკაიას დიდი დამსახურება ის არის, რომ მან პირველმა გაარკვია და გვიჩვენა ბა-

ზალეთს ბრძოლაში გიორგი სააკაძის წარუმატებლობის ნანდელი მი-
ზეზები.

იმერეთს მეფემ არ შეასრულა თავის დაპირება, ბატონიშვილი ალ-
ექსანდრე ბრძოლის ეელზე გამოცხადდა დიდი დავგიანებით და ისიც
ძალიან მცირეერცხოვანი ლაშქრით, მაგრამ ეს როდი იყო თე-მურაზ პი-
რელისა და ზურაბ ერისთავის გამარჯვების მთავარი მიზეზი. თავისი
ხანგრძლივი, მამაკური, მებრძოლური ცხოვრების მანძილზე დიდი მო-
ურავი პირველად აღმოჩნდა ქართლ-კახეთის თავადების მიერ სააკაძის
წინააღმდეგ საომრად გამორეკილი დაბეჩაფებული გლეხკაცობის პირის-
პირ. პირველად სხახლხო გმირის ძლიერ მარჯვენას უნდა ეჩეხა ქართ-
ველი გლეხები და ამ ძმათა მკვლელობის საშინელების წინაშე შედრკა
დიდგმირი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო და თა-
ვისი ხალხი. ამას დაერთო ის შემადრწუნებელი შთაბეჭდილება, რომე-
ლიც ქართველებზე მოახდინა გიორგი სააკაძის დასახმარებლად სა-
ფარ-ფაშის მეთაურობით მოსულ იანჩართა პატარა რაზმის გამოჩენამ
ბრძოლის ეელზე. თვით დიდი მოურავის უსაზღვროდ ერთგული თანა-
მებრძოლებიც კი საშინლად აღშფოთდნენ და გამწარდნენ, როცა თურ-
ქმა იანჩარებმა დაიწყეს მესხეთის საბრძოლო ალამთა ფეხით თელვა
და შეგინება. და აქ — გიორგი სააკაძემ მთელი სიმწვავეით პირველად
შეიცნო თავისი მდგომარეობის ტრაგიკულობა, სრული განწირულება
თავისი ზრახვებისა — გამოეკვდა საქართველოს ბედნიერება მისივე
უბოროტესი მტრების ხელით.

იგრძნო და გაიგო რა ეს, შეიცნო რა ბრძოლის სრული უპერსპექ-
ტივობა, სააკაძე სულით დაეცა, თუმცა ბრძოლის გადამწყვეტ მომენტ-
ში მან კვლავ გამოიჩინა ჩვეული დეგგმირული ძალა, სიმამაცე და მხე-
დართმთავრული ოსტატობა. თავის მოქმედების უპერსპექტივობის შე-
გნება მაინც ბოჭავდა და შორალურად აღძლურებდა მას და ამ წუთში,
როცა სააკაძის რაზმები გარსშემოერტყნენ თეიმურაზ პირველს და, ის
იყო, უნდა დაეტყვეებინათ იგი, გიორგი სააკაძემ მოულოდნელად გას-
ცა გ-ნკარგულება გზა მიეცათ მეფისათვის, გაეშვათ იგი, და დაუთმო
რა გამარჯვება მოწინააღმდეგეთ, დამარცხებულმა დასტოვა ბრძოლის
ეელი.

ბაზალეთის ომის შემდეგ, დიდ მოურავს, მის ოჯახს და მის „ვეფხ-
თა რაზმს“ ხედავთ იმერეთის სამეფოს დედაქალაში — ქუთაისში.
იმერეთის მეფეს და იმერეთის თავადებს ძალიან სწადიათ დასტოვონ
გიორგი სააკაძე თავისთან, რომ მისი მახვილის ძალით განამტკიცონ
თავისი ბატონობა, მაგრამ გიორგი სააკაძე იმისათვის როდი იყო დაბა-
დებული, რომ ემსახურა იმერეთის ისეთივე დიდმფლობელი თავადე-
ბისათვის, რომელთა წინააღმდეგ ასეთი თავგამეტებით ომობდა ქართ-
ლსა და კახეთში.

მეხუთე წიგნის დასკვნით თავებში განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს აღწერა უძილო ღამისა, რომელიც გიორგი სააკაძემ გაატარა სახელგანთქმული გელათის მონასტერში, იქ, სადაც დაკრძალულია მისი დიდი წინაპარი დავით აღმაშენებელი, რომელმაც, თითქმის შვიდი საუკუნის წინათ, თავისი გმირული სიცოცხლე შესწირა საქართველოს გაერთიანებას და უცხოელ დამპყრობელთაგან მისი განთავისუფლების წმინდა საქმეს.

წიგნი თავდება სურათით, რომელიც წარმოგვიდგენს ხომალდით დიდი მოურავის, მისი ოჯახის და ერთგული რაზმელების გამგზავრებას თურქეთში. როცა გასამგზავრებელნი ოსმალურ ხომალდზე ადიან, ერთმანეთს ეხვევიან და ეთხოვებიან, თუმცა ერთად, ერთი გემით მიდიან, ამით თითქოს გუნებაში ემშვიდობებიან თავის საყვარელ სამშობლოს.

ულრმესი სიყვარულით და სევდით გაჰყურებს გიორგი სააკაძე მშობლიურ მიწას, თითქოს გრძნობს, რომ ამიერიდან აღარასოდეს დაბრუნდება.

და აი, გიორგი სააკაძე სტამბოლშია. მას ზარ-ზემით და სტუმართმოყვარეობით ხედებიან თურქეთის ხელისუფალნი, აბინავენ „მოზაიკურ სასახლეში“ და მოსავენ განსაკუთრებული ყურადღებით. თურქეთის სულთან მურად IV სურს გამოიყენოს გამოჩენილი ქართველი მხედართმთავარი და სამხედრო სტრატეგი გიორგი სააკაძე „ირანის ლომის“ წინააღმდეგ განზრახულ ომში და დიდი მოურავის ძლევაშისილი მახვილით აღადგინოს და განამტკიცოს თავის იმპერიის შეურყეველი ძლიერება. გიორგი სააკაძე კი სულ სხვა რამეზე ოცნებობს. იგი მზად არის სათავეში ჩაუდგეს თურქეთის ჯარებს და დაძრას ირანისაკენ. ამით იგი ერთიმეორის წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ომში ჩააბამს საქართველოს ორ მოსისხლე მტერს — სულთანის თურქეთს და სეფიმიდელების ირანს. ამ ომში დაუძღვრდება საქართველოსადმი თანაბრად მტრულად განწყობილი ორივე სახელმწიფო. ქართველი ხალხი ისარგებლებს რა ამ გარემოებით, ადვილად შეძლებს დაიწყოს განმათავისუფლებელი ომი და მოიპოვოს ესოდენ სანატრელი დამოუკიდებლობა.

სწორედ ამ განზრახვით უახლოვდება იგი თურქეთის სულთანს, მაგრამ მაშინვე ექცევა გამწვავებულ საერთაშორისო წინააღმდეგობათა ხლართში, რაც ქმნის ურთულეს პერიპეტეებს და დაბრკოლებებს მის გზაზე.

მე-17 საუკუნის დამდეგს საერთაშორისო სარბიელზე იქმნება ახალი ვითარება. ჰაბსბურგების იმპერია, გრძნობს რა თავის სამხედრო უპირატესობას მეზობელი ევროპული სახელმწიფოების წინაშე, ემზადება, ტევტონური მახვილით დაიმონოს მეზობელი ხალხები და ამ გზით მოიპოვოს გაბატონებული სახელმწიფოს მდგომარეობა. ამ საშიშროებით დამფრთხალი საფრანგეთი ისწრაფვის ჰაბსბურგების წინააღმდეგ

შექმნას ძლიერი კოალიცია, რომლის შემადგენლობაში იგი ითვალისწინებს თურქეთსაც. კარდინალი რიშელიე თავის ელჩს კონსტანტინე-პოლში გრაფ დე სეზის უგზავნის კატეგორიულ მითითებას, როგორმე დაითანხმოს თურქეთის სულთანს, რომ ამ უკანასკნელმა უარი თქვას ირანთან ომზე და თავის ძალები გაგზავნოს გერმანელ-ავსტრიელ დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე ხანებში რუსეთის მესვეურთა მთავარი ყურადღება ასევე დასავლეთისაკენ არის მიმართული. რუსეთი აღსავსეა მტკიცე გადაწყვეტილებით, საპასუხო გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს პოლონელ დამპყრობლებს და მათ ავსტრიელ-გერმანელ წამქეზებლებს. ამიტომ რუსეთის მმართველნი დაინტერესებული არიან, არ დაირღვეს მშვიდობა მათი სახელმწიფოს აღმოსავლეთ საზღვრებზე. პატრიარქი ნიკონი, რომელიც არსებითად მეთაურობდა მოსკოვის სამეფოს საგარეო პოლიტიკას, რუსეთის სტამბოლელი ელჩების მეშვეობით და ბერძნული ეკლესიის პატრიარქის დახმარებით ყოველი ღონისძიებით ცდილობს მურად IV ყურადღება დასავლეთისაკენ შეატრიალოს.

ყველაფერი მეტისმეტად ართულებს მდგომარეობას გიორგი სააკაძისას, რომელიც ცდილობს თურქეთის ჯარები დაძრას შაჰ-აბასის წინააღმდეგ. დიდი მოურავე მოექცა დიდი და რთული დიპლომატიური თამაშის ხლართში. იგი განუხრელად ისწრაფვის თავისი დიადი მიზნის განხორციელებისაკენ, მაგრამ ეჯახება მოწინააღმდეგეებს, რომელნიც თავის გააფთრებულ პოლიტიკურ ბრძოლაში არავითარ მუხანათურ ღონისძიებებს არ თაკილობენ. ამ წინააღმდეგობათა მთელი ისტორიული აზრი ავტორს გახსნილი აქვს პატრიარქ ფილარეტის, კარდინალ რიშელიეს, შაჰ-აბასის ჩინებულად დახატულ პორტრეტებში. კონსტანტინეპოლი იყო მაშინ ამ მწვავე საერთაშორისო წინააღმდეგობათა თავმოყრის ადგილი. ამ ბრძოლის უამრავ მოწინააღმდეგეებიდან, რომლებთანაც გიორგი სააკაძეს უშუალოდ უხდებოდა შეხვედრა, განსაკუთრებით გამოირჩევიან გრაფი დე სეზი და ხოზრევ-ფაშა.

გრაფ დე სეზის სახეში მწერალმა მკვეთრად და დამაჯერებლად დახატა მთელი ის ვერაგობა და ავანტიურიზმი, რომლითაც გაქვნილი იყო დიპლომატიური ატმოსფერო თურქეთის დედაქალაქში. გაქნილი და ქკვიანი საქმოსანი დე სეზი, ჰაბსბურგების აგენტისაგან მოსყიდული, პირველ ხანებში ყოველი ღონისძიებით ცდილობს თურქეთის იარაღი წარმართოს ირანის წინააღმდეგ. ამით გამოთიშოს თურქეთი ანტიჰაბსბურგულ კოალიციას და დაასუსტოს ეს კოალიცია. ამ დიპლომატურ თამაშში დე სეზი ცდილობდა დაახლოებოდა სააკაძეს და ყოველ მხრივ მხარს უჭერდა მას. მაგრამ კარდინალ რიშელიეს მბრძანებლური მოთხოვნით გრაფი დე სეზი იძულებული გახდა მკვეთრად შეეცვალა თავისი პოლიტიკა და გამხდარიყო საფრანგეთთან თურქეთის სამხედრო კავში-

რის მომხრე და დამცველი. მოსყიდვით დე სეზიმ მიიმხრო ნაზრევ-ფაშაც, რომელიც როგორც მურად IV-ის სიძე (დის ქმარი), დიდი გავლენით სარგებლობდა სახელმწიფოში.

ძლიერ და ვერაგ მოწინააღმდეგესთან ამ დაძაბულ ბრძოლაში გიორგი სააკაძემ მაინც მოახერხა დაერწმუნებინა მურად IV იმაში, რომ თურქეთის იმპერიის ინტერესები დაუინებით მოითხოვდნენ ომის დაწყებას ირანის წინააღმდეგ. სულთანმა მოიწონა და მიიღო სააკაძის მოსაზრებანი და დააყენა იგი ირანის წინააღმდეგ გასაგზავნი თურქი ჯარების სათავეში. გიორგი სააკაძის ასეთი წარმატებით ძალზე შეშფოთებული და შეწუხებული ხოზრევ-ფაშამ ყოველი შესაძლებლობა გამოიყენა და მიაღწია კიდევ იმას, რომ სულთანმა იგი თურქი ჯარების მთავარსარდლად დანიშნა. მაგრამ სულთანმა მხოლოდ ფორმალურად დასდო პატივი ხოზრევ-ფაშას, ანატოლიის ლაშქრობის დაწყებისთანავე აშკარა გახდა, რომ ომს ფაქტიურად ხელმძღვანელობდა დიდი მოურავი, რომლისაგანაც მურად IV მოელოდა ირანის შაჰის სრულ დამარცხებას და ირანის მიერ მიტაცებული თურქული მიწის დაბრუნებას.

რომანის მეათე დასკვნით ნაწილში, რომლითაც თავდება ეპოპის ბეექვსე და უკანასკნელი წიგნი „მელოდიური სამრეკლოების ქალაქი“, ავტორი გვიხატავს ქართლის მდგომარეობას საქართველოდან სააკაძის თურქეთში გამგზავრების შემდეგ. მოგვითხრობს ზურაბ ერისთავსა და შადიმან ბარათაშვილს შორის გაჩაღებული ბრძოლის ამბებს, გვაუწყებს დაქვრივებული თეკლე დედოფლის საქართველოში დაბრუნებას, ქართული ეკლესიის მიერ ლუარსაბის წმინდანად ჩარიცხვას, იღუმალ გაუჩინარებას თეკლე დედოფლისას, რომელმაც დაკარგა „თავისი გულის მეფე“ და მასთან ერთად სიცოცხლის აზრიც.

მურად IV და თურქეთის პოლიტიკის გავლენიან ხელმძღვანელებს ხომ გადაწყვეტილი ჰქონდათ თურქეთის მახვილი ჯერ ვენაზე მიეშვირათ და მხოლოდ ჰაბსბურგებზე გამარჯვების მოპოვების შემდეგ თურქი ჯარები დაეძრათ ირანის საზღვრებისაკენ. მხოლოდ სააკაძის პოლიტიკური აზროვნების არაჩვეულებრივ ძალას, დასახული მიზნისაკენ მის მისწრაფებას, მისი გონების სიმახვილეს, მისი მსჯელობის გასაოცარ დამაჯერებლობას, რომელიც ესეოდენ ბრწყინვალეებით გამოვლინდა სერალის „საუბართა დარბაზში“, შეეძლოთ. შეეცვალათ სულთანის გადაწყვეტილება და დაუყოვნებლივ „ირანის ლომის“ თავზე დაეტეხათ თურქეთის შეიარაღებული ძალების მთელი რისხვა.

და აი, გიორგი სააკაძე უდიდესი აღფრთოვანებით ხელმძღვანელობს ურთულეს საომარ ოპერაციებს. დიდებული სტრატეგიული ოსტატობით იღებს მიუწვდომელ ციხე-სიმაგრეებს, ამსხვრევს ირანელთა გააფთრებულ წინააღმდეგობებს, სძლევს წარმოუდგენელ სიძნელეებს და აღწევს მთელ რიგ ბრწყინვალე გამარჯვებებს. სახილი და დიდება უძ-

ლეველი მხედართმთავრისა ჰქუხს თურქეთის მთელ იმპერიაში. მაგრამ როგორც წინათ, ამჯერადაც სწორედ სააკაძის ასეთ ბრწყინვალე წარმატებებს თან სდევს ავბედითი შედეგები მისთვის. ხოზრევ-ფაშას, მურად IV სიძეს, რომელიც ფორმალურად იდგა თურქეთის ჯარების სათავეში, არ შეუძლია გულგრილი დარჩეს ქართველი მხედართმთავრის ასე სწრაფად მზარდი ავტორიტეტისა და დიდებისადმი. ხოზრევ-ფაშას ამ ღვარძლსა და სიძულვილის ცეცხლს უნთებს მისი ვერაგი ცოლი ფატიმე, — იგი ქმრისაგან ნებრძანებლურად მოითხოვს, ყოველი ღონისძიებით გზიდან ჩამოიშოროს ქართველი შოურავი, რომელმაც თავის საარაკო საგმირო საქმეებით დაჩრდილა თურქეთის უმაღლესი ვაზირი. ყოველივე ამას ემატება ინტრიგები საფრანგეთის ელჩის გრაფ დე სეზისა, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სანამ შოურავი ცოცხალია, ვერავინ ვერ შესძლებს „ნახევარმთვარე ვენისაკენ“ შეატრიალოს. დე სეზი მიმართავს ბრძოლის ყველა ავანტიურისტულ ხერხს და საშუალებას — მოსყიდვას, მოტყუებას, მუქარას, პირფერობას. მოსყიდული და გაბოროტებული ხოზრევ-ფაშა გადაწყვეტს ანგარიში გაუსწოროს დიდ შოურავს, ცდილობს, სულთნის წინაშე ცილი დანაშაულის სააკაძეს და ამ გზით მიაღწიოს მის დამხობას. მაგრამ ეს ცდა ამოუგამოდგა. ამის შემდეგ ხოზრევ-ფაშა გადაწყვეტს გადადგას ავანტიურისტული ნაბიჯი. ბაღდადზე დიდი შეტევის დაწყების აღსანიშნავად ხოზრევ-ფაშამ გამართა დიდი ნადიმი, ნადიმის დაწყებამდე ხოზრევმა სააკაძის და მის თანამებრძოლთა თასებში ფარულად ჩაასხმევინა საგანგებოდ დამზადებული გამაბრუნებელი ბანგი. გარეტიანებული ქართველი მეომარნი შეზოგეს, ხუნდები დაადეს, მიწისქვეშა დილეგში ჩაჰყარეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. როცა ცნობაზე მოვიდნენ და მიხვდნენ თავის განწირულებას, ქართველებმა გადაწყვიტეს, სიკვდილის წინ არ შეებღალათ სახელი და ადამიანური ღირსება და აქაც ავტორი კვლავ სარგებლობს თავისი მდიდარი მხატვრული შესაძლებლობით, გვიჩვენოს ქართველი გმირების კეთილშობილური მაღალი თვისებები: ვაჟკაცობა, მამულიშვილობა, მტრისადმი სიძულვილი.

— „ძმებო და მეგობრებო, — მიმართავს სააკაძე საყვარელ თანამებრძოლებს, — ჩვენ, თურქეთის შუაგულში მოხვედრილნი, გარემოცული ვართ მტრებით. ისინი ბევრს გაიღებდნენ, რომ მემატრიანებს აღეწერათ ჩვენი სიკვდილი, როგორც სახელის უკიდურესი შერცხვენის საზღვარი. მათ სწადიათ გვენახონ, ჩვენ, ქართველები, ჯალათის დანის ქვეშ, ყვითელ კოფტებში, ნახევრად გაპარსული თავებით, ფიცარნაგზე დასახიჩრებულნი. ასე რომ მოხდეს, მაშინ ჩვენი მამაცური და ძნელი საქმეები, ჩემო ვეფხვებო, დაიფარებოდა შერცხვენის სქელი სუდარით, მაგრამ არა, ეს არ იქნება. ჩვენ აქ ქართველთა ჯარი ვართ. როგორც ყოველთვის, ახლაც ჩვენ მტრებზე მცირენი ვართ, მაგრამ ჩვენ არასდროს უკან არ დაგვიხევია, არ დავიხვეთ არც

ახლა! ჩვენ ცოტა ქონებალა დაგვრჩა — ჰაერის რამდენიმე ჩასუნთქვა. მაგრამ აბა ვის ძალუძს წაგვართვას ჩვენ უკანასკნელი ბრძოლა. მაშ ასე, ვუანდერძოთ იგი ჩვენს შთამომავალთ“.

ქართველებმა არ მოისურვეს დაღუპულიყვნენ ჯალათის ხელით. მათ მოახერხეს გადახერხათ ბორკილები და გაჭრილიყვნენ ხოზრვე ფაშას ჯარით გარშემორტყმულ ეზოში. გამხეცებული იანჩარების მრავალრიცხოვან რაზმთან გააფთრებულ შეტაკებაში მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ვეფხეები და ყველაზე ბოლოს მოურავი დაიღუპა.

— „გოროჯი სააკაძემ თვალი შეეწო გადამტერეულ ხმალს: „ბრძოლა დამთავრდა... და მან მთელი ძალით მოიქნია მკლავი და შავი ხმლის ნატეხი ჩაიჭდო უშიშარ მკერდში.

მსწრაფლ ტორტმანით ზეალიმართა გოლიათური ლანდი და ზღურბლს მიღმა გაუჩინარდა და იმ ზღურბლის იქით მარადისობაში შეაბიჯა ნოსტელმა ვეფხვმა, რომლის ფარზე ჩაუჭრობელ ცეცხლად ელაგენ მისი სიტყვები: „ბედნიერია ის, ვისაც გული სამშობლოსათვის უძგერს.“

ასე თავდება ანა ანტონოვსკაიას რომანში ასახული საქართველოს გამოჩენილი გმირის მამაცური ცხოვრების სახელოვანი ეპოპეა. მწერალმა მოგვცა დიდი მოურავის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის — თურქეთის, მისი ბრძოლის, მოღვაწეობის და ტრაგიკული აღსასრულის ორიგინალური გაშუქება.

მთელი ეპოპეა ეყრდნობა უკიდურესად გამძაფრებულ სოციალურ კონფლიქტებს, დიდი გრძნობების და ენებების შეჯახებებს. რომანში დახატულია ადამიანთა სახეების უდიდესი გალერეა, რომელთა უმრავლესობას რეალურად არსებული ისტორიული პირები შეადგენენ. ეპოპეა-რომანის ძირითადი პერსონაჟები აყვანილი არიან დიდი განზოგადებული ჟღერადობის მაღალ დონეზე. ასეთი ტიპური სახეების გამოკვეთით რომანში აღდგენილია ეპოქის სული, მისი შინაარსი, ისტორიის მსვლელობის ძირითადი ტენდენციები. პლასტიკურად და ცხოველხატულად გვიჩვენებს ავტორი ასასახავი ეპოქის ყოფას და ზნეჩვეულებათ, მოქმედების ადგილის კოლორიტს, ბუნების სურათებს. რომანი იკითხება დაძაბულად ზეალმაგალი ინტერესით. ბევრ შემთხვევაში თხრობა აღწევს გულის სიღრმეში ჩამწვდომ ძალას და წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე. მდიდარი შემეცნებითი მასალა ავტორს განსხვავებული აქვს შესანიშნავი მხატვრული ფორმით, რომელიც მკითხველს ჰეშმარით ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს და ზრდის მას უმაღლესი გრძნობების — წმინდა პატრიოტიზმის, სიამაყის და ვაჟკაცობის, თავისუფლებისმოყვარეობის, ურყევი ერთგულების სულისკვეთებით სიყვარულსა და მეგობრობაში. გაბედულად უკუაგდება რა ზოგიერთ ჩვენი ისტორიული რომანისათვის დამახასიათებ-

ლი ენობრივი ქსოვილის არქაიზაციას, ავტორი ფაქიზად შერჩეული დეტალებით და სამეტყველო ნიუანსებით აღადგენს ასასახავი დროის კოლორიტს. რომანი დაწერილია ცოცხალი, ხატოვანი, თანამედროვე რუსული ენით. ამასთან ერთად დიალოგებში იგრძნობა სპეციფიური ქართული ინტონაციები, რომელიც მოტანილია ფაქიზი მხატვრული ტაქტით.

ჯერ კიდევ „დიდი მოურავის“ გამოქვეყნებამდე რუსული საბჭოთა პროზის გამოჩენილი ოსტატი ლეონიდ ლეონოვი, გაეცნო რა ხელნაწერში ანა ანტონოვსკაიას რომანის პირველ წიგნს, წერდა: „ანა ანტონოვსკაიას უაღრესად საინტერესო წიგნი „დიდი მოურავი“, რომელიც მხატვრულად აშუქებს ქართველი ხალხის მე-16-17 საუკუნეების განმათავისუფლებელ ბრძოლას, ყოველგვარ ყურადღებას იმსახურებს. ის გარემოება, რომ საბჭოთა მკითხველი არ იცნობს საქართველოს ისტორიას, რის გამოც თვითონ მოკლებული ვარ შესაძლებლობას შევამოწმო ასე გატაცებით მოთხრობილი ამბების სიმართლე, გვაიძულებს ვიფიქროთ იმაზე, რომ გამოიციეს მთელი რიგი წიგნები, რომლებიც გააშუქებენ სსრ კავშირში შემავალი მომხმე ხალხების ისტორიულ წარსულს.“

ჩვენმა ცნობილმა პროზაიკოსმა მიხ. ჯავახიშვილმა ან. ანტონოვსკაიასადმი მიწერილ პირად ბარათში ასე გამოხატა „დიდი მოურავის“ პირველი წიგნის ხელნაწერიდან მიღებული შთაბეჭდილება: „თქვენი რომანი „დიდი მოურავი“ ღრმა ინტერესით, უფრო მეტი, გატაცებით წავიკითხე. წიგნი დაწერილია სხვა ეროვნების მწერლის მიერ. და ისიც ისტორიულ ენაში, თემა კი ძალიან მძიმე, რთული, გრანდიოზულია. დამეთანხმებით, რომ ყოველივე ეს მაძლევდა უფლებას მოვკიდებოდი თქვენს შრომას სკეპტიკურად, და არ დაგიმალავთ, უნდობლობითაც კი. მაგრამ „მოურავმა“ გაფანტა ეჭვები, თავი წამაკითხა შეუწყვეტლად და დიდი დაძაბულობით. მთელი სულით და გულით გილოცავთ! თქვენ გადალახეთ მძიმე მწვერვალი, თქვენ ჩაიდინეთ გამირობა. მე თავთ ახლახან დავამთავრე ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“, თავისი მასალით (მე-19 საუკუნის პირველი მესამედი) უფრო იოლი, მოვანდომე მას ჩემი ცხოვრების შვიდი წელი, და სხვებზე უკეთ ვიცი, თუ რა ძნელია რომანის დაწერა ქართული ისტორიიდან, მით უფრო არა ქართველისათვის და სამჯერ „მით უფრო“ გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან. ხაზგასმით ვიმეორებ: უეჭველად თქვენ გამირობა ჩაიდინეთ. მოიცვა ფაბულა, მონახო კავშირები მოვლენებს შორის და დაიპირო ეპოქის სტილი — აი ყველაზე მძიმე ამოცანები, რომლებსაც თქვენ, უეჭველად, თავი გაართვით. საერთოდ, მე წამიკითხავს საქართველოს

ცხოვრებიდან უცხოელთა მიერ შექმნილი მთელი, ან თითქმის მთელი ბელეტრისტული ლიტერატურა, და ვკისრულობ გაბედულობას განვაცხადო. რომ თუ მხედველობაში მივიღებთ თემის სიძნელეს, ანტონოვსკაიას რომანი შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო ნაწარმოებად ამ სერიიდან“.

როცა ზედიზედ ქვეყნდებოდა ანტონოვსკაიას შემდგომი წიგნები; სადაც ავტორი თანმიმდევრულად აღრმავებდა თავის კონცეფციას და ამოღებდა მხატვრულ ოსტატობას, რომანი უფრო და უფრო იქცევა და საბჭოთა პრესის და ლიტერატურული კრიტიკის შეუწყვეტელ ყურადღებას.

1943 წელს 12 აპრილს სარედაქციო სტატიაში „უკვდავია საბჭოთა ხელოვნება“, გაზეთი „პრავდა“ „დიდი მოურავის“ შესახებ წერდა: „შეიძლება მხოლოდ მივესალმით ისეთ ნაწარმოებთა გამოჩენას, რომელნიც გვიხატავენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორეულ ისტორიას, ისტორიულ მაგალითებზე ზრდიან მხატვრულ გემოვნებას და გვაძლევენ გაკვეთილს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის, ღირსებისა და თავისუფლებისათვის ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები“.

„პრავდის“ იმავე ნომერში ალ. ფადეევი სტატიაში „საბჭოთა ლიტერატურის შესანიშნავი ნაწარმოებნი“. აღნიშნავდა: „მრავალწლიან ნაყოფს შრომისას, რომელიც თავისი სიზუსტით უახლოვდება სწავლულ-ისტორიკოსის შრომას და ამავე დროს უხვად შეიცავს XVI საუკუნის დამლევის და XVII საუკუნის დამდეგის საქართველოს ცხოვრების და ყოფის ფერადოვან სურათებს, წარმოადგენს ანტონოვსკაიას შესანიშნავი რომანი „დიდი მოურავი“ საქართველოს ისტორიის ერთერთ გამოჩენილ მოღვაწეზე — გიორგი სააკაძეზე“.

იმაზე თუ რატომ და რისთვის შეიყვარა მრავალმილიონიანმა საბჭოთა მკითხველმა ანა ანტონოვსკაიას მიერ ხორცშესხმული სახელგანთქმული გმირი, „პრავდის“ 1942 წლის 13 სექტემბრის ნომერში ცნობილი ჟურნალისტი და ლიტერატორი დ. ზასლავსკი სტატიაში „პოემა დიდ ქართველ მხედართმთავარზე“ წერდა: „ანა ანტონოვსკაიას რომანის „დიდი მოურავის“ მეოხებით გიორგი სააკაძე ჩვენთვის ახლობელი გახდა. მისი სახე შევიდა ჩვენთა დიდ წინაპართა იმ ვაჟკაცურ სახეთა გალერეაში, რომელნიც ანათებენ საუკუნეთა სიღრმიდან და სამშობლოსათვის ბრძოლის ჩვენს ეპოქას აკავშირებენ წინათ გარდახდილ ბრძოლათა ეპოქასთან. ასეთ დროებში იბადებიან ბუმბერაზი ძალის, დიდი მონიბლაობის, სამშობლოსადმი მკვნიბარე სიყვარულით და მტრისადმი აღზნებული სიძულვილით გამსქვალული ხასიათები. ასეთი ხასიათის კაცი იყო გიორგი სააკაძე, მან დიდებით შემოსა თავისი სახელი, როგორც თავისი დროის ერთერთმა უდიდესმა მხედართ-

მთავარმა. მისი პირადი ბედი ტრაგიკული იყო, ხალხმა აპატია მას შეცდომები სამშობლოს მხურვალე სიყვარულისათვის, კეთილშობილებისა, ვაჟკაცობისა, ნათელი გონებისა და მეომრული სიმამაცისათვის. მრავალტომიან რომანში მოქმედება ვითარდება აუჩქარებლად. მოწიწებით შლის ავტორი მოვლენების სახიან ქსოვილს, ნატიფი მძივებით ჰქარავანს ძველი საქართველოს სურათებს“.

გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ გაჩაღებული წმინდა სამამულო ომის დღეებში „მოურავი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა თავდადებით მებრძოლ საბჭოთა მეომრებს შორის. მგზნებარე პატრიოტიკა და ძლევამოსილი სარდლის მონუმენტური სახე აღაფრთოვანებდა მამაცი საბჭოთა არმიის მეომრებს უკვდავ საგმირო საქმეთა ჩასადენად, ჩვენი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ნიკოლოზ ტიხონოვა. ილაპარაკა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში იმ დიდ წვლილზე, რომელიც საბჭოთა ლიტერატურამ შეიტანა ფაშიზმზე მოპოვებულ გამარჯვებაში, ა. ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“ მოიხსენია საბჭოთა პროზის იმ თვალსაჩინო ნაწარმოებებს შორის, რომლებიც ისტორიულ თემებზე დაიწერა და ეხმიანებოდნენ გრძნობებს და აზრებს საბჭოთა ადამიანებისას, რომელნიც თავის მარჯვენით და სისხლით სკეპდნენ გამარჯვებას მოსისხლე მტერზე.

ასე დამკვიდრდა საბჭოთა ხალხის ცნობიერებაში საქართველოს ეროვნული გმირის სახე, როგორც ვაჟკაცობის და სიმამაცის, კეთილშობილებისა და გმირობის, როგორც მამულისათვის თავდადების ცოცხალი სიმბოლო.

— „მოხდება ხოლმე, — წერს კრიტიკოსი ზინაიდა კედრინა სტატიაში „ცოცხალი ისტორია“ (იხ. „იზეესტია“, 1952, 20(III) — გადაშლილი წიგნს და გრძნობ, თითქო შეაღე კარი სხვა, შენთვის ცნობილ თუ უცნობ ცხოვრებაში, გადააბიჯე ზღურბლზე და მოხვდი ამ ცხოვრების დუდილის შუაგულში. სწორედ ასეთი რომანები, რომელთა შექმნა ძალუძთ მხოლოდ ჰუმანიტად ნიჭიერ მხატვრებს, — არის სოციალისტური რეალიზმის ნამდვილი ნაწარმოებნი, ვინაიდან მხოლოდ განვითარებადი, მუდამ წინ მავალი ცხოვრების მართალ ასახვას შეუძლია გახადოს მკითხველი მწერლის მიერ დახატული სინამდვილის თანამონაწილე. ასეთ რომანებს ეკუთვნის ჩვენი ისტორიული პროზის საუკეთესო ნაწარმოებები, ისეთნი, როგორც არის ალექსეი ტოლსტოის „პეტრე პირველი“, ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“...

„ანა ანტონოვსკაიამ, — წერდა ვ. გოლცევი, — ცოცხალი და დამაინტერესებელი ფორმით სწორი წარმოდგენა შეგვიქმნა იმ ეპოქის საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური ძალების ადგილზე და განლაგებაზე, ფეოდალებთან მსახური ელემენტების ბრძოლაზე, აზნაურთა

ცდებზე — გაეერთიანებიათ საქართველო. რომანის რთულ კომპოზიცი-
აში ორგანულად არის ჩართული ხალხის ყოფისა და ზნეჩვეულებების
მკაფიო სურათები. რომანი დიდი მხატვრული ღირსებითაა აღბეჭდი-
ლი. არა მარტო თვით გიორგი სააკაძე, თითქმის ყველა დანარჩენი პე-
რსონაჟები მოგონილი კი არა, სავსებით რეალური პირები არიან. წიგ-
ნის ყველაზე მკვეთრად დახატულ სურათების რიგს ეკუთვნის ბატა-
ლური სცენები...“

ასეთივე მოწონება დაიმსახურა „დიდმა მოურავმა“ მეცნიერ სპე-
ცილისტთა მხრიდანაც, რომელთაც ეს ნაწარმოები შეაფასეს ისტორი-
ული მეცნიერების პოზიციებიდან. აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გა-
ვიხსენოთ ჩვენი დიდი ისტორიკოსი, თანამედროვე ქართული მეცნიე-
რული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშ-
ვილი, რომელმაც იკისრა და შეასრულა კიდევ „დიდი მოურავის“ პირ-
ველი წიგნის მეცნიერული კონსულტაცია. სამწუხაროდ, მოულოდნელ-
მა სიკვდილმა შეწყვიტა დიდი მეცნიერის მუშაობა ამ მიმართულებით,
მაგრამ მის მიერ პირველი ორი წიგნის მოწონება და აღიარება თავისთა-
ვად მეტყველებს, რომ ა. ანტონოვსკაიას რომანი მეცნიერული თვალ-
საზრისითაც უიქვევლად დგას თანამედროვე ისტორიოგრაფიის მო-
თხოვნათა დონეზე.

გამოჩენილმა საბჭოთა ისტორიკოსმა. აკადემიკოსმა ე. ვ. ტარლემ
ვრცელი რეცენზია უძღვნა „დიდი მოურავის“ მეოთხე წიგნს. ცნობი-
ლია, რომ მეოთხე წიგნის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა საქართვე-
ლოს მაშინდელი მმართველების და მოწინავე ადამიანების თანდათან
მზარდი მისწრაფება რუსეთთან მეგობრობისა და სამხედრო კავშირის
დადებისაკენ. აკადემიკოსი ტარლე, მეოთხე წიგნის განხილვისას,
მწერლის მიერ ამ პრობლემის გაშუქებაზე ამახვილებს ყურადღებას,
მთლიანად იწონებს ავტორისეულ კონცეფციას ამ საკითხში და ბოლოს
წერს: ანა ანტონოვსკაიას რომანის „დიდი მოურავის“ მეოთხე ტომი
დამუშავებულია ზუსტი მეცნიერული მონაცემების მიხედვით. მონუ-
მენტური ფორმით ასახული და სწორად გაშუქებულია ნამდვილი ის-
ტორიული მოვლენები. რომანს აქვს არა მარტო დიდი მხატვრული,
არამედ შემეცნებითი ღირებულებაც.

ანა ანტონოვსკაიას ეპოპეამ სპეციალურ ლიტერატურაშიც დაიმ-
კვიდრა საპატიო ადგილი საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის იდეურ-
შემოქმედებითი პრობლემებისადმი მიძღვნილ ვრცელ შრომაში — ს.
მ. პეტროვის მონოგრაფიაში „საბჭოთა ისტორიული რომანი“, ა. ან-
ტონოვსკაიას რომანს დათმობილი აქვს მნიშვნელოვანი ადგილი. მიმო-
იხილავს რა საბჭოთა ისტორიული რომანის ჩამოყალიბების და განვი-
თარების პროცესს, უკეთებს რა ანალიზს ამ ენარის საკვანძო მსოფლ-
მხედველობითს და ესთეტიკურ პრობლეებს, ს. მ. პეტროვს მუდამ

მხედველობაში აქვს ა. ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“, როგორც ერთი იმ ნაწარმოებთაგანი, რომლებშიაც ყველაზე მკაფიოდ და თანმიმდევრულად გამოჩნდა საბჭოთა ისტორიული მხატვრული პროზის სპეციფიკური დამახასიათებელი თვისებები.

„დიდი მოურავის“ პირველი წიგნების გამოქვეყნებისთანავე იგი ითარგმნებოდა და იცემოდა საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რესპუბლიკებში და საზღვარგარეთაც, ყველგან იწვევდა ცოცხალ ინტერესს და იმსახურებდა მაღალ შეფასებას. აი რას წერს, მაგალითად, „დიდი მოურავის“ გამო ჩიხი რომანისტი ვაცლავ კაპლიცი ურნალ „ნოვი ჟივოტ“-ის ფურცლებზე: „მცირედი ექვიც არ შეიძლება აღგვეძრას, რომ ეს წიგნი ჩვენში გახდება ერთ-ერთი ძალზე პოპულარული წიგნი, როგორც თავის ორიგინალურობით, ასევე შემოქმედებათა იმ დაძაბულობით, რომელიც ყოველი წიგნის წაკითხვისას ძლიერდება... თუმცა ლაპარაკია ვრცელ რომანზე, მისი კომპოზიცია არ არის ხელოვნური, პირიქით, წიგნი ჰკვიანურადაა მოფიქრებული და შეკრული, „დიდი მოურავი“ ისტორიული რომანია, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. რომანის ავტორს არა მარტო მეცნიერული სიზუსტით და სიმკაცრით შეუსწავლია ყოფილ მონასტრებში დაცული ძველი პერგამენტები, არამედ ღრმად ჩასწვდომია სულს ლამაზი და მამაცი ხალხისას, რომელიც არაერთხელ ყოფილა დატყვევებული და მაინც მუდამ ხელში სჭერია იარაღი, რომ ებრძოლა თავისუფლებისათვის. მკითხველი თითქოს დგას ფერებში მბრწყინავი და ოსტატური ჩუქურთმებით დამზენებული ხალიჩის წინ, რომლის ქსოვა ემარჯვებათ მხოლოდ აღმოსავლეთში, მაგრამ მისგან იხიბლება არა მარტო თვალი, სხვა გრძნობებიც არ არის დაცული მისი გასაოცარი მომხიბვლელობისაგან“.

ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ ა. ანტონოვსკაიას „დიდი მოურავს“ სამართლიანად და დამსახურებულად უჭირავს თვალსაჩინო ადგილი იმ სულიერ ფასეულობათა საგანძურში, რომელთაც ნახევარი საუკუნის მანძილზე ქმნიდა საბჭოთა ლიტერატურა და რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს ჩვენი ხალხის მდიდარი და კეთილშობილი სულიერი სამყაროს ფორმირებაში.

სიმონ ჩიქოვანი

სიმონ ჩიქოვანი ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის უპირველეს ოსტატთა პლეადას ეკუთვნის. თავისი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი ღვაწლით, დაუცხრომელი შრომით და ბრძოლით მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მშობლიური მწერლობის განახლებისა და განვითარების, ხალხის სულიერად გამდიდრებისა და ამაღლების საქმეში და სამუდამოდ დაიმკვიდრა თვალსაჩინო ადგილი საბჭოთა ხალხების პოეტური კულტურის საერთო საგანძურში. ახლა შეუძლებელიცაა მსჯელობა მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის განვითარების პროცესებზე და მის აქტუალურ შემოქმედებითს პრობლემებზე სიმონ ჩიქოვანის ნოვატორულ ძიებათა და აღმოჩენათა გაუთვალისწინებლად. ამიტომაც სოციალისტური რეალიზმის პოეტური ხელოვნების ყოველი ავტორიტეტული მკვლევარი ყურადღებით და ინტერესით ეპყრობა დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებითს მემკვიდრეობას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორი ერთსულოვანი სიყვარული და აღიარება მოიხვეჭა სიმონ ჩიქოვანმა რუსული და სხვა მოძმე საბჭოთა ხალხების პოეზიის სხვადასხვა თაობების საუკეთესო ოსტატთა შორის, რომლებიც ნამდვილი შემოქმედებითი გზებით თარგმნიდნენ და თარგმნიან ჩვენი პოეტის ქმნილებებს თავიანთ ენებზე და მაღალ შეფასებას აძლევენ ამ ქმნილებებს, საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოსული ქართული პოეზიის უკლებლივ ყველა ანთოლოგიას და მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის მრავალ კრებულს ამშვენებს ს. ჩიქოვანის ლექსები.

ს. ჩიქოვანის შემოქმედება ერთ-ერთი მკაფიო და საყოველთაოდ აღიარებული დადასტურებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ ქართული საბჭოთა პოეზია თავისი საუკეთესო მიღწევებით თანამედროვე პროგრესული, საკაცობრიო პოეტური ხელოვნების დონეზე დგას და რაც დრო გადის, სულ უფრო მზარდი მასშტაბით და ინტენსივობით, იმსახურებს ცივილიზებული მსოფლიოს მოწინავე ადამიანთა ყურადღებას. სიმონ ჩიქოვანის ყოველი დამახასიათებელი ქმნილება, მასში განსახიერებული ლირიკული აზრის სიღრმით, მძაფრი მოქალაქეობრივი შემართებით, საზოგადოებრივი აქტუალობით ხასიათდება. არა მარტო ჩვენი ქვეყნის თანამედროვე თუ წარსული ცხოვრების დიდი ისტორიული მოვლენებისადმი უშუალოდ მიძღვნილ ლექსებში, არა

მარტო ჩვენს ქვეყანაში ორგანიზაციულად გახლებული ახალი ცხოვრების მშენებლობის, მოწინავე ადამიანებისადმი თუ ჩვენი სახელოვანი უკვდავი წინაპრებისადმი მიმართული პოეტურ მონოლოგებში, არა-მედ ლირიკულ პეიზაჟებშიც, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში პოეტური ფერმწერლობის ნომინიზაციულ ტელონებშია შესრულებული, სატრფიალო ლირიკის გულის სიღრმემდე ჩამწვდენ ნიმუშებშიც ს. ჩიქოვანი გამოდის, როგორც ჩვენი დროების ღვიძლი შვილი, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, ჩვენი ხალხის მღელვარე ცხოვრების უშუალო მონაწილე და თანაზიარი.

ბუნებრივი და წრფელი ღაღადისით შესთხოვდა იგი თავის შთავონებას:

შენ, შთავონებავ, მომძალე ძალი,
ნულარ მომაკლებ შუქს და სიამეს,
შენ გამიღრმავე ზღვისფერი თვალი
და განმარიდე სოფლის სიამეს.
...შენ შეგავედრებ ხმას აბარტყებულს,
ფრთები შეასხა, გაწაფო ფრენით,
ან ცხოვრებისთვის ფიქრს დაბადებულს
თვალში ჩაუდგა სინათლე შენი,
რომ ჩემი ქვეყნის ყოველი წამი
სულში ჭეჭილად აქცევდეს მარცვალს,
და როგორც ბუჩქი ბიბლიურ ეპოსის,
ავანთო გული და ველარ დაწვია.

ასე გამუდმებულად ჩაუმქრალი ცეცხლი, მშობელი ქვეყნის ცხოვრებასთან განუყოფელი თანაზიარობისა, ენთო პოეტის გულში. ამიტომაც იყო ასე ვრცელი, მდიდარი და შეუზღუდავად მრავალფეროვანი მისი პოეტური თვალთახედვის სარბიელი — იგი დღევანდელი თუ ისტორიული საქართველოს სინამდვილის დამახასიათებელ ურიცხვ სრულიად სხვადასხვაგვარ მოვლენას მოიცავს და წარმოსახავს, მის ორბიტაშია აღორძინებული საქართველოს ყოველი კუთხე და დიადი საბჭოეთის თვალუწვდენი სივრცეებით მოქცეული, თანამედროვე მსოფლიოში აღმოცენებული მძაფრი კონფლიქტები, ჩვენი დროის ადამიანის ფიქრთა და გრძნობათა მთელი მრავალფეროვნება, განცდათა და განწყობილებათა ყოველგვარი ნიუანსი.

ამ ურიცხვ პოეტურ ხილვათა წარმოსახვისათვის ს. ჩიქოვანი მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე იზვიათი ნოვატორული შემართებით მიესწრაფვოდა მხატვრულ მეტყველებას ახალსა და ორიგინალურ საშუალებებს. მას არასოდეს უვლია სხვის მიერ გატყეპნილი გზებით პოეზიაში. იგი მუდამ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარეობდა, მხოლოდ მის მიერ ხილულს, განცდილს და გააზრებულს გამოთქვამდა, მხოლოდ მისთვის დამახა-

სიათებელი ხმით, საღებავებით; მისი მთელი შემოქმედებითი ცხოვრება, ეს განუწყვეტელი ბრძოლა იყო სიტყვასთან, ენის სტიქიასთან, შთაგონებასთან. იმ ბრძოლის, მისი გამუდმებული ძიებებისა და მიგნებათა შიშველები ორგანულად არის შესული და დამკვიდრებული დღევანდელ ქართულ პოეტურ ხელოვნებაში. თანამედროვე ქართული პოეტიკის კეთილსინდისიერი მკვლევარი ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლის იმ ძვირფას წვლილს, რომელიც ს. ჩიქოვანმა თავისი მეტაფორული აზროვნებით და მეტყველებით, რთული ასოციაციებით, მოულოდნელი შედარებებით, მეტრისა და რიტმის თაქსიდური ნაირსახეობებით შეიტანა პოეტური გამომსახველობის საშუალებათა იმ არსენალში, რომლითაც დღეს შეიარაღებულია მთელი ქართული პოეზია.

როგორც ყოველ ჰემარტ შემოქმედს შეჰფერის და მოეთხოვება, ს. ჩიქოვანი გზას მიიკვლევდა არა სხვათა მონაპოვრის უდარდელი და უზრუნველი განმეორებით, არამედ დაძაბული ბრძოლით, ჰიდილით, დაუცრომელი სიხლის სწრაფით. მისი პოეტური მრწამსი გულისხმობდა, რომ „შემოქმედებას სირთულე უყვარს გასაგებად და სიმძაფრით თქმული“ და ეს გასაგები სირთულე და სიმძაფრე გამოთქმისა და გამოხატვისა ადვილი მისაღწევი როდია პოეზიაში. ჩვენ ვიცით, რა დიდი მსხვერპლის გაღება დაჰირდათ ამ გზაზე ს. ჩიქოვანის მონათესავე ოსტატებს, ჩვენი დროის რუსული პოეზიისა, — სრულიად სხვადასხვა ხასიათის პოეტებს, ვლადიმერ მაიაკოვსკის და ბორის პასტერნაკს. თავისი პოეტური ბიოგრაფიის პირველსავე წლებში ს. ჩიქოვანი აღიარებდა: „ხორკლიან სიტყვით, ჰიდილით, ომით დავეცი ბეზრჯერ და აღვსდევ ჩვენ“, ხოლო შემდეგ, მოწიფულობის ასაკში შესული ოსტატი ამგვარად გვამცნობდა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დრამას, შემოქმედების მღელვარე წუთებს, უძილო ლამეების მძაფრ განცდებს:

ხშირდება გულის საშიში ფეთქვა,
მსურს საქაშნიკო სიმღერა გითხრათ.
მე სრულიად სხვა მინდოდა მეთქვა
და სხვას მამღერებს წყუელი რითმა.
მაგრამ ხელს ვაჟა დამადებს მხარზე,
გზას მინათებს და სიმღერას ითხოვს,
და როცა მტრედი იღვებს ცაზე,
მე მოვახვედრებ ნიშანში სტრიქონს.

შთაგონებასთან ასეთ დაუცრომელ ჰიდილში განვლო ამ დიდი ხელოვანის მთელმა შემოქმედებითმა ცხოვრებამ. მისი პოეტური ბიოგრაფიის დასაწყისი იმ ისტორიულ დღეებს დაემთხვა, როცა საქართველოში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, საბჭოთა წყობილება დამყარდა და განახლებულმა სოციალურმა ვითარებამ მოითხოვა

და გამოიწვია უღრმესი ძვრები და გარდაქმნები ქვეყნის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყოველ სფეროში.

ოციანი წლების პირველი ნახევარი ქართულ ლიტერატურაში შემოქმედებითი ძალების მკვეთრი დიფერენციაციით, განსხვავებული იდეურ-ესთეტიკურ პოზიციებზე მდგომი ლიტერატურული გაერთიანებებისა და დაჯგუფებების აღმოცენებით, მათ შორის მძაფრი ლიტერატურულ-პოლიტიკური ბრძოლებით აღინიშნა.

ს. ჩიქოვანი ამ წლებში მეთაურობდა ახალგაზრდა მწერალთა და ხელოვანთა ჯგუფს „მემარცხენეობას“ რომელიც უპირატესად რუსული „ლეფს“ ზეგავლენით პრეტენზიას აცხადებდა სოციალისტური რევოლუციის შესაბამისი მხატვრული კულტურის მშენებლობაზე და ამ კეთილშობილური მისწრაფების განხორციელებისათვის წარმოებულ მუშაობაში იმეორებდა რუსული „ლეფისათვის“ დამახასიათებელ „შეცდომებსა და გაუგებრობებს. ს. ჩიქოვანის პოეტური მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი იყო „ზაუმური“ ბგერწერით, „სიტყვათქმედობით“ გატაცებანი, ისეთი უკიდურესი ექსპერიმენტები, რომლებიც გარკვეული ნოვატორული მნიშვნელობის მიუხედავად გაუგებარი, მიუწვდომელი და მიუღებელი აღმოჩნდა მკითხველთა ფართო ფენებისათვის. უნდა ითქვას, რომ უკვე ამავე წლებში ახალგაზრდა პოეტი იჩენს შემოქმედებით ინტერესს სამოქალაქო ომის თემებისადმი, ახალი ცხოვრების პროცესებისადმი და უკვე ოციანი წლების მეორე ნახევრის დამდეგს წერს ლექსს „გზა საბჭოეთში“, რომელსაც ღრმად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ქართული პოეზიის განვითარებისათვის. ამ ლექსში პოეტური აღწერილობის იშვიათად შთამბეჭდავი ხელოვნებით ახალგაზრდა პოეტმა გამოხატა მადლიერებისა და ძმური სიყვარულის გრძნობა საბჭოთა სამყაროსადმი, სოციალისტური რევოლუციის უპირველესი შემოქმედის — რუსი ხალხისადმი:

დიდო ქვეყანავ, სამშობლო ხარ ჩემი მამულის,
დიდო მინდვრებო, შემაყვარე სწრაფი ბორბლები,
ღროშა მომყვება ჰოშირიალე და მეწამული,
და მეც თქვენთან ვარ ჩემი მთით და ჩემი ორბებით.
აზოვის ზღვიდან, პონტოს წყლიდან და ყოველ

მხრიდან

ღელავს პურისფრად მომავალი რუსულ თვალებში,
ხალხის მარჯვენა ოფლიანი შრომაში მზრდიდა
და წკრიალებდნენ ბულბულები მყუდრო ღამეში.
ახლაც გვაღვაში ლიანდაგთან გალობს ბულბული,
მივქრი მინდორზე, ხმას იმადლებს გული მღერალი,
საბჭოთა ქვეყნის დიდ სივრცეებს დახარბებული,
ქვეყნის მყობადში მიმაქროლებს ჩემი მერანი.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რაოდენ აქტუალურ და მრავ-

ვალმხრივად დადებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ ლექსს ოციანი წლების ჩვენი საზოგადოებრივი და ლიტერატურული სინამდვილისათვის. მალე პოეტი იწყებს ინტენსიურ შემოქმედებითს მუშაობას იმისათვის, რომ ცხოველყოფელ პოეტურ სურათებში წარმოსახოს ჩვენი დროების მთავარი აზრი და შინაარსი, — ძველისა და ახლის სამკვდროსასიცოცხლო ორთაბრძოლა და ამ ბრძოლაში ახალი სამეურნეო და ყოფით ურთიერთობათა ძლევამოსილება, ახალი ადამიანის ხასიათის, მისი ამაღლებული თვისებების ჩამოყალიბება და დამკვიდრება.

ამ თემებს დიდი ადგილი ეთმობა პოეტის შემოქმედებაში ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე, სწორედ ამ დიდი ისტორიულ-სოციალური კონფლიქტების უკიდურესად გამწვავების პერიოდში და პოეტის მოქალაქეობრივი პოზიციის დასახასიათებლად საგულისხმოა, რომ იგი ზედიზედ აქვეყნებს ლექსებს, რომლებშიც წარმოსახულია საქართველოს მთიან კუთხეებში — სვანეთში, ფშავში, ხევსურეთში ახალი ცხოვრების ქარიშხლის განმაახლებელი ქროლის მძლავრი და ყოვლისმომცველი შეჭრა. დიდი ხანია ქართული საბჭოთა პოეზიის ქმნილებებად იქცნენ და ამ ციკლის ისეთი ლექსები სიმონ ჩიქოვანისა, როგორცაა „უშგული“, „შემოდამება ხახმატში“ და სხვ. ლექსში „უშგული“, რომელშიც ქართულმა პოეზიამ პირველად გაჩაღებული ბრძოლა დაგვანახა ბრძოლით გამოღვიძებული სვანი ახალგაზრდობის სახეები, მთელის ძალით თავი იჩინა ახალგაზრდა პოეტის მალაღმა მეტაფორულმა ოსტატობამ, პოეტური ფერწერის მისმა ორიგინალურმა ხელოვნებამ, ბუნების სურათების ისეთი გაცოცხლების იშვიათმა ძალამ, რაც ღრმა სოციალურ აზრსა და მნიშვნელობას განასახიერებს.

ოცდაათიანი წლების დამდეგიდან ს. ჩიქოვანი თანამრმდევრულად აფართოებს თავის პოეტურ სამყაროს, აღრმავებს პოეტური წარმოსახვის ოსტატობას, რომლითაც იგი ერთ-ერთ უპირველეს ადგილს იმკვიდრებს ქართულსა და მთელს მრავალეროვნულ საბჭოთა პოეზიაში.

მშობლიური ქვეყნის ბუნების სურათების ხატვისას პოეტი იჩენს ფერმწერისათვის შესაშურ ხელოვნებას ფერებისა და საღებავების შეხამებისა, ნახატის კომპოზიციის იშვიათ ოსტატობას, საკუთარ, ღრმად თვითმყოფ ხელწერას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ის სურათები არასოდეს არ არის უსულგულო, გულგრილი მკვრეტელობის შედეგი... ყოველი მათგანი გამსჭვალულია მგზნებარე ადამიანური გრძნობით, მღელვარე ლირიკული გააზრებით, წრფელი, გადამღები განცდებით და განზოგადებითი ძალის განწყობილებებით. ამ მხრივ ერთმანეთს ეჯიბრებიან ლირიკული ციკლები „ქართლის საღამოები“, „კახეთის შემოდგომა“, „მშობლიური ნაპირები“, „თბილისის ჩუქურთმები“, ბუნების მაცოცხლებელი, მასულდგმულბედი. მხატვრობის თვალსაზრისით ბუნების სურათებში უღრმესი ადამიანური აზრებისა და გრძნობების განსა-

ხიერების მხრივ გამოირჩევა აგრეთვე დიდი ციკლი „ბუნების კარი“.

განახლებული თბილისის პეიზაჟი ჩიქოვანის პოეზიაში წარმოსახულია, როგორც ჩვენი დედაქალაქის ალორძინებისა და მშენებლობისათვის გაჩაღებული შემოქმედებითი შრომის ღორცშესხმული გამოხატულება:

წყალში ელავენ სარკმლის შუშები,
ნულის რტოები მოურთავს აპრილს,
მტკვარში ჩამდგარან გამარჯე მუშები
და უსწორებენ დამტვრეულ ნაპირს.
წყალი მოკირწყლულ ნაპირს შორდება,
მწამს კალაპოტში ჩავა ოცნებაც,
შეიშმუშნება და გასწორდება
და მომავალში გადიტყორცნება.

ამგვარად ერთიანდება ს. ჩიქოვანის პოეზიაში ბუნებისა და გარემოცვის მხატვრობა და ხალხის მძალე მისწრაფებათა, ნათელ ადამიანურ აზრთა და გრძნობათა ღორცშესხმის ხელოვნება. ყოველივე ეს კი მთლიანად არის გამსჭვალული და შთაგონებული საბჭოთა პატრიოტიზმის იმ უწმინდესი გრძნობით, იმ უმაღლესი მოქალაქეობრივი იდეალებით, რომელმაც მთელს ჩვენს პოეზიაში და კერძოდ ს. ჩიქოვანის შემოქმედებაში განსაკუთრებულის ძალით და ცხოველმყოფლობით იჩინა თავი დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში.

სწორედ ჩვენი ხალხის ამ უმაგალითო საბრძოლო შემართების ვითარებაში დაწერა ს. ჩიქოვანმა პატრიოტული ლირიკის ისეთი საყოველთაოდ ცნობილი უქცნობი ნიმუშები, როგორიცაა „ვიცნა თქვა“ და „არ დაერქმევა პატარა მხარე“. სწორედ იმ მრისხანე დღეებში გამოძერწა მისმა მძლავრმა პოეტურმა ფანტაზიამ ერის უკვდავი სულის გამომხატველი სახე აჩრდილისა, რომელიც გაჰყიენებდა სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად ამდგარ ხალხს:

წინ, საქართველოვ, მიღმა ვინ არი?
მქონდეს მარჯვენა ომში ქებული,
შეუდრეკლობა, დარი მყინვარის,
მტერზე შეტევა თერგისებური.
წინ, ვაეკაცებო, მთები იძახდნენ,
მდინარე ჰქუხდა ხევი გაკრილი
და საქართველოს მიწის სიმაღლეს
მთებზე ყიოდა ჩვენი აჩრდილი.

ჩვენი ქვეყნის საუკუნოვანი ისტორიული და თანამედროვე გმი-

რული ტრადიციების ერთობლიობის ცოცხალი სახე გამოკვეთა მაშინ ს. ჩიქოვანმა ლექსში „ქართველი დედა“, ამ ლექსის გმირი ქალი:

წამომდგარი ლეჩაქს გაღმოსვრის,
გორის ციხით ახლაც უხმობს მხედარს:
— მამულისთვის, ბრძოლა მამულისთვის!
ქარში რეკავს საქართველოს დედა.

სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობა ს. ჩიქოვანის პოეზიაში განუყოფელია ხალხთა ურღვევი ძმობისა და მეგობრობის უწყმინდესი იდეისაგან. ლექსი „მოსკოველ მეგობრებისადმი“ პოეტი მთელი ქართველი ხალხის გრძნობისა და აზრის გამომხატველ სიტყვებით მიმართავენდა მოძმე რუს ხალხს:

მოსკოვში მიჰქრის გულისთქმა ჩემი,
ქარიშხალია, გიგონებთ, ძმებო,
თავზე დაგენათის ვარსკვლავი კრემლის,
ციხურის სადარი და საოცნებო.
ხმა პუშკინის და ხმა რუსთაველის,
წრფელი გრძნობა და საამო ხმები,
ყურძნის ქარვა თუ პურის თაველი,
გადაჭვარული წყრიალა ხმლები.

პოეტმა ლექსების მთელი ციკლი შექმნა მოძმე სომხეთში მოგზაურობის შედეგად და ამ ციკლის ყოველი სტრიქონი სომეხი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმობის სახელოვანი ტრადიციის, ჩვენს ნათელ ეპოქაში ახლებურად აღორძინების და გაბრწყინების შთაგონებულ საგალობლად ეღერს. რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი ძმობის ამაღელვებელ საგალობლად გაისმა დიდი სამამულო ომის წლებში ს. ჩიქოვანის შესანიშნავი ქმნილება, — პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომლის მთავარი გმირიც სწორედ ამ სამი ხალხის ურღვევი მეგობრობის ნათელ წინაპრად წარმოგვიდგება.

ამ პოემაში ს. ჩიქოვანმა განსაკუთრებული სიღრმით გამოავლინა თავისი უნარი და ნიჭიერება შორეული წარსულის მოვლენათა გაცოცხლებისა და წარმოსახვისა ჩვენი ხალხის ყველაზე აქტუალური თანამედროვე აზრებისა და გრძნობების შუქზე.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ ფრიად ორიგინალური ნაწარმოებია, როგორც უანრის, ისე კომპოზიციის, საერთოდ — პოეტური მონაფიქრისა და შესრულების თვალსაზრისით. ეს არ არის პოემა, რაიმე ერთიან ფაბულურ მოტივზე, ერთიან სიუჟეტურ ლერძზე დამყარებული ეპიკური ნაწარმოები. იგი არც ლირიკული ფრაგმენტების კრებულაა. ეს თავისებური პოეტური ციკლია, რომლის შემადგენელი

ლექსებიც, ყოველი მათგანის საკუთარი აზრისა და დამოუკიდებელი ღირებულების მიუხედავად, გაერთიანებულია არა მარტო საერთო იდეურ-თემატიური მიზანდასახულობით, არამედ მტკიცე შინაგანი ლირიკული თანმიმდევრობით და მხატვრული მთლიანობით. პოეტმა მოგვითხრო აზრებითად იგივე, რაც ესოდენ მაღალი ხელოვნებით აქვს მოთხრობილი თვით გურამიშვილს თავის უკვდავ „დავითიანში“. მაგრამ ს. ჩიქოვანის პოემაში ეს მასალა სრულიად ახლებური და განსხვავებული შუქით არის განათებული, თავისებური მსოფლმხედველობრივი კონცეფციით არის გააზრებული და წარმოსახული.

საქართველოს ისტორიის მეტად მძიმესა და სუსხიან ხანას, ძველა საქართველოს მწუხრის ეპოქას, მე-18 საუკუნის ქართველი ხალხის პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ვითარებას ეს წიგნი გვიხატავს. ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანის — დავით გურამიშვილის ცხოვრების მღელვარე ისტორიისა და მისი უსაზღვროდ რთული სულიერი სამყაროს თავისებური პოეტური გაშუქების გზით.

სიმონ ჩიქოვანის წიგნი ჩვენ ვხედავთ პოეტურად გაცოცხლებულ სახეს დავით გურამიშვილისას, რომელმაც სამშობლოს მტრების მიერ დატყვევებულმა, ბნელი ორმოდან თავდაღწევისთანავე მიაშურა რუს მოძმეს, მისგან მიიღო პირველი ნუგეში და სასიცოცხლო მხარდაჭერა, თავისი სისხლი დაღვრა რუს და უკრაინელ ხალხთა შვილებთან ერთად გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. და, ბოლოს უკრაინაში დასახლებულმა მშობლიურ ჰანგებთან რუსული და უკრაინული ხმების შერწყმით შექმნა თავისი უკვდავების დამამკვიდრებელი დიდებული საგალობელი.

ამ სახეს განვიცდით, როგორც ხორცშესხმულ სიმბოლოს ქართველი ხალხის იმდროინდელი ცხოვრებისა, როდესაც იგი მძვინვარე და დაუნდობელი მტრების მიერ გარემოცული და უთანასწორო ბრძოლებში სისხლისაგან დაცლილი, თავგამოდებით მიიწევდა თავისი დიდი ჩრდილოელი მეზობლისაკენ, რათა მასთან სამუდამოდ დაძმობილების გზით მოეპოვებინა თავისი ისტორიის განახლებისა, წყლულთა მოშუშებისა და მომავლის უკვდავების საწინდარი.

თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების მთელი ბუნებით რუს და უკრაინელ ხალხებთან განუყოფლად დაკავშირებული დავით გურამიშვილი გვევლინება ჩვენს სამშობლოში ახლა დამკვიდრებული ხალხთა ურყევი მეგობრობის შორეულ წინამორბედად და მოციქულად.

გურამიშვილის პიროვნების ასეთი გაგება წარმოადგენს სიმონ ჩიქოვანის ნაწარმოებში განსახიერებული შემოქმედებითი კონცეფციის საფუძველს და ამ თვალსაზრისის დიდი ისტორიული სიმართლე და ღრმა თანხმობანება ჩვენი ხალხის ახლანდელ აზრებთან და განწყობი-

ლებებთან უკვე მნიშვნელოვან წინაპირობად ხდება ამ წიგნის წარმატებისათვის.

სიმონ ჩიქოვანის, ამ შემთხვევაში ისტორიული ყანრის ნაწარმოების ავტორის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი ახერხებს თანამედროვე ადამიანის გრძნობებისა და აზრების სამყაროსთან მიახლოვოს ისტორიული პიროვნება. ამას პოეტი აღწევს გარკვეული ხერხით: ისტორიულ გმირთან საკუთარი პოეტური ცხოვრების დაკავშირებით, უშუალო და წრფელი ინტიმური კონტაქტის დამყარებით თავისი პოეტური წარმოსახვის ობიექტად არჩეულ ისტორიულ პერსონაჟთან. უკრაინელი პოეტებისადმი მიძღვნილ ლექსში, რომლითაც იხსნება ციკლი „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, პოეტი ამბობს:

გურამიშვილი ტიროდა თქვენში,
იგი ტიროდა, თუ მე ვტიროდი,
ამირწყავს მისი ცრემლები პეშვით,
მეც მიმღერია ძველი კილოთი.

ციკლის მეორე ლექსში პოეტი მიმართავს თვით გურამიშვილს:

შენს მოტირილს მეც ვისმენდი
ცად აპყრობილს კვამლის ზოლად,
შენი ცრემლის მელნით ვწერდი
მშობელ მიწის გასაგონად.

და შემდეგ, დავით გურამიშვილის აფორიაქებულ ცხოვრების გადმომცემ ერთ-ერთ ლექსში სიმონ ჩიქოვანი არა მარტო გურამიშვილის სულიერი ტკივილების თანამოზიარედ გვევლინება, არამედ თითქოს მის ფიზიკურ შეგრძნებათა მონაწილედაც:

შენ გცივა თუ მე ვკანკალებ სულერთია,
ოლონდ ვიყოთ მარად ტრფილებით მთვრალი,
შენს წისქვილში მსურდა ღამე გამეთია,
ან მეპოვნა, შენი წვიმით სახე კვალი.

ასე გადალახავს პოეტი თავისი გმირისაგან დამაშორებელ დროისა და სივრცის დისტანციას. ასე ინტიმურად შედის იგი გურამიშვილის განცდათა და გრძნობათა სამყაროში და ეს ემოციური კონტაქტი ისტორიული პიროვნების გაცოცხლებისა და ჩვენი დროის ადამიანის ინტერესთა სამყაროში შემოყვანის მეტად ეფექტურ საშუალებად იქცევა.

გურამიშვილის ბიოგრაფიის მთავარ ეპიზოდთა თანმიმდევრული წარმოსახვითა და „დავითანში“ გამოთქმული მსოფლმხედველობრივი მოტივების თავისებური შემოქმედებითი ინტერპრეტაციის გზით

აყალიბებს სიმონ ჩიქოვანი წარსულის ამ დიდი პოეტისა და ეპოქის რჩეული მოქალაქის შთაგონებულ სახეს.

ციკლის პირველ ლექსებში ჩვენს თვალწინ გაივლიან პოეტურად გაცოცხლებული ისეთი ეპიზოდები გურამიშვილის ცხოვრებისა, როგორცაა მისი დატყვევება, ბნელ ორმოში გატარებული ტანჯვის დღეები, ტყვეობიდან მისი გაქცევა და ლტოლვილებაში განცდილი მრავალი ხიფათი და მწუხარება, ვიდრე თითქოს ბედის მიერ მისთვის გამზადებულ და წინასწარ განზრახულ კალომდე მიღწევდა.

თითქოს ყოველივე ეს ჩვენთვის ცნობილი იყო თვით დავით გურამიშვილის წიგნიდან, რომელიც უმთავრესად პოეტის ავტობიოგრაფიულ მასალაზეა გაშლილი და რომელიც წარმოადგენს პირქუშ ბედთან შეჭიდებული ადამიანის მეტად მგზნებარე ლირიკულ მონოლოგს.

მაგრამ სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლში ჩვენ საქმე გვაქვს გურამიშვილის ცხოვრებისა და სულიერი სამყაროს მოტივების ახლებურ პოეტურ გააზრებასა და გამონახტულებასთან იმგვარად, როგორც ამ დიდ ბიოგრაფიას და ამ დიდ მწუხარე საგალობელს გაიგებს და განიცდის თანამედროვე ადამიანი, ჩვენი ეპოქის პოეტი და მოაზროვნე. ამიტომ ამ პოეტურ ციკლში ახალი სიმწვავეით იხატება გურამიშვილის ცხოვრების დრამა, ახალის სიმკვეთრით გამოვლინდება ის იშვიათი სულიერი რაინდობა, რომელმაც სძლია ჟამთა უკუღმართობას და დაუქკნობი უკვდავება მოიპოვა.

განმეორებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ მთელი ციკლის მანძილზე გურამიშვილის პირადი ხედრი გაგებული და გამონახტულია, როგორც მთელი ერის ისტორიული ბედის სიმბოლური განსახიერება, განათებული ისტორიული პერსპექტივის შუქით, ჩვენი დიადი დღევანდლობის თვალთახედვით. არა ისტორიის ნაძალადევი და ხელოვნური „მოდერნიზაციით“, არამედ ისტორიული მასალისადმი დღევანდელი ადამიანის თვალთახედვის ორგანულად მომარჯვების გზით აღწევს სიმონ ჩიქოვანი ასეთ ახლებურ და აქტუალურ ძღერას შორეული წარსულის ისეთი მოტივებისას, რომლებიც ერთხელ უკვე გვასმინა თვითონ დ. გურამიშვილმა და გვასმინა შეუღარებელი და განუყოფელი პოეტური შთაგონებით.

აი, ლტოლვილი დავით გურამიშვილი პურის კალოს წააწყდა. რუსმა გლეხებმა ძმურად მიიღეს იგი და პური მიაწოდეს შიმშილით ილაჭაწყვეტილ მგზავრს. სიმონ ჩიქოვანი ამ ყოფითს ბიოგრაფიულ ეპიზოდს დიდი სოციალური და ისტორიული აზრით აშუქებს:

შენ რუსის ლუკმა მოგებობო,
ძმური სიამით ღელავდი,
სუფრით აყვავდა გულისტქმა,
რომ მოაღწია ჩვენადი.

დავით გურამიშვილი, „ქარი ქართლისა, რუსეთში გადავარდნილი“ ერთბაშად შეექტებო და შეეთვისა თავის რუს მასპინძლებს. მათ შორის ძმობისა და მეგობრობის კერა გაჩაღდა, რომელიც

ბაღს დაემგანა უნაზეს,
შემდეგ გრძობაში დახვავდა,
და ეხლა გორის კერაზე
ატმის ხესავეთ აყვავდა.

დავით გურამიშვილმა რუსი მშრომელი ხალხის სახით ჰპოვა თავისი პირველი ძმობილი და მომავალი ნამდვილი მოკავშირე.

შენ რუსი შეგხვდა ნამდვილი,
ვახტანგს რომ შეხვდა ის არა.
შენებრ ვარაში გაწვრთნილი,
შენებრ რომ სწვავდა იარა.

და სწორედ ჭირისა და ლხინის ასეთი თანაზიარი რუსი ხალხის შესახებ თქმულ მადლიერების საგალობლად გაიხმის სიმონ ჩიქოვანის სიტყვები დავით გურამიშვილისადმი:

იგი გათბობდა ავდარში,
ის გაგრილებდა სიცხეში,
ის გამლერებდა ზამთარში
უღაბნოში და ციხეში...

ეს სტრიქონები ერთხელ კიდევ გვარწმუნებენ, რომ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითს ამოცანას შეადგენდა არა დ. გურამიშვილის პირადი ცხოვრებისა და სულიერი ტკივილების ხელახლა გადმოცემა, ე. ი. თავისებურად განმეორება, რაც დიდებულად სთქვა დავით გურამიშვილმა, არამედ გურამიშვილის ბიოგრაფიის ფაქტებისა და მისი განწყობილების გააზრება იმ დიდი ისტორიული და სოციალური იდეების თვალთახედვით, რომელთა სიმალღეზედაც აიყვანა ადამიანი ჩვენმა სოციალისტურმა ეპოქამ.

ციკლის ერთ-ერთ უძლიერეს ლექსს წარმოადგენს „დავით გურამიშვილის გოდება ვახტანგის გარდაცვალების გამო“, სადაც ღრმა ექსპრესიით არის გადმოცემული დიდი პატრიოტის მღელვარე გულისტკივილი, აღმოცენებული საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოახლოებული და გარდაუვალი კატასტროფის შეგნებით:

კერი დაგვენგრა და წვიმაში შევრჩით კეჟანს,
სამშობლოს დროშა არ შრიალებს, დაბლა დაეშვა.

და ამ უღმობელი სინამდვილის მწვავედ განცდის შემდეგ დავითი ეძებს საიმედო გზას:

სად წახვიდე, არაგვზე თუ მოსკოვს,
გადასწყვიტე, თუ რომელი დასთმო?

სამშობლოსაკენ მომავალი გზა დახშულია, რადგან მშობელი მიწა-
წყალი უცხოელ დამპყრობელთა მიერ არის დახანძრული და დარბეუ-
ლი:

ვაი, ვაი, თურმე დედა ჰკივის,
მტერი ქართლით ერეკება ნახირს.
ლტოლვილ ურემს მიუძღვება ქვრივი,
ჯოხის ნაცვლად ებჭინება მახვილს.

და მისი პატრიოტული მხურვალეობით აღგზნებული გული აქ პოუ-
ლობს იმ ერთადერთ გზას, რომელიც გარდაუშვალად იყო ისტორიის
მიერ ნაკარნახევი ამ ვითარებაში ქართველი ხალხისათვის:

გაეშურე დაიოკე ეინი,
ჩრდილოეთის გზა ირჩიე, მწირო,
ხეტიალში ეგებ შექმნა წიგნი.
ვით ტაძარში შეხვიდე და სწირო.

ლექსი „დაბინავება უკრაინაში“ არა მარტო თავისი სტრიქონების
აზრით, არა მარტო პოეტურ ფრაზათა სემანტიკით, თავისი მკმუნვარე
მელოდიურობითაც გულის სიღრმემდე ჩამწვდენი ძალით გადმოგვცემს
სამშობლოს მოწყვეტილი პოეტის წყლულს, მის დაუცხრომელ გულის-
ტივივს:

ქართლს მომწყვითეს და დავიწყე წაწალი,
უკრაინას სახლი დავდგი საწყალი,
დავბინავდი, ხნულში ჩავედ მარცვალბი,
ვიგალობე, ვალულუნე ნაცარი
და არ მყავს მე ლექსის გამგონე.

აქ სიმონ ჩიქოვანი აღწევს დავ. გურამიშვილის პოეზიისათვის და-
მხასიათებელი მელანქოლიური მღელვარების მძაფრ გამოხატვას ნი-
ჰიერად მიგნებულ ცხოველ პოეტურ სახეთა და ჰანგათა ერთიანობაში:

ბალი მიყვარს, ვარდი მიყვარს ტრამალის,
ჩემი სული სანთელია ვარამის.
სად ვიმღერო, ვის ვუმღერო, მითხარით!
ლალად ვარ და არაფერი მიხარის
და ამ გრძნობამ დამაბერა მე!

არა მარტო თავისი ბიოგრაფიით, არამედ თავისი შემოქმედების
მუსიკითაც დავით გურამიშვილმა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმობის
მაღალი იდეა განასახიერა და გვიანდერძა. ამგვარად განიცდის სიმონ
ჩიქოვანი დავით გურამიშვილის პოეზიაში შემოსულ რუსულ და უკ-

რაინულ ფოლკლორულ-სასიმღერო მოტივებს და ამ აზრს განასახიერებს ლექსში „სამფერიანი ხმა“:

ექებდა რუსულ გალობის მირონს
და ათანხმებდა მშობლიურ ხმებთან
უკრაინაში გაგონილ კილოს
ის აწყვილებდა ქართველის ბედთან,
რომ ეთქვა მხოლოდ სიმღერა ერთი,
შიგ სამი ფერით ეფეთქა გრძნობას,
შიგ ყოფილიყო ქალარა ღმერთი
და ხეტიალში ჩამქრალი ყრმობა.

თავისი დიდი ტკივილის გამოსათქმელად დავით გურამიშვილმა სამი ხალხის სიმღერა შეადუღა და ამით შთამომავლობას გადასცა ამ ხალხთა ძმობის მარად ჩაუქრობელი პოეტური ანდერძი:

ხმები აანთო მშობლიურ ლერწმით,
შესძლო ტკივილის სხვაგვარი თხრობა
და სამი ხალხის სიმღერის შერწყმით
სთქვა მეგობრობის პირველი გრძნობა.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითი აზრის სიმახვილეს და ფანტაზიის სიცხოველეს მოწმობს ასეთი მეტყველი პოეტური სახე:

შენი წიგნი წაუკოტია ხმების,
შერთმული საქართველოს ვარამის.

როგორი სიღრმით და სიმართლით განგვაცდევინებს ეს ორი სტრიქონი გურამიშვილის პოემის არსებას, მასში შეზავებული ფერებისა და ჰანგების უხვ სიმფონიას, მასში გამოთქმულ განწყობილებათა ისტორიულ აზრს და შინაარსს.

ციკლის ყველაზე ვრცელი ნაწარმოები „მაგდებურგის ციხეში“, — ასახავს დავით გურამიშვილის საბრძოლო თავგადასავალს, კერძოდ მის მონაწილეობას რუსი ხალხის ძღვევამოსილ ომში პრუსიის მეფის ფრიდრიხის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში დაღვრილი სისხლით დავით გურამიშვილმა დასაბამი მისცა ქართველი ხალხის საბრძოლო კავშირს რუს ხალხთან და სწორედ ამ აზრით არის გამსჭვალული ის სიტყვები, რომლებსაც სიმონ ჩიქოვანი ათქმევინებს დავით გურამიშვილს თითქოს ჩვენი დღევანდელი თაობისადმი, გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმოებული ახლანდელი დიადი ბრძოლის მონაწილე ქართველი ვაჟკაცებისადმი:

ჩვენბ ოდესმე მეომრის ღონე,
ძეო ქართლისავე, მოგყუეს აჰამდი.
მოდი ამ ადგილს და მომიგონე,
რომ მეც პირველად ამ გზას ვკაფავდი.

მაგდებურგის ციხეში დავითის მიერ განცდილი მღელვარება, მისი აზრისა და გრძობის ჭიდილი ტყვეობის მიმე და დამამცირებელ ხვედრთან აქ ასახულია, როგორც უშუალოდ დავითის სულიერი ვითარების გადმომცემ პოეტურ სურათებში, ისე ზამთრისა და ზაფხულის ურთიერთ ბრძოლის პეიზაჟით, რომელიც დიდი ექსპრესიით არის აღბეჭდილი.

პოეტის ფანტაზია წარმოგვიდგენს მაგდებურგიდან გაქცეული დავითის ალტაცებულ შეერთებას გამარჯვებულ რუსთა ლაშქართან. ამ უკანასკნელის მიერ ბერლინის აღებით გამოწვეული პატრიოტული აღფრთოვანების უშუალოდ გაზიარებას.

სიკოცხლის დასასრულს მიახლოვებულ დავითის „გაბაასებანი სიკვდილთან“ აქ წარმოდგენილია, როგორც ხვედრთან დავითის განუწყვეტელი ჭიდილისა და ბრძოლის გაგრძელება. გურამიშვილი ებრძვის სიკვდილს მარადისობისა თუ უკვდავების სახელით. სიმონ ჩიჭოვანის ფანტაზია აქ სახვს დავითის „უცნაურ სურვილებს“, რომ იგი კუბოს ნაცვლად აკვანში ჩაასვენონ:

ჩემი ჩატევა აკვანში სცადეთ,
კუბოს მაგიერ აკვანში ვიყო,
რომ დასასრული დასიწყისს ჰგავდეს,
სიკვდილის შემდეგ არ გავირიყო,
ის იავნანა აკვანთან თქმული,
განვიღო ცხოვრებას შეიტკობს აგრე,
ეგებ დავსძლიო სიკვდილი კრული,
აკვნიდან მღერით მეორედ აღვსდგე.

ასევე საყურადღებოა პოეზიის ფანტაზიით შეთხზული გურამიშვილის წარმოდგენა მიახლოვებული სიკვდილის სახეობაზე და კიდევ უფრო ღრმა აზრის შემცველი დავითის ოცნება იმაზე, რომ მისი სიკვდილის შემდეგ დაუმარხავად შეინახონ მისი მარჯვენა, როგორც მარადიული სიმბოლო მოქმედებისა და შემოქმედების უკვდავებისა:

როგორც ტაძარზე მიკრული მკლავი
ჩემს ხელთაწერზე დარჩეს მარჯვენა,
რომ სთქვან: ანთო ხელმა ვარსკვლავი
და სულიერი შფოთი გვაჩვენა.

საწუთროსთან თავის უკანასკნელ „გაბაასებაში“ დავით გურამიშვილი შთამომავლობას ავედრებს და აბარებს თავის შთავონებულ სიმღერებს, რომლებსაც მომავლადევი პოეტ, თავისი ცხოვრების მარადიულ გაგრძელებად სახავს:

მაგრამ დავტოვე ბალი, ტანტალა,
ხმა ჩავუწერე ზარივით წყნარი,
თუ სადმე შეგხვდეთ ჩემი პატარა,
დააღვივებთ მამულის წყალი.

შთამომავლობამ შეუსრულა გურამიშვილს ეს სათხოვარი. მან სიყვარულის შეუნელებელი გრძნობით შემოსა გურამიშვილის პოეტური სამყარო და ახლა, თანამედროვე პოეტი თითქმის ამ მადლიერი შთამომავლობის სახელით მიმართავს თავის საამაყო წინაპარს:

წისკვილიდან დაგენახა სანთლით
გორის ბალში ეხლანდელი დარები.
ფარშავანგათ დახატული ქართლი,
რას იტყოდი, როგორ გაიხარებდი.

ჩვენი სამშობლოს დიდებული დღევანდელობა წყლულს უშუშებს წარსულის დიდ პოეტს, აქარებებს მის მწვავე გულისტკივილს:

შენ ვერ იტყვი. ვახ, სოფელო მრუდევ!
თუმცა გვალვით გათუთქული წვალბდი.
წამოდეკი, ნახე შენი ბუდე
და განგვბანე უკვდავების წყაროთი.

გურამიშვილისადმი მიმართული ამ მომწოდებელი სტრიქონებით იხურება სიმონ ჩიქოვანის წიგნი „სიმღერა დავით გურამიშვილზე“.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რამდენად რთულსა და საყურადღებო პოეტურ ნაწარმოებთან, რამდენად ფართო დიაპაზონის მხატვრულ ქმნილებასთან გვაქვს საქმე ამ წიგნის სახით.

ამ წიგნის უპირველეს ღირსებას წარსულის მასალის აქტუალური განცდა და ჩვენი საბრძოლო დღევანდელობისათვის დამახასიათებელი თვალთახედვით მისი წარმოსახვა შეადგენს. მთელი ციკლი ერთიანი შემოქმედებითი კონცეფციით არის გამსჭვალული. მის ყოველ ლექსში ცხოველი აზრის, იდეებისა და პოეტური სახეების მდიდარი და მრავალფეროვანი სამყაროა გადმოცემული. ჩვენ მიერ ციტირებული ადგილები ამ ციკლის ლექსებისა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ როგორის ცხოველმყოფელი ფანტაზიით და გემოვნებით ძერწავს პოეტი თავისი აზრების და განცდების გადმოცემ მხატვრულ სახეებს. მთელი ციკლი მოფიქრებულია ერთიან, მაგრამ მრავალპანგოვან სიმფონიად. აქედან გამომდინარეობს ლექსის რიტმთა და ზომათა დიდი მრავალფეროვნება. აქ შერჩეული მელოდიური მოტივები ერთგვარად ეხმაურებიან თვით დავით გურამიშვილის ლექსის მუსიკას და ამ მხრივაც პოეტს მეტად საინტერესო მუშაობა ჩაუტარებია თანამედროვე ქართული ლექსის კულტურის გასანაყოფიერებლად გურამიშვილის პოეტურ მემკვიდრეობიდან გადმოტანილი ჰანგებით.

ციკლის სიტყვიერი მასალაც აღბეჭდილია ერთგვარი არქაული ნიუანსებით, რაც ამ ლექსთა მეტყველებას ორგანულად აკავშირებს გურამიშვილის პოეტურ ტრადიციასთან.

ამ ღირსებათა მეოხებით სიმონ ჩიქოვანის წიგნი „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, უდაოდ მიეკუთვნება თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის პირველხარისხოვან მოვლენათა წყებას და იგი უექველად დიდ გამოძახილს ჰპოვებდა ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, რომ მას თან არ ახლდეს ერთი საგრძნობი და მნიშვნელოვანი ნაკლი.

მხედველობაში გვაქვს ციკლის არათანაბარი დონე პოეტური ოსტატობის მხრივ, შემთხვევები, როდესაც თავისი დიდი და საინტერესო პოეტური მონაფიქრით გატაცებული პოეტი გულგრილობას და დაუდევრობას იჩენს პოეტური მეტყველების, ე. წ. „გარეგანი ფორმის“ საშუალებათა მიმართ და, რაც მთავარია, ბუნდოვანი და ძნელად ამოსახსნელი მხატვრული სახეების სიჭარბე.

ჩვენ მიერ ზემოთ ამოწერილი მაღალი პოეტური შთაგონებით აღბეჭდილი ლექსების გვერდით ზოგჯერ ვხვდებით მხატვრულად მდარე, ასეთი მასშტაბის ნაწარმოებისათვის პირდაპირ შეუფერებელ ადგილებს. შედარებისათვის საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ამონაწერი ციკლის სხვადასხვა ლექსებიდან:

სიმღერას შენვე ისმენდი,
ახლოს არ გყავდა მშველელი,
არვის არგუნე იმედი,
არვის გხლებია მსმენელი.

(ლექსიდან „სამშობლოში დაბრუნება“)

დატოვე კვართი ნაპობი,
რუსმა ჩაგაცეა თავისი;
აგრე გასცვალეთ ნაყოფი,
ტანის ტანჯვა და ხალისი.

(ლექსიდან „პერანგის ნაწილი“)

ან კიდევ:

შემომახმა ტანზე ჩრდილი,
შესამოსიც გახდა მზრალი,
თითქო ვიყო შესაწირი,
სული ჩემი კვამლში არი.

(ლექსიდან „დავით გურამიშვილის აუგი უფლისადმი“)

ეს ამონაწერები საკმაო სიცხადით გვიჩვენებენ, რომ ისეთი შესანიშნავი ლექსების ავტორი, რომლებიც ჩვენ ზემოთ დავასახელებთ, ზოგჯერ ნაკლებად ზრუნავს პოეტური ფრაზის გამართვაზე, ესთეტიკურ

დახვეწილობაზე, რითმათა მუსიკალურ თანხმოვანებაზე, სახეთა სიცხადესა და სინათლეზე. პოეტი ზოგჯერ მიმართავს მეტისმეტად ბუნდოვან სახეებს, რომელთა ობიექტური აზრის გამოცნობა და წარმოდგენა მკითხველთათვის მიუწევდომელი რჩება. მაგალითად, ლექსში „კალოს ხილვა“ სიმონ ჩიქოვანი მიმართავს დავით გურამიშვილს:

იხილე, პურზე ილოცე,
გულში ზარის ხმა გაისმა,
კევრზე დამჯდარი სიცოცხლე
აკიბორჩხალა დაისმა.

შეუძლებელია წარმოდგინო სიცოცხლე, რომელიც კევრზე ზის და რომელსაც დაისი „აკიბორჩხალებს“, რას გულისხმობს პოეტი ამ „აკიბორჩხალებაში“?

ობიექტურ სიცხადეს მოკლებულ ამგვარ სახეთა და შედარებათა შენება პოეტური დეკადანსის ტრადიციებიდან მომდინარეობს და მას საერთო არაფერი აქვს რეალისტური პოეტური მეტყველების საშუალებათა სისტემასთან.

ხელოვნურია და ნაძალადევი ასეთი შედარებები: „შენს გულში ჩარჩა ძმის კერა, როგორც საგზალის კალათი“, ან კიდევ: „სიმართლეს ვავდა ხშიადი“ და სხვა.

ეს ბუნდოვანი სახეები და შედარებანი, ასეთი დაუხვეწავი და მხატვრულად გაუმართავი თქმები ზღუდავენ ლექსის მიმზიდველობას და მისი ემოციური ზემოქმედების ძალას. ისინი ხელს უშლიან ლექსს ფრთა აისხას, აღსდგეს წიგნის ფურცლებიდან და გზა გაიკაფოს ხალხის გულისაკენ, თუმცა, რა თქმა უნდა, ვერ ანელებენ იმ ღრმა და წარუშლელ შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენს ჩვენზე ეს მრავალმხრივად საყურადღებო, დიდი იდეური და ესთეტიკური ღონის პოეტური ქმნილება.

ისტორიული წარსულისადმი გამძაფრებული შემოქმედებითი ინტერესი ს. ჩიქოვანის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თავისებურებაა. მისი „არმაზის აჩრდილები“, მისი ლექსები, მიძღვნილი ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი, ვაჟა-ფშაველასადმი, ვარძიის ოსტატებისადმი, ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ ოსტატებისადმი და სხვ. თანამედროვე ქართული პოეზიის ნამდვილ მშვენებას შეადგენენ.

დიდად განავრცო და გაათავროვა ს. ჩიქოვანმა ქართული პოეზიის თემატიკური დიაპაზონი თავისი ლირიკული ციკლებით „პოლონეთის გზაზე“ და „გოეთეს ცაცხვებთან“. ამ ციკლების ლექსთა იდეური და ესთეტიკური მნიშვნელობის გასათვალისწინებლად საკმარისია გავიხსენოთ რამოდენიმე სტრიქონი ლექსიდან „საბჭოთა მეომარი ბერლინში“:

შენს თვალში ყანა დაღანებს მწიფე,
აღებ მშვიდობის გზაზე ალაყაფს,
შენი სულია მომავლის კიბე
და ხელს მერმისში ზეუვი გადაჰყავს,

სამშობლოს შუქი გარშემო გაკრავს,
მახვილის ვადას მარჯვენა ბლუჯავს,
არწევ მომავლის უთვალავ აკვანს
და წერ სახალხოდ მშვიდობის გუჯარს.

თუ მწერლობა, მ. გორკის კლასიკური განმარტებით — ადამიანის-მცოდნეობაა, თუ ჩვენი ლიტერატურის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ გამოხატოს რიგითი საბჭოთა ადამიანის ხასიათის ტიპური დადებითი თვისებანი და ამ გზით შექმნას ხალხისათვის მაგალითის მიმცემი და მისაბადი მხატვრული სახეები, მაშინ თავისთავად ცხადია რა დიდი შესაძლებლობანი მოეპოვება ამ სფეროში ლირიკულ ლექსს.

ლირიკული პოეზიის ძალა და უნარი ჩვენი ხალხის სულიერი მშვენიერბისა და კეთილშობილების გამოხატვის, საბჭოთა ადამიანის ხასიათის ტიპურ თვისებათა განსახიერების სფეროში შეუდარებელი სისრულით გამოაჩინდა საბჭოთა ეპოქის უდიდესი პოეტის ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მთელს მრავალეროვან სოციალისტურ ლიტერატურას ჯერ არ შეუქმნია საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა ნაციონალური სიამაყის უწმინდესი გრძნობის განმსახიერებელი ისეთი მკვეთრი და ქმედითი სახე, როგორცაა ლირიკული გმირი ვ. მაიაკოვსკის ლექსისა საბჭოთა პასპორტის შესახებ.

ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად უსაფუძვლოა ლირიკული პოეზიის საკითხებისადმი ის ერთგვარი უყურადღებობა და ინდიფერენტობა, რაც უკანასკნელ ხანებში შესამჩნევი გახდა ჩვენს ლიტერატურასა და კრიტიკაში.

ქართული მხატვრული პროზის, დრამატული მწერლობისა და პოეტური ეპოსის განვითარებაში ბოლო წლებში აღმოცენებულმა დიდმა სიძნელებმა და ხარვეზებმა ჩვენი ყურადღება უპირველესად ამ ქანრისაკენ მიაპყრეს. ჩვენ ბევრს გლაპარაკობთ და ვწერთ ქართული საბჭოთა რომანის ჩამორჩენილობაზე, დრამატურგიის ნაკლოვანებაზე, თანამედროვე ქართული პოემის სისუსტეზე და ისეთი მცდარი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ლირიკის დარგში ყველაფერი რიგზე გქონდეს, ან თითქოს ლირიკული ლექსის ბედი ნაკლებად მნიშვნელოვანია. ლირიკული პოეზიის საკითხებმა ჩვენი ლიტერატურული აზროვნების მეორე პლანზე გადაინაცვლეს. ამ გარემოებამ კი თავისი აშკარად უარყოფითი გავლენა იქონია ჩვენი პოეზიის მდგომარეობაზე.

ბოლო ხანებში ცხოველი აზრისა და ღრმა გრძნობის შემცველი ლექსი, მკითხველის გულისა და გონების ამამლელვარებელი, მძლავრი ეპოციური ზემოქმედების მომხდენი ლირიკული ქმნილება ჩვენში იშვიათ განონაკლრსად იქცა. სამაგიეროდ უხვად ქვეყნდება ნშრალი, უფერული, მდარე ლექსები, რომლებიც არავთარ კვალს არ ტოვებენ მკითხველის ცნობიერებაში და მალე ეძლევიან დავიწყებას. ლექსის გამოჩენილი და სახელმძოხვეჭილი ოსტატებიც კი ნშირად გასაოცარ დაუდევრობას იჩენენ პოეტური მეტყველების ხარისხისადმი, უგულუბელყოფენ პოეტური სახის სიმკვეთრისა და ქმედითობის, რითმის სიახლისა და სიზუსტის, რიტმის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების, პოეტური ფრაზის კეთილშოვანებისა და მელოდიურობის, ნახატის ფერადოვნებისა და კოლორიტულობის ამოცანებს.

ლირიკული პოეზიის იდეურ-მხატვრული ხარისხის ამალღებისათვის ბრძოლას ამჟამად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით.

სიმონ ჩიქოვანის „ახალი დღიურების“ უპირველესი ღირსება ის არის, რომ წიგნის ლირიკული გმირი მოწინავე საბჭოთა ადამიანი, მისი მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროთი, მაღალი და ნათელი საზოგადოებრივი იდეალებით, ჯანსაღი, ოპტიმისტური მსოფლშეგრძნებით, სპეტაკი ზნეობრივი თვისებებით, ფართო, მრავალმხრივი სულიერი ინტერესებით. ამ ლექსების ლირიკული გმირი მგზნებარე საბჭოთა პატრიოტის თვლით შეჰყურებს სამყაროს, კომუნიზმის მშენებელი ხალხის ინტერესების თვალსაზრისით განიცდის და გაიაზრებს თანამედროვეობის მოვლენებს; თავისი უაღრესად პირადი, ინტიმური განცდებითა და განწყობილებებითაც იგი ჩვენი ხალხის ხასიათის საუკეთესო, ტიპიურ თვისებებს, მისი იდეოლოგიისა და მორალის დამახასიათებელ ნიშნებს გამოხატავს.

„ყველაფერი, — ამბობდა ბელინსკი, — რაც აინტერესებს, აღლეებს, ახარებს, აწუხებს, ატკობს, ტანჯავს, ამშვიდებს, ამფოთებს, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც შეადგენს სუბიექტის სულიერი ცხოვრების შინაარსს, ყველაფერი, რაც მასში შედის, რაც მასში აღმოცენდება, — ყოველივე ეს მისაღებია ლირიკისათვის, როგორც მისი კანონიერი კუთვნილება“. საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გამოთქმული ეს ქეშმარიტება სავსებით ძალაში რჩება ჩვენი სოციალისტური ლირიკის მიმართ. კიდევ მეტი, საბჭოთა ადამიანის სწორუბოვრად მდიდარი სულიერი სამყაროს სრული გამოხატვისათვის ჩვენს პოეზიას თემატიკური დიაპაზონის განსაკუთრებული სიფართოვე და მრავალმხრივობა მოეთხოვება.

საბჭოთა ადამიანი თავისი ხალხის დიადი საბრძოლო იდეებით სულდგმულობს, თანამედროვეობის სოციალური მოვლენებისადმი გამ-

ძაფრებული ინტერესით ცოცხლობს, მაგრამ მისთვის სრულიადაც უცხო არ არის სიყვარულისა და მეგობრობის მაღალი გრძნობები, ბუნების განცდა, პირად ადამიანურ ურთიერთობათა საკითხები. საბჭოთა ლირიკამ პასუხი უნდა მისცეს ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების ყველა ამ მოთხოვნას.

სწორედ ასეთი მდიდარი და მრავალფეროვანი სულიერი სამყარო ახასიათებს ს. ჩიქოვანის ლექსების ახალი წიგნის ლირიკულ გმირს. წიგნი იხსნება ლექსით — „გამოთხოვება“, რომელშიაც ღრმა სიწრფელით არის გამოთქმული ი. ბ. სტალინის გარდაცვალებით გამოწვეული გლოვა. წიგნის პირველ რკალში „ლირიკული რვეული“ წარმოდგენილია პოეტური პეიზაჟები, სიყვარულისა და მეგობრობის თემაზე დაწერილი ლექსები. მომდევნო რკალში „ზღვის პირად“ პოეტი გადმოგვცემს შავი ზღვის სანაპიროებზე განცდილ შთაბეჭდილებებს, ამ შთაბეჭდილებათა ნიადაგზე აღძრულ გრძნობებსა და განწყობილებებს. წიგნის შემდეგი განყოფილება „ძველი რვეულიდან“ სამამულო ომისა და, კერძოდ, კავკასიის გმირული დაცვის ეპოპეის პოეტურ სურათებს შეიცავს. მოძმე საბჭოთა სომხეთისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლში „მეგობრული სიმღერები“ ავტორი ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობის უწყინდეს გრძნობას ასახავს და უმღერის. წიგნის ორი უკანასკნელი განყოფილება „პოლონეთის გზაზე“ და „გოეთეს ცაცხვებთან“ მიძღვნილია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების უმნიშვნელოვანესი მოვლენებისადმი და გამოხატავს სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ძალების ძლევამოსილ ზრდასა და განმტკიცებას.

ასე ფართო და მრავალფეროვანია ს. ჩიქოვანის ახალი ლექსების წიგნში გამოხატული თემებისა და სახეების, აზრებისა და გრძნობების სამყარო. ასე მდიდარი და რთულია ამ ლექსების ლირიკული გმირის — ტიპიური საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრება. მაგრამ მთელი ეს მრავალფეროვნება და მრავალმხრივობა გაერთიანებულია მსოფლმხედველობრივი მთლიანობით, იმ ერთიანი თვალსაზრისით, რომლითაც ლირიკული გმირი განიცდის და გაიაზრებს გარე სამყაროსა თუ საკუთარი სულიერი ბიოგრაფიის ყოველ მოვლენას.

საზოგადოებრივისა და პირადულის ორგანული მთლიანობა და განუყოფელობა არის სოციალისტური ლირიკის უპირველესი დამახასიათებელი თავისებურება. საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი მოვლენები, დიდი სახალხო მნიშვნელობის იდეები და პრობლემები მხოლოდ მაშინ პოულობენ ლირიკულ ლექსებში ცოცხალ და ქმედით პოეტურ უღერას, როდესაც ეს მოვლენები და იდეები პოეტის მიერ ღრმად არის განცდილი და ორგანულად შედუღებული ლირიკული გმირის სულიერ სამყაროსთან, გადაქცეულია სუბიექტის სულიერი

ბიოქრაფიის განუყოფელ ნაწილად. და პირიქით, — ადამიანის ყოველ პირად განცდას, განწყობილებას მხოლოდ იმდენად აქვს უფლება საბჭოთა ლირიკულ პოეზიაში გამოხატვისა, რამდენადაც ისინი ხალხის სულიერი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს, ამა თუ იმ ტიპიურ თვისებას ახასიათებენ. ასე ხორციელდება რეალისტურ ლირიკაში ზოგადის ინდივიდუალიზაციისა და კონკრეტულის განზოგადების ის პრინციპები, რომელთა გარეშე შეუძლებელია ტიპური მხატვრული სახის შექმნა.

ს. ჩიქოვანი პოეტური პეიზაჟის შესანიშნავი ოსტატია. საბჭოთა ლირიკის მოწინავე ოსტატთა შორის იგი ვამოირჩევა ბუნების სურათების ფერადოვანი და მეტყველი მხატვრობის ხელოვნებით. მაგრამ პოეტი ბუნების მკვდარ და უსიცოცხლო სურათებს კი არ ქმნის, მისი ლირიკული გმირი ბუნების წარმტაც სანახაობათა მკვერტელობით, კი არ ხასიათდება, არამედ ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრების ყოველი მოვლენისადმი აქტიური დამოკიდებულებით, მათი გააზრებით. ს. ჩიქოვანის პოეტური პეიზაჟები ღრმა ადამიანური გრძნობით და აქტუალური აზრით სულდგმულობენ.

გაზაფხულის მოსვლა, მისის დილა პოეტს თავისი სამშობლოს მიწა-წყლის ნაყოფიერებისა და დოვლათიანობის განსახიერებად წარმოუდგენია და სწორედ ამიტომ უმღერის მას ასეთი შთაგონებით და აღფრთოვანებით:

ვით მთის მდინარეს, სამშობლოს პღვიძავს,
მარად სიფხიზლეს უნერგავს მკვიდრებს,
წყალი აღვიძებს უდაბურ მიწას,
წვიმა აფხიზლებს საყანე მინდვრებს.

მისის მზიური და ფერადოვანი დილა პოეტს ახარებს, როგორც ჩვენი სამშობლოს მარადიული სიჭაბუკის, მისი დაუბერებლობის სიმბოლური გამოხატულება.

საბჭოთა ადამიანის ხასიათის უპირველესი თვისება მდგომარეობს მის აქტიურ დამოკიდებულებაში ცხოვრებისა და ბუნების მოვლენებისადმი. ს. ჩიქოვანის ლირიკული გმირი არასოდეს არ არის გამოთიშული ლექსში გამოხატული სურათისაგან, სულ ერთად, ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებას ხატავს ის სურათი, თუ ბუნების რომელიმე მოვლენას:

ჩემო ლიახვო, მძლავრო ლიახვო,
შუქით მოქარგე მთების ქულები,
მინდა ტალღები ჩემს მკერდს შეახო
და მე შენს ჩქერებს მიეხუტები.

...შენს ქარიშხალში ბევრჯერ შევეცურე,
მკერდით შევაპე შენი ჩქერები,
ჩემო ლიახვო, ახლა მერწმუნე,
ისევ მოვრბივარ და გეფერები.

მშობლიური მიწა-წყლისადმი მგზნებარე სიყვარულის გრძობით არის აღბეჭდილი ს. ჩიქოვანის პოეტური პეიზაჟები. საბჭოთა ადამიანის სულიერი სისპეტაკისა და მშვენიერების გამოხატულებას გვაძლევს პოეტი სიყვარულსა და მეგობრობის თემებზე დაწერილ ლექსებში. მეგობრობასა და სიყვარულში ერთგულების წრფელ საგალობელს წარმოადგენენ ლექსები „ამ ოც წელში გზა განვლიეთ წყვილად“, „მეგობრები“ და სხვა.

„ახალ დღეებში“ მოთავსებულია რამდენიმე ლექსი, რომლებიც ჩვენს ცნობიერებაში აღადგენენ დიდი სამამულო ომის მძაფრი დღეების განცდებს. პოეტის დიდი ღირსებაა, რომ მას შეუძლიან სრულიად ახალი კუთხით გააშუქოს თემა, გადმოგვეცეს მოვლენათა თავისებური აღქმა და პოეტური გააზრება. იმდენად სრულად და მრავალმხრივად ასახა საბჭოთა პოეზიამ სამამულო ომის ეპოპეა. რომ ახლა თითქოს ძნელი უნდა იყოს ამ თემაზე დაწერილი ლექსებით რაიმე ახალ განცდათა და გრძობათა აღძვრა მკითხველში. მაგრამ ეს სიძნელე გადალახულია ს. ჩიქოვანის ლექსებში სწორედ სინამდვილის პოეტური ათვისებისა და გამოხატვის ღრმად ინდივიდუალური საშუალებებით.

ჩვენთვის მშობლიური და ახლობელია ბრძოლის სარბიელად ქცეულ ზღვაში შეცურებული საბჭოთა ადამიანის განცდები და გრძობები, გამოხატული განსაცდელში მყოფი მახლობელი და საყვარელი ადამიანებისადმი მიმართულ სიტყვებში:

უდაბურ ზღვაზე არ მეშინია,
გულს ვერ შეაკრობს ტყვიის წვიმები,
მე ვეჭახები ტალღას ეინიანს
და შენ შორიდან შეგეწყვილები.

ასევე ტიპიური და დამახასიათებელია საბჭოთა ადამიანებისათვის აზრი და განცდა ს. ჩიქოვანის ლექსის ლირიკული გმირისა, რომელსაც საბჭოთა მებრძოლის უპატრონოდ დარჩენილი სახლ-კარი უნახავს და ამ სახლ-კარის მოვლა-პატრონობის კეთილშობილური სურვილი აღძვრია:

გავიფიქრე: მოძმის ბინა
სიჩუმეში აგრე როგორ გამოყრუვდეს!
შვეიჭრები და ტყის პირას
გავაცოცხლებ ომში წასულ მოძმის ბუდეს.
ძალღს მოვიყვან მთიდან ყუფით.
ცეცხლს ავანთებ, პერს ლადარში

ჩაეახედებ,
კარს შეფრქვეულს სისხლის შხეფით
გავრეცხავ და მოძმეს სუფთად

დაეახედარებ.

ლირიკული გმირების განცდებისა და გრძნობების ასეთსავე მაღალ განზოგადებას, მათს ნამდვილ ტიპიურობას აღწევს პოეტი მოძმე სომხეთისადმი მიძღვნილ ლექსების ციკლში. ამ ლექსებში ცოცხალი და მეტყველი პოეტური საშუალებებით განსახიერებულია ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის უწმინდესი გრძნობა. ამ ლექსებში გამოთქმული ყოველი აზრი თუ გრძნობა უშუალოდ და ღრმად არის განცდილი პოეტის მიერ. ყოველი სტრიქონი ღრმად ადამიანური სიწრფელით ჟღერს, მათს ინტონაციაში საეხებით რეალური ლირიკული გმირის გულისძგერა მოისმის. სწორედ ამაშია ს. ჩიქოვანის ამ ლექსების ემოციური ზემოქმედების ძალა.

ლექსი „ყვარელში“ აღმოცენებულია ილია ჭავჭავაძისეული სახლის ეზოში სომეხ ქალთან, — დიდი ოვანეს თუმანიანის ასულთან პოეტის შეხვედრისა და საუბრის შთაბეჭდილებათა ნიადაგზე. ხალხთა ძმობის იდეა ამ ლექსში დაკავშირებულია საბჭოთა ადამიანის ღრმა მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობასთან ჩვენი სახელოვანი წინაპრებისადმი, რომლებიც შეებნელი წარსულის სუსხიან საუკუნეებში საფუძველს უყრიდნენ თავისუფლებისმოყვარეობისა, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის ძვირფას ტრადიციებს.

პოეტური ფერწერის საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს ლექსი „სომხეთის მთებში“, სადაც სომხეთის წარმტაცი ბუნების ფერადოვანი მხატვრობა გამდიდრებულია გარეცხილი ხორბლის გასაშრობად გზაზე გამოსული სომეხი კოლმეურნე ქალების სახეებით. ლექსი მთავრდება ღრმა პოეტური აზრით აღსავსე სტრიქონებით:

გზაზე მღერის ქვეყნის დილა,
ხორბლის ხეავთან და სევანთან ჩაელილი.
მშვიდობის ხმა აფრენილა,
როგორც დილა და სიცოცხლის ყვავილი.

მკვეთრ, გონებამახვილურად მიგნებულ მეტაფორებში პოეტი გამოხატავს სევანის მშვენებას, იმ შეუწინაღებელ და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას, რომელიც სამუდამოდ რჩება ცნობიერებაში ამ დიდებულ სანახაობის მნახველს.

სომეხი ხალხის ცხოვრების დიადი აღორძინებისა და განახლების მეტყველი სურათია დახატული ლექსში „ზანგას ნაპირზე“. აქაც, როგორც ს. ჩიქოვანის სხვა ლექსებში, სინამდვილის ტიპიური სურათი განაყოფიერებულია ლირიკული გმირის ასევე ტიპიური აზრებითა და გრძნობებით:

როგორ გამქრალა თიხის ქოხები,
როგორ შეცვლილა ძველი უბნები,
მხრებს იმალევენ შრომით სომხები,
და ხილთან ქვის მთლელს ვესაუბრები.

ქვები მღელვარე, როგორც ტალღები,
სომხეთის მიწას მკერდში ჰქონია,
მე ორ არარატს მზერით ავყვები
და ზანვა მათი ცრემლი მგონია.

პოეტი ხატავს და უმღერის საბჭოთა სომხეთის მშენებელ რიგითს ადამიანებს, რომელთა შრომითი გმირობა შეადგენს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძღვევამოსილების უპირველეს საფუძველს. საბჭოთა ადამიანის შრომითი გმირობის, მისი ძალაღობა და კეთილშობილური თვისებების გამომხატველ განზოგადებით სახეს წარმოადგენს პოეტის მიერ დახატული სომეხი ქალის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნაზანის პორტრეტი. ეს სახე დახატულია ყოველდღიური შემოქმედებითი შრომის კოლორიტული სურათის ფონზე:

ღვივის ნაზანის შავი თვალები,
დაწითლებია მზეზე ლოყები,
თითქოს სწვევია ბოსელს ქალები
და ქალის ბალახს ძოვენ ძროხები.
ნაზანი დაჰქრის, როგორც ირემი,
მწყემსებს ჰკილიათ ტყავის გულები,
ნახირს უვლიან ბრიგადირები,
დაფრიალებენ ქილის ქედები.

ამ მცირე ლირიკულ ფრაგმენტში თანაბრად დამახასიათებელი და ტიპიურია როგორც მთელი გარემოცვის სურათი, ისე ნაზანის სახე და ლექსის ლირიკული გმირის დამოკიდებულება ლექსში გამოხატული სინამდვილის მოვლენებისადმი.

„ახალ დღეებში“ მოთავსებული ლექსების ორი დიდი ციკლი „პოლონეთის გზაზე“ და „გოეთეს ცაცხვებთან“ — ქართული საბჭოთა პოეზიის, საერთოდ ჩვენი სოციალისტური ლირიკის დიდი შემოქმედებითი მიღწევაა. ეს ლექსები დაწერილია განახლებულ პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პოეტის მოგზაურობის შედეგად. მეტყველი პოეტური სახეებითაა ამ ლექსებში წარმოსახული სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ცხოვრების დიადი გარდაქმნა და განახლება, ამ ქვეყნების განუხრელი აღმავლობა და განვითარება სოციალიზმის გზით.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილის, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტის თვალთ შეჰყურებს, გაიაზრებს და გამოხატავს პოეტი თავის ამ მოგზაურობაში ნახულ და განცდილ მოვლენებს. საბჭოთა ეროვნული სიამაყის გრძნობა, ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო ავანგარდული როლის შეგნება მუდმივად თან ახლავს ამ ლექსების ლირიკული გმირის განცდათა და შთაბეჭდილებათა სამყაროს:

სადაც არ უნდა ვიყო დროებით,
ყველგან სამშობლოს ზეიმს ვესწრები.
თავზე დამნათის არყის რტოვები
და მეც მათბობენ მისი ფესვები.

ვრცელ ლექსში „პოლონეთის გზაზე“ პოეტი ხატავს ომის ხან-
ძრით გადაბუგულ ველებზე ცხოვრების ახალი აღორძინების სურა-
თებს, განახლებული ცხოვრების დიად გზაზე გამოსული პოლონელი
მესაზღვრის, „მინდვრის მეჩუქურთმე“ პოლონელი გლეხის, შრომი-
თი გმირობის შარავანდედით მოსილ პოლონელი მეშახტის ტიპიურ
პორტრეტებს. ესენი ღრმა განზოგადებითი მნიშვნელობის სურათე-
ბია; ადამიანურ სახეთა ეს მდიდარი გალერეა მთავრდება მთელი ციკ-
ლის იდეურის აზრის კონდენსირებულად გამომტქმელი სტრიქონებით:

წაღმა ბრუნავს ქვეყნის ჩარხი,
შუქი ადგას გაშლილ რიყეს,
და მგონია, ყველა სახლი
მობრუნდა და კარებს გვიღებს.

ჩვენი სამშობლოს ხალხებთან და პირველ რიგში დიდ რუს ხალ-
ხთან ახალი დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ძმური მეგობრობა პო-
ეტის ცნობიერებაში აცოცხლებს წარსულის საუკეთესო ადამიანთა სა-
ხეებს, იმ ადამიანთა, რომლებიც შორეულ საუკუნეებიდან თავიანთი
პროგრესული იდეებით და შემოქმედებითი გენიით ენმაურებიან ჩვენს
გმირულ თანამედროვეობას. ასე შემოყავს პოეტის ფანტაზიას აღორ-
ძინებული პოლონეთის სინამდვილეში რუსი და პოლონელი ხალხე-
ბის საამაყო შვილები პუშკინი და მიცკევიჩი:

პოლონეთი დღეს ფრთებს ისხამს,
ხმა მქუხარებს გლეხკაცის და მუშის,
უხარია და ვით ცისკარს,
მიცკევიჩი შინ მოუხმობს პუშკინს.

ასეთივე ძალით არის მოცემული წარსულის ძვირფასი მემკვიდრე-
ობის, თანამედროვეობის აქტუალურ მოვლენათა თვალსაზრისით გა-
აზრებულ ამ ციკლის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „შოპენის სოფ-
ლისაკენ“:

თოვლი დადნება, გაქრები ფიფქი,
მინდვრად მთესველი მარცვლეულს მოჰფენს,
ახლა მშვიდობის შარაზე მივქრი,
ვეახლოვდები შოპენის სოფელს.
რტოზე ყინული მაგონებს მტევანს,
ჰაერს ზარივით ჰკიღია ჰანგი,
მე პოლონეთის დიდ გზაზე ვდგევარ
და გულში რეკავს ქართული ჩანგი.

ამ ციკლის მთელ რიგ ლექსებში დახატულია პორტრეტები რიგითი პოლონელი ადამიანებისა, რომლებიც თავიანთი აზრებითა და საქმეებით განასახიერებენ თავისი ხალხის საუკეთესო თვისებებსა და მისწრაფებებს. ასეთია „ნახშირის ეშხით“ დამშვენებული პოლონელი მეშახტე, რომელიც პოეტს დონბასელ და ტყვარჩელელ სტახანოველებს მოაგონებს; ასეთია ვროცლავში საბჭოთა ოფიცრების სასაფლაოზე მოსული პოლონელი ქალი, რომელიც თოვლით დაფარულ გმირთა საფლავებს ცოცხალი ვარდებით ამკობს, „ყოველ საფლავს ფიქრით დასცქერის და სამშობლოს ურწევს აკვანს“, ასეთია მშვიდობის მომხრეთა ხმების შემკრები პოლონელი გოგონა, რომელსაც პოეტი აღფრთოვანებით მიმართავს:

შენ პატარა მებრძოლი ხარ,
ყვავილი ხარ, ირემი ხარ რემის,
შენ ნომარ თხემზე ზიხარ,
ტურფა ხარ და ღობილი ხარ ჩემი.

კრაკოვსა და სოფელ პორონინაში უკვდავ ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილებისადმი მიძღვნილ ლექსებში პოეტი გამოხატავს რევოლუციის უდიდესი გენიოსის აზრთა და საქმეთა გარდაუვალ ცხოველმყოფელ ძალასა და მნიშვნელობას პროგრესული კაცობრიობისათვის. ის პატარა სახლი და მცირე ეზო, რომელშიც ერთ დროს გენიალური ლენინი ცხოვრობდა, ხალხის განხლებული ცხოვრების დასაწყისის ცოცხალ სიმბოლოდ გამოუხატავს:

მცირე ეზო არწივის ფრთას ისხაძს,
მშვიდობის მგზავს მეგზურობას უწევს,
კარ-მიდამო ჰგავს ანთებულ ცისკარს
და პარტიის მატთანის ფურცელს.
დამკვიდრდა და ფრთა გაშალა მთებში,
ჩანს სიცოცხლის და მშვიდობის მცველი —
და ამ სახლმა ახალს პოლონეთში
მომავლისთვის ჩაღვა საძირკველი.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითი ინდივიდუალობა ყველაზე მძლავრად და მკვეთრად პოეტურ მხატვრობაში ვლინდება. იგი იშვიათი პლასტიკური სიცხოველით ხატავს ღრმა აზრით აღბეჭდილ სურათებს. ასეთი პოეტური მხატვრობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ლექსი „საბჭოთა მეომარი ბერლინში“, ციკლიდან „გოეთეს ცაცხვებთან“. ამ ლექსში პოეტი ხატავს ბერლინში მდგარი საბჭოთა მებრძოლის ქანდაკებას. ეს დიდი განზოგადებითი, სიმბოლური მნიშვნელობის მხატვრული სახეა.

ასეთივე ღრმა აზრით აღბეჭდილი მონუმენტური სახეა დახატული ლექსში „საბჭოთა დედა ბერლინში“, რომელშიც მდიდარი პოეტური ფანტაზიით, მკვეთრი მხატვრული საშუალებებითაა გადმოცემული საბჭოთა ქალის, საბჭოთა დედის მაღალი და კეთილშობილური მორალური ბუნება.

შეუძლებელია საგაზეთო წერილის ფარგლებში სრულიად გადმოვცეთ აზრებისა და გრძნობების, პოეტური თემებისა და სახეების მთელი ის სიმდიდრე. რაც სიმონ ჩიქოვანის ლექსებზე ამ ახალ წიგნს ახასიათებს. „ახალი დღიურები“ ომის შემდგომი წლების საბჭოთა პოეზიის პირველხარისხოვან ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება. ეს წიგნი ნათლად გვიჩვენებს, რომ პოეტი აქტიური, ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცოცხლობს, რომ იგი უდიდესი პასუხისმგებლობით ეწევა დაძაბულ შემოქმედებითს შრომას, შეუნელებლად იბრძვის ახალი, უფრო მკვეთრი და ქმედითი მხატვრული საშუალებების გამოსანახად. საკუთარი პოეტური სამყაროს გასამდიდრებლად. ჩვენ მიერ ციტირებული სტრიქონები მოწმობენ, რომ პოეტის ლექსი თანდათან სულ უფრო ნათელი და ბუნებრივი, მელოდიური და კეთილზმოვანი ხდება, რომ იგი თავის ახალ ნაწარმოებებში აღწევს პოეტური ფორმის გაცილებით უფრო მეტ სისადავეს, ვიდრე ეს მის ადრინდელ ლექსებს ახასიათებდა.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით პოეტს აღარ ჰქონდებოდა შემდგომი განვითარება, რომ ამ მხრივ მის მიერ ყველა ნაკლები უკვე მთლიანად დაძლეულია.

„ახალ დღიურებშიაც“ ვხვდებით ისეთ ლექსებს, რომლებშიც ლექსის ე. წ. „გარეგანი ფორმა“, სიტყვის ხელოვნება ვერა დგას ნაწარმოებში გამოხატული აზრისა და მონაფიქრის სიმაღლეზე. ეს ითქმის, მაგალითად, ვრცელი ლექსის „პოლონეთის გზაზე“ ზოგიერთი პასაჟის შესახებ, წიგნის დასკვნითი ლექსის — „შინ მინაწერის“ შესახებ და სხვ. ასეთ შემთხვევებში ლექსის აზრობრივი სიღრმით და სახეობრივი სიმდიდრით დაკმაყოფილებული პოეტი ივიწყებს სიტყვიერი ქსოვილის შესაბამისად მაღალი ხელოვნებით დამუშავების ამოცანას. რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლირიკულ პოეზიაში.

არ შეიძლება არ იწვევდეს მკითხველის კანონიერ უკმაყოფილებას ის გარემოება, რომ ს. ჩიქოვანი იყენებს ისეთ ღარიბ რითმებს, როგორცაა: „მკითხავთ — ვნახე“. „ხარ — ტურფავ“, „ვიზიარ — გზაზე“, „ვექებ — ფუქებს“, „კიდეს — შენელდა“, „მაკლდა — ძიყვარდა“, „ჩეროში — ბუდეშურს“. ზოგჯერ მეტყველების არქაული ფორმებით გატაცებული პოეტი უმართებულოდ. გაუგებრად აშენებს ფრაზას, „ესეც ჩემი საბუთია, გულით საბუთს ვინ ამოხეეს“. გაუგებარია: საბუთის გულიდან ამოხევაზეა აქ ლაპარაკი, თუ გულით. გულდაგულ

ამოხევაზე? „ახალ დღიურებში“ ვხვდებით ძნელად გასაგებ პოეტურ შედარებებსა და მეტაფორებსაც: „წლები ჰგვანან განვლილ ქედებს და სახლი ჰგავს შენი ხელის ალერსს“, „ქუჩა არ ჰგავს კინტოს კილოს“, „უბრუნდები ფიქრით თბილისს და გაფრენილ ფუძის მერანს“.

მართალია, ასეთი „ხორკლები“ უკვე იშვიათად გვხვდება ს. ჩიქოვანის პოეტურ მეტყველებაში, მაგრამ მკითხველის კანონიერი სურვილია, რომ ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტის ლექსი ყოველმხრივ დახვეწილი და სრულყოფილი იყოს.

ს. ჩიქოვანს დიდი წვლილი შეაქვს ამ მიმართულებით საბჭოთა პოეზიის განვითარებაში. „ახალი დღიურები“ ამის მეტყველი საბუთია.

ს. ჩიქოვანი მაღალი ინტელექტის, ფართო ერუდიციის, მრავალმხრივი მოქალაქეობრივი ინტერესების ხელოვანი იყო. იგი ზედმიწევნით იცნობდა კლასიკურ და თანამედროვე მხატვრობას, თეატრს, კინემატოგრაფიას, ქართული და არა მარტო ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეთა შორის მას მრავალი უახლოესი მეგობარი ჰყავდა, მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე იგი მრავალმხრივსა და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირს და მონაწილეობდა სსრკ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში, იყო უშრნალ „მნათობის“ რედაქტორი, არჩეული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებული იყო პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიით, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. მოღვაწეობდა პოეტური თარგმანის დარგში, ავტორია უაღრესად საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა, კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საკითხებზე, რომლებიც მთელ ტომს შეადგენენ და პროფესიული განსწავლულობით, აზროვნების სიღრმით და ორიგინალობით არიან აღბეჭდილნი.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა სიმონ ჩიქოვანს სამუდამოდ განსასვენებელი მიუჩინა მთაწმინდის დიდებულ სავანეში, ჩვენი ეროვნული კულტურის კორიფეების გვერდით. ეს გარემოება კი პოეტის ღვაწლის უმაღლესი სახალხო და სახელმწიფოებრივი აღიარებაა..

საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

ხალხთა მეგობრობის საბჭოთა იდეოლოგია, რომელიც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძღვეამოსილების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს, წარსულის უკეთილშობილეს ტრადიციებს განაგრძობს და განავითარებს. საუკუნეთა მანძილზე, როდესაც გაბატონებული რეაქციული კლასები და ანტიხალხური მთავრობები ძალდატანებით თიშავდნენ და აშორებდნენ ხალხებს ერთმანეთისაგან, ნერგავდნენ მათ შორის ურთიერთ სიძულვილისა და მტრობის გესლს; ჩვენი სახელოვანი წინაპრები, გამოხატავდნენ რა ხალხის საუკეთესო მისწრაფებებს, არღვევდნენ ნაციონალური კარჩაეკტილობის ზღუდეებს და საფუძველს უყრიდნენ ინტერნაციონალური სოლიდარობის დიად საქმეს, რამაც სრული განხორციელება მხოლოდ ჩვენს დიად სინამდვილეში ჰპოვა კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური პოლიტიკის ნიადაგზე.

ამის დამადასტურებელ მაგალითს შეიცავს უკრაინელ და ქართველ ხალხთა ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორია. ცნობილია, რომ ქართველ ხალხს მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდა ჯერ კიდევ კიევის რუსეთის სახელმწიფოსთან, მაგრამ ასეთ შორეულ მოვლენებზე რომ არ ვილაპარაკოთ, საკმარისია გავიხსენოთ შედარებით უფრო ახლობელი წარსულის უმნიშვნელოვანესი ფაქტები ამ ურთიერთობისა. ასეთია დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ცხოვრება უკრაინაში, სადაც პოეტმა თავისი მეორე სამშობლო ჰპოვა, სადაც მან შექმნა თავისი „დავითიანი“ — ქართული კლასიკური პოეზიის ეს შესანიშნავი ნაწარმოები. დავით გურამიშვილის საფლავი მირგოროდში და ამ საფლავზე აღმართული ძეგლი მარადიული სიმბოლოა უკრაინელ და ქართველ ხალხთა ურღვევი ძმობისა და მეგობრობისა. გენიალურმა კობზარმა, ტარას შევჩენკომ თავის უკვდავ პოემაში „კავკასი“ მძლავრად გამოთქვა ღრმა თანაგრძნობა და სიყვარული კავკასიელი ხალხებისა და კერძოდ ქართველი ხალხისადმი, რომლის მძიმე სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის მთელი საშინელება პოეტმა კავკასიის ქედზე მიჯაჭვული, ბოროტი ფრინველისაგან გულ-მკერდ დაფლეთილი პრომეთეოსის სახეში გამოხატა. დიდი უკრაინელი პოეტი ბოროტების წინაშე ქედუხრელობას უსურვებდა, უკვდავებას და ბედნიერ მომავალს უქადადა კავკასიის ჩაგრულ ხალხებს, და მათ შორის

ქართველ ხალხსაც. ამიტომაც საცხებით ბუნებრივია ის უდიდესი სიყვარული და მოწიწება, რომლითაც ეპყრობოდა ტარას შევჩენკოს დიდი ქართველი პოეტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი უდიდესი მებრძოლი აკაკი წერეთელი. უღრმესი მადლიერების გრძნობით აღიარებდა აკაკი წერეთელი, რომ სწორედ ტარას შევჩენკოსაგან ისწავლა მან სამშობლოს სიყვარული. მარტო ეს ერთი ფაქტიც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად დავალებულია ქართული კლასიკური მწერლობა მოწინავე უკრაინული კულტურისაგან, საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობის ასეთსავე დიდად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა გამოჩენილი უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას ცხოვრება საქართველოში, სადაც მან გაატარა თავისი შეგნებული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი და შექმნა არა ერთი უპკნობი პოეტური შედეგრი. სურამში, ლესია უკრაინკას გარდაცვალების ადგილზე, აღმართული ძეგლი და პოეტი ქალის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი აგრეთვე დიდებული სიმბოლოა ორი მოძმე ხალხის მუდმივი მეგობრობისა.

უკრაინა-საქართველოს მეგობრულ ურთიერთობათა რევოლუციამდელი ხანგრძლივი ძვირფასი ტრადიციის ბრწყინვალე დავირგვინებას წარმოადგენდა ცნობილი ფაქტი აკაკი წერეთლის გამოსვლისა 1914 წელს თბილისში, შევჩენკოს დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე. შევჩენკოს ბიუსტის წინაშე დაჩოქილი მხცოვანი აკაკი წერეთელი მეტყველად და დაუეწიყარის ძალით განასახიერებდა იმდროინდელ მოწინავე საქართველოს განუზომელ სიყვარულსა და მადლიერებას მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რევოლუციური პოეტისადმი და მისი მშობელი უკრაინელი ხალხისადმი.

ბუნებრივია, რომ წარსულის ბნელსა და სუსხიან საუკუნეებში გამომუშაებული ეს ძვირფასი ტრადიცია ახალი ძალით უნდა გაღრმავებულიყო და განვითარებულიყო საბჭოთა ეპოქაში, როდესაც უკრაინაც და საქართველოც სამუდამოდ გაერთიანდნენ საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო და სწორუბოვარ ნიმუშს ხალხთა ძმური თანამშრომლობისა და თანამეგობრობისა.

როგორც 300 წლის წინათ უკრაინელმა ხალხმა უჩვენა ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს პირველი მაგალითი დიდ რუს ხალხთან განუყოფელად დაკავშირებისა, ისე დიადი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე უკრაინელი ხალხი პირველი გაჰყვა გმირ რუს ხალხს სოციალისტური რევოლუციის გზაზე, საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის დიად გზაზე.

იმ წლებში, როდესაც საბჭოთა რუსეთისა და უკრაინის თვალუწ-

ვდენ მიწა-წყალზე სამოქალაქო ომის ხანძარი ერთო, საქართველო მენშევიკური კონტრევოლუციის მიერ დროებით მოწყვეტილი და გამოთიშული აღმოჩნდა საბჭოთა ქვეყნისაგან. მაგრამ ქართველი მშრომელი ხალხი არ სოდეს არ შერიგებია თავისი ქვეყნის ასეთ ნაძალადევ იზოლირებას სოციალისტური რევოლუციის სამყაროსაგან, არ შერიგებია საქართველოში დასავლეთის იმპერიალისტურ სატელმწიფოთა ბატონობას და მათი დამქაშების, — ქართველი მენშევიკების მმართველობას. ქართველი მუშები და რევოლუციური გლეხობა კომუნისტური ორგანიზაციების წინამძღოლობით განუწყვეტლივ ეწეოდნენ ბრძოლას საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის. ამასთანავე ქართველი ხალხის მრავალი საუკეთესო შვილი თავდადებულად იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე საბჭოთა რუსეთსა და უკრაინაში. მეორე მხრივ, როდესაც მენშევიკური წყობილების დასამხობად აჯანყებულ ქართველ მუშებსა და გლეხებს დახმარებას უწევდა გმირული წითელი არმია, მის რიგებში რუსი ხალხის შვილების გვერდით იბრძოდა მრავალი უკრაინელი ოფიცერი და ჯარისკაცი, რომელთაც თავისი სისხლით მიიღეს მონაწილეობა სოციალური და ეროვნული მონობისაგან ქართველი ხალხის სამუდამოდ განთავისუფლების საქმეში.

ამრიგად, საბჭოთა ეპოქის დასაწყისშივე უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობამ ახალი საბრძოლო წრთობა განიცადა სამოქალაქო ომის ბარკადებზე და საქართველოში საბჭოთა წყობილებისათვის ბრძოლაში ჩვენი ხალხების შვილთა მიერ ერთობლივად დაღვრილი სისხლით.

1922 წლის დეკემბერში საბჭოების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე გენიალური ლენინის ინიციატივით შეიქმნა საბჭოთა ხალხების ნებაყოფლობითი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, — მსოფლიოში პირველი მრავალეროვანი სახელმწიფო, დაფუძნებული მასში შემავალი ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობაზე, მათს სრულ სოლიდარობასა და ურთიერთ მეგობრობაზე. სსრ კავშირის შექმნა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო საბჭოთა ხალხების ცხოვრებაში. ეს იყო კომუნისტური პარტიის ტრიუმფი. შეიქმნა განუსაზღვრელად ფართო სარბიელი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ხალხთა შორის მრავალმხრივი სამეურნეო და კულტურული თანამშრომლობის, მიღწევითა და წარმატებათა ურთიერთ გაზიარების, ურთიერთ მეგობრობის განუხრელი აღმავლობისა და განვითარებისათვის.

მაგრამ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის პირველ ეტაპზე, როცა რევოლუციის მიერ დამარცხებული რეაქციული კლასები ჯერ კიდევ არ იყვნენ ლიკვიდირებულნი, საბჭოთა ხალხების

ინტერნაციონალური დაახლოების საქმეს საგრძნობ წინაღმდეგობას უწევდა კაპიტალისტური წარსულის საზიზღარი მემკვიდრეობა დიდ-მპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სახით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თავიდანვე აქტიური და ქმედითი ღონისძიებებით იბრძოდნენ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გავლენათა აღმოფხვრისათვის, მშრომელთა ფართო მასების სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულსკვეთებით აღზრდისათვის. სოციალისტური მშენებლობის დიადი წარმატებანი სოციალურ დასაყრდენს უსპობდა საბჭოთა საზოგადოებაში შოვინისტურ და ნაციონალისტურ განწყობილებებს. საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და კულტურული ძლიერების ზრდასთან ერთად დიდი რუსი ხალხის მეთაურობით სწრაფი ტემპით ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა ერთიან ძმურ ოჯახად გაერთიანებულ საბჭოთა ხალხების ურთიერთ თანამშრომლობა, მიღწევათა და გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლა, ურთიერთ დაახლოება და დაძმობილება. ოციანი წლების დამლევისათვის ჩვენი ხალხების ეს ძმური მეგობრობა უკვე მკაფიო გამოხატულებას პოულობდა და მნიშვნელოვან როლსაც ასრულებდა ჩვენი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა ეპოქის უკრანულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა კოტე მარჩანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული ქართული სახელმწიფო დრამატიული თეატრის გასტროლები ხარკოვში 1930 წლის აპრილში. ეს იყო ქართული საბჭოთა კულტურის მიღწევათა პირველი ფართო და მკაფიო დემონსტრაცია მოძმე უკრაინის საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე, უკრაინელი ხალხისათვის ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს განახლებული შემოქმედებითი ცხოვრების პირველი უშუალო გაცნობა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საბჭოთა ხალხებს შორის ფართო და მრავალმხრივი კულტურული ურთიერთ თანამშრომლობა ოციანი წლების დამლევებიდან, ოცდაათიანი წლების დამდეგიდან გაიშალა. ამ დროისათვის ჩვენი სამშობლოს ყოველმა სოციალისტურმა ნაციამ თავისი სამეურნეო და კულტურული განვითარების დიდი გზა განვლო, ყოველი საბჭოთა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში დაგროვდა ახალი, სოციალისტური კულტურის მშენებლობის მდიდარი გამოცდილება, სულიერ ღირებულებათა მდიდარი საგანძფრი. ბუნებრივად წარმოიშვა ამ გამოცდილებათა და მიღწევათა ურთიერთ გაზიარების, გაცვლა-გამოცვლის მოთხოვნილება და აუცილებლობა. მანამდე საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთობა მიმდინარე-

ობდა უპირატესად მხოლოდ რუსული კლასიკური და საბჭოთა კულტურის კეთილმყოფელი ზემოქმედების სახით ყოველ საბჭოთა ხალხის კულტურულ განვითარებაზე. ამიერიდან ეს ურთიერთობა უკვე თავისი განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა — დაიწყო მოძმე საბჭოთა ხალხების ნამდვილად კულტურული ურთიერთ ზემოქმედების, ურთიერთ გამდიდრების ხანა.

საგულისხმოა, რომ საბჭოთა უკრაინასა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობის ამ ახალი პერიოდის მომასწავებელი პირველი დიდი ღონისძიება თეატრალური ხელოვნების დარგში განხორციელდა, ეს ღონისძიება დაკავშირებული იყო ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის, დიდი ქართველი საბჭოთა რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის სახელთან.

როგორც ცნობილია, კოტე მარჯანიშვილმა თავისი ზემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი უკრაინაში, კიევში გაატარა. ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველი წლები, სამოქალაქო ომის ქარიშხლიანი წლები, როდესაც საბჭოთა ხალხი თავგანწირულად იცავდა ოქტომბრის მონაპოვარს საერთაშორისო იმპერიალიზმისა და თეთრგვარდიულ კონტრრევოლუციის გააფთრებელი იერიშებისაგან. ამ გმირულ ბრძოლათა დაძაბულ ვითარებაში ყალიბდებოდა ჩვენი სოციალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები, აღმოცენებას იწყებდა, კერძოდ, საბჭოთა თეატრი. კოტე მარჯანიშვილი ამ დროს უკრაინის დედაქალაქ კიევში მოღვაწეობდა და კიევის ლენინის სახელობის (ყოფილი სოლოვკოვის) თეატრის სცენაზე ქმნიდა სპექტაკლებს, რომელთაც ფუძემდებელი მნიშვნელობა ჰქონდათ საბჭოთა თეატრალური ხელოვნების აღმოცენება-განვითარების თვალსაზრისით. ასეთი იყო, მაგალითად, კიევში ხსენებულ თეატრში კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“. ეს იყო უდიდესი რევოლუციური პათოსით. მებრძოლი სულით გამსჭვალული სპექტაკლი, რომელიც ღრმად ეხმიანებოდა სამოქალაქო ომის ბარიკადებზე მებრძოლ საბჭოთა ხალხის სულიერ განწყობილებას. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სამოქალაქო ომის პერიოდის საბჭოთა თეატრის ისტორიაში ძნელია დავასახელოთ მეორე ისეთი წარმოდგენა, რომელიც მასებზე იდენტური, გამარეოლუციონერებელი ზემოქმედების მხრივ შეედრებოდეს კ. მარჯანიშვილის ამ დადგმას. რეჟისორი კრიტიკი თავის წიგნში „რეჟისორთა პორტრეტები“ ამ სპექტაკლის შესახებ წერს: „მახსოვს თეატრის დარბაზი გაქედნილი იყო წითელარმიელებით. პირდაპირ გრიგალსა ჰგავდა. არმიის სარდალმა, რომელიც იმ დროს უკრაინას პეტლიურელებისაგან სწმენდდა, უთხრა მარჯანიშვილს: „ფრონტზე გასაგზავნ წითელარმიელთა

ყოველ ნაწილს ვუჩვენებ თქვენ მიერ დადგმულ „ცხვრის წყაროს“ და მათს აუცილებელ გამარჯვებაში დარწმუნებული ვიქნებიო“. ასეთ გმირულ საბრძოლო სულისკვეთებას ბადებდა ეს სპექტაკლი მაყურებელთა შორის. ამ წარმოდგენის ერთ-ერთი მონაწილე, გამოჩენილი მსახიობი ჯერა იურენევა თავის გემუარებში მოგვითხრობს. თუ როგორ რევოლუციურ აღფრთოვანებას აწვევდა ხალხში ეს წარმოდგენა, რომლის დამთავრებისას მაყურებელი თურმე „ინტერნაციონალის“ სიმღერით გადიოდა თეატრიდან. კიევში კ. მარჯანიშვილის მიერ განხორციელებული ამ დადგმის შესახებ ა. ვ. ლუნაჩარსკი ამბობდა: „...და სწორედ ახალი თეატრალური ფორმების ძიების პროცესში, ეს წარმოდგენა, მნახველთა სიტყვით, აუღერდა ხელოვნების სტიქიურ პასუხად რევოლუციასზე, ხელოვნებაში რევოლუციურ ნაბიჯად მოგვევლინა და იქცა ბრწყინვალე გამამხნეველ წარმოდგენად, რომელმაც უაღრესი აღტაცება გამოიწვია. აი, ასეთი წარმოდგენები დადგა კ. მარჯანიშვილმა კიევში“.

კიევში გატარებულმა შემოქმედებითი მოღვაწეობის ხანამ და, კერძოდ, იქ მის მიერ დადგმულმა „ცხვრის წყარომ“, როგორც ჩანს, წარუშლელი კვალი დატოვა თვით კ. მარჯანიშვილის სულიერ ცხოვრებაზე. ალბათ, ამიტომაც, როდესაც იგი 1922 წელს საქართველოში დაბრუნდა და ქართული საბჭოთა თეატრის მშენებლობას ჩაუდგა სათავეში, განახლებული ქართული თეატრის პირველი სპექტაკლისათვის მან სწორედ იგივე „ცხვრის წყარო“ აირჩია, რომლის დადგმაც რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე სრულიად სამართლიანად აღიარებულია ქართული საბჭოთა თეატრის წარმოშობის აღმნიშვნელ პირველ მოვლენად.

და აი, როდესაც ქართულმა საბჭოთა თეატრმა იმდენად დიდი წარმატებანი მოიპოვა თავისი განვითარების გზაზე, იგი იმდენად დავაუკაცდა და მომწიფდა, რომ შესაძლებელი გახდა მისი მღწევების დემონსტრაცია მოძმე ხალხთა წინაშე, კოტე მარჯანიშვილმა თავისი ხელმძღვანელობით არსებული თეატრით პირველ ყოვლისა უკრაინას, მის იმდროინდელ დედაქალაქს ხარკოვს მიაშურა, რათა უკრაინის საზოგადოებრიობის მიერ გულთბილი შეხვედრით და იქ მიღებული მაღალი შეფასებით გამხნეებულს, გაბედულად ეჩვენებინა ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვისათვის ახალგაზრდა ქართული საბჭოთა ხელოვნების სახე.

უკრაინის დედაქალაქის საზოგადოებრიობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ქართული საბჭოთა თეატრის გასტროლებს, ჯერ კიდევ ხარკოვში ქართული თეატრის ჩასვლამდე მთელი უკრაინული პრესა ვრცლად აშუქებდა ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის მდგომარეობას; გაზეთებსა და ჟურნალებში ყოველდღიურად იბეჭდებოდა წერილები, ინფორმაციები, ფოტო-მასალები საბჭოთა

საქართველოსა და მისი კულტურის მიღწევების შესახებ. უკრაინის პრესა ხარკოვში ქართულ საბჭოთა თეატრის ჩასვლას აფასებდა, როგორც „კულტურული კავშირის პირველ გაზაფხულს“, როგორც „პირველ საქმიან შეხვედრას — კულტურული კავშირის დასაწყისს“.

კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებმა მოძმე უკრაინას უჩვენა არა მარტო ქართველ მსახიობთა და რეჟისორთა შესანიშნავი ხელოვნება, არამედ ქართული საბჭოთა მწერლობის — დრამატული მწერლობის ნიმუშებიც, რამდენადაც თეატრის რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი ეკავა შ. დადიანის, პ. კაკაბაძის, კ. კალაძის, დ. შენგელაიას პიესებს. თეატრთან ერთად ხარკოვში ჩავიდა ქართველ მწერალთა ჯგუფი დ. შენგელაიას, კ. კალაძის და ბ. ჟღენტის შემადგენლობით. თეატრის გასტროლების დღეებში მოეწყო ქართველ მწერალთა რამდენიმე ლიტერატურული გამოსვლა, მათი შეხვედრა უკრაინელ საბჭოთა მწერლებთან. მოეწყო აგრეთვე მარჯანიშვილის თეატრში მომუშავე ქართველ მხატვართა: დ. კაკაბაძის, ელ. ახვლედიანის, თ. აბაქელიას ნამუშევართა გამოფენა, მათი შეხვედრა უკრაინელ მხატვრებთან.

თეატრის სპექტაკლები მაყურებელს რამდენადმე აცნობდა ქართული მუსიკალური ხელოვნების მიღწევებსაც, რამდენადაც მარჯანიშვილის თეატრის ყოველი დადგმა დამყარებული იყო მუსიკალურ-ილუსტრაციაზე. ამრიგად, უკრაინის დედაქალაქის საზოგადოებრიობა ეცნობოდა ერთობლივად და კონდენსირებულად ქართული საბჭოთა ხელოვნების სხვადასხვა დარგს მიღწევებს. თავის მხრივ ქართული თეატრისა და ლიტერატურის მოღვაწენი ამ გასტროლების დღეებში ათვალიერებდნენ საბჭოთა უკრაინის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების უდიდეს მიღწევებს, მყარდებოდა ახლო პირადი მეგობრობა უკრაინელ და ქართველ მსახიობებს, რეჟისორებს, მწერლებს, მხატვრებს შორის. ხარკოვის პრესა ყოველდღიურად ვრცელი რეცენზიებით ეხმაურებოდა და მაღალ შეფასებას აძლევდა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებს, ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენას, ქართველ მწერალთა გამოსვლებს და სხვ.

თეატრის საგასტროლო მოგზაურობა ორი მოძმე ეროვნული კულტურის დაძმობილების ზეიმად იქცა... შევჩვენკოს სახელობის თეატრში გამართულ „ორი თეატრის დაძმობილებს“ საღამოს შესახებ ხარკოვის გაზეთი „პროლეტარი“ წერდა: „უკრაინის რესპუბლიკის შესანიშნავ თეატრში ძმობილდებოდა ორი სახელმწიფო თეატრალური კოლექტივი, ორი თეატრი იმ ეროვნებათა, რომლებიც განსაკუთრებით იყო ჩაგრული ცარიზმის მიერ, როგორც „ინოროდცებს“ შორის ყველაზე მოწინავე და, მამასადამე, ყველაზე საშიში. ამიტომ

ეს დაძმობილება თეატრალურ ჩარჩოში ვერ ჩაეტია და ორი მოძმე რესპუბლიკის სოლიდარობის ზეიმად აქლერდა“.

უკრაინულა ჟურნალი „მისტეცკა ტრიბუნა“ („ხელოვნების ტრიბუნა“) მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების შედეგების შემაჯამებელ წერილში სათაურით: „არა საგასტროლო მოგზაურობა, არამედ კულტურული კავშირის დასაწყისი“, წერდა: „დღევანდლამდე არც ერთ რესპუბლიკას არ უნახავს ქართული თეატრი. ხარკოვს წილად ხედა პირველს მიეღო ქართველი მსახიობები, პირველი გაცნობოდა საბჭოთა საქართველოს ხელოვნების მიღწევებს. მაყუობელი დიდი გატაცებით განიცდიდა ქართული თეატრის დადგმებს, მით უფრო, რომ ეს არ არის მარტო საგასტროლო მოგზაურობა, არამედ უმჭიდროესი კულტურული კავშირის დასაწყისი. ამის დამამტკიცებელია თუნდაც ის, რომ უკრაინის სახელგამმა ქართული თეატრის ჩვენთან ყოფნის დღეებში დაადგინა გამოსცეს უკრაინულ ენაზე ქართველ მწერალთა ნაწარმოებები და წიგნები ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. უკრაინის თეატრებმა დაადგინეს განახორციელონ ქართველ დრამატურგთა პიესები, ქართულმა თეატრმაც თავის მხრივ დასადგმელად მიიღო უკრაინულ დრამატურგთა ნაწარმოებნი... დასაწყისი კარგია და კონკრეტული. შემდეგში ურთიერთ კავშირი უფრო ფართო ხასიათს მიიღებს და გაიზრდება. ახლა მორიგი ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება სრულად გაეაცნოთ საქართველოს უკრაინული ხელოვნება. საქართველომ ხომ ჩვენს შესახებ სწორედ იმდენივე იცის, რამდენიც ვიცოდით ჩვენ საქართველოს შესახებ ხარკოვში ქართული თეატრის ჩამოსვლამდე“.

მართლაც, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ თბილისს საგასტროლოდ ესტუმრა ხარკოვის სახელმწიფო დრამატიული თეატრი, რომელიც ახლა გენიალური უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს უკვდავ სახელს ატარებს. ამ თეატრის ჩამოსვლა და მისი სპექტაკლები საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში ორი მოძმე ხალხის კულტურული თანაშრომლობის სასიხარულო ზეიმად იქცა. ქართველმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ, ქართული საბჭოთა ხელოვნების, თეატრის, ლიტერატურის მოღვაწეებმა აღფრთოვანებული შეხვედრა გაუმართეს მოძმე უკრაინის თეატრალური კულტურის ამ შესანიშნავ კოლექტივს. საქართველოს და კერძოდ თბილისის მაყურებელს რევოლუციამდე უნახავს უკრაინული სპექტაკლები. რევოლუციამდელი უკრაინული სცენის არა ერთი გამოჩენილი მოღვაწე სტუმრებია ხოლმე ჩვენს დედაქალაქს. მაგრამ ხარკოვის უკრაინული დრამატული თეატრის ამ საგასტროლო ჩამოსვლას საქართველოში სულ სხვა მნიშვნელობა და რეზონანსი ჰქონდა. ახლა ქართველი მაყურებლის წინაშე წარსდგა დიდი ოქტომბრის მიერ განთავისუფლებული, განაწლებული საბჭოთა უკრაინის

შემოქმედებითი ძლიერების გამომხატველი თეატრი, რომლის ხელოვნებაშიც მკაფიოდ მოჩანდა ის ნამდვილი აღორძინება და აყვავება, რომელიც მოუტანა ლენინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ საბჭოთა ხალხების კულტურულ ცხოვრებას. თბილისის პრესა ცხოვლად ეხმაურებოდა უკრაინული თეატრის ყოველ სპექტაკლს. უკრაინული თეატრის მოღვაწეებთან ქართული საბჭოთა კულტურის ოსტატთა მეგობრული შეხვედრების დროს ისახებოდა რეალური გეგმები და პერსპექტივები ორი მოძმე ხალხის კულტურულ მონაპოვართა ურთიერთ გაზიარებისა და გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლის შემდგომ გაფართოებისა და გაღრმავებისათვის.

მაღე უკრაინის უმთავრეს ქალაქებში საგანსტროლოდ გაემგზავრა რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელმაც კიდევ უფრო ფართო და სრული წარმოდგენა შეუქმნა მოძმე უკრაინის საზოგადოებრიობას ქართული საბჭოთა კულტურისა, კერძოდ, თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე საბჭოთა ეპოქაში. ამას მოჰყვა ივ. ფრანკოს სახელობის კიევის დრამატული თეატრის ჩამოსვლა თბილისში. შემდეგ ხარკოვის შევჩენკოს სახელობის თეატრი მეორედ ესტუმრა საქართველოს დედაქალაქს.

ჯერ კიდევ ხარკოვში კ. მარჯანიშვილის თეატრის გასტროლებს დღეებში უკრაინის სახელმწიფო საოპერო თეატრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა განხორციელებინა ქართული საოპერო ხელოვნების უმაღლესი მიღწევის „აბესალომ და ეთერის“ დადგმა. მართლაც, 1931 წლის ოქტომბერში, უკრაინის დედაქალაქის საზოგადოებრიობამ თავისი ნაციონალური საოპერო თეატრის სცენაზე გაიცნო ზაქარია ფალიაშვილის ეს უქკნობი ნაწარმოები, — ქართული მუსიკალური კულტურის ნამდვილი მშვენება და სიამაყე. ოპერის დასადგმელად უკრაინის საოპერო თეატრმა სპეციალურად მიიწვია ქართველი რეჟისორი აკაკი ფალავა, ხოლო სპექტაკლის დეკორატიული გაფორმება დაეწავლა ქართველ მხატვარს ს. ნადარეიშვილს. მთელმა უკრაინულმა პრესამ, უკრაინის საბჭოთა საზოგადოებრიობამ, მისცა რა აღფრთოვანებული შეფასება მსოფლიო საოპერო ლიტერატურის ამ ერთ-ერთ შედევრს, მისი დადგმა უკრაინული თეატრის სცენაზე შეაფასა, როგორც მორიგი დიდი წარმატება ქართველ და უკრაინელ ხალხთა შორის მჭიდრო კულტურული ურთიერთობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

ასე იწყებოდა ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დამდეგს ამ ორ მოძმე ხალხს შორის „კულტურული ურთიერთ კავშირის ნამდვილი გაზაფხული“. მას შემდეგ შემოქმედებითი თანამშრომლობის პროცესი თანდათანობით გაღრმავდა და გაფართოვდა, მან მოიცვა ლიტერატურისა და ხელოვნების, საერთოდ კულტურული მშენებლობის ყოველი დარ-

გი, ჩვენი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სფეროები.

მომდევნო წლებში უკვე აუცილებელ ტრადიციად იქცა უკრაინულ და ქართულ თეატრებს შორის რეპერტუარის გაცვლა-გამოცვლა, კენვისა და თბილისის უნივერსიტეტების თანამეგობრობა, კვლევადიებითი მუშაობის კოორდინაცია მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, სახვით-ხელოვნების მიღწევათა გამოფენების სისტემატური გაცვლა-გამოცვლა და სხვ. ახლა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად გვეჩვენება თბილისის სახელმწიფო საოპერო თეატრის სცენაზე უკრაინელი კომპოზიტორის დანკევიჩის შესანიშნავი ნაწარმოების „ბოგდან ხმელნიცკის“ დადგმა, რომლის განხორციელებაშიც თვალსაჩინო მონაწილეობას იღებენ უკრაინული ხელოვნების ოსტატები.

კულტურული შემოქმედების დარგში ასე ფართოდ და მრავალმხრივად გაშლილმა თანამშრომლობამ ცხოველი გამოძახილი პოვა უკრაინელი და ქართული ხალხების ფართო მასებში. ამის საუცხოო ილუსტრაციას წარმოადგენს ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა შორის განმტკიცებული ნამდვილად ძმური, ჭეშმარიტად ამბულელებელი თანამეგობრობა, სამამულო ომის წინა წლებში ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობასა და მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობას შორის აღმოცენდა მეგობრული ურთიერთობა, რომელიც შრომით წარმატებათა ურთიერთ გზიარებაში, სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში გამოიხატა. ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეთა ამ მეგობრობის მრავალმა შესანიშნავმა ეპიზოდმა მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს პრესისა და საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ახლა ეს ურთიერთ მეგობრობა იმდენად გაფართოვდა, რომ უკვე მთელი რაიონები — გენიჩესკისა და მახარაძის რაიონები მთლიანად ჩაებნენ ურთიერთ სოციალისტურ შეჯიბრში. ასეთივე საქმიანი თანამშრომლობით, სოციალისტური შეჯიბრით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ნიკოპოლისა და ჭიათურის მარჯანეცის მრეწველობის მუშები, დონბასისა და ტყვარჩელის მეშახტეები, რუსთავისა და „ზაპოროჟსტალის“ მეტალურგები. ქართული ფოლადის მრავალი მოწინავე ოსტატი უკრაინის მეტალურგიულ მრეწველობის ქარხნებში დაეუფლა ფოლადის წრთობის მაღალ ხელოვნებას.

ასე ფართოდ და მრავალმხრივად მკვიდრდება ჩვენს სოციალისტურ მრეწველობასა და საკოლმეურნეო სოფელში, ხალხის შეგნებასა და ყოფაცხოვრებაში, კულტურული შემოქმედების ყოველ სფეროში ხალხთა დიადი, ლენინური მეგობრობა, რაც ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების, საბჭოთა იდეოლოგიისა და მორალის, ჩვენი კომუნისტური მსოფლმხედველობის, ჩვენი ხალხის სულიერი სამყაროს ერთ-ერთ უპირველეს ღირსებას შეადგენს.

და ყოველივე ეს, ზუნებრივია, მკაფიოდ აისახება ჩვენს სოციალისტურ ლიტერატურაში, მეტყველ გამოხატულებას პოულობს, კერძოდ, უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა სფეროში.

როგორც საერთოდ საბჭოთა ხალხების, ისე, კერძოდ, უკრაინისა და საქართველოს ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარებაში ახალი პერიოდი დაიწყო ს.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილებით „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“. ამ დადგენილებით პარტიამ გააუქმა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, სხვა განცალკევებული სამწერლო და სამხატვრო ორგანიზაციები და დაადგინა ერთიანი საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნა, რომელიც ჩამოაყალიბა 1934 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარებულმა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების პირველმა ყრილობამ. ამ ყრილობისათვის სამზადისის პერიოდში შ. გორკის ინიციატივით გაიშალა დიდი მუშაობა ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ლიტერატურის მოღვაწეთა ურთიერთ გაცნობისა და დაახლოვებისათვის, მათ შორის აქტიური შემოქმედებითი თანამეგობრობის გაცხოველებისათვის. თვით ყრილობის ტრიბუნიდან კი სოციალისტური ლიტერატურის გენიალური ფუძემდებელი; ახასიათებდა რა საბჭოთა ლიტერატურას, როგორც მრავალფეროვან მწერლობას, მოუწოდებდა სსრკ ხალხთა მწერლებს ურთიერთ თარგმნისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის გზით მონაწილეობა მიეღოთ ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობის განმტკიცების დიად საქმეში.

საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესმა მოვლენებმა ახალ საფეხურზე აიყვანა, კერძოდ, უკრაინულ-ქართული ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარება. ყრილობაზე აღძრულმა საყოველთაო ინტერესმა ქართული კლასიკური და საბჭოთა მწერლობის მიმართ ცხოველი გამოძახილი პოვეს უკრაინის საბჭოთა მწერლების მოწინავე მოღვაწეთა შორის.

მანამდეც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უკრაინელი და ქართველი საბჭოთა მწერლები ხვდებოდნენ და ეცნობოდნენ ერთმანეთს. ქმნიდნენ შემოქმედებითი მიღწევების და გამოცდილების ურთიერთ გაზიარების ჭანსად ატმოსფეროს. ზემოთ აღნიშნულ ფაქტებს შეგვიძლია დავუმატოთ კიდევ მაშინ ახალგაზრდა უკრაინელი ლიტერატორის ოლ. პოლტორაკის (ამჟამად უკრაინული სალიტერატურო-სამხატვრო უფრონალის „ვიტჩინას“ მთავარი რედაქტორი) მოგზაურობა საქართველოში ოცდანი წლების დამლევს. ამ მოგზაურობის შედეგად ო. პოლტორაკიმ უკრაინულ პრესაში გამოაქვეყნა მხატვრული ნარკვევების სერია საბჭოთა საქართველოს შესახებ. ვფიქრობ, რომ ეს იყო პირველი შემთხ-

გევა უკრაინის საბჭოთა ლიტერატურაში სოციალისტური რევოლუცი-
ით განახლებული და აღორძინებული საქართველოს ცხოვრების გამო-
ხატვისა. ასევე ქართული საბჭოთა ლიტერატურის პირველ ნაწარმოებს
მოდმე უკრაინის თანამედროვე ცხოვრების თემაზე წარმოადგენდა კონ-
სტანტინე გამსახურდიას წიგნი „უკრაინის თემიდა“. საგულისხმოა, რომ
საბჭოთა უკრაინაში მოგზაურობამ, უკრაინელი ხალხის სამეურნეო და
კულტურული ცხოვრების დიად წარმატებათა გაცნობამ შთააგონა
კ. გამსახურდიას, დაეწერა თავისი პირველი ნაწარმოები საბჭოთა სი-
ნამდვილის თემაზე.

მაგრამ ეს ფაქტები მაინც ორი მოძმე ხალხის ლიტერატურული ურ-
თიერთკავშირის მხოლოდ ეპიზოდებს წარმოადგენენ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 13 აპრილის ისტო-
რიული დადგენილებისა და საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო
ყრილობის შემდეგ ამ ურთიერთობამ სისტემატური ხასიათი მიიღო და
იგი როგორც ქართული, ისე უკრაინული საბჭოთა ლიტერატურის გან-
ვითარების ერთ-ერთ თვალსაჩინო ფაქტორად იქცა.

ქართული კულტურით, ქართული მწერლობის მდიდარი კლასიკური
ტრადიციებით და მისი წარმატებებით საბჭოთა ეპოქაში ღრმად დაინ-
ტერესდა საბჭოთა უკრაინის უდიდესი პოეტი პავლო ტიჩინა. იგი იყო
დავით გურამიშვილის პირველი მთარგმნელი უკრაინულ ენაზე. მან ფა-
სდაუდებელი წვლილი შეიტანა უკრაინაში ქართული კულტურის პო-
პულარიზაციის საქმეში. ქართველ საბჭოთა მწერლებთან მეგობრული
შეხვედრებისას იგი ზეპირად კითხულობს ხოლმე ნიკოლოზ ბარათაშ-
ვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს.

ოცდაათიან წლებში საქართველოში ხშირად ჩამოსვლა იწყეს და ქა-
რთული საბჭოთა კულტურის მოწინავე მოღვაწეებს გულითადად დაუ-
მეგობრდნენ გამოჩენილი უკრაინელი დრამატურგი ალექსანდრე კორ-
ნეიჩუკი და უკრაინული საბჭოთა პოეზიის პირველხარისხოვანი ოსტა-
ტი მიკოლა ბაჟანი. მათი ყოველი ჩამოსვლა საქართველოში, მათი ყო-
ველი გამოსვლა ქართველი მწერლების კრებებზე, ქართველი საბჭოთა
საზოგადოებრიობის წინაშე ორი მოძმე ხალხის მკიდრო კულტურული
თანამეგობრობის დაუფიწყარ დემონსტრაციად იქცევა ხოლმე. მიკოლა
ბაჟანი რამდენჯერმე ხანგრძლივად დარჩა საქართველოში, იმოგზაურა
ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებში და უმნიშვნელოვანეს
სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, გაეცნო ძველი ქართული მატერია-
ლური კულტურის ძეგლებს, გულდასმით შეისწავლა კლასიკური და
თანამედროვე ქართული მწერლობა და იწყო ჩვენი ნაციონალური კულ-
ტურის მიღწევათა ნამდვილად დაუცხრომელი პროპაგანდა საბჭოთა
უკრაინაში. კლასიკური და საბჭოთა ქართული მწერლობის საუკეთესო
ნაწარმოებთა თარგმნა უკრაინულ ენაზე, ქართველ მწერალთა წიგნების

უკრაინულ გამოცემათა რედაქტირება, უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის განუწყვეტელი განმტკიცებისათვის შთაგონებული შრომა გახდა ამ სახელოვანი პოეტის მრავალმხრივი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, ქვეყნისათვის განუზომელი და ფასდაუდებელია მ. ბაჟანის წვლილი უკრაინულ და ქართველ ხალხთა სულიერი დაახლოვებისა და დანათესავების საქმეში.

1935 წელს რუსთაველის სახელობის თეატრმა დადგა ა. კორნეიჩუკის პიესა „პლატონ კრეჩეტი“, რომელიც მთელი ჩვენი მრავალეროვანი დრამატურგიის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს წარმოადგენს და დღემდე საპატიო ადგილს ინარჩუნებს საბჭოთა თეატრის რეპერტუარში.

უკრაინულ ავტორთა პიესები მანამდეც იდგმებოდა ქართულ თეატრებში. ქართველი მაცურებელი იცნობდა იმავე ა. კორნეიჩუკის შესანიშნავ პიესას „ესკადრის დაღუპვას“, მაგრამ „პლატონ კრეჩეტის“ დადგმას რუსთაველის სახ. თეატრში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

რასაკვირველია, თეატრის არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. „პლატონ კრეჩეტი“ იმ წლების მთელს საბჭოთა დრამატურგიაში გამოირჩეოდა საბჭოთა ადამიანის დადებით სულიერ თვისებათა მკაფიოდ გამოხატვით დიდი განზოგადებითი ძალის ტიპიურ სახეში, ცხოვრების ღრმა კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა ასახვით მძაფრად დრამატიზირებული სცენიური სიტუაციების მეშვეობით.

ამ პიესის დადგმამ საეტაპო როლი შეასრულა რუსთაველის სახელობის თეატრისა და, მამასადადგე, მთელი ქართული საბჭოთა თეატრის განვითარებაში.

შემდეგ ა. კორნეიჩუკის სხვა პიესებიც — „ბოგდან ხმელნიცკი“; „ძახველის ჰალა“ და სხვ. მტკიცედ დამკვიდრნენ ქართული თეატრის რეპერტუარში.

როგორც კი საბჭოთა თეატრის რეპერტუარში გამოჩნდა უკრაინელი დრამატურგის მინკოს ნიჭიერი კომედია „გვარის დაუსახლებლად“, იგი დაუყოვნებლივ იქნა თარგმნილი ქართულად და წარმატებით განსახიერებული კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრისა და სხვა საუკეთესო ქართულ საბჭოთა თეატრების სცენაზე.

ქართულ თეატრში თავისი პიესების დადგმასთან დაკავშირებით ა. კორნეიჩუკი არა ერთხელ ჩამოვიდა საქართველოში. მისი ყოველი ჩამოსვლა თბილისში კიდევ უფრო ზრდიდა და აფართოვდა გამოჩენილ უკრაინელ დრამატურგთან ქართული საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებით მეგობრობას და საერთოდ უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას.

უკრაინული საბჭოთა სამწერლო საზოგადოებრობა ფართოდ გამო-

ეხმაურა ქართული კულტურის დიდ დღესასწაულს — გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის მიერ უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის 750 წლისთავის იუბილეს. ამ იუბილესთან დაკავშირებით უკრაინულ პრესაში ფართოდ შეუქდებოდა კლასიკური და საბჭოთა ქართული კულტურის საკითხები, რუსთაველისადმი და, საერთოდ, ქართული მწერლობისადმი მიძღვნილი საღამოები, გამოფენები იმართებოდა უკრაინის ქალაქებში, სამრეწველო ცენტრებში, კოლმეურნეობებში. უკრაინელ მწერალთა მრავალრიცხოვანმა დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა 1937 წელს თბილისში გამართულ სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმის მუშაობაში, რომელიც რუსთაველს პოემის 750 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი. ამ პლენუმზე გ მოჩენილი უკრაინელი პოეტის პავლო ტიჩინას მიერ წარმოთქმული სიტყვა, მიკოლა ბაჟანის, მაქსიმ რილსკის და სხვა სახელოვან უკრაინელ მწერალთა გამოსვლები რუსთაველის საიუბილეო დღეებში შეადგენენ ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს ქართულ-უკრაინულ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისა.

ასევე მხურვალედ გამოეხმაურა ქართული საბჭოთა მწერლობა და მთელი ქართველი ხალხი გენიალური უკრაინული პოეტის ტარას შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავის იუბილეს 1939 წელს. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საგანგებო ბრძანებულება გამოაქვეყნა ტარას შევჩენკოს ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებათა შესახებ. იუბილესათვის სამზადისის პერიოდში მთელი ქართული პრესა აქვეყნებდა წერილებსა და გამოკვლევებს დიდი უკრაინელი პოეტის შესახებ, იბეჭდებოდა შევჩენკოსადმი მიძღვნილი ლექსები ქართველი საბჭოთა პოეტებისა, შევჩენკოს ნაწარმოებთა ქართული თარგმანები და სხვ. მთელს რესპუბლიკაში იმართებოდა მოძმე უკრაინის უდიდესი მწერლის საიუბილეო საღამოები, მისადმი მიძღვნილი ლექციები, მოხსენებები, საუბრები. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული, რომლის შედგენაშიც მონაწილეობა მიიღეს საუკეთესო ქართველმა პოეტმა-მთარგმნელებმა. წიგნი გამოცა შალვა რადიანის და სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობით. აღსანიშნავია, რომ ს. ჩიქოვანს ქართველ საბჭოთა მწერლებს შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარების საქმეში. მან ჯერ კიდევ 1935 წელს ხანგრძლივად იმოგზაურა საბჭოთა უკრაინაში, მის მთავარ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში. ამ მოგზაურობის შედეგად მან დაწერა ლექსების ციკლი „ღონბასის ღამეები“, რომელიც საბჭოთა უკრაინისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები იყო ქართულ საბჭოთა პოეზიაში. მას შემდეგ ს. ჩიქოვანი განუწყვეტლივ ეწევა დიდ მუშაობას საქართველოში საბჭოთა უკრაინის მიღწევებისა და, კერძოდ,

უკრაინული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის. ტარას შევჩენკოს საიუბილეო დღეებში პოეტმა-აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა გამოაქვეყნა მეტად საყურადღებო ლიტერატურული ნარკვევი „შევჩენკო და საქართველო“, რომელმაც პირველად გააცნო ფართო საზოგადოებრიობას უკრაინელ და ქართველ ხალხთა ხანგრძლივი ურთიერთობის მრავალი საგულისხმო ფაქტი.

ტარას შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად 1939 წლის მარტში უკრაინაში გაიგზავნა ქართველ მწერალთა დელეგაცია ს. ჩიქოვანის, ს. ეულის, იასამანის (მ. კინწურაშვილი), კ. ბობოხიძის და ბ. ჟღენტის შემადგენლობით. კიევის საოპერო თეატრში გამართულ დიდ საიუბილეო საღამოზე ქართველი საბჭოთა მწერლობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა პოეტმა ს. ეულმა. ქართველ მწერალთა დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო კიევში ტარას შევჩენკოს ძეგლის საზეიმო გახსნაში. საიუბილეო დღეებში კიევში საზეიმოდ გაიხსნა აგრეთვე ტარას შევჩენკოს მუზეუმი. მუზეუმის გახსნაზე მისასალმებელი სიტყვა ქართული საბჭოთა მწერლობის სახელით წარმოთქვა ბ. ჟღენტმა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ხსენებული დელეგაციის წევრის, პოეტ იასამანის (მ. კინწურაშვილის) თვალსაჩინო დეაწლი უკრაინული და ქართული ლიტერატურის ურთიერთ დაახლოების საქმეში. პოეტ იასამანს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს კიევის უნივერსიტეტში. სტუდენტობის წლებში მან ზედმიწევნით შეისწავლა მოძმე უკრაინელი ხალხის ენა და მწერლობა. ჯერ კიდევ რევოლუციამდე იგი ქართულ პრესაში აქვეყნებდა წერილებს უკრაინულ ლიტერატურაზე და უკრაინული პოეზიის ნიმუშთა თარგმანებს. წლების მანძილზე იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს უკრაინული ლიტერატურის ისტორიის კურსს, განუწყვეტლივ თარგმნის ქართულად უკრაინული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის ნაწარმოებებს, მუდმივი ურთიერთობა და მიმოწერა აქვს უკრაინული ლიტერატურის მრავალ გამოჩენილ მოღვაწესთან და აქტიურ მონაწილეობას იღებს უკრაინულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ყოველ მნიშვნელოვან ღონისძიებაში.

ამავე ხანებში თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში მოეწყო დიდი საიუბილეო საღამო. მიძღვნილი ტ. შევჩენკოსადმი. მოსცენებით გამოვიდა შალვა რადიანი.

1939 წლის ივნისში კიევში შედგა სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმი, რომელიც მიძღვნილი იყო ტარას შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავისადმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ქართველ მწერალთა მრავალი ცხოვანმა დელეგაციამ (შ. დადიანი, გ. ლეონიძე, ი. აბაშიძე, კ. კალაძე, კ. გამსახურდია, ი.

გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი, შ. რადიანი, ა. მირცხულავა, რ. გვეტაძე, ს. ეული, მ. პატარიძე, მარიჯანი, დ. შენგელაია და სხვ.): პლენუმზე უკრაინისა და საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა მდიდარი ტრადიციების შესახებ მოხსენება წაიკითხა პოეტმა ალიო მირცხულავამ. პლენუმის დღეებში საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლობის წარმომადგენლები გაემგზავრნენ კანევში, სადაც დიდი პოეტის საფლავზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. ამ მიტინგზე დიდი შევიჩენკოს ნათელი ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა გიორგი ლეონიძემ.

პლენუმის დამთავრების შემდეგ ქართველმა პოეტებმა ირაკლი აბაშიძემ და კარლო კალაძემ იმოგზაურეს საბჭოთა უკრაინაში, გაიცივნეს მოძმე უკრაინის დიდი წარმატებანი სოციალისტური მრეწველობისა და საკომლემენტარეო მშენებლობის დარგებში. ამ მოგზაურობის შედეგად ქართველმა პოეტებმა საბჭოთა უკრაინისადმი მიძღვნილი არა ერთი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოები შექმნეს.

1940 წლის ივნისში ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა თავისი საყვარელი პოეტის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მესვეურის აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავი. ქართული კულტურის ეს ზეიმი გაიზიარა მთელმა ჩვენმა მრავალეროვანმა სამშობლომ. რუს საბჭოთა მწერლებთან, სხვა მოძმე ხალხთა მწერლობის წარმომადგენლებთან ერთად აკაკი წერეთლის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობა მიიღეს უკრაინული ლიტერატურის გამოჩენილმა ოსტატებმა. უკრაინელმა პოეტებმა დიდი სიყვარულით თარგმნეს აკაკის ლექსები და პოემები, რომლებიც ცალკე წიგნად გამოსცა უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობამ მიკოლა ბაჟანის რედაქტორობით.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში ახალი დიდებული წრთობა განიცადა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევმა ლენინურმა მეგობრობან. როგორც უკრაინის მიწა-წყალზე და კავკასიონის მისადგომებთან, ისე სამამულო ომის ვეებერთელა ფრონტის ყოველ უბანზე უკრაინელი და ქართველი მებრძოლეები ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის შვილებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის, ვერაგ მტერზე გამარჯვების დიადი საქმისათვის. ამან, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად გააცხოველა ურთიერთ შორის კავშირი და თანამშრომლობა ლიტერატურის სფეროშიც.

1942 წლის აგვისტოს დამდეგს, როცა ჰიტლერის ჯოჯოხეთურმა საომარმა მანქანამ კავკასიონის კარიბჭეებს მოაღწია და სასიკვდილო საფრთხე რეალურად დაემუქრა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, საქართველოში ფართოდ იქნა აღნიშნული მე-18 საუკუნის დიდი ქართველი პოეტის დავით გოჩამიშვილის გარდაცვალების 150 წლისთავი. ამ დროს

საბჭოთა უკრაინის მიწა-წყალი თითქმის მთლიანად იყო დროებით ოკუპირებული სისხლიანი ფაშისტური ურდოების მიერ და, კერძოდ, მირგოროდიც. — დავით გურამიშვილის განსასვენებელი ადგილი, — საძულველ დამპყრობელთა ქუსლით იყო გათელილი.

ბუნებრივია, რომ გურამიშვილის გარდაცვალების 150 წლისთავის საიუბილეო დღეებში ქართველი ხალხის და ქართველი საბჭოთა მწერლების თვალი და გული განსაკუთრებულად გამმაფრებული სიყვარულის გრძნობით იყო მიპყრობილი ბრძოლის ხანძარში გახვეული მშობლიური უკრაინისადმი და უკრაინელი მწერლობისადმი, რომელიც თავის ხალხთან ერთად დიადი ბრძოლის ველზე იყო გამოსული და გმირულად იხდოდა თავის მაღალ ვალს სამშობლოს წინაშე, კაცობრიობის წინაშე, ისტორიის წინაშე.

დავით გურამიშვილის გარდაცვალების 150 წლისთავის საიუბილეო დღეებში ქართველმა მწერლებმა ღრმა აზრით და გრძნობით შთაგონებული წერილი გაუგზავნეს თავის საყვარელ თანამოდემებს — უკრაინის საბჭოთა მწერლებს. ამ წერილში ქართველი მწერლები, ადიდებდნენ რა უკრაინელი ხალხისა და უკრაინელი მწერლების გმირულ ბრძოლას კაცობრიობის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ. ურყევ რწმენას გამოთქვამდნენ, რომ მალე ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმიდა მიწა-წყალი და, კერძოდ მოძმე უკრაინა; გაწმენდილი იქნებოდა ფაშისტური ბარბაროსებისაგან და მაშინ უკრაინელი და ქართველი მწერლები თავისუფალი და ბედნიერი უკრაინის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში — მირგოროდში ერთად შემოსავდნენ სიყვარულითა და პატივისცემით იმ ქართველი პოეტის სახელს, რომელმაც ორი საუკუნის წინათ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა უკრაინელ და ქართველ ხალხთა მეგობრობის დიდ ტრადიციას.

და მართლაც, დიდი სამამულო ომის დამთავრებისთანავე, როგორც კი გამარჯვებული საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შემოქმედებით შრომას დაუბრუნდა, გამოჩენილი უკრაინელი პოეტების პაელო ტიჩინასა და მიკოლა ბაჟანის ინიციატივით დაიწყო დიდი ძიებითი მუშაობა დავით გურამიშვილის საფლავის აღმოჩენისათვის და მისი ხსოვნის უკვდავყოფისათვის. ნამდვილი პატრიოტული შთაგონებით, ქართველი ხალხისა და მისი კულტურისადმი წრფელი სიყვარულით გამსჭვალული დიდი შრომა გასწია დავით გურამიშვილის საფლავის საპოვნად უკრაინელმა ლიტერატურისმცოდნემ დმიტრო კოსარიკმა. მან გულდასმით შეისწავლა სათანადო ისტორიულ-ლიტერატურული დოკუმენტები, საარქივო მასალა, უკრაინაში დავით გურამიშვილის ცხოვრების ყოველი ხელმისაწვდომი ფაქტი და ყოველივე ამის შედეგად უეჭველი მეცნიერული სიზუსტით დაადგინა დიდი ქართველი პოეტის საფლავის ადგილმდებარეობა მირგოროდის განაპირას არსებულ ძველ სასაფლაოზე.

უკრაინის მინისტრთა საბჭომ გურამიშვილის საფლავის აღმოჩენასთან დაკავშირებით გამოიტანა დადგენილება პოეტის ხსოვნის უკუდაუყოფრის ღონისძიებათა შესახებ. სხვა ღონისძიებათა შორის დადგენილქნა პოეტის საფლავზე ძეგლის აგება. 1948 წლის 30 ივლისს საზეიმო ვითარებაში საძირკველი ჩაეყარა დ. გურამიშვილის ძეგლს. ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა და მეცნიერებათა აკადემიამ მირგოროდს მიაველინეს დელეგაცია მსოფლიო მწერლის შალვა დადიანისა და ლიტერატურათმცოდნეების ალექსანდრე ბარამიძის და ლევან ასათიანის შემადგენლობით. ესენი იყვნენ პირველი ქართველი მწერლები, რომელთაც წილად ხვდათ ჩვენი სახელოვანი წინაპრის დ. გურამიშვილის საფლავის ხილვა, იმ საფლავისა, რომელსაც ხანგრძლივად უშედეგოდ ეძიებდნენ გასული საუკუნის უდიდესი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

ძეგლის საძირკვლის ჩაყრის ზეიმზე უკრაინის საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, პოლტავის ოლქისა და მირგოროდის რაიონის საბჭოთა და პარტიულ ხელმძღვანელებთან ერთად ხალხთა დიდი ძმობის გრძნობით შთაგონებული სიტყვები წარმოთქვეს შალვა დადიანმა, ალექსანდრე ბარამიძემ და ლევან ასათიანმა. შალვა დადიანმა მუხლი მოიყარა დიდი პოეტის საფლავზე და ქართულად ჩასძახა დავით გურამიშვილს, რომ მისი მრვალტანჯული სამშობლო — საქართველო აღორძინებული და თავისუფალია, რომ ქართლის ქირი სამუდამოდ გაქირავებულია, რომ ასევე თავისუფალი და ბედნიერია პოეტის მეორე სამშობლო — უკრაინაც, რომელმაც თავშესაფარი მისცა ბედის უკუღმართობით სამშობლოსაგან გადახვეწილ დავით გურამიშვილს და თავის მადლიან მიწაზე მიუჩინა მას სამუდამო განსასვენებელი. ქართველმა მწერლებმა მთაწმინდიდან — დიდი ილიას, აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას საფლავებიდან წაღებული მიწა დააყარეს დავით გურამიშვილის საფლავს.

ქართველი მწერლები ესტუმრნენ სოფელ ზუბოვკას, სადაც ხანგრძლივად ცხოვრობდა დ. გურამიშვილი, შეხედნენ მირგოროდის რაიონის მშრომელებს, საოლქო ცენტრის, ქალაქ პოლტავის პარტიულ და საბჭოთა აქტივს და დაათვალიერეს ამ მხარის ღირსშესანიშნავი ადგილები.

უკრაინა-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ეს დიდად მნიშვნელოვანი ეპიზოდი, მირგოროდში დ. გურამიშვილის საფლავზე ძეგლის საძირკველის ჩაყრის დღეები და ამ ზეიმის მონაწილე ქართველ მწერალთა მიერ მიღებული შთაბეჭდილებანი საუცხოოდ აღწერა ლევან ასათიანმა თავის ვრცელ ნარკვევში „დავით გურამიშვილის სა-

ფლავთან“, რომელსაც დიდი ყურადღებით და კმაყოფილების გრძნობით გაეცნო ქართველი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ამავე დღეს, როცა მირგოროდში დ. გურამიშვილის საფლავზე სპიტილი ეყრებოდა პოეტის ძეგლს, საქართველოში დაბა სურამში, სადაც თავისი დიადი ცხოვრების უკანასკნელი დღეები გაატარა უკრაინული ლიტერატურის სახელოვნამა კლასიკოსმა ლესია უკრაინკამ, საზეიმო ზითარებაში მემორიალური დაფა დაიდგა იმ სახლის კედელზე, რომელშიაც გარდაიცვალა პოეტი ქალი.

მირგოროდსა და სურამში ერთდროულად გამართული ხალხმრავალი ორი მიტინგი მისასალმებელი დეპეშებით გამოეხმაურა ერთმანეთს. ეს იყო ორი მოძმე ხალხის ძმობისა და მეგობრობის მორიგი ბრწყინვალე დემონსტრაცია.

ერთი წლის შემდეგ, 1949 წლის 7 აგვისტოს მირგოროდში დიდი სახალხო ზეიმის ვითარებაში გაიხსნა დავით გურამიშვილის ძეგლი. საქართველოდან ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნა მწერალთა კავშირისა და მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ: სანდრო შანშიაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, კარლო კალაძე, მაყვალა მრეველიშვილი და ბესარიონ ჟღენტი. უკრაინის სამრეწველო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად ქართველი მწერლები 7 აგვისტოს დილით ესტუმრნენ სოფელ ზუბოვკას, რომლის მოსახლეობაც ტრადიციული „პურ-მარილით“ შეეგება სტუმრებს. ადგილობრივი საშუალო სკოლის კედელზე გაიკრა მემორიალური დაფა, რომელზედაც აღნიშნულია, რომ ამ ადგილას იდგა სახლი, რომელშიც ცხოვრობდა დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი. ქართველი ხალხის სახელით ზუბოვკაში გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სანდრო შანშიაშვილი. ხოლო მოძმე უკრაინისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა მაყვალა მრეველიშვილმა. უკრაინელ და ქართველ ხალხთა ურღვევი და მარადიული ძმობის დაუვიწყარ დღესასწაულად იქცა დ. გურამიშვილის ძეგლის გახსნა ქ. მირგოროდში. აქ თავი მოიყარა რამოდენიმე ათეულმა ათასმა უკრაინელმა მუშამ, კოლმეურნემ, მოსწავლე ახალგაზრდობამ. ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, დაუსრულებლივ მოდიოდა მირგოროდის განაპირა სასაფლაოსაკენ ხალხის ნაკადი. მოდიოდნენ მანქანებით, ცხენებით, ფეხით, მოჰქონდათ ცოცხალი ყვავილების გვირგვინები, თაიგულები. გურამიშვილის მღალა ძეგლი მალე გვირგვინებსა და თაიგულებში ჩაიფლო. პოლტავის ოლქისა და მირგოროდის რაიონის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა გარდა ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე ღრმად შინაარსიანი სიტყვებით გამოვიდა დიდა უკრაინელი პოეტი პავლო ტიჩინა და ლიტერატურის მკვლევარი დმიტრო კოსარიკი. სსრკ მწერალთა კავშირის სახელით სიტყვა წარმოსთქვა კრი-

ტიკოსმა ვექტორ გოლცევა. მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მწერალთა კავშირის წარმომადგენლები ალექსანდრე ბარამიძე და ბ. ჟღენტის.

მიტინგზე დ. გურამიშვილის ლექსების უკრაინულად საკუთარი თარგმანი წაიკითხა მ. ბაქანმა, ხოლო იგივე ლექსები ქართულად — კარლო კალაძემ.

ძეგლის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობდნენ მომღერალთა გუნდები და სიმფონიური ორკესტრები. მიტინგის მსვლელობაში უკრაინელი პიონერები გუნდობრივად კითხულობდნენ და მღეროდნენ ტარას შევჩენკოს და დავით გურამიშვილის ლექსებს. დაღამებამდე გრძელდებოდა სახალხო გართობა-თამაშობანი და პოლტავის საოლქო ფილარმონიის მიერ გამართული უკრაინული მუსიკის კონცერტი.

ორი დღის შემდეგ კიევში, ე. წ. „მწვანე თეატრში“, შედგა დ. გურამიშვილისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პ. ტიჩინამ, მ. ბაქანმა, მ. რილსკიმ, ვ. სოსიურამ და სხვა გამოჩენილმა უკრაინელმა პოეტებმა. საღამოზე მოხსენება დ. გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხა პროფ. ალ. ბარამიძემ, სიტყვა წარმოთქვა დ. კოსარიკმა. ქართველმა პოეტებმა — ს. შანშიაშვილმა, კ. კალაძემ და მ. მრეელიშვილმა წაიკითხეს დავით გურამიშვილისა და მოძმე უკრაინისადმი მიძღვნილი ლექსები. საღამო, რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა, დამთავრდა ალექსანდრე კორნეიჩუკის ვრცელი სიტყვით საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობისა და მათი ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ.

მთელი უკრაინული პრესა ფართოდ აშუქებდა ამ მოვლენებს. იბეჭდებოდა წერილები, ლექსები, ინფორმაციები. უკრაინის ლიტერატურულმა გაზეთმა დაბეჭდა გურამიშვილის ძეგლის გახსნაზე მირგოროდში პავლო ტიჩინას და ბ. ჟღენტის მიერ წარმოთქმული სიტყვები.

ასევე ფართო ხასიათი მიიღო საქართველოში დაბა სურამში უკრაინის ხალხის სახელოვანი შვილის ლესია უკრაინკას ძეგლისა და მისი სახელობის ბიბლიოთეკა-გამოფენის გახსნამ.

1951 წლის თებერვლის დამდეგს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ლესია უკრაინკას ხსოვნის უკვდავოფის ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილებაში გათვალისწინებული იყო ლესია უკრაინკას თხზულებათა გამოცემა ქართულად, პოეტი ქალის სახელის მიკუთვნება თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის, სურამში ლესია უკრაინკას ძეგლის აგება და მისი სახელობის ბიბლიოთეკა-გამოფენის გახსნა და სხვ.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილებასთან დაკავშირებით 1951 წლის თებერვლის ბოლოს სურამში მოწვეული იქნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი, მიძღვნილი

დიდი უკრაინელი პოეტი ქალის ხსოვნისადმი. პლენუმში ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ქართული საბჭოთა კულტურის ისტორიაში, უკრაინულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა განვითარებაში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა უკრაინელ მწერალთა დელეგაცია მიკოლა ბაჟანის მეთაურობით. დელეგაციაში შედგოდნენ პლატონ ვორონკო, დმიტრო კოსარიკი და სხვა უკრაინელი მწერლები. პლენუმზე საყურადღებო მოხსენებები უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე წაიკითხეს ლევან ასათიანმა, დმიტრო კოსარიკმა, იასამანმა და სხვ. სიტყვებით გამოვიდნენ მ. ბაჟანი, გ. ლეონიძე და სხვები. პლენუმის მუშაობის დროს იმ სახლის ეზოში, რომელშიც ლესია უკრაინკა გარდაიცვალა, გაიმართა ხაშურის რაიონისა და სურამის მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგი.

ლესია უკრაინკას ძეგლისათვის პოეტი ქალის ბიუსტის გამოქანდაკება იკისრა გამოჩენილმა ქართველმა მხატვარმა — ფერმწერმა და მოქანდაკემ, აწ განსვენებულმა თამარ აბაკელიამ.

1952 წლის აგვისტოს დამდეგისათვის ძეგლი უკვე აგებული იყო. გასასვენებლად მზად იყო აგრეთვე პოეტი ქალის სახელობის ბიბლიოთეკა-გამოფენა.

1952 წლის 1 აგვისტოს სრულდებოდა დავით გურამიშვილის გარდაცვალების 160 წლისთავი. უკრაინის საბჭოთა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ეს თარიღი. იუბილეს ჩამტარებელ კომისიას მეთაურობდა გამოჩენილი უკრაინელი პოეტი მაქსიმ რილსკი. უკრაინაში ამ თარიღის აღნიშვნაში მონაწილეობისათვის მივიღინებულნი იქნენ მწერლები, ოთარ ჩხეიძე და გიორგი შატბერაშვილი.

1952 წლის 1 აგვისტოს, თბილისში სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში, უკრაინისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების მწერალთა მონაწილეობით, გაიმართა დავით გურამიშვილის გარდაცვალების 160 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საღამო, ხოლო ორი დღის შემდეგ, 3 აგვისტოს სურამში გაიმართა ლესია უკრაინკას ძეგლისა და მისი სახელობის ბიბლიოთეკა-გამოფენის საზეიმო გახსნა. ამ დიდ სახალხო ზეინში მონაწილეობდა უკრაინელ მწერალთა დელეგაცია ი. ზნაბაკის, ლ. ზაპაშტას და სხვათა შემადგენლობით. ზეიმზე მიღებული შთაბეჭდილებანი მკაფიოდ გამოხატა უკრაინელმა პოეტმა ქალმა ლ. ზაპაშტამ ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ნიჭიერ ლექსში.

1953 წლის გაზაფხულზე უკრაინის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის ინიციატივით კიევში გაიმართა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საღამოები. ამ საღამოებში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა პოეტებმა ირაკლი აბაშიძემ, ალექსანდრე გომიაშვილმა და დრამატურგმა მიხეილ

მრევლიშვილმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ქართული საბჭოთა მწერლობის წარმომადგენლებს უკრაინის საბჭოთა საზოგადოებრიობამ და, კერძოდ უკრაინელმა მწერლებმა, გულთბილი შეხედრა მოუწყვეს.

ჩვენ აღვნიშნეთ უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის წილობად რა: მოდენ-ზე ფაქტი. რასაკვირველია, ჩვენი მიმოხილვა სრული და ამომწურავი არ არის. საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოში სხვადასხვა დროს, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-კულტურულ მოვლენებთან დაკავშირებით ჩამოდიოდნენ აგრეთვე გამოჩენილი უკრაინელი მწერლები: ანდრეი მალიშკო, ვლადიმირ სოსიურა, პეტრო პანჩი, ლეონიდ პერვომასკი, ლიუბომირ დმიტრეკო, თ. ნოვიცკი და სხვ.

ყოველი ასეთი მოვლენა: ერთმანეთთან აახლოებდა უკრაინულ-ქართული საბჭოთა კულტურის მოღვაწეებს, აღრმავებდა და აფართოებდა ორი მოძმე ხალხის კულტურულ თანამშრომლობას და თანამეგობრობას. ამის შედეგად გაცხოველდა უკრაინელ და ქართველ მწერალთა მიერ ურთიერთ თარგმნა და ამასთანავე გაიზარდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში უკრაინული თემატიკის, ხოლო უკრაინულ თანამედროვე მწერლობაში ქართული თემატიკის ხედრითი წონა.

„თარგმნოთ ერთმანეთი!“ — ასეთი მოწოდებით მიმართა საბჭოთა კავშირის ხალხების მწერლებს სოციალისტური ლიტერატურის დიდმა ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ სსრკ მწერალთა პირველი ყრილობის ტრიბუნიდან. ყოველი სოციალისტური ნაციის მწერლობა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, პირველ ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის ენის საშუალებით გამოდის, მაგრამ ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურთირთდაახლოებისა და მათ შორის კულტურული თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა ურთიერთ თარგმნას.

უკრაინელ და ქართველ საბჭოთა მწერლებს შორის დამყარებული მჭიდრო თანამეგობრობის შედეგები ამ დარგში ფრიად თვალსაჩინოა.

მრავალმილიონიანი უკრაინელი ხალხი თავის მშობლიურ ენაზე კითხულობს ქართული კულტურის უდიდეს მიღწევას — რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. მიკოლა ბაჟანის მიერ შესრულებული უკრაინული თარგმანი ამ პოემისა ორგინალთან სიახლოვისა და მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით საუკეთესოა „ვეფხისტყაოსნის“ ყოველ სხვა ენაზე დღემდე არსებულ თარგმანთა შორის. ამ პოემის უკრაინული გამოცემისათვის დაწერილ ვრცელ წინასიტყვაობაში მ. ბაჟანმა არა მარტო შოთა რუსთაველის და მისი ქმნილების, არამედ საერთოდ ქართული კულტურის ღრმა ცოდნა, მისადმი დიდი ინტერესი და სიყვარუ-

ლი გამოიჩინა. პოეტური თარგმანის ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს აგრეთვე მ. ბაჟანის მიერ უკრაინულად თარგმნილი დავით გურამიშვილის მთელი პოეტური მემკვიდრეობა. უკრაინულად თარგმნილია აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები და პოემა „ბედი ქართლისა“. აღსანიშნავია, რომ ქართული ლირიკული პოეზიის უბედ-ლო შედეგრი — ნ. ბარათაშვილის „მერანი“ უკრაინულ ენაზე თარგმნილია მ. ბაჟანის მიერ.

დიდი და შთაგონებული შრომა გასწიეს საუკეთესო უკრაინელმა პოეტებმა იმისათვის, რომ უკრაინულ ენაზე ღირსეულად აღდგარიყო ქართველი ხალხის უსაყარლესი პოეტის აკაკი წერეთლის შემოქმედება. აკაკი წერეთლის ქმნილებათა უკრაინელ მთარგმნელთა შორის გვხვდით პ. ტიჩინას, მ. ბაჟანს, მ. რილსკის, ა. მალიშკოს, ლ. პერვომისკის, ს. გოლოვინიჩის, ი. შპორტას, ო. ნოვიცკის და სხვ. აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავი“ თარგმნილია ლ. დმიტრეკოს მიერ, „პატარა კახისა“ და „ნათელას“ თარგმანი ეკუთვნის მ. ბაჟანს, ხოლო „გამზრდელისა“ — ლ. პერვომისკის. კრებული გამოცემულია მ. ბაჟანის რედაქტორობით. გამოჩენილ უკრაინელ პოეტთა ასეთი აქტიური მონაწილეობა აკაკი წერეთლის პოეტური მემკვიდრეობის უკრაინულად თარგმნის საქმეში თავისთავად მეტყველებს იმის შესახებ, თუ როგორი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა მოძმე უკრაინის სამწერლო საზოგადოებრიობა ქართულ ლიტერატურას და, კერძოდ, პროგრესულ ქართულ კლასიკურ მწერლობას.

უკრაინულად თარგმნილია აგრეთვე ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები და ქართული კლასიკური ლიტერატურის სხვა მრავალი ნაწარმოები.

დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს უკრაინაში ქართული საბჭოთა ლიტერატურაც. უკრაინელმა მწერლებმა და პოეტებმა დიდი სიყვარულით და გულმოდგინებით თარგმნეს ქართული საბჭოთა მწერლობის მრავალი საუკეთესო ნიმუში. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომელიც უკრაინულად გამოიცა მ. ბაჟანის რედაქციით და წინასიტყვაობით. ამ ანთოლოგიის შედგენაში, მასში მოთავსებული ლექსების თარგმანის სახით მონაწილეობა მიიღო უკრაინის მოწინავე პოეტთა მთელმა კოლექტივმა. ანთოლოგიისათვის წამძღვარებულ შესაჯალ წერილში მ. ბაჟანი დაწვრილებით აღწერს უკრაინელ მკითხველს ქართული პოეზიის მდიდარ კლასიკურ ტრადიციებს, მისი განვითარების გზებს და ეტაპებს საბჭოთა ეპოქაში, თანამედროვე ქართული პოეზიის გამოჩენილ წარმომადგენელთა შემოქმედებრის სახეს. ეს ანთოლოგია ნათელ წარმოდგენას აძლევს უკრაინელ ხალხს ქართული საბჭოთა პოეზიის მდგომარეობასა და წარმატებებზე.

იგი დიდი სიყვარულით, გულისხმიერებით და პასუხისმგებლობის გრძნობით არის შედგენილი და შესრულებული.

ცალკე წიგნებად გამოცემულია უკრაინულ ენაზე გიორგი ლეონიძის და სიმონ ჩიქოვანის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულები. შალვა დადიანის „ნაპერწყლიდან“ (თარგმანი ი. კოსტიუკისა), ილო მოსაშვილის „ზაძირული ქვები“ (თარგმანი ო. ნოვიცკისა), ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, სანდრო შანშიაშვილის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეული, გ. მდივანის პიესები „კეთილი ნების ადამიანები“ და „ახალი დროება“ (თარგმანი ა. ილჩენკოსი) და მრავალი სხვ.

ამასთანავე უკრაინულ პრესაში, კერძოდ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, სისტემატურად იბეჭდება ქართული კლასიკური და საბჭოთა მწერლობის ნიმუშთა თარგმანები.

ასე გაფართოვდა და განვითარდა საბჭოთა ეპოქაში ქართული მწერლობის ნაწარმოებთა უკრაინულად თარგმნის ტრადიცია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ძველად, ჩვენი ხალხების სოციალურ და ნაციონალურ ხანაში. ამ ტრადიციის დასახასიათებლად საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის მიწურულს, გადასახლებაში მყოფი უკრაინელი ცნობილი რევოლუციონერ-დემოკრატი, პოეტი პავლო გრაბოვსკი დიდი სიყვარულით და გატაცებით თარგმნიდა უკრაინულ ენაზე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და რაფიელ ერისთავის ლექსებს.

ასევე რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე ქართული ლიტერატურის პროგრესული მოღვაწეები თარგმნიდნენ და ქართველ ხალხში ავრცელებდნენ უკრაინული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. მაგრამ ამ მუშაობამ ფართო და სისტემატური ხასიათი მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში მოიპოვა. ქართულ საბჭოთა მწერლობას თავისი ღირსების საქმედ და საამაყო მოვალეობად მიაჩნია მშობლიურ ენაზე გააცნოს ქართველ ხალხს მოძმე უკრაინული მწერლობის მდიდარი საგანძური. ამიტომაც არ დარჩენილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოღვაწე ქართული საბჭოთა ლიტერატურისა, რომელიც წრფელი გატაცებით არ მონაწილეობდეს ამ მაღლიერ და კეთილშობილ საქმეში.

ტარას შევჩენკოს დაბადების 125 წლის საიუბილეო დღეებში საქართველოს სახელგამმა შალვა დადიანის და სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობით გამოსცა გენიალური კობზარის ნაწარმოებთა კრებული, რომელიც თარგმნილია საუკეთესო ქართველი საბჭოთა პოეტების მიერ. შემდეგ ცალკე წიგნებად გამოიცა ტარას შევჩენკოს პოემები: „კატერინა“ (თარგმანი ს. ჩიქოვანისა), „კავკასი“ (თარგმანი კ. ლორთქიფანიძისა), „სიზმარი“ (თარგმანი დ. გაჩეჩილაძისა), „გაიღამაკები“ (თარგმანი კ. ნადირაძისა) და სხვ.

მას შემდეგ შევჩენკოს „კობზარი“ ხელახლა გამოიცა ქართულად

და უკანასკნელი გამოცემა საგრძნობლად შევსებულიცაა და გაუმჯობესებულიც თარგმანის მხატვრული ხარისხის მხრივ. ფართო პოპულარობით სარგებლობს საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის ივანე ფრანკოს შემოქმედება. გარდა მისი პოეტური ნაწარმოებების დიდი ერთტომეულისა, ცალკე წიგნებად არის გამოცემული მისი „ბორისლავი იცინის“ (თარგმანი ივ. წულუკიძისა), მოთხრობების კრებული (დემნა შენგელაიას რედაქტორობით), „მოსე“ (თარგმ. კ. ლორთქიფანიძისა და რ. გვეტაძისა) და სხვ.

დიდი სიყვარულით თარგმნეს ქართველმა პოეტებმა ლესია უკრაინკას ლექსები, პოემები და პიესები, რომელთა კრებულები ზედიზედ რამდენჯერმე გამოიცა საქართველოში.

ქართულად თარგმნილია აგრეთვე უკრაინის საბჭოთა ლიტერატურის ბევრი საუკეთესო ნაწარმოები: გამოიცა მიკოლა ბაჟანის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული (ს. ჩიქოვანის რედაქციით და ლ. ასათიანის წინასიტყვაობით), ო. გონჩარის ტრილოგია „მედროშენი“ (თარგმ. დ. კასრაძისა და ს. ფაშალიშვილისა), პ. პანჩის „ცისფერი ეშელონები“, ვ. კაზაჩენკოს „ახალი ნაკადები“ (თარგ. რ. გვეტაძისა) და სხვ. ქართულ პრესაში ხშირად ქვეყნდება გამოჩენილი საბჭოთა პოეტების: პ. ტიჩინას, მ. რაღსკის, ა. მალიშკოს, ლ. პერვომაისკის, პ. ვორონკოს და სხვათა ლექსების თარგმანები. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ქართულად თარგმნილია და ქართული თეატრების სცენებზე დიდი წარმატებით იდგმება უკრაინული საბჭოთა დრამატურგიის ისეთი სახელგანთქმული ნიმუშები, როგორიცაა ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“, „პლატონ კრეჩეტი“, „ბოგდან ხმელნიკი“, „ახიელის ქალა“. ი. კოჩერგას „მესათე და ქათამი“, ი. გალინის „სიყვარული გარეყრაზე“, ვ. შინკოს „გვარის დაუსახლებლად“ და სხვ. თბილისში ქართულ ენაზე გამოიცა დ. კოსარიკის წიგნი დავით გურამიშვილის შესახებ, ხოლო გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ რუსულად გამოსცა უკრაინულ ლიტერატურის მკვლევარის ვ. ბაბიშკინის ნაშრომი „ლესია უკრაინკა საქართველოში“.

განმეორებით უნდა აღვნიშნოთ, რომ უკრაინული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის საქმეში აქტიურად მონაწილეობს მოწინავე ქართველ მწერალთა მთელი კოლექტივი, რომელიც ნამდვილი პატრიოტული გატაცებით და შთაგონებით ეწევა ამ ფრიად საამაყო და სასიამოვნო შრომას.

ეს ფაქტები ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი ერთგულებით და თანამიმდევრობით ახორციელებენ უკრაინელი და ქართველი საბჭოთა მწერლები უკვდავი გორკის ანდერძს: „უთარგმნოთ ერთმანეთი!“.

„თეთრი ბაიკალები და მისი კრიტიკოსები“

ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება ის არის, რომ დიდი ხანია იშვიათობად იქცა მწერალთა შორის მხატვრული შემოქმედების პრობლემებზე ან კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესახებ პაექრობა, მძაფრი პრინციპული დისკუსია, მწვავე პოლემიკა. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენი მწერლობის იდეური ერთსულოვნება და შემოქმედებითი მეთოდის ერთიანობა განაპირობებდეს და გულისხმობდეს მხატვრული აზროვნების ერთფეროვნებასა და ერთსახეობას. სინამდვილეში კი იშვიათად თუ გამოჩნდება ლიტერატურისა და ჯელოვნების ისეთი ნაწარმოები, რომლისადმი ყოველ ჩვენგანს ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდეს, რომელიც ყველას ერთნაირად მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს, ერთნაირად მიგვაჩნდეს მხატვრულ მონაბოვრად ან მარცხად. ასევე სხვადასხვაგვარი, ხშირად სრულიად ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებანი სუფევს შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეებში, სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის ცალკეული საკითხების, მწერლობასა და ჯელოვნებაში პროფესიული ოსტატობის პრობლემათა გარშემო. მაგრამ შემოქმედებითი აზრის ასეთი სხვადასხვაგვარობა და მრავალფეროვნება, სამწუხაროდ, მხოლოდ მწერალთა და ხელოვანთა პირად საუბრებში თუ ოჯახურ შეხვედრებში, ასე ვთქვათ „ლიტერატურულ კულუარებში“ იჩენს ხოლმე თავს. შემოქმედებითი ინტელიგენციის საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი და მითუმეტეს პრესაში, ყოველივე ეს მოჩქმალული და ნიველირებულია. შემოქმედებითი აზროვნების ასეთი ინერტულობა და მოღუნება მხოლოდ ჩვენი, პირველყოვლისა ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის მოღვაწეთა პასიურობით, ინდიფერენტობით, რაღაც გაუგებარი და გაუმართლებელი ინერციით უნდა აიხსნას. ბრძოლის უნარიანობის ასეთი დაქვეითება კი ამცირებს ჩვენი კრიტიკის შემოქმედების ძალას მხატვრული შემოქმედების ცოცხალ პროცესებზე. ამ მოუთმენელ ნაკლოვანებაზე სამართლიანი სიმკაცრით მიგვითითა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცნობილ დადგენილებაში „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“.

ამჟამად, ამ დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლის ვითარებაში, ჩვენთვის, როგორც ჰაერი, ისეა აუცილებელი ჯანსაღი, პრინციპული, კომპენტენტური შემოქმედებითი დისკუსიები ლიტერატურისა და ჯელოვნების საკვანძო აქტუალურ საკითხებზე, ჩვენი

მხატვრული კულტურის ახალ მნიშვნელოვან მოვლენებზე. ამიტომ, მკითხველი საზოგადოებრიობა ინტერესითა და იმედიანი მოლოდინით შეხვდა ალმანახ „კრიტიკის“ ინიციატივას, რომელმაც გასული წლის №4-ში ერთდროულად გამოაქვეყნა ორი კრიტიკოსის — კობა იმედაშვილისა და ელიზბარ ჯაველიძის წერილები ნოდარ დუმბაძის ახალი რომანის „თეთრი ბაირაღების“ შესახებ. ეს ავტორები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულს, ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებას აძლევენ „თეთრ ბაირაღებს“ და ალმანახის ასეთი ინიციატივა შეიძლებოდა ნაყოფიერი და სასარგებლოც გამომდგარიყო მთელი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის, რომ კრიტიკოსთა მიერ აღძრული საკითხების გარშემო ალმანახის მომდევნო ნომრებში, ან საერთოდ ჩვენს ლიტერატურულ პრესაში მართლაც გამართულიყო დისკუსია, ვინმე გამოხმაურებოდა ამ კამათს, თვით ალმანახის რედაქციას მაინც გამოეთქვა თავისი აზრი ხსენებულ წერილებში აღძრულ საკითხებზე. თორემ რა გამოვიდა? გამოქვეყნდა ორი აზრი ერთ რომანზე, წელიწადი გავიდა მას შემდეგ და სხვა აზრი თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი კმნილების შესახებ აღარავის გამოუთქვამს, ამ ორი წერილის ავტორებიც ერთმანეთს როდი შეკამათებია. მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გამოთქვეს აზრი ამ რომანზე. ერთმა მათგანმა ელიზბარ ჯაველიძემ თავის წერილს ასეთი კატეგორიული სათაური მისცა: „განუხორციელებელი ჩანაფიქრი“, უკვე ამ სათაურში ის თვალსაზრისია გამოთქმული, რომ „თეთრ ბაირაღებში“ მხოლოდ ჩანაფიქრია საყურადღებო და მნიშვნელოვანი. ამ ჩანაფიქრის მხატვრული განხორციელებისათვის კი მწერალმა არსებითად ვერავეთარ წარმატებას ვერ მიაღწია, ჩანაფიქრი ჩანაფიქრადვე დარჩა, რომანის ავტორს არც კომპოზიციის ოსტატობა აღმოაჩნდა, არც სიუჟეტის ჩამოყალიბებისა და განვითარებისა, არც ცოცხალ ადამიანურ სახეთა მხატვრობისა და არც რომანის სიტყვიერი ქსოვილის მხატვრულ დონეზე დამუშავებისა. ასეთია მოკლედ ე. ჯაველიძის თვალსაზრისი „თეთრი ბაირაღების“ შესახებ. კობა იმედაშვილი ბევრად უფრო მართებულ და სამართლიან შეფასებას აძლევს რომანს. იგი აღიარებს ამ ნაწარმოების გარკვეულ იდეურ და ესთეტიკურ ღირსებებსა და მნიშვნელობას. მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, კრიტიკოსს ეს რომანი ისეთ ნაწარმოებად ეჩვენება, რომელშიც განსაკუთრებული სიცხადით იჩენს თავს ნოდარ დუმბაძის რომანებში აღმოცენებული ერთგვარობისა და ერთფეროვნების საფრთხე, და თურმე სწორედ ახლა იგრძნობა მწერლის შემოქმედებითი სამყაროს გადახალისებისა და განახლების აუცილებლობა. ასეთი გადახალისების საიმედო სიმპტომებს კრიტიკოსი ნოდარ დუმბაძის მიერ ეურნალ „ცისკრის“ 1973 წლის №5-ში გამოქვეყნებულ მოთხრობაში, „დიდროში“ ხედავს. ამრიგად

კ. იმედაშვილს „თეთრ ბაირალებში“ მწერლის შემოქმედებითი ევოლუციის რაღაც კრიზისული ნიშნები დაუნახავს და ამ საფრთხისაგან თავდალწევის გზებისა და პერსპექტივების ძებნა დაუწყია ბელეტრისტიკის ახალ მოთხრობებში. რასაკვირველია, ყოველ კრიტიკოსს უფლება აქვს გამოთქვას თავისი აზრი ამათუიმ მხატვრული ნაწარმოების შესახებ, მაგრამ ასეთივე უფლება აქვთ მკითხველებსა და კოლეგებსაც. დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ ამ კრიტიკოსს. მეც მინდა ვისარგებლო ამ უფლებით, რადგან ჩემის ღრმა რწმენით, თუ ე. ჯაველიძის თვალსაზრისი რადიკალურად ეწინააღმდეგება ამ გამოხმაურებას, რომელიც „თეთრმა ბაირალებმა“ ჰპოვა საზოგადოებრიობის ფართო ფენებში, კ. იმედაშვილიც ვერ გვაძლევს ამ ნაწარმოების სოციალური უღერადობისა და მხატვრული ღირებულების სწორსა და მართებულ შეფასებას. ამიტომ მე უფლებას ვაძლევ თავს, გამოვთქვა ჩემი თვალსაზრისი „თეთრი ბაირალების“ და ამ რომანისადმი მიძღვნილი ხსენებული ორი კრიტიკული წერილის შესახებ.

„... ღამით მე ისევ მზე მეახლა, სხივი ჩამაბა წელზე ოქროს ბაწარით და თავისკენ მიმიზიდა, რაც უფრო ვუახლოვდებოდი მზეს, იგი სულ უფრო გრილი ხდებოდა, სულ უფრო გრილი. როდესაც მივუახლოვდი და ხელი შეეახე, მან არ დამწვა მე, ჩვენ ერთად შევუდექით ვეებერთელა აღმართს, მე და მზე, წინ მზე და მე უკან. ჩვენ ავედით სულ მაღლა, თოვლიან მწვერვალზე, ისე მაღლა, როგორც არავენ, და მზე ველარ აღნობდა მარადიულ თოვლს. ეს არის ჯომოლუნგმა! თქვა მზემ, თეთრი ბაირალი მომაწოდა და ჩემს გვერდით დადგა. მე გავშალე ბაირალი. მაღლა აღვმართე და ავხედე. ქვეყნიერების თავზე თოვლივით თეთრი ბაირალი ფრიალებდა, როგორც სიკეთის, სათნოების და სიყვარულის სიმბოლო. ერთი ვეებერთელა და უსპეტაკესი თეთრი ბაირალი ფრიალებდა ქვეყნიერების თავზე“.

ამ სიტყვებით ამთავრებს „თეთრი ბაირალების“ მთავარი გმირი ზაზა ნაკაშიძე თავის საბედისწერო თავგადასავლის თხრობას და სწორედ ამ სიტყვებშია გამოთქმული რომანის ძირითადი იდეური არსი, მისი სოციალური და ესთეტიკური იდეალი, მისი მორალი და ფილოსოფია. სწორედ ამგვარი იდეური მიზანსწრაფვით ეხმაურება და ეთანხმონება ეს ნაწარმოები არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ ჩვენი პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანის თანამედროვე სულიერ ზრახვათა და მისწრაფებათა სამყაროს. დედამიწაზე მშვიდობის, სიკეთის პროგრესისა და ზალხთა გონივრული თანამშრომლობის მაღალი იდეალები ახლა უკვე შორეულ ოცნებას კი აღარ წარმოადგენს, არამედ პროგრესული კაცობრიობის რეალურ სადღეისო საბრძოლო ამოცანას. არც არსებობს ისეთი ქვეყანა, ისეთი კუთხე დედამიწის ზურგზე, სადაც ამჟამად პროგრესული სოციალური ძალები შთავო-

ნებულად არ იბრძოდნენ და იღვწოდნენ ამ ნათელი იდეალების განსახორციელებლად. ყოველი საბჭოთა პატრიოტის დიდი ეროვნული-სიამაყეა, რომ თანამედროვეობის ამ უდიდეს საერთაშორისო მოძრაობას ღირსეულად მეთაურობს და წინამძღოლობს ჩვენი სამშობლო. ამჟამად ჩვენი, სამშობლოს ისტორიის თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებული აქტუალობა და სასიცოცხლოდ აუცილებელი მნიშვნელობა მოიპოვა ყოველი საბჭოთა ადამიანის, მთელი ჩვენი ხალხის სრულმა გაჯანსაღებამ, მისმა გაწმენდამ კაპიტალისტური წარსულის ბნელი და მანკიერი გადმონაშთებისაგან. არსებითად ეს არის ამოცანა ახალი სამყაროს მშენებელი ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებისა, რეთი ადამიანისა, რომელიც შეძლებს აშენოს ნათელი კომუნისტური საზოგადოება და იცხოვროს ასეთ საზოგადოებაში. დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი ის მიზეზები, რომელთა მეოხებითაც უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე საქართველოში განსაკუთრებულად ფართო გავრცელება პპოვა ჩვენი მსოფლმხედველობისა და მორალისათვის უცხო, ანტიბოდურმა მოვლენებმა, არამარტო ხალხის შედარებით ჩამორჩენილ ფენებში. ჩვენი საზოგადოებრიობის ფართო წრეები და კერძოდ მთელი ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია, მთელი ქართული მწერლობა აღფრთოვანებით უკერს მხარს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მესვეურებით გაჩაღებულ ახლანდელს უკომპრომისო და დაუნდობელ ბრძოლას ყოველგვარ სიმახინჯეთა და მანკიერებათა წინააღმდეგ ცხოვრების ყოველ სფეროში. სწორედ ამიტომ, ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, იზრდება და ძლიერდება საბჭოთა ლიტერატურის მამხილებელი ფუნქციის როლი და მნიშვნელობა. კრიტიკული ელემენტის ხვედრითი წონა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში. ქართულმა მხატვრულმა პროზამ უკვე უპასუხა მძაფრად მამხილებელი რამდენიმე ნიკიერი ნაწარმოებით ცხოვრების ამ მოთხოვნას. დღეს უკვე შეიძლება საბოლოოდ განვილი და უკუგდებულ ცდუნებად მივიჩნიოთ „უკონფლიქტობის“ ყბადაღებული თეორია და პრაქტიკა. მაგრამ ბოლო წლების ქართული პროზის ამ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი, რომლებიც ჯანსაღი კრიტიკული პათოსითაა გამსჭვალული, სინამდვილისადმი ცალმხრივი, შეზღუდული დამოკიდებულებით სცოდავს, ასეთ წიგნებში ან სრულიად არა ჩანს, ან მკრთალად და ზედაპირულად არის წარმოსახული ცხოვრების ნათელი დადებითი საწყისები, თანამედროვეობის მოწინავე ადამიანთა ხასიათის ამაღლებული თვისებანი. ამიტომაც ასეთი ნაწარმოებებიც არსებითად „უკონფლიქტობის“ თავისებურ ნაირსახეობას შეიცავენ. მათშიც ვერ არის მიღწეული ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა ღრმა და მართალი გამოხატულება. „თეთრი ბაირაღების“ დიდი ღირსება ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ის არის, რომ ამ წიგნში წარსუ-

ლის ბნელი და მახინჯი გადმონაშთების მატარებელ ადამიანთა სახეები ცხოვრობენ და მოქმედებენ სინამდვილის იმ კეთილ და ნათელ ტენდენციებთან დაპირისპირებულად, რომლებიც არა მარტო ნაგულისხმევია რომანში, არამედ მკაფიოდ, ხელშესახებად და შთამბეჭდავადაც არის განსახიერებული სისხლხორციით სავსე ტიპიურ ადამიანთა მშვეობით.

ავტორის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის თავისებურებას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ რომანის სიუჟეტურ სტრუქტურაში წინა პლანზეა წამოწეული სხვადასხვაგვარი მახინჯი და ჩრდილოვანი თვისებებით სულიერად დაკნინებულ ადამიანურ სახეთა გალერეა. იშვიათად თუ შევხვდებით საბჭოთა ლიტერატურის რომელიმე სხვა ნაწარმოებში ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეთა, ნაკლოვანებათა და სიმახინჯეთა ისე მრავალმხრივს გამოხატვას და მომაკვდინებელ მხილებას, როგორც ზაზა ნაკაშიძე გვიამბობს თავის საბედისწერო ჩასვლას რესტორან „მადაში“, ერთბაშად მკითხველის თვალწინ გადაიშლება უკიდურესი სიბინძურისა და აღვირახსნილი მექრთამეობის შეზავებით აღბეჭდილი მართლაც და გულისამრევი სურათი. „არა მგონია, რესტორან „მადაზე“ ბინძური, უგემური, ბნელი, ძვირი და მადის წამრთმევი რესტორანი არსებობდეს ქვეყანაზე... „მადის“ ოფიციატები ისეთი ჭუჭყიანი ხალათებით დადიან, რომ უბნის სანინსპექციის ექიმს შიგ შესვლა არ ჭირდება. დახლიდარი პირდაპირ კიბეზე აძლევს ანტისანიტარიისათვის გადადებულ ქრთამს“. სწლო რომანის დასასრულს, როცა ციხის საკანში მარტოდმარტო დარჩენილი ზაზა ნაკაშიძეს ექთანის ნუნუ ირონიულად შეუქებს „ბინას“, ზაზა პასუხობს: „ერთი სულის პირობაზე არა უშავს. მე შენ გეტყვი, ავეჯი შემაწუხებს, ან ჩაწერაზე მომიწევს სახლმმართველთან ქრთამით სირბილი“. ეს ორი შტრიხი, რომლებითაც იწყება და მთავრდება რომანის სიუჟეტურ საფუძვლად აღებული მონაკვეთი ზაზას ცხოვრების ისტორიისა, მკაფიოდ ახაიათებს ნაწარმოებში წარმოსახულ მთელს სამყაროს, სადაც მექრთამეობის, ჭურდობის, მძარცველობის, მკვლევლობის, ზნეობრივი გახრწნილების და სხვა ამგვარ ბოროტებათა განუსჯელობა სუფევს. მწერალს გონებამახვილურად შეუთხზავს ისეთი სიუჟეტური ქარგა, რომელიც სინამდვილის ყველა ბნელი და ავადმყოფური მოვლენის კონდენსირებულად, ერთობლივად, გულის სიღრმემდე შემძვრელი და შემზარავი ძალით გამომზეურების საშუალებას იძლევა. თხრობის მსვლელობის კომპოზიციურ ცენტრში მოქცეულია ციხის საკანი, სადაც რომანის მოქმედების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს. ამ საკანში მოხვდა სრულიად უდანაშაულოდ, მისგან სავსებით დამოუკიდებლად შექმნილი რთული და საბედისწერო სიტუაციის შედეგად დაპატიმრებული ზაზა ნაკაშიძე. ამ პატიოსანმა, კეთილ-

შობილმა და ჭკვიანმა ასალგაზრდა კაცმა რამდენიმე თვე გაატარა პატიმრობაში ცხრა ბრალდებულთან ერთად, რომელთა შორის არიან ქურდები და კაცისმკვლელები, მექრთამეები და სახელმწიფო ქონების მიმტაცებლები, ზნეობრივად გახრწნილი ადამიანები და ალემენტის ბოროტი არგადმსდგლები.

ამ ცხრა პატიმართაგან თითოეული ცოცხლად დახატულ ადამიანურ ხასიათს წარმოადგენს. მწერალი თითქოს არც კი ისახავს მიზნად მოგვითხროს ამ დამახინჯებული სულის ადამიანთა ცხოვრების ისტორია და აგვიწეროს მათი გარეგნობა თუ სულიერი სამყარო, მაგრამ მათს მოქმედებაში, დიალოგებში, ყოველდღიურ ურთიერთობებში მკაფიოდ იკვეთება ამ პერსონაჟების როგორც გარეგნული პორტრეტები, ისევე და კიდევ უფრო ცხადად და კოლორიტულად, მათი შინაგანი სამყარო, ხასიათის ინდივიდუალური თვისებანი, შეუძლებელია მკითხველის მეხსიერებაში ერთმანეთისაგან გამოყოფილად არ აღიბეჭდოს „უსაშველო მეგრული აქცენტი“ მოლაპარაკე, გონებამახვილი და ენამოსწრებული ჭკვიკო გოგოლი, რომელსაც თითქოს მშვიდი და თინიერი ხასიათის მიუხედავად, უკიდურესი გაცხარებაც და ზომიერების გრძნობის დაკარგვაც შეუძლია. კიდევ უფრო მეტად მკაფიოდ და თავისებურ ხასიათს წარმოადგენს შოშია გოგოლაძე, რომელსაც „მილიონსჩემტო“ სახელმწიფო ქონება გაუფლანგავს, ეს „სჩემტო“ ცხრაასი მანეთი ყოფილა და ახლა თავის ამ დანაშაულს ცოლის „გაუმძღვრობას“ აბრალებს. შოშია მომხიბლავად მღერის, მუდამ თავის უპატრონოდ დარჩენილ შვილებზე წუხს და წუწუნებს, ნატრობს, რომ ჩიტად გადაიქცეს, ფრთები გამოესხას, გაფრინდეს ციხის საკნიდან და კვლავ თავისუფალი ცხოვრება მოიპოვოს, რათა ცოლს გაეყაროს, მეზობელი ქალი სირანა შეერთოს და სოფლის მეურნეობას მიჰყოს ხელი. ცალკე რომანის სიუჟეტად გამოდგებოდა თავგადასავალი პროფესიული ქურდისა და მძარცველის აკაკი დევიდარიანისა, რომლისთვისაც „ლიმონა“ შეურქმევიათ და რომელსაც განსაკუთრებული მორიდებით ექცევიან პატიმრები, ასევე რთულ სიუჟეტურ ხაზად შემოდის რომანის კომპოზიციაში ისიდორე სალარიძის ცხოვრების ისტორია. ეს ხანდაზმული ინტელიგენტი არსებითად უდანაშაულო კაცია, მას უნებურად, უკიდურესი აღლევების წუთში, ღრმად შეურაცხყოფილსა და შერწოვებულს სიძე შემოკვდომია, საკანის „მოსახლეთა“ შორის ისიდორე ყველაზე განათლებული და დარბაისელი კაცია. მისი „დანაშაული“ თავისთავად არაფერს წარმოადგენს საყურადღებოს და დამახასიათებელს რომანის ძირითადი იდეურ-თემატური შინაარსის თვალსაზრისით. მაგრამ სამაგიეროდ, სალარიძის სიძის მორალი — დაცემისა და მისი ცხოვრების დასასრულის მთელი ისტორია შეიცავს ფართო განზოგადებითი ღირებულებების ცხოვრებისეულ მასალას იმის გასაგებად.

თუ როგორ კატასტროფას უმზადებს პიროვნების მორალურ და ფაზიკურ არსებობას „ვეფხისტყაოსანიდან“ მოპოვებული, ე. ი. მოპარული და ბნელი კომბინაციებით მითვისებული ფული და ამ გზით მიღწეული „კეთილდღეობა“.

6. ღუმბაძე საერთოდ. როგორც თავის სხვა რომანებში, ამ ნაწარმოებშიც გაურბის პერსონაჟთა პლაკატურ, სწორხაზობრივ ხატვას. იგი უარყოფითი პერსონაჟის სახეთა გადმოცემისას არასოდეს არ ივიწყებს, რომ უკიდურესად მახინჯ და მანკიერ ადამიანის ბუნებაშიც კი შეიძლება იყოს რაიმე დადებითი და საინტერესო. თვით მწერლის ამგვარი თვალსაზრისია გამოთქმული ზაზა ნაკაშიძის დედის სიტყვებში იმის შესახებ, რომ ადამიანი ფრესკა არ არის, რომ მას მხოლოდ ერთი მხრიდან ვუცქიროთ, რომ ადამიანს გარშემო უნდა შემოვუაროთ და სწორედ იმ მხრიდან შევხედოთ, საიდანაც ყველაზე ლამაზად გამოიყურება. მაგრამ ადამიანის ბუნებისადმი ასეთი ფართო და ტოლერანტული დამოკიდებულება სრულიადაც არ მოასწავებს ბოროტებისადმი რაიმე შემწყნარებლობას და მორალურ კომპრომისს ნ. ღუმბაძის შემოქმედებაში. მკაცრი და შეურიგებელი გრძნობით მოგვითხრობს მწერალი სასაფლაოს ყოფილი დირექტორის მექრთამე მებურიშვილის, მეგობრის ცოლის გაუპატიურების განმზარახველი გამცემლიძის, ქურდის და მკვლელის ტიგრან გულოიანის, სპეკულანტ მოშიაშვილის და საერთოდ რომანის ყველა იმ მოქმედი პირის თავგადასავალს, რომელიც წყლულად და მეტხორცად მოვლენია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ჯანსაღ ორგანიზმს. ციხის ერთ საკანში, „მეხუთე მეთაუში“ ჩამწყვდეული პატიმრები ნოდარ ღუმბაძისათვის შეადგენენ ჩვენი სინამდვილის მანკიერ და მახინჯ მოვლენათა მხატვრულად გამოკვლევისა და წარმოსახვის ძირითად მასალას. მაგრამ მარტო ამ მასალით როდი იზღუდება მწერლის თვალსაწიერი, იგი მოგვითხრობს ვიღაც აზიზას შესახებ, მას თბილისის თითქმის ცენტრში საროსკიპო სახლი გაუხსნია, რომელშიც გარყვნილ განცხრომას ეძლევა ბევრი ისეთი პიროვნებაც კი, რომელიც თავისი თანამდებობით და მდგომარეობით ვალდებულია ებრძოდეს ასეთ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს. ჩვენი სინამდვილის მრავალ აღმასფთოებელ მტკიცეულ მოვლენაზეა ლაპარაკი შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე მოქალაქეთა მიერ გამოგზავნილ განცხადებებსა და ანონიმურ წერილებში, სადაც დასახელებულა მალალ თანამდებობათა გაყიდვის, აღვირახსნილი მექრთამეობისა და შემადიწუნებელი უზნეობის ფაქტები. თუ თავს მოვუყრით რომანში გამომზეურებულ მთელ ამ ნეგატიურ მასალას, დავინახავთ, რომ „თეთრი ბაირალები“ მხატვრულ ენაზე გამოთქმული უკომპრომისო, დაუნდობელი და ყოვლისმომცველი იერიშია ყველაფერ იმის წინააღმდეგ, რაც წინ ელობება და აფერხებს საბჭოთა საზოგადოების განვი-

თარებას, და ეს მამხილებელი სიმძაფრე სრულებითაც არ უკარგავს თხრობას ბუნებრივობასა და დამაჯერებლობას. არსად არ გადადის ხელოვნურად გაზვიადებულ, გამოგონილ და ყალბ „ტენდენციურობაში“. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, მანინჯი ადამიანებრსა და მათი ბნელი საქმეების მთელი ეს სამყარო რომანში იზოლირებულად, თავისთავში მომწყვდეულად, საკუთარი უმსგავსო და უბადრუკი ცხოვრებით შემოზღუდულად როდია წარმოსახული. თუ ამ ნეგატიურ სამყაროს მოცულობის მხრივ წიგნში, არითმეტიკული რაოდენობის თვალსაზრისით, შედარებით უფრო ვრცელი ადგილი უჭირავს, სამაგიეროდ რომანში ისეთი მგზნებარებით, სიყვარულით და მომხიბვლელი სიმართლით არის დასატული ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელი ძირითადი წამყვანი ფაქტორები და ტენდენციები, ჩვენი დღეების დღეებითა ადამიანები და მათი კეთილშობილური საქმეები, რომ თხრობის მთელს მანძილზე არა მარტო ავტორის, არამედ მკითხველის უყოყმანო თანაგრძნობა და სოლიდარობა სწორედ მათ მხარეზეა, ამ დადებითი ადამიანების. მათი ამალღებული აზრებისა და გრძნობების, მათი კეთილმყოფელი საქმეების მხარეზე.

მრავალფეროვანია ჩვენი დროების დიადი სიკეთის, სიმართლისა და მშენებების განმასახიერებელ ადამიანურ სახეთა გაღერვა ამ რომანში. ნაწარმოების დადებით პერსონაჟებს შორის. პირველ ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ თვით ზაზა ნაკაშიძე, რომანის მთავარი გმირი, რომლის ერთიან აღმსარებლობითს მონოლოგს, საკუთარი თავგადასავლის მონათხრობს წარმოადგენს ეს წიგნი. თხრობის მთელს მსვლელობაში ზაზა განუწყვეტლივ დგას ჩვენს წინაშე, ხან როგორც უშუალოდ მოქმედი პიროვნება, ან როგორც მის მიერ ნახული და განცდილი მოვლენების, ან მასთან ამა თუ იმ სახით დაკავშირებული ადამიანების აზრთა და კუცევათა განმსჯელი და შემფასებელი. სრულიად სხვადასხვაგვარ ადამიანურ ურთიერთობათა ვითარებაში, უკიდურესად დაძაბული და გართულებული სულიერი ცხოვრების ნათუნახებში ვხვდებით და ვეცნობით ჩვენ ამ ახალგაზრდა კაცს, რომელიც თავისი პიროვნების ყოველ გამოვლინებაში კეთილშობილებისა და გონიერების, სიმართლისა და სიკეთის, სპეტაკი ზნეობრიობისა და მაღალი შეგნებულობის, ძლიერი ნებისყოფისა და ვაჟკაცობის ცოცხალ განსახიერებად რჩება. მას სრულიად მოულოდნელად უმძიმესი განსაცდელი დაატყდა თავს, კაცის მოკვლა დაბრალდა და უდანაშაულოდ ციხეში აღმოჩნდა. საქმე იმგვარად წარიმრთა, რომ რეალურად დაემუქრა მძიმე სასჯელის საფრთხე, თავის მართლების საშუალება კი თითქმის არ აღმოჩნდა, შექმნილი რთული ვითარებისაგან თავდაღწევის იმედი მეტად სუსტი და თითქმის დაუჯერებელიც იყო. ყოველივე ამის მიუხედავად, ზაზა სულიერად არ გატყდა, არ დაძაბუნდა, კვლავ შეუტყვეველი რწმენით განაგ-

რძობდა ბრძოლას თავისი სიმაღლისა და ადამიანური ღირსებების დასაცავად. ზაზამ ბევრი სიმწარე, მწუხარება და, ზოგჯერ, სასოწარკვეთილებაც კი განიცადა, მაგრამ ვერაფერმა ვერ შებლაღა და ვერ დაამახინჯა მისი მორალური სახე. თავის გადასარჩენად მას არ დაუშვია არავითარი კომპრომისი სინდისის კარნახისა და მორალური ვალდებულების წინაშე. მას ჰქონდა მოხერხებული შემთხვევა, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული მძიმე ბრალდება იოლად გადაებრალებინა სხვისთვის, მაგრამ ასეთი სულმდაბლობა უცხო და ყოველად შეუფერებელია ზაზას კეთილშობილური ბუნებ-სათვის, ასეთი ქედუხრელობით, შეურყეველი რწმენით და უტეხი სულიერი მსნეობით, მაღალი მორალური პრინციპულობით მოიპოვა ზაზამ გამარჯვება ურთულეს ცხოვრებისეულ სიძნელესა და წინააღმდეგობაზე, ამაში მდგომარეობს ნაკაშიძის შესანიშნავი სულიერი გამირობა და ვაჟკაცობა.

ასეთი მაღალი ადამიანური ღირსებით ყველა როდია დაჯილდოებული. აქი ვერ გაუძლო ღრმად განათლებულმა, დარბაისელმა და კეთილშობილმა ინტელიგენტმა ისიდორე სალარიძემ თავისი ცხოვრების გზაზე აღმოცენებულ რთულ სიტუაციას. როცა საკუთარი სიძე შემოაკვდა, ვერაფრით ახერხებდა იმის დამტკიცებას, რომ მკვლელობა განზრახ არ ჩაუდენია და, მაშასადამე. მისთვის მძიმე სასჯელი გარდაუვალი აღმოჩნდა. რაკი პატარების მერ გათამაშებული გასამართლების ინსტენიების დროს ისიდორემ ვერავითარი საშუალებით ვერ დასაბუთა თავისი სიმაღლე, დარწმუნდა, რომ უკეთეს შედეგს ვერც ნამდვილ სასამართლო პროცესზე მიაღწევდა. ამიტომ დაუმსახურებლად მიღებული მძიმე სასჯელის ტვირთის ზიდვას სიკვდილი არჩია და საპატარო საკანში თვითმკვლელობით დამთავრა სიცოცხლე. ზაზას კი აღმოაჩნდა შინაგანი ძალა და ენერჯია. გამკლავებოდა ყოველგვარ დაბრკოლებას. გადაელახა იგი და თავისი სიმაღლის რწმენით შთავგონებულს, ამ სიმაღლისათვის უშიშარი და შეუპოვარი ბრძოლით დაეთრგუნა ბედის უკუღმართობა. სწორედ ამ მხრივ წარმოადგენს ზაზას სახე ნიმუშს და მისაბამ მაგალითს თანამედროვე ახალგაზრდობისათვის, ამ ახალგაზრდობის ხასიათის საუკეთესო თვისებათა ცოცხალ ტიპიურ განსახიერებას. რომანის სიუჟეტის მთელს განვითარებაში ზაზას არაფერი ჩაუდენია ისეთი, რაც წინააღმდეგებოდეს ჩვენი დროის მოწინავე ახალგაზრდა კაცის მორალურ კოდექსს, მის მოქალაქეობრივ ვალდებულებებს. ზაზა ნაკაშიძის სახით მწერალი გვიხატავს არა რაღაც ზეადამიანური სრულყოფილების იდეალურ სურათს, არამედ ცოცხალ სახეს დადებითი ახალგაზრდა კაცისას. რომელსაც შეიძლება ცხოვრების ამა თუ იმ შემთხვევაში ცალკეული ადამიანური სისუსტეც აღმოაჩნდეს, ისეთი სი-

სუსტე, რომელიც ვერაფრით დაჩრდილავს მის საერთო სულიერ მშვე-
ნებას და მორალურ სიწმინდეს.

თავისი მაღალი ადამიანური ღირსებებით ზაზას გვერდით დგას
მისი მოწაფეობისა და სტუდენტობის წლების მეგობარი როსტომ
ამილახვარი, რომელიც ზაზასთან ერთად უნებური დამსწრე აღმოჩ-
ნდა რესტორან „მადაში“ დატრიალებული იმ საბედისწერო რეციდე-
ნტისა, რის შედეგადაც ზაზასთან ერთად ისიც დაპატიმრეს და მასაც
კაცის მოკვლა დააბრალეს. მკითხველი რომანის მხოლოდ პირველ
გვერდზე ხედება და ეცნობა როსტომ ამილახვარს, თბილისის უნი-
ვერსიტეტის სტუდენტს, რომელიც დაუსწრებელ განყოფილებაზე
გადარცხულა. რადგან გარაჟში დაუწყია მუშაობა მანქანების მრე-
ცხავად. რათა მოხუცი და დასნეულებული დედა ერჩინა. თბრობის
შემდგომ მსვლელობაში როსტომი აღარ ჩანს მოქმედებს სარბიელ-
ზე. ეს გარემოება ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ თუ მწერალი მო-
ინდომებდა საპატიმროში როსტომის ცხოვრებასა და თავისი სიძარ-
თლის დასაცავად მისი ბრძოლის აღწერას, ალბათ, არსებითად ეს მხატ-
ვრული საჭე ზაზა ნაკაშიძის განმეორება გამოვიდოდა და ვერაფერს
შესძენდა მნიშვნელოვანსა და ფასეულს რომანის იდეურ-მხატვრულ
სამყაროს. ზაზა ნაკაშიძის ნაამბობში კი ნათლად არის მინიშნებული,
რომ პატიმრობის მძიმე დღეებში როსტომსაც ისე კეთილშობილუ-
რად, ქედუხრულად და უკომპრომისოდ ექირა თავი, როგორც ზაზას.
ერთხელ მას განუზრახავს კიდევ, რომ თავისთავზე მიეღო რესტორან
„მადაში“ მომხდარი მკვლელობის დანაშაული. რათა უსამართლო
ბრალდებისაგან დაეხსნა ზაზა, მით უფრო, რომ ნაკაშიძე სწორედ
როსტომის მიპატიჟებით ჩავიდა რესტორანში და ამილახვარი ერთ-
გვარ სინდისის ქენჯნას განიცდიდა მეგობრის თავზე დატრიალებული
უბედურების გამო. ვანა თუნდაც მარტო ეს ერთი შტრიხი საკმარისი
არ არის როსტომის ნათელი ადამიანური ბუნების გასაცნობად? მარ-
თლაც რომ იშვიათი მხატვრული ნიჭიერებაა საჭირო იმის მისაღწე-
ვად, რომ პერსონაჟი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდეს ნაწარმოების სარ-
ბიელზე. მის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ფრაზა იყოს ჩართული ავ-
ტორისეულ თხრობაში და მაინც მისი პიროვნება. მისი გარეგნული
სახეც და სულიერი სამყაროს თავისებურებაც ასე ცხადად საგრძნო-
ბი იყოს მკითხველისათვის. სწორედ ამგვარ იშვიათ ოსტატობას ფლობს
ნოდარ დუმბაძე, — ეს მისი მხატვრული ინდივიდუალობის ერთ-ერ-
თი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანთვისებაა. მაგრამ თავისი ნა-
თელი ჰუმანისტური იდეალის ხორცშესხმის, ადამიანის ზნეობრივი სის-
პეტაკის, სიკეთისა და სულიერი მშვენების ცოცხალ კონკრეტულ მხატ-
ვრულ სახეში განხორციელების თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდ

შემოქმედებითს წარმატებას მიაღწია ზაზა ნაკაშიძის დედის დაუვიწყარად შთამბეჭდავი სახის დახატვით. ამ პიროვნებასაც ვრცელი ადგილი როდი აქვს მიკუთვნებული სიუჟეტის განვითარებაში. სულ სამჯერ და ისიც ძალიან მცირე ხნით ხვდება მას მკითხველი. პირველად შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტში, სადაც იგი შთამაგონებელი თავგამოდებით ექომაგება უდანაშაულოდ დაპატიმრებულ შვილს, მეორედ — ციხეში, პატიმარ შვილთან პაემანზე და მესამედ — ციხის ალყაფის წინ, როდესაც პატიმრობიდან განთავისუფლებულ შვილს ეგებება, რათა შინ წაუძღვეს მას და განცდილი მრავალი ტკივილისა და მწუხარების მოშუშება გაუადვილოს თავისი ტკბილი დედობრივი აღურსით. ეს სამი ხანმოკლე გამოჩენა ნაწარმოების სარბიელზე სავსებით საკმარისი აღმოჩნდება იმისათვის, რომ მისი სახე წარუშლელად აღიბეჭდოს მკითხველის ცნობიერებაში, როგორც სიკეთის, გონიერების, მშობლიური სიყვარულის, ზნეობრივი ნათელის ხორცშესხმული სიმბოლო. მაგრამ ეს ფართო განზოგადოებითი უღერის სახე-სიმბოლო ჩვენს წინაშე წარმოდგება, როგორც სავსებით რეალური, ცოცხალი, სისხლხორციით სავსე ბასიათი. მკითხველი ხედავს, გრძნობს, განიცდის ამ სამაგალითო ხანდაზმული ქართველი დედის გამომეტყველებისა და მთელი გარეგნობის ყოველ დეტალს, მისი სულიერი სამყაროს მოძრაობის ყოველ ნიუანსს. რად ღირს მარტო შინაგან საქმეთა მინისტრთან მისი დიალოგის საოცრად ლაკონური, მაგრამ ღრმა აზრით და გრძნობით აღსავსე სცენა, დამუშავებული სიტყვიერი ხელოვნების ჭეშმარიტად მაღალპოეტურ დონეზე. თუ მოვინდომებთ ქართულ მწერლობაში სათაფრები თუ ანალოგიები მოვუნახოთ ქართველი დედის ამ სახეს, ჩვენ დაგვჭირდებოდა გაგვეხსენებინა დიდი ილია ჭავჭავაძის უკვდავი ქმნილება — ოთარაანთ ქვრივი, ნიკო ლორთქიფანიძის ჯადოსნური კალმით გამოძერწილი თავსაფრიანი დედაკაცი და თვითონ ნოდარ დუმბაძის მიერ მის პირველ გახმაურებულ ნაწარმოებში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ დახატული ბებიას სახე.

რომანის დადებითი პერსონაჟების ანსამბლში გამოირჩევა ექთან ნუნუ, მოხდენილი გარეგნობის ქალი, რომელსაც თავისი გულისხმიერებით, სიკეთით, მზრუნველი დამოკიდებულებით პატიმართა სიყვარული და პატივისცემა აქვს მოხვეჭილი. ციხის პირქუშ ატმოსფეროში მის ყოველ გამოჩენას შეჰხარიათ და შეტრფიან ცხოვრების სხვადასხვა გარემოებათა გამო გზაგამრუდებული ადმიანები, რომელთაც დაუკარგავთ ამქვეყნიური არსებობის ყველაზე ძვირფასი სიკეთე — თავისუფლება. ნუნუზე გულუბრყვილოდ არის შეყვარებული ზაზა ნაკაშიძეც. ჰაბუკის ოცნებებში, „ხილვებში“, წარმოდგენებსა და სიზმრებში ნუნუს სახე ნათელ სხივად არის შემოჭრილი და მისდამი წრფელი სიყვარული ერთ-ერთ საიმედო სულიერ დასაყრდენად გადაქცეუ-

ლა ამ დაუმსახურებელი სატანჯველისათვის განწირული ახალგაზრდა კაცისათვის. ჩვენი ხალხის მაღალი ჰუმანური რწმენისა და მორალის განსახიერებად გვევლინება რომანში გამომძიებელი ხელაძე, რომელსაც დაევალა ზაზა ნაკაშიძის საქმის ძიება, ნაცვლად უსულგულო მოხელის გუგუასი, და აგრეთვე ციხის რიგითი ზედამხედველი, რომელმაც მართალია, წვრილმანი, მაგრამ განუზომელი კმაყოფილების მომგვრელი გულისხმიერება გამოიჩინა ზაზასადმი. ამ ზედამხედველმა რაღაც ადამიანური გუმანით იგრძნო ზაზას სიმართლე, მისდამი თანაგრძნობით და სიბრალულით განიმსჭვალა და როდესაც გამომძიებლის კაბინეტში შეიყვანა და დატოვა ნაკაშიძე, უეცრად გამოიგონა, თითქოს მას შემთხვევით პატიმრის სიგარეტი გაჰყოლოდეს და გამომძიებლის პირისპირ დარჩენილ ზაზას „პრიმა“ და ასანთი დაუწყო წინ. „უცებ რაღაც თბილი ჩამედვარა სხეულში და ჩემდა უნებურად თვალები დამიღბა“ — გვიამბობს ზაზა ამ ეპიზოდის აღწერისას. ბევრი რამ არის დადებითი და თანაგრძნობის აღმძვრელი ისიღორე სალაროძის ტრაგიკულ თავგადასავალშიც. ადამიანობის პოზიტიურ მარცვლებს ეძებს და ზოგჯერ პოულობს კიდევ მწერალი სხვა პატიმართა სულიერი წყობის სიღრმეებში, ზოგიერთი მათგანის გაუკუღმართებული ცხოვრების ისტორიაში. მაგრამ „თეთრი ბაირალების“ ნამდვილ ზეიმს. მის უპირველეს შემოქმედებითს გამარჯვებას წარმოადგენს შინაგან საქმეთა მინისტრის სახე, რომელიც, მიუხედავად თხრობის მსვლელობაში მისთვის მიკუთვნებული ეპიზოდური მდგომარეობისა, მეტყველად და ცხოველყოფელად განასახიერებს იმ ნათელი იდეურ-მორალურ პოზიციას, რომლის სიმალლიდანაც აღიქვამს, იკვლევს და წარმოსახავს ავტორი სინამდვილის მრავალფეროვნებას, ცხოვრების ურთულეს კონფლიქტებს და წინააღმდეგობებს, მის წამყვან, ნათელ ტენდენციებსაც და ჩრდილოვან, მანკიერ მხარეებსაც. ეს სახე იმ ჰუმანიტების დადასტურებაა, რომ მხატვრულ შემოქმედებაში არ არსებობს გარეგანი ფორმის ყველასათვის და ყოველგვარი შემთხვევისათვის თანაბრად სავალდებულო ნორმები და კანონზომიერებანი, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებში მნიშვნელობა არა აქვს მოცულობრივსა და არითმეტიკულ-რაოდენობრივ კრიტერიუმებს, „თეთრი ბაირალების“ ხუთიოდე გვერდის მანძილზე გაიღვებებს მკითხველის თვალწინ შინაგან საქმეთა მინისტრის სახე, მაგრამ უღრმესი შთაბეჭდილების მომხდენი ძალით აღიბეჭდება ჩვენს მესხიერებაში, როგორც ამ ნაწარმოების მოქმედ პირთა შორის ყველაზე მთლიანი, მართალი, ცოცხალი და დასრულებული ადამიანური ხასიათი. ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ ეს პიროვნება ზაზას მიერ ნახული სიზმრიდან არის შემოსული რომანის გმირთა სამყაროში, რომ ზაზამ სიზმარში თითქოს თავისი თავი

იხილა მინისტრის მდგომარეობაში და, მაშასადამე, მის წარმოდგენაში წაიშალა ყოველგვარი საზღვარი საკუთარ პიროვნებასა და მინისტრს შორის. ეს ორიგინალურად მოფიქრებული მხატვრული ხერხი, რომელიც იმას მიგვანიშნებს, რომ მწერალი თუ მისი რომანის მთავარი გმირი. მინისტრის ყოველ ქცევასა და მოქმედებას ისე განიცდის, როგორც საკუთარი სულიერი სამყაროსა და პიროვნული ბუნების განუყოფელ ნაწილს, ორგანულ გამოვლინებას, სრულიადაც ხელს არ უშლის მკითხველს, რომ მინისტრის სახეში ხედავდეს სავესებით რეალურ ადამიანს. — საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული ხელმძღვანელი მოღვაწის ტიპსაც და ამავე დროს მკაფიოდ ინდივიდუალურ ადამიანურ ხასიათსაც. როგორ მძაფრად და მღელვარედ განიცდის მინისტრი მის სახელზე შემოსულ განცხადებებსა და ანონიმურ წერილებს. რომლებშიც ლაპარაკია ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში დაგროვილი ათასგვარი სიმანჩინჯისა და ბოროტების შესახებ, იმის შესახებ, თუ „ვინ სად, როდის და რამდენ ქრთამს იღებს, ვის რომელი ხის ძირში აქვს ფული დამარხული, რომელ კედელში ოქროებითა და ძვირფასი თვლითით სავსე ქოთნები. ვინ რამდენად ყიდის სამუშაო ადგილს თუ წილს, ვინ რომელ რესტორანში ქეიფობს არღნით ხელში ბოზებთან ერთად. ვინ რამდენ ბოთლ შამპანურს სვამს გარყვნილი დედაკაცის ძუძუსთან ვეზიდან, ვის აქვს ყალბი დიპლომი, როგორ იღებენ ქრთამს ქალაქში ჩაწერაში, მანქანების გაფორმებაში და უამრავ სხვა რამეში...“

გულის სიღრმემდე შეშფოთებული და აფორიაქებული კითხულობს მინისტრი ასეთ წერილებს და თითქოს უცებ ავიწყდება, რომ ქვეყნად არსებობს სუფთა პაერი, წმინდა მდინარე, შეურყვნელი ბალახი, მოუქრელი ხე, მოუგლეჩელი ყვავილი, მაგლობელი ჩიტი და უღრუბლო ცა. ამ წერილების კითხვისას მინისტრს წარმოუდგება თითქოს „ყველაფერი მიწაზეა გართხმული და ტალახში ამოსვრილი... რომ დედამიწის დაშვეებული ზურგი სავსეა ბალღამითა და ბოროტებით“, მაგრამ საკმარისია ქუჩაში სუფთა პაერზე გასასვლელად გამოსულს პირველივე პატიოსანი და კეთილი მეგობარი შემოხედდეს, ხელი ჩამოართვას და რამდენიმე წუთით გაესაუბროს, რომ ერთბაშად აღიდგინოს ცხოვრების ჯანსაღი საწყისების, სიცოცხლის მშვენიებისა და სიტკბოების სასიხარულო შეგრძნება, დაიბრუნოს წუთით თითქოს შერყეული სულიერი წონასწორობა და აღორძინებული ენერჯით და გატაცებით შეუდგეს თავის დიდ საქმიანობას. ყოველგვარი ბოროტებისა და სიმანჩინჯის აღსაკვეთად გაჩაღებულ ბრძოლას, რომელშიც დიდი პირადი წვლილი შეაქვს შინაგან საქმეთა მინისტრს, როგორც ამ ბრძოლის ერთ-ერთ ინიციატორსა და მესვეურს, გაუცოფებია ყოველი ჯურის ბნელი კომბინატორები და ბოროტმოქმედი საქმოსნები. ისინი წყევლა-კრულვით, მუქართა და შურისძიების გრძნობით აღსავსე ანონი-

მურ წერილებს უგზავნიან მინისტრს. მაგრამ ყოველივე ეს არა მარტო ვერ ანელებს ამ შესანიშნავი მოღვაწის მებრძოლ ნებისყოფას და შემტევ შემართებას, არამედ ვერც ამკაცრებს და აუხეშებს მის სულიერ და ზნეობრივ სამყაროს, ვერ აქვეითებს იმ სიკეთისა და სიმართლის მოყვარეობის ძალას, რითაც ესოდენ უხვდაა დაჯილდოებული ეს შესანიშნავი პიროვნება. მინისტრის ეს სამაგალითო სულიერი სიმდიდრე. მისი ნათელი გონების ძალა, კეთილი გულის მხურვალე მთელი სისრულით არის გამოვლენილი ზაზა ნაკაშიძის დედასთან საუბარში, რომელიც რომანის ერთ-ერთ საუკეთესო, აზრობრივად და მხატვრულად მაღალ დონეზე შესრულებულ პასაჟს წარმოადგენს. მინისტრმა გაუგო უდანაშაულოდ დასაღუშავად განწირული შვილის ბედით გამწარებულ დედას, და თუმცა საქმის ვითარების გაცნობამდე არ მისცა მას რაიმე გარკვეული დაპირებანი, სასწრაფოდ შეუდგა საქმის შესწავლას და ეფექტური ზომებიც მიიღო სიმართლის დასადგენად. პატიმრის დედას მან შვილთან შეხვედრის საშუალება მისცა. ზაზას გამომძიებელი შეუტყვალა და ამ რთული საქმის კვლევა-ძიება უფრო გამჭირახი გონების, გულისხმიერ სპეციალისტს დააკისრა. ყოველივე ამან დიდად გაუადვილა ზაზა ნაკაშიძეს თავისი სიმართლის დამტკიცება და მოსალოდნელი მძიმე სასჯელისაგან თავის დაღწევა. ეს მხატვრული სახე ჩვენი დროის გმირის, დადებითი ადამიანის სამაგალითო ნიმუშია. არა მარტო ქართული, არამედ მთელს მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაში იშვიათად თუ შევხვდებით ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ესოდენ ცოცხალ, თბილ, მართალ და ბუნებრივ მხატვრულ სახეს. მინისტრის სახე რომანში დაწერილია მხატვრული ტაქტისა და ზომიერების გამახვილებული გრძობით, აქ ნატამალიც არ არის რაიმე პლაკატურობისა და სქემატურობისა, რაიმე გადაჭარბებისა და გაზვიადებისა.

როგორც ვხედავთ, „თეთრ ბაირაღებში“ ცხოვრობენ და მოქმედებენ ერთმანეთისაგან ღრმად განსხვავებული, ხშირად მძაფრად ურთიერთსაწინააღმდეგო სოციალური და მორალური პოზიციების, განუმეორებელი, თავისებური ხასიათის ადამიანები. მათი მრავალმხრივი ურთიერთობის რთული კომპლექსი, ჩაყენებული და წარმართული ზუსტად მოფიქრებული სიუჟეტური კომპოზიციის კალაპოტში, დამარწმუნებელი მხატვრული სიმართლით წამოსახავს თანამედროვე საზოგადოებრივი სინამდვილის დამახასიათებელ ტენდენციებს, მის უსაზღვრო მრავალმხრივობას და მწვავე წინააღმდეგობებს, მისი განვითარების მაგისტრალურ გეზსაც და ამ დიდი ისტორიული პროცესის შემაფერსებელ და დამაბრკოლებელ ფაქტორებსაც. როგორც თავის სხვა ნაწარმოებებში, ამ რომანშიც მწერალი უხვად იყენებს ავტობიოგრაფიულ მასალას. ზაზა ნაკაშიძის ცხოვრების ისტორიაში ბევრი რამ

არის ავტორის მიერ პირადად განცდილი, ნაგრძნობი და გააზრებული. რომანის სიუჟეტის მამოძრავებელი სიტუაციები ცოცხალი სინამდვილის წყაროებიდან არის გადმოღებული და მოქმედ პირთა დიდი უმრავლესობა რეალურ პროტოტიპთა ნიადაგზეა აღმოცენებული. აქედან წარმოდგება ცხოვრებისეული სიმატლის, უშუალობისა და სიწრფელის ის განცდა, რომელიც განუწყვეტლივ თან გვდევს ნ. დუმბაძის ყველა ნაწარმოებში და კერძოდ „თეთრი ბაირაღების“ კითხვისას. მაგრამ მთელი ეს ცხოვრებისეული მასალა მწერლის მიერ დეფორმირებულია და გარდაქმნილი მისი იდეურ-მხატვრული მიზანსწრაფვის შესაბამისად. ჩვენი დღეების ყველაზე მწვავე და აქტუალური საკითხების დამუშავებისას მწერალი ეხმაურება ფართო მასშტაბის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საკაცობრიო მნიშვნელობის სოციალურ, ეთიკურ და ფილოსოფიურ პრობლემატიკას.

იშვიათად შემხვედრია უკანასკნელი წლების საბჭოთა ლიტერატურაში ნაწარმოები, რომელშიც მამხილებელი სიმძაფრე და ცხოვრების დამამკვიდრებელი პათოსი ასე ორგანულად და ბუნებრივად იყოს ერთმანეთთან შერწყმული, როგორც ეს მიღწეულია „თეთრი ბაირაღებში“. ასეთი მხატვრული წარმატება კი საღებავთა განაწილებისა და შეზავების, ნათელ-ჩრდილთა მონაცვლეობის იმ მაღალ ხელოვნებას გულისხმობს, რასაც სიტყვიერი ფერწერის მხოლოდ რჩეული ოსტატები არიან დაუფლებულნი.

„თეთრი ბაირაღები“ მრავალმხრივი და მრავალგვარი იდეურ-მხატვრული თვისებებით არის ორგანულად დაკავშირებული ნ. დუმბაძის სხვა ნაწარმოებებთან. პირველ ყოვლისა, აქ სიკეთის, აქტიური ჰუმანიზმის ის სულისკვეთება უნდა აღინიშნოს, რომლითაც ასე გლობალურად არის განმსჭვალული ამ მწერლის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება. რასაც არ უნდა აღწერდეს და მოგვითხრობდეს, „თეთრი ბაირაღების“ ავტორი, ადამიანის სულიერი სამყაროს სიმდიდრესა და მშვენების უმაღლეს გამოვლინებებს თუ სინამდვილის ჩრდილოვან მხარეთა ყველაზე მახინჯ მაგალითებს, დაუნდობელი მამხილებლის როლში გამოდის ავტორი თუ მგზნებარე აპოლოგეტისა და ქომავლისა, ყველგან უყოყმანოდ დგას დიდი სინათლისა და სიკეთის მორალურ-ესთეტიკურ პოზიციაზე და სწორედ ასეთ ასპექტში, ასეთი თვალსაზრისის სიმაღლიდან ხედავს სამყაროს და წარმოსახავს მის ნაირფეროვან კონკრეტულ გამოვლინებებს. „თეთრი ბაირაღები“ სამაგალითო ნიმუშია მღელვარე დრამატიზმისა და ხალისიანი ჰუმორის განუყოფელი სინთეზისა, რაც ნ. დუმბაძის ბედნიერი ნიჭიერების ერთერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებაა. თავის ამ ახალ ნაწარმოებში მწერალმა ახლებურად გაიმეორა მისი მსოფლშეგრძნებისა და ესთეტიკური პოზიციისათვის ნიშანდობლივი ზოგიერთი მოტივი, ასე-

თია, მაგალითად, დედა-შეღუერი ურთიერთსიყვარულის ამაღლებელი გრძნობა, რომელიც ნ. დუმბაძის თითქმის ყველა მთავარ ნაწარმოებშია განსახიერებული. ასეთია მზის სიმბოლიკა, რომელშიც მწერალი განახორციელებს ყოველგვარი სიკეთის, სინათლისა და სილამაზის იდეალს, რითაც გასხივოსნებულია „მზიანი ღამე“ და კიდევ უფრო ადრინდელი ქმნილება „მე ვხედავ მზეს“. ასეთი პარალელები და ანალოგიები საესეებით ბუნებრივია და გასაგები. ლიტერატურის ისტორიამ არ იცის მწერალი, რომელსაც თავის ყოველ ახალ ნაწარმოებში ზურგი შეექციოს საკუთარი შემოქმედებითი ტრადიციისათვის და თავიდან დაეწყოს მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური პოზიციების ძიება. მაგრამ „თეთრი ბაირალები“, პირველ ყოვლისა, იმით იპყრობს ყურადღებას, რომ იგი მრავალი მნიშვნელოვანი სიახლით ამდიდრებს მწერლის შემოქმედებითს სამყაროს. ამ რომანში უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე თავის ადრინდელ ნაწარმოებში, მწერალი აღძრავს და წყვეტს უაღრესად აქტუალურ სოციალურსა და ეთიკურ პრობლემებს, კიცხავს და გმობს ადამიანის სულიერ წყობაში თუ სოციალურ გარემოში დასადგურებულ ათასგვარ ბოროტებას და სიმახინჯეს, შეჰხარის და უმღერის ჩვენი დროების დიადი სიკეთის ამაღლებულ გამოვლინებებს. მხატვრული გამომსახველობის საშუალებათა სფეროში ამ ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი თვალსაჩინო სიახლე კი ის არის, რომ მწერალი დაჟინებით და გააზრებულად ეძიებს და წარმატებით პოულობს კიდევ სინამდვილისადმი ხელოვანის დამოკიდებულების საშუალებათა გამდიდრებას, რეალიზმის საზღვრების გაფართოებას ჩვენს სოციალისტურ ხელოვნებაში. მე მხედველობაში მაქვს რომანის მთავარი გმირის „ხილვები“, სიზმრები, წარმოდგენათა შემცველი პასაჟები, რომლებშიც რეალიზებულია მეტად საინტერესო ცდები პირობითი რეალიზმის ელემენტების დამკვიდრებისა ჩვენს ხელოვნებაში. ამ მხრივ მწერალი გაბედულად და გააზრებულად იყენებს უკანასკნელი წლების საბჭოთა მხატვრული პროზისა და დასავლეთის უახლოესი ბელეტრისტიკის გამოცდილებას რეალიზმის ფარგლების გაფართოების სფეროში. რასაკვირველია, ყოველივე ამას არაფერი აქვს საერთო „უნაპირო რეალიზმის“ როგორც გაროდისეულ „თეორიასთან“, რაც არსებითად რეალისტური ხელოვნების ფუძემდებლური პრინციპების უარყოფასა და გაბიბრუებას წარმოადგენს.

მაინც აქვს თუ არა „თეთრ ბაირალებს“ რაიმე ნაკლოვანებანი, ხარვეზები და სუსტი მხარეები? რასაკვირველია, აქვს. ადამიანის ხელით შექმნილი ყოველმხრივი სრულფასოვნებისა და სრულყოფის ნიმუშებს ჩვენ მხოლოდ მსოფლიო კლასიკური ხელოვნებისა და ლიტერატურის უდიდეს შედევრებში ვხედავთ და ისიც ალბათ იმიტომ, რომ

ჩვენ აღზრდილნი ვართ სულიერი კულტურის ამ უქკნობი ძეგლებსა-
დმი შეუვალი თაყვანისმცემლობის გრძნობით, რომელიც არც უფლე-
ბას გვაძლევს და არც მოთხოვნილებას ბადებს, რომ მზეზე ჩრდილოვა-
ნი წერტილები ვეძებთ. თანამედროვე მწერლობასა და ხელოვნებაში
კი მე არც შემხედრია ისეთი ნაწარმოები, რომელშიც დაკვირვებულმა
თვალმა და. მით უფრო სპეციალისტის, კრიტიკოსის პროფესიულმა
აღლომ რაიმე ცალკეული შეუსაბამობა, შეცდომა, ხარვეზი ვერ შეამჩ-
ნოს. ლიტერატურული კრიტიკა არა მარტო უფლებამოსილია, არამედ
ვალდებულიცაა გამოჰყოს ყოველი ასეთი დეფექტი, უკომპრომისოდ
დაანახოს და განუმარტოს იგი ავტორსაც და მკითხველსაც.

„თეთრი ბაიზალები“ თვალსაჩინო დეფექტად მე მიმაჩნია, მაგალი-
თად, ის უხეშად ნატურალისტური, ტლანქი, გაშიშვლებული ეროტო-
მანიული პასაჟი. როგორცაა ციხის სამრეცხში ზაზა ნაკაშიძისა და პა-
ტიმარი მრეცხავი ქალის წუთიერი შეხვედრის ეპიზოდი, ბრმა, ცხო-
ველური ინსტინქტების მძლავრობისა. ამ ვულგარულ. გულისამრევ სუ-
რათს არაფერი აქვს საერთო მთელს რომანში გაბატონებულ ნათელ
მორალურ ატმოსფეროსთან. თხრობის ბუნებრივი მსვლელობიდან ამ-
ოვარდნილი და ნაწარმოების საერთო სტილობრივი წყობისათვის შე-
უფერებელია ის ქარბად თეატრალიზებული, ხელოვნური, ცხოვრები-
სეული და მხატვრულ სიმართლეს მოკლებული სცენა, როცა ლიმონა
— დევდარიანი ბესიკის „ტანო ტატანოს“ უკითხავს ექთან ქალიშვილს
ნუნუს. ეს პასაჟი მით უფრო ყალბი და არაბუნებრივია, რომ, როგორც
შემდეგ ირკვევა, ლიმონას არასოდეს ყვარებია ნუნუ და არავითარი
განსაკუთრებული გრძნობაც არ აღძვრია მის მიმართ. მაშ რამ აღაგზ-
ნო იგი ამ პათეტიურ-არტრისტული ექსტისათვის? ამ კითხვაზე მკითხ-
ველი ვერავითარ პასუხს ვერ იპოვის. რომანის მთელი სტრუქტურისა-
თვის „მეტხორცად“, არაფრისმთქმელ და არაფრისმომასწავებელ სიუ-
ჟეტურ მოტივად გამოიყურება გაქიანურებულად მოთხრობილი ამბავი
იმის შესახებ, თუ როგორ ამსხვრევდა სახლების ასობით ფანჯრის მი-
ნებს ვილაც გონებაშერყეული კაცი, რომელიც თურმე მოსყიდული
ყოფილა მინების ჩამსმელ ოსტატთა მიერ. რომანის ენობრივი ქსოვი-
ლი, რომელიც საერთოდ სიტყვიერი ხელოვნების მაღალ დონეზეა და-
მუშავებული, დაზღვეული არ არის ცალკეული შეცდომებისა და ლაფ-
სუსებისაგან. მაგალითები? უხერხულიცაა მხატვრული სიტყვის ისეთ
ხელოვანს, როგორიც ნოდარ დუმბაძეა, გავახსენოთ, რომ არ შეიძლე-
ბა დაიწეროს — „დერეფანში, რომელშიაც თქვენი საკანია განლაგებუ-
ლი.“ ერთი საკანი არ შეიძლება განლაგებული იყოს. ქართულად არ
იტყვიან: „საკანი ცალ თვალს აღებს“ უნდა იყოს: თვალს ახელს. ქარ-
თული არ არის „უკითხია“ — უნდა იყოს: უკითხავს, ან შეკითხვია, არ
შეიძლება ითქვას: „რომ დავფსებულიყავი“. „ბალიში თავსზევიდან

დაიდო“. სწორედ არ არის თქმული, რომ თურმე მეწარმე მანთაშოვი, რომელსაც საფეიქრო ქარხანად აუგია — ორი უზარმაზარი ოთხსართულიანი შენობა, იძულებული გაუხდიათ ეს შენობები „საგუბერნიო ციხედ გადაეკეთებინა და დაბადების დღეზე საჩუქრად ენობებინა რომანოვების დინასტიის უკანასკნელი მეფისათვის“. ალბათ მანთაშოვი მეფეს საჩუქარს კი არ უბოძებდა, არამედ მიართმევდა. ასეთი კიდევ არა ერთი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა „თეთრი ბაირაღების“ არა პერსონაჟთა მეტყველებიდან, არამედ ე. წ. „საავტორო ტექსტიდან“. ამას ისიც უნდა დაუვმატოთ, რომ მოქმედ პირთა სასაუბრო მეტყველება რომანში აქა-იქ ქარბად არის დატვირთული ენობრივი ნატურალიზმის ნიმუშებით. უხეში ვულგარული ლექსიკური მასალით, წვრილმანებია ყოველივე ეს? დიახ, წვრილმანებია, მაგრამ მხატვრულ შემოქმედებაში არ არსებობს „წვრილმანი“ და „მსხვილმანი“ შემოქმედებითი ამოცანები. მწერალი ვალდებულია სერიოზული ყურადღებით მოეპყრას სიტყვიერი ხელოვნების ყოველ დეტალს და როდესაც ეს მოთხოვნა დაეწყებულა, მყისვე იბადება ხარვეზი თუ ნაკლოვანება, რომელიც მით უფრო მძაფრად იგრძნობა, რაც უფრო მაღალ დონეზეა შესრულებული მთლიანად ესა თუ ის მხატვრული ქმნილება.

რადგან ყოველგვარი შეფასება და კრიტიკული ანალიზი ნაწარმოების „პლიუსებისა“ და „მინუსებისა“ შეფარდებას და შეპირისპირებას გულისხმობს, „თეთრი ბაირაღები“ უეჭველად უნდა იქნას მიჩნეული თანამედროვე ქართული, და არა მარტო ქართული. მხატვრული პროზის ერთ-ერთ პირველხარისხოვან მონაპოვრად. ამ ნაწარმოების დიდ მხატვრულ ღირსებას პირველ ყოვლისა ადასტურებს ის ცხოველი გამოსმაურება და შეუნელებელი ინტერესი, რომელიც წილად ზედა მას მკითხველთა ფართო ფენებში და ჩვენი წამყვანი თეატრების — ქართული, სომხური, აფხაზური თეატრების აუდიტორიებში. უნდა მოველოდეთ, რომ ნ. დუმბაძის სხვა საუკეთესო ნაწარმოებების მსგავსად „თეთრი ბაირაღები“ კიდევ უფრო ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს, როდესაც იგი გამოქვეყნდება რუსულ ენაზე, ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხთა ენებზე, უცხოეთის ქვეყნებში.

„თეთრი ბაირაღების“ განხილვისას მე უკვე არსებითად შევეცამათე იმ ორ კრიტიკულ წერილს, რომლებიც ამ ნაწარმოებს მიეციონა აღმანახ „კრიტიკის“ ფურცლებზე. ამიტომ ახლა აღარც არსებობს საჭიროება დაწვრილებით ვიმსჯელოთ კობა იმედამეილისა და ელიზბარ ჯაველიძის წერილების შესახებ. მაინც მინდა, ორიოდ სიტყვით დაუბრუნდე ამ ავტორთა კრიტიკულ გამოსვლებს, რადგან, ჩემის ღრმა რწმენით, საქმისათვის, ჩვენი მწერლობის ინტერესებისათვის, მკითხველი საზოგადოებრიობისათვის დიდად საჭირო და სასარგებლოა, რომ კრიტი-

კოსები ვეკამათებოდეთ და ვედავებოდეთ ერთმანეთს მხატვრული შემოქმედების საკვანძო პრობლემების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალ მნიშვნელოვან ნაწარმოებთა გარშემო.

პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც დასახელებული ორი კრიტიკული წერილი ტოვებს მკითხველზე, ის არის, რომ მათი ავტორები, ელიზბარ ჭაველიძე და კობა იმედაშვილიც, საკმაოდ ნაკითხი და ერუდირებული ლიტერატორები არიან, რომელთაც არც გემოვნება აკლიათ. არც ნიჭიერება და არც მსჯელობის ალლო, მაგრამ, სამწუხაროდ, ორივე ავტორი უფრო იმ ამოცანით არის გართული, რომ თავიანთი ნაკითხობა და განსწავლულობა გვიჩვენონ, ვიდრე იმით, რომ ღრმად ჩაწვდნენ განსახილველი ნაწარმოების იდეურ არსს, მისი მხატვრული სტრუქტურის თავისებურებას, სწორედ ამოხსნან ყოველივე ეს და ნათლად დაანახონ მწერალსაც და მკითხველ საზოგადოებრიობასაც მხატვრული ქმნილების ღირსებანი და სუსტი მხარეები.

მხოლოდ სწორი იდეურ-ესთეტიკური კრიტერიუმების უქონლობით უნდა აიხსნას ის გასაოცარი გარემოება, რომ ე. ჭაველიძეს ვერაფერი მოსაწონი და მხარდასაჭერი ღირსება ვერ დაუნახავს „თეთრ ბაირაღებში“ და ნაწარმოების კრიტიკული ანალიზის რთული ამოცანა ხელალებითი უარყოფელობისა და გაბიაბრუების იოლი საქმით შეუცვლია. ჩვენი კრიტიკული აზროვნების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოპოვებულ სიახლეთა შორის ე. ჭაველიძე მხოლოდ ან უპირატესად იმით დაინტერესებულა, რომ თითქოს ჩვენ, კრიტიკოსებს ახლა უფლება მიგვეღოს „აუგად მოვიხსენიოთ“ უკვე „სახელმწიფოვეკილი“, „საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოზიცია გამაგრებული“ მწერლები. მას განუზრახავს, უხვად ისარგებლოს ამ უფლებით და დაუეციყნია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლიტერატურულ მხატვრული კრიტიკის შესახებ“ ჩვენგან მოითხოვს პატივისცემით, სიყვარულით, თავაზიანობით ვეპყრობოდეთ ყოველ მხატვრულ ნიჭიერებას. თვით უაღრესად მკაცრი და უკომპრომისო კრიტიკული განსჯის დროსაც კი. სწორედ ეს კეთილმოსურნეობა, ნიჭიერებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა აკლია ე. ჭაველიძის წერილს და პირველ ყოვლისა აქედან წარმოდგება მისი წერილის ყველაზე დამახასიათებელი ცოდნები და ნაკლოვანებანი. სხვანაირად შეიძლებოდა, რომ საკმაოდ განკითხვარებულ და გონებაგახსნილ ლიტერატორს „თეთრ ბაირაღებში“ ვერც სიუჟეტის მწყობრი განვითარება დაენახა, ვერც კომპოზიციის გრძნობა, ვერც ადამიანთა ტიპური სახეები და ხასიათები, ვერც რაიმე მნიშვნელოვანი სოციალური თუ ეთიკური პრობლემის სერიოზული გააზრება და განსახიერება?! როგორ შეეძლო ასე მოურიდებლად და გულგრილად ელაპარაკა „ანგელოზებზე“, იაფფასიან ოხუნჯობებზე,

შაბლონურ, გაცვეთილ ანეგდოტებზე „თეთრ ბაირაღებში“ და არაფერი ეთქვა ამ ნაწარმოების აზრობრივ სიმდიდრეზე და მხატვრულ წარმატებებზე, რომელთა შესახებაც ზემოთ მქონდა საუბარი?!

კობა იმედაშვილი, რომელსაც უკვე დამსახურებულად აქვს მოხვეჭილი ნიჭიერი და დაკვირვებული კრიტიკოსის რეპუტაცია, სამწუხაროდ ცალმხრივად მიუდგა „თეთრი ბაირაღების“ განხილვას. მან უურადღება გაამახვილა რომანის მხოლოდ მამხილებელ მნიშვნელობაზე და არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ როგორ მრავალფეროვნად, ცოცხლად და შთამაგონებლად არის წარმოსახული ამ ნაწარმოებში ჩვენი სინამდვილის მამოძრავებელი ნათელი და კეთილი საწყისები. მცდარია და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული კრიტიკოსის შეშფოთება ნ. დუმბაძის შემოქმედებაში ვითომდაც აღმოცენებული ერთფეროვნების საფრთხის გამო. აბა რა აქვს საერთო ზაზა ნაკაშიძის მხატვრულ სახეს ზურაბიკელასა და სოსოიასთან, გარდა იმისა, რომ ყველა ეს სახე ერთი მწერლის კალმითაა დახატული და, მაშასადამე, ერთიანი მსოფლშეგრძნებითა და მხატვრული სტილის ნიშანთვისებებით აღბეჭდილი. ვინ და როდის აუკრძალა მწერალს, რომ საკუთარი სტილი, ხელწერა, სინამდვილის ხედვისა და წარმოსახვის საკუთარი მეთოდი და მანერა შეინარჩუნოს თავის ახალ ნაწარმოებებში? რა მოსატანია აქ ერთფეროვნებისა და რალაც კრიზისის კატეგორიები?

ეგებ ჩემმა ამ წერილმა მაინც გამოიწვიოს პოლემიკის, შეკამათების სურვილი. ვიკამათოთ, ვიდავოთ, ძვირფასო კოლეგებო, ოღონდ სერიოზულად. პრინციპულად, ერთმანეთისადმი პატივისცემით, ანგარიშის გაწევით და, რაც მთავარია, ჩვენი ლიტერატურისადმი დიდი სიყვარულითა და პატრიოტული ერთგულებით.

დიდი შემოქმედებითი ცხოვრება

ოთხი ათეული წლის წინათ, ოცდაათიანი წლების დამდეგს, ქართული ლიტერატურული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა გრიგოლ აბაშიძის პირველი ლექსები, რომელთაც მკითხველთა ფართო წრეებისა და კრიტიკის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურეს. მალე მათ მოჰყვა მისი ლექსთა კრებულები, რომელთა მეოხებითაც ახალგაზრდა პოეტმა ერთბაშად დაიმკვიდრა თვალსაჩინო ადგილი თანამედროვე ქართული პოეტური ხელოვნების საუკეთესო ოსტატთა შორის. ასე იღბლიანად დაიწყო გრიგოლ აბაშიძის დიდი შემოქმედებითი ცხოვრება.

შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ ჟანრობრივი მრავალმხრივობის თვალსაზრისით გრ. აბაშიძეს ბადალი არა ჰყავს მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა შორის. გასული საუკუნის ჩვენი დიდი კლასიკოსების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას მსგავსად იგი თანაბარი ოსტატობით ფლობს ლიტერატურული შემოქმედების უკლებლივ ყველა ჟანრს და ფორმას — წერს ლექსებსაც და პოემებსაც, ნოველებსაც და რომანებსაც, პიესებსაც და საბავშვო პოეზიის ნაწარმოებებსაც, ლიტერატურულ-კრიტიკულსა და პუბლიცისტურ წერილებსაც, ამდიდრებს მშობლიურ ლიტერატურას მოძმე საბჭოთა ხალხებისა თუ უცხოური მწერლობის საუკეთესო ქმნილებათა შესანიშნავი თარგმანებით. და ასეთ შეუზღუდველ ჟანრობრივ მრავალმხრივობას სავსებით შეესაბამება მისი შემოქმედების თემატიკური დიაპაზონი, ის იშვიათი სიფართოვე და მრავალფეროვნება. ჩვენი თანამედროვეობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებთან ერთად მისი შთაგონების მასაზროდებელ წყაროს შეადგენდნენ ჩვენი შორეული წინაპრების უკვდავი საგმირო საქმეები. მათი შემოქმედებითი გენიის უჭკნობი ძეგლები — ვარძია და ზარზმა, უჯარმა და არმაზის სამარხებში აღმოჩენილი ძეგლები — ნიმუშები უძველესი ხელოვნებისა. პოეტის ყოვლისმომცველი ხედვა მოიცავს და აცოცხლებს შორეული ელადის სახეს, უძველეს პირამიდებს და სფინქსებს. მაგრამ რაზეც უნდა წერდეს მწერალი, რასაც უნდა ხატავდეს და უმღეროდეს იგი, ყველაფერი მის შემოქმედებაში ცოცხლობს და სულდგმულობს თანამედროვეობის სუნთქვით, ჩვენი დღეების ნათელი აზრით. ჩვენი ხალხის საღივისო სასიცოცხლო ინტერესებით და მისწრაფებებით, შემთხვევითი როდია, რომ მისი თსუ-

ლებების სამტომეულის პირველი წიგნი იხსნება ლექსით, რომლის პირველი სტროფი შეიძლება ეპიგრაფად წაემძღვაროს გრ. აბაშიძის მთელ შემოქმედებას:

მე განვიცადე ძალა და ფეთქვა
დღეების დიად გარღატეხათა.
როგორ შემეძლო ლექსად არ შეთქვა,
არ შემღერა და არ დამეხატა.

ჩვენი დიადი დროების სუნთქვა და გულისძგერა, კაცობრიობის ცხოვრების ღრმად განმაახლებელი გარდატეხანი ჩვენი ეპოქისა შეადგენს უპირველეს ყოვლისა გრ. აბაშიძის პოეტური ხილვის, მხატვრული აზროვნების, სიმღერისა და ხატვის, მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრების ძირითად შინაარსს. ერთიან პატრიოტულ სიმფონიად, განახლებული და აღორძინებული სამშობლოსადმი მიძღვნილ შთაგონებულ საგალობლად უღერს მისი ლირიკის ყოველი სტრიქონი:

უქრობი შუქით შემოსილს გხედავ,
შენი მზის ჩასვლა ნუმც დამენახოს,
ჩემი ოცნების სატრფოვ და დედავ,
ჩემი ცხოვრების ოქროს ვენახო.
მზეც მიყვარს,
ჩრდილიც ამ შთა-გორების,
მდინარეების ჩქარი დინებაც,
ჩემი სიმღერის და შთაგონების
შენ ხარ ფისიცი და დავვირავინებაც.

ასე განუყოფლად, მთლიანად და ყოვლისმომცველად დაუფლებია გრ. აბაშიძის პოეზიის ლირიკული გმირის გულსა და გონებას დედა-სამშობლოს თავდადებული სიყვარულისა და ერთგულების უწმინდესი გრძნობა, სამშობლოს, რომლის სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად, საუკუნეთა მანძილზე „ჩაჰკვგაუხდელად“ უსროლია და უშრო-
მია ხალხს:

თავმოძლებულს თათრის ბეგარით,
გაალმასებულს სპარსთა უღელით,
ძილშიაც ეცვა ქართველს ბეგთარი,
სუფრაზეც იჭდა ჩაჰკვგაუხდელი.
...ხნავდა თუ ვენახს ხარდანს უცვლიდა,
გარჯა თუ ლხინი ჰქონდა ახალი, —
თანდაყოლილი დედის მუცილიდან
ყველგან თან ჰქონდა ქართველს ფარ-ხმალი,
რწმენა და ენა ბევრმა იცვალა,
მხოლოდ ის დარჩა მარად უცვლელი,
ტაძარს აგებდა, — ეცვა წერილთვალა,
ვეფხის წიგნს სწერდა ჩაჰკვგაუხდელი.

„ჭაქვეგაუხდელი“ — იშვიათი პოეტური ადლოთი და მახვილგონიერებით მიგნებული მეტაფორაა ქართველი ხალხის ისტორიული ბედის მხატვრული განსახიერებისათვის. გ. აბაშიძის პოეზიაში ცხოვრობენ და მოქმედებენ ახალი სამყაროს მშენებელ ადამიანთა დიდი განზოგადებული მნიშვნელობის სახეები — ისინი, ვინც ძველ სამყაროს ახალი სიცოცხლე შთაბერა, ვინც ახლა ენგურპესის ასაგებად იღვწის და იბრძვის, ვინც დაუცხრომლად ეძიებს მიწის წიაღში მთვლემარე ბუნებრივ სიმდიდრეებს და მთავლელებივით მუდამ ახალ მწვერვალებს მიესწრაფვის. მრავალ თავის საუკეთესო ლირიკულ ქმნილებაში უმღერა გრ. აბაშიძემ ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმობისა და ურღვევი მეგობრობის უწმინდეს გრძნობას. ასეთებია მისი „რუსეთის ველებზე“, „რუს-პოეტს“, „უკრაინაში“, „გელათი და სუზდალი“, „ფრაგმენტები რუსულ-ქართული ქრონიკისა“ და სხვ.

თანამედროვე ქართული სამოქალაქო ლირიკის ძვირფას მონაპოვარს შეადგენს გრ. აბაშიძის ლექსების ციკლი „ლენინი სამგორში“, რომელიც ლირიკულ ციკლთან ერთად „სამხრეთის საზღვარზე“ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით იქნა აღნიშნული. ქართული პოეტური ლენინიანის ნამდვილი მშვენიერებაა პოეტის ის ლექსი, რომელშიც აღბეჭდილია ეპიზოდური მისი პირველი შეხვედრისა ზაქვის კაშხალთან აღმართულ ვ. ი. ლენინის მონუმენტთან:

დღემდის ხსოვნაში მაქვს ჩარჩენილი
ქვისგან ნაკვეთი ნაცნობი სახე,
მაშინ პირველად ვნახე ლენინი,
მაშინ ბბილისიცი პირველად ვნახე.
ზაქვისს შუქი ცად აფრენილი
ეწერებოდა ჩემს გულის ფიცარს,
სინათლე ჩემთვის გახდა ლენინი
და თვით ლენინი სინათლედ იქცა.
...და ყველგან, სადაც ძლიერი დენით
სინათლემ თავზე გადამიარა,
ხრამზეც, რიონზეც ვხედავდი ლენინს —
სინათლეს ქვეულს ადამიანად.

ჩვენი ხალხის ნათელი ოპტიმისტური მსოფლშეგრძნებით, მისი სპეტაკი მორალური მისწრაფებებით არის აღბეჭდილი გრ. აბაშიძის ფილოსოფიური, პეიზაჟური და სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშებიც. გრ. აბაშიძე თანამედროვე ქართული ლირიკული პოეზიის პირველხარისხოვანი ოსტატთაგანია. ჩვენი ეროვნული კლასიკური რეალისტური პოეზიის საუკეთესო ტრადიციები მის პოეზიაში ორგანულად არის შერწყმული დღევანდელი მსოფლიო პოეტური ხელოვნების უახლეს მიღწევებთან და მონაპოვართან. მისი პოეტური ფრაზა ნათელია, ხატოვანი და კეთილხმოვანი, რითმა — ზუსტი და ორიგინალ-

ლური, ენა — დახვეწილი და ნატიფი. მას არა აქვს „ყრუ სტრიქონი“, პოეტური მეტყველებისა და გამომსახველობის ყველა საშუალება მის პოეზიაში ბუნებრივია და აზრობრივად დატვირთული. თუ აკაკი წერეთლისაგან მას ძვირფას მემკვიდრეობად აქვს მიღებული პოეზიის ხალხურობის მაღალი ხელოვნება, ვაჟა-ფშაველასაგან პოეტს შესწავლილი და შესისხლხორცებული აქვს მეტაფორული აზროვნების დიდი საიდუმლოებანი.

განსაკუთრებით დიდია გრიგოლ აბაშიძის ღვაწლი და დამსახურება თანამედროვე ქართული პოეტური ეპოსის განვითარებაში. მისი პოემები „შავი გაზაფხული“, „გიორგი VI“, „ძღუვის ქუდი“ და „ზარზმის ზმანება“ პოეტური მომთხრობელობისა და აღმწერლობის ხელოვნების, სიუჟეტური დინამიურობის კომპოზიციური ოსტატობის საუცხოო ნიმუშებია. პოემაში „შავი ქალაქის გაზაფხული“, რომელიც გ. აბაშიძემ თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის დაწყების პერიოდში შექმნა, კოლორიტულ სურათებშია წარმოსახული მღელვარე ეპიზოდები საქართველოს მუშათა კლასის გმირული რევოლუციური ბრძოლებისა ბოლშევიკური ორგანიზაციების მეთაურობით ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე.

პოემა მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ შედიოდა კლასობრივი შეგნების პირველი სხივი და სწორი ძღვევამოსილი გზით ბრძოლის სიხარული ჭიათურის შავი ქვის მღაროების ბნელით მოცულ ჯურღმულებში.

პოემაში აღწერილი მთელი რიგი ეპიზოდები პოეტის მიერ ისეთი ხელოვნებით არის შესრულებული, პოეტურ საშუალებათა ისეთი სიმდიდრით და დახვეწილობით, საგანთა ხედვისა და ხატვის იმგვარი თავისებური, გონებამახვილური და ეფექტური მანერით, რომ ეს პოემა ახალი ქართული პოეზიის ერთერთ თვალსაჩინო ქმნილებად გვევლინება.

პოემის შესავალში დახატული იმერეთის პეიზაჟი, დამყარებული ფერთა ბრძოლაზე, ბნელისა და ნათელის ჭიდრლზე, ერთბაშად გვაგრძნობინებს იმ დიად სოციალურ კონფლიქტებს, რომლებიც მზადდებოდნენ და ღრმავდებოდნენ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე.

„შავი ქალაქის გაზაფხული“ გრიგოლ აბაშიძის პირველი, დიდი წარმატებით განხორციელებული ცდა იყო პოეტური ეპოსის დარგში. ამ მიმართულებით პოეტის შემოქმედებითი განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენდა ისტორიული პოემა „გიორგი მეექვსე“, რომელიც გრ. აბაშიძემ დიდი სამამულო ომის დროს დაწერა.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას „გიორგი მეექვსეში“ იქცევს გონებამახვილურად მოფიქრებული და კომპოზიციის შესანიშნავი ოსტატობით შესრულებული სიუჟეტი, იგი შეიცავს მიმზიდველსა და ღრმად დამაინტერესებელ ფაბულას, რომელიც თანმიმდევრული აღ-

მავლობით ვითარდება და მთელ რიგ შემთხვევებში ღრმა დრამატულ სიმძაფრეს და დაძაბულობას აღწევს. ყოველი კოლიზია იქ ხასიათებისა და ინტერესების მკვეთრს დაპირისპირებაზეა აგებული, ხოლო ყოველი სიტუაცია დიდი კანონზომიერებით შემზადებული და ფსიქოლოგიურად დასაბუთებულია.

პოეტის დიდ ღირსებას შეადგენს თხრობის თავისუფალი და ბუნებრივი მანერა. მიუხედავად იმისა, რომ ამბავი ლექსად არის მოთხრობილი და, მაშასადამე. ჩაყენებულია დიდ პირობითობასთან დაკავშირებული პოეტური ფორმების კალაპოტში, მაინც აქ არაფერია ყალბი, ხელოვნური და ნაძალადევი.

სიუჟეტური გეზის მკაცრ შემობრუნებათა შემთხვევაშიც, საცესებით მოულოდნელ სიტუაციათა შემთხვევაშიც ავტორი სიმართლისა და დამაჯერებლობის ძალას ინარჩუნებს.

თხრობის შესანიშნავ ოსტატობასთან ერთად პოემის ავტორი იჩენს მხატვრული აღწერილობის. გარემოცვის ხატვის იშვიათ უნარსაც. აღსანიშნავია, რომ ეს აღწერილობა, გარდა იმისა, რომ თავისთავად მაღალპოეტურია, ორგანულადაც შედუღებულია სიუჟეტის ქსოვილთან და არასოდეს არ ანელებს თხრობას, რგი, პირიქით, ეხმარება, ძალას მატებს სიუჟეტის დინამიკურ მოძრაობას.

„გიორგი მეექვსეში“ მოთხრობილი ამბავი მონღოლ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გარემოცვაში ვითარდებოდა და ამიტომაც ბუნებრივია, რომ პოემა ამ ბრძოლის უშუალოდ ამსახველი სურათებით არის გამდიდრებული. იმის გასაგებად. თუ როგორ ძალას იჩენს პოეტი ამ საბრძოლო ეპიზოდების გადმოცემისას, საკმარისია მოვიყვანოთ პოემის შემდეგი სტრიქონები:

კეთდა ლახვარი ელვად გაჭრილი,
ილეწებოდა მძიმე აბჯარი,
და შედრკა ურდოს წინა ნაწილი,
როგორც ლომისწინ შედრკეს კანჯარი.
მაგრამ ბოლომდის მაინც ვერ ქრიდა
მტრების სიმრავლეს კვეთება ცხარე,
ვით ქარიშხალი ზღვის ერთი მხრიდან
ვერ სწუდება ხოლმე მეორე მხარეს.
მეფე მხეცქმნილი გლეჯდა ვეფხურად.
ჩეხდა კისკასად, სცემდა ფიცხელო,
სისხლი ეცვა და სისხლი ეხურა,
ცხენიც მტრის სისხლით ჰყავდა წითელი,
მეხვიით ტეხდა მისი მახვილი,
ქარიშხალივით ჰქროდა ხმლიანი,
ჭარს ამხნევებდა მისი ძახილი,
და სეფე ღროშა გორგასლიანი.

პოემის ეს ადგილები გვიჩვენებენ არა მარტო პოეტის ძალას მხატვრული აღწერილობის სფეროში, არა მარტო მის მანერას ნახატის დინამიკურობასა და თხრობასთან მისი ორგანულად შედუღების მხრივ, არამედ იმასაც, თუ როგორი პოეტური გზნებით და ოსტატობით არის დაწერილი მთელი ეს ნაწარმოები, რამდენად მდიდარია აქ გამოყენებული მხატვრულ საშუალებათა არსენალი. მთელი პოემა შესრულებულია ლექსის გულმოდგინე და ნაწრთობი ოსტატობით. მისი განვითარების მთელ მანძილზე დაცულია მხატვრული მეტყველების თანაბარი დონე. ზემოთ მოყვანილი ადგილები პოემისა წარმოდგენას გვაძლევს აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად გამახვილებული აქვს პოეტს რითმის გრძნობა, რამდენად გაბედულ, ორიგინალურ და მძაფრ სახეებს, შედარებებს და მეტაფორებს მიმართავს იგი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოემის მელოდიკა, ლექსის მუსიკალური ჟღერა. თუმცა მთელი ნაწარმოები ერთიან რიტმსა და მეტრზეა აწყობილი. მაინც მასში ოსტატურად არის დაძლეული ერთმოვანებისა და ერთფეროვნების საშიშროება.

ლაკონურია და დახვეწილი პოეტური ფრაზა. ნათელია და მკაფიო პოემაში ხმარებული საღებავები. სამაგალითო ოსტატობით აშენებს ავტორი პოეტურ დიალოგს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეპიკური ჟანრის თხზულებაში.

„გიორგი მეექვსე“ მომასწავებელია თანამედროვე ქართულ პოეზიაში ეპიკური ჟანრის ტრადიციის ახალი ძალით განვითარებისა და დამკვიდრებისა.

გრ. აბაშიძის პოემა „ძლევის ქედი“, რომელიც სამამულო ომის მძაფრსა და მრისხანე ვითარებაშია დაწერილი, ასახავს ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, — კავკასიის გმირული დაცვის უკვდავ ეპოპესს. პოემაში ხაზგასმულია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა კავკასიონის მცადგომებთან გაჩაღებულ ბრძოლებს მთელი ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის:

ორი მდინარე ჰქუხდა ზღაპრული
და ქვეყნის ბედი წყდებოდა ორგან,
მთელი მსოფლიო სულგანაბული
მისჩერებოდა თერგსა და ვოლგას.

ამ მძაფრი დღეების, ამ მგზნებარე ისტორიული მოვლენის მკვეთრ და შთაგონებულ პოეტურ ასახვაში მდგომარეობს უპირველესი ღირსება „ძლევის ქედისა“.

პოეტი ხატავს უდიდეს ბრძოლათა ცეცხლში გახვეულ კავკასიონს, ომის დღეების თბილისს, ფრონტის საბრძოლო ცხოვრების სურათებს,

ფრონტული სულით გამსჭვალული ქართული სოფლის ყოფას და ამ ფონზე ამოქმედებს თავისი ნაწარმოების გმირებს, ომის მონაწილე საბჭოთა ადამიანებს. ბუნებრივია, რომ საბჭოთა პოეტს არ შეუძლია ყოველივე ეს გადმოგვეცეს „ეპიკური სიმშვიდით“, პოემა ღრმად არის გამსჭვალული ავტორის მღელვარე გრძნობით. კიდევ მეტი, ავტორი თვით მოქმედებს პოემაში, მოგვითხრობს პირადად ნახულს და განცდილს. ესაუბრება თავის გმირებს, ინაწილებს მაისს სიხარულსა და მწუხარებას: თხრობის მთელ მანძილზე შეუწელებლივ იგრძნობა პოეტის მღელვარე დამოკიდებულება ნაწარმოების პერსონაჟების ბედისადმი, მასში გამოხატული მოვლენებისადმი. ეს ლირიკული ნაკადი დაუცხრომლად ჩქეფს „ილევის ქედში“ და ბუნებრივად ბადებს ამაღლებულ რომანტიკულ განცდებს, ემოციურ დაძაბულობას.

პოემის პირველსავე სტრიქონებში იგრძნობა პოეტური აღწერილობის იშვიათი ოსტატი, ჭეშმარიტი მხატვარი, რომელსაც შეუძლია არა მარტო მკვეთრად და შთამბეჭდავად გადმოგვეცეს ბუნების სურათები, არამედ ამ სურათებში განასახიეროს ნაწარმოების საფუძვლად აღებული ისტორიული მოვლენის მიმდინარეობა. მოიგონეთ თუნდაც საუცხოოდ დახატული პანორამა კავკასიონისა, რომელიც ამ პოემაში წარმოადგენს მოქმედების ფონსაც და მთელი პოეტური კომპოზიციის თავისებურ ჩარჩოსაც.

პოემის დასაწყისში დახატული სურათი განთიადისა არა მარტო წარმოადგენს პოეტური პეიზაჟის იშვიათ ნიმუშს, არამედ მკვეთრად განასახიერებს კიდევ იმ ნათელით მოსილ მშვიდობას, რომელიც სუფევდა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ჩვენს სამშობლოზე ჰიტლერული ურდოების თავდასხმის წინ, შემდეგ პოემაში ასეთივე მკვეთრი სახეების მეშვეობით ნაჩვენებია, თუ როგორი მზაკვრული მოულოდნელობით დაარღვია ჩვენი ქვეყნის სიმშვიდე კაცობრიობის უბოროტესმა მტერმა. საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად დაირაზმა საყვარელი კომუნისტური პარტიის გარშემო. ჩვენი ხალხის ეს რაინდული წამოდგომა უმაგალითო ბრძოლისათვის პოეტს განსახიერებელი აქვს ცეცხლში შეტურებული კავკასიონის ამსახველ ჭეშმარიტად ეპიკური ძალის სურათში:

ალარც მთა არი, ალარც ხევია,
მშვიდად, ზეცამაც იწყო ზანზარი,
თეთრ მთებს ბარიდან დაჭახებია
ლითონის ზეაეი უზარმაზარი.
დაჭახებია, კლდე დახვედრია
კავკასიონი მხნე და მაღალი,
ისევ ამდგარა, თუმც თმა თეთრია,
ისევ აუსხამს ჭარმაგს ფარ-ხმალი,

და ვით ჩვენება ძველთა ხევსურთა,
გამაპობელი ორად ურჩხულის,
კავკასიონი ცეცხლში შეცურდა,
შუბგაწვდილი და ფარდაბლუჭული.

როდესაც თხრობის განვითარებას მივყავართ იმ ისტორიულ დღემდე, როცა კავკასიონის მისადგომებთან გატეხილ და უკუქცეულ იქნენ ურდოები. აქაც პოეტი კვლავ კავკასიონს და მყინვარს გვიხატავს, რომელსაც მოუგერიებია შავი ღრუბლები!

შორს მიდიოდნენ ღრუბლები თალხად,
ეფარებოდნენ მთებს დასავლეთით
და როგორც ყალუზე შემდგარი ტალღა,
აღვა მყინვარი თეთრად ნაკვეთი.

ამიერკავკასიის ხალხებს ასცდათ მოსალოდნელი უდიდესი განსაცდელი, მტერი კავკასიის ჭიშკართან განადგურებული და უკუქცეული იქნა, მაგრამ ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, იწყებოდა ბრძოლის ახალი ეტაპი და საბჭოთა ხალხები, მათ შორის ქართველი ხალხიც, მოპოვებული წარმატებით აღფრთოვანებული, მტერზე ახალი გამანადგურებელი იერიშების მისატანად იყო შემართული. აი როგორ გადმოგვცემს პოეტი ჩვენი ხალხის ასეთ განწყობილებას ამავე კავკასიონის ამსახველ უქანასკნელ სურათში:

იდგა ნათელი, როგორც მნათობი
კავკასიონი — ბროლის კუნძული,
იდგა ვეშაპის გულის გამობი,
შუბგაწვდილი და ფარდაბლუჭული,
იდგა დილის მზით აღმოდებული
თეთრად გაკრული ცაზე ხომალდად,
იდგა ვეფხვივით ატოტებული
და ზღვიდან ზღვამდე ნახტომს ზომავდა.

პოეტური პეიზაჟის ასეთი აზრობრივი დატვირთულობა დამახასიათებელია საბჭოთა პოეზიისათვის საერთოდ, და კერძოდ, საბჭოთა პოეტური ეპოსისათვის, რომლის მკაფიო ნიმუშთა რიცხვსაც გრ. აბაშიძის პოემები მიეკუთვნებიან.

ვისაც 1942 წლის ზაფხულისა და შემოდგომის დღეები თბილისში გაუტარებია, მისთვის განსაკუთრებით ცხადი იქნება, თუ რაოდენი მხატვრული სიმართლით, განცდის სიღრმით და პოეტური ხედვის ბუნებრივობით არის დახატული „ძლევის ქედში“ შექცამორთული, თითქოს მიძინებული თბილისის სურათი:

ჩაბნელებულ ფანჯრებიდან
სხივი არ კრთის პაწაწინაც,
ვარსკვლავებით სავსე ცისქვეშ
შუქგამორთულ ქალაქს სძინავს.
სძინავს თბილისს... ყურს ვინ უგდებს
მტკვრის ოხვრას და ფარულ შრიალს.
გორგასალის მოკლულ ხოხობს
ცაზე ფრთები გაუშლია.

მაგრამ ნამდვილად თურმე თბილისს როდი სძინებია. საკმარისი იყო თბილისის ცაზე მტრის ერთი მზვერავი თვითმფრინავის გამოჩენა, რომ ერთბაშად ეს დუმილი და მყუდროება გამაყრუებელი ქუხილით შეცვლილიყო. პოეტი დიდი მხატვრული ექსპრესიით აღბეჭდავს უეცარ ცვლილებას, თბილისის საბრძოლო ამქუხარებას. პოემის სტრიქონებში ჩვენ ხელახლა განვიცდით ჩაბნელებულ ცაზე პროექტორების ერთბაშად აელვარებას:

დატრიალდნენ სატევრებად,
მისწვდნენ ზეცის ყველა კუთხეს,
და ბოხი ხმით ქვემეხებმა
ოთხივ მხრიდან დაიქუხეს.
დედამიწა ინგროდა,
იმოდენა იდგა ზარი
და სოდომის ნგრევას ჰგავდა
შემოდგომის ცის ზანზარი.
ქანაობდნენ ვარსკვლავები,
თითქოს ქარვის მძივებია...
დედაქალაქს. თბილის ქალაქს
თურმე როდი სძინებია...

სრული უფლებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურას დღემდე არც ერთი უანრის ნაწარმოებში არ აღუბეჭდავს ასე მკვეთრად და ხორცშესხმულად თბილისის ცხოვრების იმ დაუეფყარი დღეების ატმოსფერო.

პოემის უკანასკნელი ნაწილი უკვე ქართული სოფლის ფონზეა გაშლილი. პოეტი ხატავს მკაფიოდ კოლორიტულ სურათს „შემოდგომის შემობრძანებისა“, სოფლად ისეთ ვითარებაში, როდესაც კავკასიონთან დაღეწილი მტრის ურდოები უკვე დასავლეთისაკენ მიილტვოდნენ, როდესაც „აგვცდა დიდი განსაცდელი“, და დიადი ბრძოლის ბედი უკვე არსებითად გადაწყვეტილი იყო.

პოეტი ხატავს უხვი და ბარაქიანი ქართული შემოდგომის წარმტაც სურათს. ყველაფერში, უხვი მოსაულის აღწერილობაშიც, კოლმეურნეთა საუბარშიც ომის მიმდინარეობაზე, ჩანს დიადი გამარჯვების მოახლოება, ხალხის სიამაყე და სიხარული, მაგრამ ჯერ კიდევ ომი არ

დამთავრებულა და სოფლის ყოფა-ცხოვრებაშიც მკვეთრად იგრძნობა საომარი ვითარება. უხვი შემოდგომაა, თითქოს ყველა პირობაა მზიარულების, მოლხენისა და ნეტარებისათვის:

მაგრამ ახლა ხმამალ ლხინს
და დიდ ქორწილს სადმე კჳობ?
ველარც მაყრებს ნახავთ მოცილის,
ვერც ქაბუკებს სამეფოებს,
შარა ძვირად მოაბრწყინებს
აბრეშუმის ახალუხებს,
ძალის ყეფაც ძვირად ისმის,
რადგან ძალდი ქალს არ უყფეს.

გონებამახვილურად მიგნებული დეტალებით, პოეტური ნიუანსებით ავტორი საოცრად გაცოცხლებული სურათებით აღბეჭდავს ქართული სოფლის საბრძოლო ცხოვრებას.

პოემის მთავარი გმირი, გიორგი, ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის ტიპურ სახედ ჰყავს ავტორს გააზრებულნი. იგი მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი იყო, როდესაც მოსკოვის სტადიონზე შემთხვევით, სრულიად მოულოდნელ ვითარებაში შეხვდა თავის მომავალ სატრფოს — ქართველ ქალიშვილს, გიორგის გული ერთბაშად მიიზიდა უცნობმა ქალმა, შემდეგ ქალ-ვაჟი ისევ მოულოდნელად შეხვდნენ ერთმანეთს ლენინის ბიბლიოთეკაში. სამამულო ომმა შეაფერხა მათი ქორწინება. გიორგი ბრძოლის ველზე წავიდა, ხოლო ქალი სამშობლოში დაბრუნდა. ბრძოლის ქარცეცხლში გახვეულ გიორგის ხშირად მისდიოდა საცოლის ბარათები საქართველოდან. მაგრამ როდესაც გიორგი ხანგრძლივად მოხვდა მტრის გარემოცვაში, სატრფოსთან მიმოწერაც შეწყდა და მათ ერთმანეთის კვალი დაკარგეს. ამ გარემოებით შემოთვლებულმა ქალმა ბრძოლის ველს მიაშურა, სადაც რაინდულად ასრულებდა თავის მალალ პატრიოტულ მოვალეობას. ქალი გიორგისთან შეხვედრის იმედითა და ოცნებით სულდგმულობდა და აი, მართლაც კავკასიონთან გაჩაღებული ბრძოლის ვითარებაში ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. როდესაც სანიტარ ქალს ჩვეულებრივად ცეცხლის ხაზიდან გამოჰყავდა დაჭრილი საბჭოთა მეზობლები, მან ერთ მათგანში თავისი გიორგი იცნო, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ამ შეხვედრის სიტკბოება. უეცრად გამოსროლილმა მტრის ტყვიამ სასიკვდილოდ განგმირა ქალი, გიორგი სხვა სანიტრებმა იპოვეს და მიიყვანეს იმ ჰოსპიტალში, სადაც ქირურგად გიორგის მამა, არჩილი მუშაობდა. დაჭრილმა მძიმე ოპერაცია გადაიტანა, განიკურნა და დროებით მშობლიურ სოფელში გაემგზავრა დასასვენებლად, რათა კვლავ ბრძოლის ველს დაბრუნებოდა.

ასეთია პოემის სიუჟეტი. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გრ. აბა-

შიძეს პოეტური აღწერილობისა და მომთხრობელობის უტყუარ ნიჭი-
ერებასთან ერთად ახასიათებს სიუჟეტური კომპოზიციის იშვიათი აღ-
ლოც. იგი ბუნებრივად ანვითარებს ამბავს, ფლობს სიუჟეტური ხაზის
თანმიმდევრული აღმავლობის ოსტატობას, გმირთა პირადი თავგადა-
სავლის ორგანულად ჩართვის ხელოვნებას დიდ ისტორიულ მოვლენა-
თა განვითარებაში.

მაგრამ „ძღვეის ქედის“ სიუჟეტური ქარგა თავისი მოცულობითა
და დიაპაზონით შორს სცილდება პოემის საფუძვლად აღებული ის-
ტორიული მოვლენის — კავკასიის დაცვის თემის ფარგლებს. პოემის
გმირის თავგადასავალი უფრო ფართო ღრობისა და სივრცის მანძილ-
ზეა გაშლილი: პოემაში გადმოცემულია სტუდენტობის წლები მოს-
კოვში, ბრძოლები დასავლეთის ფრონტზე, მტრის გარემოცვაში გატა-
რებული მწარე დღეები, ისევ ბრძოლები კავკასიონთან, მკურნალობა
ჰოსპიტალში, ბოლოს, დაბრუნება მშობლიურ სოფელში, თბილისის
ცხოვრების ეპიზოდები.

აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სათანადო სიღრმით არ არის გახ-
სნილი და განსახიერებელი ნაწარმოების მთავარი გმირის ხასიათი,
რომ არაფერი ვთქვათ გიორგის საცოლეზე, არჩილზე და სხვა პერსო-
ნაჟებზე. ამ შემთხვევაში უეჭველად დარღვეულია მხატვრული პრო-
პორცია. გაცილებით მეტი მხატვრული სიღრმით არის პოემაში ასა-
ხული ისტორიული ვითარება, მოქმედების ფონი და გარემოცვა, ვიდრე
თვით გმირის პიროვნება, მისი ბუნება და ხასიათი.

დიდი სამამულო ომის თემაზეა დაწერილი აგრეთვე გრ. აბაშიძის
პოემა „ზარზმის ზმანება“... აქ კიდევ უფრო ღრმად და თავისუფლად,
ვიდრე „ძღვეის ქედში“, ავტორი ეუფლება პოეტური თხრობის და
აღწერილობის ხელოვნებას, სიუჟეტის აგების ოსტატობას.

პოემის დასაწყისშივე ჩვენ ვხედავთ ომგადახდილ ქართველ ვაჟ-
კაცს, რომელიც მღელვარებით და გულისძვრით უახლოვდება მშობ-
ლიურ სოფელს — ლებს. გოლეთიანის მღელვარება შეშფოთებისა და
შიშის გრძნობაში გადადის, სოფელი მას დაცარიელებული, უკაცური
დაუხვდა. უკვე ორი წლის წინათ ლების მოსახლე რაჭველები ჭავა-
ხეთს გადასახლებულან, ლები დაცლილა, დაყრუებულა, კარ-მიდამოე-
ბი ნასახლარს დამსგავსებია, ეკალნართა და შამბნარით დაფარულან,
სახლების კიბეებს ხავსი მოსდებიათ.

ამ მოულოდნელი და უცნაური სანახაობით შეშფოთებულმა გოლ-
ეთიანმა ლებში დარჩენილი ერთი მოხუცისაგან გაიგო, რომ გოლეთიან-
ის ოჯახიც ჭავახეთს გადასახლებულა და სოფელ ზარზმაში დასადგუ-
რებულა; გაიგო ისიც, რომ ღედას და ცოლ-შვილს გოლეთიანი დიდი
ხანია მკვდრად ჰყავთ მიჩნეული. ცნობაც მიუღიათ სევასტოპოლიდან
მისი გმირულად დაღუპვის შესახებ. მოხუც ღედას დაუეინებია ერთ-

ადერთი შვილის ცხედრის ჩამოსვენება, დიდი ვაივაგლახით წასულა კიდევ სევასტოპოლში და წამოუღია მოკლული ჯარისკაცის ცხედარი, დაუკრძალავს იგი ზარზმის ტაძრის გალავანში და დღედაღამ თავს ევლება და დასტირის ვითომდა შვილის სამარეს.

ზარზმას ჩასული გოლეთიანი საოცარ სურათს წააწყდა: მან ნახა, თუ როგორ იგლოვდნენ თვითონ მას საკუთარი დედა და ცოლი, თუ როგორი მოთქმითა და მდულარე ცრემლებით დასტიროდნენ ისინი სამარეს ზარზმის გალავანში. აუწერელმა სიხარულმა და ბედნიერებამ მოიკვა გოლეთიანის ოჯახი დიდი ხნით გამოტირებული ვაჟკაცის დაბრუნების გამო. მთელი სოფელი ღრეობს და ზეიმობს გმირის დაბრუნებას. მაგრამ მოხუც დედას ახლა იმ უცნობი ჯარისკაცის ბედი აღელვებს, რომლის ცხედარიც მას შეცდომით თავისი ვაჟის ცხედრად მიუჩნევია და ზარზმის გალავანში დაუმარხავს. ახლა ხომ უპატრონოდ და უცრემლოდ რჩება ამ უცნობი ვაჟკაცის საფლავი, ეგებ მისი დედა ახლა გამწარებული ეძებს სამარეს და ვერსად პოულობს მას. მოხუც ქართველ დედას სიზმარშიც აღარ ასვენებს ეს ფიქრი. იგი სულიერ სიმშვიდეს მხოლოდ იმაში პოულობს, რომ მშობლიური მზრუნველობით თავს დასტრიალებს უცნობის სამარეს, დედობრივ ცრემლს აფრქვევს მას, მით უფრო, რომ ისიც ჩვენი სამშობლოს დიდებისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირია. მაშასადამე, იგი ღირსია ყოველი საბჭოთა ადამიანის სიყვარულისა, მაღლიერებისა და პიტივისცემისა. დედის ამ გრძნობას უცნობი საბჭოთა ჯარისკაცისადმი იზიარებს გოლეთიანის ცოლიც, თვითონ გოლეთიანიც. ისინიც სიყვარულითა და მზრუნველობით თავს ევლებიან უცნობი მოძმის საფლავის სიწმინდეს, სულის სიმაღლეს თითქოს დაჰხარის ძველი ზარზმაც, რადგან ყოველივე ამაში მოჩანს საწინდარი იმ მაღალი მორალური შეგნებისა, ქეშმარიტი ჰუმანურობისა, რომელმაც განსაკუთრებული ცხოველმყოფელობით სწორედ სამამულო ომის ვითარებაში იჩინა თავი.

პოემა უმღერის ომგადახდილი ვაჟკაცის გამარჯვებულად შინ დაბრუნებას. აქ აღწერილი სიხარული, რომლითაც სოფელი ხვდება გოლეთიანს, განზოგადებულად, ტიპიზირებულად განასახიერებს ომგადახდილი საბჭოთა ხალხის სიხარულსა და სიამაყეს თავისი დიადი ისტორიული გამარჯვების გამო:

რა სიხარული ნახეს ამ დღით,
სოფელს რად უხმობს რძალ-დედამთილი?
რატომ ამოდის ალი თონიდან,
მოხვერი რატომ დაჰკლეს სახარე.
„შვილი გაიცხლდა“, „ქმარი მოვიდა“,
შარაზე ყველა გამეულს ახარებს.
მოსდის და მოსდის შვილს მნახველები,
ცამლე უწყდება დედას ხელები.

რატომ მთელ სამცხეს ვერ დააპურებს.
პური ზარზმის და ღვინო ბაღდადის!
ხმლებივით გააქვთ ელვა შამფურებს,
ვეება ქვაბებს ნისლი გადასდის.

„ზარზმის ზმანება“ შთაგონებულად უმღერის და პატრიოტული აღფრთოვანებით ხატავს მესხეთში კვლავ ქართული ცხოვრების აღორძინებას. პოემაში დახატული სურათი ზარზმის განთიადისა, ბუნების იმ დიადი და საზეიმო გამოღვიძებისა, რომელიც თვალწინ გადაეშალა შინისაკენ მიმავალ გოლეთიანს, ღრმა პოეტური ძალით განასახიერებს ქართველი საბჭოთა პატრიოტის სიხარულს მესხეთში, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ამ ძველისძველ კერაში, კვლავ ქართული ენის აქლერების გამო:

მინდვრისკენ ზანტად მიდის ნახირი,
მწყემსი ბიჭების ისმის ძახილი,
ყველგან ქართული საუბარია,
გზად მგზავრი მოდის ფიქრით გართული.
მოდის ქართველი და უხარია,
მესხეთში ისევ ისმის ქართული.
მესხეთში ისევ ქართველებია,
მგზავრს ბედნიერად გათენებია.

ეს მოვლენა თავისი გამომწვევი მიზეზებითაც და თავისი ისტორიული პერსპექტივითაც იმდენად მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომ მას უთუოდ უნდა ეპოვნა გამოძახილი ჩვენს პოეზიაში. მართლაც, ამ მოვლენას უკვე მიეძღვნა არა ერთი შესანიშნავი ლირიკული ლექსი, მაგრამ გრ. აბაშიძის „ზარზმის ზმანება“ ყველაზე ფართო მასშტაბის მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც კი დღემდე შეუქმნია ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ამ ისტორიული ფაქტის მხატვრული აღბეჭდვისა და უკედავყოფისათვის.

მძაფრი პოეტური საღებავებით ხატავს გრ. აბაშიძე განახლებული მესხეთის ბუნებას და აქ ყოველ სტრიქონში, ყოველ სიტყვაში ჩვენ გვესმის პოეტის მხურვალე პატრიოტული გულის ძგერა:

მზე დადგომია ზარზმის სანახებს,
დამშვენებია ნამი ბალახებს,
მესხეთს ლაქვარდი გადახურვია,
წაშლილან ღრუბლის ბაირადები.
გაზაფხულია, გაზაფხულია,
აყვავებულან ზარზმის ბაღები,
ქლიავენს. როგორც მტრედის ხუნდები,
დაპფრენს ყვავილთა თეთრი გუნდები.

მზე ადგას ახლად გამართულ ოდებს,
შრება მინდორი და ნაფუძარი,
ურიცხვი კვირტი ბებურ მსხლის ტოტებს
ზედ მისევია, როგორც ფუტკარი.

მგზნებარე სიყვარულითა და აღფრთოვანების გრძნობით ხატავდნენ მშობელი ქვეყნის ბუნებას ყოველი ხალხისა და ყოველი დროის დიდი პატრიოტი პოეტები და ბუნებრივია, რომ ეს უკვდავი ტრადიცია თვისობრივად ახალი სხივმოსილებით გრძელდება საბჭოთა პოეზიაშიც.

„ზარზმის ზმანების“ მთავარ გმირს მაინც გოლეთიანის მოხუცი დედა წარმოადგენს. ხოლო პოემის მთავარ შინაარსს—საბჭოთა ადამიანის შეუდარებლად კეთილშობილური და სპეტაკი მორალური სახე, რამაც თავისი კონკრეტული განხორციელება ამ ტიპიური საბჭოთა ქალის, თანამედროვე ქართველი დედის საქციელში ჰპოვა.

რა დიდი სულთერი ძალა, რა მომხიბლავი მორალური მშვენიერება და რა მაღალი საზოგადოებრივი შეგნებაა გამოხატული ქართველი დედის ქცევაში, როდესაც იგი მხურვალე ცრემლებით ალბობს უცნობი ჯარისკაცის სამარეს:

გოდება მოგავს ჩემს კვითინს უფრო,
სხვის ვაჟკაცს ტირის უჭირისუფლოს,
ვინ იცის უცხო ვაჟკაცს რა ჰქვია.
ვის სტირის დედა მარტო მისული,
იქნებ მას მოხვდა ანაზღად ტყვია,
მისი შვილისთვის გამომიზნული.

ამრიგად, საბჭოთა ადამიანის მორალური კეთილშობილება მის მაღალსაზოგადოებრივ შეგნებასთან არის დაკავშირებული. მორალურ-პოლიტიკური ერთსულოვნების შეგნებაში მდგომარეობს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა; ამაში მდგომარეობს ჩვენი სამშობლოს ძლევა მოსილების და უკვდავების, მისი ყველა მისწრაფების განხორციელების საფუძველიც.

სწორედ ამიტომ პოეტის ფრიალ გონიერული ფანტაზიით ძველი ზარზმა შექზარის და ეთაყვანება საბჭოთა ადამიანების ძმობასა და სოლიდარობას:

ზარზმაც მათ გრძნობას ეთაყვანება,
გაურღვევია შავი ღრუბლები.
ზარზმა ზარს რეკავს, ხედავს ზმანებას
და ესიზმრება თავის ტყუპები.

ზარზმის ამ ზმანებაში პოეტი განასახიერებს ქართველი ხალხის დიდ ხნით ნანატრსა და ნაოცნებარს, — იხილოს მისი მიწა-წყალი მთლიანი და ერთნაირად აყვავებული.

ამგვარი პატრიოტული იდეალით არის შთაგონებული „ზარზმის ზმანება“. პოემა საბჭოთა ლიტერატურის უმთავრეს თემას,— საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა ნაციონალური სიამაყის თემას განასახიერებს.

გრიგოლ აბაშიძის ლექსების ორი ციკლი—„ლენინი სამგორში“ და „სამხრეთ საზღვარზე“, რომლებმაც სახელმწიფო პრემია დაიმსახურა, საბჭოთა პოეზიის მაღალი იდეურობისა და კემარტი ხალხურობის საუკეთესო ნიმუშებს შეიცავს. ამ ლექსების ლირიკული გმირი საბჭოთა ადამიანია, რომელიც სამამულო ომის ქარცეცხლიდან ძლევამოსილად გამოსული, შემოქმედებითი შრომით, ახალი დიდებით მოსავს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს — მთელ მსოფლიოში ხალხთა მშვიდობისა და თანამეგობრობის უპირველეს საიმედო ბურჯს.

მახვილი აზრით, მდიდარი ფანტაზიით და მაღალი პოეტური ოსტატობით ამ ლექსებში გრ. აბაშიძე შთაგონებულად გამოხატავს საბჭოთა ხალხის საუკეთესო აზრებსა და მისწრაფებებს. ჩვენი ხალხის ახლანდელი შრომითი გმირობის თემა ამ ლექსებში ორგანულად არის დაკავშირებული ომის სისხლიან გამჩაღებელთა წინააღმდეგ პროგრესული კაცობრიობის ძლევამოსილი ბრძოლის თემასთან.

ლექსების ციკლი — „ლენინი სამგორში“ („სამგორის ველზე“), ასახავს და უმღერის სამგორის ველზე გაჩაღებულ იმ გმირულ შრომას, რომელმაც უახლოეს მომავალში ეს ვეებერთელა გადამწყვარი და უნაყოფო მიწის მასივი აყვავებულ ბაღებად და ვენახებად, ნაყოფიერ მობიბინე ყანებად უნდა აქციოს. საქართველოს ამ უდიდესი მშენებლობისადმი მიძღვნილ ჰიმნში პოეტი განზოგადებულად აღიღებს კომუნიზმის დიად მშენებლობათა ეპოპეას, რომელიც ჩვენი სამშობლოს ომის შემდგომი ცხოვრების ძირითად შინაარს შეადგენს.

სამგორის არხის მშენებლობისადმი მიძღვნილ ლექსებში პოეტი მკაფიოდ განასახიერებს ლენინის უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის უწყინდეს სახალხო გრძნობას. ყველგან, სადაც ხალხის კეთილდღეობა იქედება, სადაც კომუნისტური ცხოვრების ახალი და ახალი ნათელი იბადება, პოეტი ცხადად ხედავს უკვდავი ლენინის სახეს, მომავლისაგან მომწოდებლად და გზის მანათობლად გაწვდილ მის უძლეველ ხელს. ამ სახით იხსნება ციკლი—„სამგორის ველზე“.

ოცნებით ვხედავ უდაბნო, ველი,
როგორ შეჰხარის თვალის ახელას.
მტკვარზე გაწვდილი ლენინის ხელი
იორზეც მოჩანს, ვით ცისარტყელა.
მას აქაც ვხედავ დგას ამართული,

მის ფეხქვეშ ტყდება ივრის ფაფარი,
ტალღას ძლიერი ტალღა გაღუვლის
და კაშკაშს იწყებს ირგვლივ მთა-ბარი.
და თრთოლვით მისდევს მავთულებს დენი,
ბნელი რომ შუქით გაამზიანა...
ოცნებით ვხედავ იორზუც ლენინს,
სინათლეს ქცეულს ადამიანად.

ასე ხორციელდება გრიგოლ აბაშიძის ამ ლექსში სოციალისტური ლირიკის ერთ-ერთი ძირითადი თვისება,—ღრმად გააზრებული გამოხატულება მისცეს სინამდვილის კონკრეტულ მოვლენებში.

მაგრამ სოციალისტური პოეზიის დანიშნულება მარტო ის კი არ არის, რომ დღევანდლობის მოვლენები წარმოსახოს; საბჭოთა პოეტის ფრთაასხმულმა ოცნებამ თვალნათლივ უნდა დაანახოს ხალხს მისი ცხოვრების კიდევ უფრო ნათელი და სრულყოფილი ხვალისდელი დღე. თვალწინ უნდა გადაგვიშალოს ჩვენი თავდადებული შრომისა და ბრძოლის დიდებული შედეგი. ამაში მდგომარეობს აზრი რევოლუციური რომანტიკის იმ შენაკადისა, რომელიც ორგანულად ერთვის სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებით მეთოდს.

პოეტის ფანტაზიით წარმოსახული და მომხიბვლელი სურათია მოცემული ლექსში „სალამო თბილისის ზღვაზე“. თითქოს პოეტი უშუალოდ ხედავდეს სამგორის მშენებელთა გმირობით სახეშეცვლილ თბილისის მიდამოების წარმტაც ფერადოვნებას და ტკბებოდეს ამ სანახაობით:

სალამოვდება, ზღვა ჩრდილებს იჩენს,
ტევა აღარ აქვს აფრებს, იალქნებს,
და ზღვის ზედაპირს საოცრად ცისფერს,
ჩუმად ნიავე აფორიაქებს.
ჩქერები რჩება ნავების ჩავლით,
და ჩამავალი მზე თვალს ადევნებს,
და ჩუმად ამტვრევს ურიცხვი ქავლი,
წყალში ჩასული შუქის სატვერებს.

ასე ცოცხლად, განცდილად და მეტყველად შემოაქვს საბჭოთა პოეტის წინათხილვის უნარს ჩვენს დღევანდლობაში ხვალისდელი დღის სახეობა. და ეს ოცნება ორგანულად შეხამებულია სინამდვილის განცდასთან, რადგან ჩვენს სინამდვილეში მართლაც ხილულად მოჩანს მომავლის კიდევ უფრო მაღალი და ელვარე მწვერვალები.

საბჭოთა ადამიანის დაუცხრომელი წინმსვლელობის მისწრაფებას გამოხატავს პოეტი ლექსში „მწვერვალებისაკენ“, რომელშიც ჩვენი ინიჩინრები გონებამახვილური ანალოგიით მთამსვლელებთან არიან შედარებული, რადგან ისინიც დაუსვენებლივ ისწრაფვიან ახალ-ახალი

მწვერვალების დასაპყრობად დედა სამშობლოს სამეურნეო და კულტურული ძლევამოსილების დიად გზაზე.

უმაგალითო შრომითი აღფრთოვანებით გარემოცული საბჭოთა ადამიანი სიამაყისა და პატივისცემის გრძნობით იხსენებს წარსულის იმ ადამიანებს, რომელთაც თავისი უანგარო ღვაწლით უშენებიათ ჩვენი სამშობლოს ციხესიმაგრეები. მაგრამ რამდენად მძიმე იყო და გაუხარელი მათი ხვედრი! ლექსში, „უჯარმის ნანგრევებზე“, პოეტი მხატვრულად ასაბუთებს იმ აზრს, რომ წარსულის ყველაზე რაინდ და კეთილშობილ ადამიანებსაც ალბათ შეშურდებოდათ ჩვენი თავისუფალი ხალხის შემოქმედებითი ცხოვრება:

იგი მართალი იყო მის დროსთან,
შეურცხვენელი თავის ტოლებთან,
და მაინც მათი შურდა დიდ ოსტატს,
ვინც ახლა სამგორს აბეტონებდა.

ამბობს პოეტი ახლა ნანგრევებად ქცეული უჯარმის მშენებელი ოსტატის შესახებ.

მშვიდობიანი შრომის ენთუზიაზმით მოცული საბჭოთა ხალხის ახლანდელი სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ თვისებას შეადგენს მღელვარე გულისწყრომა და მომაკვდინებელი ზიზღი თანამედროვე საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქციის მესვეურებისა, ომს ვერაფერს გამჩაღებელთა ხროვისადმი. ლექსში „კორეაზე ფიქრი სამგორში“ პოეტი მწვავე მამხილებელი ძალით თავს ესხმის ჩვენი დროის იმ უბნელეს და უბოროტეს ძალას. რომელიც „ცივი ომის“ პოლიტიკიდან უკვე აშკარა სისხლისმღვრელ აგრესიაზე გადაიდა.

პოეტის, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის, ეს გულისწყრომა დაკავშირებულია მტკიცე რწმენასთან, რომ ომის ბოროტი გამჩაღებლები ალაგმული იქნებიან, კეთილი ნების ადამიანთა მილიონები გააცამტვერებენ მშვიდობისა და თავისუფლების მტრების კვეხნა-მუქარას.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარების აქტუალურ პრობლემებს პოეტი მთელ რიგ ლექსებში პუბლიცისტური სიმძაფრით ეხმაურება. ამ ლექსებში მომაკვდინებლად მხილებულია ველური სახე ამერიკელი მტაცებლებისა.

ლექსში „ისტორიის გაკვეთილი“ პოეტი გვიჩვენებს, თუ რა საფუძველს ემყარება ქართველი ხალხის მტკიცე და ურყევი რწმენა იმისა, რომ მისი მშვიდობა და დამოუკიდებლობა გარანტირებულია. ამ საფუძველს ჩვენს სამშობლოში სამუდამოდ დამკვიდრებული ხალხთა ლენინური მეგობრობა წარმოადგენს. კერძოდ, დიდ რუს ხალხთან ქართველი ხალხის საუკუნოებრივი სმობისა და საბარსოლო თანამეგობ-

რობის ტრადიცია, რომელმაც არა ერთხელ იხსნა საქართველო აუცილებელი განადგურებისაგან და რომელიც განსაკუთრებულად ბრწყინვალე გამოვლინებას ჩვენს დიად სინამდვილეში პოულობს.

პოეტის ვრცელი ლექსი „მდინარეების სიმფონია“ ჩვენი დიდი სამშობლო. ურყევი ერთიანობისა და ძლევამოსილებისადმი მიძღვნილ შთაგონებულ კიმნად ქდერს.

თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახლანდელ პერიოდში გრ. აბაშიძე განსაკუთრებული ინტენსივობით და ნაყოფიერებით მუშაობს მხატვრული პროზის უანრში. მისი „ქვევრში“, „ცხოვრება წინ არის“ და „სისასტიკის გაკვეთილი“ თანამედროვე ქართული ნოველისტიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნებიან. გრ. აბაშიძის ისტორიული ტრილოგია „XIII საუკუნის ქრონიკა“, რომელიც შედგება სამი რომანისაგან — „ლაშარელა“, „დიდი ღამე“ და „ცოტნე დადიანი“, უაღრესად მნიშვნელოვანი ნოვატორული მოვლენაა ქართული ისტორიული რომანისტიკის განვითარებაში. „ლაშარელაში“ პირველად პოვეს მხატვრული განსახიერება იმ ღრმა სოციალურმა კონფლიქტებმა, წინააღმდეგობებმა და მწვავე კლასობრივმა ანტაგონიზმმა, რასაც ადგილი ჰქონდა ძველი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, — თამარისა და რუსთაველის ეპოქის უშუალოდ მომდევნო საუკუნეში. „დიდი ღამე“ ახლებურად და თავისებურად აშუქებს ქართული ისტორიოგრაფიის უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემას. ამ წიგნების დიდი შემეცნებითი ღირებულებაც უდავო და უეჭველია. ცხოველი ინტერესი გამოიწვია მკითხველთა ფართო ფენებში ამ ტრილოგიის მესამე, დამამთავრებელი წიგნის „ცოტნე დადიანის“ ცალკეული ფრაგმენტების გამოქვეყნებამ; ამჟამად ეს წიგნი დამთავრებულია და მალე იგი მთლიანად გამოქვეყნდება ჯერ უურნალ „მნათობის“ ფურცლებზე, ხოლო შემდეგ — ცალკე გამოცემად.

ჩვენი საზოგადოებრიობა ცხოველი ინტერესით მოელის აგრეთვე გრ. აბაშიძის რომანის „ყორნალის“ მომდევნო წიგნების გამოქვეყნებას. ამ ნაწარმოების გმირები ჩვენი თანამედროვეები არიან — ქართული მარგანეცის სახელგანთქმული ქალაქის კიათურის მშრომელი ადამიანები, რომელთაც ხან მშობლიურ ქალაქში ვხედავთ, ხან სამამულო ომის ფრონტზე თუ ზურგში, ხან საკოლმეურნეო სოფელში, ხან მოსკოვში, ხან ლენინგრადში. რომანში განვითარებული რთული, დაძაბული, უაღრესად დამაინტერესებელი თხრობა ბუნებრივად ბადებს სურვილს გავიგოთ ნაწარმოების პერსონაჟთა ბედი, მათი ცხოვრების შემდგომი პერსპექტივები. უნდა მოველოდეთ, რომ მკითხველთა ამ სავსებით კანონიერ სურვილსაც მწერალი უახლოეს მომავალში გასცემს პასუხს.

გრ. აბაშიძის პოესებმა „მოგზაურობა სამ დროში“ და „დღდან“ თა-

ვის დროზე განხორციელება პოვა ჩვენი რესპუბლიკის თეატრებში. „მოგზაურობა სამ დროში“ ფილოსოფიური მიზანდასახულობის პიესაა. მასში ის ქეშმარიტი აზრია განსახიერებული და მხატვრულად დასაბუთებული, რომ ადამიანი თავის დროებას უნდა ემსახურებოდეს გულწრფელად. უნაგაროდ და კეთილშობილურად. მხოლოდ ეს იქნება მისი არსებობის გამართლება როგორც წინაპრების, ისე შთამომავლობის სამსჯავროს წინაშე.

გრ. აბაშიძე პოეტური თარგმანის პირველხარისხოვანი ჯელოვანთაგანია თანამედროვე ქართულ მწერლობაში. საკმარისია დავასახელოთ ბრწყინვალედ შესრულებული მისი თარგმანი დიდი უნგრელი კლასიკოსის შანდორ პეტეფის პოეტური მემკვიდრეობისა, რომელიც ქართულად იკითხება, როგორც ორიგინალური, როგორც შთაგონებული მაღალპოეტური ქმნილებანი.

დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს ჩვენი მოზარდი თაობის ფართო ფენებში გრ. აბაშიძის საბავშვო ლექსები და განსაკუთრებით პოემები „რუსთავის მერცხლები“ და „ნაბოლარა წიწილა“.

იშვიათია ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი საბჭოთა კულტურის, ჩვენი ლიტერატურის ირგვლივ, რომელსაც გრ. აბაშიძე არ გამოხმაურებოდეს მახვილი პუბლიცისტური თუ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებით.

თავის დიდსა და მრავალმხრივ შემოქმედებითს ცხოვრებას გრ. აბაშიძე ორგანულად ახამებს აქტიურსა და ნაყოფიერ საზოგადო და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან. იგი ზედიზედ იქნა არჩეული ორი უკანასკნელი მოწვევის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად; მანამდე იგი ორჯერ იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და პრეზიდიუმის წევრად. იგი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, არაერთი რესპუბლიკური და საკავშირო საზოგადოებრივ-კულტურული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების წევრი. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ლიტერატურული პრესის განვითარებაში. წლების მანძილზე იგი წარმატებით რედაქტორობდა ჟურნალებს „მნათობს“ და „დროშას“.

მაღლიერი მკითხველი საქართველოში, მთელ ჩვენს საბჭოთა სამშობლოში და მისი საზღვრების მიღმაც გულითადად უსურვებენ გრიგოლ აბაშიძეს დღეგრძელობას და კანონიერად მოელიან მისგან ახალ დიდ შემოქმედებით მიღწევებსა და გამარჯვებებს.

თაოჯის კომეტური გიოგრაფია

(რევაზ მარგიანის ერთთომეულის გავმო)

ყოველი ქვეშარტი პოეტი თავისი ხალხის, თავისი კლასის, თავისი თაობის სულიერ ბიოგრაფიას ასახავს, მისი იდეალებისა და მისწრაფებების, გრძნობებისა და განცდების სამყაროს ხატავს და უმღერის. ამ გზით ამკვიდრებს პოეზია ხალხის ცხოვრებაში ეპოქის მასულდგმულელებელ იდეებს, მაღალ მორალურ ღირსებებს, ხასიათის კეთილშობილურ ნიშნებს — ამაში მდგომარეობს ლირიკული პოეზიის უმაღლესი დანიშნულება, რომლის განხორციელების ამოცანასაც ემსახურება ლექსის ესთეტიკური ძალა, მხატვრული ოსტატობის ხარისხი, გამოხატულების საშუალებათა მთელი სისტემა.

რეალისტური ხელოვნების იდეური მოწინააღმდეგენი ყოველთვის გაიძახოდნენ, ხოლო მათი ნაბოლარები ახლაც გაიძახიან, თითქოს ხელოვნების, და კერძოდ, პოეზიის უმთავრესი დანიშნულება ადამიანის ემოციურ-ესთეტიკური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მისი დატკობა, მისთვის სიამოვნების მოგვრა იყო! ყოველი დროის ასეთ გონებაშეზღუდულ მანიაკებს გამანადგურებელი პასუხი გასცა ჩვენმა დიდმა წინაპარმა ილია ჭავჭავაძემ თავისი უკვდავი სიტყვებით:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა,
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაბა.

რასაკვირველია. ტკბილხმოვანება აუცილებელი და სავალდებულო თვისებაა ყოველგვარი სიმღერისა და. მაშასადამე, პოეტური შემოქმედებისაც. მაგრამ ვისაც ტკბილხმოვანება პოეზიის უმაღლეს და ერთადერთ დანიშნულებად მიაჩნია, იგი მიმდევარია რეაქციული თეორიისა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

რევაზ მარგიანის ლექსებისა და ბალადების ერთთომეული ნათლად გვიჩვენებს, რომ პოეტი მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე განუხრელი ერთგულებით მიჰყვება სოციალისტური ლირიკის მაგისტრალურ გზას და ამ სფეროში მის მკაფიოდ ინდივიდუალურ ნიჭიერებას და მძლავრ შემოქმედებითს პოტენციას რაიმე სერიოზული სიძნელები და დაბრკოლებანი არ გადალობებია. ამ მხრივ უუქველად მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ რ. მარგიანის შემოქ-

მედებითი ბიოგრაფია იმ წლებში დაიწყო, როდესაც საბჭოთა ლიტერატურაში ძირითადად უკვე დამთავრებული იყო ბრძოლა დეკადენტობის, ანტირეალისტური სამწერლო მიმდინარეობების წინააღმდეგ, მართალია, მას შემდეგაც ჩვენს პოეზიაში არა ერთხელ ჰქონდა ადგილი სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისაგან გადახვევის შემთხვევებს. უიდეობისა და დაცემულობის საგრძნობ რეციდივებს. რომლისათვისაც გარკვეული ხარკი გადაუხდიათ ჩვენი პოეზიის სხვადასხვა თაობის ფრიად თვალსაჩინო წარმომადგენლებს. მაგრამ რ. მარგიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი დაცული აღმოჩნდა ამგვარი მანკიერი გაღვლებებისაგან. ეს გარემოება იმის მომასწავებელია, რომ პოეტური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე მას მტკიცედ აქვს შემუშავებული ნათელი და სწორი იდეურ-შემოქმედებითი თვალსაზრისი. რომლისათვის სულ უფრო ღრმად შედის იგი ჩვენი დიდი თანამედროვეობის იდეებისა და თემების შეუღარებლად მდიდარ სამყაროში.

თავისი რჩეული ლექსებისა და ბალადების ერთტომეულით პოეტმა თვალწინ გადაგვიშალა ორი ათეული წლის მანძილზე მის მიერ გავლილი შემოქმედებითი გზა. წიგნი ყურადღებას იპყრობს შემოქმედებითი დიაპაზონის სიფართოვით. დიდი თემატიკური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. თავის საუკეთესო ნაწარმოებში ავტორი ხან მგზნებარე პოეტური პუბლიცისტიკით ემსახურება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, ხან დინჯი ეპიკური თხრობით წარმოგვისახავს ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის ღრმა განზოგადებითი მნიშვნელობის ეპიზოდებს. ხან პოეტური ფერწერის იშვიათი ნიჭიერებით ხატავს მშობლიური ბუნების გაცოცხლებულ სურათებსა და კოლორიტულ ყოფით სცენებს. ხან მეტყველად ამღერებული ლექსით გადმოგვცემს უაღრესად რთულ ადამიანურ განცდებსა და განწყობილებებს. მაგრამ რაზედაც არ უნდა სწერდეს. რასაც არ უნდა ხატავდეს იგი, ყველაფერი მის პოეზიაში საკუთარი თვალთა არის დანახული, პირადად განცდილი, ნაგრძნობი და გააზრებული. აქედან მომდინარეობს მისი ლექსებისათვის დამახასიათებელი ორგანულობა და სიწრფელე, მისი ფერადებისა, ნახატებისა და მელოდიების უეჭველი თავისებურება.

მთელი თავისი შემოქმედებით რ. მარგიანმა ჩვენი ხალხის, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თავისი თაობის სულიერი ბიოგრაფია მოგვითხრო; ყველაფერი, რაც ცხოვლად აღიბეჭდა საბჭოთა ადამიანების, კერძოდ ჩვენი ახალგაზრდობის სულიერ განვითარებაზე უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, წარმოსახულია რ. მარგიანის ლექსებში, როგორც მისი პირადი ცხოვრების ისტორიის განუყოფელი ნაწილი. ყველაფერი, რაც ნიშანდობლივი და დამახასიათებელია ჩვენი რევოლუციის ქარიშ-

ხლიან წლებში წარმოშობილ და აღზრდილ საბჭოთა ადამიანების თაობისათვის, გამოთქმული და გადმოცემულია მის შემოქმედებაში.

რ. მარგიანის პოეზიის ლირიკული გმირი ტიპიზირებულად განასახიერებს საბჭოთა ადამიანების იმ თაობას, რომელიც თან მოჰყვა ოქტომბრის მზის ამობრწყინებას და რომლის მთელი ცხოვრების ისტორიაც სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის გაშლილი ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობს. „ოქტომბრის ერთი შთამომავალი“ — ასე უწოდებს პოეტი თავის თავს და ამ სიტყვებით მკაფიოდ ახასიათებს იმ თაობას, რომელიც ძუძუმწოვარი ბალღობის ასაკში შეხვდა კაცობრიობის ისტორიის უდიდეს მოვლენას, — ჩვენს სამშობლოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას:

ეს იყო ცხრაას ჩვიდმეტის ქარში,
ერა დაიწყო ახალ ცხოვრების,
რევოლუციის ჰქუხდნენ ტალღები...
ჩვენ პატარები ვიყავით მაშინ,
ვიყავით მართლა ძუძუმწოვრები,
რევოლუციის თოთო ბაღლები.

რასაკვირველია, რევოლუციის ტალღათა ძლევამოსილ მქუხარებაში დაბადებულ ამ თოთო ბაღლებს მაშინ არ შეეძლოთ გაეგოთ თავისი მშობელი ეპოქის დიადი აზრი და მნიშვნელობა, მაგრამ რაღაც ინსტინქტით, ისინი აკვანშივე გრძნობდნენ ცხოვრების იმ ღრმა გარდაქმნას და განახლებას, რომელიც თან მოიტანა დიდმა ოქტომბერმა:

ჩვენ აკვანშივე ვგრძნობდით, გვესმოდა
გამოღვიძება ბუნების ძალთა,
სუნთქვა და ფეთქვა სულ სხვანაირი...
ჩვენთვის გახადე ტკბილი ესოდენ
მშობელი მიწის უბადლო კალთა
და გაქვირვალე სუფთა ჰაერი...

პირველი და მწვავე ტკივილი, რომელიც ამ ბედნიერმა თაობამ განიცადა, ეს იყო მშრომელი კაცობრიობის უდიდესი და უსაყვარლესი ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის გარდაცვალება. პოეტის მეხსიერებას ცოცხლად შემოუნახავს განცდა 1924 წლის იანვრის ერთი ცივი და მძიმე დილისა, როდესაც თოვლით დაფარულ მთებსა და ველებს საშინელ გლოვის ზარად მოედო ეს შემზარავი ამბავი:

არა, არ დარჩა ქვეყნად სულდგმული,
არ ეგრძნოთ მწვავე და ზარდამცემი,
მზე-კაცის, ბრძენის, მხსნელის სიკვდილი,

გულებს აღმოხდათ უცხო გუგუნი,
მღუმარედ იდგნენ ქვეყნის კაცები,
მტკიცედ შეკრულნი, როგორც ქვიტკირი.

ასე დაიწყო ოქტომბრის შთამომავალი ამ თაობის ცხოვრება. მისი სულიერი წრთობა ბავშვობისა და ყრმობის წლებიდანვე ისეთ დიდ ისტორიულ მოვლენათა ვითარებაში მიმდინარეობდა, როგორც იყო დიდი გმირული ბრძოლა ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენელი სივრცეების დაფარვისათვის სოციალისტური ინდუსტრიის ახალი გიგანტებით:

რუკაზე გაჩნდა ბევრი წერტილი,
გუშინ უცნობი და დღეს ახალი,
მაგნიტოგორსკის რუხი ბეჭეები,
სახეშეცვლილი უღელტეხილი,
მარად მჭუხარე დნებრის კაშხალი,
გადმოკიდული, როგორც გლეტჩერი.

ამ დიად გარდაქმნათა პათოსი, ამ გმირულ საქმეთა ცხოველი ატმოსფერო ზრდიდა ამ თაობას. და იგი ახალი ცხოვრების მოვლენათა ადრინდელი, ბავშვურად გულუბრყვილო აღქმიდან თანდათანობით გადადიოდა სინამდვილის პროცესების გააზრებულ ათვისებაზე: როცა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა ბრძოლა მრავალმილიონიანი საბჭოთა გლეხობის გადაყვანისათვის სოციალისტური მიწათმოქმედების ლიანდაგზე, რ. მარგიანის პოეზიის ლირიკული გმირი უკვე არა ინსტინქტურად, არამედ ჭაბუკური შეგნებით შესცქეროდა, შეჰხაროდა და აქტიურადაც მხარს უჭერდა ამ დიად გარდატეხას:

გაიჭრიალეს რკინის ხარებმა,
გლეხი წყეული მიჯნა წაშალა,
მზი ამობრწყინდა ცხოველმყოფელი
შორს დარჩა დარდი და მჭუხარება,
ბედნიერებამ ფრთები გაშალა,
კოლექტიური გახდა სოფელი!

უკვე დავეუკაცებელი იყო ეს თაობა, როდესაც ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალს ვერაგულად შემოესივნენ კაცობრიობის უბოროტესი მტრის — ჰიტლერის ურდოები. მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისა და სასიხარულო ცხოვრების მზიურ ატმოსფეროში აღზრდილმა ამ თაობამ მწვავედ განიცადა ის დიდი საფრთხე, რომელიც წალეკვითა და განადგურებით დაემუქრა ოქტომბრის ყველა ძვირფას მონაპოვარს, ჩვენი ხალხის ხანგრძლივი თავდადებული ბრძოლისა და შრომის ყველა დიდებულ შედეგს.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად რ. მარგიანის პოეზიის ლირიკუ-

ლი გმირი თავგანწირულად შევიდა დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში. ეს იყო ოქტომბრის შთამომავალთა თაობის უდიდესი საბრძოლო ნათლობა, მისი ფიზიკური და სულიერი ძალ-ღონის ნამდვილი გამოცდა. ფრონტისა და ზურგის ერთსულოვანი შეუწელებელი საბრძოლო აღფრთოვანების ვითარებაში განვლო ჩვენმა ხალხმა სამამულო ომის მრისხანე წლები:

ოსტატმა მკრელი ხმალი გაფერა
და წაღვე ფრონტზე გადაისროლა
ტყვია ბასრი და ელისფრთიანი,
ქურამ ისეთის ძალით დაჰბერა,
ჭარმა ქარბუქად წინ გაიძლოა
ცეცხლის და ტყვიის ორომტრიალი.

ცეცხლისა და ტყვიის ამ უმაგალითოდ მძაფრი ორომტრიალიდან ძლევამოსილად გამოსული საბჭოთა ხალხი გმირული თავდადებით სჭედს თავისი სამშობლოს სამეურნეო და კულტურულ ძლიერებას, შეუწელებელი წინსვლით მიისწრაფვის კომუნიზმის ნათელი მწვერვლებისაკენ. ჩვენი ქვეყანა, რომელმაც ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო მეორე მსოფლიო ომში, ცხადია, ყველაზე მეტადაც აფასებს ამ მსხვერპლით მოპოვებულ გამარჯვებასა და მშვიდობიან ცხოვრებას. ომისშემდგომი წლების მშვიდობიანი მშენებლობის პეროიკამ კიდევ უფრო შეადუღაბა მრავალფეროვანი და მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური მთლიანობა, მისი განუყოფელი სისხლწორცეული ერთიანობა სახელოვან კომუნისტურ პარტიასთან, მშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებასთან:

ასე თენდება ხალისით სავსე
ჩემი სამშობლოს დილა ყოველი,
განათებული უჭრობი სხივით.
და მუდამ მოჩანს სამშობლოს ცაზე
ვით ცისარტყელა გადაწოლილი,
კრემლს და ხალხს შორის გაბმული სიმი.

როგორც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხმა თავისი დევგმირული მკერდით არა მარტო დაიცვა თავისი სამშობლოს სიცოცხლე და თავისუფლება, არამედ, ამასთანავე, ფაშისტური ბარბაროსებისაგან იხსნა მთელი საკაცობრიო კულტურა და ცივილიზაცია, ისევე ახლაც, ომისშემდგომი წლების თავისი გრანდიოზული შემოქმედებითი შრომით იგი არა მარტო ძლევამოსილად აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, არამედ სჭედს კიდევ მტიციე საფუძველს მსოფლიო ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობისა და თანაარსებობისათვის:

კაცობრიობის ხსნად და იმედად
ვდგევართ მზის შუქით განათლებულნი,
ლენინის დროშა თავს დაგვფრიალებს,
ჩვენ წინ მიგვიძღვის პარტია—დედა,
მუდამ სიმართლით გამარჯვებული,
საბჭოთა ქვეყნის აღამიანებს.

ამგვარად მოგვითხრო და წარმოგვიდგინა პოეტმა თავისი ლირიკული გმირისა და მის სახეში განზოგადებული მთელი თაობის სულიერი ცხოვრების მთავარი ეტაპები ერთტომეულის პირველ ვრცელ ციკლში „სიმღერა კომუნისმისა“. ბუნებრივია, რომ ერთი თაობის ცხოვრების ისტორია აქ ხშირად ერთვის მთელი ჩვენი ხალხის ბრძოლისა და შრომის დიდ ეპოპეას. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოქტომბრის შთამომავალთა თაობა ბავშვებისა და ყრმობის ასაკიდან გამოვიდა და ჯერ თავისი ქაბუკური შეგნებით და შემდეგ კი საქმით, ბრძოლით, შემოქმედებით ჩვენი სამშობლოს ისტორიული განვითარების აქტიური მონაწილე გახდა.

„სიმღერა კომუნისმისა“ არსებითად საბჭოთა ხალხის ისტორიული ცხოვრების მთელ ეპოქას მოიცავს. ამგვარი ფართო პოეტური შთანაფიქრი თავისთავად შეიცავს სერიოზულ სიძნელეს პოეტური ხატვის სფეროში; ცხადია, ძნელი იყო ესოდენ უხვი და დიდმნიშვნელოვანი მასალის მოთავსება თუნდაც საკმაოდ ვრცელ ლირიკულ ციკლში იმგვარად, რომ სიტყვიერი მხატვრობის ხელოვნება აქა-იქ არ დაერღვია რიტორიულობას, გართმული დეკლარაციების ნაკადს. მაგრამ ასეთი ცალკეული ხარვეზები ამ ციკლის ლექსთა უმრავლესობაში ანაზღაურებულია იმ წრფელი ტემპერამენტით, სინამდვილის მოვლენებზე მღელვარე გამონმაურებით, ჯანსაღი აზრით, გამსჭვალული ჰუმანიტი ლირიზმით, მაღალი პუბლიცისტური პათოსით, რაც მთლიანად ახასიათებს ამ ციკლს.

ამასთანავე რ. მარგიანის პოეტური პუბლიცისტიკისათვის უმრავლეს შემთხვევაში ნიშანდობლივია ქმედითი სახეობრივი აზროვნება. იგი ახერხებს დიდი ისტორიული პროცესები პლასტიკურად გამოხატოს ისეთ სიმბოლიურ თუ ალუგორიულ, ზოგჯერ რამდენადმე ჰიპერბოლიზირებულ მხატვრულ სახეებში, რომლებიც შთამბეჭდავად გადმოგვცემენ ამ პროცესის არსებით მხარეს. მაგალითად, თუ პოეტს სურს რამდენიმე სტროფში წარმოგვიდგინოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გრანდიოზული სურათი, იგი კალმის ერთი მოსმით დაგვანახებს „მაგნიტოგორსკის რუხ ბიჭებს“ და „გლუტჩერივით გადმოკიდებულ მაღალ მქუხარე დნეპრის კაშხალს“ და ამ ორიოდე დამახასიათებელი შტრიხით ჩვენს ცნობიერებაში მეტყველად გააცოცხლებს მთელი ისტორიული პერიოდის სულსა და ატმოსფეროს. როცა პოეტს

უნდა ლექსის ერთ სტროფში გვაგრძნობინოს ჰიტლერელთა ურდოების ჩვენს სამშობლოზე ვერაგული თავდასხმის მთელი საშინელება, იგი მტრის მიერ დაუნდობლად მოთიბულ ნორჩ ყვავილებს, ტყვიებით დაცხრილულსა და გზებზე დაყრილს, გადამთიელის ქუსლით გათელილ დედოფალებს წარმოგვისახავს. ჩვენი ხალხის პარტიასთან განუყოფელი ერთიანობის გამოსახატავად პოეტი გამოკვეთს სიმბოლიურ სახეს, — ცისარტყელისებურად გადაწოლილა კრემლსა და ხალხს შორის გაბმული სიმი.

ეს დამახასიათებელი მაგალითები გვიჩვენებენ პოეტის განსაკუთრებულ უნარს — წარმოგვისახოს სოციალური სინამდვილის დიდი პროცესები და მოვლენები ისეთ ეფექტურ პლასტიკურ სახეებში, რომლებიც ღრმად აღიბეჭდებიან მკითხველის მეხსიერებაში.

დასახელებული ციკლიდან ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებული სტრიქონები წარმოდგენას გვაძლევენ რ. მარგინის პოეტური სტილის კიდევ ზოგიერთ დამახასიათებელ თვისებაზე. პირველყოვლისა აქ საყურადღებოა პოეტური თხრობისა და ხატვის მომხიბლავი ბუნებრიობა, პოეტური ფრაზის ლაღი თავისუფალი ჟღერა. აქ გამორიცხულია ყოველგვარი მანერულობა, მყვირალა „ორიგინალობა“, საკუთარი სტილის ხელოვნური ძიება. ერთი შეხედვით, ამ ლექსებში თითქოს არც იგრძნობა მხატვრული მეტყველების საშუალებათა საკუთარი ინდივიდუალური წყობა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მართლაც მხატვრული მეტყველების თავისებურებანი ჰეშმარიტ პოეტურ შემოქმედებაში თავისთავად იგულისხმება და იგი არც საჭიროებს საგანგებო ძიებას, ხელოვნურად გამოგონებას, ხაზგასმულად წინ წამოწევას: როგორც არ შეიძლება არსებობდეს ორი სავსებით მსგავსი გარეგნობის, ხასიათის, მეტყველების, ჩვევების მქონე ცოცხალი ადამიანი, ისევე წარმოუდგენელია ორი ჰეშმარიტად შემოქმედი პიროვნება იდენტური პოეტური ხმით, მსოფლშეგნებით, ტემპერამენტით, მხატვრული მეტყველების ფორმებით. პოეტურ შემოქმედებაში სრული მსგავსება მხოლოდ ეპიგონობის შემთხვევაში აღმოცენდება. ნამდვილი ხელოვანი კი, რომელიც საკუთარი თვალთ ხედავს სინამდვილეს, ნამდვილად განცდილსა და ნაგრძნობს გვიხატავს, ან მღერის თავისი ბუნებრივი ხმით — არ შეიძლება ინდივიდუალური და თავისებური არ იყოს პოეტური მეტყველების სფეროში.

რ. მარგინის ლექსებში მკითხველი ვერ შეხვდება დაშტამპულ სახეებსა და შედარებებს, „სხვის“ ინტონაციებს, სხვა პოეტების მიერ შეთხზულ პოეტურ აქსესუარებს. თავის საუკეთესო ნაწარმოებებში პოეტი ღრმად თავისებურია, რადგან იგი თავისი ბუნებრივი ხმით მღერის და საკუთარი თვალთ დანახულ სამყაროს, საკუთარი სულიერი ცხოვრების ბრძმედში გამოტარებულ სინამდვილეს გვიხატავს.

ღირსი გმირის სახე, ისევე როგორც ეპიკური თუ დრამატიული ნაწარმოების პერსონაჟისა, მხოლოდ მაშინ არის ცოცხალი და მოქმედი, როდესაც იგი თავისი ხალხის, თუ თაობის საერთო ტიპურ ნიშნებთან ერთად შეიცავს ხასიათის თავისებურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს, საკუთარი ადამიანური ბუნების განუყოფელ გამოვლინებებს; ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ გამოხატა რ. მარგიანმა თავისი პოეზიის გმირის სულიერი ცხოვრების ეს მოვლენები, რომლებიც საერთო იყო მთელი მისი თაობისათვის და რომლებიც ამ გმირს ტიპურ სახედ აქცევენ. მაგრამ როგორია მის პოეზიაში განსახიერებული კონკრეტული ადამიანური ბუნების თავისებური შინაგანი სამყარო, და როგორი მხატვრული საშუალებებით არის ხორცშესხმული ეს სამყარო პოეტის მიერ? ამის გასაგებად საჭირო იქნება გავითვალისწინოთ პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ძირითადი მხარეები და საფეხურები.

ჩვენი სამწერლო საზოგადოებისა და მკითხველთა ყურადღება მარგიანმა პირველად ამ ოცი წლის წინათ მიიპყრო ლექსით „მირანგულა“, რომელიც თავისი წრფელი სისადავით, ორიგინალური მელოდიურობით, ღრმა შინაგანი ღირსებით და ნახატის სიცხოველით მკაფიოდ გამოჩნდა ქართული პოეტური ხელოვნების მაშინდელ ფონზე. ამ ბალადაში ახალგაზრდა პოეტი გამოხატავდა თავისი მშობლიური კუთხის სვანეთის ძველი პატრიარქალური ყოფა-ცხოვრების მწვავე დრამას. ლექსი წარმოადგენს მოხუცი სვანი ქალის გულმოკლულ გოდებას. მისი ერთადერთი ვაჟი, სამაგალითო ვაჟკაცი, პურის თუ მარილის მოსატანად იმერეთს წასულა და ქარბუქიან ზამთარში უგზოობის მსხვერპლი გამხდარა, შინ ვეღარ დაბრუნებულა:

ვაი, შვილო, მირანგულა,
ძაძიანი დედა გელის,
შვილო, როგორ გაყინულა
საყვარელი კერა შენი!

ეს გოდება გაისმის მთის ბუნების მრისხანების გადმომცემი სურათის ფონზე:

ქარი კენესის და ზუზუნებს,
ცივი ბუქი ხევში ბრუნავს,
და კერიაც დაგდუღუნებს:
ნეტავ სად ხარ, მირანგულა?

უჩვეულოდ და ახლებურად გაიღერეს მაშინ ქართულ პოეზიაში დამწყები პოეტის კალმით დახატულმა მეტყველმა მეტაფორებმა: „და ცა საკინძ დაგლეჯილი, ჰყრის ვერცხლისფერ უზალთუნებს“; ან კიდევ: „ქარს გადმოაქვს კაკკასიის ნისლიანი ჩაბალახი“. პოეტური კომპოზიციის იშვიათი ხელოვნებით შესრულებული ეს ღრმად დრამატიზირებული სურათი ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

ღამეა და წივის ქარი,
მთები თოვლით გათანგულა,
ქარს ქეითინი მიაქვს ქალის—
ვაი, სად ხარ, მირანგულა?

ამ ლექსით პოეტმა უკვე მკაფიოდ გამოავლინა თავისი უეჭველი ნიჭიერება; მთავარი აქ ის იყო, რომ მისი ნახატი გამსჭვალული აღმოჩნდა მეტყველი პოეტური აზრით, წრფელი შინაგანი ლირიზმით, ღრმად დრამატიზირებული ადამიანური განცდით. ამასთანავე ლექსის სტრიქონების ქვეტექსტში ხელშესახებად მოჩანდა რევოლუციამდელი, პატრიარქალური სვანეთის წყვედიადისებური ცხოვრებით გამწარებული მოხუცი ქალის სახე და მისი დაღუპული შვილის, გულადი და უშიშარი ვაჟაკის ხასიათი. ყოველივე ეს მოცემული იყო ერთი პატარა ლირიკული ლექსის ფარგლებში და ისიც საესეებით დაუხელოვნებელი და გამოუწრთობი მხატვრის მიერ. ეს იყო თვალსაჩინო საბუთი ავტორის განსაკუთრებული პოეტური ნიჭიერებისა, მისი მდიდარი შემოქმედებითი შესაძლებლობისა. „მირანგულას“ მოჰყვა „იავნანა“, რომელშიც პოეტმა უკვე საბჭოთა ეპოქის მიერ განახლებული, საუკუნოებრივი წყვედიადიდან საბოლოოდ გამოყვანილი ახალი სვანეთის ფონზე აამეტყველა ჩვილი ყრმის აკვანთან სიხარულისა და ბედნიერების გრძნობით ამღერებელი ახალგაზრდა დედა:

ნანინა, ნანული ნანაილა,
დაიძინე გაცინებულ შუბლითა,
მკერდს აგვისებ უთვლელ იაგუნდითა,
ამოღებულთ ვარსკლავების ბუდიდან...
ნანინა, ნანული, ნანაილა!
... მინდა შვილო, თვალი შემოგანათოს
საბჭოეთის ბედნიერმა ქვეყანამ
და რძე მკერდზე დაგედვაროს ნექტარად,
ნანინა, ნანული. ნანაილა!

სიცოცხლის ზეიმისა და ბედნიერების ასეთმა გულის სიღრმემდე ჩამწვდომმა საგალობელმა შესცვალა მირანგულას დედის სამგლოვიარო გოდება და თავის ამდროინდელ კონტრასტულ სიმღერებში პოეტმა თვალნათლივ დაანახა ქვეყანას, თუ რაოდენ ღრმა ძვრები და ცვლილებები შეიტანა ახალი ცხოვრების ქარის ქროლვამ ჩვენი სამშობლოს ისეთ უკიდურესად შორეულ და ჩამორჩენილ კუთხეებშიც კი, როგორც იყო ძველად სვანეთი. ამ წლების ერთ-ერთ ლექსში, რომელიც სატრფიალო ლირიკის საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს, პოეტმა კვლავ მძლავრად გვაგრძნობინა მთის ხალხის განახლებული ყოფის რომანტიკა:

რა ღამეა, მოვარემ დაიგვიანა,
ცამ კრიალა ვარსკვლავები მოისხა,
რა ვუმღეროთ განახლებულ ამ მხარეს?
წამოიწყე, თავი რატომ დაახარე?
ნუთუ კიდევ ეკრძალები გიაურს?
მეგობრობა იქნებ ღირდეს შაირად,
წამოიწყე ჩვენებული „ოისა“,
შაი, შაი, შამორირა შაირა!

ამ ლექსებში მთის ბუნებრივ შთაგონებული მხატვრობა გამდიდრებულია ახალი ცხოვრების ძლევამოსილი წინმსვლელობის აზრით. ამ ადრინდელ ქმნილებებში პოეტი უშუალოდ გამოდიოდა თავისი მშრომელი კუთხის ხალხურ სიმღერათა მელოდიებიდან და ეს გარემოება მკაფიო კოლორიტს უქმნიდა მისი ლექსის მუსიკას. ამ მხრივ ფრიადსაყურადღებოა ამ პერიოდის მისი ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოები „ამბავი რუსთაველის უშგულს მოსვლისა“, რომელიც ასეთი ამღერებული სტრიქონებით იწყება:

შაი ოდი შამორირა,
შემოაგდე არაბული,
და ექენები აულარუნე,
ცხენი, ვერცხლით დარახტული
კლდეზე შემოათქარუნე!
შაი ოდი შამორირა!

ასე ორგანულად ამოიზარდა ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითი ბუნება, მისი ლექსის შინაგანი მღელვარე ლირიზმი, მისი პოეტური ფერწერა მშობელი კუთხის ყოფითი რეალობიდან, მთის ბუნების დიდებული სანახაობიდან, სვანური სასიმღერო ფოლკლორის მდიდარი საგანძურისაგან.

შემდგომში, როდესაც პოეტის შემოქმედებითი ინტერესების სფერო თანდათანობით გაფართოვდა და კუთხური ასპექტი ჩვენი დროის უსაზღვროდ რთული და მრავალფეროვანი სინამდვილის პოეტურად ათვისების დიაპაზონმა შესცვალა, მის შემოქმედებაში როდი ჩახშობილა „თანდაყოლილი“ მძაფრი განცდა მთის ბუნებისა, მისი ადრინდელი ბუნებრივი მიდრეკილება ხალხის გულის სიღრმიდან ამოსული სასიმღერო ჰანგებისადმი. პოეტური დაუაყვაცების ხანაშიც მის ლექსებში განუწყვეტლივ ჟღერს სვანი ვაჟკაცების გამირული სიმღერის ომახიანი ჰანგი:

შორი გზიდან მომავალი,
ფრთარუხი და ფრთამალი,
ვორუდილა,
მოკედილი იაგუნდით,
არწივების მთელი გუნდი
მოფრენილა.

რ. მარგიანის მთელი პოეტური ცხოვრება ღრმად არის გამსჭვალული მშობლიური მთებისადმი, ამ მთების წიაღში მოქცეული თავის მშრომელი კუთხის — სვანეთისადმი დაუცხრომელი სიყვარულით:

შენ გინახავს სვანეთი —
შემოსილი მწვანეთი,
ჩემი ეზო პატარა,
ჩემი კოჰკი მაღალი,
მუხა დაბერებული,
ტოტემოღერებული,
ძველებური სიმღერა —
ჩემთვის მუდამ ახალი?

მშობლიური მთებისადმი მარად შეუწელებელი სიყვარული და მგზნებარე შემოქმედებითი მისწრაფება პოეტმა წრფელად გამოსთქვა თავის ერთ პოპულარულ ლექსში, რომელშიც პოეტური ნახატი გამდიდრებულია მსუბუქი იუმორით შესრულებული საყოფაცხოვრებო ეანრული სცენით:

მთის კალთაზე სახლი მდგას,
ხეც ხარობდეს ათიოდე,
იისფერად, განუწყვეტლად
ცაში კვამლი ადიოდეს.
ბუხრის პირას მუხლმორთხმული
ვით ზღაპარში, ვიჭდე მწყრალი
ჩემზე იყოს გულმოსული
ჩემი თეთრი დედოფალი.

ეს ბუნების წიაღში გახიზვნის, უღარდელი იდილიის სფეროში გადასვლის ნატურა კი არ არის, არამედ ერთ-ერთი თავისებური გამოვლინებაა პოეტის პატრიოტული გრძნობისა, მისი სისხლხორცეული კავშირისა მშობელ ქვეყანასთან, უსაზღვროდ საყვარელ მიწა-წყალთან, მის წარმტაც ბუნებასთან. ამავე ლექსში პოეტი ამგვარად ოცნებობს თავისი შვილების მომავალზე:

დამეზარდონ სანაქებოდ
და მათ დაჰყვეთ დედის გული,
მამასავით იოცნებონ...

სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობით, მაღალი პატრიოტული აზრით არის განათებული მარგიანის პეიზაჟები. შეიძლება ითქვას, რომ პოეტური პეიზაჟის ოსტატობის მხრივ, კერძოდ მთის ბუნების ცოცხლად გამოხატვის მხრივ მარგიანს უეჭველად ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ქართულ საბჭოთა პოეზიაში, რომელიც საერთოდ წარმატებით ავითარებს ქართული კლასიკური მწერლობის მდიდარ ტრადიციას ამ სფეროში.

მთის ბუნების მხატვრობა მარგიანის პოეტური შემოქმედების ერთ-

ერთი ძირითადი სფეროა; საყურადღებოა, რომ აქ პოეტი სავსებით დამოუკიდებელი გზით მიდის; თუ რამდენად მდიდარია მარგინის გამოსახულებითი საშუალებანი პოეტური პეიზაჟის დარგში. რამდენად ორგანულად არის შეერთებული მის საუკეთესო ლექსებში ბუნების პლასტიკური ნახატი და ლირიკული გმირის განცდათა სამყარო, ამის გასაგებად საკმარისია დავიმოწმოთ ერთი ადგილი ლექსიდან „კავკასიონის ქედი ზღაპრული“:

შენ თუ თეთნულდის თეთრი კალთები
გინახავს მზისგან აღდაკრულები,
ყელმოღერილი გოლიათები —
ელვით და მეხით დაბზარულები.
შენ თუ გინახავს ჩემი კერია,
ხომალდის მსგავსი, ნისლში მცურავი —
სახლს, რომ ღრუბელი თავს მოჰხვევია
ისე ვით ხონთქარს თავსაბურავი.
ალბათ გინახავს შმაგი ჩქერალი
ნაპრალებს შორის აქაფებული —
და შეგხვედრია გზად მომღერალიც
იალბუზივით გათეთრებული.

ასევე მდიდარია მეტყველი პოეტური სახეებით, ასევე მძლავრ რიტმულ მოძრაობაზეა დამყარებული და დიდი შინაგანი ემოციური ძალით ამღერებული მისი სხვა ლექსები ანალოგიურ თემაზე: „გახსოვს, მწვანე გვალდას მთაო“, „მულახის წყარო“, „შხელდა“, „მულახში ერთი წყალია“ და სხვ. ამ ციკლის ლექსებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვეყოთ — „მულახი ჩემი სოფელი“, სადაც ყოველი სტრიქონი თანაბრად მძლავრი შთაბეჭდილების მომხდენი სურათებით წარმოსახავს ტიპიური სვანური სოფლის სპეციფიკურ ხედს, მისი ძველთაძველი ტრადიციებისა და თანამედროვე სინამდვილის ურთიერთ დაპირისპირებულ სურათებს: მისი მოსახლეობის შრომითი ცხოვრების, ხალხის ყოფითი ყოველდღიურობის ნაირფერობას. ამ ლექსის რომელიც გინდათ სტრიქონი სანიმუშოა პოეტური აღწერილობის მაღალი ხელოვნების თვალსაზრისით:

თითქოს მიწიდან აზრდილი,
კოწიკები ცამდე აწვდილი,
და შემდეგ გაქვავებული,
ალაგ ხავსმოკიდებული,
სათოფურ ჩაღრმავებული,
ზეცაში გარინდებული!

ერთტომეულის ერთ-ერთი საუკეთესო ლირიკულ ლექსში „მე დაჭრილი ვარ შენი მეხისგან“ პოეტი ხატავს მძლავრი ექსპრესიით აღბეჭდილ სურათს. მაღალი მთის თხემზე ჭიხვივით მდგარ ფიჭვის ხეს

მოულოდნელად დაეცა მეხი, რომელმაც გააპო ხე, მაგრამ სამუდამოდ ვერ მოსპო იგი:

გადარჩა. იყო მხოლოდ დაქრილი.
არ შიშობს თუ კი მოიღრუბლება,
ტოტებგაშლილი, ცაში აწვდილი
კვლავ მხეს და ვარსკვლავს ესაუბრება!

ამ ლექსის ლირიკული გმირი ამ ფიჭვის ბედს ამსგავსებს მის მიერ განცდილ სატრფიალო ღრამას:

მე ფიჭვის ბედიც ჩემსას ვამგვანე,
მასავით ვიყავ მეც მკერდადაქრილი...
ახლა კი ხელით ვწვდები ვარსკვლავებს,
მაგრამ თან დამდექს ჩემი აჩრდილი.
და შენთან ყოფნა თუ არ მეღირსა
ამითაც, ალბათ, ვარ კმაყოფილი,
მე დაქრილი ვარ შენი მესისგან
და გული ისევ მაქვს გაპოვილი...

ასე ღრმა და მძაფრია პოეტის პირადი ინტიმური განცდები, ასე ორგანულად არის დაკავშირებული მისი ემოციური ცხოვრების სამყარო მშობლიური ბუნების წიაღთან. ციტირებული ლექსები გვიჩვენებენ, თუ რაოდენ პოლიფონიურია, რაოდენ მრავალხმოვანი და ნაირ-ჰანგოვანი მისი ლექსის ელერა, როგორი მდიდარი და ცხოველია მისი ფერადები და საღებავები.

რევაზ მარგიანის უმნიშვნელოვანეს შემოქმედებით მიღწევას წარმოადგენს ლექსების დიდი ციკლი „მუმლი მუხასა“. ამ ლექსებში, რომლებიც დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებშია დაწერილი. პოეტმა ღრმა განზოგადებითი ძალით გამოხატა სამშობლოს თავისუფლების დასაცავად იარაღსხმული საბჭოთა ხალხის სწორუპოვარი სულიერი ძალა და მშენება, მისი ხასიათის ის მაღალი და კეთილშობილური თვისებანი, რომელთა მეოხებითაც გამოსჭედა ჩვენმა ქვეყანამ დიდი გამარჯვება ფაშისტურ ბარბაროსობაზე.

ყველაფერი, რაც ყურადღებას იქცევს ამ ლექსებში, პოეტის მიერ პირადად განცდილი, ნაგრძნობი და ნაფიქრია. სამამულო ომის ეპოპეა აქ წარმოსახულია, როგორც განუყოფელი ნაწილი ლირიკული გმირის სულიერი ბიოგრაფიისა, ხოლო ადამიანის ყოველი პირადი განცდა და განწყობილება აქ გაშუქებულია დიადი სახალხო ინტერესებისა და მისწრაფებების თვალსაზრისით. ლექსების მთელ ციკლში მკითხველის თვალწინ დგას საოცრად ცოცხალი, სისხლნორცით სავსე სახე სამშობლოს თავდადებული დამცველისა და ყოველი ლექსი თავისებური კუთხით აშუქებს, ამდიდრებს და სრულყოფს სახეს.

როგორც მთელი ჩვენი სამშობლოსათვის, საბჭოთა ლიტერატური-

სათვისაც სამამულო ომი უდიდესი სკოლა და უმკაცრესი გამოცდა იყო. მრავალეროვან საბჭოთა მწერლობასთან ერთად ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ, კერძოდ ქართულმა პოეზიამ ეს გამოცდა ღირსეულად ჩააბარა. მრავალი პირველხარისხოვანი ლექსით ასახა და უმღერა ქართულმა პოეზიამ საბჭოთა ადამიანების უკვდავ საგმირო საქმეებს: ეს ნაწარმოებნი სამუდამოდ შესულია საბჭოთა ეპოქის ლიტერატურის ძირითად ფონდში და წარუშლელად აღბეჭდილია ჩვენი ხალხის მეხსიერებაში. რ. მარგიანის ლექსებში მდიდრად და მრავალმხრივად გადმოცემულია ბრძოლის ველზე თავდადებულად გასული საბჭოთა ადამიანის სახე, მისი აზრების, გრძნობებისა და განცდების სამყარო, მისი ცოცხალი ადამიანური ბუნება. ცხადია ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ პოეტი უმძიმესი განსაცდელის ქამს სახელოვანი საბჭოთა არმიის რიგებში იღვა და მისი ჰებტეური შთაგონება სწორედ ამ უმაგალითოდ გმირული ბრძოლების ქარცეცხლში იწრთობოდა.

აქედან მომდინარეობს სამამულო ომის თემაზე რ. მარგიანის მიერ დაწერილი ყოველი ლექსის წრფელი უშუალობა, ეჭვმიუტანელი მხატვრული სიმართლე. გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ბუნებრივი უღერა:

განა ამ გრძნობას რა შეედრება.
როცა გმირულად ასწევ მარჯვენას, --
გაცეცხლებული მტერს ეკვეთება
შენივე ძმების გადასარჩენად!
განა ამ გრძნობას რა შეედრება...
ვაჯკაც გექნება გული რკინისა,
იქნები მართლაც მამულიშვილი
და აგათროლებს ზმა საუყირისა!
ხალხი რომ გეტყვის ღელაშვილობას
და შენთვის აზა არ მოიქუფრება,
რომ მოშუშდება მკერდზე კრილობა
და ხალხს შერჩება თავისუფლება.

უშიშროება, სასიკვდილო საფრთხის წინაშე შეუდრეკლობა, სიცოცხლისმოყვარეობა. ნათელი ოპტიმიზმი მუდამ ახასიათებდა ბრძოლის ველზე გასული საბჭოთა ადამიანის ბუნებას. ერთ-ერთ ლექსში ასე სკოდნია ბრძოლაში ქართველს“ პოეტი მოგვითხრობს ფრონტული ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ამბავს, როდესაც ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი ქართველი ვაჯკაცი სიმღერით ეგებებოდა სიცოცხლის მოახლოვებულ დასასრულს. პოეტი აღწერს ამ შემთხვევას და მასში კანონიერი სიამაყით ხედავს ჩვენი ხალხის ხასიათის ღიღებულ ნიშანს:

ასე სკოდნია ბრძოლაში ქართველს,
კვდება და მაინც სიცოცხლეს უმღერს
და მამულისთვის ანდერძად სათქმელს
სიმღერად ატანს საზხრეთის ღრუბელს,
რომ საქართველოს შავთვალა ქალებს,
ჩვენს მამულს - ქართველის წინდა ყაპირსა,
მოესმის პანგი უყანასკნელი
ერთი ქართველი მეომარისა.

ასეთი სულიერი სიმტკიცე და გამძლეობა, ეს მართლაც და სასწაულმოქმედი მორალური ძალა — ჩვენი დროის გმირის, ჩვენი საბრძოლო იდეალების სიდიადისაგან მომდინარეობს. საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი გრძნობა ჰკეებავდა და ასაზრდოებდა ამ გმირულ საქმეებს.

თავის ლექსში პოეტი ამბობს:

ჩვენ ხომ ბრძოლაში სიმღერით ვკედებით
და საფლავეშიაც ჩავდივართ მშვიდად,
რომ მშვიდად იდგნენ სამშობლოს მთები,
უსპეტაკესი მამული წმინდა.

დამახასიათებელია, რომ სამშობლოს თავისუფლებისა და უკვდავების იდეა პოეტის ცნობიერებაში კონკრეტულად წარმოდგენილია მშვიდად და უდრტეინველად მდგარი მშობლიური მთების სახით. მთებისადმი, მთის ბუნებისადმი მშობლიური გრძნობა, როგორც საერთოდ სამშობლოსადმი ურთიერთობისა და სიყვარულის განსახიერება, რაც დასაწყისიდანვე ახასიათებდა რევზ მარგიანის პოეტურ მსოფლშეგრძნებას, მკაფიოდ არის გამოვლენილი სამამულო ომის პერიოდის მის ლექსებშიც. „კავკასიის ლურჯი მთები“ აქაც მისი შთაგონების ერთ-ერთ ძირითად საგანს შეადგენს. ომის მძვინვარე ყოველდღიურობას კიდევ უფრო გაუცხოველებია და გაუმძაფრებია პოეტის სისხლხორცეული კავშირი მშობლიურ მთებთან, რომლებშიც პლასტიკურად არის განსახიერებული სამშობლოს ძლიერება და უდრეკელობა, მისი სიმკვიდრე და სიმაღლე, მისი უნარი და ძალა, გადაიტანოს ყოველგვარი ქარტახილები. მშობლიური ბუნების სურათები განუყრელად თან სდევნენ ომის ღანძარში შესულ მამულიშვილს:

მე ვხედავ: გუგუნებს თეთნულდის მღვიმე —
ზღაპრული სამყოფი დალის.
მზის სხივთა კონები საოცრად შეკრულან
ბუნების ურყევი ძალით.
ვით დალის დალალი, ფრიალებს ღრუბელი,
„ლილოს“ გუგუნებს ქარი.

სამშობლოს დამცველ ვაჟკაცების გვერდით იბრძვიან მშობლიური

მთები და ქედებიც. მთელი ბუნება ხალხთან ერთად მრისხანებით ამხედრებულა საძულველ დამპყრობთა შესამუსრავად:

თუნდება! მოისმის საყვირის ხმები:
— დაგხსნით, სამშობლოს დედაც!
საომრად დგებიან ჰადარა მთები
მამულის გმირებთან ერთად.
თუნდება! მამულის დევგმირებს დიდება!
ქედებო. დიდება თქვენდა!

პოეტური პეიზაჟის სამაგალითო ოსტატობით განასახიერებს პოეტი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დროებით გაადრების სურათს და აქაც ბუნების მრისხანების ამ ალუგორიულ გამონატულებას ისევ შავი ღრუბლებით გარემოცული მთების სახით გადმოგვცემს:

მთაზე დაღვით შეჯგუფულან ღრუბლები —
ამირანის წარბებივით შავი,
შეჯგუფულან. საავდროდ ჩურჩულებენ
წეთისოფლის დაიწყებულ შაირს
და მომესმის მგალობელთა კვნესა:
საავდროდ ემზადება ზეცა!

ეს ლექსები იმ მრისხანე დღეებში იწერებოდა, როდესაც ბრძოლის ველი უშუალოდ მოებჯინა კავკასიონის კალთებს; ამიტომ, ბუნებრივია, რომ ლექსების ამ ციკლში სამამულო ომის ეპოპეა მთიანი ბუნების, პანორამის ფონზეა ასახული და კავკასიის უდრეკი ქედები, პოეტის ფანტაზიით გაცოცხლებულნი, ამ ბრძოლათა უშუალო მონაწილეებად წარმოგვიდგებიან.

როგორც მთელს თავის შემოქმედებაში, სამამულო ომის პერიოდის ლირიკაშიც რ. მარგიანი ბუნების პოეტური მხატვრობის ნიჭიერ ოსტატად გვევლინება და აქაც მისი ყოველი ნახატი ღრმა ადამიანური აზრით და გრძნობით არის გამსჭვალული.

თოვს და ეს ველი ბიბინებს თეთრად,
უხმოდ მოცეხვა სანგარში თოვლი,
ცაზე კი ელავს იისფერ სვეტად
პროექტორების მსუბუქი ბოლი.
... თოვს, ხვავრიელად შეუსვენებლივ,
გაყინულ მიწას ეყრება თუთოვლით.
დაფრიალებენ ვით ფრინველები
უსპეტაკესი ფიფქები თოვლის.

მაგრამ რაგინდ ცხოვლადაც არ უნდა იყოს წარმოსახული რ. მარგიანის სამხედრო ლირიკაში ბუნების სურათები, რაგინდ დიდი ხედვითი წონაც არ უნდა ეკუთვნოდეს ამ ლექსებში გასულიერებულ პოეტურ პეიზაჟებს, მათ ცენტრში მაინც ადამიანი დგას, ჩვენი დროის

ნამდვილი გმირი, თავისი რაინდული სულსკვეთებით, ფართო გონებრივი ინტერესებით. მხურვალე გულით. სპეტაკი ზნეობით.

ომის საშინელებას, სიკვდილთან ყოველწუთიერ ჭიდილს როდი ჩაუხშვია საბჭოთა მებრძოლის ბუნებაში უნაზესი, ადამიანური გრძნობები. პირიქით, რაც უფრო მეტის გაათრებით დაემუქრნენ მეოცე საუკუნის ვანდალები გათელვითა და განადგურებით ადამიანის უწმინდეს იდეალებს, ჰუმანისტურ მისწრაფებებს, ცივილიზირებული კაცობრიობის მორალურ ნორმებს, მით უფრო მეტი თავგამოდებით გამოექომაგა იარაღსხმული საბჭოთა ხალხი თავისი კაცთმოყვარული, ჭეშმარიტად ჰუმანისტური ხასიათის მაღალ თვისებებს, ამიტომაც საბჭოთა მეომრის ის ტიპიური სახე, რომელც რ. მარგინის ლექსებშია დახატული, შემართებულ საბრძოლო სულსკვეთებასთან ერთად, ასევე ორგანულად არის გამსკვალული ტრფიალების, მშობლიური სიყვარულის, მოძმისათვის თავდადების გრძნობით, ყველა იმ თვისებით, რომლებიც შეადგენენ თანამედროვეობის გმირის სულიერ მშვენებასა და მომხიბლავობას; ქვემეხებისა და ნაღმმტყორცნების ქუხილში საბჭოთა მეომარი უბით ატარებს საყვარელ ადამიანისაგან მონაწერ ბარათს:

მე უბით ვატარებ პატარა ბარათს --
შენგან რომ მივიღე წუხელ,
ისე ვით საუნჯე, ფარულად დამაქვს,
ჩატომღაც ვერავის ვუხხელ...

ამ სტრიქონებს ერთბაშად შეეყვართ ლირიკული გმირის პირადულ-ინტიმურ ურთიერთობათა სამყაროში, სადაც გრძნობის ყოველი მოძრაობა განათებულია მორალური სისპეტაკის, სიყვარულისა და მეგობრობაში სამაგალითო ერთგულებით, ქალის ბარათზე დამჩნეულ ცრემლის წვეთს უგრძნობინებია მებრძოლისათვის ის კეთილშობილური სევდა, რომლითაც მოცული ყოფილა უსაყვარლეს ადამიანთან ხანგრძლივად დაშორებით დამწუხრებული ქალის გული. მებრძოლი ვაჟკაცი ამშვიდებს და ანუეგუმებს მთების გადაღმა დარჩენილ მეგობარს:

ნუ სწუხარ, გაიღის ომი და ქარი,
ვიცხოვრებთ ისევ მშვიდად,
ჩვენთვის ხომ სიცოცხლე მამული არი
თბილისი სამშობლო წმინდა!

ასე გაერთიანებულია საბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში უაღრესად პირადული გრძნობები მაღალ პატრიოტულ მისწრაფებებთან, სამშობლოსადმი თავდადებულ ერთგულებასთან. ჩვენი სამართლიანი საბრძოლო საქმის გარდაუვალი გამარჯვების რწმენასთან, მშვიდობი-

სადმი მიდრეკილებასთან. ამიტომ ამ ლექსებში გამოკვეთილი ადამიანის სახე არა მარტო თავისი საზოგადოებრივი იდეალებით და საბრძოლო საქმეებით, არამედ თავისი უაღრესად პირადული განცდებითაც განზოგადებული ტიპური განხორციელებაა საბჭოთა ხალხის, რიგითი საბჭოთა ადამიანის ხასიათის თვისებებისა.

წრფელი სასოებით დაატარებს საბჭოთა მეგრძოლი თავისი უწმინდესი ფიქრებისა და გრძნობების სამყაროში დედის სახეს, რომელიც ერთსა და იმავე მშობლიური გრძნობის კონკრეტული გამოხატულებაც არის და ხალხის, სამშობლოს ხორცშესხმული სიმბოლოც. შუალამით თავის საბრძოლო ს.ნგარში ჩასაფრებულ მეომარს მოულოდნელად მშობელი დედის სახე წარმოუდგება თვალწინ:

ეს შენ ხარ დედა, შენ მეტყველ თვალებს
მე ვხედავ, დამწვა თვალების შუქნა;
მე შენთან ვხედავ მშობლიურ მხარეს
და მესმის შენი დედური სუნთქვა.
ნუთუ შენა ხარ... ძვირფასო დედა,
რომ მიაღერებ მეტყველი თვალით.
ეს სიმართლეა, თუ სიზმარს ვხედავ,—
ქოჩორს მივარცხნის ლეჩაქის ქარი.

ლეჩაქის ქარით დავარცხნილი ქოჩორი — როგორი ორიგინალური, თანაც მაღალმხატვრული პოეტური მეტაფორა! მაგრამ აქ ნატამალიც არ არის თვითმიზნური გამომგონებლობისა, მკითხველის განსაცვიფრებლად, მოსაწონებლად გამომანგარიშებული ოსტატობრივი ხერხისა. ამ პოეტური სახის ძალა და ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი მთლიანად გამსჭვალულია უნაზესი. ამდღელებელი ადამიანური გრძნობით. ამიტომ ყლერს იგი ასეთი ბუნებრიობით, ღრმე ემოციური ძალით. ნამდვილი ესთეტიკური მომხიბლაობით. ეს კონკრეტული შემთხვევა დამახასიათებელია რ. მარგიანის საუკეთესო ლექსებისათვის.

ხან ამგვარი რთული, მაგრამ უაღრესად ბუნებრივი სახეებით, ხან ცხოველ შინაგან ტემპერამენტზე დამყარებული პოეტური პუბლიცისტიკის ფორმით ამ ლექსების ლირიკული გმირი განუწყვეტლივ ეხმაურება მშობელ ხალხს, რომლისადმიც არის მიმართული ყველა მისი საუკეთესო გრძნობა, ფიქრი და ოცნება:

შენ გამარჯობა, ხალხო ძლიერო,
მტერს შენი რისხვა მარად ზარავდეს
და მუდამ ჩვენდა საბედნიეროდ,
ღიღი ლენინის ღროშა გვფარავდეს!

დიდი ლენინის უძველესი დროშით მოიპოვა ჩვენმა ხალხმა ბრწყინვალე გამარჯვება სამამულო ომში და რევოლუციონარული ომისდროინდელი ლექსების ციკლიც ამ გამარჯვების საღივდელი ჰიმნით მთავრდება. ლექსი „გამარჯვების დღე“ იმ ძირითად აზრობრივ მოტივზეა აღმოცენებული, რომ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვება სრულიად არ ყოფილა მოულოდნელი, რომ ამ გამარჯვებას ჰქედდა, ამზადებდა და აახლოვებდა ჩვენი მრავალფეროვანი და მრავალმილიონიანი ხალხის ყველა ფენა და ყველა თაობა თავისი დევგმირული ბრძოლით ომის თვალუწვდენელ ფრონტებზე და თავისი ასევე თავდადებული, დაუცხრომელი შრომით საბჭოთა ზურგის ყოველ უბანზე.

სპეციალური, „ფორმალური ანალიზის“ გარეშეც, მკითხველი ადვილად დაინახავდა, რომ ომისდროინდელ თავის საუკეთესო ლექსებში პოეტმა გააღრმავა და განავითარა თავისი პოეტური ნიჭიერების დამახასიათებელი თვისებანი: პოეტური ფერწერის აზრითა და გრძობით განაყოფიერებული ოსტატობა, ბუნების და კერძოდ მთის ბუნების გაცოცხლებული, გასულიერებული მხატვრობა, მშობლიურ ხალხურ მელოდიებზე დამყარებული ლექსის შინაგანი ამღერება, მეტაფორათა და შედარებათა ემოციური ბუნებრივი ძერწვა, სახეობრივად მდიდარი პოეტური პუბლიცისტიკის ხელოვნება.

ერთგომეულის განყოფილება, „აქა მშვიდობა“, რომელშიაც ომის შემდეგი წლების პოეტური შემოქმედების ნიმუშებია თავმოყრილი, იხსნება ლექსით „ამ საუკუნის სამოციანი წლების მაყრები“. აქ უკვე პოეტის ყურადღების ცენტრში ბრძოლის ცეცხლიდან გამარჯვებულად გამოსული და დიადი შემოქმედებითი შრომის პათოსით მოსილი საბჭოთა ადამიანი დგას. როგორც მთელი ჩვენი ლიტერატურის, ისე მარგინის პოეზიის ძირითად თემას ახლა სწორედ ჩვენი ხალხის შრომითი გმირობა შეადგენს, რომელიც უპირველესი დასაყრდენია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი, განუხრელი აღმავლობისა. პოეტი უმღერის შემოქმედებითი შრომის იმ გოლიათებს, რომლებიც საოცარი სისწრაფით უსწრებენ ეამთა სრბოლას და მომავალი წლების დაეალებათა ანგარიშს ანაღდებენ:

წლებს მღღმა ისმის მათი გუგუზი,
გაჩაღებულან ვით ჩირაღდნები,
გამარჯვებული ამ საუკუნის
სამოციანი წლების მაყრები.

თავისი შემოქმედებითი გაქანებით და ტემპით ეს რიგითი საბჭოთა ადამიანები აჩქარებენ და აახლოვებენ ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო დიდსა და ნათელ ხვალინდელ დღეს, ამ მიმართულებით მიაქენებენ

მთელ ჩვენს ცხოვრებას და პოეტიც გულწრფელად ისწრაფვის გაკყევს, არ ჩამორჩეს დროების ამ სრბოლას.

უკანასკნელი წლების თავის ლექსებში პოეტი პატრიოტული შთაგონებით ხატავს ჩვენი საკოლმეურნეო ყანების ბიბინს, გაზაფხულის მზიანი დღეების ელვარებას, ატენის ხეობის განუშეორებელ სილამაზეს და ბარაქას. რუსთავის ქარხნის ღუმელებში ქართული ფოლადის შრობას; ხან მარტენის მძლავრ გუგუნს ესმაურება პოეტის პანგი; ხან სამკედლოში ვეებერთელა საბერველის გოლიათურ სუნთქვას. როცა ჩვენი ხალხი თავდადებული შრომითი აღფრთოვანებით შეუდგა სამგორის გადამწვარი, უნაყოფო ველის გაცოცხლებისათვის ბრძოლას, პოეტის ოცნება უკვე ხედავდა და უმღეროდა თბილისში ივრის გრილი ტალღების შემოქროლებას:

თბილისშიც აღწევს ხმაური ტალღის,
აქაფებულის, ყალყშემართულის,
და ისე ისმის ვით ტაში ხალხის
გალაღებული ივრის დგაფენი.
ეს ივრის წყალი უქაზის მერმისს
და დამწვარ მიწას ფერებით ხატავს,
ზღვის ფსკერი, როგორც ვეება ქვევრა,
ჯერ დაუდგრომელ ჩანჩქერებს ხაპავს.

მშვიდობისათვის ბრძოლის თემაზე დაწერილ ლექსებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა პოეტის კალმით შესრულებული ლირიკული პორტრეტები ამ დიდი სახალხო მოძრაობის რამდენიმე გამოჩენილი მონაწილისა. აქ პირველყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ლექსი „ელენე კოშევაია — ოლეგის დედა“. მშვიდობის მომხრეთა შეკრებაზე შეხვედრია პირველად ამ იშვიათი ბიოგრაფიის ქალს პოეტი და ღრმა შინაგანი დრამატიზმით გამსჭვალულ სტრიქონებში იგი წარმოგვისახავს ამ გმირი დედის მღელვარე სულიერ განცდებს; ასეთივე მგზნებარე ლირიკული ნაკადი ჩქეფს იმ ლექსშიც, რომელშიც პოეტმა დახატა გორში — სტალინის მშობელი პატარა სახლის აივანზე მოწიწებით მდგარი სახელგანთქმული პაკ დენ აის სახე. სახელოვანი ფრანგი ქალიშვილის რაიმონდა დიენისადმი მიძღვნილ მცირე მოცულობის ლექსში მთელი პოემის სიუჟეტია მოთავსებული. თბილისში ერთ-ერთი სკოლის მოწაფეებმა გულთბილი შეხვედრა გაუმართეს საყვარელ სტუმარს — რაიმონდა დიენს. მეგობრულ სიმღერებსა და აღფრთოვანებული ტაშის ქუხილში უეცრად შემოიჭრა ორთქლმავლის კივილი. ოცნებაში წასულ რაიმონდა დიენს ამ ხმამ მოაგონა შემზარავი სურათი — ვიეტნამისაკენ მიმავალი, დამპყრობთა ლაშქარით დატვირთული მატარებელი. მაგრამ სინამდვილემ გაფანტა ეს მოჩვენება: ორთქლმავალი სტალინგრადისა და ვოლგა-დონისაკენ მიაქანებდა კომუნიზ-

მის დიადი მშენებლობისათვის ქართველი ხალხის მიერ გაგზავნილი წვლილით დატვირთულ საბარგო ვაგონებს. ბედნიერი სტუმარი აღფრთოვანებული გრძნობით იღვა თავის პატარა მასპინძელთა გარემოცვაში; ასე ეხერხება პოეტს დინჯი, ეპიკური თხრობის შეთავსება მღელვარე სულიერი ვითარების გადმომცემ ლირიკულ ნახატთან. ეს მეტად თვალსაჩინო და ძვირფასი ნიჭიერებაა.

კრებულის საუკეთესო ნაწარმოებთა შორის დავასახელოთ ლექსი „ლენინის ქუჩაზე“, რომელშიც ნაცადი ოსტატობით და წრფელი სიყვარულით არის გადმოცემული გორის მთავარ ქუჩაზე ყოფნისას აღძრული განწყობილება:

როცა გორში ხარ, ლენინის ქუჩას
მიპყვები მგზავრი და მიიძღერი,
ქართლის ბაღებში ჰყვავის ალუჩა
და ციდან ცვივა ყვავილის მტვერი.
სხვაგვარად სუნთქავს კვირტი ყოველი,
ნექტარიითა და სურნელით სავსე,
და მზეც, მარადი შუქის მთოველი,
სხვაგვარად ზატავს ამ სილამაზეს.

ასე ფართოდ და მრავალმხრივად მოიცავს რ. მარგიანის პოეზია თავისი თაობის აზრთა, გრძნობათა და განცდათა სამყაროს, მისი სულიერი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს.

ყოველივე ზემოთქმული სრულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს ამჟამად თავისი შთაგონების ნამდვილი დევაჟაკების ასაკში შესულ პოეტს უკვე დასრულებული ჰქონდეს შემოქმედებითი განვითარების გზა და მისი შემდგომი წინსვლის შესაძლებლობანი უკვე ამოწურული იყოს. თუ ჩვენ ამ წერილში პოეტის შემოქმედებითს წარმატებებზე და მიღწევებზე გავამახვილეთ ყურადღება, აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს ისეთი დასკვნა, თითქოს აქ რაღაც სრულყოფილებასთან გვქონდეს საქმე. არა! ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა გაკვირით აღგვენიშნა, რომ რევაზ მარგიანის ლექსებში აქა-იქ საგრძნობი ინტენსიობით შემოიჭრება ხოლმე დეკლარაციულობისა და რიტორიულობის ნაკადი. აი, ამისი ნიმუში ციკლიდან „სიმღერა კომუნისისა“:

ცხრაას ჩვიდმეტი, ელვა ქუხილით,
გრიგალმა მტრები გააყამტვერა,
დალენა მეფის წყველი ტახტი,
დიდი ოქტომბრის რევოლუციის
ხალხი მოვიდა ქვეყნის მმართველად,
თავისუფლების მოწმენი გაჯხლით!

ამ სტრიქონებში აზრი გადმოცემულია შიშველად, ყოველგვარი

პოეტური გააზრებისა და გრძნობადი სახეობრივი გამოხატულების გარეშე; ასეთ შემთხვევებს მარტო ხსენებულ ციკლში როდი ვხვდებით. ავიღოთ, მაგალითად ლექსი „ჩვენი პლანეტა“, რომელიც პოეზიის თვალსაზრისით არაფრისმთქმელი სტრიქონებით იწყება:

ვერავინ მოსპობს მზის მცხუნვარებას,
როგორც ჩვენს რწმენას და ჩვენს იდეას,
ილბლიანია ჩვენი პლანეტა,
მისი სიცოცხლის ხანიც დიდია.

თითქოს დაუჭერებელიცაა, რომ ამ სტრიქონებს იმ ლექსების ავტორი წერდა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მიუხედავად იმისა, რომ თავისი რჩეული ლექსებისა და ბალადების ერთტომეული პოეტს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით შეუდგენია, მასში მარცხ აქა-იქ გვხვდება სუსტი, უფერული ლექსები, რომელთა ესთეტიკური ღირებულება და მნიშვნელობა მეტად მცირეა; მაგალითად, ლექსში „სავარდო და სამაისო“ პოეტური ხატვის ხელოვნება მშრალი, ინდიფერენტული აღნუსხვის ხელოსნობით არის შეცვლილი.

რ. მარგიანის სახით ქართულ საბჭოთა პოეზიას მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი მაღალნიჭიერი ოსტატი ჰყავს; თავის შემოქმედებით გზაზე მან მრავალი შესანიშნავი ნაწარმოებით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურის საგანძური. სრული უფლება და საფუძველი გვაქვს მოველოდეთ მისგან კიდევ უფრო ღრმა და სრულფასოვან პოეტურ ქმნილებებს, ფართო ეპიკურ ტილოებს, ამაღლვებელ ლირიკულ ლექსებს ჩვენი თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე.

პოეტის მახინჯური არა

რაც უფრო მდიდარია პოეტის სულიერი სამყარო, მრავალმხრივია და მრავალფეროვანი მისი მოქალაქეობრივი და პირადადამიანური ინტერესების სფერო, მით უფრო ვრცელია მისი „მაგნიტური არე“ — იმ მოვლენების, საგნებისა და ადამიანთა წრე, რომლებიც იზიდავენ მის გულსა და გონებას, შემოქმედებისათვის ალაგზნებენ მის შთაგონებას. ოთარ ჭელიძეს ამ მხრივაც სავესებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ამ მხრივაც, ვაშობობთ ჩვენ, რადგან თემატური დიაპაზონი როდი წარმოადგენს ერთადერთს, ან უპირველეს კრიტერიუმს მხატვრული კულტურის განვითარებაში ამა თუ იმ ხელოვანის ადგილისა და მნიშვნელობის შეფასებისას.

იშვიათ თემატური მრავალმხრივობასა და მრავალფეროვნებასთან ერთად ოთარ ჭელიძის შემოქმედებითს ბუნებას ახასიათებს პოეტური ჩანაფიქრის ღრმად თავისებური, უღარესად ორიგინალური გააზრება, რომელიც ყოველთვის მახვილგონიერებით, მხატვრული მიგნებისა და აღმოჩენების გამახვილებული გრძნობით ხასიათდება, ყოველთვის საინტერესოა და ორგანულად ეთანხმება მკითხველის აზრთა და გრძნობათა სამყაროს. იგი არამცთუ არასოდეს არ იმეორებს სხვების მიერ მიღწეულ მხატვრულ ღირებულებებს, არამედ იშვიათად იმეორებს თავის თავსაც, ე. ი. საკუთარ პოეტურ სამყაროში წარმოშობილ მხატვრულ კატეგორიებს. იგი შეგნებულად ისწრაფვის ყოველ ახალ ნაწარმოებში მოგვეცეს სამყაროს ახლებური. მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ხილვისა და წარმოსახვის ნიმუშები. ოთარ ჭელიძის ლექსების კითხვისას არასოდეს არ იბადება ვისიმე შემოქმედების შთაბეჭდილება, ვისიმე პოეტურ ქმნილებებთან მსგავსებისა და ანალოგიის შთაბეჭდილებანი.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოსდა ოთარ ჭელიძე ცარიელ სივრცეში ცხოვრობდეს და ქმნიდეს და მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს მშობლიური თუ უცხოური, თანამედროვე თუ კლასიკური პოეზიის ტრადიციებს. პირიქით, მის ყოველ ლირიკულ ქმნილებაში, ბალადაში, პოემაში იგრძნობა, რომ პოეტს ნათლად აქვს გათვალისწინებული არა მარტო ყოველი ხელოვანისათვის სავესდებულო დიდი კლასიკური ტრადიცია, არამედ ჩვენი საუკუნის პოეტური კულტურის ყველა ნოვატორული მონაპოვარიც. მაგრამ ყოველი-

ვე ეს ისე ორგანულად, ბუნებრივად არის შეზრდილი პოეტის საკუთარ შემოქმედებით ბუნებასთან, რომ არსად და არასოდეს არ იგრძნობა ნატამალიც კი რაიმე მიმბაძველობისა ან ხელოვნური „ორიგინალობისა“.

ოთარ ჭელიძის პოეზიასთან პირველი შეხვედრისთანავე ხედავთ, რომ მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს საკუთარი ხელწერის. საკუთარი, მკაფიოდ გამოხატული, ღრმად ინდივიდუალური პოეტური ხმის ხელოვანთან. მას გამომუშავებული აქვს ლექსის ისეთი ორიგინალური, თვითმყოფი მუსიკა, რომ ყოველად შეუძლებელია იგი ერთბაშად ვერ გამოიცნო, მიაშგავსო რომელიმე სხვა პოეტის ლექსთა ხმოვანებას. აქაც ეს თავისებურება მიღწეულია არა ბგერწერის რაიმე განზრახ გართულებული და ხელოვნური ფორმების ძიების შედეგად, არამედ სავსებით ბუნებრივი, საკუთარი მეტყველების განვითარებით, სადაც ტრადიციული რვაპარცვლოვანი თუ ათმარცვლოვანი სტრიქონების განსაკუთრებული რიტმული სტრუქტურის მეოხებით მიღწეულია იმდენად განსხვავებული ინტონაცია, რომ იქმნება ლექსის მკაფიოდ გამოვლენილი განსაკუთრებული. ჭელიძისეული მუსიკალური ნახატი.

ყოველივე ეს განაპირობებს ოთარ ჭელიძის ადგილს თანამედროვე ქართულ პოეზიაში. თუ ჩვენ შეგვიძლია სრული უფლებით ვილაპარაკოთ, რომ დღევანდელი ქართული პოეზია თავისი მრავალფეროვნებით, ჰანგთა და საღებავთა მრავალნაირობით უეჭველად გამოირჩევა ჩვენი ეროვნული პოეტური ხელოვნების მთელს ისტორიაში, ამ თვალსაზრისით ოთარ ჭელიძეს ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეკუთვნის თანამედროვე ქართული ლექსის ოსტატთა შორის.

თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიით ოთარ ჭელიძე პოეტთა იმ თაობას ეკუთვნის, რომლის შთაგონებაც დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში გამოიწრთო. აქედან წარმოდგება მისი პოეტური აზროვნების განსაკუთრებული მოქალაქეობრივი მგზნებარება. მისი შემოქმედებითი ცხოვრების განუყოფელი კავშირი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებთან, ხალხის უწმინდეს აზრთა და გრძნობათა სამყაროსთან.

ოთარ ჭელიძის შემოქმედებითი ბუნების დახასიათებისას აუცილებელია ხაზგასმულად აღინიშნოს ეპიკური მიდრეკილება, რომლითაც აღბეჭდილია მისი არა მარტო პოემები და ბალადები, არამედ ლირიკული ლექსების უმრავლესობაც. მის თითქმის ყველა ლირიკულ ლექსსაც კი ამოძრავებს გარკვეული სიუჟეტური კომპოზიცია. რაიმე ამბავი, რაიმე საგნის ან მოვლენის აღწერილობა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ოთარ ჭელიძის წვლილი თანამედროვე ქართული პოემის, სწორედ ეპიკური, სიუჟეტური პოემის განვითარებაში.

თუ მოვიხილოთ ყოველივე ზემოთ თქმულის დასაბუთებას კონკრეტული ლიტერატურული მასალის საფუძველზე, საჭირო იქნება

პოეტის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობის ვრცელი კრიტიკული ანალიზის წარმოდგენა, ყოველივე იმის გულმოდგინე პროფესიული განხილვა, რითაც პოეტს გაუმდიდრებია მშობლიური მწერლობა თავისი პოეტური ცხოვრების ოცდაათწლოვან მანძილზე. ცხადია, რომ ჩვენი ეს საიუბილეო მისალოცი წერილი თავისი მასშტაბითა და მოცულობით ამის საშუალებას არ იძლევა. დავკმაყოფილდეთ ამჟამად რამდენიმე მაგალითით პოეტის რჩეული ნაწერებს: იმ ერთტომეულიდან, რომელიც მისი დაბადების 50 წლისთავის თარიღთან დაკავშირებით გამოუცია „საბჭოთა საქართველოს“.

წიგნის პირველივე ლექსი „ლომები, პოეზია და საქართველო“ გვაოცებს და გვახარებს პოეტური შთანაფიქრის ორიგინალობით და მისი განსახიერებისას გამოვლენილი მხატვრული მეტყველების საშუალებათა ღრმად გააზრებული თავისებურებით.

დაძაბული ინტერესით ვკითხვლობთ წიგნის ყოველ სტრიქონს, სადაც დღევანდლობის უაღრესად აქტუალური თემებისადმი მიძღვნილი ლექსების გვერდით ისეთი ლექსებიცაა, როგორიცაა, მაგალითად: „პირველი წერილი ომიდან“; „წერილი შვილს პიონერთა ბანაკში. „ზეიდა მეზობელი“ და მრავალი სხვა. ეხვდებით შთამბეჭდავი ძალით გაცოცხლებულ სახეებს ჩვენი შორეული წინაარებისა („კრწანისზე მწარე წიწამურია“, „თამარ მეფის საფლავი“, „მიქელ მოდრეკილი“ და სხვ.), დღევანდლობის სუნთქვით ამეტყველებულ დიდებულ ძეგლებს ჩვენი ეროვნული ისტორიისა („ტაძარი მტკვარზე“) და სხვა მძაფრი მომწოდებელი და მამხილებელი ძალით გამოირჩევა ამ ციკლის ლექსებიდან „კუმურდოს ტაძარი“, რომელშიც გაისმის მღელვარე გულისწყრომა ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უძვირფასესი ძეგლის დასაღუპავად განწირულობის გამო:

უდაბურ ზეგანზე ნადგურდება
ნგრევის და არყოფნის ნატერფალი,
ინთქმება, იქცევა, ნადგურდება
კუმურდოს უმრევლო კათედრალი.
დრო ლოდებს აგორებს ყოპარივით,
გარშემო ნამსხერეთა შრაპნელია,
და ჭვარი დამფრთხალი
ყორანივით
საფლავის ბალახში ჩაფრენილა.

პოეტური აზროვნება, რომელიც ყოველთვის წინა პლანზეა წამოწეული ოთარ ჭელიძის ლექსებში და პოემებში, როდი აცხრობს და ადუნებს ამ ნაწარმოებთა ემოციურ ძაბვას და მგზნებარებას. ამ მხრივ, მღელვარე ემოციური ზემოქმედების მხრივ, გამოირჩევა არა

მარტო სატრფიალო ლირიკის ისეთი ნიმუშები, როგორცაა „ამბობენ“, „ფოთოლცვენის უამი“, „მარტი“ და სხვა. არამედ პოეტური მედიტაციის სამაგალითო ქმნილებებიც: „უსასრულობა“, „მისტერია“, „ჩრდილი“.

ოთარ ქელიძის ბალადებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს „ბეშთაუს ბალადა“, რომელშიც პოეტის ფანტაზიით მკვდრეთით აღმდგარი ლერმონტოვი —

• ასი წლის წინ დაცემული
მთაგრეხილის ძირას.
ლერმონტოვი, მთად ქცეული,
ღრუბლებს წვდება რძიანს,
უნდა ისევ დაიქუხოს,
ოხრავს უხმო ნატვრად,
ყველა ნამდვილ პოეტს უხმობს
ძმად და სეკუნდანტად.

ერთტომეულში პოეტის მრავალრიცხოვან ეპიურ ნაწარმოებთან განშეტანილია მხოლოდ სამი პოემა: „ზვავისა და მოყმის პოემა“, „ორი მარაბდელი“ და „ჩემი მაგნიტური არე“. დასანანი, რომ ერთტომეულის მოცულობრივი შეზღუდულობის გამო მასში ვერ შეუტანიათ ავტორის ამ უანრის სხვა ფრიად საყურადღებო ნაწარმოებები, და, კერძოდ, „ამირანმთა“, რომელიც უაღრესად დამახასიათებელი მოვლენაა არა მარტო მისი ავტორის პოეტური ბიოგრაფიის, არამედ საერთოდ თანამედროვე ქართული ეპიკური პოეზიის განვითარების თვალსაზრისით.

„ზვავისა და მოყმის პოემაში“ მოთხრობილი ამბავი ახალგაზრდა ვაჟკაცის გიგა უნგიაძის გმირული თავგანწირვისა ტიპურად განასახიერებს თანამედროვეობის გმირის ხასიათის უძვირფასეს თვისებას — მის სულიერ ძალას, მშენებებას, მზადყოფნას — საკუთარი სიცოცხლე შესწიროს ქვეყნის კეთილდღეობას, როცა ამას ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს. პოემაში „ორი მარაბდელი“ მოქმედებენ გასული საუკუნის დამდეგის გენიალური პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი თანასოფლელი მემამბოხე სახალხო გმირი არსენა ოძელაშვილი. თავისი ზნეული და მრისხანე საუკუნის მიერ სხვადასხვაგვარად, მაგრამ თანაბარი სისასტიკით დევნილი ეს ორი ადამიანი პოემის ავტორმა სულიერი ნათესაობით და წრფელი სიყვარულით დაუკავშირა ერთმანეთს. „ჩემი მაგნიტური არე“ თანამედროვე ქართული პოეზიის უაღრესად თვალსაჩინო შემოქმედებითი მონაპოვარია. მკაფიო პოეტური შტრიხებით, ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის პასაჟებით მასში წარმოსახულია ჩვენი ქვეყნის ცხოვრება დიდი სამამულო ომის წინა პერიოდში, ომის ქარცეცხლიან წლებში და ომის შემდგომი პერიოდის პირველ ხანებში. პოემის მთავარი გმირი ჩვენი

დროის ტიპიური ახალგაზრდა კაცია, რომელმაც თავის სამშობლოს-
თან, თავის ხალხთან ერთად განვლო და განიცადა ამ ისტორიულ მოვ-
ლენებთან დაკავშირებული მრავალი განსაცდელი. მაგრამ ომში მი-
ყენებულმა მძიმე კრილობებმა, ჰოსპიტალში გატარებულმა გაუხა-
რებელმა თვეებმა, ყველაზე საყვარელი ადამიანის დაკარგვამ — ვე-
რაფერმა ვერ შებღალა მისი ნათელი მორალური სახე, ვერ დასცა და
ვერ დააყენინა მისი მაღალი ადამიანური ბუნება და პოემის ფინალში
იგი, როგორც გამარჯვებული ხალხის, აღორძინებული და ძღვევამოსი-
ლი ქვეყნის ღირსეული შვილი, სრული რწმენით წარმოთქვამს იმე-
ლითა და სიამაყით აღსავსე სიტყვებს:

არა, დედამიწა სამყაროა,
სადაც წყაროსავით ლურჯტალღება
მოჩქეფს განახლების მახარობლად
ღიღი სიყვარულის უკვდავება.
ჩვენ ვართ სიყვარულის მოსარჩლენი
და თუ სათუთა არჩევანი,
ზასრი ორღესულის მომარჯვებით
მკლავი მომაპვრით მარჩენალი.

დღევანდელ ქართულ პოეზიაში ჩვენ არ მოგვეპოვება ასეთი ფარ-
თო მასშტაბის, ასეთი ღრმა გააზრების და რეალისტური ყდერის ეპი-
კური ნაწარმოები.

ამჟამად ოთარ ჰელიძე თავისი იშვიათი შემოქმედებითი ნიჭიერე-
ბის სრული დავაყვაცებისა და სიმწიფის ასაკში იმყოფება, მაღლიე-
რი მკითხველი კანონიერად მოელის მისგან მრავალ ახალ შემოქმედე-
ბითს სიხარულს. ჩვენც ამ რწმენით და მოლოდინით მივესალმებით
და ვულოცავთ მას.

აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი

ნახევარი საუკუნის წინათ, ჩვენი საუკუნის ათიანი წლების დამდეგს თბილისში გამოიცა დ. გულიას აფხაზური ლექსების ორი კრებული. ამ წიგნებით დაიწყო დღეს უკვე საქვეყნოდ სახელმძღვანელო და საყოველთაოდ აღიარებული აფხაზი პოეტის დიდი შემოქმედებითი ცხოვრება და ამავე კრებულებით საფუძველი ჩაეყარა აფხაზურ მწერლობას. მსოფლიო ლიტერატურის რუკაზე გაჩნდა ახალი ეროვნული მწერლობა თავისი ღრმად თავისებური თემებისა და სახეების სამყაროთი, განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი საკუთარი ჰანგებითა და საღებავებით. დღეს ამ ლიტერატურას თავისი ადგილი უჭირავს მრავალეროვნული საბჭოთა მწერლობის განვითარებაში და წვლილი შეაქვს საბჭოთა ხალხების სულიერ ღირებულებათა საერთო საგანძურში.

მთელი თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე დ. გულია დაყინებით იმეორებდა: „მცირერიცხოვან ერს შეუძლია ჰქონდეს დიდი ლიტერატურა. მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული“. თავის ავტობიოგრაფიაში პოეტი წერდა: „ვითვალისწინებ რა, რომ ყოველი ერის ადგილსა და როლს ისტორიაში, ბოლოს და ბოლოს მის მიერ შექმნილი სულიერი ღირებულებანი განსაზღვრავენ, მე მოვეუწოდებ ჩემს კოლეგებს, განსაკუთრებით მცირერიცხოვან ხალხთა წარმომადგენლებს, ყველაფერი გააკეთონ დიდი ხელოვნების შესაქმნელად“. ამ რწმენით იღვწოდა და შრომობდა დ. გულია. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შეექმნა და ქვეშაირიტი ხელოვნების დონემდე აემალღებინა მშობლიური აფხაზური მწერლობა. ამ რწმენით, მაღალი შემოქმედებითი მიზნით აღაფრთოვანა და ასეთ ნათელ საბრძოლო გზაზე გაიყოლია მან აფხაზური მხატვრული სიტყვის ოსტატთა მომდევნო თაობები. რაოდენ წრფელი სიხარულით შეჰყურებდა იგი მშობლიური მწერლობის სარბიელზე ყოველი ახალი. უტყუარი ნიჭის გამოჩენას, როგორი მამობრივი მზრუნველობით დასტრიალებდა თავს მხცოვანი მწერალი ყოველ ახალგაზრდას, რომელშიც შეამჩნევდა იმის შესაძლებლობას, რომ რითიმე შეეცნო და გაემდიდრებინა მშობლიური ლიტერატურა.

თავისი ხანგრძლივი და დიდად ნაყოფიერი სიცოცხლის დასასრულს დ. გულია კანონიერი სიამაყის და კმაყოფილების გრძნობით წერდა:

„თველს რომ ვაველებ განვლილ გზას, კმაყოფილებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემსა და ჩემი აფხაზი თანამოქალაქეების ცდებს უშედეგოდ არ ჩაუვლია: აფხაზური ლიტერატურა ცოცხლობს და დღეგრძელობს!“ და მართლაც, პოეტს სრული უფლება ჰქონდა წარმოეთქვა რწმენით და კმაყოფილებით აღსავსე ეს სიტყვები. აფხაზური ლიტერატურა ერთ-ერთი მკაფიო და მეტყველი მაგალითია იმისა, თუ განვითარების როგორი განუსაზღვრელი შესაძლებლობანი გადაუშალა ჩვენმა საბჭოთა ეპოქამ, კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ჩვენი სამშობლოს ყოველი ხალხის ეროვნულ კულტურას, თვით ყველაზე მცირერიცხოვანი ხალხებისაც კი და მათ შორის, ისეთი ხალხებისა, რომელთაც ეროვნული დამწერლობა მხოლოდ ჩვენს ეპოქაში მოიპოვეს.

აფხაზური ლიტერატურა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ლიტერატურაა, ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ხალხის ლიტერატურა. მისი წარმოშობა-განვითარების მთელი ისტორია ათეული წლებით განისაზღვრება, მაგრამ იგი უკვე შეიცავს ლიტერატურული შემოქმედების ყოველ ელემენტს. იგი არა მარტო ღირსეულად ემსახურება აფხაზი ხალხის იდეური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, არამედ სულ უფრო მზარდი ენერჯით გამოდის ფართო საკავშირო და, მაშასადამე, საკაცობრიო სარბიელზე. და ამ ლიტერატურის დამწეები და ფუძემდებელი, მისი საუკეთესო იდეურ-შემოქმედებითი ტრადიციების შემქმნელი და დამამკვიდრებელი დიმიტრი გულია იყო.

მაგრამ ისტორიამ მას ეს დიდი და საპატიო როლიც არ აკმარა. დ. გულიას სახელთან განუყოფლად არის დაკავშირებული აფხაზური დამწერლობის წარმოშობაც. გასული საუკუნის მიწურულში ღვაწლმოსილ პედაგოგთან კონსტანტინე მაქავარიანთან ერთად დ. გულიამ დაამუშავა აფხაზური ალფაბეტი, რომელზეც შეიქმნა აფხაზური ენის პირველი სახელმძღვანელო. დ. გულია იყო დამაარსებელი და რედაქტორი პირველი აფხაზური გაზეთისა და, მაშასადამე, აფხაზური ბეჭდვითი სიტყვის ფუძემდებელიც. მან ჩამოაყალიბა პირველი აფხაზური დასიც და ამით სათავე დაუდო აფხაზურ თეატრალურ ხელოვნებას. დიმიტრი გულიამ პირველმა დაწერა აფხაზეთის ისტორია, შექმნა პირველი მეცნიერული ნაშრომები აფხაზური ეთნოგრაფიის, ლინგვისტიკის, ლექსიკოგრაფიის დარგებში.

ასე სრულად და მრავალმხრივად მოიცავდა დიმიტრი გულია თავისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ფარგლებში აფხაზი ხალხის სულიერი ცხოვრების თითქმის ყოველ სფეროს. ქეშმარიტად იზვიათად მოიძებნება კულტურის ისეთი მოღვაწე, რომელსაც ისეთი მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი როლი შეესრულებინოს თავისი ხალხის

სულიერ ცხოვრებაში, როგორც შეასრულა დ. გულიამ აფხაზური კულტურის განვითარების ისტორიაში.

უკვდავი უკრაინელი კობზარი, ტარას შევჩენკო ამბობდა, ჩემი ცხოვრების ისტორია ჩემი სამშობლოს ისტორიის ნაწილიაო. სრული უფლებით შეგვიძლია გავიმეოროთ ეს სიტყვები გულიას მიმართ. თავისი ცხოვრებითაც, მოღვაწეობითაც, მხატვრული შემოქმედებითაც დ. გულიამ განასახიერა და გამოხატა თავისი ხალხის ისტორიული ხვედრი, მისი ვაჟკაცური ბუნება, უდრეკი თავისუფლებისმოყვარეობა — მისი ეროვნული ხასიათის საუკეთესო თვისებანი.

ულარბესი გლეხის პირმშომ დ. გულიამ ბავშვობიდანვე განიცადა ის მწარე ხვედრი, რომელიც მშრომელ ხალხს წლად არგუნა თვითმპყრობელურ-მემამულურმა წყობილებამ. ოთხი წლისა იყო იგი, როდესაც მის ოჯახს „მანაჯირობის“ საშინელი ტრაგედია დაატყდა თავს. პოეტის მეხსიერებაში სამუდამოდ და მწარედ აღიბეჭდა ის თავგანწირული, სასიკვდილო ხიფათთან დაკავშირებული ბრძოლა, რომლითაც მისი მშობლები საძულველი თურქეთიდან მშობელ ქვეყანას უბრუნდებოდნენ. თავის ავტობიოგრაფიულ პოემაში „ჩემი კერა“ დ. გულიამ ამაღლეგებლად მოგვითხრო ბავშვობის წლებში განცდილ ამ ბედის უკუღმართობათა შესახებ. ხოლო ავტობიოგრაფიულ მოთხრობებში გვიამბო, თუ რა ვაივაგლახით შეძლო მან — ღარიბი გლეხის შვილმა — მიეღწია თავისი უმაღლესი ოცნებისათვის — მიეღო დაწყებითი განათლება მაინც იმ დროს, როცა სასწავლო დაწესებულებათა კარები ყრუდ იყო დახშული ღარიბი ხალხისათვის და მით უმეტეს „მოუნათლავი“ აფხაზი გლეხებისათვის. იშვიათი ნიჭისა და ბეჯითობის მიუხედავად დ. გულიამ ვერ შეძლო საშუალო სასწავლებლის დამთავრება. მის ნამდვილ სკოლად, როგორც თვით პოეტი ამბობს, ცხოვრება და წიგნები იქცა. უკვე 16-17 წლის ჰაბუკი ჩაება შრომითს ცხოვრებაში. ხან აფხაზეთის სოფლებში მასწავლებლობდა, ხან სოხუმის სხვადასხვა სასწავლებელში, ხან თარჯიმნად მსახურობდა სხვადასხვა საერო და სასულიერო უწყებებში. მაგრამ მის უსაყვარლეს მოწოდებას და მთავარ მისწრაფებას უმთავრესად კულტურული მოღვაწეობა და მხატვრული შემოქმედება წარმოადგენდა. მრავალ გადაულახავ სიძნელესთან იყო დაკავშირებული ეს არჩევანი. მეფის ველური კოლონიური პოლიტიკით და ფეოდალური ტირანიით დატანჯული აფხაზი მშრომელი ხალხის ერთგული შვილი მართლაც იშვიათი სულიერი გრძნობითა და ქედუხრელი რაინდობით მიიკვლევდა გზას ამ მაღალი და კეთლშობილური იდეალისკენ. თავისი ლექსების წიგნებს პოეტი საკუთარი შრომით მოპოვებული მცირედი სახსრებით ბეჭდავდა, უფასოდ ურიგებდა ნაცნობ-მეგობრებს და დიდი ვაივაგლახით ავრცელებდა ხალხში. ეს ხომ პირველი წიგნები იყო

აფხაზურ ენაზე, ხოლო აფხაზმა ხალხმა, მისმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ჭერ კიდევ წერა-კითხვა არ იცოდა.

თავის პირველსავე ლექსებში დ. გულიამ მომაკვდინებლად ამხილა ხალხის მძარცველი და მჩაგვრელი რეაქციული ძალები და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამოიწვია ისინი. ერთ-ერთ თავის ადრინდელ ლექსში („ძვირფას ქმნილებას“) პოეტმა შექმნა ღრმა განზოგადებითი ძალის მხატვრული სახე, რომელშიც გამოხატა იმდროინდელი ცხოვრების ზედაპირზე მოპარპაშე ბნელი, პარაზიტული ძალების ვერაგული ბუნება და გამოთქვა ხალხის ზიზღი და სიძულელი ამ ძალებისადმი.

მასში საოცრად შერთვიან,
სიმხეცეს ფარისველობა,
ყველას ზიებზრდა, გულს ურეეს
იმისი ენამჭვერობა.
და მისი სახე მნახველში,
ბადებს ამ განწყობილებას:
სჯობს, რომ სამარემ მიიღოს
ეს დაწყველილი ქმნილება.

ამ „დაწყველილ ქმნილების“, — დრომოჭმული, ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირული, მაგრამ ჭერ კიდევ გავლენიანი ბოროტი სოციალური ძალის დაუნდობელი მხილება შეადგენდა დ. გულიას რეჟოლუციამდელი პოეზიის მთავარ პათოსს.

იგი ღირსებადაკარგული დაეხეტება,
გაცივთა ჩოხა, მაგრამ ცხვირწინ ვერ იხედება,
იგი დამცირდა, ხალხის თვალში დაპატარავდა,
ტრამახობაში და ქეიფში გავალარავდა.

მძაფრი პოეტური საღებავებით ხატავდა დიმიტრი გულია გარეგნულად ზვიადს, მაგრამ არსებით დამცირებულს, ყოველგვარი დადებითი აზრისა და შინაარსისაგან დაკლილ, დრომოჭმულ ადამიანებს. ლექსში „დიდი ხოჯანი“ პოეტის ამ მამხილებელმა მიზანსწრაფვამ მწვავე სატირულ ქლერას მიაღწია:

მაგრამ გულქვაა ხოჯანი ჩენი,
ხალხს გაუმწარა სიცოცხლის დღენი,
ურცხვად გაძარცვა სოფელი მთელი,
ჭერიეს, იბოლს, ლატაკს—ვინა ჰყავთ მცველი?
დიდი ხოჯანი ხალხში ღვარძლს სთესავს,
მას არ აწუხებს ლატაკთა კენესა,
არის ბოროტი, აშარი, ავი,
ეს კაცთმოძლეუ და შფოთის თავი.

ამასთანავე პოეტი ნათლად ზედადა საძულელი სამყაროს მოახ-

ლოებულ გარდუვალ აღსასრულს. პოეტის ფანტაზია წრფელი სინა-
რულით წარმოდგენდა უკვე საფლავში ჩამარხულ ხოჯანს და ულმო-
ბელი გაკიცხვით მიმართავდა:

ეგ რა მოგსვლია, ჰე, ხოჯან. მითხარ?
ვერ იპარპაშე ამ ქვეყნად დიდხანს?
დაგიქვანა ბალი, უბადრუკს გევხარ,
დაგექცა ოდა, საფლავში წევხარ!

პოეტის ამგვარ ლექსებში გამობატულებას პოულობდა ხალხის ოც-
ნება ცხოვრების გარდაქმნასა და განახლებაზე. ალეგორიული შინა-
არსის ლექსში „ბუსკა და ლომა“ პოეტმა საბრძოლოდ აღმაფრთოვა-
ნებელი, მომწოდებელი სიტყვით მიმართა მონური ხვედრით გამწა-
რებულ და მოთმინებადაკარგულ ხალხს:

ძალა გაქვს ლომური, უდრეკი, უღლეი,
რათ უნდა ითმინო მონური უღელი?

პოეტი ნათელი მომავლის რწმენითა და იმედით ამხნეებდა მშრო-
მელ ხალხს, ლექსი „აბრსკილ“, რომელშიც აღწერილია მაღალ მთა-
ზე მიჯაჭვული გმირის — აფხაზური ამირანის ქედუხრელი ბრძოლა
სისხლისმსმელი ბოროტი ძალების წინააღმდეგ, მთავრდება ასეთი გა-
მამხნეებელი რწმენითა და იმედით შთაგონებული მეტაფორით:

ამბობენ, რომ მძიმე ხვედრით
გმირი დღემდე იტანჯება,
ბნელ მღვიმეში მიჯაჭვული,
შვების ნათელს ელოდება.
მაშინ ნახეთ გმირთა გმირმა
მოიაროს ზღვა და ხმელი
და სიკეთის დიდმა მოძმემ
გაუწოდოს ჩაგრულს ხელი.

მარტო ეს სტრიქონები საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა
ღრმა. სულიერი ნათესაობით იყო დაკავშირებული დიმიტრი გულია
ქართული რეალისტური ლირიკის კორიფეების — ილია ჭავჭავაძისა
და აკაკი წერეთლის შემოქმედებით ტრადიციებთან, თუ რა დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა დ. გულიას პოეტური მსოფლმხედველობის
ფორმირებისათვის ქართულ კლასიკურ პოეზიას, აფხაზურ პოეტურ
ფოლკლორთან, რუსული და ევროპული პროგრესული კულტურის
დღიად ტრადიციებთან ერთად. სოციალური და ეროვნული მონობის
ბნელ და სუსხიან ხანაში დ. გულია შეჰხაროდა და უმღეროდა სიკე-
თითა და თავისუფლების უძლეველ სიმბოლოდ დასახული გმირის —
მშრომელი ხალხის გამარჯვებას, ნათელ მომავალს და, როცა პოეტის
ეს შთაგონებული განჭვრეტა განხორციელდა, როცა ეს ნანატრი მო-

მავალი ამობრწყინდა ჩვენს სამშობლოში, პოეტმა მთელი გულით გაიხარა. ამიერიდან მისმა შემოქმედებითმა ძალამ დაუბრკოლებლივ და ლაღად გაშალა ფრთები. პოეტი თავისი აღორძინებული, თავისუფლების მზით განათებული სამშობლოს დაუცხრომელ მომღერლად და მენოტბედ იქცა.

მშობლიური აფხაზეთი,
მისი მიწა, მთები თეთრი,
მზიანია და ლამაზი —
ცაა ნაზი,
ოქროს თასი!
— ჰე, საჩქაროდ უნდა ნახო
აფხაზეთის სამოსახლო,
სულ პატარა კუთხე, წყნარი, —
საქართველოს ტურფა მხარის.

დიმიტრი გულიას ლექსი „ბოლშევიკური სიტყვა“ საბჭოთა პოლიტიკური ლირიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. მასში ჭეშმარიტი პოეტური გზნებით და მეტყველი მეტაფორულობით არის გამოთქმული კომუნისტური პარტიის ყოვლისმძლე იდეების ცხოველმყოფელი ძალა, მათი მანათობელი და ამამაღლებელი მნიშვნელობა ხალხთა ცხოვრებაში:

ის ხალხში მუდამ გიზგიზებს აღად,
ცხოვრების უკვდავ სიბრძნედ ცნობილი,
მტკიცეა მისი მოქმედი ძალა,
ბრძოლის ცეცხლშია გამოწრთობილი.
შუქივით ფანტავს ნისლიან დღეებს,
ავდარს გარდაქმნის ნათელ ტაროსად,
გზებით გააპობს გაუფალ კლდეებს,
მზეს გვიახლოებს სანეტაროსა.

გულიას პოეტურ შემოქმედებაში ფერადოვნად, ხატოვნად არის ასახული ჩვენი ქვეყნის ახალი ყოფა-ცხოვრება, ჩვენს სამშობლოში გაჩაღებული შემოქმედებითი შრომა, სამშობლოს წარმტაცი და მომხიბვლელი პეიზაჟები, ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ დამკვიდრებული „დიადი გაზაფხული“. მსცოვანი პოეტი ქმნიდა სატრფიალო ლირიკის საუცხოო ნიმუშებს, წერდა მოზარდი თაობისათვის. ყოველი მისი ნაწარმოები მაღალი ჰუმანური იდეალებით არის შთაგონებული.

მრავალი ამაღელვებელი ლექსი მიუძღვნა პოეტმა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის უწმინდეს იდეას. წრფელი თანაგრძნობით ხედავდა იგი კაპიტალისტური სამყაროს მშრომელი მასების განმათავისუფლებელ ბრძოლას, გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა მათ.

თქვენთვისაც ძმებო, ღარკეავს ჟამი
და გაგეშლებათ გულში ყვაილი;
ვით პეტროგრადში,
თვე ოქტომბერის
თქვენს ქუჩებშიაც მალე ჩაივლის!

ამოუწურავად მდიდარი და მრავალფეროვანია დ. გულიას პოეტური შემოქმედების თემატიკა. მან გაამდიდრა მშობლიური აფხაზური ლიტერატურა რუსული და მსოფლიო პოეზიის მრავალი საუკეთესო ნიმუშის შესანიშნავი თარგმანით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ტიტანური შემოქმედებითი შრომა, რომელიც გასწია დ. გულიამ აფხაზურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ გადათარგმნისათვის.

ძვირფასი და აგრეთვე ფუძემდებლური წვლილი შეიტანა პოეტმა აფხაზური მხატვრული პროზისა და დრამატული მწერლობის განვითარებაში, მისი „პატარა მოთხრობების“ ციკლი და, განსაკუთრებით რომანი „კამაჩიკი“ არა მარტო აფხაზური, არამედ მთელი საბჭოთა მხატვრული პროზის თვალსაჩინო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნებიან. რომან „კამაჩიკში“ მწერალმა დახატა აფხაზი მშრომელი ხალხის რევოლუციამდელი ყოფაცხოვრების კოლორიტული, ღრმად ტიპური სურათები და შექმნა თავისი ღირსებისა და თავმოყვარეობის დასაცავად თავგანწირული მებრძოლი ახალგაზრდა გლეხი ქალის მომხიბვლელი სახე, რომელსაც დიდი განზოგადებითი, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ასევე მაღალი შეფასების ღირსია დ. გულიას საუკეთესო დრამატული ნაწარმოები „აჩრდილები“, გორკისებური რეალისტური სიმბოლოთა არის ნაჩვენები, თუ რამდენად ნიბლავდა და ამბინჯებდა ადამიანის ბუნებას კერძომესაკუთრული წყობილების მანკიერება.

დ. გულიას მრავალი ნაწარმოები თარგმნილია რუსულ, ქართულ და ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხების ენებზე და შესულა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ფონდში. მის სახელს წრფელი სიყვარულითა და პატივისცემით წარმოთქვამენ მთელ ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოში. განსაკუთრებით მახლობელია მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ქართველი ხალხისათვის, რადგან ამ შემოქმედების მთავარი გმირის — აფხაზი ხალხის ცხოვრება ყოველთვის განუყოფლად იყო და არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ცხოვრებასთან.

მოძმე აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავ დღეს ჩვენ მივმართავთ დ. გულიას იმ ლექსის სტრიქონებით, რომელშიც მან პოეტი ხალხის კეთილდღეობისათვის თავგანწირულ მეომარს შეადარა:

ხალხის პოეტო, შენც გმირის მსგავსად
ხომ შეასრულე მიზანი წმინდა?
შენც მტრის მაღლობებს უჩენდი ხანძარს,
ვით იმ ჭარისკაცს, სამკობლო გწრდიდა.
და თუ შენც, მსგავსად იმ ალამდარის,
დაეცი—დროშას დაბლა ვინ დახრის?
მწამს—გაიხარებ საფლავშიც მკვდარი.
არ დაგივიწყებს მშობელი ხალხი.

არა მარტო მისი მშობელი აფხაზი ხალხი, არამედ მთელი მრავალ-
ეროვანი საბჭოთა ხალხი ღრმა სიყვარულისა და მადლიერების გრძნო-
ბით მოსავეს დიმიტრი გულიას ძვირფას და დაუვიწყარ სახელს.

მაიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიციები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობისადმი ნათქვამია: „საბჭოთა მწერლები, განაგრძობენ რა რუსული და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს, შემოქმედებითად ავითარებენ სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, რომლის ფუძემდებელი იყო დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი, მისდევენ ვლადიმერ მაიაკოვსკის საბრძოლო პოეზიის ტრადიციებს“.

ჩვენი პარტიის ამ ახალ ისტორიულ დოკუმენტში საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი სამართლიანად არის დაყენებული სოციალისტური ლიტერატურის გენიალური ფუძემდებლის მაქსიმ გორკის გვერდით, მისი შემოქმედების ტრადიციის ღრმად ათვისება აღიარებულია საბჭოთა ლიტერატურის წარმატებათა ერთ-ერთ ძირითად პირობად.

მართლაც, თუ მაქსიმ გორკიმ რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის აღმავლობის პერიოდში საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის ლიტერატურას, სოციალისტურ ლიტერატურას და ამით დასაბამი მისცა ახალ ეპოქას საკაცობრიო კულტურის ისტორიაში, ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ჩამოაყალიბა და განამტკიცა სოციალისტური პოეზიის საუკეთესო ტრადიციები, ღრმად გამოავლინა მისი ძირითადი თავისებურებანი და დამახასიათებელი თვისებანი, რითაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მრავალეროვანი საბჭოთა პოეზიის, მსოფლიოს თანამედროვე პროგრესული პოეზიის მთელს განვითარებაზე.

მეოთხედმა საუკუნემ განვლო ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან, მაგრამ მისი პოეზიის აქტუალური ჟღერა, მისი მგზნებარე სიტყვის ზემოქმედების ძალა და ცხოველმყოფელობა ოდნავადაც არ შენელებულა. ახლაც მაიაკოვსკის პოეზია შთამაგონებლად ეხმაურება ხალხის გმირულ შრომას ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა და მიწათმოქმედების ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ერთობლივ ბრძოლას ახალი ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ.

რაში მდგომარეობს მაიაკოვსკის პოეზიის ასეთი გამძლეობის, მისი გარდუვალი აქტუალობის საფუძველი? იმაში, რომ პოეტი თანამედროვეობის მოვლენებს მომავლის სიმალლიდან დასცქეროდა,

ღრმად წვდებოდა კანონზომიერებასა და პერსპექტივას. ცხოვრების ყოველდღიურობის „წვრილმანი“ მის პოეზიაში იდეურად გააზრებულია და ორგანულად არის დაკავშირებული სინამდვილის მთელს მდინარებასთან, მის მთლიანობასა და მრავალფეროვნებასთან.

ამაშია სოციალისტური პოეზიისა და, კერძოდ, მაიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიციის ერთ-ერთი უძვირფასესი თვისება.

მაიაკოვსკიმ თავისი პოეტური პრაქტიკით დანერგა საბჭოთა პოეზიაში იდეურ-თემატური შინაარსისა და მხატვრული ფორმის ორგანული მთლიანობის მაღალი პრინციპი. თუ მის შემოქმედებაში ნამდვილი ენციკლოპედიური სისრულით აისახა ჩვენი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი მოვლენები და გამოიხატა ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების დამახასიათებელი თვისებები, ცხადია, შეუძლებელი იყო რევოლუციური სინამდვილით ნაკარნახევი თემებისა და იდეების ეს ახალი სამყარო მოთავსებულყოფილი პოეტური მეტყველების გამომსახველობით საშუალებათა სისტემაში. ამიტომაც პოეტის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება წარმოადგენდა განუწყვეტელ ბრძოლას ახალი პოეტური მეტყველებისათვის, ჩვენი რევოლუციური ეპოქის შესაფერი ახალი მხატვრული სტილის გამომუშავებისა და დადგენისათვის. რუსული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციათა ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი, იგი იყო პოეტური კულტურის უდიდესი ნოვატორი, ლექსის უაღრესად ორიგინალური ხელოვანი.

არც ერთ ხალხს, არც ერთ ქვეყანას მეოცე საუკუნის მსოფლიოში არ წარმოუშვია პოეტი, რომელიც შეედრებოდეს მაიაკოვსკის იდეებს სიღრმით, სინამდვილის მხატვრული ათვისების დიპაზონით, პოეტური ზმის ძალით, ორიგინალობით.

მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებითი ბიოგრაფიით ვლადიმერ მაიაკოვსკი ღრმად იყო დაკავშირებული ჩვენს სამშობლოში შრომელი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობის გმირულ ეპოპეასთან. პოეტის ბავშვობისა და ყრმობის წლებმა რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიან ეითარებაში განვლო. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფე, იგი მოწმე და მონაწილე გახდა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა 1905 წლის რევოლუციის ბარიკადებზე.

ბუნებრივია, რომ ასეთი რევოლუციური შთაბეჭდილებით აღფრთოვანებული ქაბუკი მოსკოვში ჩასვლისთანავე დაუკავშირდა კომუნისტურ ორგანიზაციებს და მალე დიდი გატაცებით ჩაება არალეგალურ პარტიულ მუშაობაში. იგი ზედინედ სამჭერ იქნა დაპატიმრებული რევოლუციური მოღვაწეობისათვის. ბუტირკის ციხეში პა-

ტიმრობისას დაწერა 16 წლის მიაკოვსკიმ თავისი პირველი ლექსები, რომლებითაც დაიწყო მისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრება.

ციხიდან გამოსულმა, მან მტკიცედ გადაწყვიტა, მთელი თავისი ცხოვრება სოციალისტური ხელოვნების შექმნისათვის შეეწირა და, მალე ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მოიპოვა ოქტომბრის წინა პერიოდის რუსეთის რევოლუციურ ხელოვნებაში. მიაკოვსკის პოეტური მოღვაწეობა რუსეთში ახალი რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში იწყებოდა და მისი ადრინდელი შემოქმედება ღრმად არის აღბეჭდილი ამ დიდი სახალხო მოძრაობის სულისკვეთებით.

„რუსეთს ესაჭიროება დიდი პოეტი, — წერდა მაქსიმ გორკი, — ნიკიერები ცოტანი როდი. გვყვანან. მაგრამ საჭიროა დიდი პოეტი, — როგორც პუშკინი, როგორც მიცკევიჩი, როგორც შილერი, საჭიროა პოეტი — დემოკრატი და რომანტიკოსი, რადგან ჩვენი რუსეთი — დემოკრატიული და ახალგაზრდა ქვეყანაა“. აი, ასეთ პოეტს მოელოდა იმდროინდელი რუსეთი, და მან წარმოშვა კიდევ ასეთი პოეტი ვლადიმერ მიაკოვსკის სახით.

„ძირს თქვენი სიყვარული!“, „ძირს თქვენი წყობილება!“, „ძირს, თქვენი რელიგია!“ — მემამულურ-ბურჟუაზიული, მონარქიული წყობილებისადმი მიმართული ასეთი მემამოხე ყიყინით ხასიათდებოდა მიაკოვსკის ადრინდელი პოეტური შემოქმედება, რომლის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს პოემა „შარვლიანი ღრუბელი“. ამ ნაწარმოებში ახალგაზრდა მიაკოვსკიმ წინათხილვის გასაოცარი უნარით გამოხატა ოქტომბრის მოახლოებული ქარიშხლის ძლიერება: აღფრთოვანებით მიესალმა და უმღერა ამ ქარიშხალს, თავისი თავი მის წინამორბედად აღიარა.

ოქტომბრის წინა პერიოდის რუსეთს არ ჰყოლია მეორე პოეტი, რომელსაც ისეთი მღელვარე დრამატიზმით გამოეხატოს ხალხის ზიზღი და გულისწყრომა რეაქციული სამყაროსადმი, ხალხის შთაგონებული ოცნება ცხოვრების განახლებაზე, როგორც ის გამოთქმულია მიაკოვსკის ადრინდელ ლექსებსა და პოემებში.

სოციალისტური ხელოვნებისათვის მებრძოლი პოეტი ეძებდა თანამებრძოლებსა და მოკავშირეებს. შეცდომით მან ასეთებად მიიჩნია რუსი ფუტურისტები, რომლებიც მაშინ ნოვატორული და რევოლუციური პრეტენზიებით გამოდიოდნენ ლიტერატურულ სარბიელზე. ახალგაზრდა მიაკოვსკიმ ერთხანს ვერ გაითვალისწინა რუსული ფუტურიზმის დეკადენტური, ანტიხალხური, ანტირეალისტური ბუნება. პოეტი მიეკედლა ფუტურისტების ჯგუფს და რამდენიმე წლის განმავლობაში ხელს აწერდა ამ ჯგუფის ლიტერატურულ მანიფესტებს. მონაწილეობდა მის ბექედვითს გამოცემებსა და საჯარო გამოსვლებში.

ფუტურისტების ჯგუფთან ასეთმა დროებითმა კავშირმა, რასაკვირვე-

ლია, გარკვეული უარყოფითი გავლენა იქონია ახალგაზრდა მთავრობის იდეურ-შემოქმედებით სრულად, მის აღრინდელ პოეზიაზე. მაგრამ ცხადია ისიც, რომ თავისი შემოქმედების სოციალური ბუნებით, იდეურ-შინაარსით მთავრობის არასოდეს არ ყოფილა ფუტურისტი. ეს თავიდანვე იგრძნო მაქსიმ გორკიმ, რომელმაც ახალგაზრდა პოეტის ლექსებსა და პოემების მოსმენისთანავე აღფრთოვანებულმა წარმოთქვა: „ჩვენში არავითარი ფუტურიზმი არ არსებობს, არის მხოლოდ პოეტი მთავრობის, დიდი პოეტი“. აღსანიშნავია, რომ ასეთივე მაღალი შეფასება მისცა მთავრობის აღრინდელ შემოქმედებას დიდი რუსმა რეალისტმა მხატვარმა ი. რეპინმა.

მაქსიმ გორკისთან დაახლოებამ და მეგობრობამ უაღრესად კეთილყოფელი გავლენა იქონია პოეტის მთელს შემდგომ შემოქმედებით ცხოვრებაზე. არა ფუტურიზმი და დეკადენტობა, არამედ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში მიღებული საბრძოლო ნათლობა, ბოლშევიკურ ორგანიზაციებში მუშაობის მიღებული სკოლა, პატიმრობაში გატარებული თვეები, და ბოლოს დიდ პროლეტარულ მწერალთან — მ. გორკისთან სულიერი დაახლოება განსაზღვრავდა ახალგაზრდა მთავრობის იდეურ-შემოქმედებითი განვითარების ხასიათს.

ცნობილია, რომ მთავრობის წინაშე არც კი დასმულა საკითხი, მიეღო თუ არ მიეღო რევოლუცია. დიადი ოქტომბრის პირველივე დღეებიდან იგი „რევოლუციის მიერ მოზიწებული და მოწვეულია“, ვწევა დაძაბულ შემოქმედებით ბრძოლას პოეტური სიტყვის იარაღით რევოლუციის ცეცხლში შობილი ახალი სამყაროს დასაცავად და განსამტკიცებლად. მთავრობის მუშაობა „რუსეთის დეპეშანთა სააგენტოში“ ნამდვილი შემოქმედებითი გვირობაა და დაუფიქსარი. მაგალითი პოეტის თავდადებული სამსახურისა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის. ამ წლებში მის მიერ ათასობით დახატულმა პლაკატმა და დაწერილმა გარითმულმა ლოზუნგებმა, მოწოდებებმა და სასიძღვრო ლექსებმა მთავრობის პოეზიას ჭეშმარიტი ხალხურობა შესძინეს. ეს იყო დიდი სკოლა პოეტისათვის, ადამიანთა გულის შემძვრელი პოეტური ენის გაძლიერება. ამ პერიოდის მთავრობის ლირიკის კლასიკური ნიმუშია „მარცხენა მარში“, სადაც პოეტმა გამოხატა ჩვენი ხალხის ურყევი რწმენა თეთრგვარდიული კონტრ-რევოლუციისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის ბნელ ძალებზე გამარჯვებისა.

ამ წლებში მთავრობის ქმნის ფართო მხატვრულ ტილოებს — „მისტერია ბუფ“ და „150.000.000,“ რომლებმაც დასაწყისი მისცეს დრამატული და ეპიკური ჟანრების აღორძინებას ახალგაზრდა საბჭოთა პოეზიაში. ამ ნაწარმოებებში პოეტმა ჰიპერბოლიზებული სახეების მეშვეობით შთაგონებულად გამოხატა ოქტომბრის რევოლუციის საერთა-

შორისო მნიშვნელობა და განასახიერა ახალი სამყაროს გარდაუვალი გამარჯვების იდეა. ამ პერიოდის შესანიშნავ სატირულ ლექსში — „სხდომებს გადაყოლილნი“, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა უკვდავმა ლენინმა, მკაფიოდ გამოავლინა თავისი ნიჭიერების კიდევ ერთი ძვირფასი თვისება: „მრისხანე სიცილის“ ძალა.

ამავე წლებში მაიაკოვსკი წერს ჯერ მცირე მოცულობის პოემას „მიყვარს“ და შემდეგ უაღრესად რთულსა და მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებს — „ამის შესახებ“. ამ ნაწარმოებებში პოეტი მთელი სიღრმით და სიმწვავეთ აშუქებს ახალი ადამიანის პირად-ინტიმური ყოფის საკითხებს, ახლებურს, ფრიად ორიგინალურ ინტერპრეტაციას აძლევს სიყვარულის მარადიულ თემას. მძაფრი შინაგანი დრამატიზმით აღბეჭდილ პოემაში „ამის შესახებ“ მაიაკოვსკიმ თავისებური პასუხი მისცა სოციალისტური მორალის ადამიანთა ყოფითი ურთიერთობის მწვავე საკითხებს, რომლებიც ამ ნაწარმოების წერის დროს დიდად აინტერესებდა და აღელვებდა საბჭოთა საზოგადოებრიობას და რომლებსაც, ცხადია, დღესაც არ დაუქარგავთ აქტუალური მნიშვნელობა.

მაიაკოვსკის შემოქმედების ფართო იდეურ-თემატურ დიაპაზონს სავსებით შეესაბამებოდა მისი პოეზიის უანრობრივი მრავალფეროვნება. პოეტი თანაბარი ძალით ეუფლებოდა ლირიკისა და ეპოსის, დრამისა და სატირის სპეციფიკურ საშუალებებს, მხატვრული სიტყვის იარაღის ყოველგვარ ნაირსახეობას, რასაც მისი უაღრესად ფართო შემოქმედებითი ინტერესები მოითხოვდნენ.

წდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი პოეტს, როდესაც იგი შეუდგა მუშაობას თავის უდიდეს და საუკეთესო ნაწარმოებზე — პოემაზე „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“. ეს პოემა მწვერვალია არა მარტო მაიაკოვსკის შემოქმედებაში, არამედ მთელი საბჭოთა პოეზიის განვითარებაში, ჩვენი დროის მსოფლიო პოეტურ კულტურაში. ამ ნაწარმოებში თავი იჩინა სოციალისტური პოეზიის უკვე საყვარელი ჩამოყალიბებული და მომწიფებული პირველი კლასიკოსის პოეტური ინდივიდუალობის დამახასიათებელმა თვისებებმა.

ამ პოემაში მაიაკოვსკიმ ღრმა შემოქმედებითი შთავონებით, პოეტური ხატვისა და მომთხრობელობის იშვიათი ოსტატობით დახატა უკვდავი ლენინის მონუმენტური სახე, რომელიც მოცემულია ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა გრანდიოზულ ფონზე და რომელშიც მეტყველად არის განსახიერებული არა მარტო ბელადის დიადი პიროვნების, არამედ მთელი ჩვენი დევგმირი ხალხის უმაღლესი და უკეთილშობილესი თვისებანი. არც ამ პოემის დაწერამდე, არც მას შემდეგ არავის შეუქმნია მშრომელი კაცობრიობის უდიდესი და

უსაყვარლესი ბელადის ასე ცოცხალი, მეტყველი და შთაგონებული მხატვრული სახე. ლენინის დიადს პიროვნებაში, მის ნათელ აზრებსა და უკვდავ საქმეებში პოეტმა დაინახა ისტორიის ნამდვილი შემოქმედის, ჩვენი ეპოქის ნამდვილი გმირის — საბჭოთა ხალხის გოლიათური ბუნება, მისი აზრებისა და გრძნობების მდიდარი და კეთილშობილური სამყარო, მის გმირულ საქმეთა აღმაფრთოვანებელი ეპოპეა. ეს პოემა შთაგონებული ჰიმნია ლენინის მიერ შექმნილი და გამობრძმედილი კომუნისტური პარტიისადმი:

პარტია არის
ხერხემალი მუშათა კლასის,
და ჩვენი საქმის უკვდავება
არის პარტია.
...კლასის ტენი,
კლასის საქმე,
ძალა კლასის,
მისი დიდება —
აი პარტია.

მძლავრად და ზუსტად არის გამოთქმული აქ ჩვენი ხალხის აზრი და გრძნობა, სიყვარული და ერთგულება თავისი სახელოვანი ავანგარდისადმი, თავისი ყველა წარმატებისა და გამარჯვების შემოქმედისა და ორგანიზატორის — უძლეველი კომუნისტური პარტიისადმი. პოეტი უმღერის და აღიდებს ბელადისა და პარტიის, პარტიისა და ხალხის განუყოფელ ერთიანობას:

ჩვენი პარტია და ლენინი —
ტყუპნი არიან... —
ისტორიაში
ვინ იქნება
უფრო ჩენილი.
ვამბობთ — ლენინი
და ვგულისხმობთ
მუდამ პარტიას,
ვამბობთ — პარტია
და ვგულისხმობთ —
ჩვენი ლენინი.

პოემის ლირიკული გმირი დიდი ლენინის გარდაცვალებით გამოწვეულ უმძიმეს სამგლოვიარო წუთებშიც თავისი დიადი ხალხის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. პოემა მთავრდება ლენინის საქმის, კომუნისმის საქმის უძლეველობის რწმენით, ნათელი ოპტიმიზმით და აღბეჭდილი ახალი ბრძოლებისა და გამარჯვებისათვის აღმაფრთოვანებელი მოწოდებით.

ამ პოემის შექმნა, უკვდავი ლენინის ესოდენ სრულყოფილი სახის დახატვა ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის უდიდესი შემოქმედ-

ებითი მიღწევაა. მისი უმნიშვნელოვანესი დამსახურებაა ჩვენი ხალხისა და მთელა მშრომელი კაცობრიობის წინაშე.

თავის შემდგომ პოეტურ მოღვაწეობაში მიაიკოვსკი კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა მშობლიური ღენინის მარად აღმაფრთოვანებელსა და შთამავგონებელ სახეს.

სოციალისტური პოეზიის შედევრს წარმოადგენს ოქტომბრის დიდი რევოლუციის ათი წლის თავისადმი მიძღვნილი პოემა „კარგია“. ამ ნაწარმოების სათაურშივე პოეტმა გამოხატა ჩვენი ხელოვნებისა და მწერლობის უპირველესი ისტორიული დანიშნულება — დაიცვას, განამტკიცოს, უკვდავყოს ჩვენი ხალხის ხანგრძლივი და თავდადებული ბრძოლისა და გამირული შრომის შედეგად მოპოვებული ახალი სოციალისტური სინამდვილე, კაცობრიობის ისტორიაში სწორუპოვარი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება.

ამ დიდი ეპიკური ქმნილების ყოველი სტრიქონი საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა ნაციონალური სიამაყის უწმინდესი გრძნობით არის შთავგონებული. პოემაში ღრმადაა გახსნილი და გამოხატული საბჭოთა ადამიანის ახალი სულიერი ცხოვრება, მისი მძლავრი სოციალისტური შეგნება. პოემის ლირიკული გმირი თავს გრძნობს სამშობლოს ნამდვილ პატრონად. იგი სრული უფლებით ამბობს: „ჩემია ეს ქუჩა, სახლებიც ჩემია“, „ჩემს ავტომობილებში ჩემი დეპუტატები სხედან“. ასე გაერთიანებულა და შედუღებულა პირადი და სახალხო ჩვენი დროის გმირის — საბჭოთა ადამიანის შეგნებაში.

საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი ახალი ტიპის პატრიოტიზმია, ყველაზე სრული, უანგარო და ქვეშაირიტი პატრიოტიზმი, რადგან იგი გამოხატავს გრძნობასა და შეგნებას იმ ხალხისა, რომელმაც თავისი სისხლითა და ოფლით დაიცვა, მოიპოვა, ააღორძინა მშობლიური მიწა-წყალი. მხოლოდ ასეთ ხალხს, და არა პარაზიტებსა და მუქთანობებს, შეუძლიათ სამშობლოს ნამდვილი სიყვარული, მისთვის შრომაც და თავგანწირვაც.

პოემის ლირიკული გმირი, რომელიც კანონიერი სიამაყის გრძნობით შეჰხარის და აღიდებს თავის სოციალისტურ სამშობლოს, მისი ყოველდღიურობის დამახასიათებელ „წვრილმანებსაც“ კი, ამავე დროს, მუდმივი და დაუცხრომელი წინმსვლელობის ცოცხალი განსახიერებაა. მან იცის, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ბრწყინვალე და სრულყოფილი იქნება მომავალში და რომ საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი შრომით და ბრძოლით უნდა დააჩქარონ, მოახსლოვონ ეს ხვალისდელი დღე.

პოემა „კარგია“ დღემდე რჩება „შრომისა და ბრძოლებში დაბადებული კაცობრიობის გაზაფხულის“ მადიდებელ ჰიმნად.

ასეთივე შთამავგონებელი ძალით გამოხატა მიაიკოვსკიმ საბჭოთა ნაცი-

ონალური სიამაყის, საბჭოთა პატრიოტიზმის ნათელი და მაღალი, საყოველთაო სახალხო გრძნობა ნაწარმოებში — „ლექსი საბჭოთა პასპორტზე“. ამ ნაწარმოების ლირიკული გმირი ტიპური საბჭოთა ადამიანია, რომელიც ამაყად დგას მტრული რეაქციული სამყაროს პირისპირ, ხელთავისი უძვირფასესი კუთვნილება — საბჭოთა პასპორტი უპყრია და თავისი სანშობლოს სიდიადით აღფრთოვანებული მიმართავს ყოველი სხვა ქვეყნის ადამიანებს:

წაიკითხეთ და
შურით აღივსეთ:
საბჭოთა ქვეყნის
ვარ მოქალაქე.

ამ ლექსში ასახული მწვავე კონფლიქტი ჩვენი დროის გმირის, მოწინავე საბჭოთა ადამიანისა მტრული, რეაქციული სამყაროს ბნელ ძალებთან დამახასიათებელია მიაკოვსკის მთელი შემოქმედებისათვის. პოეტს არასოდეს დაუვიწყნია, რომ

ახლა არამზადა
ბევრია ძალიან
ჩვენს ძვირფას მიწაზე
და ირგვლივ მავალი.

ამიტომაც მისი ყოველი ლექსი დიდი მამხილებელი ძალით იყო მიმართული საბჭოთა სინამდვილეში ჩარჩენილი წარსულის ბნელი გაღმონაშთების წინააღმდეგ.

სატირის ცეცხლით, „მრისხანე სიცილის“ იარაღით პოეტი თავს ესხმოდა ყოველივე ბნელსა და მანკიერს ჩვენს სინამდვილეში. „ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, საკუთარი სიამაყე გვაქვს: ბურჟუებს მალლიდან დავცქერით“, — ამბობდა პოეტი და, მართლაც, ამგვარი სიამაყის გრძნობით შეჰყურებდა იგი ბურჟუაზიული რეაქციის სამყაროს და დაუცხრომელი მღელვარებით ამხილებდა კაპიტალისტური ცხოვრების წყლულებსა და სიმახინჯეებს.

პოეტი ხშირად მოგზაურობდა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ამ მოგზაურობათა შედეგად მან დაწერა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებშიც ღრმა იდეური გააზრებით მოცემულია კონკრეტულ-სახეობრივი გამოხატულება თანამედროვეობის მწვავე სოციალური კონფლიქტებისა, კაპიტალისტური სამყაროს იმ მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობებისა, რომლებიც გარდუვალი კანონზომიერებით მიაქანებენ ამ სამყაროს აუცილებელი კატასტროფისაკენ.

პოეტმა კარგად იცოდა, რომ ყოველ ბურჟუაზიულ ქვეყანაში ორი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკი ცხოვრობს და მოქმედებს,

რომ „ერთია პარიზი ყაზარმების და ვეკილების, ხოლო მეორე — უყაზარმო“. ამიტომაც იგი ღრმა თანაგრძობით აღსავსე ლექსებს მიუძღვნინდა კაპიტალისტური სამყაროს მშრომელთ, შეხაროდა მათს საბრძოლო ამხედრებას, ხოლო მომაკვდინებელი ზიზლით ნიღაბს ხდიდა გაბატონებულ პარაზიტულ კლასებს, მათ მმართველ წრეებს.

ყველაზე მეტი მძულვარებით ლაპარაკობდა პოეტი ამერიკის იმპერიალისტური რეაქციის შესახებ. „შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შეერთებული შტატები ერთობლივად გამოვიდნენ უიმედო ბურჟუაზიული საქმის უკანასკნელ შეიარაღებულ დამცველებად“, — აღნიშნავდა იგი და მწვავე ირონიით ამბობდა:

ამ ამერიკას
დავხურავდი,
გავწმენდი ფრთხილად
და შემდეგ ისევ
მეორეჯერ
აღმოვაჩენდი.

მაიაკოვსკის პოეზია რაზმავდა და აღაგზნებდა მსოფლიოს პატიოსან ადამიანებს ხალხთა ურთიერთ ხოცვა-ჟლეტის სისხლიან ორგანიზატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად. „მშვიდობის დასაცავად კლდესავით აღიმართე და ომის წამომწყებთ შესძახე: ნებას არ მოგცემთ. ეშმაკსაც წაუღიხართ, ჩამოგვეცალეთ, კმარა, ძირს!“ პოეტი აფრთხილებდა აგრესიული ომების მოტრფიალე ავანტიურისტებს: „ჩვენ მშვიდობას მოვითხოვთ, მაგრამ თუ ხელს გვახლებთ, ჩვენ ლეგიონებად დავირაზმებით განრისხებულნი; სასაკლავოს მომწყობნი ფრონტზე დაინახავენ ამბოხებულ ერთიან მუშათა ფრონტს“.

თავის უკანასკნელ ქმნილებაში, უღრმესი პოეტური აზრითა და კლასიკურად სრულყოფილი ოსტატობით აღბეჭდილ ლექსში „მთელი ხმით“ მაიაკოვსკიმ ერთგვარად შეაჯამა თავისი დიადი შემოქმედებითი ცხოვრება და გამოთქვა მაღალი ოცნება იმის შესახებ, რომ მისი ლექსი შევიდოდა „კომუნისტურ შორეთში“, როგორც საჭირო და სასარგებლო ძალა, როგორც „ძველი, მაგრამ მრისხანე იარაღი“.

არა საკუთარ, პირად დიდებას და უკვდავებას უმღერის ამ ლექსში დიდი პოეტი, არამედ ჩვენი ხალხის უწმინდესი საბრძოლო საქმის გამარჯვებას და ძლევა მოსილებას. ყოველი საბჭოთა ადამიანის უწმინდესი სურვილი და მისწრაფებაა გამოთქმული პოეტის სიტყვებში:

დაე,
საერთოდ ძველად გვედგას,
დიად ბრძოლებში
ნაშენები სოციალიზმი.

სოციალისტური ლირიკის ეს შედევი პოეტის დიდი შემოქმედებითი ცხოვრების ღირსეულ აპოთეოზს წარმოადგენს. უკანასკნელ სტრიქონებში პოეტმა კიდევ ერთხელ უღრმესი გულწრფელობით აღიდა კომუნისტების უძლეველი პარტია, გამოხატა მისადმი განუსახლვრელი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობა:

როგორც პარტილეთს
ბოლშევიკურს
მე მაღლა ავსწევ
ჩემს ასტომეულს
პარტიული წიგნაკებისა.

პოეტის ეს სიტყვები უკედავ ანდერძად ქლერს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველი მოღვაწისთვის. იგი გვინერგავს მხატვრული შემოქმედების მეტრძოლი იდეურობის, მაღალი ხალხურობის, პარტიულობის აზრს, რაც ჩვენი სოციალისტური ესთეტიკის სულსა და გულს, მის უმთავრეს პრინციპს შეადგენს.

„მაგალითი პოეტისა, რომელიც დგას ჩვენი საუკუნის მწვერვალზე და რომელიც თავისკენ იზიდავს მთელი მსოფლიოს პოეტების ყურადღებას, — ეს არის ვლადიმერ მაიაკოვსკი“, — ამბობდა საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობაზე გამოჩენილი ფრანგი მწერალი — კომუნისტი ლუი არაგონი.

მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის პირველად დათვალიერების შემდეგ დიდი თურქი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი წერდა: „მთელი გზა მაიაკოვსკის სახლიდან ჩემს სახლამდე — მე ვფიქრობდი მასზე, დიდ საბჭოთა პოეტზე, რომელმაც მოიპოვა უფლება დაუსრულებელი სიცოცხლისა. ვფიქრობდი სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო მწერლებზე, რომლებისთვისაც მისი ლექსები დროშად იქცნენ — ლუი არაგონზე, პაბლო ნერუდაზე, პოლ ელუარზე, ლიუდმილ სტოიანოვზე, სტანისლავ ნეიმანზე, იულიან ტუვიმზე, ალექსის პარნისზე, ტიუ სონ ვონზე. ვფიქრობდი იმაზე, რომ მაიაკოვსკის ხმის ჩახშობა შეუძლებელია, რომ მაიაკოვსკის გავლენა ახალგაზრდა პოეტებზე — ეს მზიური გავლენაა, რომელიც ისევე ესაჭიროება პოეზიას, როგორც მცენარეს ესაჭიროება წყალი, სითბო, სინათლე. მე ვფიქრობდი იმაზე, რომ ჩვენ, მაიაკოვსკის მოწაფეები, მთელი მსოფლიოს პოეტები ყოველთვის გავყვებით მის ლექსებს, გავაგრძელებთ მის საქმეს ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს ხალხები აგრძელებენ რუსეთის მიერ — კომუნისტების სამშობლოს, მომავლის სამშობლოს მიერ დაწყებულ გზას“. ამ სიტყვებში მკაფიოდ და დამარწმუნებლად არის დახასიათებული მაიაკოვსკის პოეზიის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა.

თუ ასეთ შემოქმედებას ახდენს საბჭოთა ეპოქის უდიდესი პოეტი მთელი მსოფლიოს პროგრესული პოეზიის განვითარებაზე, კიდევ

უფრო დიდა მისი მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოს ყოველი ხალხის პოეტურა კულტურისათვის.

რას ნიშნავს მაიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიცია, რომელსაც სწავლობს, აგრძელებს და განავითარებს მთელი მრავალეროვანი საბჭოთა პოეზია? ეს არის პირველყოვლისა პოეტის მებრძოლი დამოკიდებულება თავისი ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი, პოეტური შემოქმედების მაღალი იდეურობა და პარტიულობა, დაუცხრომელი ნოვატორობა, შეუწელებელი ბრძოლა პოეტური ფორმის ორიგინალურობისათვის, საკუთარი პოეტური ხმისათვის. ქმედითი, ხალხის გულს სიღრმემდე ჩამწვდომი სიტყვისათვის, თავდადებული შრომა პოეტური ოსტატობის მაღალი ხარისხისათვის, მისი ნამდვილი ხალხურობისათვის. მაიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიცია გულისხმობს პოეტის მგზნებარე გამოსმაურებას თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, სინამდვილის მთელი მრავალმხრივობით განსახიერებას, მისი წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების ასახვას, პოეტური შემოქმედების უანრობრივ მრავალფეროვნებას. „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „მსოფლიო ორკესტრი“, რომლებშიც პოეტმა ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო-ისტორიული მნიშვნელობა ასახა და მხატვრულად დაასაბუთა ჩვენი სამშობლოს გამარჯვების გარდაუვალობა, უეჭველად ენათესაება პოემა „150.000.000“ ავტორის შემოქმედებით ტრადიციას.

1930—1931 წლებში გ. ტაბიძემ დაწერა წიგნი „რევოლუციური საჭრთველო“, რომელიც საბჭოთა საქართველოს მიერ განვლილი ათწლოვანი გზის მხატვრულ მატთანედ იყო მოფიქრებული ავტორის მიერ. ეს ერთადერთი ნაწარმოებია მთელს ქართულ საბჭოთა პოეზიაში, რომელიც თავისი მასშტაბით და მხატვრული შთანაფიქრის ხასიათით უახლოვდება მაიაკოვსკის პოემას „კარგია“. 1935 წელს გ. ტაბიძემ ევროპის ქვეყნებში იმოგზაურა, რის შედეგადაც დაწერა ლექსების მთელი წიგნი. ეს იყო პირველი დიდი პოეტური ციკლი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, რომელიც მაიაკოვსკისებურად აშუქებდა კაპიტალისტური სამყაროს ღრმა შინაგან წინააღმდეგობებს, მის განუყურნებელ წყლულებსა და მანკიერებებს.

პაოლო იაშვილი, რომელიც მაიაკოვსკის ლექსების პირველი მთარგმნელი იყო საქართველოში, მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით მიესწრაფვოდა მაიაკოვსკისებურ „ვაჟაკურ გაქანებას“ და მგზნებარე მოქალაქეობრივ პათოსს, ხოლო ტიციან ტაბიძემ თავისი პოეტური მოღვაწეობის ბოლო პერიოდში შთაგონებული ლექსი მიუძღვნა ვლადიმერ მაიაკოვსკის, რითაც წრფელად გამოხატა თავისი დაახლოვება რევოლუციის დიდი პოეტის სულიერ სამყაროსთან.

ასევე დიდა მაიაკოვსკის მნიშვნელობა ქართველი პოეტების იმ

თაობისათვის, რომელიც საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში გამოდიოდა ლიტერატურულ ასპარეზზე. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სიმონ ჩიქოვანის შესახებ, რომლის აღრინდელ ლექსებში არაერთხელ გვხვდება მაიაკოვსკის სახე, როგორც სიმბოლური განსახიერება სიდიადისა, სიძლიერისა: „მაიაკოვსკის ხელგაშლილი პორიზონტიდან პორიზონტამდე“ და სხვ. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პირველ წლებში ს. ჩიქოვანი წერდა პოლემიკური სიმძაფრით აღბეჭდილ ლექსებს, მწვავედ ამხილებდა ძველი ყოფის გადმონაშთებს და მრავალ თავის ნაწარმოებში იზიარებდა მაიაკოვსკის შემოქმედებით პრინციპებს. ამ გეზის დამცველად და გამგრძელებლად გამოდიოდა ს. ჩიქოვანი მაშინაც, როდესაც იგი აღფრთოვანებით უმღეროდა საბჭოთა რუსეთს, რომელსაც პოეტმა თავისი მამულის სამშობლო უწოდა და მაშინაც, როდესაც სევანური კოშკების საუკუნოებრივი კარჩაქეტილობის გასარღვევად ამხედრებულ კომკაენიროულ თაობას მიესალმებოდა. თავისი ახალი ლექსების ციკლში „პოლონეთის გზაზე“ და „გოეთეს ცაცხვებთან“ ს. ჩიქოვანმა შეგნებულად მოგვცა ახალი თავისებური ვარიანტი საბჭოთა პასპორტისადმი მაიაკოვსკისებური ჰიმნისა, ხოლო ლექსში „საბჭოთა მეომარი ბერლინში“ ნაყოფიერად გამოიყენა მხატვრული სახის ჰიპერბოლიზირებისა და შეგნებულად გამახვილების ის ხერხი, რომელიც მაიაკოვსკის პოეტიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს.

საბჭოთა წყობილების წლებში გამოსულ ქართველ პოეტთა თაობაზე მაიაკოვსკის ცხოველყოფილი ზემოქმედების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) შემოქმედება. პოლიტიკური ლირიკის ყანრის მისი საუკეთესო ლექსები ქართველ პოეტს აახლოვებს და ანათესავებს მაიაკოვსკის პოეტურ სამყაროსთან. აღსანიშნავია, რომ პირველ უმნიშვნელოვანეს შემოქმედებით წარმატებას ალიო მირცხულავამ უკვდავი ლენინისადმი მიძღვნილ ლექსებში მიაღწია, რითაც იგი არსებითად შეუერთდა ლენინის უბადლო მომღერალის პოეტურ გზას. ამ გზას მიჰყვებოდა პოეტი თავისი „დამკვრელი ბრიგადების მარშითაც“, თავისი აღრინდელი სატირული ლექსებით და პოემებითაც, თავისი მისწრაფებით პოეზიის ეპიკური ყანრისაკენ, რომლის აღორძინება საბჭოთა პოეზიაში მაიაკოვსკის სახელთან არის დაკავშირებული.

ქართულ პოეზიაში მაიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიციის დახერვვისა და დამკვიდრების მომასწავებელია გიორგი ლეონიძის ეპიკური ნაწარმოებები.

თავისი პოეტური მოღვაწეობის დასაწყისშივე ლექსში „ჩემს ობლიგაციებს“ ირაკლი აბაშიძემ გამოავლინა უნარი და მისწრაფება საბჭოთა სინამდვილის ყოველდღიურობის „წერილმანთა“ პოეტიზი-

რებული გამოხატვისა. როგორც თავისი ამ პოეტური დებიუტით, ისე ერთ-ერთი უკანასკნელი დროის ლექსით „ღია წერილი ერსკინ კოლდუელს“ ირაკლი აბაშიძემ გამოხატა თავისი ერთგულება მიაკოვსკის მებრძოლი პოეზიის ტრადიციებისადმი. ამ მაგისტრალურ ხაზზე მდებარეობს ირაკლი აბაშიძის ყველა საუკეთესო პოეტური მიღწევა, მისი სამამულო ომის დროინდელი უაღრესად პოპულარული ლექსებიც და მისი ახალი ლირიკული ციკლებით „სიმღერა მკის დროს“ და „ჰყვავის გურია“.

ვლადიმერ მიაკოვსკის ეპიკური ტრადიციების თავისებურ გამგრძელებლად ქართულ პოეზიაში გვევლინება გრიგოლ აბაშიძე, რომელმაც რამდენიმე მაღალნიჭიერი პოემით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა. ლექსების ორ ციკლში — „ლენინი სამგორში“ და „თურქეთის საზღვარზე“ პოეტმა მიაკოვსკისებური მგზნებარებით უმღერა ჩვენი ცხოვრების დიადი გარდაქმნისა და განახლების ეპოპეას, მიაკოვსკისებური მრისხანებით ამხილა მტრული ბურჟუაზიული სამყაროს ბნელი ზრახვები.

ლირიკული ლექსის საზღვრების გაფართოებისაკენ, მასში სიუჟეტური, მომთხზვნელობითი და აღწერილობითი ელემენტის შეტანისაკენ მისწრაფებამ დაახლოვა კარლო კალაძე მიაკოვსკის პოეტიკის ერთ-ერთ ძირითად თვისებასთან. ხალხთა ძმობისა და ჩვენს სამშობლოში ძღვევამოსილად გაშლილი შემოქმედებითი შრომის უპირველესი მომღერლის გეზს მიჰყვება კარლო კალაძე თავისი ომისშემდგომი პერიოდის ლექსებში — „ისევ მშობლიურ სოფელში“ და „სიმღერა დნებრის პირას“.

ჩვენი ხალხის სადღეისო საბრძოლო ამოცანებზე, ხალხის შრომითს გმირობაზე ცხოველი გამოხმაურების მიაკოვსკისებურ მისწრაფებას იჩენს იოსებ ნონეშვილი ყაზახეთის ველებზე მებრძოლ საბჭოთა ადამიანებისადმი მიძღვნილ ახალ ლექსებში, რომელთაც ღირსეულად დაიმსახურეს მოწონება და აღიარება. იგივე უნდა ითქვას მისი ლექსების ციკლის შესახებ საბჭოთა სომხეთზე და მისი პოემის — „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ — რამდენიმე საუკეთესო თავის შესახებ.

კომუნისზმის უპირველეს და უდიდეს მომღერალთან თავისი განუხრელი სულერი დაახლოება და დანათესავება დაადასტურა რევაზ მარგვიანმა პოემით „სიმღერა კომუნისზმისა“ და ლექსების ღიდი ციკლით „აქ მშვიდობა“. ეს ნაწარმოებები პოეტის შემოქმედებითი შთაგონების ნამდვილ დავაყვაცებას და მის ჭანსად მიმართებას მოასწავებს.

მიაკოვსკის მარად დაუბერებელი მძლავრი პოეტური ხმის გამოძახილი მკაფიოდ მოისმის ჩვენი ნიჭიერი პოეტური ახალგაზრდობის საუკეთესო ლექსებშიც. ამ წერილის ფარგლებში ჩვენ იძულებული

ვართ მხოლოდ ზემოთაღნიშნული რამდენიმე დამახასიათებელი ფაქტით დავკმაყოფილდეთ. ეს ფაქტებიც აქ უფრო აღწესხულია, ვიდრე ღრმად გახსნილი და შესაფერი სისრულით გაანალიზებული.

შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ ჩვენი თანამედროვე პოეზიის ყველა უმნიშვნელოვანესი ხარვეზი და ნაკლოვანება უპირატესად გამომდინარეობს იმ შემოქმედებითი ტრადიციების უგულვებლყოფიდან, რომელთა გამომუშავებასა და დადგენაში ყველაზე მეტად მასახურება ვლადიმერ მაიაკოვსკის მიუძღვის.

რაში მდგომარეობს თანამედროვე ქართული პოეზიის უმნიშვნელოვანესი ხარვეზები და ნაკლოვანებანი?

აშკარად იგრძნობა, რომ ბოლო ხანებში ჩვენს პოეზიაში საგრძნობლად შენედა ბრძოლა პოეტური ოსტატობის მაღალი ხარისხისათვის, პოეტური მეტყველების საშუალებით ინდივიდუალურობისა და ორიგინალურობისათვის. ამას ემატება ერთი დიდი საშიშროება, რომელიც გავრცელებას პოულობს ჩვენს პოეზიაში. ეს არის ლექსებში სინამდვილის გაუბრალოებელი, შემსუბუქებული გამოხატვა, ის ერთფეროვანი სახობო აღფრთოვანებული ტონი, რომლის პირობებშიც ლექსი კარგავს შინაგან დრამატიზმს და, მასადაამე, ემოციური შემოქმედების ძალასაც.

უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა პოეზიაში სრულიად დაკნინდა სატირული ჟანრი. ვერც ერთი თანამედროვე ქართველი პოეტის ლექსთა კრებულში ვერ შეხვდებით სატირულ ლექსებს. ამ მხრივ მდგომარეობა უარესია, ვიდრე ქართული საბჭოთა პოეზიის ისტორიის პირველ პერიოდში იყო. ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხში ჩვენი პოეტები შეუწყნარებლად ივიწყებენ მაიაკოვსკის ტრადიციასაც. ქართულმა საბჭოთა პოეზიამ ჯერ კიდევ ღირსეულად ვერ ააღორძინა ჩვენი კლასიკური პოეზიის დიდი ეპიკური ტრადიციები, ვერ აიყვანა პოემის ჟანრი ისეთ სიმალეზე, რომელიც შეფერის ჩვენი ხალხის მოთხოვნებს და მაიაკოვსკის შემოქმედებით ტრადიციას ამ სფეროში. საერთოდ, ქართველი საბჭოთა პოეტების უმრავლესობა ჟანრობრივი ერთფეროვნებით არის შემოზღუდული.

ქართული საბჭოთა პოეზია, რომელსაც ლექსის მრავალი მაღალი იტიერი ოსტატი ჰყავს, ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა დაძლევის გზით უნდა წავიდეს წინ. ამ ბრძოლაში ახალ წარმატებათა საიმედო საწინდარს ჩვენი საუკუნის უდიდესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ძვირფასი ტრადიციების შემოქმედებთად დაუფლება და განვითარება წარმოადგენს.

შპანასკნელი შეხვედრები ვლადიმერ მაიაკოვსკისთან

ჩვენი საუკუნის უდიდესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის იუბილეს მრავალეროვანი სოციალისტური კულტურის დიდ სახალხო დღესასწაულად აღნიშნავს მთელი ჩვენი თვალუწვდენელი საბჭოთა სამშობლო. რევოლუციური პოეზიის ამ სასიხარულო ზეიმს ცხოვლად გამოეხმაურებიან დედამიწის ყოველ კუთხეში, რადგან ვ. მაიაკოვსკის დიადი პოეტური მემკვიდრეობა მთელი პროგრესული კაცობრიობის ძვირფასი კუთვნილებაა, თანამედროვე საკაცობრიო მხატვრული კულტურის ქეშმარიტად უნივერსალური, ეპოქალური მნიშვნელობისა და ღირებულების მონაპოვარი. დღეს ჩვენს პლანეტაზე არც არსებობს ისეთი ცივილიზებული ხალხი, რომლის თანამედროვე ეროვნული პოეტური ხელოვნების განვითარებაზე ზეგავლენა არ მოეხდინოს ვ. მაიაკოვსკის, რომლის ენაზეც თარგმნილი არ იყოს მისი რომელიმე ქმნილება, რომლის ეროვნული კულტურის ოსტატთა შორის ვ. მაიაკოვსკის არ ჰყავდეს დამფასებელნი და პატივისმცემლები, თანამოაზრენი და მიმდევრები. ვინ შეიძლება ამ მხრივ, საერთაშორისო რეზონანსისა და საკაცობრიო მნიშვნელობის მხრივ, შეედაროს ვ. მაიაკოვსკის ჩვენი საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო პოეტთა შორის? რასაკვირველია, არავინ! არა მარტო თავისი შემოქმედების თანმიმდევრული ყოვლისმომცველი რევოლუციური იდეურობით, ხალხის სულიერ სამყაროსთან სისხლხორცეული კავშირურობით, ცხოვრების მთელი მრავალმხრივობის პოეტურად ათვისების დიაპაზონით, არამედ, ამასთანავე, პოეტური ხმის ძალით, ნოვატორული შემართებით. ოსტატობრივი ძიებებით, მიგნებებით და აღმოჩენებით ვ. მაიაკოვსკი მეოცე საუკუნის მსოფლიოს უდიდესი და უპირველესი პოეტია. ვ. მაიაკოვსკი საბჭოთა კულტურის, ჩვენი სოციალისტური პოეზიის მსოფლიო სიამაყე და დიდებაა. ასეთი შემართების, მასშტაბისა და გაქანების, ეპოქის გარდამქმნელ და განმაახლებელ სულთან ასე ორგანულად შესისხლხორცებული პოეტი სწორედ ჩვენს ქვეყანაში უნდა წარმოშობილიყო და წარმოიშვა კიდევ, იმ ქვეყანაში, რომელიც ისტორიულად მოწოდებული აღმოჩნდა პირველს განეხორციელებინა კაცობრიობის საუკეთესო შეილთა მიერ საუკუნობრივად ნაოცნებარი სოციალისტური რევოლუცია და პირველი

შედგომოდა დედამიწაზე ახალი, თაღისუფალი და სამართლიანი სამყაროს შენებას.

ოქტომბრის რევოლუციის წინა წლებში სოციალისტური რეალიზმის გენიალური ფუძემდებელი მკჟსიმ გორკი ოცნებობდა იმაზე, რომ რუსეთს მოვლენოდა ხალხის მეამბოხე სულისკვეთებისა და ნათელი რევოლუციური იდეალების გამოხატელო, მაღალი რომანტიკული მგზნებარების პოეტი, პუშკინის, მიკყვეიჩის, შილერის მასშტაბის პოეტი. და სწორედ ასეთი პოეტი მოველინა ჩვენს ქვეყანას ვლადიმერ მაიაკოვსკის სახით.

როგორ სასტიკად ცდებიან ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების ის მკვლევარები, რომლებიც ცდილობენ ჩინური კედლებით გათიშონ ერთმანეთისაგან პოეტის ბიოგრაფიის სხვადასხვა პერიოდები და დაგვარწმუნონ, თითქოს ვ. მაიაკოვსკი დეკადენტობის ბანაკიდან გადმოსულიყოს სოციალისტური კულტურის პოზიციებზე, თითქოს იგი ადრე „სხვისი“ ყოფილიყოს და შემდეგ გამხდარიყოს „ჩვენი“. არა! ვ. მაიაკოვსკი, რომელიც ადრეული სიკაბუქის წლებში არა მარტო მოწმე იყო, არამედ გატაცებული მონაწილეც ხალხის თავდადებული ბრძოლისა რუსეთის პირველ რევოლუციის ბარიკადებზე, იმთავითვე განიმსჭვალა ამ ბრძოლის პათოსით და სულისკვეთებით, შემდეგ განვლო ბოლშევიკური ჭერქვეშეთის სკოლა და პირველი ლექსები რევოლუციურ მუშაობისათვის დაპატიმრებულმა ციხის საკანში დაწერა, შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისიდანვე „ჩვენი“ იყო, ე. ი. იმთავითვე გატაცებული იყო ახალი ხელოვნების, მოახლოებული რევოლუციური ეპოქის თანახმოვანი პოეზიის გზების ძიებით. მართალია, ამ მეამბოხე ძიებებმა და გატაცებამ ერთხანს იგი ფუტურიზმთან დააკავშირა, მონაწილეობდა კიდევ მაშინ რუსი ფუტურისტების გამოსვლებში და ბეჭდვით გამოცემებში, მაგრამ თავიდანვე ცხადად ჩანდა, რომ მისი ეს ხანმოკლე ცდუნებანი სრულიადაც არ იყო ორგანული პოეტის შემოქმედებითი ბუნებისათვის. აკი მ. გორკიმ, რომელიც იმ წლებში დაუნდობლად ამხელდა და ებრძოდა დეკადენტობის ყოველგვარ გამოვლინებას რუსულ ლიტერატურაში, ახალგაზრდა მაიაკოვსკისთან პირველი შეხვედრისთანავე, მისი პოეზიის ნიმუშების პირველად მოსმენისთანავე, აღიარა, რომ აქ არავითარი ფუტურიზმი არ არსებობდა, იყო მხოლოდ ვ. მაიაკოვსკი, დიდი პოეტი და მართლაც, თუ ახლა ერთბაშად გავითვალისწინებთ ოქტომბრის წინა წლების ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებას, განა შესაძლებელია მისი გაზომვა და შეფასება ფუტურიზმის იდეურ-ესთეტიკური კრიტერიუმებით? გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდის არც ერთ სხვა პოეტს ისე მძლავრად არ გამოუთქვამს ზიზლი და გულისწყრომა ბურჟუაზიულ-მემამულური, თვითმპყრობელური რუსეთის გაბატონებუ-

ლი კლასების ოფიციალური რელიგიისა, პოლიტიკისა, მორალისა და ესთეტიკისადმი, ისე ცხადად და ზუსტად არ გამოუხატავს აღტაცებული წინათგონობა მოახლოებული რევოლუციის ქარიშხალისა, როგორც ეს მოცემულია ვ. მაიაკოვსკის რევოლუციამდელს ლექსებსა და პოემებში. თავისი რევოლუციამდელი ცხოვრებით და შემოქმედებით ვ. მაიაკოვსკი სავსებით მომზადებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ ოქტომბრის პირველსავე დღეებში არც კი დაფიქრებულიყო იმაზე, მიეღო თუ არა რევოლუცია. „ჩემი რევოლუცია“ — აღტაცებით გაიძახოდა პოეტი და ამიერიდან მან მთელი თავისი ტიტანური ნიჭიერება და შთაგონება მთლიანად მიუძღვნა „მოიერიშე კლასს“, მის ძლევამოსილ ბრძოლას შინაური თუ უცხოური კონტრრევოლუციის ძალების სამუდამოდ დათრგუნვისათვის, ახალი ცხოვრების აშენებისა და დამკვიდრებისათვის ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის. ამ ბრძოლის ამოცანებმა განსაზღვრა მთლიანად და სავსებით ვ. მაიაკოვსკის პოეზიის როგორც იდეური მიზანმიმსწრაფება და თემებისა და სახეების სამყარო, ისე პოეტური მეტაფორების ახლებური ფორმების, ეპოქის ხასიათისა და მაჯისცემისათვის თანხმომავანი რიტმებისა და ინტონაციების ახალი რთული, მაგრამ ჭეშმარიტად ხალხური სახეობრივი აზროვნების საშუალებათა დამკვიდრებისათვის წარმოებული ჭეშმარიტად გოლიათური მუშაობა.

რასაკვირველია, შეუძლებელია საბჭოთა ეპოქის მთელი პოეტური კულტურა ვისიმე ერთპიროვნული შემოქმედებით წარმოვიდგინოთ. მას ჰქმნიდნენ და ჰქმნიან სხვადასხვა ეროვნების, თაობის, შემოქმედებითი ბიოგრაფიის, გემოვნებისა და ნიჭიერების ოსტატები. ვ. მაიაკოვსკი თვითონ იყო პოეზიაში ყოველგვარი ერთფეროვნების, ერთსახოვნების, სტანდარტულობის მტერი და უარყოფელი, მისი შემოქმედებითი ტრადიციის სული და არსი შეუთავსებელია რაიმე მიმბაძველობის, ეპიგონობის, განუკითხავი მოწაფეობის ცნებებთან. იგი იმაზე ოცნებობდა, რომ ჩვენ ბევრი კარგი და სხვადასხვაგვარი პოეტი გვყოლოდა, მაგრამ ის მაინც უდავო და უეჭველია, რომ არც ერთ სხვა პოეტს ისეთი დიდი და განმსაზღვრელი წვლილი არ შეუტანია სოციალისტური რეალიზმის პოეტური ხელოვნების საუკეთესო იდეურ-ესთეტიკური ტრადიციების გამომუშავებასა და დამკვიდრებაში, როგორც ვ. მაიაკოვსკიმ შეიტანა. სწორედ ამ აზრით არის ვ. მაიაკოვსკი სრულიად სამართლიანად და დამსახურებულად აღიარებული მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლად, მის მედროშედ და პირველ კლასიკოსად. მხოლოდ ამ აზრით ჩვენ შეგვიძლია ყოველი საბჭოთა პოეტის შემოქმედებაში, როგორც არ უნდა იყოს მისი მხატვრული ინდივიდუალობა, ესთეტიკურ-სტილებრივი პოზიცია, დავინახოთ და აღმოვაჩინოთ გარკვეული გამოძახილი ვ. მაიაკოვსკის პო-

ეტური ტრადიციებისა, გარკვეული ნათესაობა მის შემოქმედებითს იღებთან. ამ ტრადიციის, ამ შემოქმედებითი იდეების დაცვა ყოველგვარი უგულვებელყოფისა, შეუფასებლობისა და წარსულის კუთვნილებად მიჩნევის საშიშროებისაგან, რაც აქა-იქ სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახით იჩენს ხოლმე თავს, ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის კეთილშობილური მოვალეობაა. ცხადია, ამ თვალსაზრისითაც დიდი პოეტის ახლანდელი იუბილე უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, ჩვენი ხალხის მთელს სულიერ ცხოვრებაში.

ვიდრე ვ. მაიაკოვსკის პირადად გავეცნობოდი და დაუუახლოვდებოდი, მე ვიცოდი და მიყვარდა მისი პოეტური შემოქმედება, თავს მისი ლიტერატურული თანამოაზრეების რიცხვს ვაკუთვნებდი, მისი შემოქმედებითი იდეების მიმდევართა რიცხვს, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში იმ ახალი მოძრაობის მონაწილეებს, რომლის ღირსეულ მეთაურად და მედროშედ ვ. მაიაკოვსკი გამოდიოდა. მე და ჩემს ლიტერატურულ თანატოლებს, რომლებიც მწერლობის სარბიელზე საბჭოთა საქართველოს ამობრწყინების პირველ ხანებში ვიწყებდით გამოსვლას, დიდად გვახარებდა და გვეამაყებოდა, რომ ახალი სამყაროს დიდი პოეტი, ისევე, როგორც მისი გენიალური წინამორბედები პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, გორკი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით დაკავშირებული იყო საქართველოსთან, ქართველ ხალხთან, ქართულ კულტურასთან. დიახ, ვ. მაიაკოვსკის არასოდეს ავიწყლებოდა, რომ იგი საქართველოში დაიბადა, რომლის შიწა-წყალს იგი პოეტების მიერ ნაოცნებარ სამოთხედ მიიჩნეოდა, რომ აქ გაატარა ბავშვობისა და ადრეული სიკბუჯის წლები, რომ აქ განიცადა რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიანი ხანა. უეჭველია, რომ ქართველი ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ ამ რევოლუციის ბარიკადებზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა რევოლუციის მომავალ უდიდეს პოეტზე, წარუშლელი კვალი დატოვა მის სულიერ ცხოვრებაში და სწორედ აქ ჩაისახა პირველი საწყისები იმ მებრძოლი განწყობილებისა, სულისკეცვებისა და მსოფლმხედველობისა, რომელიც შემდეგ ასე ღრმად და დიდებულად გამოვლინდა მის შემოქმედებაში. ოციანი წლების ლიტერატურულ ბრძოლებში, როდესაც შემოქმედებითი ინტელიგენციის ძალთა მკაცრი დიფერენციაციის ვითარებაში იქმნებოდა სხვადასხვა სამწერლო გაერთიანებები, სკოლები და ჯგუფები, მე ფუტურისტ-ლეველთა ჯგუფში ვირიცხებოდი. ამ ჯგუფის მონაწილე 18-19 წლის კბუჯები, რომლებიც ვეწინააღმდეგებოდით „აკადემიური მწერლების კავშირში“ და „ციხურ ყანწებში“ გაერთიანებულ მწერალთა იდეურ-ესთეტიკურ პოზიციებს, გაგვირტაცა ლიტერატურული ამბოხის ცდუნებებმა და მოვექეციით ევრო-

პული და რუსული ფუტურზმის გავლენაში, მაგრამ მალე რუსული „ლენინის“ თეორიამ და პრაქტიკამ, პირველ რიგში კი ვ. მაიაკოვსკის პოეზიამ სხვა მიმართულებით წარმართა ჩვენი ცნობიერება, დაგვეხმაურა ჩვენი აზროვნებით და შემოქმედებით დავახლოვდით საბჭოთა სინამდვილეს და კულტურული რევოლუციის ამოცანებს. ვ. მაიაკოვსკი იქცა ჩვენთვის უპირველეს გზის გამკვლევად და მასწავლებლად, რომელიც დიდად კეთილშობილურ ზეგავლენას ახდენდა ჩვენს სულიერ ფორმირებაზე. რასაკვირველია, მაიაკოვსკის ასეთი შემოქმედება არ განისაზღვრება მარტო ჩვენი ჯგუფით, რომლის შემადგენლობაშიც, გარდა ახალგაზრდა ლიტერატორებისა, შედიოდნენ მემარცხენე მხატვრები და კინემატოგრაფისტებიც. ზოგიერთმა მათგანმა შემდეგ თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ვ. მაიაკოვსკის პოეტური შემოქმედება გამოძახილს პოულობდა საბჭოთა ეპოქის მთელს ქართულ პოეზიაში.

მე გავეცანი და დავეახლოვდი ვ. მაიაკოვსკის, როცა იგი თბილისში ჩამოდიოდა ხოლმე მოხსენებებისა და საჯარო ლექციების წასაკითხად, თავისი ახალი პოეტური ქმნილების გასაცნობად საქართველოს საზოგადოებისათვის. საბჭოთა საქართველოს სატახტო ქალაქში პოეტი სამჯერ ჩამოვიდა, 1924 წლის აგვისტოში, 1926 წლის თებერვლის დამლევს და 1927 წლის დეკემბერში. 1924 წელს თბილისში პოეტის ჩამოსვლის დროს მე ქალაქში არ ვიყავი, მაშინ მაიაკოვსკიმ აქ ერთი კვირა გაატარა. თუმცა მისი საჯარო გამოსვლები თბილისში არ გამართულა. მას მაინც ჰქონდა შეხვედრები ქართველ მწერლებთან, თეატრის მოღვაწეებთან, მხატვრებთან. აქ დაწერა მაშინ პოეტმა ლექსები „ვლადიკავკასი — თბილისი“, „სევესტოპოლი — იალტა“, „აჯანყებათა გუგუნით“ და სხვ. ამავე დღეებში იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა კოტე მარჯანიშვილთან და ირაკლი გამრეკელთან მთაწმინდის ფერდობზე „მისტერია-ბუფის“ დადგმის თაობაზე. როდესაც მე თბილისში ჩამოვედი, მაიაკოვსკი უკვე დაბრუნებული იყო მოსკოვს, მაგრამ დედაქალაქის ლიტერატურული ცხოვრების მთელი ატმოსფერო განმსჭვალული დამხვდა იმ ღრმა შთაბეჭდილებით, რაც დიდ პოეტს მოეხდინა ყველაზე, ვისაც კი იგი შეხვედროდა თბილისში გატარებულ დღეებში. აღტაცებულნი მიაშობდნენ ჩემი მეგობრები „მემარცხენეობიდან“ — სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგელაია, დემნა შენგელაია, აკაკი ბელიაშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა და სხვები მაიაკოვსკისთან შეხვედრებისა და საუბრების შესახებ, მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების შესახებ. საბჭოთა და კერძოდ ქართული მწერლობის თანამედროვე მდგომარეობასა და ამოცანებზე, „მემარცხენეობის“ მომავალ მუშაობაზე და სხვა. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ დიდ პოეტთან შეხვედ-

რებს. მაოდ არ ჩაუვლია ჩემი მეგობრებისათვის. ეს შეხვედრები თითქოს მოასწავებდა მათთვის თვითმიზნურ ესთეტიური ლიტერატურული მემამობებიდან გადასვლას გააზრებულ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან შემოქმედებითს მოღვაწეობაზე და მალე მეც განვიცადე ასეთივე შემოქმედება ამ გენიალურ ადამიანთან პირდაპირი შეხვედრების შედეგად.

თბილისში ვ. მაიაკოვსკის შემდეგი ჩამოსვლების დროს კი 1926 და 1927 წლებში, მე და ბევრი სხვა ახალგაზრდა ლიტერატორი და ხელოვნების მოღვაწე, როგორც იტყვიან, ერთი ნაბიჯითაც აღარ ვცილდებოდით მას. მისი ყოველი გამოჩენა თბილისში ჩვენთვის ნამდვილი დღესასწაული იყო, დიდი მოვლენა რესპუბლიკის მთელს კულტურულ ცხოვრებაში.

პოეტის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ქალაქში გამოჩნდებოდა ხოლმე ვეებერთელა აფიშა-პლაკატები, რომლებზეც უზარმაზარი ასოებით იყო აღბეჭდილი ერთადერთი სიტყვა: „მაიაკოვსკი“ და უკვე ამ ორიგინალური ანონსების გამოჩენისთანავე ქალაქი შეძრული და გამოცოცხლებული იყო პოეტის მძაფრი, საინტერესო, შინაარსიანი გამოსვლების მოლოდინით, ხალხი მოელოდა მწვავე ლიტერატურულ დისკუსიებს. რომლებიც ყოველთვის თავდებოდა ხოლმე პოეტის მიერ თავისი ახალი ლექსების წაკითხვით. მაიაკოვსკი კი ლექსის კითხვის შეუდარებელი და სწორუპოვარი ოსტატი იყო. ჩემს ცხოვრებაში მე ბედნიერება მქონდა მომესმინა ჩვენი მრავალეროვნული სამშობლოს ყველა გამოჩენილი პოეტის, ყველა საუკეთესო მსახიობის გამოსვლა ლექსების კითხვით. ყოველი მათგანი შესანიშნავი ოსტატობით და განუმეორებელი თავისებური ძლიერებით ფლობდა ლექსის კითხვის რთულსა და შესანიშნავ ხელოვნებას. მაგრამ არავის არ მოუხდენია ჩემზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება, როგორც ახდენდა ვ. მაიაკოვსკი თავისი ლექსების წარმოთქმით. დიახ, იგი მართლაც წარმოთქვამდა საკუთარ ლექსებს საოცრად გააზრებული, სწორედ აზრობრივი შემოქმედების რაღაც განსაკუთრებული ხელოვნებით. ეს არ იყო არც წაკითხვა, არც წამღერება, არც დეკლამაცია. როგორც ყველაფერში, აქაც იგი განუმეორებლად თავისებური და უნიკალური იყო. ხსენებული პლაკატების შემდეგ მალე ქალაქში გამოეფინებოდა ხოლმე აფიშები, რომლებზეც უკვე დაწვრილებით იყო აღნიშნული ლექცია-საუბრების თემები და თეზისები, დასახელებული იყო ახალი ლექსების სათაურები. ხოლო ორიოდ დღის შემდეგ გამოჩნდებოდა თვითონ მაიაკოვსკი, გოლიათური გარეგნობით, მძლავრი ხმით, რაც საყვებით შეესაბამებოდა მისი შემოქმედების გაქანებას და დიპლომატონს, მის მებრძოლ შემართებას. თბილისში მისი ყოფნის დღეებში, ჩვენ აღელვებული და აფორიაქებული ვიყავით, თან დავეყვებოდით

მას მრავალრიცხოვან ლიტერატურულ გამოსვლებზე. ის კი სიამოვნებით, დაუზარებლად გამოდიოდა დიდ საკონცერტო და თეატრალურ ღარბაზებშიც. მწერალთა წრეშიც, მუშათა კლუბებშიც, სტუდენტურ აუდიტორიებშიც. მას ძლიერ უყვარდა ასეთი გამოსვლები, ხალხთან, მკითხველებთან უშუალო შეხვედრები და კონტაქტები. მახსოვს, ერთ-ერთი ასეთი გამოსვლის დროს დიდი სიამაყით განაცხადა: ჩემი მსმენელების რაოდენობა დიდად აჭარბებს რომელიც გნებავთ სქელტანიანი ჟურნალის ტირაჟს, მხოლოდ ყდა მაკლია, ამისთვის თავს არავინ იწუხებსო. როგორც საკუთარ, პირად საამაყო მიღწევას, ისე განვიცდიდით მისი უმცროსი თანამოაზრეები იმ უდიდეს წარმატებას, რომელიც თან ახლდა ხოლმე მის ყოველ გამოსვლას. გარდა იმისა, რომ ნამდვილ აღტაცებას იწვევდა ლექსების დიდებული კითხვით, იგი იპყრობდა მსმენელებს შესანიშნავი ორატორული ხელოვნებით. ლაპარაკობდა სახეობრივად, შთამაგონებლად, წარმტაცად. იყო იშვიათი პოლემისტი და კამათის დროს, შემტევი, სიმკაცრის მიუხედავად, მუდამ მომზიბვლელობას და ტაქტს ინარჩუნებდა. მისი პოლემიკური ხერხები რაღაც თავისებური ქმედითი ძალით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ამ მხრივ დამახასიათებელი ერთი ეპიზოდი — მისი გამოსვლა თბილისში, ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში 1927 წლის დეკემბერში. ჩვენ იქ მივედით პირდაპირ მწერალთა სასახლიდან, სადაც ვ. მაიაკოვსკი რამდენიმე საათის განმავლობაში ესაუბრებოდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ეროვნულ სექციასა წევრებს, განიხილავდა მაშინ თბილისში მცხოვრები რუსი პოეტების ლექსებს, აკრიტიკებდა მათ, ეკამათებოდა, უკითხავდა შეკრებილთ თავის ახალ პოეტურ ქმნილებებს. და ამგვარი ხანგრძლივი დამქანცველი მუშაობის შემდეგ, პოეტი პირდაპირ, დაუსვენებლივ გამოვიდა კომუნისტური უნივერსიტეტის ვრცელ დარბაზში, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი და დაიწყო მოხსენება საბჭოთა პოეზიის საკითხებზე. იგი ლაპარაკობდა პოეზიის ახალი ამოცანების შესახებ ჩვენი სამშობლოს ისტორიის თანამედროვე ეტაპზე, განმარტავდა და იცავდა თავის იდეურ-ესთეტიკურ პოზიციებს, აკრიტიკებდა, ერთი მხრივ, კონსერვატორებსა და რუტინიორებს, და, მეორე მხრივ, დოგმატიკოსებსა და დოქტრინიორებს. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობიდან საპასუხო სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი მ. ლისოვსკი. მან წამოაყენა მაიაკოვსკის წინააღმდეგ იმ ხანებში ფართოდ გავრცელებული არგუმენტი: „თქვენ გაუგებარი ხართ მკითხველი მასებისათვის!“ პოეტს მობეზრებული ჰქონდა ამგვარი უსაფუძვლო საყვედურები, იგი გაბრაზდა, მაგრამ თავშეკავებულად და მშვიდად უპასუხა ოპონენტს: მოდით ჩვენ ახლა თვალნათლივ განვიხილოთ ეს საკითხი, შევამოწმოთ, თუ რამდენად სწორია თქვენი დე-

ბულება, და იგი დადგა სცენის შუაგულში, გაიხადა პიჯაკი, თითქოს გადამწყვეტი შეტაკებისათვის ემზადებოდა და ზედიზედ წაიკითხა „მარცხენა მარში“, „საიუბილეო“, „სერგეი ესენინს“, „ქრისტეფორე კოლუმბი“ და თავები პოემიდან „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“ და „კარგია!“, მქუხარე და ერთსულოვანი ოვაციით გამოეხმაურა დარბაზი პოეტს. მაიაკოვსკიმ მიმართა აუდიტორიას: „გთხოვთ, ვინც ვერ გაიგეთ ჩემი ლექსები, ასწიოთ ხელი,“. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ერთადერთმა მსმენელმა ასწია ხელი. გამოიკვია, რომ ეს ყოფილა სტუდენტი. რომელიც წინაღობით ჩამოსულა თბილისში შორეული მთიანი რაიონიდან და სრულიად არ სცოდნია რუსული ენა, გამაყრუებელმა ხარხარმა და პოეტისადმი მიმართულმა ტაშის ქუხილმა დაფარა ვრცელი დარბაზი. დაბნეული, უხერხულ მდგომარეობაში ჩაჯარდნილი ლისოვსკი შეეცადა თავი დაეცვა. „თქვენ გაგიგეს და ტაშსაც გიკრავენ იმიტომ, რომ კარგად კითხულობთ ლექსებს“. — უთხრა მან მაიაკოვსკის. პოეტმა უპასუხა: „თუ ყველაფერი მართლა ლექსის წაკითხვაზეა დამოკიდებული, ჩამოაყალიბეთ მხატვრული კითხვის კურსები. ეს სომ თქვენს უფლებას და მოვალეობას შეადგენს“.

მაიაკოვსკის თბილისში ყოფნა აცხოველებდა ლიტერატურულ ატმოსფეროს, ამძაფრებდა კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს მწერალთა ფენებსა და დაჯგუფებებს შორის. ერთხელ, როცა რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში პოეტი თავის ახალ პოემას „კარგია!“ კითხულობდა, შესეგნების დროს კულისებში მის გარშემო თავი მოიყარეს ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. გაჩაღდა ცხოველი საუბარი, რომლის მსვლელობაშიც სტუმარი იმდროინდელი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ზოგიერთ მწვავე საკითხს შეეხო. მსჯელობა მემარცხენეობის ჩგუფის შესახებ. მისი ურთიერთობის შესახებ რუსულ „ლეფთან“ ვაცხარებულ კამათში და კინალამ ჩხუბშიც გადაიზარდა ჩვენი ჩგუფის წევრებსა და „ცისფერყანწელებს“ შორის. უცებ სტუმარმა შემფოთებული გამომეტყველებით გამაფრთხილებლად განაცხადა: „თუ ჩხუბს დაიწყებთ, მე ჩავერევი მასში ჩემი მეგობრების დასაცავად“. აყალმაყალის გუნებაზე დამდგარნი ერთბაშად იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. ამ დროს ზარის ღმაც გაისმა, დაიწყო სელამოს მეორე განყოფილება და მაიაკოვსკი სრულიად დამშვიდებული შეუდგა თავისი საოქტომბრო პოემის დასკვნითი თავების კითხვას.

არასოდეს დამავიწყდება ის აღტაცება, რომელიც გამოიწვია ვ. მაიაკოვსკიმ თბილისის უნივერსიტეტის კლუბში, როცა თავის მოხსენებაში ზეპირად იმოწმებდა ქართულ ხალხურ ლექსებს და ანდავებს, როცა იგი ტრიბუნიდან ჩაერია სტუდენტთა ვაცხარებულ კამათში, რომელიც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. თბილისში ყოფნისას ცდი-

ლობდა ხშირად ელაპარაკა ქართულად, სიყვარულით იმეორებდა ლო-
მე სტროფებს იროდიონ ევლოშვილის ლექსიდან „მეგობრებო, წინ,
წინ, გასწით!“ თავისთვის წაიძღვრებდა ხოლმე არსენა ჯორჯიაშვილის
სიტყვებს: „ესროლე ბოძბი, მოჯალი მხეცი, მაგრამ კაზაკებს ვერ
გაეჭვები...“ ცხადია, ყოველივე ეს მის მიხსიერებას შემოენახა 1905
წლის დაუფიწყარი, მგზნებარე დღეებიდან და აცოცხლებდა პოეტის
სულიერ სამყაროში სასიხარულო მოგონებებს ბაღდათსა და ქუთაის-
ში, მშობლიურ ოჯახში და თავისი იმდროინდელი ამხანაგ-მეგობრების
გარემოცვაში გატარებული ადრეული ბავშვობისა და ყრმობის დღეებ-
ზე. მის ქართულ მეტყველებას იმერული, ქუთაისური ელფარი დაჰ-
კრავდა და თანაც ეტყობოდა, რომ თანდათან ავიწყლებოდა ქართული-
ენის ზოგიერთი თავისებურება. ერთხელ, მაგალითად, რომელიღაც
რესტორანში სასადილოდ შევედით მასთან ერთად. ჩვენ ოთხნი ვიყა-
ვიით. სუფრის გამწყობმა ხუთი ჭიქა მოგვიტანა. მაიაკოვსკიმ უთხრა
მას: „ამხანაგო, ან ერთი კაცი მეიტანე, ან ერთი სტაქანი წეილე“.

ჩვენ ვცდილობდით, რაც შეიძლება დიდხანს ვყოფილიყავით მასთან.
სტუმარს მარტოდ ეტოვებდით მხოლოდ ძილის ან ლექსებზე მუშაობის
საათებში, თბილისში ყოფნის დროს იგი ყოველთვის მეგობრების გარე-
მოცვაში სადილობდა და ვახშობდა დაძაბულ შრომაში გატარებული
დღის შემდეგ (საჯარო გამოსვლები, საუბრები, ინტერვიუები გაზეთე-
ბისათვის, მუშაობა ახალ ლექსებზე). მას უყვარდა მხიარული დროს-
ტარება მეგობართა წრეში. ასეთ შემთხვევებში იგი იყო იშვიათად
გონებამახვილი და თავაზიანი თანამოსაუბრე. არაჩვეულებრივად მო-
ალერსე და ყურადღებიანი ყველა თანამესუფრის მიმართ: ჩვენ შორის
იჭდა კეთილი, მხიარული, ცხოვრების სიყვარულით აღსავსე, მოკრძა-
ლებული და მომხიბვლელი ადამიანი, რომელსაც აზრდაც კი არ მო-
უვიდოდა ეფიქრა და წარმოედგინა თავისი რაიმე უპირატესობა რო-
მელიმე იქ მყოფთან შედარებით. კარგადაც სვამდა. ვერ ვიტყვი, რომ
სმა ჰყვარებოდეს, მაგრამ მეგობრულ სუფრაზე სმამიც არავის ჩა-
მოუვარდებოდა ჩვენს შორის. მხოლოდ ქართულ ღვინოს ეტანებო-
და და ვაჟკაცურადაც იტანდა მას. მთვრალი მაიაკოვსკი არავის უნა-
ხავს, არავის ახსოვს, რომ იგი ზრდილობისა და გონიერების საზღვარს
გადასულიყოს, რომ მას ენა და ნაბიჯი წაბორძიკებოდეს. სუფრაზე
უყვარდა ხუმრობა და ლექსების კითხვა, საკუთარისა და სხვისი ლექ-
სების. ზეპირად იცოდა რუსული პოეზიის მრავალი ნიმუში. რასაკვი-
რველია, თავისი წინამორბედებისა და თანამედროვეების მხოლოდ ის
ლექსები, რომლებიც მას განსაკუთრებით მოსწონდა და უყვარდა.

1930 წლის 2 თებერვალს მე პირველად ჩავედი მოსკოვში. ახალი
სამყაროს დედაქალაქის პირველი ხილვის შთაბეჭდილებებით გაბრუ-
ებული ვისწრაფვოდი შევხვედროდი გამოჩენილ რუს საბჭოთა მწერ-

ლებს. ზოგ მათგანს ამ დროისათვის მე პირადად ვიცნობდი; ისინი საქართველოში ჩამოდიოდნენ და აქ ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. ამ მისწრაფებამ მიმიყვანა გერცენის სახლში, ტვერის ბულვარზე, სადაც მაშინ მოთავსებული იყო მოსკოვის სამწერლო ორგანიზაციები. შენობის მეორე სართულზე, ნახევრად ჩაბნელებულ კორიდორში უეცრად შემომესმა მიაიკოვსკის განუმეორებლად მელერადი, მძლავრი, ხავერდოვანი ხმა. იგი მეგობრულად მესალმებოდა და ჩემსკენ მოემართებოდა. ამ მოულოდნელმა შეხვედრამ პოეტთან, რომელიც ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აღარ მენახა, განუზომლად გამახარა და აღმაფრთოვანა. ჩვენ ჩამოვეჩქით იქვე, დერეფანში პატარა მერხზე და დიდხანს ვსაუბრობდით. პოეტი მეკითხებოდა თავისი ქართველი მეგობრებისა და ამხანაგების შესახებ, ახალი მოვლენების შესახებ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ცხოვრებაში, აღელებული ლაპარაკობდა, რომ გუშინ მოსკოვში გაიხსნა მისი 20 წლის პოეტური მოღვაწეობის საანგარიშო გამოფენა, რომ ამ დღეებში ლენინგრადში შედგება მისი ახალი პიესის „აბანოს“ პრემიერა.

— კარგია, რომ ჩამოხვედით. სწორედ დღეს საღამოს საზეიმოდ გაიხსნება საბჭოთა მწერლების გაერთიანებათა ფედერაციის კლუბი. მე დიდ იმედებს ვამყარებ ამ კლუბზე. იგი უნდა დაგვეხმაროს ახლა სხვადასხვა წერილმან დაჯგუფებებად დანაწილებული ჩვენი ლიტერატურული ძალების გაერთიანებაში. კარგი იქნება, რომ თქვენ გამოხვიდეთ და მიესალმით ამ კლუბის გახსნას ქართველი მწერლების სახელით. ეს იქნება ერთგვარი ნიშანი ჩვენი კონტაქტებისა მოძმე რესპუბლიკების მწერლებთან. ამჟამად კი ჩვენ ასეთი ურთიერთკავშირი თითქმის სრულიად არ ვაგვაჩნია. აი, ამას წინათ მოსკოვში ჩამოვიდა უკრაინელ მწერალთა დიდი დელეგაცია. ჩვენ მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით, რომ შევეუდგებით რუსულ ენაზე უკრაინული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნას და გამოცემას. მეც ჩავები ამ მუშაობაში, ვიწყებ უკრაინელ მწერალთა ნაწარმოებების თარგმნას, რა კარგი იქნება, რომ ქართველი მწერლების დიდი ჯგუფიც ჩამოვიდოდეს ჩვენთან მოსკოვში და ასეთივე საქმიანი ურთიერთობა დამყარდებოდეს ჩვენს შორისაც, მე დავაყენებ ამ საკითხს მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის წინაშე. ოი, რა დიდი საქმე ვაკეთდება? თქვენ, ქართველებს ზომ ასე მდიდარი და შესანიშნავი ლიტერატურა გაქვთ, ძველიც და თანამედროვეც. მეც დიდი ხალისით ჩავებმები ამ საქმეში. ვადავთარგმნი პაოლოს, ტიცანის, სიმონის, სხვების, თქვენი დიდი კლასიკოსების ლექსებს. მე მგონია, ერთადერთი რუსი პოეტი ვარ, რომელმაც ქართული ენა ვიცო. მართალია, ცოტა წამუშავება დამჭირდება. რომ მთლიანად აღვიდგინო ამ ენის ცოდნა. მე ოდესღაც სრულიად თავისუფლად ვლაპარაკობდი, ვკითხულობდი და ვწერდი ქართულად, ჩემ-

თვის სრულიადაც არ იქნება ძნელი ყოველივე ამის გახსენება და აღ-
დგენა. მართლაც. რატომ არ უნდა იცნობდეს რუსეთი და მთელი ქვე-
ყნიერება ქართული მწერლობის დიდებულ სიმდიდრეს? უნდა მოვა-
წესრიგოთ ეს საქმე. ო, როგორ გადაეუხდიდი მე მაშინ საქართველოს
ჩემზე გაწეულ დედობრივ ამაგს! მე ვიკისრებ ამ საქმის ინიციატივას,
თორემ რა გამოდის? აი, „რაპკელებს“... აქეთ კავშირურთიერთობანი
თავისიანებთან მოძმე რესპუბლიკებში, დანარჩენმა მწერლებმა კი,
მგონი, არც კი იციან ერთმანეთის არსებობის შესახებ.

— ჩვენც გავერთიანდეთ რაიმე სახით, — ვუთხარი მე, — აკი უკ-
რაინაში არსებობს „ნოვა გენერაცია“, საქართველოში „მემარცხენეო-
ბა“, სომხეთშიც არიან ამ მიმდინარეობის პოეტები. უეჭველია, სხვა
მოძმე რესპუბლიკებშიც აღმოჩნდებიან ჩვენი თანამოაზრენი და თა-
ნამებრძოლები, ვცადოთ მათი გაერთიანება რუსული „ლეფის“ თუ
„რეფის“ გარშემო.

— არა, ეს სულ სხვა იქნება, არ შეიძლება ეს საქმე წარიმართოს
კარჩაკეტილად განსაკუთრებული ჯგუფებისა და სექტორების მიხედ-
ვით. და საერთოდ, ჩვენი ლიტერატურის ასეთი ჯგუფობრივი დაქუც-
მაცება უკვე კარგავს ყოველგვარ აზრსა და მნიშვნელობას: ნუთუ არა.
გრძნობთ, რომ მწერლების ასეთი ჩაკეტვა ვიწრო ჯგუფობრივ ჩარჩო-
ებში დღეს-ხვალ უკვე ანაქრონიზმი იქნება. ახლა მოღვაწეობის სარ-
ბიელის გაფართოებაზე, ლიტერატურის მასობრივ მასშტაბებზე უნ-
და ვიფიქროთ. უფრო დაწვრილებით უნდა მოვილაპარაკოთ ამის შე-
სახებ. დღეს საღამოს კი აუცილებლად მოდიოთ კლუბში. მე გავაფრთხი-
ლებ ამახანაგებს, რომ თქვენ სიტყვა მოგცენ. ეს მეტად საჭირო და მნიშ-
ვნელოვანია. მაშ ასე, საღამომდე. მე კი ახლა საქმეებზე უნდა გავიქცე.

მე კიდევ გამახარა და კიდევ შემაშფოთა მიაკოვსკის წინადადე-
ბამ. მოსკოვის სამწერლო საზოგადოებრიობის წინაშე ექსპრომტულად,
მოუმზადებლად გამოსვლა რუსულ ენაზე, რასაკვირველია, შეუძლებ-
ლად მეჩვენებოდა. მეორე მხრივ კი მეტად მიმზიდველი იყო ასეთი
შესაძლებლობა — მოსკოვში ჩასვლისთანავე მოხვედრილიყავი დედა-
ქალაქის ლიტერატურული ცხოვრების ატმოსფეროში.

ამგვარი ფიქრებით და საზრუნავით გართული გავეშურე სერგეი
ტრეტიაკოვის ბინისაკენ. მე მას კარგად ვიცნობდი. იგი ხშირად ჩამო-
დიოდა საქართველოში, მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კინო-
მრეწველობაში, წერდა სცენარებს, ეხმარებოდა ახალგაზრდა ქართველ
კინოდრამატურგებსა და რეჟისორებს, მეგობრობდა ქართული ლიტე-
რატურისა და ხელოვნების ბევრ მოღვაწესთან. ტრეტიაკოვების ოჯა-
ხში ალერსიანად და სტუმართმოყვრულად დამიხვდნენ. მწერლის
მეუღლემ — ოლდა ვიქტორის ასულმა სურვილი გამოთქვა, რომ ჩემ-
თვის „გიდობა“ გაეწია, ეჩვენებინა მოსკოვი. დღეს კი, — მითხრა მან, —

მე თქვენ წაგიყვანთ მწერალთა კლუბის საზეიმო გახსნაზე. ეს თქვენთვის, ალბათ, ძლიერ საინტერესო იქნება. მე არაფერი მითქვამს ტრიტიაკოვებისათვის მიაიკოვსკის მიერ ჩემთვის შემოთავაზებული გამოსვლის შესახებ, რადგან თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ კლუბის გახსნაზე ჩემი გამოსვლა შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყო.

სალამოს 7 საათზე მწერალთა კლუბში ვიყავით, იმ სახლში (ვოროვისკის ქ. №52), რომელშიც ამეამად მოთავსებულია სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობა. ვინაიდან მოსაწვევი ბილეთი არ მქონდა, ჩემს „გიდს“ დარბაზში შესასვლელთან ვრცელი სიტყვის წარმოთქმა დასჭირდა იმის შესახებ, რომ მე ქართული მწერლობის წარმომადგენელი ვარ, ვითომდა საგანგებოდ ჩამოსული კლუბის საზეიმო გახსნაზე დასასწრებად. გამატარეს დარბაზში. მე განზრახ ავიჩიე ადგილი ტრიბუნიდან ყველაზე დაშორებულ რიგში, თანაც რომელიღაც სვეტს მოფარებულ სკამზე, რათა დავმალვოდი მიაიკოვსკის და თავი დამეღწია გამოსვლის საშიშროებისაგან.

საზეიმო სალამო გახსნა ვლადიმერ ლუგოვსკოიმ. იგი თურმე მწერალთა კლუბის გამგეობის თავმჯდომარედ იყო არჩეული ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ. მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ მან განაცხადა: ამხანაგებს, რომლებიც მოსალოცად არიან წარმოგზავნილნი, ვთხოვთ დაიკავონ ადგილები პრეზიდიუმში. სცენისაკენ ათიოდე კაცი გაემართა. მე, რასაკვირველია, ადგილზე გავიტრუნე და ხმა გავკმინდე. ლუგოვსკოიმ თვალი მოავლო სცენაზე მსხდომთ და დარბაზს მიმართა: საქართველოდან ჩამოსულ ამხანაგს ვთხოვთ ამოვიდეს პრეზიდიუმში. მე ადგილიდან არ დავძრულვარ, თითქოს ეს მე არც კი მეხებოდა. მაშინ წამოდგა მიაიკოვსკი, მზერით მომძებნა დარბაზის უკანასკნელი რიგის კუთხეში, ხელი ჩემსკენ გამოიშვირა და ქართულად დაიგუგუნა: „ბესო, სადა ხარ ბიჭო, სად იმალები, გამოდი აქ!“, დარბაზში მხიარული ხარხარი გაისმა, ხალხი გაკვირვებული შემომჩერდა, შემკრთალი და წელში მოხრილი გავემართე სცენისაკენ, ორიოდე ორატორის შემდეგ სიტყვა მე მომცეს, როგორც საქართველოს წარმომადგენელს. ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების დიდი ნაწილი ტრიბუნაზე მაქვს გატარებული, მაგრამ არასოდეს, არც მანამდე და არც მას შემდეგ იმდენი არ მიღეღვია საჯარო გამოსვლისას, რამდენიც მაშინ. აზრის მოკრება ვერ მოვახერხე. ერთადერთი, რაც მოვიფიქრე, ის იყო, რომ სხაპასხუპით მელაპარაკნა, რომ მსმენელთათვის არ დამეცლია შეემჩნიათ ჩემს მიერ რუსული ენის გრამატიკისა და მახვილთა ხმარების წესების დაუნდობელი დარღვევები. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა ორი დღის შემდეგ „ლიტერატურნაია გაზეტა-ში“ წავიკითხე ამ საზეიმო სალამოს ანგარიში, სადაც ძალზე მწყობრად და დალაგებულად იყო გადმოცემული ჩემი გამოსვლის შინაარსი.

მაშინ პირველად ვიგრძენი და ვიწამე საგაზეთო რეპორტაჟის „სსს-წაულთმოქმედი“ ძალა.

მაიაკოვსკიმ შემეჩო გამოსვლა და მიმიპატრუა მეორე დღისათვის მის საანგარიშო გამოფენაზე. „მე თვითონ დაგათვალე რეზინებთ გამოფენას და ყველაფერს ავიხსნით, თუმცა რა ახსნა-განმარტება დაგჭირდებათ, თქვენთვის იქ ყველაფერი ცნობილი და გასაგები იქნება. აკი მივალწიეთ ჩვენ ისეთ ცხოვრებას, რომ ყველანი საცესებით ნათელი და გასაგები გავხდით!“ ხუმრობის, ირონიისა და სევდის რაღაც-ნაირი ნაზავი გამოსქვიოდა პოეტის ამ სიტყვებში.

მეორე დღით გამოფენაზე რომ მივედი, დავინახე მაიაკოვსკი, რომელსაც გარს ახალგაზრდა დამთვალე რეზინებლთა დიდი ჯგუფი შემოკბეოდა. ღრმა დაინტერესებით, ცოცხლად და საინტერესოდ განუმარტავდა პოეტი სტუმრებს გამოფენის ექსპონატებს, დამინახა თუ არა, ალერსიანი ღიმილით გამოემართა ჩემსკენ, წარმადგინა დამსწრეთა წინაშე და ბუნებრივად განაგრძო წუთით შეწყვეტილი საუბარი გამოფენის მასალების შესახებ.

ჩემს თვალწინ ერთბაშად გადაიშალა ქვეშარიტად გრანდიოზული სანახაობა. მე კარგად ვიცნობდი მაიაკოვსკის მთელ შემოქმედებითს გზას და მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ერთ კაცს შეეძლო შეეთავსებინა თავის პიროვნებასა და მოღვაწეობაში მართლაც გმირული შემოქმედებითი საქმეების ესოდენ მდიდარი მრავალმხრივობა. კედლები, ოთახებში განლაგებული ვიტრინები, სპეციალური სტენდები და სტელაჟები მოფენილი იყო მაიაკოვსკის წიგნების გამოცემებით; ყურანალებით, გაზეთებით და ფურცლებით, რომლებშიც მისი ნაწარმოებები იყო დაბეჭდილი, „როსტას ფანჯრების“ პლაკატებით. მთელს ჩვენს ქვეყანაში პოეტის მრავალრიცხოვანი გამოსვლების მათწყებელი აფიშებით, მრავალრიცხოვანი ფოტოსაილუსტრაციო მასალებით. მთელი ეს აურაცხელი მასალა განლაგებული იყო მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო მაგიდებზე დაწყობილმა დიდი ფორმატის ალბომებმა. მათ ფურცლებზე დაბეჭდილი იყო მრავალრიცხოვანი შეკითხვები, რომლებსაც მსმენელები აძლევდნენ ხოლმე პოეტს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში მისი გამოსვლების დროს და აგრეთვე პოეტის პასუხები ამ შეკითხვებზე, თურმე მაიაკოვსკი არ კარგავდა მსმენელებისაგან მიღებულ შეკითხვებს, ახარისხებდა მათ ქალაქებისა და აუდიტორიების მიხედვით, ინახავდა თავის არქივში. რამდენი შრომა, დრო, ენერგია უნდა დაეხარჯა პოეტს თუნდაც მარტო ამ ერთ საქმეზე, რომელიც სრულიადაც არ წარმოადგენდა მისთვის მთავარსა და პირველხარისხოვან სამუშაოს. ამ ალბომების გადაფურცლისას მე შევხვდი ბევრ ისეთ შეკითხვასაც, რომლებიც ჩემი თანდასწრებით მი-

ულია შაიაკოვსკის თბილისში. მაგალითად, ერთხელ. როდესაც პოეტი რუსთაველის თეატრის დარბაზში კითხულობდა მოხსენებას „ამერიკის აღმოჩენა ჩემს მიერ“, მოიხსენია რუსი პოეტი კ. ბალმონტი და თანაც თქვა, რომ მან საქართველოდან წაიღო მშვენიერი სიტყვა „მაკოცე“. დარბაზის პირველი რიგებიდან ფრიად სიმპათიური შესახედაობის ქალი შეეკითხა: „ვლადიმერ ვლადიმერის ძეგ, თქვენ იცით მაგ სიტყვის მნიშვნელობა?“ პოეტმა მყისვე უპასუხა: „მე ამ სიტყვის არა მარტო მნიშვნელობა, პრაქტიკული გამოყენებაც ვიცი, გთხოვთ მხედველობაში იჭონიოთ ეს გარემოება“. შეკითხვის ავტორიც და მთელი დარბაზიც მხიარული სიცლით გამოეხმაურა პოეტის ამ პასუხს. იმ საღამოს მე რატომღაც ოდნავი დაგვიანებით მივედი თეატრში. მაიაკოვსკი უკვე სცენაზე იდგა და ლაპარაკობდა. დარბაზში ფეხაკრეფით შესული რომ დამინახა, გადმომძახა: „ბესო, ახლოს მოიწიოთ. აი, შეხედეთ, ბესოს ცეცხლი წაქიდებია თავზე, მოვეხმაროთ, გადავარჩინოთ!“ ხალხი განცვიფრებული შემომჩაჩერდა. ზოგს თურმე მართლა ეგონა, რომ რაიმე უბედურება შემემთხვა, მალე ყველანი მიხვდნენ რა ცეცხლსაც გულისხმობდა მაიაკოვსკი, მას თურმე ჩემი მაშინდელი მოთეთრო-მოწითალო ქოჩორი ჰქონდა მხედველობაში.

ერთხელ თბილისში მეღიბათნე მუშათა კლუბში (პლენხანოვის პრესპექტზე, სადაც ამჟამად ფლარმონიის ღირეკციაა მოთავსებული) მაიაკოვსკიმ თავის სხვა ნაწარმოებთა შორის წაიკითხა ლექსი „სერგეი ესენინს“. ერთი მსმენელისაგან მან ასეთი შეკითხვა მიიღო: „თქვენ სერგეი ესენინს ედავებით, მას კი ხალხი თქვენზე მეტად კითხულობს“. პოეტმა ხმაშეკრულად წაიკითხა ეს შეკითხვა და მღელვარედ უპასუხა: „იშისათვის, რომ ხალხს მისი ლექსები წაეკითხა, ესენინს დასჭირდა თავი მოეკლა. ვნახოთ. მეც თუ თავი მოვიკალი. წაიკითხავენ ჩემს ლექსებსაც ესენინის ლექსებზე არანაკლებად!“ დღემდე ვერ დამივიწყნია პოეტის ეს მწარე სიტყვები, რომლებშიც დიდი პოეტის რაღაც ტრაგიკული, საბედისწერო წინათგრძნობა გამოიხატა.

საგამოფენო დარბაზის კედლებიდან თითქოს მთელის ხმით ეღერდა მაიაკოვსკის გარითმული ლოზუნგები, სააგრიტაციო-მომწოდებელი ლექსები, პოეტური პამფლეტები, შარეები, სატირული სტროფები, რომელთაც უთვალავი რაოდენობით ჰქმნიდა იგი სამოქალაქო ომის წლებში და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის პერეკლში. ამ გასაოცარი საანგარიშო გამოფენის დამთვალეირებლის თვალწინ ერთბაშად წამოიმართებოდა გიგანტური ფიგურა „რევოლუციის მიერ მობილიზებული და გაწვეული“ მებრძოლი პოეტისა, „აგრიტატორის, მესაყვირისა და მეთაურისა“. დიახ. მხოლოდ კაცობრიობის მთელს ისტორიაში უმაგალითო და სწორუპოვარს. ჩვენს სოციალისტურ რევოლუციას შეეძლო წარმოეშვა ასეთი პოეტი და მხოლოდ

ასეთ პოეტს შეეძლო ასეთი ენციკლოპედიური სისრულით მოეცვა და გამოეხატა თავის შემოქმედებაში ჩვენი ეპოქის ტიტანური მასშტაბები და გაქანება. და სავსებით ნათელი ხდებოდა მთელი უაზრობა და უსამართლობა იმ მდგომარეობისა, რომ ასეთი პოეტი იწოდებოდა რევოლუციის წვრილბურჟუაზიულ „თანამგზავრად“, მას მოწყალებით სთავაზობდნენ „მოკავშირის“ ტიტულს, ხოლო პროლეტარული მწერლობის რეპუტაცია დასაკუთრებული ჰქონდათ ადამიანებს, რომელთა შორის ბევრი არც კი იყო ღირსი მაიაკოვსკის „თანამგზავრის“ სახელისა. მაღე, სულ ორი წლის შემდეგ ამ წარმოუდგენელ გაუგებრობას და უსამართლობას სამუდამოდ მოეღო ბოლო, საქმეში პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ჩარევის მეოხებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვ. მაიაკოვსკი ვეღარ მოესწრო ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულ დადგენილებას, რომელმაც, როგორც ცნობილია, უდიდესი როლი შეასრულა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომს განვითარებაში.

მე დიდი ხნით დავრჩი გამოფენაზე, ვუერთდებოდი მომსვლელთა ახალ და ახალ ჯგუფებს და მათთან ერთად ისევ და ისევ ვათვალიერებდი ერთსა და იმავე ექსპონატებს. — არ მოგწყინდათ, ბესო, ერთი და იგივეს მოსმენა რამდენჯერმე? — სიცილით მკითხა მაიაკოვსკიმ. — მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში სიამოვნებით მოგისმენდით თქვენ, — ვუპასუხე.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ პოეტმა გულისტკივილით მიამბო, რომ იგი თითქმის ერთადერთი ეწეოდა მთელ ამ მძიმე მუშაობას გამოფენის მოსაწყობად. არავინ ეხმარებოდა, არავინ ედგა გვერდით, გარდა რამდენიმე ახალგაზრდა ენთუზიასტისა, გულგრილად და თითქმის „ოპოზიციურად“ იყვნენ განწყობილი გამოფენისადმი პოეტის „ლეფელი“ მეგობრები და თანამებრძოლები, რომლებიც თურმე ნაწყენი და შეუტრაცხოფილნი იყვნენ იმით, რომ მაიაკოვსკიმ თავისი პირადი საანგარიშო გამოფენა მოაწყო და სრულიადაც არ გამოეხმაურნენ მას რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელები იმის გამო, რომ გამოფენამ თვალნათლივ და დამარწმუნებლად დაანახვა ყველას, თუ ვინ ყოფილა უკეთესი პროლეტარული პოეტი ჩვენს ქვეყანაში.

ამ საუბრის დროს მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ თურმე მაიაკოვსკი უახლოეს დღეებში აპირებდა გამოსვლას განცხადებით რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში შესვლის შესახებ, რათა მოეპოვებინა საშუალება კიდევ უფრო მასობრივი ლიტერატურული მოღვაწეობის გასაშლელად, რაზედაც პოეტი დაჟინებით ოცნებობდა სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში. 5 თებერვალს მე, როგორც

სტუმარი, ვესწრებოდი მოსკოვის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის კონფერენციას. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მაიაკოვსკი. იგი ლაპარაკობდა „რეფის“ („ხელოვნების რევოლუციური ფორმტი“ — ამგვარად იყო ამ დროისათვის გადარქმეული „ლეფი“) ლიტერატურული პოზიციების შესახებ და ამტკიცებდა, რომ „რეფელებსა“ და პროლეტარულ მწერლობას შორის არ არსებობს არავითარი არსებითი განსხვავება მსოფლმხედველობისა და ლიტერატურულ-პოლიტიკური ხაზის სფეროში. მეორე დღეს კი, 6 თებერვალს მე მოვისმინე მაიაკოვსკის გამოსვლა, რომელშიც მან გააკეთა განცხადება რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში შესვლის შესახებ. ამ განცხადების ტექსტი საყოველთაოდ არის ცნობილი, მაგრამ რატომღაც პოეტის ამ გამოსვლის ანგარიშში ასახული არ არის მისი ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი აზრი, რომელიც მან გამოთქვა თავისი განცხადების დასასაბუთებლად წარმოთქმულ სიტყვაში, მე დაუვიწყრად დამამახსოვრდა პოეტის შემდეგი სიტყვები: „მე ვერ წარმომიდგენია, რომ ოდესმე, ათასწლეულების შემდეგ ლიტერატურის ისტორიკოსმა თქვას: რუსეთში ამა და ამ წელს იყო ამდენი და ამდენი პროლეტარული მწერალი და კიდევ იყო ვლადიმერ მაიაკოვსკი“. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც მან საჭიროდ ჩათვალა ხაზგასმით აღენიშნა, რომ იგი ყოველთვის თვლიდა თავს მოიერიშე კლასის პოეტად, იმ კლასისა რომელსაც მან მთლიანად და უყოყმანოდ მიუძღვნა თავისი დიდი ნიჭი და შთაგონება. ამ გამოსვლის დასასრულს პოეტმა დიდის აღფრთოვანებით წაიკითხა თავისი უკანასკნელი გენიალური ქმნილება „მთელი ხმით“. ლექსმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ყველა დამსწრეზე. დიდხანს არ ცხრებოდა დარბაზში ოვაციის ქარიშხალი. პოეტის დიდი შემოქმედებითი ცხოვრების ეს ბრწყინვალე აპოთეოზი დამარწმუნებლად ადასტურებდა, თუ რაოდენ უსუსური და უაზრო იყო ზოგიერთი ვაიკრიტიკოსის მტკიცება, თითქოს მაიაკოვსკის უკვე ამოწურული ჰქონდეს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და ახლა მხოლოდ უკვე მიღწეულსა და განვლილს იმეორებდეს. „მთელი ხმით“ გაისმა, როგორც დიდებული დასაწყისი პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალი, კიდევ უფრო ამალღებული და სრულყოფილი პერიოდისა, რომელიც თურმე, სამწუხაროდ, მთელი ჩვენი სოციალისტური კულტურის საუბედუროდ. ასე მალე უნდა შეწყვეტილიყო...

კონფერენციამ ერთხმად დაადგინა მაიაკოვსკის მიღება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში, მე შევამჩნიე, რომ დარბაზში მყოფმა სტუმრებმა და მათ შორის მეც, თავი ვერ შევკავეთ ხმის მისაცემად ხელის აწევისაგან, თუმცა ჩვენ არ გვეკუთვნოდა გადაწყვეტი ხმის უფლება კონფერენციაზე. კონფერენციის მუშაობის მსვლელობაში მე კიდევ ერთხელ მოვუსმინე მაიაკოვსკის. მან მონაწილეობა მიიღო

კამათში პოეზიის საკითხებზე გაკეთებული მოხსენების განხილვისას.

მოსკოვიდან თბილისში გამოგზავრების დღეს პოეტის მიპატიყებით მე მივედი მის ბინაზე გენდრიკოვის შესახვევში, სადაც იგი ცხოვრობდა ლილი და ოსიპ ბრიკებთან ერთად. დილის 11 საათი იქნებოდა. მაიაკოვსკი ხალისიანად შემეგება, გამაცნო ლილი ბრიკი. „ხედავ, ლილია, როგორია ჩვენი ბესო! გინახავს თეთრი ქართველი? აი, ეს ერთადერთია ასეთი!“ რამდენიმე ასეთი სახუშარო-საალერსო ფრაზის შემდეგ მან მითხრა: „დაჯექით, ბესო, ჩაი დალიეთ, ისაუბრეთ, მე კი ახლავე დავამთავრებ მუშაობას და ვისაუბროთ“. მე მივუჯექი მაგიდას ლ. ბრიკთან ერთად პატარა სასადილო ოთახში. მაიაკოვსკი კი გავიდა მეზობელ, ისევე პატარა ოთახში, რომელიც მის სამუშაო კაბინეტს წარმოადგენდა. იგი დადიოდა ოთახში და ნახევარი ხმით ბუტბუტებდა. თურმე პოეტს ლექსზე მუშაობისას მივუსწარი. კარები სასადილო ოთახსა და კაბინეტს შორის ღია იყო და ლექსის დაბადების პროცესი ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდა. დროდადრო იგი წუთით შეწყვეტდა ხოლმე ლექსზე მუშაობას, ჩაერეოდა ჩემსა და ლილი ბრიკის საუბარში და უცებ ისევ გავიდოდა კაბინეტში, გააგრძელებდა წინ და უკან სიარულს და ახლადშობილი სტრიქონების ბუტბუტს. გაისმა ტელეფონის ზარი. — „დიახ, დიახ. ერთი საათის შემდეგ მზად იქნება ლექსი“, — დაიგუგუნა მაიაკოვსკიმ ტელეფონის მიღში. ეს რომელიღაც რედაქცია სთხოვდა პოეტს დაეჩქარებინა შეკვეთილი და დაპირებული ლექსის ჩაბარება. მაიაკოვსკი განაგრძობდა ოთახში სიარულს, გზადაგზა ქალაღზე გადაჰქონდა მზა სტრიქონები და თანაც ჩვენს საუბარში ჩაურთავდა ხოლმე ორიოდ სიტყვას. მე განცვიფრებული ვიყავი ლექსის თხზვის ასეთი წესით. არაფერი ამისი მსგავსი ჩემს ცხოვრებაში არ მენახა და არც წარმომედგინა, თუმცა მთელი ჩემი ცხოვრება ჩემი უსაყვარლესი მეგობრების — მაღალნიჭიერი პოეტების გარემოცვაში გავატარე. ისევ გაიწკრიალა ტელეფონის ზარმა. — „დიახ, ნახევარი საათის შემდეგ შეგიძლიათ გამომიგზავნოთ კაცი ლექსის წასაღებად“, — უპასუხა პოეტმა და მართლაც, 20-25 წუთის შემდეგ მან დაამთავრა ლექსზე მუშაობა. მე გავედი მის სამუშაო ოთახში და იგი ერთბაშად შეუდგა ჩემთან საქმიან საუბარს. მან განაახლა გერცენის სახლში ჩვენი პირველი შეხვედრისას აღძრული საუბარი ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფის მოსკოვში ჩამოსვლისა და ქართველ პოეტთა ლექსების რუსულად თარგმნის ორგანიზაციის საკითხებზე. მე ვაცნობე მას, უახლოეს დროში ქართული დრამატიული თეატრი, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობს, აპირებს საგასტროლოდ მოსკოვში ჩამოსვლას, რომ თეატრს ჩამოყვები მე და აგრეთვე რამდენიმე ქართველი მწერალი. პოეტი დიდად დაინტერესდა ამ ამბით. იგი ღრმა პატივისცემით და სიყვარულით დაპარაკობდა სახელ-

განთქმულ ქართველ რევისორზე, იგონებდა მოლაპარაკებას მასთან და ირაკლი“ გამრეკელთან „მისტერია ბუფის“ მთაწმინდაზე წარმოდგენის შესახებ. „მაშინ ეს საქმე არ გამოვიდა, მაგრამ არაფერია. შეიძლება ახლა კონსტანტინე ალექსანდრეს ჭე დაინტერესდეს ჩემი ახალი პრესით „აბანოთი“. ის ხომ მძაფრ შეგკრძნებთა მოყვარულია, ყოველგვარი ვეგეტერიანობის მტერი ხელოვნებაში, ხომ ასეა?“

მე უმეტესად ჩუმად ვიყავი. დროდადრო მხოლოდ მოკლე რეპლიკებს ვურთავდი მის საუბარში. არ მინდოდა შემეწყვიტა მისი აზრების ბუნებრივი მსვლელობა, მინდოდა, რაც შეიძლება მეტი გამეგონა ჩემი დიდებული თანამოსაუბრისაგან. იგი კვლავ დაუბრუნდა აზრს იმის შესახებ, რომ „რეფმა“, ისე, როგორც ყველა სხვა წვრილმანმა სამწერლო ჯგუფებმა და სკოლებმა დაკარგეს არსებობის აზრი, წარმოიშობა იმის აუცილებლობა, რომ გავაერთიანოთ ჩვენი სოციალისტური ლიტერატურის ყველა სასიცოცხლო ძალები ერთობლივი დიდი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის. „აი, რატომ შევედი მე პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში — ყველაზე მასობრივ სამწერლო ორგანიზაციაში, თუმცა გულანდილად რომ გითხრათ, ჯერ მე ვერ ვგრძნობ ჩემდამი ასოციაციის ხელმძღვანელთა დამოკიდებულების რაიმე გაუმჯობესებას“. „მაგრამ მათ ხომ ერთხმად მიგიღეს თქვენ თავის ორგანიზაციაში“, — მიუუგე. „ეს მომზადებული იყო გარედან ზემოქმედების მეოხებით, ისინი კი არ ურიგდებიან აზრს, რომ მე პროლეტარულ ლიტერატურას ვეკუთვნი“, — თქვა დიდი გულსტივივით.

ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა. მაიაკოვსკიმ ლაპარაკი წამოიწყო თავისი გამოფენის ჩამოტანაზე საქართველოში და იმედი გამოთქვა, რომ თბილისში ამ გამოფენას დიდი წარმატება ექნებოდა... მე დიდი სიხარულით გავიზიარე პროექტის ეს განზრახვა და ვუთხარი, რომ საქართველოში, სადაც მას მრავალი გულწრფელი დამფასებელი, მოყვარული და პატივისცემელი ჰყავს, ნამდვილი აღტაცებით მიიღებენ, შეეგებებიან ამ გამოფენას. გამომშვიდობებისას მან მთხოვა, რომ სალამი ვადამეცა პაოლო იაშვილის, ტციან ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის, ნიკოლოზ ჩაჩავას, აკაკი ბელიაშვილისა და ბევრი სხვა თბილისელი მეგობრისათვის და კიდევ ერთხელ გაიმეორა: „აი, ენახოთ, ექნება თუ არა წარმატება საქართველოში ჩემს გამოფენას!“. ეს იყო მის მიერ ჩემთვის თქმული უკანასკნელი ფრაზა. ეს სიტყვები სამუდამოდ შემორჩა ჩემს მენსიერებას. ამგვარად დავემშვიდობე მაიაკოვსკის, — ჩვენ ერთმანეთს დავშორდით იმ რწმენით, რომ მალე ისევ მოგვეცემოდა შეხვედრის სიამოვნება.

1930 წლის 14 აპრილის საბედისწერო დღეს მე ხარკოვში ვიყავი, საბჭოთა უკრაინის იმდროინდელ დედაქალაქში. ცნობილ „ბერეზი-

ლის“ თეატრში, სადაც უკრაინული და ქართული თეატრების დამმობილების საღამო მიმდინარეობდა. სწორედ ამ საღამოზე ქართული თეატრის გაძოჩენილმა მოღვაწემ, კ. მარჯანიშვილის ერთ-ერთმა უახლოესმა მოწაფემ, ჩემმა მეგობარმა დოდო ანთაძემ მაცნობა ვლადიმერ მაიაკოვსკის ტრაგიკული დაღუპვის თავზარდამცემი ამბავი. ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უმძიმესი და უსაშინელესი წუთი.

ორი კვირის შემდეგ მე კვლავ ჩავედი მოსკოვში მარჯანიშვილის თეატრთან ერთად, რომლის საგასტროლო სპექტაკლებიც საპირველმაისო დღესასწაულის წინა საღამოს იწყებოდა ყოფილი კორშის თეატრის შენობაში. მოსკოვში ჩასვლისთანავე გავეშურე მაიაკოვსკისა და ბრიკების ბინისაკენ გენდრიკოვის შესახვევში. პატარა ბინა, სადაც მე სულ ცოტა ხნის წინათ ბედნიერება მქონდა მესაუბრა ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ადამიანთან, ეპოქის გენიალურ პოეტთან, ახლა არწივის დაცარიელებულ ბუდედ მომეჩვენა.

მწერალი და მემოზარი

საქართველოს ლიტერატურული საზოგადოებრიობა საზეიმოდ აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი მწერლის, ჩვენი ლიტერატურის მაღალნიჭიერი მკვლევარისა და გულისხმიერი კრიტიკოსის ლევან ასათიანის დაბადების 70 წლისთავს. 15 წლის წინათ, თავისი იშვიათი ნიჭიერებისა და შემოქმედებით შესაძლებლობათა სრული სიმწიფისა და დავაუკაცების ასაკში წავიდა იგი ჩვენგან და თან წაიღო მრავალი განუხორციელებელი შემოქმედებითი ჩანაფიქრი. მწვავე გულისტკივილით მაგონდება, თუ როგორი გზნებით და გატაცებით მიიწეოდა იგი, სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული, თავისი საწერი მაგიდისაკენ, სადაც ელაგა მრავალი წლის შთაგონებული შრომით დაგროვილი, თითქმის მთლიანად გამზადებული და გააზრებული ძვირფასი მასალა მონოგრაფიისათვის „ცხოვრება ილია ჭავჭავაძისა“, რომელიც გვერდით უნდა ამოდგომოდა ლევან ასათიანის ბრწყინვალე, და მე ვიტყვოდი, დღემდე უნიკალურ ქმნილებას „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“. რა დასანანია, რომ „ულმერთო სიკვდილმა“ არ დააცადა მას, სისრულეში მოეყვანა ეს დიდებული განზრახვა, რომ კიდევ ერთი ძვირფასი წვლილი შეეტანა მშობლიური ლიტერატურის საგანძურში.

ჩვენი საუკუნის ოციანი წლებიდან დაწყებული, ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრამდე — სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ლევან ასათიანს განუწყვეტლივ ეჭირა თვალსაჩინო ადგილი ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. ის იყო საოცრად კოლორიტული ფიგურა, ერთ-ერთი მოწინავე და საუკეთესო წარმომადგენელი იმ ახალი ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციისა, რომელიც საბჭოთა საქართველოს აღმოცენებისთანავე დიდი რწმენითა და გატაცებით შეუდგა ეპოქის სულისა და მოთხოვნების შესაფერი ახალი ქართული მხატვრული კულტურის მშენებლობას. ბრწყინვალე ლიტერატურული ნიჭიერება, ფართო და სოლიდური ერუდიცია, მრავალმხრივი შემოქმედებითი ინტერესები, იშვიათი შრომისმოყვარეობა, ნათელი და გამჭვირავი აზროვნება — ეს ძვირფასი თვისებანი იყო გაერთიანებული მის მომხიბვლელ პიროვნებაში და ყოველივე ეს განაპირობებდა მის დიდად ნაყოფიერ კეთილშობილურ შემოქმედებით მოღვაწეობას.

მისი ყოველი ნაბიჯი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდ სარბიელზე, მის მიერ დაწერილი ყოველი სტრიქონი ღრმად იყო გამსჭვალული წრფელი მამულიშვილური გრძნობით, მაღალი

პატრიოტული შეგნებით, ეპოქის ნათელი ერთგულებით. საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი გულგრილი და ინდიფერენტული დამოკიდებულება, ვიწრო კარჩაკეტილი პროფესიონალიზმი და განდგომილობა უცხო იყო მისი შიშველი მდებარეობით ბუნებისათვის. იგი მართლაც პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცხოვრების ყოველ ზვირთში ღრია“ და ცხოვრობდა დაძაბული, დაუცხრომელი, სისხლსაცხე ადამიანური შემოქმედებითი ცხოვრებით. მას რაღაც განუმეორებელი თავისებური მშვენება, სითბო, ხალისი და სიკეთე შეჰქონდა ჩვენი ახალი შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრებაში; იმ მძაფრსა და მკაცრ ატმოსფეროში, რომლითაც აღსაცხე იყო ურთიერთ მოწინააღმდეგე მიმართულებებდა დაქსაქსული ოციანი წლების ჩვენი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ვითარება. ლევან ასათიანი ცოცხალი განსახიერება იყო მეგობრობისა და ამხანაგობის რაინდული გრძნობისა და ამსთანავე განუხრელი და უკომპრომისო პრინციპულობისა. ის იყო ნათელი, მორალურად ამალღებული პიროვნება, რომელშიც განუყოფლად იყო ერთმანეთთან შესისხლხორცებული საზოგადოებრივი და პირადული, ადამიანური და მოქალაქეობრივი მისწრაფებანი და ინტერესები.

მისი პატრიოტული სულისკვეთება, ერთგულება ეპოქის მაღალი ჰუმანიტური იდეალებისადმი, თაყვანისმცემლობაზე მისული სიყვარული ჩვენი ეროვნული კლასიკური მწიგნობის დიდებული ტრადიციებისადმი გამოუმუშავდა ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში, ქუთაისის ქართული გიმნაზიის კედლებში, რომელიც ერთადერთი საშუალო სასწავლებელი იყო მთელს იმდროინდელ დასავლეთ საქართველოში, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა მშობლიურ ენაზე იღებდა განათლებას და პროგრესულად განწყობილ პედაგოგთა ხელმძღვანელობით ეწაფებოდა მშობლიური და საკაცობრიო გონებრივი მოძრაობის საუკეთესო მონაპოვართ. ჯერ კიდევ იმ წლებში იჩინა თავი ლევან ასათიანის ლიტერატურულმა ნიჭიერებამ და მიდრეკილებამ. უკვე მაშინ იგი წერდა და აქვეყნებდა ლექსებს, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლე ახალგაზრდობის მოწინავე წრეების ყოველ შემოქმედებითს წამოწყებასა და ღონისძიებაში. სწორედ იქ, ქუთაისის ქართული გიმნაზიის კედლებში შევხვდები და გავეცანი ლევან ასათიანს, უკვე მაშინ თავისი ნიჭიერებით, განვითარებით და ვაჟკაცური ბუნებით სახელმძღვანელო ახალგაზრდას, რომელთანაც შემდეგ ცხოვრებამ განუყრელი და უახლოესი მეგობრული ურთიერთობით და თანამოღვაწეობით დამაკავშირა.

ოციანი წლებიდან ლევან ასათიანი უკვე აქტიურად თანამშრომლობს ქართულ ლიტერატურულ პრესაში. თავისი იმდროინდელი ლექსებით მან ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის რეპუტაცია მოიპოვა და უეჭ-

ელია. მას დიდი წარმატება მოელოდა პოეტური შემოქმედების სარბიელზე, რომ მომავალში თავისი ლიტერატურული კარიერა ამ მიმართულებით განეცითარებინა. მაგრამ სწორედ ამავე წლებში იგი თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩვენი დიდი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, კორნელი კეკელიძის, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძის და სხვათა ხელმძღვანელობით ღრმად ეუფლება ჰუმანიტარულ მეცნიერებებს და მათს სამეცნიერო სემინარებში იძენს ფილოლოგიური კვლევა-ძიების ჩვენებს. სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა შემდგომში მისი ლიტერატურული ნიჭიერება და შემოქმედებითი ცხოვრება, თუმცა ამ გატაცებას არასოდეს არ გამოუთიშავს იგი ცოცხალი ლიტერატურული პროცესებისაგან. პირიქით, იგი ოციანი წლების მეორე ნახევარში ენერგიულად მონაწილეობდა ჩვენს ლიტერატურაში მაშინ მიმდინარე მძაფრ ბრძოლებში, რომელთა აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მწვავე პოლემიკის, აზრთა სხვადასხვაობის, გაშლილი შემოქმედებითი შეჯიბრის, ძიებებისა და გაბედული ექსპერიმენტების გზით დადგენილიყო ახალი ეპოქის შესაფერი მხატვრული მეტყველების კულტურა. სოციალისტური მწერლობისა და ხელოვნების იდეურ-ესთეტიკური პოზიციები.

იმ წლებში იგი მიეკედლა მემარცხენე ქართველ ლიტერატორთა და ხელოვანთა კორპორაციის „მემარცხენეობას“ და ამ დაჯგუფების ბეჭდვით ორგანოებში ათავსებდა თეორიულსა და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. ამ წერილებში იგი გონებამახვილურად ასახულებდა ხსენებული ლიტერატურული დაჯგუფების ნოვატორულ გატაცებათა და კავშირების აუცილებლობას ეპოქის მამოძრავებელ სოციალურ იდეებთან, საზოგადოებრივი სინამდვილის პროცესებთან, ეროვნული კულტურის სათავეებთან, ქართული ხალხური პოეზიის უშრეტ წყაროებთან და ჩვენი კლასიკური მწერლობის სახელოვან ტრადიციებთან. ამ ხასიათის მისმა წერილებმა შეადგინა მთელი წიგნი „ლიტერატურა და სხვა“, რომლის გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ოციანი წლების ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში. მაგრამ ახალგაზრდა ლიტერატორის სააზროვნო და შემოქმედებითი ინტერესები იმთავითვე ხასიათდებოდა მრავალმხრივობით, დიაპაზონის სიფართოვით, ყოველგვარი კარჩაკეტილობისა და სექტანტობისაგან თავისუფალ მასშტაბურობით. სწორედ იმავე დროს, როცა იგი თავის მეგობარ „მემარცხენეებთან“ თანამოღვაწეობაში ამუშავებდა ამ დაჯგუფებისათვის დამახასიათებელ ფორმალისტური ესთეტიკისა და პოეტიკის თეორიულ პრობლემებს, ახალგაზრდა ლიტერატორი უფრო და უფრო მეტი სიღრმით და გატაცებით სწავლობდა ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებს და აფართოებდა კვლევა-ძიებით

მუშაობას ამ მიმართულებით. ამ სფეროში მის პირველ თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენდა მონოგრაფია „ვოლტერიაელობა საქართველოში“, რომელიც დღემდე რჩება ერთ-ერთ საუკეთესო გამოკვლევად მე-18 საუკუნის მიწურულისა და მე-19 საუკუნის დამლევის ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში. თითქოს ერთმანეთთან შეუთავსებლად და შეუთრეგებლად გამოიყურებოდა ახალგაზრდა ლიტერატორის მემარცხენული ნოვატორული გატაცებანი და ეს გულმოდგინე ფილოლოგიური წვდომა ეროვნული კულტურის ისტორიის სიღრმეებში. მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობდა ლევან ასათიანის სააზროვნო პორიზონტისა და შემოქმედებითი ინტერესების შეუზღუდველი სიფართოვე და მრავალმხრივობა. თავის ამ სერიოზულ ფილოლოგიურ გამოკვლევაში მან დამარწმუნებლად გვიჩვენა, თუ როგორ ცხოველმყოფელობით ეხმაურებოდა ქართული მწერლობა და ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ფენები საკაცობრიო სააზროვნო ცხოვრების აველაზე პროგრესულ მიმართულებებს. მონოგრაფიაში წარმოსახულია ვრცელი სურათი ქართული სააზროვნო ცხოვრებისა მე-18 და მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე, როცა ახალგაზრდა რევოლუციურად განწყობილი თავადაზნაურული ინტელიგენციის წრეებში მზადდებოდა სულიერი ატმოსფერო ქართული რომანტიზმის აღმოცენებისათვის, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური გენიის ამობრწყინებისათვის, 1832 წლის შეთქმულების ორგანიზაციისათვის.

ოციანი წლების მეორე ნახევარშივე დაწერა და გამოაქვეყნა ლევან ასათიანმა თავისი მეორე ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევა „ძველი ქართველი პოეტი ქალები“, რომელშიც დამუშავებულია ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის მრავალი მანამდე ხელუხლებელი და მეცნიერულად შეუსწავლელი მასალა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ ნაშრომის გამოქვეყნებამ ბევრი რამ ახალი და მანამდე უცნობი შესძინა ჩვენს ლიტერატურულ ერუდიციას. ქართული კლასიკური მწერლობის ისტორია ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლის ახალგაზრდა მკვლევარის კალმით დაწერილ ამ ნაშრომს.

უკვე ამ თავის პირველ ისტორიულ-ლიტერატურულ გამოკვლევებში მკაფიოდ იჩინა თავი ლევან ასათიანის შემოქმედებითი ბუნების ძვირფასმა თავისებურმა თვისებებმა, მისმა მისწრაფებამ მანამდე დაუმუშავებელი და შეუსწავლელი ისტორიულ-ლიტერატურული მასალების მზის სინათლეზე გამოტანისა, ამ მასალების ღრმად გააზრებისა და განზოგადებისა, ეპოქის სოციალური და იდეური პროცესებისაგან განუყოფლად მშობლიური და მსოფლიო ლიტერატურის განვითარების პროცესებთან დაკავშირებით. უცდომელი გემოვნება, გამახვილებული ესთეტიკური ალღო ამ ნაშრომებში დაკავშირებულია ლიტერატურულ-

ლი მეტყველების დახვეწილ ფორმებთან, უზადო სტილთან, რომელშიც რატომღაც არ არის რაიმე მანერულობისა და პრეტენზიულობისა, სადაც შთაბეჭედავი ენობრივი ხატოვანება მიღწეულია სწორედ მომხიბლავი ბუნებრიობისა და სისადავის გზით. ხშირად ამ მონოგრაფიებში ავტორი მეცნიერული და მხატვრული მეტყველების ფორმათა ისეთ დაახლოებასა და შერწყმას აღწევს, როცა შორეული წარსულის მასალა გაცოცხლებულია მხატვრული აზროვნების უაღრესად თანამედროვე ტენდენციებით.

ამ მონოგრაფიებმა შეამზადა ნიადაგი ლევან ასათიანის უმთავრესი ნაწარმოებისათვის, რომელიც მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრების ნამდვილ მშვენებას და უპირველეს მონაპოვარს წარმოადგენს, ეს არის მისი კაპიტალური ნაშრომი „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, — თანამედროვე ქართული ლიტერატურისმცოდნეობის ძვირფასი შენაძენი. იშვიათი ოსტატობით არის ამ წიგნში ერთმანეთთან განუყოფლად შერწყმული დიდი პოეტის ცხოვრების ისტორია და მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია. ამ ნაშრომში კიდევ უფრო მეტად შეეზარდა ერთმანეთს ღრმა მეცნიერული კვლევა და ანალიზი, ერთი მხრივ, და ბრწყინვალე მხატვრული მეტყველება და მართლაც ბელეტრისტული ხელოვნებით შესრულებული მთხრობელობა, მეორეს მხრივ, საქართველოს უკვდავი ბულბულის ცხოვრების შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ეს მეტყველი მატთანე წარმოსახავს და აცოცხლებს ჩვენს ცნობიერებაში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ერთერთ ურთულესსა და უმძაფრეს ეპოქას, — გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმავლობის პერიოდიდან — ვიდრე ჩვენი საუკუნის დამლევამდე, როცა 1905 წლის რევოლუციურ აღფრთოვანებას მოჰყვა ცარისტული რეაქციის პირქუში და სისხლიანი ხანა. ავტორმა დიდის ტაქტით და ხელოვნებით გამოატარა აკაკის დიდებული პიროვნება ამ დიდი ისტორიული ქართველების გარემოცვაში მარად ჩაუქრობელი შარავანდედით, ხალხის სულ უფრო მზარდი სიყვარულის, მაღლიერებისა და მოკრძალებული პატივისცემის თანხლებით. როგორი დამაბული ყურადღებით და კმაყოფილებით იკითხება ეს წიგნი, სადაც უმღერესი შემეცნებითი მასალა დამუშავებული და გაშუქებულია ჭეშმარიტად მაღალ ესთეტიკურ დონეზე.

არ იქნება არავითარი გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება ასეთი მასშტაბისა და ამგვარი მეცნიერულ-ლიტერატურული ღირებულების მონოგრაფია რომელიმე სხვა ქართველი კლასიკოსის თუ თანამედროვე მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესახებ.

ამ წიგნმა, რომელიც დიდი პოეტის დაბადების 100 წლისთავის

საიუბილეო დღეებში გამოქვეყნდა, ერთბაშად მოიხვეჭა საყოველთაო მოწონება და აღიარება. ამ დიდმა წარმატებამ შთააგონა და წააქეზა ლევან ასათიანი იმისათვის, რომ შედგომოდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის უპირველესი მდროშისა და ბელადის, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედებითი ისტორიის ასევე სრულყოფილად ამსახველი წიგნის წერას. ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდა ხანგრძლივი, დაძაბული და მართლაც შთაგონებული, ჰემარიტი პატრიოტული მგზნებარებით აღბეჭდილი შრომა ამ წიგნისათვის მასალების შესაგროვებლად და გასააზრებლად, ნაშრომის სტრუქტურის, მისი კომპოზიციური აღნაგობის დასადგენად, და როცა მთელი ეს მუშაობა უკვე დამთავრებული იყო და მხოლოდ ამ დიდი შემოქმედებითი განზრახვის მატერიალურად ღირსშესანიშნალოდ იყო საქმრო. სწორედ ამ დროს შეწყდა ლევან ასათიანის სიცოცხლე და შემოქმედებითი ცხოვრება. ამ მონოგრაფიის ზოგიერთი ფრაგმენტი, რომელთა გამოქვეყნებაც ავტორმა სიცოცხლეში მოასწრო, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რაოდენ ძვირფასი და აუცილებელი წიგნი დაეკარგეთ ჩვენ ამ ნაშრომის სახით.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიისათვის მასალების შეგროვება-დამზადების პერიოდში ლევან ასათიანი იკვლევდა და აშუქებდა ქართული რომანტიზმის ისტორიას. ამ მუშაობის შედეგად დაწერა მან შესანიშნავი, მცირე მოცულობის, მაგრამ ღრმა, მეცნიერული ლიტერატურული ღირებულების მონოგრაფია გრიგოლ ორბელიანის შესახებ. მან შეისწავლა ქართველი ხალხის მწერალთა მხატვრული მემკვიდრეობა და რამოდენიმე საგანგებო ნარკვევი მიუძღვნა ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ამ პერიოდს. ლევან ასათიანის დიდ დამსახურებას წარმოადგენს აგრეთვე ჩვენი საუკუნის დამდგირს ქართული რევოლუციური პოეზიის და, კერძოდ, პროფესიულ მუსიკარეოლოგიონერთა შემოქმედებითი შესწავლა და მონოგრაფიულად გაშუქება. მან პირველმა განიხილა ქართულ ბოლშევიკურ ლეგალურ და არალეგალურ პერიოდიკაში პოეტური მასალა და გვიჩვენა, თუ როგორ აქტიურად მონაწილეობდა მხატვრული სიტყვის იარაღი იმ დიდ რევოლუციურ ბრძოლაში. რომლებიც დაიწყო ჩვენს ქვეყანაში მეოცე საუკუნის გარიყრაჟზე. ამ უაღრესად საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული მასალის გაშუქებით ლევან ასათიანმა გვიჩვენა, თუ თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელს მანძილზე როგორ განუყოფლად იყო დაკავშირებული ჩვენი ეროვნული ლიტერატურა ხალხის უმაღლეს მისწრაფებათა სამყაროსთან. მის ქედუხრელ ბრძოლებთან სამშობლოს თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის. ასე ვრცლად და ფართოდ მოიცავდა ლევან ასათიანი თავის მეცნიერულ-კვლევითს შემოქმედებაში მშობლიური ლიტერატურის ისტო-

რის სხვადასხვა პერიოდების პრობლემატიკას, მაგრამ იგი ასეთივე დაძაბული ყურადღებით თვალყურს ადევნებდა თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარებას და ენერგიულად იღვწოდა მისი საუკეთესო იდეურ-შემოქმედებითი ტრადიციების გამომუშავებისა და დამკვიდრებისათვის. იგი იყო ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო კრიტიკოსი, რომელმაც მაღალი გემოვნებით, პროფესიული ოსტატობით და პრინციპულობით აღბეჭდილი წერილები მიუძღვნა გალაკტიონ ტაბიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩიქოვანის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალექსანდრე ქუთათელის და მრავალი სხვა გამოჩენილი თანამედროვე ქართველი მწერლის შემოქმედებას. იგი მუდამ ცოცხლობდა მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრების ინტერესებით და თავგამოდებით ექომაგებოდა ყველაფერს ახალს, პროგრესულსა და ნიჭიერს ჩვენს მწერლობაში. იგი იყო გულმხურვალე მეგობარი-მწერალი ყოველი ახალი თაობისა და გულმოდგინე მზრუნველი მათი ნიჭიერების განვითარებისა და პროფესიული დაოსტატებისათვის.

ლევან ასათიანს ახლო და წრფელი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ჩვენი საუკუნის ქართული ხელოვნების ყოველი დარგის საუკეთესო ოსტატებთან და თავისი კეთილშობილური წვლილი შეჰქონდა ჩვენი თეატრისა, სახვითი ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის განვითარებაში. მან შესანიშნავი წერილები მიუძღვნა იაკობ ნიკოლაძის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის შემოქმედებას, დავიტიონ ნატო ვაჩნაძის, ნიკოლოზ შენგელაიას, მიხეილ ჭიაურელის შემოქმედებითი პორტრეტები, თანამშრომლობდა ქართულ კინემატოგრაფიაში, როგორც სცენარისტი, კონსულტანტი და რედაქტორი, მას მკიდრო პირადი და შემოქმედებითი მეგობრობა ჰქონდა ახალი ქართული თეატრის ფუძემდებლებთან: კოტე მარჯანიშვილთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან, უშანგი ჩხეიძესთან, აკაკი ხორავასთან, აკაკი ვასაძესთან, შალვა ლამბაშიაძესთან, დოდო ანთაძესთან და სხვებთან. წლების განმავლობაში მუშაობდა რუსთაველის თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგედ და თავისი წვლილი შეჰქონდა ჩვენი უპირველესი თანამედროვე ეროვნული თეატრის შემოქმედებით წარმატებებში. იგი ცდილობდა შემოქმედებითი მონაწილეობა მიეღო ქართული თეატრის სცენაზე თანამედროვეობის თემატიკის დამკვიდრების საქმეში. ამ მიწრაფებით იყო გამოწვეული დიდი ოქტომბრის 30 წლისთავის საიუბილეო დღეებში კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დადგმული მიხეილ ჭიაურელთან ერთად მის მიერ დაწერილი პიესა „1917 წელი“.

მგზნებარე პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული მთელი სააზროვნო და შემოქმედებითი ცხოვრება ლევან ასათიანისა განთავბული იყო მაღალი ინტერნაციონალური შეგნებით, მან შეისწავლა და

გააშუქა საქართველოსთან და ქართველ ხალხთან პირადი და შემოქმედებითი კავშირთა ერთობანი გრიბოდოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, გორკის, მაიაკოვსკისა და სხვა გამოჩენილი რუსი მწერლობისა. ლევან ასათიანმა დაგვიტოვა საყურადღებო ნარკვევები ქართულ-სომხურ, ქართულ-აზერბაიჯანულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე, მაგრამ განსაკუთრებულის გულმოდგინებით და მრავალმხრიობით არის გაშუქებული მის ნაშრომებში უკრაინელ და ქართველ ხალხთა ლიტერატურული თანამეგობრობის ხანგრძლივი ტრადიცია, რომელმაც დიდებული გაგრძელება და განვითარება ჰპოვა ჩვენს დროში. მისი წერილები, ნარკვევები, მოხსენებანი, გამოსვლები მიძღვნილი გურამიშვილის, შევჩენკოს, ლესია უკრაინკას, ფრანკოს, კოციუბინსკის შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი, მისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რომლებშიც განხილულია ტიჩინას, რილსკის, სოსიურას, ბაჟანის და სხვა თანამედროვე გამოჩენილ უკრაინელ მწერალთა შემოქმედება, საგრძნობლად აფართოებს ჩვენი დროის ქართული ლიტერატურული აზროვნების ჰორიზონტს და ამდიდრებს მის ინტერნაციონალურ ქლერას. ლევან ასათიანმა დაგვიტოვა ჩვენ ფაქტობრივი მასალით მდიდარი გამოკვლევა ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესახებ მე-19 საუკუნეში.

ლევან ასათიანი წლების განმავლობაში კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის კურსს და ამ მუშაობის შედეგად დაწერა ორიგინალური და საინტერესო გამოკვლევანი ქართული პერიოდული პრესის აღმოცენება-განვითარების საკითხებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „ქართული ფელეტონის ისტორია“, რომელიც მანამდე შეუსწავლელსა და მეცნიერულად დაუმუშავებელ მასალას ფენს შუქს. იგი თვითონ იყო პრესის, სარედაქციო და საგამომცემლო საქმის შესანიშნავი მოღვაწე. მისი რედაქტორობით, წინასიტყვაობით და კომენტარებით გამოცემულია მრავალი წიგნი ქართველი კლასიკოსებისა თუ თანამედროვე მწერლობისა. მაგრამ მთელს მის მრავალმხრივს საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო მისი ხანგრძლივი მუშაობა ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში. წლების მანძილზე ლევან ასათიანი იყო ერთ-ერთი ფაქტიური ხელმძღვანელი ქართული მწერლობის ამ ძირითადი ბეჭდვითი ორგანოსი. დიდის გულისხმიერებით, მზრუნველობით და გულმოდგინებით იგი თავს უყრიდა ამ ჟურნალის გარშემო თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო სასიცოცხლო ძალებს, მის ახალგაზრდა შემოქმედებითს კადრებს, ყველა ჟანრის საუკეთესო ოსტატებს მხატვრული სიტყვისა. როგორც რედაქტორი, იგი იყო მწერალთა გულისხმიერი მეგობარი, გონიერი მრჩეველი და კეთილის მსურველი, განმსჯელი, რომელ-

საც გარკვეული წვლილი მიუძღვის ოცდაათი წლის მანძილზე შექმნილი ქართული მწერლობის არაერთ საუკეთესო ნაწარმოების დამუშავებისა და სრულყოფილად პუბლიკაციის საქმეში.

სამნახევარი ათეული წლის განმავლობაში ლევან ასათიანი იყო ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის, მწერალთა ყრილობების, პლენუმების, თათბირების, დისკუსიების აუცილებელი მონაწილე, ჩვენი სამწერლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, სხვადასხვა სარედაქციო კოლეგიებისა და სამხატვრო საბჭოების მუდმივი წევრი.

ახლა, როცა ერთობლივად წარმოვიდგენთ ლევან ასათიანის მთელს ლიტერატურულ, შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, გვანცვიფრებს მისი იშვიათი სიუხვე, ნაყოფიერება, მრავალმხრივობა და გვიკვირს, საიდან რჩებოდა მას დრო, მოცალეობა იმისათვის, რომ ყოფილიყო ყოველი ქართველი მწერლის პირადი მეგობარი, ჩვენი დროის მთელი ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი ოჯახის ყოველი ჩვენთაგანის ლხინისა თუ ჭირის გამზიარებელი და დამამშვენებელი.

ასეთი იყო ჩვენი ძვირფასი და მარად დაუვიწყარი ლევან ასათიანი, რომელმაც თავისი უანგარო და კეთილშობილური შრომით, სპეტაკი ზნეობრივი ბუნებით, მომხიბვლელი ადამიანური თვისებებით მარადიული სიცოცხლე მოიპოვა არა მარტო ჩვენს გულში, მისი ახლო მეგობრებისა და უშუალო თანამოღვაწეების გულში, არამედ მომავალ თაობათა ხსოვნაშიც.

ამავლარი

რუსული საბჭოთა პოეზიის დიდოსტატთა შორის, დიდი წვლილი რომ შეიტანეს ჩვენი სამშობლოს ხალხთა სულიერ დაახლოებაში, მათი მეგობრობისა და ერთიანობის განმტკიცებაში, ჩვენი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ერთობაში, ერთი უთვალსაჩინოესი ადგილი უჭირავს პავლე ანტოკოლსკის. თავისი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ის გამუდმებით ცხოველ ინტერესსა და ყურადღებას იჩენდა მოძმე საბჭოთა ხალხების ისტორიისა და თანამედროვე ცხოვრების, მათი კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი. ხალხთა მეგობრობის ამალღებულ გრძნობით არის შთაგონებული პ. ანტოკოლსკის მრავალი პოეტური ქმნილება, წარმოშობილი პოეტის არაერთგზის ყოფნის შედეგად მოძმე რესპუბლიკებში, ღრმა წვდომით იმ ხალხების სულიერ სამყაროში, მათი ისტორიული ბედის, ყოფის, ზნე-ჩვეულებების გაცნობის შედეგად.

პოეტის ეს ლექსები აფართოებენ თანამედროვე რუსული პოეზიის თემატურ თვალსაწიერს, ამდიდრებენ მას თავისებური თემების, სახეების, ფერების სამყაროთი. მაღალი ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით არის გამსჭვალული პ. ანტოკოლსკის მრავალრიცხოვანი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური სტატიები, მისი გამოსვლები მწერალთა ყრილობებზე, პლენუმებზე, თათბირებზე, მოძმე ხალხთა ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადებზე. პ. ანტოკოლსკი მუდამ მგზნებარედ იბრძვის ყოველი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარებისათვის, ურთიერთშემოქმედების სრულყოფისათვის, ჩვენი სამშობლოს სულიერ ფასეულობათა ერთიანი საგანძურის სულ უფრო მეტი გამდიდრებისათვის ყველა ეროვნულ კულტურათა საუკეთესო მიღწევებით. სწორედ ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურება პ. ანტოკოლსკის დაუღალავი და შთაგონებული შემოქმედებითი მოღვაწეობა მხატვრული თარგმანის დარგში. მისი უზარმაზარი მთარგმნელობითი მუშაობის წყალობით საბჭოეთის ხალხთა კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურის მრავალი მიღწევა ცნობილი და აღიარებული გახდა ჩვენს უკიდევანო ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც.

პ. ანტოკოლსკი საბჭოთა მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია; მხატვრული თარგმანის საბჭოური ესთეტიკის ერთ-ერთი შემქმნელი. იგი აქტიურად და განუწყვეტლივ მონაწილეობს ორ-

განიზაციულ-პრაქტიკულ მუშაობაში, რომელიც მიმართულია ჩვენს ქვეყანაში მთარგმნელობითი საქმის მასშტაბებისა და გაქანების კიდევ უფრო გაფართოებისაკენ. მთარგმნელობითი ხელოვნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეროვნულ მწერლობებს შორის შემოქმედებითი კონტაქტების დასამყარებლად, ხოლო აქედან გამომდინარე, სოციალისტურ ეროვნებათა სულ უფრო მეტად დასაახლოვებლად.

ამ დიდი და კეთილშობილური საქმისადმი თავდაუზოგველ სამსახურში პ. ანტოკოლსკი განსაკუთრებით ღრმა და მრავალწახნაგოვანი ფესვებით არის დაკავშირებული საქართველოსთან, ქართველ ხალხთან. მის ეროვნულ კულტურასთან, მის ბევრ გამოჩენილ მოღვაწესთან. ამ მხრივ პოეტი გვევლინება ღირსეულ გამგრძელებლად თავისი დიდი წინამორბედების და უფროსი თანამედროვეების სახელოვანი ტრადიციებისა. „საყოველთაოდ ცნობილია, — წერს პ. ანტოკოლსკი, — რომ პუშკინის, გრიბოედოვის და ლერმონტოვის დროდან საქართველო ყველაზე მიმზიდველ ქვეყნად იქცა რუსი პოეტებისათვის“. ზემოხსენებულ სახელებს უნდა დაემატოს პოლონსკი და ბესტუჟეევი-მარლინსკი. ჩვენს დროში რუსულ-ქართული ურთიერთობანი სულ უფრო ინტენსიურად გრძელდება. ისინი ფართოვდებოდნენ, ღრმავდებოდნენ, მრავალფეროვანი ხდებოდნენ, და რაც მთავარია, რაც უთუოდ გასახარებელია, გრძნობებს უერთდებოდა საქმე, ქმედება: რუსმა პოეტებმა დაიწყეს ქართველების თარგმნა. ძნელია შეფასება ამ ახალი მოვლენის მნიშვნელობისა ქართული ლიტერატურისათვის, რომელიც წარმოშვა ჩვენი დროის სულისკვეთებამ, საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების არსმა.

ისტორიული ბედუქუდმართობა იყო მიზეზი იმისა, რომ XIII ს-ის დამდეგიდან, გარეშე მტრების გამუდმებული თარეშის პირობებში, ქართული კულტურა, არსებითად, მოწყვეტილი იყო ცივილიზებულ კაცობრიობას. შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანიც“ კი, მსოფლიო პოეტური ეპოსის ეს ერთი შედევრთაგანი, უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ქართველი ხალხის კუთვნილებად რჩებოდა და სულ მცირერიცხოვანი ხალხისათვის იყო მისაწვდომი საქართველოს გარეთ. ამჟამად ძნელი წარმოსადგენია, რომ სულ სამი-ოთხი ათეული წლის წინ დავით გურამიშვილის და ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი პოეტური მემკვიდრეობა ცნობილი იყო მხოლოდ ქართველი მკითხველისათვის. თავის დროზე ილია ჭავჭავაძე ამაოდ ცდილობდა მოენახა ორი-სამი რუსი ლიტერატორი, რომელიც ხელს მოკიდებდა ქართული ლიტერატურის სულ რამდენიმე შედევრის თარგმნას. ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოსანგრეების აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას სიცოცხლეში მხოლოდ ცალკეული მათი თხზულება ეღირსა რუსულ ეხაზე თარგმნას. და ეს თარგმანებიც, მიუხედავად მათი მთარგმნელე-

ბის კეთილშობილური მისწრაფებებისა, შესრულებული იყო ისეთ დაბალ პროფესიულ დონეზე, რომ მათი ფართო საზოგადოებრივი გამოხმაურება არც იყო მოსალოდნელი.

რევოლუციის წინა წლებში მაქსიმ გორკი, რომელიც თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიით უმჭიდროესად იყო დაკავშირებული საქართველოსთან, შეუდგა კლასიკური და თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნიმუშთა რუსულ ენაზე თარგმნის ორგანიზაციას, ანიჭებდა რა ამ საქმეს დიდ საზოგადოებრივ-კულტურულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას. მაგრამ დიდი პროლეტარული მწერლის ამ შესანიშნავ წამოწყებას იმხანად, სხვადასხვაგვარი სირთულეების გამო, განხორციელება არ ეწერა. განუხორციელებელი დარჩა აგრეთვე ვ. მაიაკოვსკის მგზნებარე სურვილი — რუსული ენის საშუალებით ფართო საკავშირო სარბიელზე გამოჩენილიყო მთელი სიმდიდრე ქართული პოეზიისა, რომელიც ესოდენ ნაცნობი იყო მისთვის, ესოდენ ახლობელი და საყვარელი.

მხოლოდ 30-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის წინ გაიშალა დიდი სისტემატური შემოქმედებითი მუშაობა საბჭოეთის ეროვნულ მწერლობათა მიღწევების გამოვლინებისათვის, მათ სათარგმნელად რუსულ ენაზე, რათა მოეპოვებინათ მათ თავიანთი კუთვნილი ადგილი მრავალეროვნული საბჭოეთის სულიერ ფასეულობათა საერთო საგანძურში. მხოლოდ საყოველთაო შემოქმედებითი აღმავლობის ატმოსფეროში, რომელიც გაპირობებული იყო სკკპ (ბ) ც. კ-ის 1932 წ. 23 აპრილის ისტორიული დადგენილებით, ერთიანი საკავშირო სამწერლო ორგანიზაციის შექმნის მზადებით, შესაძლებელი იყო თავისი გაქანებით ასეთი არნახული ლიტერატურული მოძრაობის წარმოშობა.

საბჭოეთის მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობას უნდა ეჩვენებინა მთელი მსოფლიოსათვის საბჭოთა ლიტერატურის სასიცოცხლო ძალების სრული ერთსულოვნება, დაემტკიცებინა, რომ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეა, ხალხთა ძმობისა და ურღვევი მეგობრობის იდეა, საუკუნოდ რომ განმტკიცდა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, ცხოველ გამოხატულებას პოულობს ლიტერატურულ შემოქმედებაში. ამ ამოცანასთან დაკავშირებით მ. გორკის ინიციატივით შეიქმნა მწერალთა ბრიგადები მხატვრული სიტყვის საუკეთესო ოსტატთა შემადგენლობით, რომლებიც მოვლინებულ იქნენ მოკავშირე რესპუბლიკებში. მათ ევალებოდათ, შეესწავლათ ყოველი ეროვნული ლიტერატურის მდგომარეობა, შეერჩიათ მისი საუკეთესო ნიმუშები და გაეწიათ მათი ფართო პროპაგანდა რუსულ ენაზე თარგმნის გზით — იმ ენაზე, რომელიც იქცა ერთა შორის ურთიერთობის მძლავრ საშუალებად ჩვენს ქვეყანაში და მოიპოვა უზარმაზარი საერთაშორისო ავტორიტეტი.

საქართველოში წარგზავნილი ბრიგადის შემადგენლობაში იყვნენ გამოჩენილი რუსი მწერლები: პ. პავლენკო, ნ. ტიხონოვი, ბ. პასტერნაკი, ი. ტინიანოვი, ო. ფორში, ვ. გოლცევი.

კლასიკური და თანამედროვე ქართული პოეზიის თარგმანების პირველივე ნიმუშებმა, რომლებიც შესრულებული იყო ნ. ტიხონოვისა და ბ. პასტერნაკის მიერ და გამოიცა ყრილობის წინ, ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ეს ინტერესი და საყოველთაო ყურადღება ქართული ლიტერატურისადმი კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის შემდეგ. საქართველოს მწერალთა კავშირის იმდროინდელი თავმჯდომარის მ. ტოროშელიძის მიერ ყრილობაზე წაკითხულმა თანამოსხენებამ ნათელჰყო, თუ როგორ ვითარდება უძველეს და უმდიდრეს ეროვნულ ტრადიციებზე აღმოცენებული ქართული ლიტერატურა თანამედროვე პირობებში, როგორ აღწევს იგი საჩინო წარმატებებს ლიტერატურული შემოქმედების ყველა ქანრში.

ამ თანამოსხენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყრილობის მრავალრიცხოვან მონაწილეებზე. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, სადაც ყრილობის სხდომები მიმდინარეობდა, ერთ-ერთ ცენტრალურ სვეტზე გამოჩნდა შოთა რუსთაველის პორტრეტი, ხოლო მოპირდაპირე სვეტზე ტარას შევჩენკოს პორტრეტი. ის ორი პორტრეტი, რუსული ლიტერატურის დიდ კლასიკოსთა შორის რომ დაიკავეს ადგილი, თითქოს ცოცხალ ხორცშესხმად გადაიქცნენ მ. გორკის მიერ თქმულისა იმის შესახებ, რომ საბჭოთა ლიტერატურა როდი წარმოადგენს ლიტერატურას მხოლოდ რუსულ ენაზე, არამედ იგი საკავშიროა, მრავალეროვნული, მრავალენოვანი ლიტერატურაა, მას ქმნის საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხი.

ყრილობამ მისცა მძლავრი ბიძგი იმ მუშაობის გაღრმავებას, რომელიც მიმართული იყო ეროვნულ ლიტერატურათა ურთიერთგასაცნობად და დასაახლოებლად ამ მუშაობის მსვლელობაში წარმოიშვა აზრი ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოცემის შესახებ რუსულ ენაზე, რომელსაც უნდა მოეცვა მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია, უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე. უნდა გამოცემულიყო ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა და თანამედროვე პოეტთა საუკეთესო ნაწარმოებების კრებულები.

ნ. ტიხონოვისა და ბ. პასტერნაკის კვალდაკვალ ამ მუშაობაში 30-იანი წლების შუა ხანებში აქტიურად ჩაება პ. ანტოკოლსკი — რუსული საბჭოთა პოეზიის ერთი საუკეთესო ოსტატთაგანი. შემდგომში ამ მოღვაწეობაში ჩაებნენ ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ვლადიმერ დერჟავინი, ალექსანდრე კოჩეტკოვი, ალექსანდრე მეფიროვი, ვერა ზვიაგინცევა, სერაგეი შერკინსკი, ალექსანდრე გატოვი და მრავალი სხვა.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების შემდგომ ეტაპებზე რუს პოეტ-მთარგმნელთა ეს წრე, აქტიური შემოქმედებითი თანამეგობრობა რომ აკავშირებდა ქართველ პოეტებთან, სულ უფრო ფართოვდებოდა და მდიდრდებოდა ახალი და ახალი სახელებით. სხვადასხვა თაობის მრავალმა რუსმა პოეტმა შეიტანა თავისი კეთილშობილური წვლილი ამ დიდ საქმეში. თავისი ცხოვრების დასასრულამდე დარჩა რუსი და ქართველი პოეტებ-ს ამ თანამეგობრობის დაუცხრომელ ენთუზიასტად და ნამდვილ რაინდად შესანიშნავი ლიტერატურისმცოდნე და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის ორგანიზატორი — ვიქტორ გოლცევი.

ქართველი ხალხი და საქართველოს სამწერლო საზოგადოებრიობა მუდამ წრფელი სიყვარულით და მადლიერებით გაიხსენებენ პოეტური თარგმანის ყველა რუს ხელოვანს, რომელთა რუდუნებით ქართული კლასიკური თუ თანამედროვე პოეზიის ყველა მნიშვნელოვანმა მიღწევამ ღირსეული ადგილი დაიკავა საბჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებაში და აღიარებულ იქნა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ცნობილი რუსი მწერალი ნ. კ. ჩუკოვსკი საბჭოთა მწერლების III ყრილობაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში, რომელიც მიეძღვნა ჩვენს ქვეყანაში მხატვრული თარგმანის განვითარების საკითხებს, ამბობდა: „ნიკოლოზ ტიხონოვს შეიძლება ეწოდოს ერთ-ერთი აღმომჩენელი დიდი ქართული პოეზიისა რუსი და საერთაშორისო მკითხველისთვის. ხოლო ის, რაც გააკეთა ქართული კულტურის პროპაგანდისათვის ზაბოლოცკიმ — პირდაპირ გმირობაა, თითქმის მთელი ქართული პოეზია ცხოვრობს ამჟამად დიდებულ რუსულ ლექსებში ყველა მასში შთასახული აზრით, ყველა ვნებითა და განცდით. ცოტა როდი გააკეთა პავლე ანტოკოლსკიმაც“. დიახ, ცოტა როდი გააკეთა. დიდი სულიერი მგზვნებარებით და ქეშმარიტი თვითგაღებით იღვწოდა სიტყვის ეს შესანიშნავი ხელოვანი რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების გაფართოებისა და გაღრმავებისათვის. იღვწოდა არა მხოლოდ როგორც პირველხარისხოვანი ოსტატი მხატვრული თარგმნისა, არამედ აგრეთვე როგორც შესანიშნავი პოეტი, მოაზროვნე, დიდი მცოდნე და დამფასებელი მრავალი ხალხის კულტურისა, დაულალავი საზოგადო მოღვაწე.

წინამდებარე კრებულის სამ კარში ასახულია ამ დარგში პ. ანტოკოლსკის შემოქმედებითი მოღვაწეობის სამი ძირითადი მხარე. პირველ კარში თავმოყრილია პოეტის ლექსები, მიძღვნილი საქართველოსადმი, მისი პოეტური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს რომ განეკუთვნება. მეორე კარი შეიცავს მის თარგმანებს — ქართული კლასიკური თუ თანამედროვე პოეტებიდან, ხოლო მესამე კარში წარმოდგენილია პოეტის გამონათქვამები თავისი ქართველი მეგობრების შემოქმედებაზე.

პ. ანტოკოლსკის ლექსები, საქართველოსადმი მიძღვნილნი, შექ-

მნილნი ქართულ თემებზე, შეადგენენ მისი პოეტური შემოქმედების განუყოფელ ნაწილს და ალბეკდილნი არიან პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ყველა სპეციფიური ნიშნით. მათში წარმოსახება ხატება საქართველოსი, პოეტის საკუთარი მხატვრული მზერით დანახული და გარდატეხილი მისი აზრებისა და გრძნობების თავისებურ სამყაროში. ამ ნაწარმოებების ავტორი — დიდებული პეიზაჟისტი და პოეტური თხრობის ნაცადი ოსტატი. პოეტური ფორმის მაღალი კულტურა მათში შეხამებულია გრძნობათა სიწრფელესთან და შემოქმედებით აზრის აქტიურობასთან.

გაბედული მეტაფორები, მოულოდნელი შედარებები, ყოფისა და ბუნების კოლორიტული სურათები, დახვეწილი რითმები, ლექსის მკაცრი მუსიკალური ნახაზი — გამომსახველ საშუალებათა მთელი სიმდიდრე და მრავალფეროვნება პ. ანტოკოლსკის ლექსებში ემორჩილება კონკრეტულ შემოქმედებით ჩანაფიქრს, რომელიც გამოირჩევა მისწრაფებით ფართო განზოგადებებისკენ, თემის ფილოსოფიურად გააზრებისაკენ. რომანტიული ამალღებულობა და აღმაფრენა აქ შეთავსებულია სამყაროს საღ, რეალისტურ აღქმასთან. თავის შემოქმედებით გზას თავად პ. ანტოკოლსკი ახასიათებს, როგორც რომანტიზმიდან რეალიზმისაკენ თანმიმდევრულ სვლას. თუმცა რომანტიული საწყისი მის პოეტურ შემოქმედებაში როდი იხსნება ამ ევოლუციის მიმდინარეობაში, არამედ ორგანულად ერწყმის მისი პოეტური მსოფლშეგრძნების რეალისტურ საფუძველს. პ. ანტოკოლსკის მთელი პოეზიისთვის ნიშანდობლივი გრძნობა ისტორიზმისა განსაკუთრებით გამახვილებულია საქართველოზე დაწერილ ლექსებში და ეს სავსებით გასაგები და ადვილად ასახსნელია. თუმცა პ. ანტოკოლსკის პოეტური აზროვნების ღრმა წვდომა შორეული ისტორიული მოვლენების, უძველესი ლეგენდებისა და თქმულებების სიღრმეებში არასოდეს აშორებს მას თანამედროვეობას, პირიქით, თითქოს ახალი ძალით ხაზს უსვამს მისი პოეტური აზროვნების სისხლხორცეულ კავშირს ჩვენი დღეების მოვლენებთან.

„წინათქმაში“ თავისი პოეტური ციკლისა „საუკუნის შუალედი“, პ. ანტოკოლსკიმ თავის თავს უწოდა „მალემსრბოლ დროთა თანატოლი“.

Летели дни. Прошли года,
В них — слезы, были, кровь и дым.
И я недаром стал седым:
Я памятью обременен,
Я сверстник мчащихся времен.

ხოლო პოემაში „შესახვევში არბატს იქით“ პოეტმა ასეთნაირად განსაზღვრა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების განუყოფელი კავშირი ღროის სულისკვეთებასთან, მის მოთხოვნებთან:

Прошло вчера. Приходит завтра,
Мне представляется порой,
Что — время — славный мой соавтор.
Что — время — главный мой герой.

პ. ანტოკოლსკის ავტობიოგრაფიიდან ვგებულობთ, რომ ჯერ კიდევ მისი ადრეული ბავშვობის წლებში მომავალი პოეტის სულიერ სამყაროში მკაცრად შეიჭრნენ დროის ნიშნები, ჩვენი საუკუნის ნიშნები, დიდი სოციალური ძვრების გამომხატველნი საგაზეთო ცნობებით, რომლებიც იუწყებოდნენ ჩეხოვის გარდაცვალებას და „ცუსიმას“ დაღუპვას, შემდგომ კი ბარიკადებზე გამართული ბრძოლების გრგვინით 1905 წლის შეიარაღებული აჯანყების დღეებში მან პირველად შეიგრძნო ჩვენი „მალეშრბოლი დროის“ დასაწყისი; ამ ამბებმა ჯიქურ გაიყოლეს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკი, გატაცებით რომ ეძებდა საკუთარ ადგილს ცხოვრებასა და ხელოვნებაში.

ალექსანდრე ბლოკის მომაჯადოებელი პოეზიის გავლენის ქვეშ აღზრდილი, ევგენი ვახტანგოვთან შემოქმედებითი თანამეგობრობით დაკავშირებული, ვ. ბრიუსოვისგან გამხნეებული და წახალისებული, — პ. ანტოკოლსკი 20-იანი წლების დასაწყისში შევიდა რუსულ პოეზიაში და შეეთვისა სიტყვის ოსტატთა იმ ახალთაობას, რომელსაც ისტორიამ დააკისრა ფუძემდებლური როლი სოციალისტური რევოლუციის ხელოვნების იდეურ-შემოქმედებით ტრადიციების ფორმირებაში. მას შემდეგ ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენ მუდამ ვსვდავთ პ. ანტოკოლსკის — ახალი სამყაროს პოეტური კულტურისათვის ბრძოლის წინა ხაზზე.

პ. ანტოკოლსკის პოეზიის ძირითადი პათოსი 20-იან წლებში გამოიხატებოდა კაპიტალისტური სამყაროს მანკიერებათა მრისხანე მხილებით: საბჭოთა პატრიოტი ამის თვითმხილველი აღმოჩნდა ვახტანგოვის თეატრის დასთან ერთად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ყოფნისას. 30-იანი წლების დასაწყისში იმავე თეატრის დავალებით პ. ანტოკოლსკი მივლინებულ იქნა გორკის ოლქის ერთ-ერთ რაიონულ ცენტრში. აქ ის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა შუაგულში აღმოჩნდა. ეს იყო დაძაბული ცხოვრებისეული წინააღმდეგობანი, დამახასიათებელნი სოფლის სოციალისტური გარდაქმნის პერიოდისათვის, ქვეყნის ინდუსტრიული აღმშენებლობისათვის, სოციალიზმის გაშლილი შეტევისათვის მთელი ფრონტით. ამ მოვლენათა უშუალო შთაბეჭდილებანი დაეხმარნენ პოეტს გაემდიდრებინა თავისი პოეტური შემოქმედების თემატიკა, ამიერიდან ის გახდა საბჭოთა სინამდვილის მეზობტე და მხატვარი. მისი პოეზია გაქლენთილი იყო სიცოცხლისდამამკვიდრებელი პათოსით და მისი ლირიკული გმირი გახდა მშრომელი ადამიანი — დედამიწაზე ყველაზე სამართლიანი და მოწინავე წყობილების აღმაშენებელი.

30-იანი წლების შუა ხანებში პ. ანტოკოლსკი დიდი შემოქმედებითი გზებით იწყებს მუშაობას მხატვრული თარგმანის სფეროში. ამ მუშაობამ პოეტს მოსთხოვა, გასცნობოდა მოძმე ხალხების ცხოვრებას, ხანგრძლივად ემოგზაურა მოძმე რესპუბლიკებში, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. პოეტის თვალწინ მთელი თავისი დიადი მრავალფეროვნებით გადაიშალა ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ალორძინებული ცხოვრების პანორამა. შეუძლებელი იყო, ახალ შეხვედრებს, შთაბეჭდილებებს, დაკვირვებებს არ გაემდიდრებინათ პოეტის სულიერი სამყარო. აი, რას ამბობს თავად პ. ანტოკოლსკი თავის ავტობიოგრაფიაში: „სწორედ იმხანად, 30-იანი წლების შუა ხანებში, მე სერიოზულად დავიწყე მუშაობა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების პოეტთა თარგმანებზე, გაეცანი საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთს. ისტორიული და სოციალური თვალსაწიერი ჩემთვის გაფართოვდა. გადაიშალა უხსოვარი დროის სიშორეც. ამიერკავკასიის ხალხთა პოეზიაში, მათ საუკუნოვან ეპოსში, ქართულ და სომეხ არქეოლოგთა გათხრებში ჩვენ ვეძებდით ისტორიული ტრაგედიებისა და გადატრიალებების ნაკვალევს, საუკუნეების მანძილზე რომ განსაზღვრავდნენ ხალხის ბედს. ჩვენს ახალ მეგობრებთან ერთად, ამიერკავკასიის პოეტებთან ერთად ჩვენ ვცდილობდით გავრვილიყავით მათი კულტურისათვის, გვევლო მათ კეთილშობილურ ძიებათა ნაკვალევზე“. და შემდეგ, გვიამბობს რა თავის შთაბეჭდილებებზე, რომელიც მიიღო ზესტაფონის ფეროქარხნის გაცნობის შედეგად, იმავე ავტობიოგრაფიაში პოეტი ამბობს: „მეტალოურგების შერკინებამ ბუნებასთან მე გამახსენა ვეფხვისა და მოყმის ბრძოლა“. „ესქილე ჩარეულია დღევანდელობაში, ხოლო პირდაპირ ფეხქვეშ გაწოლილან უხეში ნამსხვრევები პრომეთეს მითოსისა. ცხოვრებამ თელწინ გადაუშალა საბჭოთა პოეტებს თავისი პირველქმნილი სიმდიდრე. ჩვენ თვალნათლივ ვხედავდით ათასობით და ათასობით საბჭოთა აღამიანის შრომას, რომლებიც ანგრევდნენ მათ ქანებს, აღმართავდნენ მომავალი ჰესის კაშხალებს. ჩვენ ვხედავდით ამგვარი შრომის შედეგებს ღამის ელნათურების აციმციმებაში, პირველად რომ სძლიეს ამა თუ იმ სიბნელეს. ყოველივე ეს წარმოუდგენელი მნიშვნელობის სანახაობებია. ისინი გვზრდიდნენ და გვიამლავდნენ ჩვენ“.

მსგავსმა შთაბეჭდილებებმა და დაკვირვებებმა წარმოშვეს ლექსების წიგნი „დიდი მანძილები“. იგი საეტაპო გახდა პ. ანტოკოლსკის შემოქმედებით ბიოგრაფიაში და გაამდიდრა რუსული საბჭოთა პოეზია ახალი ფერებით. სახეებით. თემებით. თვით პოეტის აღიარებით, სამამულე ომის წლებში ისე ბევრს წერდა, როგორც არასდროს მანამდე და არც ომის შემდეგ. მაგრამ საქმე მარტო რაოდენობაში როდია. სწორედ ომის წლებში შექმნა პ. ანტოკოლსკიმ თავისი საუკეთესო პოეტური ქმნილება — „ვაჟიშვილი“ („ძე“), რომელიც შევიდა რუსული

და მთელი ჩვენი მრავალეროვნული პოეზიის ოქროს ფონდში. მასში დიდი დრამატული მხურვალეობით და ემოციური დატვირთვით არის მოთხრობილი. თუ რა უზარმაზარი მსხვერპლისა და დანაკლისის ფასად მოიღოვა საბჭოთა ხალხმა თავისი დიადი გამარჯვება ფაშისტ ბარბაროზებზე და რა ურყევი სიმტკიცით და ვაჟკაცობით იტანდა საბჭოთა ადამიანი უმძიმეს განსაცდელს ამ გამარჯვების რწმენით. პ. ანტოკოლსკის მრავალმნიშვნელოვან პოეტურ გამარჯვებათა შორის ომის შემდგომ წლებში აღსანიშნავია ეპიური ტილო „შესახვევში არბატს იქით“, და ვიეტნამური ლექსების ციკლი.

პ. ანტოკოლსკი ენათესავება ქართულ პოეზიას თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ბევრი თვისებით: პოეტური აზროვნების ხაზგასმული მეტაფორულობა, ლტოლვა პოეტური ფერწერისაკენ. პეიზაჟური ლირიკისკენ და ბუნების სურათების ცოცხლად, მასულდგმულვლად წარმოსახვა, ისტორიზმის გამახვილებული გრძნობა, უნარი შორეული წარსულის მოვლენათა აღქმისა და წარმოსახვისა საბჭოთა ადამიანის ყველაზე აქტუალური აზრებისა და გრძნობების შუქზე. ანტოკოლსკის პოეტური ნიჟის ეს თვისებები განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საქართველოზე დაწერილ ლექსებში.

უკვე თავის პირველ „ქართულ“ ლექსში „საქართველოს სამხედრო გზა“, საუცხოო პოეტური ფერწერით რომ აღბეჭდილა, პოეტი, პირველად შესული „დარიალის ხერულში“, ესწრაფვის კავკასიის მთაგრეხილის „გაადამიანურებას“, არაერთგზის რომ უმღერა რუსული პოეზიის გენიამ:

Вот он за альпийской зоной тянет
В синий дым, в заоблачные льды,
Ухнет вниз и снова целым встанет,
Словно сам Арсен из Маранды.

და შემდეგ:

Погляди на горы в Гудаурел
Вот, заправив чоху за кушак,
Ты, седая, выгнулась в лекурн,
И пошла, и только свист в ушах.

ხოლო მეორე ლექსში — „ღამე სოფელ ყაზბეგში“, პოეტს შეკყავს მყინვარის მწვერვალები ალპინისტების მწუხარე განცდების სამყაროში, მთებში დაღუპულ თანამოძმეთა გაყინულ სხეულებს რომ წაწყდნენ:

И горы склонились до самой земли
Серебрянными головами. Любая песла бы
За гробом тнару свою в миллиардах карат,
Любая громовая грудь подхватила бы слабый

Раскāt похоронного марша в стократный раскāt.
И шли бы за гробом и всею оравой лиловой
Орали бы горы: «Вы жертвою пали в борьбе»
И шли бы как братья, и неповторимое слово
Сказали о славе, о летчиках и о себе.

საქართველოს ყოველ კუთხეში პოეტს განუწყვეტლივ მოესმის ეპოქათა და საუკუნეთა გადაძახილი, მაგრამ სწვდება რა უძველეს დროთა სიღრმეებს, ის არასოდეს შორდება თანამედროვეობის სუნთქვას, ჩვენი დღეების ძალას და სიდიადეს. აი, ქუთაისის შემოგარენში პოეტის მზერა მიიპყრო შორეულ საუკუნეთა ნაკვალევმა. თუმცა ეს სრულიად არ ახშობს პოეტის სულიერ სამყაროში ჩვენი დღეების მაცოცხლებელ ჰანგებს, არ ჩრდილავს მის წარმოსახვაში თანამედროვე ყოფის ელვარე ფერებს.

Но при выходе из этой ночи
День шумел некошеной травой,
разноцветный мир бросался в очи
Всею круговертью ветровой.
И как воплощенная преграда
От вторженья неживых времен
Сквозь развалины дворца Баграта
Виден был стреноженный Рион.

აცოცხლებს რა მკვეთრ, პოეტურ სახეებში უძველეს ლეგენდებსა და თქმულებებს, პოეტს თავისი ჭადოქრული ფანტაზიით შეჰყავს მათი გმირები ჩვენი დღეების ქარტეხილებში. აი, მათი სიტყვები, ჩვენ რომ მოგვმართავენ, ახალი სამყაროს მშენებლებს:

Даже тут, даже в черном Аиде,
Даже черную землю грызя,
Мы проснёмся, любя, ненавидя, —
Ваши спутники, ваши друзья.

სიძველის ასეთნაირი აღქმა ახასიათებს პ. ანტოკოლსკის მთელ „ქართულ“ ციკლს. ფართო პოეტურ განზოგადებებს აღწევს იგი ლექსებში, რომლებიც ეძღვნება ქართული კულტურის ისეთ თვითმყოფად მოვლენებს, როგორიც არიან: „ვეფხისტყაოსანი“, ნიკო ფიროსმანაშვილი, ტიციან ტაბიძე, თამარ აბაკელია.

არც საქართველოს სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს აუხვია გვერდი პოეტმა. ლირიკულ-დრამატული „იატაკქვეშელი“ ერთდროულად წარმოადგენს ამაღლებულ მონათხრობს გმირების ლეგენდარულ ვაჟკაცობაზე, თავდადებულად რომ აუჯანყდნენ მონობისა და ძალმომრეობის სამყაროს, ასევე შთამაგონებელ ჰიმნს მათი გმირული შემართებისადმი. მაგრამ ანტოკოლსკის ქართული ციკლის უპირ-

ველესი ლირიკული გმირი არის ჩვენი თანამედროვე ადამიანი, თავისი მძლე მარჯვენით რომ გარდაქმნის სამყაროს და დედამიწაზე ამკვიდრებს ახალ, ნათელ, ყველაზე სამართლიან, ყველაზე ჰუმანურ ცხოვრებას.

Люди, сгорбясь у печей,
Жидкий сплав шуряют молча.

ასე მრავალმხრივად აისახა ანტოკოლსკის პოეზიაში საქართველოს იერსახე მისი დიდებული ბუნებით, გმირული წარსულით, უძველესი ლეგენდებით და თქმულებებით, ადამიანებით — სასწაულებს რომ აღდენენ აღმშენებლობით შრომაში, თავისი აღორძინებული სამშობლოს მშენებლობაში. და ყოველივე ამაში ნასახივ კი არ არის ეგზოტიკისა, არავითარი გატაცება არქაიკით. ესაა ჩვენი დროის დიდებულების რომანტიკა, ნათელის ბნელზე გამარჯვების სადიდებელი.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი პ. ანტოკოლსკიზე, როგორც მხატვრული თარგმანის შესანიშნავ ოსტატზე, მის ლეწლზე ამ მიმართებით მთელი საბჭოთა კულტურის და კერძოდ, ქართული კულტურის წინაშე. პოეტური თარგმანი ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა პ. ანტოკოლსკის შემოქმედებით მოღვაწეობაში. შემთხვევით როდი ვუწოდეთ მას „საბჭოთა მთარგმნელობითი ხელოვნების ესთეტიკის ერთ-ერთი შემქმნელი. 1954 წელს, საბჭოთა მწერლების II ყრილობაზე მოსმენილ იქნა თანამოხსენება — „საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლობების მხატვრული თარგმანები“, რომელსაც კითხულობდა ანტოკოლსკი. მისმა გამოსვლამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ყველა ჩვენთაგანზე, ყრილობის მონაწილეებზე. ის კითხულობდა თანამოხსენებას დიდი აღმაფრენით და ყრილობაც მხურვალედ გამოესმაურა პოეტის შთამაგონებელ სიტყვებს. იგი თავის თანავეტორებთან ერთად გამოდიოდა, როგორც თავგამოდებული დამცველი საბჭოთა მთარგმნელობითი ხელოვნების ფუძემდებლური პრინციპისა.

ეს თანამოხსენება დღემდე რჩება უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად მხატვრული თარგმანის საკვანძო პრობლემებისადმი სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი პრინციპის მისადაგების თვალსაზრისით. ამ დოკუმენტის ძირითადი დებულებებიდან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ღრმად დასაბუთებული აზრი მხატვრული თარგმნის უღრდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ, იგი მიჩნეულია ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის განმტკიცების ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად: „საბჭოთა კავშირის

ხალხთა მეგობრობა, ნათქვამია ამ თანამოხსენებაში — საბჭოთა საზოგადოების არსებობის ერთი ურყევი საფუძველთაგანია. მარად და ყველგან, მშვიდობიანობისა და ომის და ისევ მშვიდობიანობის წლებში ჩვენ ვგრძნობდით და კვლავ ვგრძნობთ ამ მეგობრობას, როგორც ჰაერს და პურს ჩვენი ისტორიული ყოფისას. ამ მეგობრობის ცოცხალ და რეალურ გამოვლინებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლობების ურთიერთთარგმნა“. ასეთი მაღალი საზოგადოებრივი პოზიციებიდან აფასებენ თავის შრომას და თავის პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე მხატვრული თარგმანის ოსტატები. ბურჟუაზიული თეორეტიკოსები — ესწრაფვიან რა ხალხების გამოიჭენას, ამტკიცებენ, თითქოს შეუძლებელია თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე. თანამოხსენებაში შეურყეველი დამარწმუნებლობით არის არგუმენტირებული დებულება, რომ სიტყვის ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები გადაითარგმნება ნებისმიერი ენიდან ნებისმიერ ენაზე. თანამოხსენებაში დახასიათებული იყო მხატვრული თარგმანის საბჭოური სტილის ძირითადი სპეციფიკური ნიშნები. „ეს ნიშნებია: სიმართლე დედნის ფორმისა და აზრის წარმოსახვაში და ესთეტიკური სიზუსტე“. ამ ერთადერთი სწორი კონცეფციის თვალსაზრისით თანამოხსენებაში სასტიკად არის გაკრიტიკებული ორი ერთნაირად მავნე გამოიჭნულობა ამ მოთხოვნილებიდან — აზრის თვითნებური გადმოცემა და ბუკვალიზმი.

„რომელი მათგანია უარესი?“ — ისმის კითხვა თანამოხსენებაში.

„ის, რომელსაც ამ მომენტში არ ებრძვიან“. — ასეთია პასუხი.

აქ გამოიხატება იმის დასტური, რომ მთარგმნელს მინიჭებული აქვს უფლება შემოქმედებითი აქტიურობისა სათარგმნი ნაწარმოების მიმართ, მისი ვალია, გახსნას და წარმოსახოს ორიგინალის ფორმაც და შინაარსიც. თანამოხსენებაში მთელი კატეგორიულობით იყო წამოყენებული მოთხოვნილება, რომ „მხატვრული ნაწარმოების თარგმანი თავად უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოები“.

სამართლიანად იყო უარყოფილი წარსულში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ თარგმანი — ეს არის ბრძოლა მთარგმნელისა ორიგინალის ავტორთან, რომ მთარგმნელი მოქიშპეა მწერლისა, რომელსაც თარგმნის, თანამოხსენება კი ამტკიცებდა, რომ „თარგმანი მეგობრობის ყველაზე მაღალი აქტია. მწერლებს შორის“. თანამოხსენების სხვა მრავალ ფასეულ დებულებათა შორის უნდა გამოიყოს კიდევ ერთი: მთავარ ვალდებულებებთან ერთად (დედნის ენის ცოდნა, მშობლიური ენის ზედმიწევნით ცოდნა და სხვა) მხატვრული თარგმანის ოსტატებმა „უნდა შეიციონ და შეიყვარონ ხალხი, გენიალური პოეტის მშობელი, შეიციონ და შეიყვარონ ამ ხალხის შრომა, მისი ყოველდღიური ბრძოლა თავისი ბედნიერებისათვის“.

ჩვენ დაწვრილებით შევჩერდით ამ თანამოხსენებაზე იმიტომ, რომ

მასში ასახულია აზრები პ. ანტოკოლსკისა, როგორც მისი ერთ-ერთი ავტორის, გამოხატულია მისი მთარგმნელობითი კრედო, რომლის გა-აზრების გარეშე შეუძლებელია ამ სფეროში პოეტის შემოქმედებითი მოღვაწეობის შეფასება. ყელა თეორიული დებულება, გამოთქმული ამ დოკუმენტში, საესებოთ მრესადაგება პ. ანტოკოლსკის მთარგმნელობით პრაქტიკას. დიახ, პავლე ანტოკოლსკიმ შეიცნო წარსული და თანამედროვეობა იმ ხალხისა, რომელმაც წარმოშვა მის მიერ თარგმნილი პოეტები, გულწრფელად შეიყვარა ეს ხალხი და ამ მეგობრობითა და სიყვარულით არის ფრთაშესქმული მთელი მისი ნამოღვაწაობა, კლასიკური თუ თანამედროვე ქართული პოეზიის თარგმანში. პოეტი სრული უფლებით აცხადებს: „ერთხელ და სამუდამოდ შევიცანით რა ნაქართველო პოეტურ თარგმანებსა და ბწყარედებში, მის მუსიკასა და შუა საუკუნეების ფრესკებში, მის მოღვაწეებთან პირად მეგობრობაში და მის პეიზაჟში, ჩვენი დღეების მჩქეფარე აღმშენებლობაში — ერთი სიტყვით, ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებაში, ჩვენ კვლავ და კვლავ სიხარულს გვგვრის ყველაფერი, რაც ამდირებს ამ ცოდნას და მის მეგზურ სიყვარულს“.

პ. ანტოკოლსკი მიუდგა ძელი და თანამედროვე ქართული პოეზიის მთელ საგანძურს არა როგორც მოქიშპე, არამედ როგორც მისი მეგობარი, პატრიოტი და დაუცხრომელი პროპაგანდისტი. თვითნებობისა და ბუკვალისმის შეურიგებელი მტერი, იგი ისწრაფვის ღრმად ჩასწვდეს სათარგმნი ნაწარმოების არსს, შეიცნოს დედნის ავტორის თავისებურ გამომსახველობით საშუალებათა სამყარო. უმრავლეს შემთხვევაში პ. ანტოკოლსკის თარგმანები წარმოადგენენ ეპკვიუტანელი იდეურ-ესთეტიური მნიშვნელობის მხატვრულ ნაწარმოებებს.

ვეცნობით რა პ. ანტოკოლსკის თარგმანებს, პირველყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ღრმა ცოდნა და უტყუარი გემოვნება, რომლითაც ის არჩევს სათარგმნ მასალას. ყოველი სათარგმნი პოეტისაგან ის იღებს მისთვის ყველაზე დამახასიათებელს, ფასეულს, მნიშვნელოვანს. თარგმნის რა სულ სხვადასხვა შემოქმედებითი ინდივიდუალობის, შემოქმედებითი ბიოგრაფიის პოეტებს, კლასიკოსებს თუ თანამედროვეთ, მთარგმნელი უნარჩუნებს თვითეულ მათგანს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ იერსახეს. სწორედ ეს არის „გარდასახვის“ ის ხელოვნება, რომელსაც, ანტოკოლსკის ღრმა რწმენით, უნდა ფლობდეს მთარგმნელი. პ. ანტოკოლსკის თარგმანებში ყოველი ქართველი პოეტი სხვა ერის მკითხველის წინაშე წარმოსდგება ისეთივე თვითმყოფად ორიგინალურ მხატვრად, როგორც ის არის მშობლიურ ლიტერატურაში.

ისწრაფვის რა წარმოსახოს სახეთა წყობა, დედნის რიტმიული მონახაზი, მისი დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებანი, მთარგმნელი როდი ამახინჯებს რუსული ლექსის ბუნებას, რუსული ლექსთა-

წყობის კანონებს. ამიტომაც მისი თარგმანი შესრულებულია შესანიშნავი რუსული ლექსით და აღიქმება, როგორც თვითმყოფადი ესთეტიკური მოვლენა.

1962 წლის მარტში თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის მთარგმნელთა რეგიონალური კონფერენცია, რომელმაც განიხილა მთარგმნელობითი ხელოვნების უმნიშვნელოვანესი საკითხები. პ. ანტოკოლსკიმ, როგორც სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანის საბჭოს თავმჯდომარემ, მეტად ქმედითი მონაწილეობა მიიღო ამ კონფერენციის ორგანიზაციაში და იყო მისი აქტიური მონაწილე. შეეხო რა მთარგმნელობითი ხელოვნების საკითხს, პ. ანტოკოლსკიმ თარგმანი დაახასიათა, როგორც გარდასახვის ხელოვნება და შემდეგ თქვა: „ან კი რა არის გარდასახვა? მისტიკა? თუ ცისფერი შუქი, უღრუბლო ზეციდან ან ქერიდან რომ ანათებს? მოდიო, გაუანალიზოთ ეს ფენომენი, რომელშიც არ არის არაერთარი იდუმალება. ეს არის ის, რასაც ყოველდღიურად ქმნიან რუსთაველის თეატრში, ეს ის არის, რასაც ყოველდღიურად აკეთებენ მოსკოვში, სამხატვრო თეატრში. ეს არის ის, რასაც ასე დიდებულად აკეთებს გენიალური მოცეკვავე ვ. კაბუციანი, როცა ის დღეს ოტელოა, ხვალ კი — დემონი. აი, რა არის გარდასახვა. მთარგმნელის ხელოვნება, ამ თვალსაზრისით, თავისი ბუნებით ენათესავენა არტისტულ, აქტიორულ ოსტატობას. ამ თვალსაზრისით. შესაძლოა, ღირს საუბარი გადამწყვეტი რგოლის შესახებ გარდასახვის ხელოვნებაში. რის წინაშე დგას მსახიობი, როცა ის პირველად შეეჭიდება ჰამლეტის ან არსენა მარაბდელის როლს, ხლესტაკოვის როლს ან ემირს „არშინ მალ-ალანიდან“? მსახიობი, პირველყოვლისა, სვამს კითხვას, შეყვარებულია ის, ვინც მან უნდა განასახიეროს? როგორ მოქმედებს ის, ვისი სახეც მან უნდა მიიღოს? ეს არის მისი ამოცანა, ზეამოცანა, მისი გამკოლი მოქმედება. ყოველი ლირიკული ლექსიც კი — მოქმედებაა. მე ვეთანხმები მათ, ვინც ამბობდა, რომ ნებისმიერი თარგმანი — ეს პოეტური თარგმანია, პოეზია, ამ შემთხვევაში, არის ის ზღვარი, რომელსაც აღწევს პროზა, როცა ის დიდებულია. პოეზია — ეს ადამიანის სიტყვაში გამონახტვის უმაღლესი სახეობაა“.

პოეზიაზე სწორედ ასეთი თვალთახედვით შეაღია პ. ანტოკოლსკიმ თავისი ცხოვრების ათეული წლები მთარგმნელობით ხელოვნებას.

პ. ანტოკოლსკი, ერთ-ერთი პირველი რუს პოეტთა შორის (ვ. ბალმონტის შემდეგ) შეეჭიდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს. და თუმცა ეს უზარმაზარი შრომა პოეტმა ვერ დაასრულა, მაინც, ცალკეული თავეზის თარგმანს აქვს პრინციპული მნიშვნელობა ამ გენიალური პოემის რუსულ ენაზე ადეკვატური გადატანის გზებისა და ხერხების ძიების თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ ქართული პოეზიის პირველ ანთოლოგიაში რუსულ ენაზე კანონიერად დაიკავა ღირსეული ადგილი ან-

ტოკოლსკის თარგმანმა. პ. ანტოკოლსკის თარგმანების მიხედვით რუს მკითხველს და სხვა მოძმე რესპუბლიკების მკითხველებსაც მართებულ-ლი აზრი შეეძქმნებათ ქართველ კლასიკოსებზე — დავით გურამიშვილზე, ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, აკაკი წერეთელზე.

თანამედროვე ქართველ პოეტთა ანტოკოლსკისეული თარგმანები წარმოადგენენ ნათელ მაგალითს მოძმე ხალხების მხატვრული სიტყვის ოსტატთა შემოქმედებითი თანამეგობრობისა. სწორედ ამ გრძნობით — მეგობრობის, სიყვარულის და ყურადღების გრძნობით არის გამთბარი პ. ანტოკოლსკის გამონათქვამები ქართულ პოეზიაზე.

პ. ანტოკოლსკის უყვარს გერცენის სიტყვების გახსენება იმის შესახებ, რომ კეთილშობილად გაზრდილ ადამიანებს წლები ემატებათ, მაგრამ ისინი არ ბერდებიან. ეს სიტყვები სავსებით შეეფერება პ. ანტოკოლსკის, ერთ-ერთ ყველაზე „კეთილშობილად გაზრდილ“ ადამიანს საბჭოთა ლიტერატურაში. პ. ანტოკოლსკის ახალი ლექსების ციკლები, მისი ბოლო წლების თარგმანები, მისი მწერლური მოღვაწეობის სულ უფრო მზარდი აქტიურობა საფუძველს გვაძლევს გვჯეროდეს, რომ მისი დაუხარჯავი სულიერი მხნეობა და პოეტური დამუხტულობა კიდევ მრავალ შემოქმედებით სიხარულს მოუტანს მას, მის თანამოკალმეთ და ჩვენს მაღლიერ მრავალეროვან მკითხველებს.

ხალხთა მეგობრობის სიმღერა

1953 წელს ქართულ საბჭოთა პოეზიას რამდენიმე ახალი, უაღრესად საყურადღებო ნაშრომები შეემატა. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იოსებ ნონეშვილის ლექსების ციკლს „სომხეთში“, რომელიც ჟურნალ „მნათობის“ გასული წლის № 11-ში გამოქვეყნდა. ამ ციკლის ლექსებში შთამაგონებლად ასახავენ და უმღერიან ჩვენს დიდ ქვეყანაში დამკვიდრებულ ხალხთა ლენინური ძმობისა და მეგობრობის უწმინდეს გრძნობას, რომელიც საბჭოთა ხალხის სულიერი სამყაროს საუკეთესო თვისებასაც წარმოადგენს და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძღვევამოსილების უპირველეს წყაროსაც.

ჩვენი პოეზიის ერთ-ერთი ნიჭიერი და მოწინავე ოსტატის ი. ნონეშვილის ეს ახალი ნაწარმოები იმ ვითარებაში გამოქვეყნდა, როდესაც ჩვენი მრავალფეროვანი საბჭოთა სამშობლო საყოველთაო პატრიოტული აღფრთოვანებით ზეიმობს დიად თარიღს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. ეს დღესასწაული არა მარტო რუსი და უკრაინელი ხალხების, არამედ ჩვენი სამშობლოს ყოველი ხალხის ნაციონალური ზეიმიცაა, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის ბრწყინვალე ტრიუმფია. მართლაც პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ:

და განა მარტო ორი ხალხია
ერთი ფიქრით და ერთი მიზნითა?
თექვსმეტ ძმას ერთად აღუმართია
დიადი დროშა კომუნისმისა.

საბჭოთა ხალხის ფიქრთა და გრძნობათა სამყაროსთან მძლავრობის თანხმობისათვის ჟღერს პოეტის ლექსი, რომელშიც იგი შთაგონებულად აღიდებს ხალხთა მეგობრობას, მშვიდობისა და ძმობის სიმღერას.

სწრაფია ქარზე,
რვალზე მაგარი,
მუდამ ფრთალაღი, ხალისიანი,
მასში დაზგების ისმის გაგანი,
ნამგლის წკრაილი.
ყანის შრიალი.

ეს სიმღერა — ხალხთა ძმობისა და თანამეგობრობის უკვდავი და უძლეველი ჰანგი — ჩვენი სამშობლოს ყოველი მიღწევისა და წარმატების, საბჭოთა ადამიანის ყველა უმაღლესი ოცნებისა და მისწრაფების გამოძახილია. მასში ურყევი რწმენაა სოციალიზმის საქმის ძლევა-

მოსილებსა, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განუხრელი აღმავლობისა. მრავალმხრივი და მრავალფეროვანია ხალხთა მეგობრობის მაღალი გრძნობის გამოვლინება ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში. ლექსების ციკლში „სომხეთში“ ი. ნონეშვილი უმთავრესად ასახავს სომეხ და ქართველ ხალხთა მრავალსაუკუნოვან ძმობას და მეგობრობას, რამაც განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი და განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია ჩვენს დიად სოციალისტურ ეპოქაში. ღრმად აქტუალური იდეური შინაარსით აღსავსე და წრფელი ღირიზმით გამსჭვალულ ამ ლექსებში პოეტი გადმოგვცემს საბჭოთა სომხეთში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს, ხატავს აღორძინებული სომხეთის ბუნებისა და ყოფაცხოვრების კოლორიტულ სურათებს, გადმოგვცემს სომეხ თანამოძმეებთან შეხვედრებით აღძრულ გაცნობებს და აზრებს. ამ ლექსების ლირიკულმა გმირმა, საბჭოთა ქვეყნის მგზნებარე პატრიოტმა კარგად იცის, რომ ქართველ და სომეხ ხალხთა თანამეგობრობის, საერთოდ საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახის ერთიანობისა და მძლავრი დარაზმულობის საფუძველთა საფუძველს დიდი რუს ხალხთა განუყოფელი კავშირი და მეგობრობა შეადგენს. რომ სწორედ დიდმა რუსეთმა შემოკრიბა და შეამკიდროვა საბჭოთა ხალხები მარადიული ერთიანობით, როგორც ამას მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი მღერის თავისი სახელმწიფო ჰიმნის დიდებული სიტყვებით.

ლექსში „სიმღერა მეგობრობისა“ ი. ნონეშვილი წერს:

ჰესს ემატება ამ ხმით კაშკაში,
ხაჩათუნი წარმოდგებიან,
ძმებს შორის გმირი რუსი ვაჟაკი
ამ დიდ სიმღერის წამომწყები.

ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ საბჭოთა სომხეთისადმი მიძღვნილი ლექსების ამ ციკლში პოეტი მკაფიოდ და მეტყველად გამოხატავს დიდი რუსი ხალხისადმი, მისი დიდებული ენისა და კულტურისადმი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობას. ამ გრძნობით არის შთაგონებული ციკლის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი — „დაილოცოს“. ამ ლექსში პოეტი აღიდებს რუსულ ენას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ჩვენი სამშობლოს ხალხებს:

ის ენა მშვიდობისა,
ბორკილთაგან დახსნის,
ლადია და გულწრფელია,
როგორც რუსი ხალხი.
მიყვარს მისი მადლიანი,
თავლიანი სიტყვა,

მე ეს ენა ჩემი ტკბილი,
ჭართულივით მიყვარს.

დიდ რუს ხალხთან ერთად მომემ ხალხების ურღვევი საბრძოლო თანამეგობრობის გამოხატულებას პოეტი პოულობს არა მარტო ჩვენი სოციალიტური სინამდვილის მოვლენებში, არამედ შორეულ წარსულის წიაღშიც. აი სომხეთის ეროვნული კულტურის შესანიშნავ საგანძურში მატანადარანში პოეტს დაუთვალეირებია რუსულიდან თარგმნილი ძველი ხელნაწერები. ამ თარგმანზე მუშაობის დროს სომეხი მწიგნობარი უცხოელ თავდამსხმელებს მოუკლავთ, მაგრამ მწიგნობარის მიერ დაწყებული საქმე მის შეგირდს გაუგრძელებია და დაუმთავრებია. ლექსში „და გადასცემდა ოსტატს ოსტატი“ ი. ნონეშვილი ღრმა გააზრებით, ნათელი პოეტური ფანტაზიით წარმოსახავს წარსულის ამ ეპიზოდს, მოგვითხრობს, თუ როგორ მოწიწებით და გულმოდგინებით აგრძელებდა ჰაბუკი შეგირდი მტერთან ბრძოლაში დაღუპული თავისი მასწავლებლის საქმეს:

უფრთხილდებოდა შორით მოტანილ
წიგნს, როგორც შჳის შუქს და მომავალსა,
და გადასცემდა ოსტატს ოსტატი,
შთამომავალი შთამომავალსა.

იმავე მატენადარანში პოეტს უნახავს მრავალ პერგამენტზე დაწერილი ძველი სომხური წიგნი, რომელიც არა ერთხელ გაუტაციათ საძულველ დამპყრობლებს და არა ერთხელ უკანვე დაუბრუნებია თავისუფლებისმოყვარე სომეხ ხალხს. უკანასკნელად ეს წიგნი დაუცავს და გადაურჩენია სომეხ ჯარისკაცთან ერთად მებრძოლ რუს ჯარისკაცს, რომელმაც თავისი დევგმირული მკერდით დაიცვა საბჭოთა ხალხების სიცოცხლე და მომავალი:

მარტო ეს წიგნი?...
როგორც მეგობარს
შეგხვდა,
დაიცვა ჩვენი უფლება.
ის დავეხმარა რომ შევეძლებოდა
ცხოვრების წიგნის დასაკეთრება.

პოეტის დიდი შემოქმედებითი წარმატება ის არის, რომ ციკლის საუკეთესო ლექსებში იგი გონებამახვილურად მიგნებულ ლირიკულ სიუჟეტებზე, ცოცხალი სინამდვილის კონკრეტულ მოვლენებზე ამყარებს პოეტურ განზოგადებას და ამ გზით თავიდან იცილებს რიტორიულობისა და ერთფეროვნების საშიშროებას.

ლექსში „ოჯახი, დროშა, ჰეშმარიტება“ პოეტი ქართველ და სომეხ ხალხებს შორის საუკუნეობრივი ძმობის მკაფიო, გამოვლინებად სახავს ხალხის ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესი ამ სამი მცნების გამომხატველ სიტყვათა იგივეობას სომხურსა და ქართულ ენებში:

ოჯახი, დროშა, ჰეშმარიტება,
ეს სამი სიტყვა ერთი გეჰონია,
ამ სიტყვებს თარგმნა არა სჰირღება,
ღედის კალთამიც გაგვიგონია.

პოეტი წრფელი გრძნობით შეჰხარის ამ სამი უწმინდესი სიტყვის ერთნაირ ჟღერას ორი მოძმე ხალხის ენებში; ოჯახური კერ-სადმი ერთგულება, საბრძოლო დროშისათვის თავდადება, ჰეშმარიტების დაცვა — აი სახელოვანი ტრადიციები, რომელიც შექმნეს საუკუნეების მანძილზე დამშობილებულმა მეზობელმა ხალხებმა. პოეტი წერს:

და მათი ჟღერა ვით არ მიყვარდეს,
ქართული არის, სომხური არის,
როგორც ჭავშანზე, ამ სამ სიტყვაზეც
გაღატეხილა მომხდურის ხმალი.

ქართველი საბჭოთა პოეტი მშობლიური სიყვარულით განიცდის სომხეთის ბუნების წარმატაც სურათებს:

მაღალებს მწვანე ხეთა კრებული
მხრებზე მეყრება ლალის მარცვლები,
და ბიბლიურად ჩაფიქრებული
შთა არარატი თავზე დამცქერის.

ი. ნონეშვილის ლექსების ციკლში ამ ლალსა და ფრთაასხმულ სიმღერებში გამოთქმულია მაღალი შეგნება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს განუზომელი უპირატესობისა კაპიტალისტური სამყაროს წინაშე; კაპიტალისტურ ქვეყნებში ხალხთა მონობისა და ურთიერთ მტრობის ბარბაროსული პოლიტიკა მძვინვარებს. იქ ხალხის ცხოვრება ველური ექსპლოატაციისა და ეროვნულ-რასობრივი დისკრიმინაციის წყვედიადით არის მოცული. ორი სამყაროს ასეთი დაპირისპირების კონტრასტული სურათთა დახატული შემდეგ სტრიქონებში:

არარატს იქით, უცხო მხარეში,
სადაც დოლარი ქვეყნის ღმერთია,
მდიდარს ღარიბის ენა არ ესმის,
თუმც მშობლიური ენა ერთი აქეთ...
დგას არარატი გაორებული,
უკან ბინდი აქვს, წინ მზის ნათელი,
იქით ალალ ძმას ძმა მტრად ეგულვის,
აქეთ ეხვევა სომეხს ქართველი.

მეტად საინტერესო და გონებამახვილურ პოეტურ ჩანაფიქრზეა აგებული ლექსები „ბალადა წყაროებისა“. საბჭოთა-სომხეთის დედაქალაქში, მდინარე ზანგას ნაპირას ჩამწერივებულია ლამაზი არქიტექტურული ნაგებობის წყარო-შადრევნები. ეს წყაროები სამამულო ომის გამოჩენილი გმირების სახელებს ატარებენ. ეს წყარო-ქეგლები ხალხმა ააგო, რათა უკეცდაეყო ხსოვნა თავისი სახელოვანი შვილებისა, რომელთაც თავი დასდეს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ბალადა მთავრდება ღრმად გააზრებული ლირიკული სურათით, რომელიც დიდი ემოციური ძალის სტრიქონებშია გამონატული:

ჩვენს წინ ქეგლები იდგნენ ამაყად,
ჩუხჩუხი მთიდან
ქარად ისმოდა
და თითქოს სადღაც, ღრუბლებს გადაღმა,
უერთდებოდა მარადისობას.

ნათელი პოეტური აზრის ასე მკვეთრად და შთაგონებულად გამოსატვის ოსტატობას იჩენს ი. ნონეშვილი ამ ციკლის საუკეთესო ლექსებში.

სომხეთის ბუნების მშვეენებისა და სიამაყის — სევანის ტბისა და მისი მიდამოების წარმტაცი სურათებია დახატული ლექსში „დავა ალექსანდრე ჭავჭავაძისა გოგჩის, ანუ სევანის ტბაზე“. რამდენიმე ლაღი და ბუნებრივად მონაზული შტრიხით პოეტი წარმოსახავს ბუნების მეტყველ სურათს, რომელიც გაცოცხლებულია აღფრთოვანებული ადამიანური განცდით და განწყობილებით:

ირგვლივ სიცოცხლის შუქი ანთია,
ლივლივებს ყანა
ბარაქიანი,
სადღაც უმღერის მწყემსი განთიადს
და ბანად
ისმის ჴვირთის ზრიალი.

რომანტიკოსი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის მკვეუნვარე და სევდიანი განცდის საწინააღმდეგოდ საბჭოთა პოეტი სევანის ტბისა და მისი მიდამოების სანახაობას განიცდის, როგორც ცხოვრების განახლებასა და აღორძინებას.

„ნეტავ“ და „ცავად ტანემ“ საღი ინტიმური სატრფიალო გრძნობით აღბეჭდილი ლექსებია. საბჭოთა სამშობლოს საზღვარზე ერთგულ და უშიშარ გუშავად მდგარი მებრძოლის სახეს ხატავს პოეტი ლექსში „მესაზღვრე“.

გმირი გელში დავლოცე,
როგორ არ დამელოცა:
მომე სომხეთს რომ იცავს,
იცავს საქართველოსაც....

ასეთია იდეების, თემების და გრძნობების ის სამყარო, რომლითაც ი. ნონეშვილის ლექსების ეს ახალი ციკლი ამდიდრებს ქართულ საბჭოთა პოეზიას. უეჭველია, რომ ამ ციკლის ლექსთა დიდი ნაწილი ცხოველ გამოძახილს ჰპოვებს მკითხველთა ფართო ფენებში. პოეტის ეს ახალი ნაწარმოები აფართოებს ქართულ საბჭოთა პოეზიის დიპაზონს, აღრმავებს და ამდიდრებს თანამედროვე ქართულ პოეზიაში მოძმე ხალხთა ცხოვრების ასახვას, ხალხთა მეგობრობის კეთილშობილური გრძნობის გამოხატვის ძვირფას ტრადიციას. უფლება გვაქვს ვიმედოვნებდეთ, რომ ამ ციკლის არა ერთი ლექსი მრავალეროვანი საბჭოთა მკითხველის საზოგადოებრიობის ყურადღებას დაიძსახურებს და შევა ჩვენი სოციალისტური პოეზიის საერთო საკავშირო საგანძურში.

ციკლის შემადგენელ ლექსთა უმრავლესობა ი. ნონეშვილისათვის დამახასიათებელი ტემპერამენტით, წრფელი ლირიზმით, პოეტურად აზრის სიმძაფრით არის აღბეჭდილი. ციკლის ყოველი ლექსი განსხვავებულ ინტონაციურ წყობას ემყარება, თავისებურ რიტმზეა და მეტრზეა აწყობილი. ეს გარემოება სპობს მოსაწყენი ერთფეროვნებისა და მონოტონურობის საშიშროებას, რაც ხშირად იგრძნობა ხოლმე ლირიკულ ლექსთა ასეთ ვრცელ ციკლებში. ამ ლექსებშიც ი. ნონეშვილი ფრთაასხმული პოეტური ფრაზის ოსტატობას იჩენს. ისტორიულ თემებზე დაწერილ ლექსებში იგი ახერხებს სიტყვიერ ქსოვილში დიდი ტაქტით და ზომიერებით შეიტანოს სპეციფიკური კოლორიტი, რაც ინტონაციის, ფრაზის აგების ნიუანსებში გამოიხატება.

ერთი სიტყვით: ამ ციკლის საუკეთესო ლექსებში პოეტმა მკაფიოდ გამოავლინა თავისი ნიჭიერების ის დამახასიათებელი ღირსებანი, რომელთა გამოც მისი პოეზია დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ქართველ მკითხველთა შორის.

თანამედროვეობის სრულყოფილად ასახვისათვის

დრამატურგიაში

I

ჩვენი სამშობლოს ისტორიული განვითარების ყოველი ახალი ეტაპი ახალ, სულ უფრო რთულსა და ღრმას, თანაც უფრო აღმაფრთოვანებელ და შთამაგონებელ ამოცანებს აყენებს საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის წინაშე. ეს ბუნებრივია. არსად და არასოდეს ლიტერატურა და ხელოვნება ისე ორგანულად და განუყოფლად არ ყოფილან დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, საზოგადოებრივი განვითარების პროცესებთან, სახელმწიფოს მიზნებთან და ინტერესებთან. როგორც ჩვენს დროს, ჩვენს ქვეყანაში. ამიტომაც ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ყოველი მნიშვნელოვანი ძვრა გავლენას ახდენს ჩვენს მხატვრულ კულტურაზე, გამოხატულებას პოულობს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, განაპირობებს მათი შემდგომი განვითარების გზებსა და ხასიათს.

ასე ხდებოდა საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ყველა ეტაპზე და ასე ხდება ახლაც, როცა ჩვენი სამშობლო თავისი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყოველი დარგის ახალ მკვეთრ აღმაჯლობას განიცდის. რაც უფრო წინ მიდის ჩვენი ქვეყანა ამ ნათელ გზაზე, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ხალხის სოციალისტურ შეგნებულობას, მის იდეურ წრთობას, მორალურ სისპეტაკეს. ამით აიხსნება ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი როლის განუხრელი ზრდა ჩვენს ქვეყანაში და ამის შესაბამისად მომთხოვნელობის ზრდაც შემოქმედების სფეროში, იმ კრიტერიუმის ზრდა, რომლითაც ხალხი ზომავს და აფასებს სულიერ ღირებულებებს. ასეთ ვითარებაში სავსებით ბუნებრივად აღმოცენდა ის უაღრესად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ თავისი ისტორიული მე-20 ყრილობის ტრიბუნიდან დაუსახა ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას:

„ჩვენი ქვეყნის ხელოვნებასა და ლიტერატურას შეუძლია მიაღწიონ და კიდევაც მიაღწევენ იმას, რომ პირველნი გახდნენ მსოფლიოში არა მარტო შინაარსის სიმდიდრით, არამედ მხატვრული ძალითა და ოსტატობითაც“. თუ აქამდე ჩვენ კანონიერად ვამაყობდით იმით, რომ ჩვენი ლიტერატურა ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური, ყველაზე რევოლუციური ლიტერატურაა მსოფლიოში, ახლა უკვე ჩვენი ხალხი აღარ კმაყოფილდება თავისი ლიტერატურისა და ხელოვნების მხო-

ლოდ იდეური, შინაარსობრივი უპირატესობით. ახლა მთავარი საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ ამ იდეურ უპირატესობას შეესაბამებოდეს ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების ისეთივე უპირატესობა მხატვრული ოსტატობის სფეროშიც, ხალხზე ზემოქმედების ძალის მხრივაც. ეს გულისხმობს ყურადღების განსაკუთრებულ გამახვილებას მხატვრული ფორმის, პროფესიული ოსტატობის საკითხებისადმი. ახლა მეტად, ვიდრე ოდესმე, მოუთმენელი ხდება უფერულობა, შაბლონი, პრიმიტიულობა მხატვრულ შემოქმედებაში. პარტიის მე-20 ყრილობაზე აღინიშნა, რომ „არ შეიძლება შევურიგდეთ უფერულ, ნაჩქარევად დაწერილ ნაწარმოებებს, როგორც ამას სჩადის ზოგიერთი ამხანაგი ხელოვნების ორგანოებში, რედაქციებსა და გამომცემლობებში. უფერულობასა და სიყალბეს ხშირად საკმაო წინააღმდეგობა არ ეწევა. რაც ზიანს აყენებს ხელოვნების განვითარებას და ხალხის მხატვრულად აღზრდას“.

სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკაში მხატვრულობის კრიტიკრიუმი განუყოფლად არის დაკავშირებული ცხოვრების სიმართლით გამოხატვის, კომუნისტური იდეურობის, პარტიულობის პრინციპებთან. პარტია და ხალხი მოითხოვენ ჩვენი მწერლობისა და ხელოვნებისაგან სინამდვილის ღრმა და მართალ გამოხატულებას, ცხოვრების რეალური კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა ჩვენებას, მისი წამყვანი ტენდენციების განსახიერებას. არც სინამდვილის „შელამაზება, მის ჩრდილოვან მხარეთა, სიძნელეთა და მანკიერებათა მიჩქმალვა, არც ამ მანკიერებათა ისეთი იზოლირებული და ჰიპერტროფირებული გამოხატულება, რომელიც მოასწავებს ყოველივე იმის უგულებელყოფას და გაბიაბრუებას, რაც შეუქმნია და მოუპოვებია ჩვენს ხალხს თავისი ხანგრძლივი ბრძოლისა და შრომის შედეგად. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება ცხოვრების განმამტკიცებელი ხელოვნებაა. იგი იბრძვის პირველყოვლისა, ჩვენი სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, ხალხის სულიერი შეიარაღების, მისი მორალური ამაღლებისათვის. პარტიის მე-20 ყრილობაზე სავსებით კანონზომიერად გაიხმა მოთხოვნა: „ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში შემოქმედებითი მოღვაწეობა გამსკვალული უნდა იყოს კომუნისტური ბრძოლის სულისკვეთებით, უნდა უნერგავდეს ადამიანებს სიმხნევეს, რწმენის სიმტკიცეს, ავითარებდეს სოციალისტურ შეგნებას და ამხანაგურ დისციპლინას“.

ასეთ მაღალ იდეურ-ესთეტიკურ მოთხოვნათა მთლიანობას შეიცავენ ის ამოცანები, რომლებიც პარტიის მე-20 ყრილობამ დაუსახა ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას. ამ ამოცანათა სიმადლიდან განსაკუთრებით საგრძნობი და ხელშესახები ხდება ის სერიოზული ნაკ-

ლოვანებანი და ხარვეზები, რომელთაც ადგილი აქვთ ამჟამად ჩვენი იდეოლოგიური ცხოვრების ამ უაღრესად მნიშვნელოვან უბანზე. მთავარი ამ მხრივ ის არის, რომ ჩვენს მხატვრულ შემოქმედებაში ჩვენი საბჭოთა სინამდვილე, თანამედროვეობის დიადი მოვლენები, ჩვენი ხალხის გმირული საქმეები, საბჭოთა ადამიანის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყარო ჯერ კიდევ ვერ პოულობენ ღრმა და მალალმხატვრულ გამოხატულებას. პარტიის მე-20 ყრილობაზე სრულიად სამართლიანად აღინიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩებიან ცხოვრებას, ჩვენს სინამდვილეს, რომელიც განუზომლად უფრო მდიდარია, ვიდრე მათი გამოხატულება ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების ნაწარმოებებში.

იმისათვის, რომ საბჭოთა მწერლობამ და ხელოვნებამ თავი დააღწიონ ასეთ ჩამორჩენილობას, აუცილებელია ღრმად იქნეს გაგებული და გააზრებული ამ ჩამორჩენილობის მიზეზები და მათი გადალახვის საშუალებანი. ამ მხრივ მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობისათვის და კერძოდ, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის დიდი გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა აქვს იმ მძაფრ იდეურ ბრძოლას, რომელიც გააჩაღა პარტიამ პიროვნების კულტისა და მისი შედეგების აღმოფხვრისათვის.

იმ ფაქტორებმა, რომელთაც განაპირობეს პიროვნების კულტის წარმოშობა და ფართოდ გავრცელება, ცხადია, დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენს ლიტერატურას და ხელოვნებასაც, დიდად შეაფერხეს შემოქმედებითი აზრის თავისუფალი განვითარება და, მაშასადამე, მნიშვნელოვნად გამოიწვიეს ის ჩამორჩენილობა, რომლითაც ხასიათდება მთელი ჩვენი მხატვრული კულტურის ახლანდელი მდგომარეობა.

პიროვნების კულტის მანკიერი გავლენა ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, პირველ ყოვლისა, იმაში გამოიხატა, რომ მან შეზღუდა და შეანელა შემოქმედებითი ინტერესი და ყურადღება ხალხისადმი, რომელიც ისტორიის ნამდვილ გმირს, მის მამოძრავებელ ძალას, მის შემოქმედს წარმოადგენს. ეს გარემოება თავისთავად მოასწავებდა ღალატს ცხოვრების სიმართლისადმი, რაც ყველაზე მომაკვდინებელი ცოდვაა რეალისტური ხელოვნებისათვის. პიროვნების კულტმა გზა გაუხსნა ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში სახოტბო-საზეიმო განწყობილებებს, რამაც წარმოშვა ცხოვრების შელამაზებულად, მაშასადამე, ცალმხრივად, გაუბრალოებულად და გაყალბებულად გამოხატვის ტენდენციები. ამან გადაუღობა გზა ჩვენს ლიტერატურას ცხოვრებისეული კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა სიმართლით გააზრებისა და განსახიერებისაკენ. ხოლო ეს გარემოება ანელებდა მხატვრული ნაწარმოების შინაგან დრამატიზმს და, მაშასადამე, მისი ემოციური შემოქმედების ძალასაც, შეუძლებელს ხდიდა თანამედროვეობის გმი-

რის სრულფასოვან სახეთა შექმნას, რადგან არ შეიძლება გმირული ხასიათის გამოვლენა იქ, სადაც არ არსებობს კონფლიქტები და წინააღმდეგობანი, არ წარმოებს ბრძოლა და შეჯახებანი ურთიერთწინააღმდეგ ძალთა შორის. სწორედ ამიტომ გახშირდა ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში უფერული, სისხლნაკლული, სქემატური ნაწარმოებნი, რომლებიც ვერ პოულობდნენ ცხოველ გამოძახილს ხალხის გულში და გავლენას ვერ ახდენდნენ ხალხის სულიერ ცხოვრებაზე.

პიროვნების კულტი ფრთას აკვეცდა შემოქმედებით აზრს, ზღუდავდა მის თავისუფალ გაქანებას. ეს კი ხელს უწყობდა ერთფეროვნების, შამბლონისა და ტრაფარეტის გავრცელებას, რაც უპირველესი მტერია ჰუმანიტატი მხატვრული შემოქმედებისა. არსებითად დავიწყებამს ეძლეოდა ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ: „...ლიტერატურის საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება. მექანიკურ შეთანაბრებას, ნიჟელირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა, ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“. ჩვენ თუ ვლაპარაკობდით მრავალფეროვნების შესახებ ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მხედველობაში გვქონდა მრავალფეროვნება მხოლოდ ფორმის სფეროში, მხატვრული ოსტატობის, გამოსახულების საშუალებათა სფეროში. ვივიწყებდით, რომ ლენინური მოძღვრება ამ საკითხში გულსხმობდა აგრეთვე პირად თაოსნობასა და ინდივიდუალურ მიდრეკილებათა გასაქანს აზრისა და შინაარსის სფეროშიც. და მართლაც, განა შესაძლებელია ჰუმანიტატი მხატვრული მრავალფეროვნება ხელოვნებაში შინაარსობრივი ერთფეროვნებისა და ნიველირების პირობებში? განა შეიძლება ჩვენი უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი სინამდვილის ღირსეულად ასახვა შინაარსობრივად ერთფეროვან ხელოვნებაში? ჩვენ ვივიწყებდით იმ ჰუმანიტეტებს, რომ მსოფლმხედველობა სრულიადაც არ ამოწურავს შინაარსის ცნებას ხელოვნებაში და, მაშასადამე, ჩვენი ლიტერატურის მსოფლმხედველობრივი ერთიანობა სრულიადაც არ ნიშნავს, საერთოდ, შინაარსობრივ ერთიანობასა და ერთფეროვნებას მხატვრულ შემოქმედებაში. ხელოვანის ინდივიდუალურ მიდრეკილებათა შეზღუდვა მხოლოდ მხატვრული ფორმის სფეროში არსებითად აფერხებდა ინდივიდუალურ მიდრეკილებათა განვითარებას, რაც აღარიბებდა და აფერმკრთალებდა ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებას.

ლიტერატურული აზროვნების ერთგვარ მოდუნებას, მასში დოგმატიზმისა და მედავიტენიების დანერგვას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ პიროვნების კულტის მეოხებით საყოველთაო-საეკლესიო-ლო ძალა ეძლეოდა ცალკეული ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვა-

წების აზრებსა და შეხედულებებს. ხელოვნების საკითხებზე, მათს პირად გემოვნებას, ლიტერატურულ სიმპათიებსა და ანტიპათიებს. ამ მხრივაც დავიწყებას ეძლეოდა ძვირფასი ლენინური ტრადიცია. ვ. ი. ლენინი, რომელიც ყოველთვის უდიდესი ყურადღებით და ინტერესით ეპყრობოდა ხელოვნებასა და ლიტერატურას, არასოდეს სხვებს თავზე არ ახვევდა საკუთარ გემოვნებას, თავის ლიტერატურულ-ესთეტიკურ მიდრეკილებებს. ცნობილია, თუ როგორი მისაბაძი და სანიმუშო, პირდაპირ ამაღლევბელი თავმდაბლობით ლაპარაკობდა ხოლმე მშრომელი კაცობრიობის გენიალური ბელადი თავისი კომპეტენტურობის შესახებ მხატვრული შემოქმედების სპეციფიკურ საკითხებში. ცნობილია, მაგალითად, რომ ლენინს არ მოეწონა ჩვენი დროის უდიდესი პიეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის პოემა „150.000.000“, მაგრამ მას არავისათვის გაუხდია სავალდებულო თავისი ეს შეხედულება. არც კი ჩაუთვლია საჭიროდ გამოექვეყნებინა თავისი აზრი ამ საკითხზე, ხოლო როგორც ხშირი იყო ჩვენში უკანასკნელ დრომდე ისეთი შემთხვევები, როდესაც ჩვენს პრესაში თეატრალური რეცენზიებიც კი ამა თუ იმ ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკის პირადი გემოვნებისა და შეხედულების გათვალისწინებით, პირდაპირი კარნახით იწერებოდა. ასეთ ვითარებას, ცხადია, არ შეეძლო არ შეეზღუდა თავისუფალი აზრის განვითარება მხატვრული შემოქმედების საკითხებში.

დიდი ზიანი მოჰქონდა ამ მხრივ მხატვრული ნიჭიერებისა და გემოვნების დეკრეტირების იმ თავისებურ ფორმას, როგორადაც ხდებოდა ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო პრემიების მინიჭება ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთათვის. ცნობილია, რომ ასეთი მაღალი სახელმწიფოებრივი ჯილდოსათვის ნაწარმოებთა შერჩევა ხშირ შემთხვევაში ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად, პირადი გემოვნებისა და სხვადასხვაგვარი მიკერძოების ნიადაგზე. ასეთი პრაქტიკა იწვევდა დეზორიენტირებას და დაბნეულობას მხატვრული ინტელიგენციის წრეებში, იქმნებოდა ხელოვნურად გაზვიადებული ლიტერატურული ავტორიტეტები, ხელუხლებელი, კრიტიკის გარეშე დაყენებული ავტორები და ნაწარმოებნი, ჩნდებოდა დაკანონებული რანგები და ტრადიციები, რომლებიც ძლიერ ხშირად სრულიადაც არ შეესაბამებოდნენ ნიჭისა და შემოქმედებით შესაძლებლობათა რეალურ შეთანაბრებას. ასეთ ვითარებაში არსებითად შეუძლებელი ხდებოდა თავისუფალი შემოქმედებითი შეჯიბრება, რომელიც კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს სალიტერატურო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს შეადგენს.

ასეთი ვითარება საგრძნობლად ამძიმებდა ლიტერატურულ ატმოსფეროს, ბადებდა, ერთი მხრივ, ყალბი თვითკმაყოფილებისა და თვითდამშვიდების განწყობილებებს, მეორე მხრივ, ინდიფერენტობასა და

უკმაყოფილების გრძნობას. ეს გარემოება განსაკუთრებით უარყოფითს გავლენას ახდენდა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის განვითარებაზე. იწვევდა კრიტიკულ მოღვაწეობაში ცოცხალი შემოქმედებითი აზრის საგრძნობ მოდუნებას, დასაბუთებისა და არგუმენტაციის ძალის შესუსტებას, საერთოდ, კრიტიკის პროფესიული ლიტერატურული ხარისხის დაქვეითებას.

ასეთია მოკლედ პიროვნების კულტის ძირითადი უარყოფითი შედეგები საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. ჩვენ ნათლად უნდა გავიზიაროთ ამ შედეგების მთელი სერიოზულობა. მაგრამ როგორც პიროვნების კულტმა, მიუხედავად იმ დიდი ზიანისა, რომელიც მან მთელს ჩვენს სახელმწიფოებრივსა და სამეურნეო ცხოვრებას მიაყენა, ვერ ააცდინა ჩვენი ქვეყანა სოციალისტური განვითარების დიადი გზიდან, ისე მისმა ზემოდ დახასიათებულმა შედეგებმაც, ვერ ჩაახშეს საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების წინსვლა სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის ნიადაგზე.

არიან ადამიანები ჩვენი სამშობლოს მიღმა, რომლებიც ცდილობენ, რომ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, გარკვეული საზოგადოებრივ მოვლენების ნიადაგზე ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში აღმოცენებული ნაკლოვანებანი და სიძნელეები გამოაცხადონ სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების, საერთოდ, საბჭოთა კულტურის დამახასიათებელ ორგანულ თვისებებად და ამით სახელი გაუტეხონ ჩვენს სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ წყობილებას და ჩვენს სამშობლოში განხორციელებულ დიად კულტურულ რევოლუციას. სამწუხაროდ, ჩვენშიაც ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა რიგებშიც არიან ცალკეული ადამიანები, რომლებსაც პიროვნების კულტის შედეგებთან ბრძოლის საბაბით სურთ საეჭვოდ გახადონ ჩვენი კულტურის ყველა უმნიშვნელოვანესი მიღწევა, სოციალისტური ესთეტიკის ყველა პრინციპი და დებულება.

ჩვენ ვალდებული ვართ გადაჭრით შევებრძოლოთ ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეების ცილისმწამებლურ მანევრებს და ამასთანავე, გავფანტოთ ყოველი ჯურის ნიჰილისტის დაბნეულობა საბჭოთა კულტურის განვითარების საკითხებში. უმთავრესი კი ის არის, რომ თანამედვერულად, მოფიქრებულად და ეფექტურად ვიბრძოლოთ იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა დაძლევისათვის, რომლებზეც პრინციპული სიმართლით მიუთითა ჩვენს მხატვრულ ინტელიგენციას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობამ.

ცხადია, ყოველივე ეს ერთი და ორი დღის საქმე არ არის. ამ საქმეში „კომპანიურობა“ და „იერიშობანა“ უაღრესად მავნე იქნება. ჩვენ დაგეჟირდება ხანგრძლივი ინტენსიური და გულმოდგინე მუშაობა.

მხატვრული შემოქმედების ყოველი საკვანძო პრობლემის გარკვე-

ვა გაცილებით უფრო ნაყოფიერია ცოცხალ შემოქმედებით პროცესებთან, მხატვრულ პრაქტიკასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით ჩვენ შევეცდებით შევხვთ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ზოგიერთ არსებით საკითხს უკანასკნელი პერიოდის ორიგინალური ქართული პიესების კონკრეტული ანალიზის ნიადაგზე.

II

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საგრძნობი შემოქმედებითი გამოცოცხლება დრამატული მწერლობის დარგში და ჩვენი საუკეთესო თეატრების ყურადღების გაძლიერება თანამედროვეობის ამსახველი ორიგინალური პიესებისადმი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო ერთი განვლილი თეატრალური სეზონის განმავლობაში ორმა მოწინავე ქართულმა დრამატულმა თეატრმა — რუსთაველის სახელობის თეატრმა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დადგეს ქართველ დრამატურგთა შვიდი ახალი პიესა ჩვენი თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე. ეს პიესებია მიხეილ მრეველიშვილის „ზვავი“, მიხეილ ჯაფარიძის „ჩვენებურები“, იონა ვაკელის „საქმიანი კაცი“, ვიქტორ გაბესკირიას „ახალწლის ღამე“, გიორგი შატბერაშვილის „უცნობი ქალი“, რევაზ თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი“ და ოთარ ჩიჭავაძის „პირველი მერცხლები“. განვილილ სეზონში რამდენიმე ახალი ორიგინალური პიესა დადგეს აგრეთვე ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, ჭიათურის და სხვ. ქართულმა დრამატულმა თეატრებმა. შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ არც ერთ წინა თეატრალურ სეზონში ქართული თეატრის რეპერტუარში ასეთი ხვედრითი წონა არ ჰქონია თანამედროვე თემატიკის ორიგინალურ დრამატურგიას. მართალია, არც რამდენობრივსა და არც თემატიკურ მაჩვენებლებს, განცალკევებულად აღებულთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვთ ხელოვნებაში, მაგრამ არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღინიშნოს, ერთი მხრივ, ჩვენი დრამატურგების შემოქმედებითი აქტივობის ასეთი თვალსაჩინო ზრდა, ხოლო, მეორე მხრივ, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, თანამედროვეობის აქტუალური თემატიკისა და პრობლემემატიკის ხვედრითი წონის გაძლიერება ჩვენს დრამატურგიაში.

გარდა თემატიკური აქტუალობისა, ჩვენი დრამატურგების ახალ ნაწარმოებებში იგრძნობა შეგნებული მისწრაფება ჩვენი სინამდვილისათვის დამახასიათებელ კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა განსახიერებისაკენ და დრამატული სიუჟეტების დამყარება ახალისა და ძველის, დადებითისა და უარყოფითის ურთიერთ დაპირისპირებასა და შეჯახებაზე. იმის მიუხედავად თუ რამდენად ახერხებენ პიესების აე-

ტორები ღრმად ჩასწვდნენ ცხოვრებისეულ კონფლიქტებს და მოგვ-
ცენ მათი მალალმხატვრული, შთამაგონებელი განსახიერება, თავისთა-
ვად ასეთ მისწრაფებას უეჭველად აქვს გარკვეული დადებითი მნიშ-
ვნელობა „უკონფლიქტობის“ იმ მანკიერი თეორიისა და პრაქტიკის
დაძლევისათვის, რომლებიც დიდხანს ბუღობდნენ ჩვენს დრამატულ
მწერლობაში და რომელთა ინერციაც ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ
დაძლეული. ამასთანავე, ყურადღებას იპყრობს ჩვენი დრამატურგის
ქანრობრივი დიაპაზონის საგრძნობი გაფართოება. ქართული დრამა-
ტურგის ზემოდასახელებულ ახალ ნაწარმოებთა შორის ჩვენ ვხედავთ
სასიათების მძაფრ შეგახებაზე დამყარებულ ე. წ. გმირულ დრამასაც
(ზევი), ყოფითი სურათებისა და რიგითი ადამიანების ფსიქოლოგიუ-
რი პორტრეტების შემცველ ყოფა-ცხოვრებით პიესასაც („ჩვენებურე-
ბი“); სატირულად გამახვილებულ კომედიებსაც („საქმიანი კაცი“ და
„რას იტყვის ხალხი“), ლირიკულ დრამებსაც („ახალწლის ღამე“ და
„უცნობი ქალი“). ეს ქანრობრივი კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, პი-
რობითია და დაახლოებითი, თვით პიესები ასე ზუსტად და ნორმატიუ-
ლად როდი არიან ერთმანეთისაგან გამიჯნული ქანრობრივი ნიშნების
მიხედვით. მაგრამ ეს პიესები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ჩვენი დრა-
მატურგია თავს აღწევს თემატიკურსა და ქანრობრივ ერთფეროვნებას.
რომ ფართოვდება არა მარტო სინამდვილის მოცვის პორიზონტი, არა-
ზედ დრამატურგიულ ფორმათა სფეროც. ისიც საყურადღებოა, რომ
ამჟამად ქართული თეატრის ორიგინალურ რეპერტუარს უკვე უპირა-
ტესად პროფესიული მწერლობის ნაწარმოებები შეადგენენ და არა
შემთხვევით ადამიანებისა, „დრამისმკვეთებლებისა“, რომელთაც შე-
უძენიათ გარკვეული „ეფექტური“ სცენური სიუჟეტის შეთხზვისა.
მაგრამ არავითარი კავშირი არა აქვთ სიტყვის ხელოვნებასთან, რომ-
ლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგსაც წარმოადგენს დრამატურ-
გია. ეს გარემოება, ცხადია, ამაღლებს სიტყვის, მხატვრული მეტყვე-
ლების მნიშვნელობას ჩვენს დრამატურგიაში, აძლიერებს რეპერ-
ტუარს, მის ლიტერატურულ ღირებულებას.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენი დრამატურგის განვითარე-
ბაში ამჟამად ადგილი აქვს საყურადღებო პროცესებს, რომ ჩვენ ხელ-
თა გვაქვს საიმედო სიმპტომები ახალი შემოქმედებითი აღმავლობისა
ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების ამ უაღრესად მნიშვნელოვან დარ-
გში. სწორედ ამგვარი პერსპექტივის თვალსაზრისით იმსახურებენ ყუ-
რადღებას ის ახალი ნაწარმოებნი, რომლებიც ქართულმა დრამატურ-
გიამ მისცა ჩვენს თეატრს. ჩვენ ვალდებული ვართ მზრუნველობით
და გულისხმიერად გამოვარჩიოთ ყველაფერი, რაც ჯანსაღი და დადე-
ბითი მოიპოვება ამ პიესებში, აქტიურად მხარი დაუჭიროთ ამ დადე-
ბითსა და პოზიტიურ მარცვლებს, ხელი შევეწყოთ მათ გაღრმავებასა

და განვითარებას ჩვენი დრამატურგების შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში, ხოლო ჩვენი საზოგადოებრიობისა და მხატვრული კრიტიკის ასეთსავე წმინდა მოვალეობას შეადგენს სრულიად ნათლად და უკომპრომისოდ იქნას გარკვეული ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც მეტნაკლებად ახასიათებს ყველა ზემოდანსახელებულ პიესას.

ქართული დრამატურგიის ახალ ნაწარმოებთა რიცხვიდან დიდი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია და მაღალი შეფასება პოვა ჩვენს პრესაში მიხეილ მრეველიშვილის „ზვავმა“. ეს პიესა მოგვიტოხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაჰქარგეს სასიცოცხლო ნიადაგი, ჩვენს სინამდვილეში ჩვენი სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების აღმავალ ტენდენციებთან შეპირისპირებულმა წარსულის ბნელი გადმონაშთების — ეგოიზმის, ზოოლოგიური ინდივიდუალიზმის, ფუჭი პატივმოყვარეობის მატარებელმა ადამიანებმა. ამ მართებულ და ფრიად აქტუალური შემოქმედებითი ჩანაფიქრის განსახორციელებლად ავტორმა დახატა ღრმა განზოგადებითი მნიშვნელობის სახე. ეს არის მათათუშეთის ერთ-ერთი სოფლის, მუხათხევის მცხოვრები, კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე — თინიბეგ უთურგაული. იგი ძლიერი ფიზიკური აღნაგობისა და მტკიცე ნებისყოფი ადამიანია, გამჭრიახი, მოხერხებული, ამდენადვე ვერაგი და დაუნდობელი. თინიბეგი ღრმად არის გამსჭვალული პატივმოყვარეობის, განდიდების გრძნობით; მას უნდა გამოირჩეოდეს თავის თანასოფელთაგან, მათზე მაღლა ედგეს, იგი დაჟინებით ისწრაფვის ხელთ იგდოს ძალაუფლება. მოიხვეწოს სახელი, გავლენა, დაიმორჩილოს ხალხი, განაგებდეს სოფლის ბედს. მან, როგორც თავისებურად ჰკვიანმა და გამჭრიახმა კაცმა, კარგად იცის, რომ ჩვენს დროში გავლენა და ძალა სიმდიდრით არ მოიპოვება, პირადად განდიდების ერთ-ერთ გზად მას მიაჩნია მოტყუების, თვალთმაქცობის, ვერაგობის საშუალებით ხალხის გადაბირება, ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და, ამრიგად, საკუთარ ეგოისტურ განსახლერათა მიღწევა.

უნდა ითქვას, რომ დრამატურგმა მკვეთრი მხატვრული საღებავებით დახატა თინიბეგის სახე, შექმნა მკაფიოდ ინდივიდუალური ხასიათი, მისი ყოველი სიტყვა, ქცევა, მოძრაობა ორგანულად გამომდინარეობენ ამ ხასიათის თავისებურებისაგან და ტიპური განზოგადების ძალას აღწევენ. საკოლმეურნეო სოფელს თვალთმაქცურად მიტმასნილი და მის ზედაპირზე წამოტივტივებული თინიბეგი, რა თქმა უნდა, არაფრად აგდებს ხალხის, კოლმეურნეობის სახელმწიფოს ინტერესებს, იგი ყველაფერს მხოლოდ საკუთარი განდიდების თვალსაზრისით ზომავს, მას ეზიზღება ყველა მოწინავე, პროგრესული, ყველაფერი ის, რაშიაც გამოხატულებას პოულობს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ძალა და მშვენიერება. ამ ნიადაგზე გადამტერება კეთილი მოხუცი მწემისის ონისე თურმანაულის ვიქს — მინდიას, რო-

მელიც სოფლის ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა ყოფილა და დიდი გატაცებით შრომობდა ცხვრის ახალი, გაუმჯობესებული ჯიშის გამოყვანისათვის. გაიძვერა და ვერაგ თინიბეგს თავის უფროსი ვაჟი ანთაი წაუქეზებია მინდიას წინააღმდეგ ბოროტმოქმედებრივი ბრძოლისთვის, რის შედეგადაც დაღუპულა ახალგაზრდა უთურგაული. ახლა, როცა სამამულო ომის ფრონტზე გმირულად დაცემული მინდია თურმანაულის ნაცვლად სოფელს მოვევლინა ომის ქარცეცხლში გამოწრთობილი, მოსკოვში განათლებამიღებული ახალგაზრდა ზოოტექნიკოსი ამირან რაინაული, თინიბეგი ახლა მას გადამტკრებია და ამხედრებია, ახლა ამირანისადმი სამტროდ იგი თავის მეორე ვაჟს გეგას აღაგზნებს და მისი საშუალებით აპირებს ამირანის დაღუპვას. ამ მიზნით მამა-შვილმა უთურგაულებმა მოტყუებით თან გაიყოლიეს ამირანი მთის სახიფათო ბილიკებზე, რათა ფარულად და მოულოდნელად მოესხლიტათ საასფიწალოს მწვერვალზე დაკიდებული ზევაი ია შიგ ჩაემარხათ რაინაული. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ ბოროტმოქმედების შედეგად დაიღუპა არა ამირანი, არამედ გეგა. ამრიგად, თინიბეგის ბოროტ განზრახვათა მსხვერპლი გახდა მისი ორი ვაჟი. პიესა მთავრდება თინიბეგის ვერაგულ დანაშაულებათა მხილებით, მისი სრული განადგურებით. ყველაზე მრისხანედ მას აუმხედრდა საკუთარი მეუღლე, ვაჟების დაღუპვით გამწარებული საბედო, კეთილი და პატიოსანი მთელი ქალი, რომელიც დიდხანს პატრიარქალური ადამ-წესების ტყვეობაში იყო და მონურად ემორჩილებოდა თინიბეგის სასტიკ ნება-სურვილებს. პიესაში დამაჯერებლობით არის განსახიერებული თინიბეგის დაღუპვის მთელი ისტორიული კანონზომიერება. ეს სახე დრამატურგის თვალსაჩინო შემოქმედებით მიღწევას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში არც კი გვეგულება მეორე ასე მძლავრად და ცოცხლად დახატული ანალოგიური მხატვრული სახე. მარტო ეს ერთი მხატვრული სახეც საკმარისია იმისათვის, რომ პიესა „ზევაი“ დადებითი მნიშვნელობის მოვლენად მივიჩნიოთ, მაგრამ პიესაში არის სხვა რამდენიმე ცოცხლად და მკაფიოდ გამოკვეთილი მხატვრული სახეც. ასეთია, მაგალითად, თინიბეგის მეუღლე საბედო და, აგრეთვე, ახალი ცხოვრების სამართალში გარკვეული და გულწრფელად დაჯერებული მოხუცი მწყემსი ონისე. პიესაში მოცემულია მთელი რიგი ფერადოვნად დახატული ყოფითი სურათები. პიესის სიუჟეტი ზოგიერთ ეპიზოდში, გამაფრებელია და დრამატუზებული.

და მაინც, ყველა ამ ღირსების მიუხედავად, „ზევაი“ არ შეიძლება აბჭოთა დრამატურგის სრულფასოვან ნაწარმოებად მივიჩნიოთ. მისი უპირველესი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ პიესაში, რომელიც უნდა მოგვითხრობდეს ახალი ცხოვრების ძლევა-

მოსილებაზე წარსულის ბნელ გადმონაშთებთან ბრძოლაში, ეს ახალ ცხოვრება, მისი განმასახიერებელი პერსონაჟები დახატულია მეტად მკრთალად, უსიცოცხლოდ, სქემატურად პირველ ყოვლისა, ეს ითქმის პიესის ერთ-ერთი მთავარი დადებითი გმირის — ამირან რაინაშულის შესახებ. მას არ გააჩნია ინდივიდუალური ადამიანური ხასიათის არავითარი ნიშან-თვისება, არც ერთი შტრინი ცოცხალი ადამიანური ბუნებისა. იგი ავტორს წარმოუდგენია ყოველგვარი სიკეთის, გონიერების, კეთილშობილებისა და ვაჟკაცობის განსახიერებად, მაგრამ სწორედ ეს გმირი ვერც ერთი თავისი სიტყვით და ქცევით ვერ აღწევს მაყურებლის გულამდე. მაყურებელი გულგრილი და ინდიფერენტულია მის მიმართ, რადგან მისი ავტორისეული დახასიათება მხოლოდ შიშველ დეკლარაციად რჩება და არავითარი ცოცხალი შთაბეჭდილების მომხდენი, საგნობრივი გამოვლინებით არ დასტურდება. აბა როგორ შეიძლება მაყურებელმა დაუჭეროს ისეთ პერსონაჟს, რომელიც ამგვარად მეტყველებს პიესაში: „დაუდევრობა სათავეა ყოველნაირი ბოროტებისა, ის ბებერი მაქანკალია, რომელიც ლამაზს მახინჯზე სცვლის, უფლებას აძლევს ქურდბაცაცას სხვისი შრომა მიისაკუთროს, სხვის ჯიბეში თავისი ხელი აფათუროს, ნაკლებ იზრუნოს საერთოზე, მეტი მიიღოს საერთოდან, სხვა დაამცროს, დაჩაგროს და თავისი თავი განადიდოს. პატივმოყვარე ავაზაკი კამათლებივით ათამაშებს დაუდევრობას. ის სარგებლობს ჩვენი ცხოვრების ფართოდ გაშლილი ასპარეზით. თავს არა ხარჯავს, მოგებაში წილს თხოულობს. ზოგი ასეთი მათხოვარი რწმენას ჰყიდის, სამშობლოს ჰყიდის, შვილსაც გაჰყიდის მხოლოდ თავისი განდიდება შეინარჩუნოს“. ან კიდევ: „მთაში განთიადს ნეტა თუ რამე შეიღრება. რა სიჩუმეა და სიმშვიდე ამ პირველყოფილ სამყაროში. გესმით, მწყემსი სალამურზე მშობლიურს უკრავს, ცხვარი მოდის, წყაროს ჩუნჩუნს ყურთა სმენას ეალერსება, ნიავი ცელქობს და გაფხიზლებს. თითქოს ცხოვრების სიდუხჭირე, ადამიანთა ევრაგობა ქვევით ქრება უფსკრულებში, შენ კი ზევით, ოცნების მსგავს სუფთა ღრუბლებს უახლოვდები. ასეთ პათეტიურ, მაღალფარდოვან ტირადებს ამირანი წარმოთქვამს თუშ მეცხვარეებთან საუბარში და როგორც მის ამ „გამოგონილ“ მეტყველებაში არ არის არც ერთი ცოცხალი, ბუნებრივი, ადამიანური ფრაზა, ისე მთელ მის სცენურ არსებაში არ ფეთქს არც ერთი სისხლსავსე ძარღვი. კიდევ უფრო მეტად უძლოური აღმოჩნდა დრამატურგი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ლაზარი ზარბიძის, სოფლის საბჭოს თავმჯდომარის კობე სისაურისა და პარტიული კომიტეტის მდივნის გოჩა მინდელის სახეთა დახატვაში. არც ერთ მათგანს არ გააჩნია ცოცხალი, ადამიანური არსების არავითარი ნიშანწყალი. ისინი ავტორის პიესაში შემოუყვანია ერთგვარი ვალის მოხდის მიზნით, ე. წ. „ნომენკლატურული“ მოსაზრებებით. აქაოდა როგორ შეი-

ძლება პიესა დაიწეროს საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე და მასში პარტკომის მდივანი და სოფლსაბჭოს თავმჯდომარე არ მოქმედებდნენ. გასაგებია, რომ ასეთი „კაზიონური“ მოტივების ნიადაგზე ცოცხალი მხატვრული სახეების შექმნა შეუძლებელია. თვით ლელა თურმანულიც. პიესის მთავარი დადებითი გმირი, რომელიც მწერლის განზრახვით. ყოველგვარი სიკეთითა და მშვენებით უნდა იყოს შემკული, მოკლებულია ადამიანურ სიტბოს, მიმზიდველობას, მას ვერ შეიყვარებს მკითხველი და მაყურებელი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როცა ლელას ფიზიკურად დაღუპვის საფრთხე ემუქრება, მაყურებელი თანაუგრძნობს მას და ლელავს მისი ხედრის გამო. საერთოდ კი ეს პერსონაჟი ფეხს ვერ იკიდებს მკითხველისა და მაყურებლის ცნობიერებაში, რადგან ისიც ამირანის მსგავსად მხატვრულად ხორცშესხმულ დეკლარაციად რჩება პიესაში.

რაკი ახალი ცხოვრების განმასახიერებელი ყველა პერსონაჟი პიესაში სქემატურად და უსიცოცხლოდ არის გამოხატული, ცხადია, მიუღწეველი რჩება დრამაში ჩვენი სინამდვილის, ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ძალისა და უპირატესობათა დამაჯერებელი გამოხატვა. ამ გარემოებამ არა მარტო შეზღუდა პიესის იდეური მნიშვნელობა, არამედ შეანელა მისი ემოციური ზემოქმედების ძალაც და, მანასადამე, ესთეტიკური ღირებულებაც. რაკი თინიბეგს ასევე მძლავრად დახატული მოწინააღმდეგე არ გააჩნია პიესაში, დრამატული კონფლიქტიც, არსებითად, დახშულია და შენელებული. პიესაში ვერ ვხედავთ ვერც ერთ ისეთ სისხლბორცით სავსე პერსონაჟს, რომელიც ღირსეულად განასახიერებდეს საბჭოთა ადამიანის სულიერ ძლიერებას და მშეენებას, რომელიც აღეღებდეს მაყურებელს და აძლევდეს მას გმირული და კეთილშობილური საქმეების მისაბამ მაგალითს. საღებავების ასეთი არასწორი განაწილება დადებითსა და უარყოფით გმირებს შორის წარმოადგენს ამ ნაწარმოების ნაკლოვანებათა წარმომშობ ძირითად მიზეზს. აქ ლაპარაკია არა რაიმე „რეცეპტებზე“, სავალდებულო პროპორციებზე, დადებითი და უარყოფითი პერსონაჟების რაოდენობრივი შეთანაბრების ნორმებზე დრამატურგიაში. ზელოვანძა თვითონ უნდა გამოიხატოს მისი კონკრეტული ჩანაფიქრის შესაბამისი პროპორციები და შეთანხმებანი, მაგრამ იმგვარად, რომ მხატვრული სურათი შეესაბამებოდეს ცხოვრების სიმართლეს. ეს კეშმარტება უგულვებელყოფილია „ზევეში“ და ეს გარემოება საგრძნობ ზიანს აყენებს ამ ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკურ მნიშვნელობას. პიესის სიუჟეტური განვითარებაც ზოგიერთ შემთხვევაში მოკლებულია ბუნებრიობასა და მხატვრულ სიმართლეს. ეს განსაკუთრებით შეეხება სიუჟეტის ისეთ მნიშვნელოვან მომენტს, როგორიცაა საასფიწალის მწვერვალის მახლობლად დატრიალებული დრამა. როგორც პიესიდან

ირვევა, ამირან რაინაულს წინასწარ სცოდნია, რომ მამა და "შვილი უთურგაულები მას ბოროტი განზრახვით უპირებენ გატყუებას ზევიან მწვერვალისაკენ. ასეთ ვითარებაში სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა გაცოლოდა ამირანი თინიბეგსა და გეგას ამ სახიფათო მოგზაურობაში. დაუჭრებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ გეგა, რომელმაც კარგად იცოდა თინიბეგის განზრახვა თოფის გასროლით ზევის ჩამოსხლეტის შესახებ, არ გასცილდა ამ საბედისწერო ადგილს და ბოლოს, თურმე ზევის ჩამოწოლა სრულიადაც არ ყოფილა აუცილებლად მომაკვდინებელი მწვერვალის მახლობლად დარჩენილი ადამიანისათვის. აკი გადაურჩა ზევს ლელა. მაშ რატომ იყვნენ დარწმუნებული თინიბეგი და გეგა. რომ ზევი აუცილებლად შეიწირავდა ამირანს? ქეშმარიტ რეალისტურ დრამატულ ნაწარმოებში არა მართო ასეთი საკვანძო სიტუაციები, არამედ ყოველი მდგომარეობა, სცენური მოქმედების შემადგენელი ყოველი დეტალი სათანადოდ შემზადებული და ღრმად მოტივირებული უნდა იყოს. მხატვრული სიმართლის ოდნავი დარღვევაც კი დიდად აზიანებს ნაწარმოების მთელს სტრუქტურას.

თანამედროვეობის უპარესად აქტუალურ თემაზეა დაწერილი გიორგი შატბერაშვილის პიესა „უცნობი ქალი“. ავტორის შემოქმედებითი განზრახვა ფრიად კეთილშობილურია და მნიშვნელოვანი. თაკის ამ ახალ ნაწარმოებში იგი მოგვიტზნობს იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს მეცნიერებაში მოწინავე, პროგრესულ შემოქმედებითს აზრსა და დრომოკმულ, კონსერვატულ ტრადიციებს, გაქვავებულ დოგმებს, დაძველებულ ავტორიტეტებს შორის. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რამდენად დროულია ეს თემა ჩვენი დღევანდელობისათვის და როგორ ცხოველ საზოგადოებრივ გამოძახილს გამოიწვევდა ამ პრობლემატიკის პიესა, რომ მასში აღძრული საკითხები ცხოვრებისეული სიმართლის შემცველი სიუჟეტისა და ცოცხალი ადამიანური ხასიათების საშუალებით განსახიერებულიყო.

გიორგი შატბერაშვილს არ აკლია არც ლიტერატურული ნიჭიერება, არც პროფესიული ოსტატობა და გამოცდილება იმისათვის, რომ შეეთხზა გონებამახვილურად მოფიქრებული სიუჟეტი, სწორად განელაგებინა პიესაში მოქმედი ანტაგონისტურ ტენდენციათა განმასახიერებელი პერსონაჟები, მაღალ ენობრივ დონეზე დაემუშავებინა დიალოგი, საერთოდ კვალიფიციური ლიტერატურული იერი მიეცა პიესისათვის. და მართლაც, პიესაში თითქოს მოცემულია ყველა ელემენტი, რაც აუცილებელია ნამდვილი დრამატული კოლიზიების გაშლისა და განვითარებისათვის, ქმედითი და აზრიანი სცენური სანახაობის შექმნისათვის. პიესის ცენტრში დგას ახალგაზრდა მეცნიერ-სპეციალისტი ნინო მინდიაშვილი. რომელიც, ნოვატორული აზრით შთაგონებუ-

ლი, გაბედულად შებრძოლება თვალს სწულეებათა მკურნალობის მეცნიერებაში დადგენილ ტრადიციულ ნორმებს და განუზრახავს სინათლე დაუბრუნოს ისეთ ადამიანებს, რომელთაც მედიცინა უნუგეშოდ დაბრმავებულად მიიჩნევდა. ამ გზაზე ნინო მინდიაშვილს წინ ეღობება პროფესორი ვარლამ ნასიძე, რომელიც უცილობელი ავტორიტეტით სარგებლობს ინსტიტუტში. ნასიძესა და მის მომხრეებს დაუშინებიათ და გადაუბირებიათ ნინოს მეუღლე, ინსტიტუტის დირექტორი ლევან მინდიაშვილი, რომელიც, იმის შიშით, რომ ცოლისადმი მიკერძოება არ დასწამონ და ამისათვის თანამდებობიდან არ მოხსნან, წინააღმდეგობას უწევს ნიკიერი ახალგაზრდა სპეციალისტის დიდად მნიშვნელოვან ნოვატორულ ცდებს. მაგრამ ამგვარ დაბრკოლებათა მიუხედავად ნინო მინდიაშვილი თავგამოდებით იბრძვის თავისი კეთილშობილური მეცნიერული რწმენისა და მიზნების დასაცავად, იგი ახერხებს დაუმტკიცოს პარტიულ ხელმძღვანელობას თავისი ექსპერიმენტების რეალურობა, მოიპოვებს ცდების გაგრძელების საშუალებას და კისრულობს დაბრმავებული ახალგაზრდა ნიკიერი მხატვრის სულხანიშვილის განკურნებას, რომლის მკურნალობაზეც უარი თქვა თვით პროფესორმა ნასიძემ, იმის გამო, რომ, მისი აზრით, ავადმყოფის მდგომარეობა ყოვლად უნუგეშო იყო. ნინომ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში, მან სინათლე დაუბრუნა მაღალნიკიერ მხატვრს. პიესა მთავრდება პროგრესული მეცნიერული აზრის, ნოვატორული მისწრაფებების სრული ზეიმით. პიესის ეს ძირითადი კონფლიქტი გამდიდრებულია პირად ინტიმურ ურთიერთობათა სფეროში გადატანილი სიუჟეტური მოტივებით. თუმცა ნინოს ახალგაზრდობაში გატაცებით მოწონდა სულხანის ხელოვნება, თუმცა, ამასთანავე, პირუთვნელად აკრიტიკებდა ხოლმე მხატვრის ნამუშევრებს. ქალიშვილის ეს გატაცება თითქოს ერთგვარ რომანულ გრძნობებშიც გადაზრდილა უცნობი მხატვრის მიმართ. მაგრამ დროს გაუვლია, ნინოს ახალგაზრდობის გატაცებანი დამცხრალა, მისი ცხოვრების ჰორიზონტზე ლევან მინდიაშვილი გამოჩენილა, მასთან ქალს მეცნიერული ინტერესების ერთიანობა აკავშირებდა და ცოლადაც გაჰყოლია. თვით სულხანის სულიერ სამყაროში ღრმად შეჭრილა ამ უცნობი ქალიშვილის სახება. მას დიდი გატაცებით დაუწყია კიდევ მისი პორტრეტის ხატვა, მაგრამ დაბრმავების გამო ნახატი ვერ დაუმთავრებია და აი, როდესაც ახლა ნინო და სულხანი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, მათ შორის რაღაც გაურკვეველმა, მაგრამ ძლიერმა გრძნობამ გაიღვიძა, რასაც დაერთო ლევანის იქვი ცოლის მიმართ. პიესაში მხილებულია საბჭოთა მეცნიერების რიგებში ჩარჩენილი შუარიანობისა და კარიერიზმის მანკიერებანი, ცლისმწამებლური ანონიმური წერილების „ოსტატობა“, ცბიერება და თვალთმაქცობა. გარდა უკვე მოხსენებული მთავარი პერსონაჟებისა, პიესაში მოქმედებენ ინ-

სტიტუტის პარტორგანიზაციის მდივანი — პროფესორი არჩილ შეტრეველი, ძველი პედაგოგი როსტომ სულხანაშვილი, კარგი ფეხბურთელი, მაგრამ გაცულღუტებული ახალგაზრდა კოტე სულხანიშვილი, კეთილი და ქვეიანი მებაღე სანდრო ლიამე, მსუბუქი ხასიათისა და ქცევის ქალიშვილი ოლოლი და სხვ. სიუჟეტური მოტივებისა და პერსონაჟების ასეთ მრავალმხრივობას შეიცავს პიესა. ერთი სიტყვით, ნაწარმოებში თითქოს მოიპოვება ყველა მონაცემი, რაც ნამდვილ სრულფასოვან დრამატულ თხზულებას მოეთხოვება. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად. პიესა მიზანს ვერ აღწევს, ვერ სწვდება მკითხველის გულსა და გრძნობას, მისგან მიღებული შთაბეჭდილებანი ფრიალ ზედაპირულია და უმალ ეძლევიან დავიწყებას. და ეს იმიტომ, რომ ყველაფერი პიესაში „შეთხზულია“ და „გამოგონილი“. დრამაში ასახული ურთიერთობანი და მდგომარეობანი წარმოშობილია არა ცხოვრებაზე დაკვირვების, არა სინამდვილის მხატვრულად ათვისებისა და გააზრების შედეგად, არამედ ავტორის შიშველი ფანტაზიის, მისი წინასწარგანზრახული ტენდენციების მეოხებით. ამიტომ პიესის მთელ მიმდინარეობას აკლია ცხოვრებისეული ცხოველმყოფელობა, ცოცხალი რეალობის გრძნობა, და, მაშასადამე, დამაჯერებლობაც, რაც ესთეტიკური ზეგავლენის უპირველესი და აუცილებელი პირობაა რეალისტურ ხელოვნებაში. როგორც ნინოსა და სულხანის ურთიერთობის მთელი ისტორია, ისე სიუჟეტის შემადგენელი ყველა ფაბულური მოტივი პიესაში მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაშია მოცემული, გაურკვეველია, ლოგიკურად განუვითარებელი, გაუმძაფრებელი და მხატვრულად დაუსრულებელი.

პირველყოვლისა, მაყურებლისთვისაც და თვით პიესის ავტორისთვისაც, გაურკვეველია, თუ რის გარშემო წარმოებს ბრძოლა თვალის სწეულებათა კვლევის ინსტიტუტში. რა აღმოაჩინა ნინო მინდიაშვილმა და რატომ ეწინააღმდეგება მისი აღმოჩენა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის ფილატოვის თეორიას? ასევე გაუგებარი და დაუსაბუთებელია, თუ რატომ ეწინააღმდეგება პროფესორი ვარლამ ნასიძე ნინო მინდიაშვილის ნოვატორულ მისწრაფებებს? ეგებ ნასიძე გაჩიუტებული კონსერვატორია, ან პატივმოყვარეობით შეპყრობილი რუტინიორი, ან შურიანი კარიერისტი? მაშ რატომ ხდება, რომ სწორედ გადამწყვეტ მომენტში, სულხანისათვის ურთულესი ოპერაციის გაკეთებისას, როცა არსებითად წყდება ნინო მინდიაშვილის ბედი, ნასიძე გულწრფელად მხარში ამოუდგება ახალგაზრდა ნოვატორ ქალს და არა მარტო მორალურად ამხნეებს მას. არამედ პრაქტიკულადაც ეხმარება. კიდევ უფრო გაუგებარია და დაუსაბუთებელი ლევან მინდიაშვილის პოზიცია მთელ ამ ისტორიაში. მას გულწრფელად უყვარს თავისი მეუღლე და ალბათ ღრმად არის დაინტერესებული მისი მეც-

ნიერული წარმატებით. და ნუთუ ნასიძის მომხრეთა ზემოქმედებით იმდენად დაშინდებოდა ლევანი, იმდენად აქტიურად შეებრძოლებოდა იგი ნინოს. რომ ამისათვის ისეთ მკაცრ სასჯელს დაიმსახურებდა, როგორცაა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან მოხსნა. და საერთოდ რა სიმწვავე შეიძლება ახასიათებდეს ნინოსა და მის მოწინააღმდეგეთა შორის აღმოცენებულ ბრძოლას მაშინ, როდესაც ნინოს აქტიურად მხარს უჭერს ინსტიტუტის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხოლო, როგორც კი საკითხი პარტიის ცენტრალურ კომიტეტამდე მიადღწევს. მყისვე იგი ნინოს სასარგებლოდ წყდება.

თუ სადავო საკითხი ასე იოლად და მარტივად გადასაწყვეტი იყო, განა ინსტიტუტის დირექტორს და პარტორგანიზაციის მდივანს არ შეეძლოთ კონფლიქტის აღმოცენებისთანავე მიემართათ ცენტრალური კომიტეტისათვის? მაგრამ მაშინ ხომ კონფლიქტი იმთავითვე მოიხსნებოდა და, მაშასადამე, დრამატულ სიუჟეტსაც, თვით პიესასაც ვეღარ მივიღებდით! ასეთი შეუთანხმებლობა არსებობს სინამდვილის ლირიკასა და „უცნობი ქალის“ იმანენტურ სიუჟეტურ „ლოლიკას“ შორის. ამრიგად, პიესის ყველა ძირითადი სიუჟეტური მოტივი ხელოვნურია. უსიცოცხლო, გამოგონილი და დაუჭერებელი. ცხადია, ასეთ პირობებში პიესის მოქმედი პირებიც სქემებად გამოიყურებიან და არა სინხლზორციტ სავსე რეალურ ადამიანებად. საგულისხმოა, რომ ყველა მათგანი, უარყოფითი და დადებითი პერსონაჟებიც, მოხუცე-იც და ახალგაზრდებიც, პროფესორებიც და დარაჯიც, ექიმებიც, ფეხურთელეებიც და მხატვარიც — ყველანი ერთნაირი ენით, ერთი სტილით მეტყველებენ. არც ერთ მათგანს არა აქვს საკუთარ ხასიათთან შეფარდებული მეტყველებითი საღებავები და ეს გასაგებიცაა — სადაც არ არიან ცოცხალი ადამიანები, იქ არც ნამდვილი ხასიათები არსებობენ და, მაშასადამე, არც გმირთა დამახასიათებელი მეტყველება.

დიდად ღალატობს ცხოვრებისეულ სიმართლეს აგრეთვე ვიქტორ გაბესკირიას პიესა „ახალწლის ღამე“. ეს ნაწარმოები ყოფა-ცხოვრებითს თემაზეა დაწერილი, მასში აღძრულია ოჯახის, სიყვარულის, მორალის საკითხები. ავტორს ფრიად კეთილშობილური შემოქმედებითი ამოცანა დაუსახავს. მას განუზრახავს მზის სინათლეზე გამოიყვანოს, ამხილოს და დაუნდობლად გაიციხოს საბჭოთა საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებული ისეთი ზნედაცემული ახალგაზრდები, რომლებიც არა მარტო არავეითარ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას არ ეწევიან, არამედ, თავის პირუტყვეულ ინსტინქტებს აყოლილნი, არ ერიდებიან არავეითარ გაიძვერობას და ვერაგობას, რითაც სიცოცხლეს უწამლავენ პატიოსან საბჭოთა ადამიანებს.

პიესაში ასეთი ამბავია მოთხრობილი: პატიოსან მშრომელ გლეხს იაკობ გომარელს, რომელიც ზამთრობით შეშის მხერხავადაც მუშა-

ობს ღოღმე თბილისში, ერთადერთი შვილი ჰყავს — ციალა. მამა თავს ევლება თავის ქალიშვილს, იგი თბილისში ჩამოუყვანია, რათა თავისი პატიოსანი შრომით განათლება მიადებინოს და კულტურული ცხოვრების გზაზე დააყენოს. ციალა წრფელად შეუყვარდა აბელ ტალიაშვილს, რომელიც სკოლის დირექტორად მუშაობდა იმ სოფელში, სადაც გომარელები ცხოვრობდნენ. ის-ის იყო ქალ-ვაჟი უნდა დაქორწინებულიყვნენ, რომ აბელი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. როგორც აბელი და ციალა, ისე იაკობიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქალ-ვაჟის შეუღლება მხოლოდ დროებით გადაიდო, რომ ჯარიდან აბელის დაბრუნებისთანავე მათს ბედნიერებას წინ ველარაფერი გადაელობება. მაგრამ სწორედ აბელის გამგზავრების დღეს ციალას შემთხვევით გაეცნო უსაქმური, გაცულუტებული, ზნედაცემული ახალგაზრდა მერაბ ყანდარელი, რომელიც მაღალი მდგომარეობის მქონე მშობლების მიერ უზომოდ განებივრებული, მუდამ ჭეიფსა და დროსტარებაშია გართული, საკუთარი ავტომანქანით დაქრის თავის მსგავს ტოლ-ამხანაგებთან ერთად, მუდამ უკანასკნელი „მოდის“ მიხედვითაა ჩაცმული და გამოწყობილი. ყანდარელს მოეწონა ციალა და მტკიცედ გადაწყვიტა ხელში ჩაეგდო ეს ლამაზი გოგონა. მერაბის მოხდენილმა გარეგნობამ, მდიდრულმა ჩაცმულობამ, თვალთმაქცობამ დაიმორჩილა გულუბრყვილო ციალა. იგი დანებდა ყანდარელის ნება-სურვილს, მაგრამ როგორც კი ციალას ფეხმძიმობა დაეტყო, მერაბმა გულცივად მიატოვა. მოტყუებული და გაუბედურებული ციალა თავისი პირმშოთი რომელიღაც კეთილმა მეზობელმა შეიფარა. მაგრამ მას კიდევ ახალი უბედურება დაატყდა თავს: უსინდისო ადამიანებმა მას ბავშვი მოჰპარეს. სრულ სასოწარკვეთილებაში იყო. ჩავარდნილი ციალა, როდესაც აბელი თბილისს დაბრუნდა. გაიგო თუ არა ციალას მდგომარეობა, მან მონახა დაკარგული ბავშვი და იგი დედას დაუბრუნა. ეს მოხდა ახალწლის ღამეს, როდესაც იაკობმა თავის გაუბედურებულ ქალიშვილს სოფლიდან სურსათ-სანოვაგე ჩამოუტანა. ასე მთავრდება პიესა.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ თავის ამ ახალ ნაწარმოებში დრამატურგმა ოდნავი სახეცვლილებით, თითქმის ზუსტად გაიმეორა თავისივე პიესა „უფსკრულთან“. როგორც თემის იდეური გააზრება, ისე სრუტეტური ქარგა და მთავარ მოქმედ პირთა დახასიათება ამ ორ პიესაში სავსებით იდენტურია. ისინი ერთნაირი არიან უანრისა და სტილის მხრივაც. ცნობილია, რომ ასლი ყოველთვის უფრო ფერმკრთალია ორიგინალთან შედარებით. ასეთსავე მიმართებაშია „ახალწლის ღამე“ ვ. გაბესკირიას ხსენებულ წინა პიესასთან. უსამართლობა იქნებოდა არ დაგვენახა და არ აღგვენიშნა, რომ ამ ახალ ნაწარმოებსაც მკაფიოდ აჩნია ნიჟიერი და შთაგონებული პოეტის, სიტყვის ხელოვანის ხელი.

აქაც, როგორც თავის სხვა პიესებში, ავტორი იძლევა პოეტურად დახვეწილ დიალოგებს, გარკვეული განწყობილებებით გამსჭვალულ სურათებს. მაგრამ ასეთი ცალკეული ღირსებანი სრულიადაც ვერ ფარავენ პიესის ისეთ დიდ და საბედისწერო ნაკლოვანებას, რომ მასში არ იგრძნობა სინამდვილის ატმოსფერო. ბოროტება ფრიად თავისუფლად, ფრთხილად და აქტიურად პარპაშებს ამ პიესაში. ხოლო დადებითი ადამიანები უმწეოდ და უბადრუკად გამოიყურებიან. მათ მხოლოდ ბოლოს გამოთქმა, წუხილი და, უკეთეს შემთხვევაში, აღშფოთება შეუძლიათ, ვერაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დაიცვან თავისი ადამიანური ღირსება, გამოექმდნენ სიმართლეს, წინააღმდეგობა გაუწიონ გახარწნილ ადამიანთა აღვირახსნილ მოქმედებას. დადებითი საბჭოთა ადამიანები, ყველანი გამოუკლებლივ, ამ ნაწარმოებში უმწეო მსხვერპლის მდგომარეობაში არიან ჩაყენებული. ცილაც, აბელიც, იაკობიც დაჩაგრული და გაუბედურებული რჩებიან, ხოლო ყანდარელი არა მარტო დაუსჯელია, არამედ არც კი ცდილობს ვინმე, რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს მის უზნეო და გაიძვერულ საქციელს. სრულიადაც არ არის სავალდებულო, რომ პიესაში მოქმედი ყოველი დადებითი გმირი ყოველ უარყოფითს გმირზე უფრო ძლიერი, აქტიური, ჭკვიანი იყოს, არც ეს არის სავალდებულო, რომ ყოველი კონფლიქტი აუცილებლად დადებითი გმირის გამარჯვებით მთავრდებოდეს. ამ მხრივ არაერთი „რეცეპტი“ და სავალდებულო ნორმები არ არსებობს ხელოვნებაში. მაგრამ ის კი აუცილებლად სავალდებულოა, რომ ჩვენი თანამედროვეობის თემაზე დაწერილ პიესაში ჩანდეს ჩვენი სოციალისტური სინამდვილის, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების დამახასიათებელი თავისებურებანი და ისინი გამოხატულებას პოულობდნენ პიესის გარკვეულ პერსონაჟთა აზრებსა და საქმეებში. სწორედ ეს აკლია ვ. გაბესკირიას პიესას. ავტორის მიერ დადებით საბჭოთა ადამიანებად წარმოდგენილი პერსონაჟები ამ ნაწარმოებში მხოლოდ სიბრაულეს იმსახურებენ და ვერც ერთი მათგანი ვერ აძლევს მაყურებელს კეთილშობილური აზრებისა და ასეთსავე საქმეების მისაბამ მაგალითს. ამიტომაც, არსებითად რომ ვთქვათ, „ახალწლის ღამეში“ არც კი არსებობენ ნამდვილად დადებითი საბჭოთა ადამიანები.

ამ პიესის სიუჟეტი სრულიად თავისუფლად შეიძლება გადავიტანოთ სულ სხვა საზოგადოებრივ წყობილებაში, სულ სხვა სახელმწიფოებრივ სისტემაში: იმის ნათელსაყოფად, რომ ამ ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი და მისი გმირები ორგანულნი არ არიან ჩვენი სოციალისტური სინამდვილისათვის, საკმარისია ყურადღება მივაქციოთ პიესის ერთ დეტალს: აბელ ტალიაშვილი თავის სატრფოს ცილას ხშირად თავის ეონას ეძახის, არა ჩრონით, არა დასამცირებლად, არამედ

სრულიად სერიოზულად, ქალისადმი დიდი სიყვარულისა და ალერსის ნიშნად. აბელი განმარტავს, რომ ეონა ვასილ ბარნოვის მოთხოვნის „თებერას დანიშნულის“ გმირი ქალია. მაშ აბელი ციალას პიროვნებაში ეონას ახალ განმეორებას ხედავს და, მაშასადამე, თავის თავს ეონაზე უსაზღვროდ შეყვარებულ თებერას ადარებს. რას მოასწავებს ასეთი ანალოგია? როგორც ვიცით, ეონა სილატაკესა და ობლობაში აღზრდილი გლეხის გოგო იყო, სოფლის გზირის კაკლუას გერი. უზომოდ ჩაგრულსა და გატანჯულს შეუყვარდა ასევე ლატაკი და უბედური ბიჭი, ღორების მწყემსი თებერა. მაგრამ მათ სიყვარულს წინ გადაეღობა სოფლის წურბელა, მევახშე, ვაჭარი თევდორა, რომლის პირუტყვეულ ინსტინქტებს მსხვერპლად შეეწირა ეონასა და თებერას წრფელი ურთიერთსიყვარული, მათი ბედნიერება. შემთხვევით როდია მოხსენებული ვ. გაბესკირიას პიესაში ჩვენი კლასიკური პროზის ამ ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშის მთავარი გმირები. მართლაც, ციალასა და აბელის სატრფიალო ურთიერთობის ისტორია ბევრად წააგავს ეონასა და თებერას უბედურ თავგადასავალს და „ახალწლის ღამის“ ავტორი ხაზგასმულად მიგვითითებს ამ მსგავსებაზე. მაგრამ ვ. გაბესკირიას ავიწყდება, რომ ვ. ბარნოვმა, როგორც რეალისტმა მხატვარმა, ეონასა და თებერას თავგადასავალი მოგვითხრო იმ დუხჭირი ცხოვრების დასახასიათებლად, რომელიც სუფევდა ჩვენს ქვეყანაში შემამულურ-ბუჩუყუაზიული, თვითმპყრობელური წყობილების დროს, კერძოდ, რეფორმის შემდეგი პერიოდის სოფელში. სწორედ ასეთი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის არიან დამახასიათებელი თევდორა, კაკლუა, ეონა, თებერა, როგორც სოციალური ტიპები და ადამიანური ხასიათები. სწორედ ასეთ საზოგადოებრივს ვითარებაში შეიძლება მომხდარიყო ის, რაც „თებერას დანიშნულშია“ მოთხოვნილი და აღწერილი. და, ამასთანავე, უცხოა და შეუფერებელი ამ ტიპებისა და მათი ცხოვრების ისტორიის ანალოგია ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ბუნებისათვის, საბჭოთა სინამდვილის ატმოსფეროსათვის. ამ უდავო ჭეშმარიტების დავიწყება წარმოადგენს ვ. გაბესკირიას ისეთ შემოქმედებებს შეცდომას, რომელმაც წარმოშვა მისი ამ ახალ პიესის საბედისწერო ნაკლოვანებანი. საჭირო აღარ არის სიტყვა გავაგრძელოთ იმის შესახებ, თუ რამდენად ხელოვნურია და „გამოგონილი“ ციალას ბავშვის დაკარგვის ისტორია, თუ რამდენად მექანიკურად, პიესის სიუჟეტთან დაუკავშირებლად არის ჩაკრებული ნაწარმოებში ლუკასა და რუსუდანის ურთიერთობის ამბავი. აღარ ღირს ცალკეულ, კერძობით ნაკლოვანებებზე ლაპარაკი, როდესაც პიესის თვით საფუძველი, ძირითადი შემოქმედებითი ჩანაფიქრი ყალბია და უნაყოფო.

მკაფიოდ თავისებური, ორიგინალური დრამატული ნაწარმოებია მიხეილ ჯაფარიძის „ჩვენებურები“. ძნელია ამ პიესის ზუსტი უნარობრივი დახასიათება. მ. გორკიმ ჩეხოვის პრესებს „ღირიკული კომედიები“ უწოდა. შეიძლება ეს განსაზღვრა იყოს ყველაზე უფრო შესაფერი „ჩვენებურებისათვის“, თუმცა მასში თითქმის თანაბარი მოცულობით ერთმანეთს ერთვიან კომედიური და დრამატული შენაკადები. ეს პიესა ცოცხლად დახატული ყოფა-ცხოვრებითი სურათებისა და მოქმედ პირთა მართალ ფსიქოლოგიურ პორტრეტთა რსეთ ერთიანობას შეიცავს, სადაც დრამატული მოქმედება, სიუჟეტური დინამიკა მინიმუმამდეა დაყვანილი და სიმძიმის ცენტრი გონებამახვილურად დამუშავებულს, აზრობრივად დატვირთულსა და გემოვნებით დახვეწილ დიალოგებზეა გადატანილი. პიესაში არსებითად არავითარი კონფლიქტი, არავითარი შეჯახებანი და წინააღმდეგობანი არ არის წარმოსახული. მისი ყველა პერსონაჟი ავტორის მიერ თანაბრად დადებით გმირად არის მოფიქრებული. ისინი, როგორც ადამიანური ხასიათები, მართალია, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ იმ სხვაობას ისინი არ მიჰყავს ურთიერთ საწინააღმდეგო აზრებამდე და საქმეებამდე. ამიტომაც პიესა არავითარ მძაფრ სიტუაციებს, არავითარ დაძაბულ მდგომარეობებს არ შეიცავს. პიესაში დასახული ერთადერთი ფაბულური მოტივი, ზენარასა და მინაგოს რომანული ურთიერთობის ისტორია, უფრო დიალოგებშია გამოვლენილი ან ქვეტექსტის მეშვეობით გახსნილი, ვიდრე უშუალო სცენურ მოქმედებაში წარმოსახული, ამიტომაც „ჩვენებურები“ არსებითად „უსიუჟეტო“ ნაწარმოებად გვეჩვენება.

პიესის იდეურ მიზანდასახულობას წარმოადგენს გამოხატვა საბჭოთა ხალხის სულიერი ძლიერებისა და მშენებლისა, რამაც განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში და ძირითადად განაპირობა ჩვენი გამარჯვება კაცობრიობის უბოროტეს მტერზე, პიტლერის ჯოჯოხეთურ სამხედრო მანქანაზე. პიესას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ხალხური თქმა: „ოქროს ცეცხლში გამოსცდიან“ და მთელი ნაწარმოების აზრიც ის არის რომ თვალნათლივ დავეინახოთ, თუ როგორი გამოცდა და წრთობა განიცადა ჩვენმა დიდებულმა ხალხმა წმინდა სამამულო ომის ქარცეცხლში. „ღმერთო, უმარჯვე ჩვენს ხალხს! ამტანიც არის და გამტანიც!“ — ამბობს პიესის ერთ-ერთი გმირი მოხუცი გლეხი გეგელა და ამ აზრის მხატვრული ილუსტრაცია, ჩვენი ხალხის ამ ძვირფასი თვისების ჩვენება განსაზღვრავს ნაწარმოების შინაარსს, მის მორალს, მის ფილოსოფიას. ამ აზრის მხატვრულად განსახიერებისათვის მწერალი ხატავს იმერეთის ერთი-

სოფლის ცხოვრებას ომის დაძაბულ დღეებში. პიესაში მოქმედებენ ამ სოფლის ადამიანები: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტარიელ ხალიბაძე, ბრიგადირი მინაგო სვანიძე, რიგითი კოლმეურნე არჩევან ზეციელი, სოფლის მასწავლებელი ალექსანდრე ბაკურაძე, კოლმეურნე ქალიშვილები ზენარა და მაქცია და სხვ. ყველა ესენი, მიუხედავად მათი მდგომარეობისა და ხასიათთა სხვადასხვანაირობისა, თანაბრად კარგი ადამიანები არიან, აღსავსენი სიკეთით, სიმართლით, პატიონებით, ომის მძიმე ვითარებაში დიდი გაჭირვება დასდგომია ამ ადამიანებს. მათი სოფლის ხრიოკი და მწირი მიწები მოუსავლიანობით გამოირჩევა, ამასთანავე, აქ ზშირია მეწყერი, რომელიც კატასტროფულად ანადგურებს ხოლმე კოლმეურნეთა ნაშრომსა და ნაამაგარს. ცხადია, ომის დღეებში ასეთ სოფელს განსაკუთრებით გაუჭირდებოდა, მაგრამ ხალხი, რიგითი საბჭოთა ადამიანები არ კარგავენ სულიერ მხნეობას და ზნეობრივ ძალას. პიესის ერთი პერსონაჟი ამგვარად ახასიათებს ომს: „ო... ეგ იმისთანა მხეცია, გაჩნდება თუ არა, მაშინვე ზენში ჩაგვიდებს კლანკებს!“ მაგრამ საბჭოთა ადამიანები მხნედ და ჭიუტად იცავენ ამ მხეცის გააფთრებული იერიშისაგან თავიანთ მორალურ სისპეტაკეს. ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო განსაკუთრებულად გაჭირვებული გლეხი არჩევანი თავისი ცოლის სიტყვებს: „ომი დაგვეკვიდა ამ ღრიოკზე, ომი დაგვეკვიდა!“ ამგვარად უბასუბებს: „გაჭირვებამ ჩვარი შემომახია, თუ არა გულს ისევ არჩევანი ჰქვია!“.. იგივე არჩევანი, რომელიც მთელი დღეობით სიმინდის სასესხებლად დაიარება სოფლად, როგორც კი მცირეოდენ ფქვილს იშოვნის. მზად არის იგი უანგაროდ გაუნაწილოს უპატრონოდ დარჩენილ მოხუც მეზობელს, ასევე კეთილსა და უმწიკვლო გეგელას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტარიელი, რომელსაც ერთადერთი შვილის ფრონტზე დაღუპვა აცნობეს, ცოლისადმი სიბრალულით ამ ამბავს გულში იმარხავს და ასეთი მძიმე მწუხარებით შეპყრობილი იგი ახერხებს გარეგნულად სიმშვიდედ და წონასწორობა შეინარჩუნოს, მზრუნველობა არ მოაქლოს სახალხო საქმეს, გულისხმიერი დახმარება გაუწიოს გაჭირვებაში ჩავარდნილ მეზობლებს. კოლმეურნეობის ბრიგადირ მინაგოს მგზნებარედ უყვარს გარეგნული და სულიერი მშვენიერებით აღსავსე ქალიშვილი ზენარა. ქალი თანხმდება ცოლად გაჰყვეს მინაგოს. თუმცა მას სულსხვა უყვარს. ზენარას გული ტარიელის ვაჟს, ფრონტზე წასულ გოგონას ეკუთვნოდა, მაგრამ რაკი სოფელში გოგონას დაღუპვის ამბავი მოვიდა, მშობლების ნება-სურვილს დამორჩილებული ზენარა მზადაა თანაუგრძნოს მინაგოს წრფელ სიყვარულს და ცოლად გაჰყვეს მას. როგორც კი მინაგო საქმის ნამდვილ ვითარებას გაიგებს, უარს ამბობს ზენარას ცოლად შერთვაზე. მას არ სწამს უსიყვარულო ცოლქმრობა, მას არ შეუძლია ასეთ საკითხში შემთხვევით ისარგებლოს,

სხვის უბედურებაზე ააგოს თავისი ბედნიერება. ასეთი მაღალი ზნეობის ადამიანები არიან „ჩვენებურების“ გმირები და დრამატურგი გულითადად უმღერის ამ ადამიანებს, მათ მომხიბვლელ მორალურ თვისებებს. პიესის უპირველესი ღირსება ის არის, რომ ყველაფერი მასში საოცრად ბუნებრივი, რეალური და დამაჯერებელია. თითქოს ჩვენ თვალწინ ყოფა-ცხოვრების სურათები მიმდინარეობენ უშუალოდ, თითქოს ჩვენ სცენაზე მართლაც ცოცხალ ჩვენებურებს ვხედავთ. მაგრამ ამ ბუნებრივობას არაფერი აქვს საერთო ნატურალისტურ ემპირიულობასთან, ყოფითი მასალა პიესაში პოეტიზებულია და ამდენად. განზოგადებით სიმალღეზე აყვანილი. განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებს პიესის ენა, დიალოგის ოსტატობა, გმირთა მეტყველება ორგანულად შეხამებულია ხასიათის ბუნებასთან, მათი ყოველი ფრაზა ცოცხალი და ბუნებრივია, აღსაყვება ხალხის მეტყველებასათვის დამახასიათებელი ხატოვანი გამოთქმებით, იდიომებით. და ამ შემთხვევაშიც საყურადღებო ის არის, რომ პიესის სიტყვიერი ქსოვილი თავისუფალია ენობრივი ნატურალიზმისაგან, დიალექტიზმებისაგან.

ასეთ თვალსაჩინო ღირსებათა მიუხედავად, ნაწარმოები ძთლიანად ვერ გვაძლევს სამამულო ომის წლებში ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების მართალ სურათს. პიესაში არა თუ შესაფერი სიმკვეთრით და ცხოველშყოფილობით არ არის გამოხატული, არამედ სავსებით მიჩქმალულია ის გმირული, მებრძოლი, შემტევი სულისკვეთება, ის ნამდვილი ფრონტული ცხოვრება, რომლითაც სამამულო ომის წლებში ცხოვრობდა ჩვენი სახელოვანი საკოლმეურნეო გლეხობა, — ერთ-ერთი ძირითადი შემოქმედი და გამოძვედი ჩვენი სამშობლოს დიადი გამარჯვებისა მის უბოროტეს მტრებზე... „ჩვენებურების“ გმირები კეთილი და პატიოსანი ადამიანები არიან, მაგრამ საოცრად პასიურნი და უმოქმედონი... რაღაც პასიურობის, გულწელდაკრეფის, ყველაფრისადმი შემარიგებლობის სულისკვეთება სუფევს ამ პიესაში, და სწორედ ეს არის ამ ნაწარმოების სერიოზული მანკიერება. საბჭოთა მასურებელი თანაგრძნობით უსმენს პიესის გმირების გულუბრყვილო სიკეთით გამსჭვალულ სიტყვებს, მაგრამ ერთხელაც კი არ გაიფიქრებს წაბაძოს ამ გმირებს, თავისი თავი წარმოიდგინოს მათს მდგომარეობაში. საბჭოთა ადამიანები რომ მართლა „ჩვენებურების“ პერსონაჟთა მსგავსნი ყოფილიყვნენ, რა თქმა უნდა, ჩვენი ხალხი ვერც ომს მოიგებდა და ვერც სოციალისტურ საზოგადოებას ააშენებდა. მ. ჯაფარიძის მთავარი შეცდომა ის არის, რომ მან მოინდომა ჩვენი ხალხის ზნეობრივი სისპეტაკე ეჩვენებინა გამოყოფილად, იზოლირებულად, ხალხის ხასიათის ისეთ ძვირფას თვისებათა უგულვებელყოფით, როგორცაა შემტევი, შემოქმედი სულისკვეთება, აქტივობა, შეუწელებელი და შეუჩერებელი წინსწრაფვა ცხოვრების განუწყვეტელი გაუმ-

ჯობესებისა და სრულყოფისაკენ. ამ თვისებათა გარეშე არ წარმოადგინება ნამდვილი საბჭოთა ადამიანი, ჩვენი ხალხის სულიერი სამყარო, ამიტომაც „ჩვენებურებში“ დახატული სურათი ცალმხრივი აღმოჩნდა, და როგორც ყოველივე ცალმხრივობა — მრუდე და არასწორია.

უქანასკნელ ხანებში ჩვენს დრამატურგიაში გამოცოცხლებას იწყებს სატირული კომედიის ჟანრი. ეს მეტად საგულისხმო და წასახალისებელი მოვლენაა. როგორც ცნობილია, „უკონფლიქტობის“ მანკიერმა თეორიამ და პრაქტიკამ საგრძნობლად მოაღუნა ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის მამხილებელი ძალა და განსაკუთრებით შეზღუდა სატირული ჟანრის განვითარება, თითქმის სრულიად ჩაახშო იგი, კერძოდ, ქართულ ხელოვნებაში. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ წლობით დამკვიდრებული ყალბი ტენდენცია ერთბაშად აღმოიფხვრებოდა, ერთბაშად აღორძინდებოდა დიდი სატირული ლიტერატურის ტრადიციები. არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ამ ჟანრში მომუშავე მწერალთა და ხელოვანთა წინაშე წამოჭრილი სპეციფიკური სიძნელეები. გოგოლისა და შჩედრინის სატირულ ტრადიციათა აღდგენა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში მექანიკურად როდი შეიძლება. ამ საქმეში საჭიროა დიდი შემოქმედებითი აქტიობა, წინდახედულება, ზომიერების გრძნობა. უნაკლო და სრულფასოვანი სატირული კომედია, ამ ჟანრში ხანგრძლივი სიცარიელის შემდეგ, ალბათ ერთბაშად როდი მოგვევლინება. საჭირო იქნება ერთგვარი რიბა. შემოქმედებითი ცდები. სწორედ ამ მხრივ იმსახურებენ ყუოაღლებას განვიღოთ თეატრალურ სეზონში ჩვენს სცენაზე განსახიერებელი სატირული კომედიები და მათ შორის იონა ვაკელის „საქმიანი კაცი“.

დრამატურგმა მზის სინათლეზე გამოიტანა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და მძაფრად მამხილებელი ძალით დასცინა ამ ნაკლოვანებათა მატარებელ მანკიერ ადამიანებს. პიესაში მოცემულია მკვეთრი სატირული სახე კოლმეურნეობის თავმჯდომარის აპრაკუნესი. რომელიც ყველაფერს საკუთარი განდიდების თვალსაზრისით ზომავს და ყველაფერში უნიათოს, გონებაჩლუნგს, ფუქსავაღს უკვე აუგია კვარცხლბეკი საკუთარი მონუმენტისათვის და მუდამ იმის მოლოდინშია, თუ როდის აღიმართება ამ კვარცხლბეკზე მისი ბიუსტი. აპრაკუნესა და მისი მფარველის ვარდენის, მათი დამქაშების, გადაგვარებული ადამიანების, არქიფოს, ემოკრიტეს, კიკიტის სხვთა დასახატავად მწერალს აღმოაჩნდა მეტყველი და ქმედითი საღებავები. საყურადღებო ის არის, რომ ამ დაუნდობლად მამხილებელი აქცენტის მიუხედავად, პიესაში ნათლად მოჩანს, რომ აპრაკუნეები და ვარდენები როდი არიან ცხოვრების ბატონ-პატრონი,

რომ ისინი მოწყვეტილნი არიან ხალხისაგან და სწორედ ამიტომაც განწირულნი არიან დასაღუპავად. ამ აზრითაა გამსჭვალული მთელი სცენური მოქმედება. თუმცა უნდა ითქვას, რომ სატირულ კომედიაში დადებითი პერსონაჟების მკაფიოდ და ცოცხლად გამოხატვის მეტად რთული ამოცანა ამ პიესაში ჯერ კიდევ წარმატებით გადაწყვეტილი ვერ არის. კომედია სხარტი, მოსწრებული, გონებამახვილური გამოთქმებით აღსავსე დიალოგებზეა აგებული. მაყურებელი გულითადად ეხმაურება ამ დიალოგებს, რომლებშიც სატირული პერსონაჟების უნიათობა და გონებრივი შეზღუდულობაა გამომჟღავნებული. მაგრამ პიესას აკლია მწყობრი და ლოგიკურად განვითარებული სიუჟეტის მთლიანობა, ამასთანავე, დრამატურგი ზედმეტად გაიტაცა მხატვრული გადაჭარბების ცდუნებამ, მაგალითად, ცრუ მეცნიერული და ყალბად ნოვატორული ექსპერიმენტების დასახასიათებლად საზამთროებში კონიაკის შემსახუნება ისეთი გადაჭარბებაა, რომელიც სცილდება რეალურობის საზღვრებს და ამცირებს პიესის დამაჯერებლობას. იგივე უნდა ითქვას მთელი სოფლის დარაზმულად წასვლის შესახებ მეზობელ კოლმეურნეობაში რამდენიმე ტონა ჩაის ფოთლის მოსაპარავად. მართალია, სატირული კომედია წარმოუდგენელია რაიმე გადაჭარბებისა და სახეთა თუ სიტუაციათა განზრახ გამახვილების გარეშე, მაგრამ ამ საქმეშიც საჭიროა მხატვრული ტაქტი და ზომიერება, რადგან, როგორც ხელოვნების ყოველ სხვა ჟანრში, სატირაშიც გამომწყვეტი მნიშვნელობა აქვს რეალურობის გრძნობას, მხატვრულ სიმართლეს, დამაჯერებლობას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „საქმიანი კაცი“, საფუძვლიანად გადამუშავებული და თითქმის ხელახლად დაწერილი ი. ვაკელის მიერ, ოცდაათიანი წლების დამდეგს „აპრაქუნე ჭიმქიმელის“ სახელწოდებით, თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში. ცხადია, მაშინდელ; სრულიად სხვაგვარ ისტორიულ ვითარებაში აღმოცენებული სცენური სახეებისა და სიტუაციების ინერცია რამდენადაც ზღუდავს „საქმიანი კაცის“ თანახმოვანებას საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის მოვლენებთან.

სატირული კომედიის ჟანრს მიეკუთვნება აგრეთვე რევოზ თაბუკაშვილის პიესა „რას იტყვის ხალხი“, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დადგა გასულ სეზონში. მაყურებელმა თავის დროზე გულთბილად მიიღო ამ ახალგაზრდა, ნიჭიერი ავტორის პირველი პიესა „რაიკომის მდივანი“, რომელშიც იგრძნობოდა დრამატურგის გაბედული მისწრაფება აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემების განსახიერებისაკენ, მისი მახვილი და გამჭრიახი მხატვრული ხედვა, სინამდვილის მნიშვნელოვანი მოვლენების გამოჩენისა და ცოცხლად წარმოსახვის უნარი. ვერ ვიტყვით, რომ თავის ახალ ნაწარმოებში

დრამატურგი წინ წასულიყოს შემოქმედებითი დაოსტატებისა და დავაჯკაცების მხრივ. მართალია, ამ პიესაშიც არის მახვილი და ცოცხალი დიალოგები, ზოგიერთი მძაფრად დახატული სახე, ცალკეული დამაინტერესებელი სიტუაციები. მაგრამ ყოველივე ეს ვერ ფარავს ამ ნაწარმოების არსებით ნაკლოვანებას. მთავარი ამ მხრივ ის არის, რომ სავსებით გაურკვეველია პიესის იდეურ-თემატიკური გააზრება, მიზანდასახულობა. პიესის ავტორისათვის ნათლად გარკვეული არ არის, თუ რას კიცხავს და გმობს, რას დასცინის იგი: იმას, რომ ადამიანები თავიანთ მოქმედებაში ანგარიშს უწევენ საზოგადოებრივ აზრს და ყოველთვის ფიქრობენ იმაზე. თუ რას იტყვის ხალხი, თუ იმას, რომ მანკიერი ადამიანები თვალთმაქცობენ, ჯერ ვერაგულად გასწირავენ კაცს და მერე ნიანგის ცრემლებით დასტირიან; თუ იმას, რომ საქართველოში მიცვალებულს პატივისცემით მარხავენ და ამ საქმეში ხშირად დიდადაც აჭარბებენ ხოლმე. რაკი პიესას არა აქვს მიზანდასახულებრივი და თემატიკური აქცენტი, ამიტომაც იგი ვერ არის ჩაყენებული მწყობრ თემატურსა და კომპოზიციურს კალაპოტში, ვერ არის, როგორც იტყვიან. „თავმოყრილი“.

ამასთანავე, პიესის საკვანძო სიტუაცია: — სოფლად წასული კაცის მკვდრად მიჩნევა და მისი გამოტირება, მისთვის ქელეხის გამართვა მეტად ხელოვნურია და ამდენადვე უსიცოცხლო. ასეთია ის მთავარი ნაკლოვანებანი, რომლებიც ახასიათებთ ქართული დრამატურგიის ახალ ნაწარმოებებს თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე. ამ ნაკლოვანებათა სრული გათვალისწინება და გააზრება აუცილებელია ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების ახალი მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობისათვის.

მხატვრული სიტყვის იარაღით

იმ ფაქტორთა შორის, რომელთაც ფაშისტურ გერმანიასა და მილიტარისტულ იაპონიაზე ჩვენი სამშობლოს დიადი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება განაპირობეს, უპირველესი და უმნიშვნელოვანესი იყო საბჭოთა ადამიანი თავისი მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროთი, მგზნებარე პატრიოტიზმით და ინტერნაციონალური სულისკვეთებით, ქედუხრელი თავისუფლებისმოყვარეობით, გმირული და ვაჟკაცური ბუნებით. ჩვენი ხალხის ხასიათის ამ მაღალმა ნიშან-თვისებებმა შეადგინეს ის შეუვალი. ციხე-სიმაგრე, რომელთანაც შეჯახებისას დაიმსხვრა და გაცამტვევრდა ჰიტლერის ჯოჯოხეთური სამხედრო მანქანის „უძლველობის“ მითი, ფაშისტური ვერმახტის „ბლიტკრიგის“ გიჟური სტრატეგია, გერმანული რასის მსოფლიო ბატონობის ნაბოღვარი „თეორიები“.

ჩვენს მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურას შეუძლია კანონიერად იამაყოს იმით, რომ მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის დედამიწაზე ცხოვრების ძირფესვიანად გარდაქმნისა და განახლებისათვის, ახალი სამყაროს მშენებლობისათვის მებრძოლი ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებასა და გამოწრთობაში. ახალი ტიპის ლიტერატურა — სოციალისტური მწერლობა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე უპირველეს მოწოდებასა და დანიშნულებას იმაში ხედავდა, რომ დაენერგა ხალხის ცნობიერებაში ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის მაღალი იდეალები, პატრიოტიზმისა და ხალხთა ძმობის კეთილშობილური გრძნობები; ეს მწერლობა ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ამომტყდარი დიადი კლასობრივი ბრძოლების ქარიშხლიან ვითარებაში აღმოცენდა, მან პირველი საბრძოლო ნათლობა რუსეთის პირველი რევოლუციის სამზადისისა და ამ რევოლუციის აღმავლობის პერიოდში განიცადა. სწორედ ამ პერიოდში გამოვიდა მწერლობის ასპარეზზე მსოფლიოს პირველი და უდიდესი პროლეტარული მწერალი, სოციალისტური რეალიზმის მწერლობის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი და ამავე პერიოდში დაიწერა მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის კლასიკური ნაშრომი — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც წარმოადგენდა რევოლუციური მუშათა კლასის მსოფლმხედველობასთან და მის საბრძოლო საქმესთან სისხლხორცეულად დაკავშირებული ახალი ლიტერატურის დიდებულ მანიფესტს.

საბჭოთა მწერლობის საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციები დიდი ოქტომბრის მგზნებარე დღეებში და სამოქალაქო ომის მღელვარე წლებში შემუშავდა და ჩამოყალიბდა. მაშინ, ხალხის სწორუბოვარი საბრძოლო შემართების ატმოსფეროში დაიწერა წიგნები, რომლებშიც კლასიკური სისრულით გამოვლინდა სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის უმთავრესი თავისებურებანი.

ამრიგად, ჩვენი ხალხის საბრძოლო ცხოვრებასთან სისხლხორცეული კავშირითიერთობა საბჭოთა ლიტერატურის „თანდაყოლილი“ უპირველესი თვისება და ყველაზე ძვირფასი თავისებურებაა. იმთავითვე ჩვენმა ლიტერატურამ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ხალხის სულიერი შეიარაღების, იდეური და ზნეობრივი აღჭურვილობის საშუალებათა არსენალში. „მე მინდა კალამი ხიშტს გაუთანაბრონ“ — ამბობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი და ამ სიტყვებში ეპოქის უპირველესი პოეტი ზუსტად განასახიერებდა საბჭოთა ლიტერატურის მებრძოლ სულისკეთებას, მის ადგილსა და როლს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ასეთი იდეურ-შემოქმედებითი მრწამსის მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა მთელი თავისი ისტორიით მომზადებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ როგორც კი შუაგულ ევროპაში თავი იჩინა მიხაკისფერმა ურჩხულმა, ჩვენი მწერლობა ზიზღითა და სიძულვილით აღსდგა ჩვენი საუკუნის ამ უბოროტესი ბარბაროსობის წინააღმდეგ. მაქსიმ გორკიმ პირველმა მსოფლიოს ანტიფაშისტ მწერალთა შორის მისცა ფაშიზმს გამანადგურებელი დახასიათება, უწოდა რა მას „კაცობრიობის ნაძირალთაგან შედგენილი შეიარაღებული ბანდა“. მ. გორკიმ მწვავედ და გადაჭრით დააყენა საკითხი მთელი ცივილიზებული სამყაროს მოწინავე ადამიანთა წინაშე: „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო?“. ვლადიმერ მაიაკოვსკი კი დედამიწის ყოველი კუთხის მშრომელებს მოუწოდებდა: „ელაპარაკეთ ფაშისტებს ხანძრის ენით, ტყვიის სიტყვებით, ხიშტების მახვილით“. მ. გორკი უსაზღვრო კმაყოფილებითა და სიხარულით მიესალმებოდა მსოფლიოს პროგრესული ინტელიგენციის საუკეთესო ძალების დარაზმვას ერთიან ანტიფაშისტურ ბანაკში, იგი აღნიშნავდა, რომ პლანეტის საუკეთესო ადამიანთა გულებში დღითიდღე გროვდება ზიზღი და შეურიგებელი სიძულვილი ფაშიზმის მიმართ. მ. გორკი სამარეში ჩავიდა იმ რწმენითა და მოლოდინით, რომ „დადგება დრო, როცა ეს გულები იფეთქებს ერთიან ხანძრად და ძირფესვიანად ამოსწვავს ფაშიზმს — მსოფლიოს ჩირქოვან წყლულს“.

საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის ატმოსფერო გამსჭვალული იყო ფაშისტურ ბარბაროსობასთან ჩვენი სამშობლოს მოსალოდნელი სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების შემთხვევისათვის, მთელი ჩვენი მწერლობის საბრძოლო მზადყოფნის ანცდით. და რო-

გორც კი ეს მოსალოდნელობა რეალობად იქცა, როცა ჰიტლერიზმის ჯოჯოხეთური საომარი მანქანა ქურდულად და ავაზაკურად შემოიჭრა ჩვენს მიწა-წყალზე, ყველა მოძმე საბჭოთა ხალხის ლიტერატურა ერთბაშად და ერთსულოვნად აღსდგა სამშობლოს დასაცავად და სამამულო ომის ძღვემამოსილად დამთავრებამდე უყოყმანოდ, უდრტინველად იზიარებდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი და მრისხანე ომის ყველა სიძნელეს.

საბჭოთა მწერლების საკავშირო ორგანიზაციის შემადგენლობის მესამედზე მეტი სახელოვანი მოქმედი არმიის რიგებში იბრძოდა. ამ მეომარ მწერალთა დიდი ნაწილი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. საბჭოთა ხალხის საბრძოლო საქურველთა არსენალში იღავდა მხატვრული სიტყვის მძლავრი იარაღი. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ჩვენი მრავალეროვნული მწერლობა ფრონტული ცხოვრებით ცხოვრობდა. იმ მგზნებარე და მრისხანე წლებში, ქვემეხების ქუხილის დროს განუწყვეტლივ გაისმოდა ჩვენი მწერლობის ცეცხლოვანი სიტყვა, რომელიც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ენაზე გულის სიღრმემდე შემძვრელი ძალით ამხელდა ფაშისტი კანიბალების უმაგალითო მხეცობას და ბარბაროსობას, აღვივებდა და აწრთობდა საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ, თავგანწირულ, გმირულ სულისკვეთებას, ნერგავდა და განამტკიცებდა ხალხში ჩვენი წმინდა და სამართლიანი საბრძოლო საქმის აუცილებელი გამარჯვების რწმენას.

საბჭოთა ლიტერატურამ სახელოვნად შეასრულა თავისი დიდი პატრიოტული მოვალეობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, და როგორც ქართული ხალხი ღირსეულად ედგა გვერდში მთელს მრავალეროვან და მრავალმილიონიან საბჭოთა ხალხს მის სწორუპოვრად გმირულ ბრძოლაში თავისი სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად, საკაცობრიო ცივილიზაციისა და პროგრესის გადასარჩენად, ისე ქართული ლიტერატურაც ღირსეულად იზიარებდა და ინაწილებდა მთელი მრავალენოვანი სოციალისტური მწერლობის საბრძოლო ცხოვრებას.

1941 წლის 22 ივნისს, დიდი სამამულო ომის პირველსავე დღეს, ახალი პერიოდი დაიწყო ჩვენი სამშობლოს ისტორიაში და, მამასადამე, საბჭოთა ლიტერატურის, კერძოდ, ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაშიც. ერთბაშად გაცოცხლდა და ახალი ძალით აღორძინდა ჩვენი ეროვნული კლასიკური მწერლობის სახელოვანი გმირული და პატრიოტული ტრადიციები. ქართული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო და მოწინავე ოსტატები ყოველთვის თვლიდნენ თავს ამ ტრადიციების მემკვიდრეებად, გამგრძელებლად. ისინი ყოველთვის ისწრაფოდნენ გამოეწრთოთ და გაემძაფრებინათ ხალხის მებრძოლი

სულისკვეთება, დაენერგათ მტრულ, რეაქციულ სამყაროსთან მოსალოდნელი შეჯახებისათვის მზადყოფნის გრძნობა. ჯერ კიდევ საბჭოთა საჯაროებლოს აღმოცენების პირველ ხანებში ჩვენი საუკუნის უდიდესი ქართველი ლირიკოსი გალაკტიონ ტაბიძე წარმოსახავდა შემაშფოთებელ წინათგრძნობას ჩვენს სამშობლოზე კაცობრიობის ყველაზე ბნელი და ბოროტი ძალების შეიარაღებული თავდასხმისას. პოეტი არ ერიდებოდა საღებავთა ჭარბ გამოუქებას, სახეთა მეტს გამძაფრებას, რათა გამოეწვია მტკივნეული განცდა დედამიწაზე „საძუმის“ ბელახალი „აგუგუნების“ მოსალოდნელობისა:

წამოვა ცეცხლის მღვრიე ნიაღვრად,
ასსანტიმეტრის მკაცრი სახელი,
ხევიდან ხეზე გადიგრიანებს
ხევიდან ხეის გამოძახილი.

გაათრებული ომის გენია
ძველი ჟანგივით ყვითელი ფერის,
გადეფარება მეწამულ ზეცას,
რომ მოიტანოს დღე მწარე წერის.

იქნებ მოსწყინდეს ერთსახეობა
აღმოსავლეთის დღეების თბილის,
გადმოანგრის მტკვარის ხეობა
და ასაკლებად მოადგეს თბილისს.

ფუჭი გულდამშვიდებისა, უდარდელობისა და უზრუნველობის ყოველგვარი ილუზიების გამფანტავ ამგვარ სურათს პოეტი ამთავრებდა სტრიქონებით, რომელშიც გამოხატულია ლირიკული გმირის მისწრაფება და მზადყოფნა, ერთგულად გაჰყვეს ეპოქის დიად ქარტეხილებს და სიცოცხლე შესწიროს ცხოვრების განახლებისათვის მქროლავ ახალ გრივალებს.

ხოლო უკვე მაშინ, როდესაც საბჭოთა საქართველო თავისი არსებობის ოცი წლისთავს დღესასწაულობდა, ამ ისტორიული თარიღისადმი მიძღვნილ შესანიშნავ ლექსში „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომელიც აღორძინებული და განახლებული საქართველოს აღტაცებულ საგალობლად ეღერს, ისევ სამშობლოს დასაცავად თავდადებული ბრძოლისათვის მზადყოფნის ფიცი გაისმის:

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ.

საბჭოების მერვე საგანგებო ყრილობაზე. რომელმაც ჩვენი ქვეყ-

ნის ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა, გიორგი ლეონიძე ლექსად წარმოთქმულ თავის სიტყვაში კვლავ და კვლავ მოაგონებდა ხალხს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ საერთაშორისო რეაქციის ძალთა შეიარაღებული ამხედრების შემთხვევისათვის მზადყოფნის აუცილებლობას:

და თუ გაბედავს, წამოვა
თავისუფლების ამკლები,
დიდ რუსის ხალხთან მხარდამხარ
ჩვენს საზღვრებს მოვეფარგლებით,

ძირს ჯავშანს შევეაღრიალეობთ,
მალა მფრინავებს აეყვებით,
ხმალს გადავაბამთ ხმაღზედა,
მტერს გულში დავეჭახებით.

ასე ემზადებოდა ქართული პოეზიისა და მთელი ქართული მწერლობის შთაგონება იმისათვის, რომ ერთბაშად და მთელის მგზნებარებით გახვეულიყო სამამულო ომის ქარცეცხლში და თავისი ნიჭიერება, უნარი და ძალ-ღონე, სიცოცხლეც კი, როცა ამას საჭიროება მოითხოვდა, უანგაროდ და დაუზოგველად მიეძღვნა საქულველ მტერზე გამარჯვების დიადი საქმისათვის.

სამამულო ომის წლებში ქართულმა პოეზიამ ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, მის სასიცოცხლო ინტერესებთან, მისი აზრებისა და გრძნობების სამყაროსთან განუყოფელი ერთიანობის ისეთ ძალას მიადწია, რომელმაც გაამდიდრა და აამაღლა ჩვენი ეროვნული პოეტური ხელოვნება, არა მარტო თემატური აქტუალობისა და იდეური ქმედითობის მხრივ, არამედ საკუთრივ პროფესიული ოსტატობის, მხატვრული სრულფასოვნების მხრივაც. ომის ვითარებამ სიტყვის ოსტატების წინაშე სავსებით კონკრეტული და რეალური ამოცანები დააყენა: აუცილებელი გახდა ხალხის გულის სიღრმემდე ჩამწვდომი პოეტური საშუალების მიგნება, აღმაგზნებელი და შთამაგონებელი სიტყვის შერჩევა, ნათელი და ცხადი აზრის, მკაფიოდ გამომხატველი სახეების გამოძერწვა, მძლავრი ემოციური ზემოქმედების მუსიკალური წყობა.

ასეთ ვითარებაში აღარ რჩებოდა არავითარი ადგილი უაზრო და განყენებულ, უსაგნო და უმისამართო, თვითმიზნურ და გამართობელ ლექსთა მთხვეულობისათვის, ორაზროვანი, ბუნდოვანი სახეებისა და გამოთქმებისათვის, განზრახ გართულებული და ძნელად ამოსახსნელი პოეტური რებუსებისათვის. პოეზიაში ერთბაშად დამკვიდრდა მაღალი იდეურობისა და ხალხურობის ის პრინციპები, რომლებიც ყოველთვის შეადგენდა სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის საფუძველთა-საფუძველს, მაგრამ მხოლოდ ახლა დამკვიდრდნენ ასე განუ-

ყოფლად შემოქმედებითს პრაქტიკაში. ომის წლების ქართულ პოეზიაში სრულებით გაქრა ანტირეალისტური ლიტერატურული სკოლების, მოდერნისტულ-დეკადენტურ მიმდინარეობათა გავლენების ინერცია, რაც ასე ფართოდ იყო გავრცელებული რევოლუციის წინა წლების ქართულ ლიტერატურაში და საბჭოთა წყობილების წლებშიც სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნიდა ჩვენი ლიტერატურის, განსაკუთრებით კი — ახალი პოეტური კულტურის განვითარების გზაზე.

ომის წლების პოეზიაში თვალსაჩინოდ ამალდა მხატვრული ოსტატობის საერთო დონე. როგორც დაუშვებელია ბრძოლის ველზე მდარე და უვარგისი მასალისაგან დამზადებული სამხედრო საკუთრების გამოტანა, ისევე დაუშვებელი და შეუძლებელი იყო პოეტური მეტყველების მდარე საშუალებებით შესრულებულ ლექსებს საზოგადოებრივი აღიარება და ყურადღება დაემსახურებინათ ამ მძაფრსა და დაძაბულ ვითარებაში. ამიტომაც ომის წლებში შექმნილ პოეტურ ნაწარმოებთა დიდმა ნაწილმა ღირსეულად გაუძლო დროის გამოცდას და დღემდე შეინარჩუნა იდეურ-ესთეტიკური ღირსება. საპატიო ადგილი დაემკვიდრა ქართული საბჭოთა პოეზიის მიღწევათა ძირითად ფონდში.

მრავალმხრივი იყო ქართველ მწერალთა მონაწილეობა სამამულო ომში. ბევრი მწერალი ბრძოლის ველზე წავიდა და იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს ღირსებას და თავისუფლებას. ზოგი მათგანი გმირულად დაიღუპა ამ ბრძოლაში და უკვდავების შარავანდედით შემოსილი მათი სახელი სამუდამოდ აღიბეჭდა ხალხის მეხსიერებაში, ჩვენი ლიტერატურის მატრიანეში, სხვები დიდ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ ჯარის ნაწილებში, ჰოსპიტლებში, ფლოტი-სა და ავიაციის შენაერთებში, მოსახლეობაში — ზურგში, სადაც ფრონტული შრომის ერთუზიანში ღვიოდა. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საბრძოლო საქმის გამარჯვების თვალსაზრისით, მაგრამ განსაკუთრებით დიდია და ძვირფასი ჩვენთვის ის მართლაც და ფრონტულად დაძაბული შემოქმედებითი შრომა, რომელიც ომის წლებში ჩვენი ლიტერატურის ყოველ ეპოქაში მიმდინარეობდა.

ყველაზე ადრე, ყველაზე ოპერატიულად და ეფექტურად ბრძოლის ქარცეცხლში პოეტური ხელოვნება ჩაება. ომის ქარიშხლის ამოტყდომისთანავე გაისმა ალექსანდრე აბაშელის მომწოდებელი სიტყვები თავისი თანამოკალმეებისადმი:

დასთმე სიმღერა სხვა ყოველგვარი,
ყოველი კილო, სიტყვა და აზრი,
გარდა ერთისა, მხოლოდ მეღვარი
დაგვჩაჩეს ყვილი, ხმალივით ბასრი.

მტრის სისხლიანი ჯრდოების შემუსვრა და უკუქცევა, დედასამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების დაცვა — აი, ერთადერთი იდეალი, შთაგონების საგანი და უმაღლესი თემა პოეზიისა. ალ. აბაშელი მოუწოდებდა: „კალამო, მხოლოდ შემუსვრა მტერთა, გადაივიწყე სხვა ყველაფერი“. ასეთი ერთსულოვანი საბრძოლო შემართების აღმაგზნებელ მოწოდებად გაისმა ომის პირველსავე დღეებში ირაკლი აბაშიძის ლექსი, მიძღვნილი მხატვრული სიტყვის ოსტატებისადმი:

ძმებო, მგოსნებო, უსაყარლესო,
ქვეყნის ქებანო, ტყბილო პანგებო,
ჩვენო მახვილო, ასჯერ ნალესო,
მუდამ გამტანო და საგანგებო.

გა:ჰერ, დასძალე ურდო პირმყრალთა,
ნახონ ნამდვილი შეხლა, რკინება;
ერთხმად, ერთპირად, როგორც გვიყვარდა
ქვეყნის ზეიმზე შეხმატკბილება.

ასე დაიწყო ქართული პოეზიის დიდი საომარი ცხოვრება. ჩვენი პოეტური ხელოვნების ერთობლივი და მთლიანი გარდაქმნა ქვეყნის საბრძოლო ინტერესების შესაბამისად. ასე ცხოვლად და წრფელად გამოეხმაურა ჩვენი მწერლობა ხალხისა და პარტიის მოწოდებას: ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის.

ომის პირველ პერიოდში ქართულ პოეზიაში გაბატონებული მდგომარეობა პოლიტიკური ლირიკის უანრმა მოიპოვა. მაშინ უპირატესად მოწოდებითი ხასიათის ლექსები იწერებოდა, რომლებიც ორატორულ-პათეტური ინტონაციით, მოვლენათა ცხელ კვალზე აღმოცენებული ლოზუნგური სტილის მეტყველებით. ზუსტად გააზრებული და გამკვირვალე მხატვრული ფრაზით ხასიათდებოდა. ამ უანრის ლექსებით უკავშირდებოდა ხალხის აზრთა და გრძნობათა სამყაროს მაშინ ჩვენი პოეზია არა მარტო ცალკე ავტორთა პოეტური კრებულებით და ლიტერატურული პერიოდიკის ორგანოთა მეშვეობით, არამედ პოლიტიკური პრესის ფურცლებიდანაც, თბილისის ქუჩებში გამოკრული პოეტური პლაკატებიდანაც („კალმით და ხიშტით“). შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ თავისი სახელოვანი მოქალაქეობრივი და დემოკრატიული ტრადიციებით განთქმულ ქართულ პოეზიას არასოდეს არ მიუღწევია ისეთი საზოგადოებრივი აქტუალობისათვის, ხალხის საბრძოლო ყოველდღიურობასთან ისეთი განუყოფელი შესისხლხორცებისათვის, როგორც იმ მგზნებარე დღეებში.

ხალხი, ფრონტისა და ზურგის მებრძოლები მღელვარედ განიცდიდნენ იოსებ გრიშაშვილის ძახილს:

დაქარი დეშმანს ისეთი ეშხით,
ისე ანაზღად, ისე ძლიერად,
რომ სანანებლად დარჩეს შემდეგვი,
რაც აქამომდე იკადნიერა.

ოდესღაც ინტიმური სატრფიალო ლირიკის ჩარჩოებით შეზღუდული ლექსი ჩვენი საუკუნის ამ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მაღალნიჭიერი პოეტისა სამშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტ ვითარებაში იშვიათი მოქალაქეობრივი მგზნებარებით, პატრიოტული თავგანწირულების გრძნობით ამეტყველდა. როცა ფაშისტ დამპყრობთა სისხლიანი ურდოები კავკასიონის კალთებს მოადგნენ და სასიკვდილო საფრთხე უშუალოდ დაემუქრა საქართველოსაც, მის დედაქალაქსაც, თბილისის თავდავიწყებული ტრუბადური წერდა:

შემა ღრუბელმა შთანთქა მნათობი,
მზე აღარ კეცავს სხივებს ფარჩებად,
აღბათ მეც უნდა ავიღო თოფი
ჩემი თბილისის გადასარჩენად.

სამშობლოსათვის როგორც რიგითმა
აღბათ, მეც უნდა ვიხადო ვალი,
ამინ, დე ჩემი სათუთი რითმა,
იმჟი ავარდეს, ვით ნაპერწყალი.

მაშინ, კავკასიონის კარიბჭესთან დატრიალებული უმაგალითო სისხლისმღვრელი ბრძოლების მძაფრ დღეებში, იმ ბრძოლებისა, რომელთაც არა მარტო უნდა საბოლოოდ გადაეწყვიტათ ამიერკავკასიის ხალხთა სიცოცხლისა და თავისუფლების საკითხი, არამედ დიდი როლიც უნდა შეესრულებინათ სტალინგრადის მიდამოებში მიმდინარე ტიტანური ბრძოლების ჩვენი გამარჯვებით დამთავრებაში და, საერთოდ, დიდი სამამულო ომის მთელს შემდგომ განვითარებაშიც, აღაბაშელი იშვიათად აღმაგზნებელი ლექსით შთააგონებდა საბჭოთა მეომარს:

ხედავ, მტერი რას სჩადის, როგორ მოგიახლოვდა?
შენს მიწაზეც დაეცა ჩრდილი შავი ფრთებისა.
შენი კერა აქ არი, პაპაც აქვე სახლობდა,
დღეს შენა ხარ დარაჯი ამ დალოცვილ მთებისა.

შენი თავისუფლების დედაბოძი აქა დგას,
შენი შვილის აკვანი, შენი ფუძე აქ არი,
მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას,
ვაკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დაქარი!

ომის მსვლელობის ყოველი დღე აძლიერებდა ქართული პოეზიის ზემოქმედებითს უნარს, იგი უფრო და უფრო მეტი სიღრმით ეუფლებოდა ადამიანთა აზრთა და გრძნობათა სამყაროს. იმ წლების ქართუ-

ლი პოეზიის მაღალი ხალხურობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელიც დიდი სიყვარულით გაიზიარა და იმღერა მთელმა საქართველომ. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ აკაკი წერეთლის პატრიოტული ლირიკის უკუკნობი შედეგების შემდეგ ქართულ ენაზე არ დაწერილა ლექსი, რომელსაც ესოდენ ცხოველი გამოძახილი ეპოვოს ხალხის გულში, ასე გადასულიყოს ხალხურ სიმღერაში, ასე მიეჩნოს ხალხს თავისი უწმინდესი გრძნობების განმასახიერებელ საგალობლად. ამ ლექსის სტრიქონების ციტირება უხერხულიც კი არის, რადგან ეს შესანიშნავი პოეტური ქმნილება ზეპირად იცის ყოველმა ქართველმა მკითხველმა. ჩვენი ეროვნული პოეტური და სასიმღერო ფოლკლორის მოტივების გონებამახვილური გამოყენებით ამ ლექსში პოეტმა შეძლო პატრიოტული თავგანწირულების მაღალი იდეალი გამოეხატა, ხალხისთვის ახლობელი და საყვარელი, სადა და მომხიბვლელი ენით, გამოეკვეთა სულიერი პორტრეტი ქართველი ვაჟკაცისა, რომელიც სამშობლოსათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული მხოლოდ იმისთვის ნატრობს საფლავიდან წამოდგომას, რომ ხელმეორედ შესწიროს სიცოცხლე იმავე მიწას, რომელიც მას მკერდზე მიაყარეს.

ასეთივე ფართო პოპულარობით, საყოველთაო-სახალხო აღიარებითა და სიყვარულით სარგებლობდა სამამულო ომის წლებში გიორგი ლეონიძის შესანიშნავი ქმნილება „არ დაიდარდო, დედაო“, რომელიც მაღალი ხალხურობის იშვიათ ნიმუშად დარჩება სამუდამოდ ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში. პოეტური შემოქმედების რაღაც იშვიათი საიდუმლოებით, ლოგიკურ ენაზე გადაუთარგმნელი და აუხსნელი ოსტატობით შეძლო გ. ლეონიძემ დაეხატა ამ ლექსში საოცრად ცოცხალი და კოლორიტული სახე „ლიმილის ბიჭის“ ლევანისა, რომელიც თავისი გმირული საბრძოლო საქმეებით ამაყი და გახარებული ეთხოვება სიცოცხლეს იმ რწმენით, რომ:

თუ გაუქირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდავებით,
ჩვენ გამოუამტყრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავეგებით.

პოეტური სისადავის რა მაღალი და მომხიბლავი ხელოვნებაა მიღწეული გრძნობის სიწრფელით და აზრის სიღრმით აღსაყვებელი ფინალურ სტრიქონებში, რომლითაც „ლიმილის ბიჭი“ მშობელ დედას მიმართავს:

არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა,
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შეილი ეყრება დედასა.

გ. ლეონიძემ მრავალი ისეთი პოეტური ქმნილებით გაამდიდრა სამამულო ომის პერიოდის ქართული ლიტერატურა, რომლებიც არასოდეს არ დაკარგავენ მკითხველთა ფართო ფენებზე ცხოველი ზემოქმედების ძალას. გავისხენოთ თუნდაც ის შესანიშნავი სტრიქონები, რომლებიც პოეტმა ჩვენი ძლევამოსილი შეიარაღებული ძალების სარდლობას მიუძღვნა:

კვალად შენა ხარ ფოლად-გულისა,
შენ უნდა გასკრა წინ შეკრული გზა! —
და სამშობლოს ხსნის იაღქანებად
შენი დროშები მიეჭანება,
გმირულ სიმტიცის გამომსახველი,
და ისევ ცეცხლსა და ქარიშხალში,
ახლად იწრთობა შენი სახელი.

სამამულო ომის მსვლელობაში თანდათანობით ფართოვდებოდა ქართული პოეზიის თემატური დიაპაზონი, მდიდრდებოდა და მრავალფეროვნდებოდა მისი ჟანრობრივი ბუნება, გამომსახველობითი საშუალებათა არსენალი. თუ კონკრეტულ, ზუსტად სადღეისო, საზოგადოებრივად უტილიტარულ მიზან-მიმართებას ოდნავაც არ დაუზიანებია მხატვრული ოსტატობის დონე და ლექსის ესთეტიკური ჟღერადობა, ასევე იდეურ-თემატიკური შინაარსის ერთიანობას ოდნავდაც არ შეუზღუდავს საღებავთა და ჰანგთა უსაზღვრო მრავალფეროვნება ჩვენს პოეზიაში.

თუ ომის პირველ პერიოდში უპირატესი ხვედრითი წონა სამოქალაქო ლირიკის ჟანრმა მოიპოვა და უპირატესად მომწოდებლური პათოსით აღბეჭდილი ლექსები იწერებოდა, შემდეგ პოეზიაში მოხშირდა ფრონტული ცხოვრების, საბრძოლო ეპიზოდების მხატვრული აღწერილობანი, მომთხრობლობითი ხასიათის სიუჟეტური ლექსები (ალიო მირცხულავას, კარლო კალაძის, ალ. გომიაშვილის ბალადები), სამშობლოს დამცველ გმირთა პოეტური პორტრეტები და შემდეგ ფართო პლანის მხატვრული ტილოები — პოემები.

ომის პირველსავე დღეებში დაწერილ ლექსებში მომაჯადოებელი სიწრფელით და თრთოლვით გაისმა გალაკტიონ ტაბიძის ხმა, თავისი განუმეორებელი შინაგანი ამღერებით, მელოდიურობით, შეუდარებელი ემოციური განწყობით:

სიკოცხლეო, მამულო, მძაფრი, არა ფარული
შვილთა შენთა ხმამალა სთქვან შენი სიყვარული.

ხოლო შემდეგ, კავკასიონის გმირული დაცვის ეპოპეის დაუეიწყარ დღეებში, იგი ხატავდა ღრმა პოეტური გააზრებით აღბეჭდილ ცხოველ სურათებს:

კავკასიონი ლაქვარდების მაღალ ცარცივით
მზეზე ელვარებს და ოცნებობს თავის არწივით...
— დარწმუნებული სილალეში, სიძლიერეში,
სწორია მისი ფრთის სიმშვიდე თუ იერიში.

სამამულო ომის წლებში გ. ტაბიძემ რამდენიმე ლირიკული კრებული გამოაქვეყნა. ომის თემა მომდევნო წლებშიც ფართოდ და მრავალმხრივად განსახიერდა მის შემოქმედებაში. მაგრამ ნამდვილ მშვენებას ვალაკტიონის მთელი ლირიკული პოეზიისა წარმოადგენს დიადი გამარჯვების სიამაყით შთაგონებული ის დიდებული სტრიქონები, რომლებიც პოეტმა ისევ და ისევ კავკასიონის კარიბჭესთან გადახდილ გამირულ ბრძოლებს მიუძღვნა:

მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,
ვუსმინო ყაზბეგს — ხევის ბეთხოვენს
აგუგუნება კაიშაურის.

იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგოთ,
უნდა აღეშარათ წყებათა-წყება,
ვით აღიმართა შენთან, ძაუგო,
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება.

სრულიად განსხვავებული, ღრმად თავისებური პოეტური გააზრებით დახატა მყინვარის მონუმენტური სახე ალიო მირცხულავამ სამამულო ომის პერიოდის თავის საუკეთესო ლექსში „მყინვარი“. სამოქალაქო ლირიკის ამ ნაცადმა ოსტატმა არაერთი საყურადღებო ნაწარმოები შემატა ომის პერიოდის ქართულ პოეზიას („ძმები“, „სევასტოპოლი“, „სდგას ორი ქალაქი — ორი ძმადნაფიცი“ და სხვ.), მაგრამ პოეტური ჩანაფიქრის ორიგინალობით და მხატვრული სიმბოლიკის აზრობრივი სიღრმით, წარმოსახვის სიმკვეთრით, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სწორედ „მყინვარი“.

საქართველოს ბუნების დიადი მოვლენა „მყინვარი“ ამ ლექსში გააზრებული და წარმოსახულია, როგორც ცოცხალი სიმბოლო ჩვენი ხალხის უკვდავებისა და უძლეველობისა. მისი გასულიერებული და ამეტყველებული მეომარი სამშობლოს ბედზე ზრუნვითა და ფიქრით არის მოცული და თავისი გარეგნული სახითაც, აზრთა და გრძნობათა მოძრაობითაც განუყოფლად არის შეზრდილი საქართველოს ისტორიულ ცხოვრებასთანაც და დღევანდელ უკიდურესობამდე გამძაფრებულ ვითარებასთანაც:

ცა მშობლიური ავწიე ზურგით,
ქვეყნებს ვუსწორებთ თვალს ამაყურად.
ტანთ „ვეფხისტყაის“ მაცვია ქურჭი,
თავზე რუსთველის ქუდი მახურავს.

შორს ბრწყინავს შუქით მოციმციმეთი,
კრემლის ვარსკვლავი განუქარველი,
იქ მეგულება ჩენი იმედი,
ყვავ-ყორნებისგან ქვეყნის მფარველი.

მღელვარე სიბუღვილით და მრისხანებით შეჰყურებს მყინვარი თა-
ვისი დროებით წარმატებებით თავბრუდახვეული, გათავხედებული
უცხოელი დამპყრობლების ურდოთა სისხლიან თარეშს საქართველოს
მისადგომებთან და წარმოთქვამს მუქარის სიტყვებს, რომლებითაც
თითქოს მთელი ჩენი ქვეყანა და მისი დედა-ბუნება ერთობლივად
გამოთქვამენ მომაკვდინებელი შურისძიების მუქარას:

მეხს დავეყრდნობი მრისხანეს, მწვავეს
და წამოვდგები მთების უკუნით,
ადგილს მოვწულები... და როგორც ზვაი,
მტერს დავატყულები ქვების გუგუნით.

დიდად ნაყოფიერსა ჯა მრავალფეროვან შემოქმედებითს მოღ-
ვაწეობას ეწეოდა მრისხანე წლებში კარლო კალაძე. იგი ქმნიდა ფრო-
ნტისა და ზურგის საბრძოლო ცხოვრების კოლორიტულ-პოეტურ ჩა-
ნახატებს, წერდა სასიმღერო ლექსებსაც, ბალადებსაც. მაგრამ ამ წლე-
ბის მისი შემოქმედებითი ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელ ნი-
მუშს წარმოადგენს ლექსი „საარტილერიო დუელი“, რომელშიც ხელ-
შესახები პლასტიკურობით, ნამდვილი სკულპტურული გამოკვეთილო-
ბით არის დახატული კავკასიონის მთებში თავგანწირულად მებრძოლი
ქართველი ვაჟკაცის ღრმად განზოგადებული ადამიანური სახე:

კაცი რომ ასე ადგეს პიტალოს,
ვით მისიანი, მისი ნატეხი, —
უნდა კლდისგანვე გამოითალოს
თვალტანად ასე წარმოსადგვი!

ქვემებთ ესმოდათ მისი ქართული,
იციოდნენ, ომის კირშიაც უღბინს,
იღგა ღრუბლებში ხელამართული,
უპასუხებდა ქუხილით ქუხილს!

კავკასიის გმირული დაცვის მგზნებარე დღეებში კარლო კალაძე
სხვა ქართველ მწერლებთან ერთად ბრძოლის ველზე იმყოფებოდა და
უშუალოდ ხედავდა და განიცდიდა საბჭოთა მეომრების სასწაულებ-
რივი ვაჟკაცობის მაგალითებს. ეს შთაბეჭდილებანი განუყოფლად და-
მკვიდრდა პოეტის მთელს შემდგომს შემოქმედებითს ცხოვრებაში.
სწორედ ამისი შედეგია კ. კალაძის უკანასკნელი ლირიკული პოემა
„მე კვლავაც მხოლოდ სიცოცხლის მჭერა“, რომელიც მიძღვნილია

ერთ-ერთი უნიკიერესი საბჭოთა მხედართმთავრის კონსტანტინე ლესელიძისადმი.

დიდი სამამულო ომის წლებში მთელი ჩვენი ხალხი ერთიანი საბრძოლო მისწრაფებებითა და სულსკვეთებით ცხოვრობდა და სუნთქავდა. ფრონტი და ზურგი განუყოფელი იყო ჩვენს ქვეყანაში. „შინ დარჩენილები“, რომელთაც თავდადებული შრომით ღირსეულად შეცვალეს ბრძოლის ქარცეცხლში ჩაბმული ვაჟაკები, თავიანთი ფიქრებითა და გრძნობებით ყოველდღიურად, ყოველწუთიერად განიცდიდნენ თავიანთ უსაყვარლეს ადამიანებთან განშორების ტკივილებსაც და მათთან განუშორებელ და განუწყვეტელ სიახლოვესაც. „შინ დარჩენილთა“ ასეთი სულიერი ვითარება ომისდროინდელ ჩვენს პოეზიაში ყველაზე ცხოვლად და მკაფიოდ გამოხატა ილო მოსაშვილმა ლექსების ციკლში „მისი ბარათი“. აი, მაგალითად ამ ციკლის ერთ-ერთი ლექსის ლირიკული გმირი, ფრონტიდან ქმრის მიერ გამოგზავნილი ბარათით აღფრთოვანებული, როგორი უნაზესი ალერსით ესაუბრება ოცნებაში თავის უსაყვარლეს ვაჟაკს:

ან მოიტანა გუგუნით მიწამ
ან თერჯის ღრუბლებს მოჰყვა ომიდან.
არ ვიცი, მაგრამ ომის ხმა ვიცი,
კარს მოაწყდა და შინ შემოვიდა.

შორს მთებს გაავლო დამწვარი ხაზი,
ვერსად გზა გახსნა, ვერსად კლდე-კარი,
პირველად შეეკრთი და, როგორც ვაზი,
შენს დარგულ ვაზის ხეს აეეკარი!

თითქოს შენ იდექ ეხლა ჩემს გვერდით,
ნაცნობი სითბო გაჩნდა ალვაში,
ვინ იცის, ასე შეკრული მკერდით
მტერთან რამდენი იბრძვის ქალ-ვაჟი.

„შინ დარჩენილთა“ სულიერ სამყაროსთან ასეთი შეუხელებელი ერთიანობის განცდას ღრმად თავისებური პოეტური ხილვით და განსახიერებით გადმოგვცემს რევაზ მარგიანი ომისდროინდელ ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსში „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს“.

სამშობლოდან, დედაქალაქიდან, საყვარელი და ახლობელი ქალისაგან ფრონტზე მიღებული წერილი უკეთილშობილესი, ამაღლებული ადამიანური გრძნობებით ალაგებს სამშობლოსათვის თავგანწირულად მებრძოლი ვაჟაკის გულს:

მე გულით ვატარებ პატარა ბარათს,
შენგან რომ მივიღე წუხელ,

ისე ვით საუნჯე, ფარულად დამაქვს,
რატომღაც ვერავის ვუმხელ...

...არ მახსოვს, რამდენჯერ გავშალე ღიმილით,
ჭაბუკი ოცნებად ვიქვეც,
უცხო რამ, ასე ვთქვათ, ვით გულის ტკივილი,
დავხედე ბარათს და ვგრძემ.

კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითოდ მკაცრსა და მრისხანე ომს ვერ შეუბღალავს საბჭოთა მეომრის ამალღებული მორალური სახე, ვერ შეუწინააღმდეგებია მისი სულიერი ცხოვრების უნაზესი, თვით უაღრესად ინტიმური ურთიერთობის ანკარა საწყისები. ეს გრძნობები არა თუ არ ეწინააღმდეგება მებრძოლის გმირულ შემართებას, არამედ იმედისა და სასოების, რწმენისა და ოპტიმიზმის დამამშვიდებელ ნათელს ამკვიდრებს მის სულში:

ნუ სწუხარ, გაივლის ომი და ქარი
ვიცხოვრებთ ისევე მშვიდად.
ჩვენთვის ხომ სიცოცხლე მამული არის,
ღიადი სამშობლო წმინდა!

რევანზ მარგიანმა, რომელმაც ომის წლები მოქმედი არმიის რიგებში გაატარა, შექმნა ლექსების წიგნი „მუმლი მუხასა“, რომელიც ქართული პოეზიის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი მონაპოვარია ამ დღეს და მარად ამოუწურავ თემაზე.

სამამულო ომის წლებში, მთელი ხალხის იმ ერთსულოვანი საბრძოლო აღფრთოვანების გარემოცვაში დავაუკაცდა იოსებ ნონეშვილის შთაგონებაც. მისი პოეზიის იშვიათი პოპულარობა და სახალხო აღიარება, სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ხალხმა სიყვარულით გაიზიარა და იმღერა ლეგენდარული ზოია კოსმოდემიანსკაიასადმი მიძღვნილი მისი სტრიქონები:

ტრამალები სღუმან შენი
საქმით განაკვირები,
მოდინ და შენს საფლავთან
ქუდს ოხლიან გმირები.

შენს ქალობას დალოცავენ
შენს მაჯას და იარაღს,
რა პატარამ გამოსცაღე
უკვდავების ფილა...

ამ ლექსში უკვე იგრძნობოდა დვრიტა იმ ფართო მხატვრული ტილოსი, რომელზეც შემდეგ პოეტმა შთამბეჭდავად აღბეჭდა გმირი ქართველი ქალიშვილის ზოია რუხაძის შესანიშნავი ცხოვრება და თავდა-

დებულის სიკვდილი. ამ ნაწარმოებმა გამოსტაცა დავიწყებას, გაუცოცხლა და სამარადისოდ შემოუნახა ქართველ ხალხს მისი ერთ-ერთი საუკეთესო შვილის ნათელი სახე.

არ დარჩენილა არც ერთი ქართველი პოეტი, რომელსაც სამამულო ომის მგზნებარე წლებში არ გამოექვეყნებინოს ლექსთა საკუთარი კრებულები, არ შეექმნას ლირიკული ციკლები, ან ცალკეული ქმნილებანი, რომელთა უმრავლესობა თანამედროვე საბჭოთა პოეტური კულტურის მაღალ დონეზე დგას. ხოლო დიდი ნაწილი სამუდამოდ დაშკვიდრდა ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის ძირითად ფონდში. ცხადია, ამ წერილის ფარგლებში ჩვენ მიზნადაც კი ვერ დავისახავდით ისეთ განუხორციელებელ ამოცანას, რომ მოგვეცა ომის წლების ჩვენი იშვიათად მდიდარი პოეტური ცხოვრების სრული დახასიათება, თუნდაც ზუსტი აღნუსხვა ამ პერიოდში გამოქვეყნებული უხვი და მრავალფეროვანი პოეტური მასალისა.

და მაინც არ შეიძლება მთელს ამ მრავალფეროვნებაში არ გამოვყოთ ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი აღიარებული ფუძემდებლის გიორგი ქუჩიშვილის ლექსები, რომლებშიც წრფელად და აღმფრთოვანებლად გაისმოდა ყოველი საბჭოთა პატრიოტის ვაჟკაციური გულისძგერა, მისი დაუოკებელი წყურვილი მიეძღვნა სამშობლოსათვის, ჩვენი წმინდა და სამართლიანი საბრძოლო საქმის გამარჯვებისათვის თავისი ფიზიკური და სულიერი ენერჯის მთელი სიმდიდრე და სიცოცხლეც კი:

ღღეს მეც მინდა ჩავიცვა
არმიელის ფარაჯა,
მინდა ფრონტს ვამსახურო
აზრითა და მკლავიცა;

მინდა ვიყო დარაჯად
ჩვენი ქვეყნის მთა-ველის
და გულ-მკერდით დავიცვა
მისი ყველა მტკაველი.

თავისი ვაჟკაციური თავგანწირულების, სიკვდილისადმი ზიზღისა და ქედუხრელი უშიშროების ამაღლებულ გრძნობათა საგალობელი მოესმოდა ყოველ საბჭოთა მეომარს სამოქალაქო ლირიკის უზადო ხელოვნებით აღბეჭდილ სტრიქონებში გ. ქუჩიშვილის ლექსისა — „მოლაშქრე პოეტის ფიცია“:

და ვფიცავ, ძებო,
რომ ბრძოლის ველზე
თუ გავიგმირე,
პირზე ღიმილით
დავკოცნი მიწას!

ჩვენი სამშობლოსა და კაცობრიობის უბოროტეს მტრებთან ბრძოლაში ვაუკაცური სიკვდილი მარადიული სიცოცხლისა და უკვდავების უმაღლეს გამოვლინებად მიაჩნდათ საბჭოთა მებრძოლებს. ეს დიდი სახალხო რწმენა ღრმად გააზრებული და იშვიათად მაღალი ოსტატობით შესრულებული პოეტური სახეების ენითაა გამოთქმული დავით გაჩეჩილაძის ლექსში „ძახილი უკვდავებისა“, რომელიც ომის-დროინდელი ქართული პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებას წარმოადგენს.

დიდი სამამულო ომის წლებში ქართული პოეზიის სარბიელზე გამოვიდა ახალგაზრდა პოეტთა მთელი თაობა, რომელთაც პირველი შემოქმედებითი წრთობა ჩვენი სამშობლოს ისტორიის უაღრესად მძაფრსა და მღელვარე გარემოცვაში განიცადეს. არ შეიძლებოდა ამ გარემოებას თავისებური ზეგავლენა არ მოეხდინა მათს პოეტურ ბიოგრაფიაზე. ამ ააობას ეკუთვნიან: ალექო შენგელია, ხუტა ბერულავა, მურმან ლებანიძე, ოთარ ქელიძე, შალვა ამისულაშვილი, ვახტანგ გორგანელი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, თითოეულმა მათგანმა მომდევნო წლებში საკუთარი თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა ქართული პოეზიის მოწინავე ხაზზე, ყოველ მათგანს სხვადასხვაგვარი, თავისი ნიჭიერებისა და ესთეტიკური მრწამსის შესაბამისი როლი დაეკისრა ჩვენი ეროვნული პოეტური ხელოვნების განვითარებაში. ისინი დღემდე ეწევიან დაუცხრომელი ძიებებით, მიგნებებითა და ახალი მისწრაფებებით აღსავსე შემოქმედებითი ცხოვრების მძიმე და კეთილშობილურ ტვირთს.

უნდა აღინიშნოს, რომ ხუტა ბერულავამ უკვე ადრეული სიკვამლის წლებში დაწერა სამშობლოს გმირი დამცველების ვაუკაცურ საქმეთა სადიდებელი რამდენიმე ლექსი, რომელთაც იმთავითვე გარკვეული პოპულარობა მოიხვეჭეს.

განსაკუთრებული სიმძაფრით და ამაღელვებელი სიწრფელით ეღერდა და ასეთსავე ეღერას შეინარჩუნებს სამუდამოდ ახალგაზრდა ფრონტელი პოეტების ლექსები, იმ პოეტებისა, რომლებმაც არა მარტო თავიანთი მაღალი შთაგონება და შექველი ნიჭიერება, არამედ ჰაბუკური სიცოცხლეც კი უწყაყმანოდ და დაუნდობლად შესწირეს სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების საქმეს. ერთმა მათგანმა, მაღალნიჭიერმა პოეტმა მირზა გელოვანმა, რომელმაც ღირსეულად ასახელა ქართველი ხალხის საუკუნოვანი საბრძოლო პატრიოტული ტრადიციები და გმირობის შარავანდელით შემოსილმა განისვენა მოძმე ბელორუსიის მიწაზე, ჯერ კიდევ სამამულო ომის ქარიშხლის ამოტყდომამდე შეჰფიცა დედა-სამშობლოს:

ქართლის მიწავ, უტკბილესო,
საუვარელო ქართლის მიწავ.

ჩვენს ცხრათვალა დიად მზეს და
ჩვენს ალისფერ დროშას ვფიცავ!

...თუ ოდესმე, როგორც ძველად,
ამ ცას ვინმე შეგვეცილოს...
წმინდა ვალის მოსახდელად
უყოყმანოდ შევეწირო.

ახალგაზრდა პოეტისათვის არ შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე უფრო დიდი შემოქმედებითი სიხარული და წარმატება, ვიდრე ის, რომ ამ შესანიშნავი სტრიქონების გამოძახილი გაისმა ჩვენი საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის ვალაკტიონ ტაბიძის დიდებულ ქმნილებაში „მშობლიურ ჩემო მიწავ“.

ღრმა სულიერი ნათესავობით უკავშირდება მირზა გელოვანის პოეზიას ასევე ბრძოლის ველზე გამირულად დაღუპული მისი თანატოლი და თანამოკალმე სევერიან ისიანი. ფრონტზე წასვლის წინ დაწერილი მძაფრი დრამატიზმით და ვაეკატური ლირიზმით აღბეჭდილი მისი ლექსი „ნახვამდის!“ მუდამ დაამშვენებს ჩვენი დროის ქართული პოეზიის ყოველგვარ ანთოლოგიას.

ცაში ცეცხლია ლაქვარდის ნაცვლად
და ყუმბარებით მთები იძვრიან.
ო, არა. კალმის და წიგნის კაცად
მე დღეს დარჩენა არ შემიძლია, —

წერდა პოეტი და არც დარჩენილა იგი მარტოოდენ წიგნისა და კალმის მსახურად. იარაღსხმული გაემართა იგი ბრძოლის ველზე მტრისადმი მგზნებარე სიძულელით და მებრძოლი შემართებით შთაგონებული:

ვფიცავ, შავ სიკვდილს თვალში ჩაეხედავ,
საზიზღარ მტერზე ხიშტშემართული,
მე ასე მზრდიდა სამშობლო-დედა,
მე ასე მზრდიდა მიწა ქართული.

და იგი კეთილშობილურ ანდერძად უბარებდა „შინ დარჩენილებს“:

თუ მტერმა დამცეს ხმაღაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად, —
რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება...

პოეტის ამ ბრძნულ აფორისტულ გამოთქმას ათასები იმეორებდნენ სანუგეშოდ და სასოების მომგვრელად ომის მრისხანე წლებში.

არაერთი ამგვარივე მკაფიო მაგალითის მოტანა შეიძლებოდა აგრეთვე ომში დაღუპული სხვა დაუვიწყარი ახალგაზრდა ქართველი

პოეტების — გიორგი ნაფეტვარიძის, ვლადიმერ უბილავეს, სანდრო ყლენტის, ვაჟიკა ფხოველის, ნიკოლოზ კოპალიანის, დავით პაპიტაშვილის ლექსებიდან. მათი სახელოვანი მოქალაქეობრივი ბიოგრაფია ამშვენებს და ამაღლებს მშობლიური ლიტერატურის საგანძურში მათ მიერ დატოვებულ კეთილშობილურ კვალს.

იმ ღრმა ძვრებმა, რომლებიც ომის პარიოდის დრამატიზმით აღსავსე ვითარებამ გამოიწვია საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროში, იმ წლების საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა უჩვეულო გაქანებამ და გრანდიოზულმა მასშტაბებმა, ყოველს დამძლევი შეძარბისა და გამძლეობის წრთობამ და განმტკიცებამ ხალხის ხასიათში, ბუნებრივად წარმოშვა ჩვენს ლიტერატურაში ქართული კლასიკური პოეზიის დიდი ეპიკური ტრადიციების აღორძინებისადმი მისწრაფება, განზრახვა და სურვილი დროების ტიტანური კონფლიქტების აღბეჭდვისა ფართო პოეტურ ტილოებზე.

ამ უნარის ნაწარმოებთა შორის არა მარტო სამამულო ომის წლების, არამედ მთელს საბჭოთა პოეზიაში იდეურ-თემატიკური ჩანაფიქრისა და მხატვრული შესრულების სრულფასოვნებით გამოირჩევა გრიგოლ აბაშიძის პოემები „გიორგი მეექვსე“ და „ძლევის ქელი“. თანამედროვე ლირიკული პოეზიის ამ ერთ-ერთმა საუკეთესო ოსტატმა ომის წლებში დაწერილი დასახელებული პოემებით ძვირფასი წვლილი შეიტანა ჩვენი ლიტერატურის უანრობრივი დიპაზონის გაფართოებისა და კერძოდ ჩვენი დროის ქართულ მწერლობაში პოეტური ეპოსის აღორძინებისა და დამკვიდრების საქმეში. ამ მხრივ გრიგოლ აბაშიძის დამსახურება სავსებით განსაკუთრებულია მშობლიური ლიტერატურის წინაშე. „გიორგი მეექვსეში“ პოეტმა ცხოვლად და მეტყველად წარმოსახა ერთ-ერთი ამაღლევებელი ისტორიული ეპიზოდი ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლისა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, მშობლიური მიწა-წყლიდან საძულველ უცხოელ დამპყრობელთა განდევნისათვის.

ამ ნაწარმოებში პირველად იჩინა თავი გრ. აბაშიძის იშვიათმა ნიჭიერებამ მხატვრული მომთხონელობისა და აღწერილობის სფეროში, რთული, დამაინტერესებელი სიუჟეტის შეთხზვის ოსტატობამ, მწყობრად გამოკვეთილი კომპოზიციის ხელოვნებამ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატალური სცენების იშვიათი მხატვრობა. აი თუნდაც ერთი მაგალითი პოეტის მხატვრული მიღწევისა ამ სფეროში:

მეფე მხეცქმნილი გლჯდა ვეფხურად,
ჩეხდა კისკასად, სცემდა ფიცხლო,
სისხლი ეცვა და სისხლი ეხურა,
ცხენიც მტრის სისხლით ჰყავდა წითელი.

მეხვიით ტეხდა მისი მახვილი,
ჭარიზხალივით ჰქროდა ხმლიანი,
ჯარს ამხნევებდა მისი ძახილი
და სეფე დროშა გორგასლიანი.

და ასეთსავე მიჯნებს მხატვრული სრულფასოვნებისა აღწევს პოეტი ადამიანის სულიერი ცხოვრების უღრმეს შრეებში წვედომისას პოემის გმირთა პირად-ინტიმური სატრფიალო ურთიერთობის ისტორიის გადმოსაცემად.

პოემის იდეურ-მხატვრული კონცეფცია განსახიერებულია ავტორის ფანტაზიით წარმოდგენილ გადაძახილში ერთმანეთისაგან საუუნეებით დაშორებულ თაობათა ადამიანებისა. უკვდავი საგმირო საქმეებით ღვაწლმოსილი შორეული წინაპრები მოუწოდებდნენ სამამულლო ომის ფრონტებზე მებრძოლ შთამომავლობას:

ჩვენებრ გმრობას გთხოვთ საქართველო,
ამაზე დიდი არის დიდება?
მტერმა სამშობლო რომ გადათელოს,
საფლავში ფერფლიც აგვიტირდება.

თუ „გიორგი მეექვსეში“ პოეტი შორეული ისტორიული მასალის ახლებური გააზრებით გამოენამაურა დიდი სამამულლო ომის უკვდავ ეპოპეას, „ძღვევის ქედში“ მან უკვე უშუალოდ წარმოსახა ის დაუვიწყარი, მრისხანე დღეები, როცა:

ორი მდინარე ჰქუხდა ზღაპრული,
და ქვეყნის ბედი წყდებოდა ორგან,
მთელი მსოფლიო სულგანაბული
მისჩერებოდა თერგსა და ვოლგას.

ამ ნაწარმოებში პოეტი კიდევ უფრო მეტის ძალით და სიღრმით ეუფლება ეპოსის პოეტიკის ნიშან-თვისებებს, როგორცაა მომთხოვნელობისა და მხატვრული აღწერილობის ოსტატობა, ადამიანურ ხასიათთა გამოძერწვის ხელოვნება. საკმარისია გავიხსენოთ რამდენიმე სტრიქონი, რომლებშიც აღბეჭდილია კავკასიონის კალთებთან გაჩაღებული ორთაბრძოლის საოცრად დინამიკური სურათი:

აღარც მთა არის, აღარც ხევია
მშვიდად, ზეცამაც იწყო ზანზარი,
თეთრ მთებს ბარიდან დაჯახებია
ლითონის ზგავი უზარმაზარი.

დაჯახებია, კლდედ დახვედრია
კავკასიონი მხნე და მალალი,
ისევ ამოიარა. რუმც იმა თ ირია,

ისევ აღსნამს ჰარმავს ფარ-ხმალი.
და ვით ჩვენება ძველთა ხევსურთა,

გამაპოვებელი ორად ურჩხელის,
კავკასიონი ცეცხლში შეტურდა
შუბლაწედილი და ფარდაბლუჯელი.

დავეუკვირდეთ ამ სტრიქონების მეტაფორულ სიმდიდრეს, მოულოდნელ, თითქოს უცნაურს, მაგრამ აბსოლუტურად ზუსტ შედარებებს, ლექსის გაუბზარავ მუსიკალურ წყობას, რითმების სიახლეს და კეთილზმონიანებას — ყველაფერში ჩანს თანამედროვე პოეტური კულტურის კემპარიტად მაღალი სკოლა.

სიმონ ჩიქოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ მთელი ქართული საბჭოთა ლიტერატურის, მისი მთელი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევა და მონაპოვარია. ომის პირველსავე პერიოდში ს. ჩიქოვანმა გამოაქვეყნა ლექსების წიგნი „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“, რომელშიც პოეტური ფერწერის იშვიათი ოსტატობით არის დახატული სამშობლოს სახელოვან დამცველთა მეტყველი პოეტური პორტრეტები, გაცოცხლებულია ჩვენი ხალხის გმირული ისტორიის ამაღლებელი ეპიზოდები და განსახიერებულია თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური აზრები და განწყობილებანი. ამჯევე ხანებში შექმნა ს. ჩიქოვანმა თავისი საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „ვინა თქვა“, რომელიც დამსახურებულად არის მიჩნეული საბჭოთა პატრიოტული კლასიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად, მაგრამ პოეტის ყველაზე დიდი შემოქმედებითი წარმატება, მისი უძვირფასესი წვლილი მშობლიური ლიტერატურის საგანძურში, კერძოდ კი ომის პერიოდის ქართულ და მთელ ჩვენს მრავალეროვნულ პოეზიაში არის სწორედ პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“.

თავისი მუსიკალური ნახატი და ლექსიკურ-სინტაქსური ქსოვილით პოემა ღრმად ეთანხმონება დავით გურამიშვილის მეტყველების ბუნებას და ესეც უაღრესად ეფექტური საშუალებაა იმისათვის, რომ გაცოცხლებულად ვხედავდეთ და ვუსმენდეთ ჩვენს დიდებულ წინაპარს დავით გურამიშვილს, რომლის ცხოვრების იშვიათად რთულსა და მღელვარე თავგადასავალს, ასევე იშვიათად მდიდარ სააზროვნო და შემოქმედებით სამყაროს გვიხატავს ს. ჩიქოვანი ამ ნაწარმოებში.

დ. გურამიშვილი პოემაში წარმოდგენილია, როგორც ნათელმოსილი წინაპარი და წინამორბედი ჩვენი სამშობლოს ხალხთა საბრძოლო ერთსულოვნებისა, კერძოდ, ქართველი ხალხის საუკუნოვანი განუყოფელი ძმობისა და მეგობრობისა დიდ რუს და უკრაინელ ხალხებთან. გურამიშვილის პოეზიაში შერწყმული და ერთიან პანჯად გაერთიანებულია სამი სმა — რუსული, უკრაინული და ქართული. პოეტური და სასიმღერო ფილკლორის კილოთა ასეთი პარმონია პოემაში სწორედ

ამ ძმობისა და ერთიანობის ხორცშესხმულ გამოხატულებად არის წარმოდგენილი.

თავისი დიდი წინაპრის სახელოვან საბრძოლო და შემოქმედებითს ბიოგრაფიაში თანამედროვე პოეტისათვის ყველაზე ძვირფასი ის არის, რომ მან --- დავით გურამიშვილმა, თავის ბნელსა და სასტიკ საუკუნეში:

ხმები ანთო მშობლიურ ლერწმით,
შესლო ტკივილის სხევეარი თხრობა
და სამი ხალხის სიმღერის შერწყმით
სთქვა მეგობრობის პირველი გრძობა.

აი, სწორედ ამ მეგობრობის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის უწმინდესი გრძობის შთაგონებულ ჰიმნს წარმოადგენს ს. ჩიქოვანის პოემა და სწორედ ამით აიხსნებოდა შორეული წარსულის მასალაზე აგებული ამ ნაწარმოების განსაკუთრებული აქტუალობა იმ ვითარებაში, როცა სამამულლო ომის ფრონტებზე სწორედ ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი ძმობა და საბრძოლო თანამეგობრობა წყვეტდა ჩვენი ქვეყნის ბედს — სქედდა ჩვენს დიად გამარჯვებას. იმ მგზნებარე დღეებში, როცა დევგმირი რუსი ხალხის მეთაურობით საბჭოთა ხალხების ერთიანი ოჯახი თავგანწირულად იგერიებდა მიხაკისფერ ურჩხულს, რუსი ხალხისადმი განუზომელი მადლიერებისა და სიყვარულის საგალობლად გაისმა ს. ჩიქოვანის სიტყვები, მიმართული დავით გურამიშვილისადმი:

იგი გათბობდა ავდარში,
ის გიგრილებდა სიცხეში,
ის გამღერებდა ზამთარში,
უდაბნოში და ციხეში.

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის დიდი შემოქმედებითი გამოცდილება, ისტორიული წარსულის მოვლენათა გაცოცხლებულად წარმოსახვისა და ჩვენი ხალხის საბრძოლო იდეალებისა და სასიცოცხლო ინტერესების თვალსაზრისით მათი გაშუქების სფეროში, ცხოველყოფელი ძალით გამოვლინდა ს. ჩიქოვანის ამ პოემაში.

ამ მხრივ ომისდროინდელმა ქართულმა მწერლობამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ მხატვრულ პროზასა და დრამატურგიაში. ჩვენმა პროზაიკოსებმა და დრამატურგებმა შექმნეს ფართო პლანის მხატვრული ტილოები, რომლებიც ომის ქარცეცხლში გახვეულ ხალხს თვალწინ უყენებდნენ წინაპართა პატრიოტული თავგანწირულების, გმირობისა და ვაჟკაცობის უკვდავ მაგალითებს, ჩვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საამაყო ტრადიციების მომასწავებელ მკაფიო ეპიზოდებს. ასეთი წიგნები და პიესები აძლიერებდნენ ხალხის ეროვნული სიამაყის კანონიერ გრძობას, აღვივებდნენ საბრძოლო აღფრთოვანებას, უშიშროებისა და ქედუხრელობის

სულისკვეთებას და დიდ სამსახურს უწევდნენ ფრონტისა თუ ზურგის სულიერი შეიარაღების საქმეს.

ისტორიული ჟანრის ასეთ ნაწარმოებთა შორის, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, რომელიც დღემდე რჩება არა მარტო ქართული, არამედ მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ისტორიული რომანტიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად. ჩვენი სამშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტ ურთულეს საბედისწერო ვითარებაში მწერალმა თვ:ლწინ გადაგვიშალა ძველი საქართველოს ისტორიული ცხოვრების დიდებული სურათი, გვიჩვენა, თუ როგორი სისწრაფითა და ძლევამოსილებით იკრებდა ფიზიკურ ძალ-ღონესა და ენერგიას უცხოელ დამპყრობთა ხანგრძლივი ბატონობისაგან, მძვინვარე ფეოდალთა ვერაგული განდგომილებისაგან, სტიქიურ უბედურებათა შედეგად იავაქმნილი საქართველო, როგორი თავგანწირულებით იბრძოდა ხალხი მშობლიური მიწა-წყლის სრული განთავისუფლებისათვის, სამშობლოს გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის, სოციალური პროგრესისათვის, ქვეყნის ზნეობრივი და გონებრივი ამაღლებისათვის.

რომანში ცხოვრობს და მოქმედებს დიდი მწერლის ნაწრთობი კალმით ცოცხლად გამოკვეთილი ადამიანური სახეების უმდიდრესი გალერეა, სახეებისა, რომლებიც ფართო განზოგადებით წარმოადგენენ იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის ყველა სოციალურ ძალას და მაშინდელ საქართველოსთან ასეთ თუ ისეთ ურთიერთობაში მყოფი ქვეყნებისა და ხალხების მთელ ნაირფერობას. ამ მრავალრიცხოვანი და მრავალსახოვანი ადამიანური მასის ცენტრში კი დგას მონუმენტური სახე დავით აღმაშენებლისა, საქართველოს ბრძენი და უდრეკი მეფისა, რომელიც ღირსეულად მესვეურობს თავისი ხალხის ტიტანურ გამათავისუფლებელ და ამაღორძინებელ ბრძოლას და ღვაწლს.

35 წელიწადი მეთაურობდა თავისი საუკუნის მსოფლიოს ეს ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და ჰქვიანი მონარქი, ბრძენი სტრატეგი და უშიშარი მხედართმთავარი დაუცხრომელ ბრძოლას თბილისისა და საქართველოს მთელი მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის, ქვეყნის აშენებისათვის, განდგომილ ფეოდალთა დათრგუნვისათვის. ამ უდრეკი შემართების უკომპრომისო ბრძოლის ატმოსფერო სუფევს რომანში და სწორედ ამით ეხმაურება ან. თვით მწერლისავე გამოთქმით რომ ვთქვათ, „ეკორესპონდირება“ ეს დიდი წიგნი სამამულო ომის ქარიშხლიანი დღეების ვითარებას და სულისკვეთებას.

საქართველოს ისტორიის მეორე დიდი გმირი — ერეკლე მეორე დააყენა აკაკი ბელიაშვილმა თავისი ისტორიული რომანის ცენტრში. მართალია, რომანის სათაური „ცხოვრება ბესარიონ გაბაშვილისა“ თითქოს იმას გულისხმობს, რომ მწერალი უპირატესად პოეტ ბესიკის საკ-

მაოდ რთულსა და საყურადღებო სახელმწიფოებრივი, სატრფიალო თუ საბრძოლო ცხოვრების ისტორიას მოგვითხრობს, მაგრამ არსებითად ამ ნაწარმოების მთავარი თემა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს უკიდურესად მძიმე და მრავალმხრივად "შევიწროებული ცხოვრებაა და ის თითქმის ზეადამიანურად გმირული და რაინდული ბრძოლა. რომელსაც ამ პერიოდში ქართველი ხალხი ეწეოდა თავისი საქვეყნოდ სახელგანთქმული გამპრიაღი სახელმწიფო მოღვაწისა და ძლევაშისილი სარდლის ერეკლე მეორის მეთაურობით. მიჰზიდველმა, მძაფრად დრ.მატიზებულმა სიუჟეტმა, მწყობრ კალაპოტში განვითარებულმა კომპოზიციამ, სრსხლხორციით სავსე ადამიანური სახეების გამოჲრწვის ნიჰიერებამ ერთბაშად მოუპოვა ამ ნაწარმოებს ნამდვილი სახალხო აღიარება და პოპულარობა. ამ წიგნის ღრმად აქტუალური ჯღერა სამამულო ომის დღეებში დიდად იყო განპირობებული იმ გარემოებით, რომ ნაწარმოების ძირითად "შთამავგონებელ" ძალას წარმოადგენს რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამშრომლობის, მათი სახელმწიფოებრივი დაკავშირებისა და მარადული მეგობრობის იდეა, რომლის განსორციელებაც უშუალოდ დაუკავშირდა ერეკლე მეორის სახელს.

ომის წლების ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას და მონაპოვარს წარმოადგენს ალექსანდრე ჭუთათელის მრავალტომიანი რომან-ეპოპეა „პირისპირის“ მესამე წიგნი. ეს ნაწარმოები დღემდე რჩება ჩვენი ეროვნული მწერლობის საუკეთესო ქმნილებად სამოქალაქო ომის თემაზე. იმ ძლევაშისილი და თავდადებული კლასობრივი ბრძოლების თემაზე, რომელთა "შედგებაც ქართულმა ხალხმა დაამხო მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილება, ნენშევიკური რეჟიმი და საქართველოში სოციალისტური წყობილება დაამკვიდრა. რომანის მესამე წიგნში, რომელიც სამამულო ომის წლებში იწერებოდა, ეპოქის დიდი სოციალური კოლიზიები უპირატესად ინტელიგენციის წრეშია გადატანილი, აქ კიდევ უფრო დამარწმუნებლად, ჯიდრე ეპოპეის წინა ტომებში, ნაჩვენებია ნაწარმოების მთავარი გმირის კორნელი მხეიძის იდეური ევოლუცია, მისი საბოლოო დაახლოება და დაკავშირება მშრომელი ხალხის პოლიტიკურ ავანგარდთან — კომუნისტურ პარტიასთან.

ამ რომანის სოციალური სიმძაფრე ორგანულად შეესაბამებოდა იარაღასხმული და თავდადებულად მებრძოლი საბჭოთა ხალხის სულისკვეთებას, რადგან დიდი სამამულო ომი ამავე დროს იყო კლასობრივი ომიც, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების, იდეოლოგიის, მსოფლმხედველობის სამკედრო-სასრცოცსლო შეჯახებაც. ამ ომში საბჭოთა ხალხი საერთაშორისო იმ-

პერიალისტური რეაქციის ყველაზე ბნელი და აგრესიული ძალების თავდასხმისაგან იცავდა ოქტომბრის დიად მონაპოვარს — მსოფლიოს პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს.

ომის მგზნებარე დღეებში მთელი ჩვენი ხალხის საბრძოლო პატრიოტულ შემართებას ცხოვლად ეხმარებოდა თავისი სასიკვდილო სარეცელიდან ჩვენი საუკუნის დიდი ქართველი ბელეტრისტი ნიკო ლორთქიფანიძე. ისტორიული შინაარსის მისი მოთხრობები — „ქედუხრელი“ და „ტყეფეფოფილის დაბრუნება“, რომლებმაც შეადგინეს სიტყვის ამ შესანიშნავი ხელოვანის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ღირსეული აპოთეოზი. ღრმა კმაყოფილებით მიიღეს მკითხველთა ფართო წრეებმა, რადგან მათში საბედისწერო განსაცდელს წინაშე, ჩვენი ქვეყნის ქედუხრელობის შორეული ფესვები და სათავეები დაინახეს.

როგორც ვხედავთ, ომისდროინდელ ქართულ მხატვრულ პროზაში დიდი ხეიღრითი წონა მოიპოვა ისტორიულმა თემატიკამ. მაგრამ ამ გარემოებას ოდნავდაც არ შეუწელებია ამ წლების ჩვენი ლიტერატურის ღრმა აქტუალობა და თანამედროვე ელერა. ეს იმიტომ, რომ ისტორიული ჟანრის ყველა ამ რომანსა თუ მოთხრობაში შორეული წარსულის მასალაც სწორედ თანამედროვეობის თვალთახედვით იყო გაშუქებული და გააზრებული.

პარალელურად დაიწერა საკუთრივ ომისდროინდელი ვითარების ფრონტისა თუ ზურგის საომარი ცხოვრების ამსახველი მრავალი ბელეტრისტული ნაწარმოები. როგორც არ დარჩენილა არც ერთი ქართველი პოეტი, რომელიც თავისი ნიჭიერებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობის შესაბამისად არ გამოხმაურებოდეს სამამულო ომის ეპოპეას, ისევე არ დარჩენილა მხატვრული პროზის ოსტატი, რომელსაც თავისი შემოქმედებით ვალი არ მოეხადოს ამ შთამავგონებელი თემის წინაშე. დაიწერა მრავალი მოთხრობა, ნოველა, რამდენიმე რომანიც კი. უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი სცოდავდა ცხოვრებისეული სიმართლისა და, მაშასადამე, მხატვრული სიმართლის თვალსაზრისით. ასეთი ხაიათის შემოქმედებითი მარცხი ისეთ შემთხვევაში იჩენდა ხოლმე თავს, როცა მწერალი არ იცნობდა გამოხატულების საკნად არჩეულ მასალას და მხოლოდ საკუთარი გამომგონებლობის უნარს ემყარებოდა. სწორედ ამ ნიღაგზე წარმოიშვა უსიცოცხლო სქემები, სტანდარტული სიუჟეტური მოტივები. მაგრამ ომის მღელვარე წლებმა ჩვენი ლიტერატურა გაამდიდრეს არაერთი ისეთი ბელეტრისტული ქმნილებითაც, რომლებიც არასოდეს დაკარგავენ თვალსაჩინო იდეურ-ესთეტიკურ ღირებულებას ჩვენი საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში.

თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა ორი შესანიშნავი ნოველა, რომელთაც ერთბაშად მიიღყრეს მკითხველთა ფართო წრეების ყურადღება

თავიანთი იდეური სიღრმით, აქტუალობითა და მხატვრული სრულფასოვნებით. ესენი იყო ლეო ქიაჩელის „მამა და შვილი“ და კონსტანტინე ლორთქიფანიძის „როგორ მოკვდა მოხუცი მეზღურა“. იშვიათი შთამაგონებელი ძალით, გონებამახვილურად მოფიქრებული სიუჟეტისა და ცოცხლად გამოკვეთილი ადამიანური სახეების მეშვეობით არის განსახიფრებული ლეო ქიაჩელის დასახელებულ ნოველაში საბჭოთა ხალხის ყველა თაობის სისხლბორცეული მთლიანობა და ერთსულოვნება თავისი წმინდა და სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში. მოხუც მთიელს ბათაყვას, საქვეყნოდ სახელგანთქმულ ვაჟაკს, რომელიც 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში მონაწილეობდა და გლეხთა აჯანყებებს მეთაურობდა, რაინდული უშიშროებისა და თავისუფლებისმოყვარეობის სულისკვეთებით აღუზრდია თავისი ვაჟი ჯეგე. ბრძოლის ველზე წასული ახალგაზრდა ლეიტენანტისათვის მამას საბრძოლო გზის დალოცვასთან ერთად სასიკვდილო საფრთხის წინაშე უშიშროება და შეუდრეკელობა შთაუწერგავს. მამის ეს შთაგონება განუხრებლად თან ახლდა ჭკვიან და უშიშარ არტილერისტს. და ერთხელ, როცა მტრის მრავალრიცხოვან ძალებთან უშუალოდ შეტაკებისას ჯეგეს რეალურად დაემუქრა სასიკვდილო საფრთხე და თითქოს გადარჩენის აღარავითარი იმედი აღარ ჩანდა, მას მოეჩვენა, თითქოს მამა გვერდით ამოუდგა და თავისი ვეებერთელა სხეულით გადაეფარა განწირულ მეზღურას. ამ მოჩვენებამ ერთბაშად მხნეობა და გამძლეობა შთაბერა ლეიტენანტს, ფეხზე წამოაყენა იგი, გამარჯვება მოაპოვებინა და გმირის სახელი მოახვეჭინა. „მამა სად არის? ეს იყო, რომ მომეშველა! მე კი არა, მამამ გაიმარჯვა“, — ეუბნება მძიმედ დაჭრილი, ჯერ კიდევ ბურუსში გახვეული ჯეგე ფრონტელ თანამებრძოლებს. ასე განასახიერა მწერალმა მცირე მოცულობის ამ მხატვრულ ქმნილებაში ის დიდი ჭეშმარიტება, რომ მთელი ჩვენი ხალხი, მისი ყველა თაობა, მთელი სამშობლო ედგა გვერდით მამაც საბჭოთა მეზღურებს და უმსუბუქებდა მათ უმძიმესი განსაცდელის სიმწვავეს. სწორედ ჭეყენის ასეთი ერთსულოვნება, ფრონტის და ზურგის ამგვარი განუყოფელი ერთიანობა წარმოადგენდა ჩვენი გამარჯვების უპირველეს საწინდარსა და წყაროს.

მოხუცი მთიელი გლეხი, მონადირეობითა და ცხენოსნობით განთქმული ვაჟაკი და მისი ვაჟი — საბჭოთა ფრონტის მეომარი ჭაბუკი დააყენა ლეო ქიაჩელმა აგრეთვე თავისი რომანის „მთის კაცის“ მრავალრიცხოვან პერსონაჟთა გალერეის ცენტრში. ეს წიგნი სამამულლო ომის წლების საქართველოს ცხოვრების ამსახველი საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ მხატვრულ პროზაში. იგი ღირსეულად აგვირგვინებს ჩვენი დროის გამოჩენილი რეალისტი მწერლის იმ სახელოვან შემოქმედებით გზას, რომელსაც ამჟღავნებენ „ტარიელ გოლუა“,

„გვადი ბიგვა“, „ალმაზგირ კიბულან“, „ჰაკი აძბა“, „თავადის ქალი მათა“.

„მთის კაცში“ მოთხრობილია მთიანი აფხაზეთის ერთი პატარა სოფლის სოუს ცხოვრება სამამულო ომის წლებში და მოთხრობილია იმგვარად, რომ ამ პატარა სოფლის და მისი ადამიანების საბრძოლო თავგადასავლის მეშვეობით მწერალმა თვალწინ გადაგვიშალა მთელი ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი საომარი ცხოვრების, დიდი სამამულო ომის მიმდინარეობის საოცრად მეტყველი, პირუთენელი, ცხოვრებისეული ქვეყნობით და უკომპრომისო მხატვრული სიმართლით დახატული სურათი. სწორედ ამაში, ასეთი ფართო განზოგადების ოსტატობაში მდგომარეობს ლეო ქიაჩელის მხატვრული სტილის ერთ-ერთი თავისებურება. მას არ დაუწერია ფართო პანორამული პლანის, ეპოპეის ჟანრის ვრცელი ტილოები, არც ერთ თავის მთავარ ნაწარმოებში არ მოუცავს მთელი ქვეყნის ცხოვრების, მთელი ეპოქის ვითარების სრულად და ყოველმხრივად დამახასიათებელი თემატური მასალა. „ტარიელ გოლუაშიც“, „გვადი ბიგვაშიც“ უპირატესად ერთი სოფლის, ერთი ოჯახის ცხოვრების ისტორიაა მოთხრობილი. მაგრამ მასში მთელი ეპოქის სული, მთელი ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პროცესებია წარმოსახული. მწერლის ნიჭიერებისა და მხატვრული მანერის ეს თავისებურებაა განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოვლენილი „მთის კაცშიც“. კავკასიის დაცვისათვის მრისხანე ბრძოლების დღეებში სოფელი სოუ თავისი განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობის გამო ფაშისტ დამპყრობთა ურდოების ყურადღების ცენტრში მოექცა. მტერი ისწრაფვის დაიპყროს ეს პატარა სოფელი, რადგან აქედან მას გზა ეხსნება სოხუმისაკენ, შემდეგ კი მთელი საქართველოსაკენ, მთელი ამიერკავკასიისაკენ, გააფთრებული ბრძოლები იმართება ამ სოფლის მისადგომებთან. მკითხველის თვალწინ გაივლის დიდი მხატვრული სიზუსტით დახატული სურათები ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ცხოვრებისა, ომისწინა დღეების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა ჩვენი ხალხისა, რომლის ცნობიერებაში გამუდმებულად ღვიოდა მტრულ რეაქციულ სამყაროსთან მოსალოდნელი შეჭახების წინათგარძნობა, მისაკისფერი ურჩხულის მოულოდნელი და ვერაგული თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე. პარტიის პირველსავე მოწოდებაზე მთელი ჩვენი სამშობლოს დაუყოვნებლივი გარდაქმნა ერთიან საომარ ბანაკად, მტრის მოქმედების მიძიმე, საბედისწერო შედეგები, ფრონტისა და ზურგის, არმიისა და ხალხის განუყოფელი ერთიანობა, ერთობლივი ბრძოლა. ომის მსვლელობაში მიღწეული თანდათანობით მზარდი გარდატეხა და ბოლოს მტრის უკუქცევა და სრული განადგურება. ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვება, აურაცხელი მსხვერპლის სიწხლისა და ცრემლის საფასურით.

ყოველივე ეს ქვეყნობითი რეალისტური ხელოვნების ენით არის

მოთხრობილი და დახატული „მთის კაცში“. მთიანი აფხაზეთის ტყეში დაჭრილი რუსი ჯარისკაცის სიკვდილის ამალეღვებელი ეპიზოდი დაუეწყარი ვალით განასახიერებს საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალურ სულისკვეთებას, საბჭოთა ხალხების გაუბზარავ ძმობას და თანამეგობრობას, რამაც ახალი საბრძოლო წრთობა განიცადა სამამულო ომის თვალუწვდენელი ფრონტის ყოველ უბანზე.

ამ წიგნის მთავარი გმირის — ბათუ ქარდუას სახე ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი შემოქმედებითი წარმატებაა. მთის კაცის აზრებსა და საქმეებში, მის განცდებსა და გრძნობებში, მის ყოველ ქცევაში ხორცშესხმულია ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათის და საერთოდ საბჭოთა ადამიანის ხასიათის ამალეღვებული ნიშან-თვისებანი. რად ღირს მარტო ის ეპიზოდი, როცა კავკასიონის უღელტეხილზე მტრებთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილ მოხუცს მოეჩვენება, თითქოს მის გადასარჩენად მისი ჯოტო მოფრენილიყოს. ბათუ ეხვეწება შვილს, რომ ჯერ სხვებს მიხედოს და მოუაროს — დაყრილ მეზობლებს, თანამებრძოლებს და უკვე შემდეგ, ბოლოს მიხედოს მამას, წაიყვანოს იგი მშობლიურ სოფელსა და დაში, სადაც მოხუცს დიდი ხანია ელოდება თავი. ი უზომოდ საყვარელი მეუღლე. ბათუს სჯერა, რომ მხოლოდ მშობლიური სოფლის ჰაერს და მიწის სუნთქვას შეუძლია განკურნოს იგი, მაცოცხლებელი ძალა შთაბეროს მის სულსა და სხეულს. რა ღრმა პატრიოტული აზრი და გრძნობაა ჩაქსოვილი მოხუცის ასეთ ფიქრში!

„როგორ მოკვდა მოხუცი მებრძოლი“ — ეს იყო პირველი ნოველა, რომლითაც დაიწყო კონსტანტინე ლორთქიფანიძის შთაგონებული შემოქმედებითი შრომა და ღვაწლი ჩვენი ხალხის გმირული საბრძოლო ცხოვრების წარმოსახვისათვის, სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებას დასაცავად მებრძოლ ეაყკათა ცოცხალი მხატვრული სახეების გამოძერწვისათვის. კ. ლორთქიფანიძემ სამი წელიწადი იცხოვრა ფრონტული ცხოვრებით. ეს დრო მან მოქმედი არმიის რეგებში გაატარა იცხლის მოწინავე ხაზზე, როგორც საფრონტო გაზეთების თანამშრომელმა, კავკასიის დაცვის უმძიმესი ოპერაციების დასწრემ და მონაწილემ. მან თავისი თვლით ნახა ომის მთელი სიმკაცრე და სისასტიკე, ფაშისტური ურდოების მთელი ვანდალური სიმხეცე და არაადამიანური უღმობელობა, საბჭოთა ადამიანების თავგანწირული პატრიოტული ქედუხრელობა, მათი მებრძოლი ჰუმანიზმი, მათი სულიერი ნშეენიერება და უძლეველობა. და ყოველივე ეს მხატვრული სიტყვის მაღალნიჭიერი ხელოვანის ოსტატობით გადმოსცა გულის სიღრმემდე შემძკრული მისი მართლაც და „უტყუარი მოთხრობების“ ვრცელ ციკლში, რომელიც მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის უკეთეს ქმნილებათა რიცხვს მიეკუთვნება სამამულო ომის თემაზე.

შეუძლებელია მკითხველის ცნობიერებაში ოდესმე დავიწყებას-მივცეს ან ოდნავ მაინც გაფერმკრთალდეს სიტყვიერი მხატვრობის იშვიათი, მართლაც რალაც ჯადოსნური ხელოვნებით დახატული სახე მოხუცი უკრაინელი გლეხისა, მებადურის ვასილ ჟოგასი, რომელმაც უყოყმანოდ და დაუზარებლად შეუშვირა საკუთარი მკერდი გაცოფებული ოკუპანტების ტყუილს იმისათვის, რომ გადაერჩინა საბჭოთა მშვერავის სიცოცხლე. იმ მშვერავისა, რომელსაც უაღრესად მნიშვნელოვანი ოპერაციული მასალა უნდა ჩაებარებინა საბჭოთა სარდლობისათვის. რაკეთილი, მხურვალე გული ძგერს, რა გაუტეხელი რაინდული სული ბობოქრობს საძულველი ოკუპანტების მიერ უზომოდ გატანჯული ამ მოხუცის გაძვალტყავებულ სხეულში! და რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მწერლის უსაზღვროდ ვრცელი დიაბაზონი, რომლითაც იგი სამამულო ომის იშვიათად ცხოველყოფელსა და ამოუწურავ თემას ამუშავებს, საკმარისია გავისხენოთ საოცარი მომხიბვლელობისა და ემოციური ზემოქმედების ძალით აღბეჭდილი შესანიშნავი მოთხრობა „ცაბუნია“. ამ მოთხრობის გმირი — პატარა იმერელი გოგონა, რომელსაც დიდხანია ფრონტზე წასული საყვარელი მამის ამბავი ვეღარ გაუგია, გაზაფხულის წვიმიან დღეებში სამტრედიის სადგურზე უხედება სამხედრო ეშელონებს, რათა ფრონტიდან დაბრუნებული დაქვრივი მეომრებისაგან გაიგოს რაიმე თავისი მამის შესახებ. ყირიმის ნახევარკუნძულზე, კავკასიონის კალთებზე გაჩაღებულ სასტიკ ბრძოლებში მრავალმა ქართველმა მებრძოლმა ისახელა თავი რუს თანამომხმეებთან და სხვა საბჭოთა ხალხების შვილებთან ერთად. ბევრი მათგანი ვეღარ დაუბრუნდა სამშობლოს. ამ თავდადებულ მებრძოლთა სიხლწორკით სავსე სახეების მდიდარი სამყარო დახატა კ. ლორთქიფანიძემ ნოველებსა და მოთხრობებში: „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, „მწვანე ღილი“, „ერთი ღამის საუკუნე“, „მაისის დილა“ და სხვ. ამ მოთხრობათა და ნოველათა პერსონაჟები: მამია ჯაიხი, გიორგი მუმლაძე, ძმები ბაზლაძეები, ლადო ვაშალომიძე, კაზაკი ქალშვილი სვეტლანა და სხვები ცოცხლობენ ჩვენს მეხსიერებაში, როგორც ჩვენი ახლობელი და საყვარელი ადამიანები, თავიანთი ღრმად ინდივიდუალური ადამიანური ხასიათის თვისებებით, გამომეტყველებით, საკუთარი ბედით და თავგადასავლით. ეს ნოველები დაწერილია გულმოდგინედ დამუშავებული, პოეტიზირებული ენით, ოდნავ ამაღლებული, რომანტიზირებული სტილით. ამ მოთხრობათა ავტორის დიდი დამსახურება ის არის, რომ მან უფრო მეტად და უხვად, ვიდრე რომელიმე სხვა ქართველმა მწერალმა, გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა სამშობლოს დამცველი ვაჟკაცების ცოცხალი და კოლორიტული მხატვრული სახეებით.

ომის პერიოდის ქართული მხატვრული პროზის ღირსშესანიშნავ

ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე დემნა შენგელაიას მოთხრობა „წითელი ყაყაჩო“. ამ მოთხრობის გმირები, მეზობლად მცხოვრები ორი ინტელიგენტური ოჯახის — დავლიანიძეებისა და დარაშელიძეების შვილები ბეჟანი და არჩლი ომის დაწყებისთანავე მიეშურებიან ბრძოლის ველზე. ბევრი რამ ნახეს და განიცადეს ამ ახალგაზრდა მეომრებმა ომის ვრცელ გზებზე, იყო მრავალი სიძნელეც, განსაცდელიც, საინტერესო შეხვედრები და შემთხვევებიც. ყოველივე ამას აგვიწერს და მოგვითხრობს მწერალი, უპირატესად თავის გმირთა სულიერი ცხოვრების წიაღში ჩაღრმავების გზით ანვითარებს თხრობას და ამ მიმართულებით იგი ხშირად მძლავრ მხატვრულ ეფექტსაც აღწევს. ჰოსპიტალში სამკურნალოდ მოთავსებულ სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ოფიცრების ხშირ და ხანგრძლივ საუბრებში ნათლად იხატება თანამედროვეობის გმირის მაღალი მდიდარი სულიერი სამყარო, მისი პატრიოტული შეგნება და ინტერნაციონალური მისწრაფებანი. სიტყვიერი მასალის უკიდურესი ეკონომიით, ლაკონიზმით, ზოგჯერ რამდენიმე მეტყველი შტრიხით მწერალი ახერხებს პერსონაჟთა დასამახსოვრებელი სახეების დახატვას. მთელი ნაწარმოები წრფელი და მომხიბვლელი ლირიზმით არის გამსჭვალული.

ჰუმანიტარული პოეტური გზებითაა გამოხატული მოთხრობაში მშვენიერი გოგონას მაიკოსა და ბეჟანის სატრფიალო ურთიერთობის ისტორია, ისე, როგორც სანიტარი ქალის მაშენკას უცვლელი ერთგულება და თავდავიწყებული სიყვარული ბრძოლაში დაღუპული თავისი უძვირფასესი ადამიანის — ვასიასადმი. ამ მოთხრობაში მართლაც იგრძნობა სიტყვის ის მძაფრი განცდა, მხატვრული მეტყველების ის ღრმა თავისებური მაღალი ოსტატობა, რაც საერთოდ დამახასიათებელია „სანავარდოსა“ და „ბათა ქექიას“ ავტორისათვის.

გიორგი ნატროშვილის ნოველების წიგნი „დასავლეთის ფრონტზე“ იყო ქართული მხატვრული პროზის ის ნაწარმოები, რომელმაც პირველად გვაგრძნობინა საბჭოთა ფრონტული ცხოვრების ცოცხალი სუნთქვა, პირველად შეგვახვედრა იარაღასხმული საბჭოთა ადამიანის ცოცხალ ტიპურ სახეებთან. ამ წიგნში დიდი სიწრფელითა და უშუალოდ განასახიერა ფრონტელმა მწერალმა საკუთარი განცდები და შთაბეჭდილებანი, რაც ცხოველ გამოძახილს პოულობდა ხალხის გულში. კმაყოფილებით მიიღეს მკითხველთა ფართო წრეებმა აგრეთვე რაჟდენ გვეტაძის „მართალი ნოველების“ წიგნი.

იმ წლების მხატვრული პროზის ვითარების სურათის უფრო სრულად წარმოსადგენად საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე მხატვრული ნარკვევისა და პუბლიცისტიკის ჟანრების გააქტიურება.

შალვა დადიანის, გერონტი ქიქოძის, კონსტანტინე გამსახურდი-

ას. ლევან ასათიანის და სხვათა პუბლიცისტური გამოსვლები, სიმონ ჩიქოვანის, ილო მოსაშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, როდიონ ქორქიას მხატვრული ნარკვევები შეადგენდნენ ქართული ლიტერატურის საბრძოლო ცხოვრების განუყოფელ, ფრიალ მნიშვნელოვან ნაწილს.

აქტიური და დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრება სუფევდა იმ წლებში აგრეთვე ქართულ დრამატურგიაშიც. ომის დაწყებისთანავე მოწინავე ქართული თეატრების სცენაზე წარმატებით იდგმებოდა გიორგი მდივანის პიესები: „ბატალიონი მიდის დასავლეთით“, „მოსკოვის ბჭესთან“, „პარტიზანები“. ეს იყო მთელი საბჭოთა დრამატურგიის პირველი გამოძახილი სამამულო ომის უკვდავ ეპოპეაზე. კავკასიის დაცვის დაუფიწყარ დღეებში განსახიერდა რუსთაველის თეატრის სცენაზე სერგო კლდიაშვილის პიესა „ირმის ხევი“, რომელშიც ამაღელვებელი დრამატიზმით არის მოთხრობილი სამშობლოს უბოროტესი მტრის შესამუსრავად ამხედრებული კავკასიის ხალხების სწორუპოვარი ვაჟკაცობა და თავგანწირულება. მის რამდენიმე მაღალმხატვრულ მოთხრობასთან ერთად ეს იყო ჩვენი დროის ამ გამოჩენილი მწერლის ძვირფასი წვლილი ომის პერიოდის ქართული მწერლობის განვითარებაში. ცოტა უფრო გვიან გიორგი შატბერაშვილმა დაწერა მძაფრად დრამატიზირებულ სიუჟეტზე აგებული პიესა „ფიქრის გორა“, რომელშიც პირველად გამოჩნდა ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ვაჟკაცის სახე, მებრძოლისა, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო სამშობლოს თავისუფლებისა და უკვდავებისათვის.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ომის პერიოდის ქართული თეატრის რეპერტუარში ვ. დარასელის პიესას „კიკვიძეს“, რომელშიც სამოქალაქო ომის ეპოპეის ერთ-ერთი სახელოვანი ფურცელია გაცოცხლებული ისეთი მხატვრული ძალით, რომ არასოდეს არ დაკარგავს თავის იდეურ-ესთეტიკურ ღირებულებას. კავკასიის დაცვის ეპოპეისადმი მიძღვნილ დრამატულ ნაწარმოებთა შორის გამოირჩევა ილო მოსაშვილის პიესა „სადგურის უფროსი“. ეს ის ნაწარმოებია, რომელიც უეჭველად გაუძღვებს წელთა გამოცდას და დიდი ხნით დარჩება ჩვენი ეროვნული დრამატურგიის ძირითად ფონდში.

საბჭოთა მეზღვაურების გმირულ საბრძოლო ცხოვრებას მიუძღვნა ლევან გოთუამ პიესა „უძლეველნი“, რომელიც წარმატებით იდგმებოდა თავის დროზე ჩვენს თეატრებში. მაგრამ განსაკუთრებით დიდ პატრიოტულ აღმაფრთოვანებელ გავლენას ახდენდა მასუბრებელთა ფართო წრეებზე მისი ისტორიული დრამები „მეფე ერეკლე“ და „დავით აღმაშენებელი“. ომის წლების ქართული დრამატული მწერლობის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად უნდა მიჩნეულ იქნას სანდრო შანშიაშვილის ისტორიული პიესა „კრწანისის გმირები“. სწო-

რედ იმ დროს, როცა ფაშიზმის სისხლიანი ურდოები გააფთრებით მოიწვედნენ საქართველოსაკენ, მისი გულის — თბილისისაკენ, რუსთაველის სახელობის თეატრის სცენიდან გაისმოდა ჩვენი დიდი ეროვნული გმირის ერეკლე მეორისა და მის სახელოვანი თანამებრძოლების — კრწანისის თავგანწირული დამცველების მგზნებარე პატრიოტული ყიჟინა და ხალხი უსაზღვრო მღელვარებით და საბრძოლო აქციებით ეხმაურებოდა მათს ამ ყიჟინას.

ისტორიული ეპარის იმდროინდელი ქართული პიესებიდან უნდა გავიხსენოთ აგრეთვე ალექსანდრე სამსონიას „ბაგრატიონი“ და მიხეილ ჭავჭავაძის „უამთაბერის ასული“.

ასე ერთსულოვნად და ერთობლივად იბრძოდა დიდი სამამულო ომის წლებში მთელი ქართული მწერლობა „მხატვრული სიტყვის იარაღით“. რასაკვირველია, ეს დიადი თემა არ ამოწურულა ომის მიმდინარეობის კალენდარული ფარგლებით. სწორედ ომის მომდევნო წლებში შეიქმნა ამ თემისადმი მიძღვნილი მრავალი დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოები. სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების გადასარჩენად გაჩაღებულ ამ დიდ ბრძოლაში ისეთი ძალით იჩინა თავი ჩვენი ხალხის ხასიათის საუკეთესო ტიპურმა თვისებებმა, რომ ეს ძვირფასი მასალა ყოველთვის აღსრავს შემოქმედებითს გზნებასა და აღფრთოვანებას ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი და ახალი თაობების ოსტატებში. შესაძლებელია, რომ სწორედ მომავალში შეიქმნას ამ დიადი თემისადმი მიძღვნილი ღირსეულად სრულყოფილი მხატვრული ქმნილებანი.

მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს მომავალში, ვერაფერი ვერ დაჩრდილავს იმ ნამდვილ შემოქმედებითს გმირობას, რომლითაც საბჭოთა ლიტერატურა უშუალოდ მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. ამ პერიოდის ჩვენს მწერლობაში განსაკუთრებული ძალით განხორციელდა სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის ფუძემდებლური პრინციპები. ჩვენმა კრიტიკამ და ლიტერატურათმცოდნეობამ გულმოდგინედ და ღრმად უნდა შეისწავლოს ომის პერიოდის საბჭოთა მწერლობის ძვირფასი გამოცდილება, რათა უფრო კმედიტად და ნაყოფიერად იქნას იგი გამოყენებული სოციალისტური მწერლობის ახალი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

სარჩევი

გმირული ცხოვრების ეპოპეა	5
სიმონ ჩიქოვანი :	39
საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან	67
„თეთრი ბაირაღები“ და მისი კრიტიკოსები	92
დიდი შემოქმედებითი ცხოვრება	112
„აოზის“ პოეტური ბიოგრაფია	131
პოეტის მაგნიტური არე	153
აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი	158
მაიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიციები	166
უკანასკნელი წეხედრები ვლ. მაიაკოვსკისთან	180
მწერალი და მეგობარი	199
ამაგდარი	208
ხალხთა მეგობრობის სიმღერა	223
თანამედროვეობის სრულყოფილად ასახვისათვის დრამატურგიაში	229
მხატვრული სიტყვის იარაღით	254

რედაქტორი ე. ქარელიშვილი
გამომც. რედაქტორი მ. სანადირაძე
მხატვარი ა. თოდრია
მხატვრული რედაქტორი ნ. ნარიშანიძე
ტექნიკური რედაქტორი დ. რაჭმაძე
კორექტორები: ე. ჩიკაშუა, ი. დეკანოიძე
გამომშვეები ნ. კვატაშიძე

ს. ბ. — 2658

ჩაბარდა წარმოებას 10.04.85 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 14.05.86 წ. უე 08859.
ფორმატი 60×90¹/₁₆. ქალაქი საბეჭდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა-
მალაღი. პირობითი საბეჭდი ფურცელი 18. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურ-
ცელი 17,49. პირობითი საღებავგატარება 18. ტირაჟი 3000 ეგზ. შეკვეთა № 37.

ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის გამზ. 42. თბილისი, 1986

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა
სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 50

Типография № 1, Государственного комитета Грузинской ССР по делам
издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Орджони-
кидзе, 50